

114  
1942



# მნათობი

7-8

---

თბილისი  
1942



# მნათობი

სრულიად - საქართველოს საშაქთთა მწერლუქმის  
კავშირის ყთველთვიური სალიცურაჭურთ.  
სასელოვნო და საზოგადოებრივ - საშთლიცვიო  
ქურნალი

წალიწალი მისხრაშბი



3830

## 7-8

19

ივლისი — აგვისტო

ს ა ხ ე ლ შ ა შ ი





კონსტანტინე გამსახურდია

## ღავით აღმაშენებელი

სამხარიათი რომანი

ქარი მორა

„მბრძოლ ვეჟმენ ყოველთა წესთა სჯულისათა და ქორწილთა მიერ ხენგშთა ემძღაგრე საწოლსა ჩემსა და სახეთა მიერ ბოროტთა მიცემითა ფაცოდე ტრი ჩემი ვითარცა იგი შეფეთა მისთა ისრაელ“.

დავით მეფე  
„გალობანი სინანულისანი“.

### I

#### თრიალეთური ქარი

ზაფხული იდგა მთებშიაღ. კირჩხიბს გადაცდენილი მზე უახლოვდებოდა ზოდიაქოს ლომისას; ციხეებში ჩამსხდარნი, ღავით მეფის სპანი ჰხედადენენ ამ დროს თანაცთომილებს ძაღლისას.

ქარი დაგულავდა ხეობებში, ზღვისებრ ქშუოდნენ ტევრები ნაძვისა. ეძვერებოდა ქარბორბალა კბოდებზე გადამდგარ ხეს, გადასჩეხავდა უფსკრულში, როგორც ირემს ნაზამთრალი მგელი, მერმე შეჰყვებოდა ღრიალით ხეებს, ქარაფების პირად გამოკვეთილ ქვაბებში უვარდებოდა მემღვიმეთა და მონადირეთა.

ქარი და შიში თან შემოჰყვდა ღავით მეფეს თრიალეთის საერისთავოში. თურქებს მოელოდნენ რატის აზნაურები სომხეთიდან და კახეთიდან. ბანუ-ჯაფარის სპანი კოჩრის ციხის სანახებში ეგულებოდათ. ვაჭბილდნენ ვაგლახად, როცა თურქების ნაცვლად სამეფოსს ლაშქარნი შემოიჭრნენ მთელს საერისთავოში.

ყველამ იცოდა თავათ მეფე რომ შემოუძღვა მათ, მაგრამ ვერაფის გაეგოსად იმყოფებოდა იგი. ყველგან ეძებდნენ და უთვალთვალებდნენ მას, ყველგან ელოდნენ სიზარულის მოუთმენლობით ერთნი, გაურკვეველი შიშისაგან შეძრულნი სხვანი.

და ითხზებოდა ათასგვარი მითი მოსეირეთა უქმ გონებაში. გრძნეულს აბჯარი აცვიოა ღავით მეფეს ტანზე, მის მოშხამულ ისარს ვერ აკაგებსო ვერავითარი ფარი, ვერც არაბული, კორეიშიტული, რომელზედაც გველის პერანგს გადააკრავდნენ ზოლმე, ვერც ირანული, ვიგრის ტყავისა, ველარც ბერძნული, მელისა, კამენის ტყავით ვარსმოვლებული.

ამიტომაც ვერ გაუმკლავდნენო მას თურქნი, ვერც ლიბარტიის სპანო.

კლდეკარის უგრძნეულად აღებამ მთლად ააფორიაქა თრიალეთელთა წარმოცდენა. დროულ კაცებს ჯერაც ახსოვდათ თუ როგორ გაწილიდა ქვისრის კონსტანტინე მერვის დომესტიკი ბერძნული ლაშქართურად სწორედ ამ ციხის მისასვლელებთან.

დიდსა და მცირეს დავით მეფის სახელი ეკერა ბაგეზე. ყველას ეს ენატრებოდა თუნდაც თვალმოკვრით ენახათ იგი. გამოჩნდებოდნენ თუ არა სამეფოის ლაშქარნი გზებზე, ქარაფებისაკენ გარბოდა ქალი და კაცი, უჭკვრეტდნენ თოროსან რაინდებს.

ყველამ იცოდა წინასწარ: არ იცვამსო ქაბუჯი მეფე მოოქროვილ თორს, არც ჯაჭვს ხორასნულს, საღმისურისას, სანიაღვრო აბჯარი აცვიანო, ფოლადის ჭერეკით მოსილი, ქორისფერი მუშარადი ახურავს ბაგრატეული, რომელსაც წვრილად ნაქსოვი საბურავი აქვსო შუბლის ქვემოდ ჩამოსამეგები, მაგრამ ეს იყო, სწორედ ამგვარ მუშარადს ატარებდნენ მისი სასალარები და ათასისთავები, ამიტომაც ვეღარ გაერჩია ხალხს რაინდებისგან მეფე.

უბრალო წვრილმანებიც იცოდნენ: ქლიავისფერ ულაცზე ზისო, ქუჯაი ჰქვიაო იმ ცხენს, მეორეც თან მოჰყავს მეაბჯრეს მარქაფად. წაბლისფერი ზოლი აქვსო გავაზე იმ ფაშატს, ძუა—ღამესავით შავი, ყორნისფერი ფაფარი, ყინჯალური დალი ატყვიანო სკვითიას მარჯვენა ბარძაყზე — ახალი მთეარე.

ამის გამო ცხენებს უფრო აკვირდებოდნენ მოსეირნნი, ვიდრე გზადგავლილ ლაშქართა: მთელი საერისთავო გაივსო დავით მეფის კოპორტებითა.

ისინი მერეხივით დაიძრნენ შიდა-ქართლიდან, ჯავახეთიდან ერთობლივად გადმოსულნი, გზები და ხეობები შეჰკრეს, ციხეები და ვოდოლები აიღეს, ლიბარტისეული ხევისთავეები გადააყენეს; თემშარებსა და საცხენე ბილიკებს მოსდებოდნენ, კბოდეებიდან შეუპოვრად ახტუნებდნენ ცხენებს, ულაცების ქიზვინისაგან ყურთასმენა არ იყო.

თრიალეთელებს მრავალგზის ენახათ გიორგი მეფის სპანი, საფეთქლებგაქლალბული, გრძელწვეროსანნი ჰარმაგნი, ხოლო დავითისანი ახალგაზრდანი იყვნენ უბირატესად, ჯერაც პირშიშველნი, უწვეგრულნი ქაბუჯნი.

ვიდრე მეფე და ტაძრეული ლიბარტიის უბანს უწვევდნენ, ქარი დასცბრა, ნელნელა ეშვებოდა სიღამე ციდან.

ამეთისტოსფერ ცარგვალზე შავად მოიქრნენ თრიალეთის მშვენიერი მთები, ჰაეროვან ბასტიონებს მიაგავდნენ ქედებისაგან გამონაყოფი მწვერვალები, ხოლო ძაბრისებრ წოწოლა გორაკები — ზურმუხტის გოდოლებს.

როცა ხეგებს უცნაურად ჩაუშავდათ ყბები, მთეარე ამოვიდა, დასავლეთისკენ გაქცაპული ქედები სმარაგდისფერით შეიმოსნენ ერისიონის შუქზე, ხოლო შორეული თხემები ნახშირის ბაზებით გამოეთიშნენ ორაგულის ქერეკისფერ ცას.

მეფეს მაგრად ეკირა მარცხენაში სადაფე. ოდნავ მოქანცულიყო დაუდგრომელი ქუჯაიც, ფრუტუნებდა, ფრთხილად მიჰყვებოდა დამრეცილ ბილიკებს.

ქიმერებსავით მოზობლავდნენ მხედრების ნაჩრდილნი მის გვერდით. ღამე ქშინავდა ამომშრალ ხეში, საღლაც უსტვენდა მარტოხელა ბუღბუღი ბნელში. დედისიმედსა და ლიბარტიის უბანს მისწვდა მისი ფიქრი ანაზნად.

ყველაფერი იცოდა მან, ყველაფერი, რაც კი რამ ხდებოდა საერისთავოში იმჟამად; ქარიმან სეტყილი და მისინი მსტოვარნი სმენად და მწერად იყვნენ ჭკეულნი.

ციხეები და გოდოლები თავათ ეპყრათ, ურჩნი და ქვეგამხედვარნი ბოროტ-  
ლებში ჩასხეს; ქონდაქართუხუცესმა იგიც მოახსენა მეფეს, თუ ვინ გაბეჭდა  
რატისთან ერთად, ან ვინ შეუერთდა შემდგომაც.

სომხეთის საზღვრამდის ყოველი ხევი დაჩხრეკილი ჰქონდათ ჩუბჩოთა, თურ-  
ქების მსტოვარნიც დააპატიმრეს მზირებად გადმოსულნი თრიალეთის საერის-  
თავოში.

მხოლოდ ერთი რამ არ იცოდა პატრონმა, თუ რა ხდებოდა ლიპარიტის  
უბანში. ეს მან აღუკვეთა ქონდაქართუხუცესს მანდ ჩასვლა, რადგან ლიპა-  
რიტის საზღუელი იქ ეგულებოდა.

არც ის დაუფარავს ქარიშხან სეტყელს, რატი ლიპარიტისძე და მისნი თანა-  
მდგომნი შოლტის გორაზე რომ შეყრილიყვნენ გასულ შაბათს, ფიცითა მტკი-  
ცითა შეპკვროდნენ ეს აზნაურები თავიანთ პატრონს: დაეით მეფესა და მის  
ლაშქარს გვაძევებთო თრიალეთის საერისთავოდან.

ერთი რამეც ვერავინ გაუმტლავნა მეფეს: თუ რა გუნებაზე იყო დედის-  
იმედი თავათ?

ვერავინ ბედავდა ამ წყლულის შეხებას. მხოლოდ კირიონ მანგლელს წა-  
მოცდა წინა დღით კლდეკარში: ლოგინად ჩაეარდნილაო დაზაფრული ქალი.

ხეც ვაღმა გაიხედა მეფემ: ქვის ვეშაპები იწვნენ ქარაფების კიდეზე, ცოცხ-  
ლებსა ჰგვანდნენ იგინი, უღარაჯებნეთ თითქოს ვარამის ხეობაში შემოსულს,  
რომელსაც მტერზე გამმარჯვნა ღიბაც, მაგრამ სიმძიმელი უღულდა გულში,  
რადგან არ იცოდა თუ რას უქადდა მის სიყვარულს ეს გამარჯვება.

როცა ხევიდან ზეგანზე ამოვიდა, მეფემ თვალი შეავლო ამ გაშავებულ ქი-  
მერებს, ახლაც ვეშაპებს ჰგვანდნენ ზედმიწევნით ეგ ლოდები. რომელიღაც  
ეკლესიის გუმბათი აიღანდა ცისკიდურზე შორს.

ცბენი შეაყენა, ტაფობს გადაჰხედა. იმ მთას გადაღმა ხეობაა დიდი, მის გა-  
დალა უსიერი ტყე და იმ ტყერეშშია ლიპარიტის უბანი.

მიდის გამარჯვებული მეფე თავის სასძლოს საყოლში და ემა თუ დახშული  
დაუხედეს მოსიყვარულე გული.

ჯონდი ერისთავის ნათხოობი გაახსენდა ამ წამში: თუ როგორ გაეკრბდა  
დედისიმედი და შორს დაიჭირა ტყუილი ეთქვა მამისა და ძმისათვის. კარგად  
იცოდა ამ ქალის მაღალი ზნეობის ამბავი თავათაც.

წინაღამით არისტოტელესს კითხულობდა დავითი კლდეკარში: სწორედ იმ  
ადგილს, სადაც სიყვარულს — „ფილიასს“ განმარტავს ბრძენი, როგორც  
წაქიდების — „ვეიკოსის“ ვანამტოებს.

„მართლაც ორივენი ისე ენაცვლებიან ურთიერთს, როგორც ჩჭდილი და  
ნათელი“. ვაიფიქრა მიჯნურმა.

დაიხვივნინა მხედრის მოახლოებაზე ქუჯაიმ, განზე წავიდა ვოგვით. გვარამ  
ერისთავის თეთრი წვერი დალანდა მეფემ. შარავანდიან წმინდანს მიაგავდა  
მთვარის შუქზე ეს შვეენიერი, ახოვანი მსცოვანი.

მცირეხანს მღუმარედ იარეს ზეგანზე პატრონმა და ყმამ. მერმე სამხრეთით  
აჭორილ ტყერებს გაუსწორა გვარამმა თვალი, წიწვიანის ბნელი სილუეტები  
ისე მოსჩანდნენ მოსარკულ ცაზე, როგორც ზღაპრული მტაცებლების შავი  
თათები.

„გახსოვს, მეფეც ბატონო, სთქვა ერისთავმა, როცა ლიპარიტის უბანში  
სტუმრობდით მეფე ვიორგი და შენ, სწორედ ამ ზეგანზე გავვიმართა ლი-  
პარიტმა დოლი“.

მეფეს გულში რეჩხი უყო ამ მოგონებამ, ხოლო ბექისციხის პატრონმა განაგრძო:

„სწორედ მოგახსენო, მე აგრე მეგონა, სიყვარული ძლიერ შეტეხე მტრობას“. მეფე სდუმდა, ცისკიდურს გასცქეროდა, მთვარის შუქისაგან განჩრდილული მთები ვალავანივით გარს ერტყნენ წინამდებარე ტაფობს. სამუხლე ბალახს აბიბინებდა სიო, ალაგ-ალაგ ზღვისებრ ღელავდა სათიბი.

უცნაური მყუდროება დავანებულიყო ირგვლივ, ჭოტი იძახოდა ხეობაში საწყალობელად.

„არ იქნებოდა ურიგო აქ დავგედვა კარვები, ლამე გავგეთია... შენ რას იტყვი, გვირამ ბატონო, ვა?“

გვირამ ერისთავს არ ებრინა ეს ამბავი, თუმცა კარვად იცოდა მიზეზი ამისა. ცხადი იყო: მეფეს უმძიმდა ღამით მისვლა დამწუხრებულ ოჯახში. გვირამი სდუმდა, ხოლო დავითმა მახარაი აზმოზინა მეაბჯრეს.

შერგილ ლიპარტიანი და პაპუნაც წამოეწიენ. ბეშქენიც დადუმდა, ხოლო შერგილმა მზრები აიჩეჩა: უკეთ უწყისო პატრონმა.

ბოლოს მოაღწია ქოსამაც.

„შენ რას იტყვი, მახო?“

ეუბნება მეფე. სახე გაუბრწყინდა მახარაის. ტაფობს ესროლა მზერა და სთქვა: „კარვებს, თუ გნებავს, იმ ქედებზედაც დავიდგამდი, მაგრამ...“

როცა კირიონ მანგლელმა და სამღვდელთა ამაღამ ყური მოჰკრეს: ამ ტაფობზე აპირებსო დაბანაკებას მეფე, შეცფუნდნენ. განსაკუთრებით კირიონი შეწუხდა. ხედავდა მღვდელმთავარი, მთელი გეგმები დაეფუშებოდა ამ ვზით.

გულფიცხი იყო მანგლელი, მაგრამ თანაც გულალალი ფრიად. მას წრფელად სჯეროდა: აღამიანს ეშმაკი შეაჯდება ხანდახან მხარზე, ქადაგებით, შეგონებით და თათბირით მაინც შესაძლოა მოთვინიერება მისი. მანვე შეაჩვენა და განკვეთა ამირა ლიპარიტ, ასე ეგონა: აროდეს მოუბრუნდებოდა მის მიმართ გულო, მაგრამ ერთმა ამბავმა შესძრა მღვდელმთავარი კლდეკარში: როცა ლიპარიტს ოქრომკედით შემკული კაბა გახადეს ჩუხჩთა, ოქროს ქამარი მოხსნეს დიდრონი ლალებით დამშვენებული, ძაძის პერანგი გადააცვეს და დილეგში შეაჯდეს, მან მოიხადა დამასტის ტურბანი, ბარქიაროკის მიერ ნაძღვენი და გააულისებულმა დაახალა მიწაზე.

მანგლელმა ამ საქციელში ამოიკითხა სინანული ერისთავისა გამუსლიმების გამო და ეს იყო, იმედი მიეცა ლიპარიტის მორჯულებისა. ქონდაქართუხუცესს საზოგვა: მარტო დამტოვეთო ამირაყოფილთან. ქარიზან სეტციელი შეყოყმანდა, მაინც გაეცალა ბოლოს.

შენდობის ლოცვანი წაუკითხა კირიონმა ტყვეს, და ნუგეშინი სცა სასოწარკვეთილს. ამის შემდეგ ამოიჭრა მღვდელმთავარმა გულში: შესჩენოდა მეფეს და შეემსუბუქებინა შეპყრობილის ბედი.

თავისი მესაწოლე პერი აფრინა ლიპარიტის უბანს, კატაის შეუთვალა: კარვად დაუხედით მეფეს, მეც თან ჩამოვეყები ხვალვე, ერთად ვეაჯოთო პატრონს.

ახლა რა გაიგო მანგლელმა, ამ ტაფობზე აპირებსო დაბანაკებას მეფე, დაღონდა ფრიად, თუ მეფე არ მიიღებდა პურმარილს ლიპარიტის სახლეულისას, მაშინ ყოველგვარი იმედი დაკარგული იქნებოდა მეფისა და ერისთავის შერიგებისა. მახარაი უკვე შეკარვებს უხმობდა, ჯორების შვიდეულმაც მოაღწია, სამეფო კარვით დატვირთულმა.

კირონმა მხნეობა მოიკრიბა, ცხენიდან ჩამოვიდა, მიეახლა და შეტყობა შეფეს:

„პატრონი ბრძანდები ჩვენი და მორჩილება ვალად გვაძევს ყმათს, მიწის მის მეგობარი ვარ მამისა შენისა, მტერთა შენთა დაუნდობელი მტერი, უფალო მოგცემს მზეგრძელობას, შეილო, ჯერაც ჭაბუკი ბრძანდები და ქედფიცხელი, ნუ იქმ ამას, მეფევ ბატონო, ლიპარიტის სახლელული მიგველის ამაღამ, მტრისეულიც რომ იყვეს დიაცი, ზამს რაინდი პატივს მიაგებდეს მას“.

მეფემ თვალი შეაფლო მღვდელმთავარს, მერმე ველს გადაჰხედა და ყოყმანით სთქვა:

„იყავ ნება შენი, მამაო სახიერო, მაგრამ წინასწარ იცოდე, ეს არ შეამსუბუქებს ლიპარიტის ხვედრს“.

მახარაი მოიღუშა ვაგლახად, მაგრამ როცა მის სმენამდის მოაღწია ორმა სიტყვამ: „არ შეამსუბუქებს“, უკვე მოეფონა გულზე.

## II

## „თვალი თვალის წილ“

მეფემ ცხენი დასძრა. ახლა ხევ-ხევ მიდიოდა გზა, რიყის ქვებითა და ლოდებით დახერგილი. საცხენე ბილიკი წყალს მიჰყვებოდა გველისპერანგისებრ დაღრეკილსა და მასავით ეღვარეს. დაეთი ხედავდა შორიდან ზემო ბილიკებზე მიმჭროლავ ჩუხჩთა, ისინი გულდასმით ჩხრეკდნენ ამ ხეობას წინასწარ. ფიქრში ვართულს ფლოქვების ცემა შემოესმა, შეერთა. ვაგლახად წელში მოღრეკილი მხედარი მიეახლა.

შენა ხარო, მახო?

მე ვარო, ჩვენო პატრონო.

მეფემ ცხენი შეაყენა, მოუცადა ქოსას და როცა იგი გაუსწორდა, მუხარაბის ქვეშ ჩამჭრალ თვალებში ჩაჰხედა და უთბრა:

„მე შენს ღუმელს ველარ მიეჩვევივარ, მახო, როცა შენ არ ენამზეობ, აგრე მგონია იტანჯები მეთქი, არა?“

„ბარე არ მინდოდა დაღუმება, ჩვენო პატრონო, მაგრამ თუ რაიმე ეთქვი, ეკ. ლესიის ყვავებივით დამესევინ ხოლმე ეპისკოპოსნი. მჭირდავენ და მლანძღავენ: ეს შენ აწვდიო მრუდე თათბირს ჩვენს პატრონს. ლიპარიტის განდგომას მე მამბრალდებენ, რატი ლიპარიტისმე შენ წაჰკიდევო მეფეს“.

დავითი მღუმარედ გაყურებდა შავი ბაზალტის კლდეებს, გიშრის ქარაფებს მიავადდნენ მთვარის შუქზე ისინი. ხევის წყალმა სამხრეთისაკენ გაუბვია, ახლა უფრო ღია ხეობა დაიწყო, უზარმაზარი ფლატეები მოდგნენ, მიწისძვრებისაგან დაღრვეულნი, კისრის ტეხით გადმოცვენილნი ხრამებში.

უცნაური ქარი მოდიოდა სამხრული.

„ქარი ყოფილა ამ ხეობაში, მეფევ ბატონო, მე არ მიყვარს ქარი, მაგრამ ეგაა, ქარივით უნდა იყვე კაცი, ყველგან დროზე მისაწრო, ყველას უნდა გადაასწრო ქარივით“.

„ქარი კი არა, ქარბორბალა, მახო“.

„ღიახ, ქარბორბალა“.

მეფემ ცხენს სადავე დაუმოკლა, მოზრდილ ხრამზე გადაანტუნა და სთქვა: „მე ვსტკებები, როცა ქარბორბალა ამოვარდება ხოლმე, შერყევდ უნდა :მ ჭეყანას, მახო, ამ სოფლად მოსვლას რა ფასი აქვს, თუ ეგმ ცხენს დასტოვებ დასტოვებ კაცმა, როგორიც შენამდის ყოფილა, არა?“

„ამიტომაც მოგახსენებდი, მეფევ ბატონო, მეცა: ნუ აყვები მეოქი ისეთა ხეიბარების თათბირს, რომელნიც რკუსავით დაიოზავენ თავათ. დაუყონებლივ უნდა გასწმინდო თრიალეთი შენი მტრებისაგან. ეპისკოპოსებს რა ენაღვლებათ, რა ჯაფა დასდგომიათ შენს გაზრდაში მათ! უჩემოდაც გაიგებ, ვიცი, თუმც ვლახაკი ვარ და სვედავსილი, მაგრამ სისხლის შენის თანაზიარი ვარ მაინც. განა მე მათზე მეტად არა მტკიცია სამეფოისთვის გული? შენ კლდეკარი აიღე უსისხლოდ, კონსტანტინე კეისარს აჯობე; ქუთით, ახლა ფარცხისას ციხეც უნდა შემუსრო, დეე, თუნდაც სისხლისღვრა დაგკირდეს ამისთვის. მიწა და ღმერთი ერთ რამეში ჰგვანან ურთიერთს, სისხლს შოითხოვენ ორივენი, მეფევ ბატონო, უცილოდ.“

მეფემ შთეარეს აპხედა, ზედ ნაძენარის წვეროკინებზე ჩამომჯდარს, შემდეგ ნათლით გაბრწყინებულ ხეობას თვალი გააყოლა და სთქვა:

„ეინც ყველა ციხეს ერთბაშად მოუნდომებს აღებას, მას აღებულნიც დაეკარგება, იცოდე“.

„მაინც სიმარდეა ვადაწყვეტი ბრძოლაში“.

„გაანინა როდის და სად. ხან ქარბორბალასავით სწრაფი უნდა იყვე ვაუკაცი, ხანაც რკუსავით ნელი. აი ამ პაშტა ხევისწყალს ხომ ჰხედავ, ნელა რომ მოიპარება ღირღალიან სადენზე, ერთ დღეს როდი გაუკაფავს ეგ კლდეეთი მას“.

მახარაი თავისას არ იშლიდა.

„მე მაინც ავრე მგონია, ჩვენო პატრონო, დაუყონებლივ უნდა აიღო ფარცხისის ციხე და რატი ლიპარიტისძე შეიპყრო როგორმე, თორემ თრიალეთელი აზნაურები თურქის ლაშქარს შემოუძღვებიან და ძვირად დაგისვამენ ამ გამარჯვებას“.

დავითი სდუმდა და მახარაიმ დასძინა:

„შენ შეგიძლია უსისხლოდ აიღო ეგ ციხეც“.

„სამწუხაროდ, მეორე მამა არა ჰყავს რატის“.

„დღეა ხომა ჰყავს, კატაი?..“

მეფე შეკრთა.

„მაგას რად იტყვი, მახო, დიაცი აღუ-არსლანსაც არ გაუსვამს ძელზე“.

„რა ვუყოთ, რომ დიაცი კატაი, მე თუ მკითხავ, დიაცი ყოველივე სიავის სათავე. განა დიაცი არაა ტაურკან ხათუნი? როცა მალაქ-შაჰსულტანი მოკვდა, არც ლაწეები დაუხოკია, არც სამოსი შემოუბია, ცხეღარი გადამალა, თორი გადამიცვა, ლაშქარნი დაადიცა და ბუჩოჯირთან შეება ბარქიაროკს. დიაცი იყო დიდედა შენიცა, მაგრამ ლიპარიტ მესამე არ მორიდებია მას. თვალთ თვალის წილ...“

„ეგ იყო მხოლოდ შურისგება, მახო, არც პაპაჩემი ბავრათი მოქცევია მზისთვალას, ლიპარიტ მესამის თანამეცხედრეს, რაინდულად“.

„მე მიყვილია და გათენება უფლისა იყოს. გიჯობს ნუ მიიღებ ლიპარიტის სახლუელის ბურჩარის ამალამ, აქ დაებანაკდეთ, ამ ხეობიდან როგორც კი გამოვალთ, დილით კატაი შეაპყრობინე ქარიმანს და რატი მონებდება მყისვე“.



მეფემ აღარ ისურვა ამის გამო საუბრის განგრძობა, ცხენს უხანგი <sup>მეფე</sup> ცუნა და ხევის წყალი გადალახა. უკან ჩამორჩენილი მახარაი ფიქრში ეყო ვართული და მხოლოდ მაშინ გამოერკვა იგი, როცა შემოესმა თუ <sup>ხანძარი</sup> ხანძარი დასიბულ ლოდებზე ქუჯაი ფლოქვებს.

## III

## „ცხემლი დიაცის ლოდსატყორცნია“

ჯერაც ჩრდილისძვრა არ იყო დაწყებული, როცა სპილენძით შექმდილი მუხის ტიშკარი გააღეს ლიპარიტის ხელშინაურთა. მაშხალებიანი მანდატურნი შემოეგებნენ დავიანებულ სტუმრებს.

ცხენები ფრთხებოდნენ ჩირალდნების შექმე, მონები ძაღლებს დასდევდნენ საბრით, სცემდნენ, ამომშანებდნენ მყეფარებს.

მემაშხალენი სასახლის კიბეზე დარბოდნენ, მთელს ეზოში მაშხალები რიალებდნენ, თითქოს ლამპრობის დღესასწაულზე მოგროვილანო მხედარნი.

მეფესა და ტაძრეულს დიდ დარბაზში დაუხვტა შავი მანდილით თავწაკრული კატაი.

კუთხეებში ოქროს სასანთლენი ლაპლაპებდნენ, ბაღდადური დიდი ქალებიც აენტოთ ბროლისა, რომელთა შორის დიდრონი ლალის მტეცნები ეკოდნენ. ხატების წინ კელატრები ბიბინებდნენ; და ეს ყოველივე საზეიმო განწყობილებას ჰბადებდა, თუმც ყველას ჩამოსტიროდა სახე, როგორც სტუმრებს, ისე მასპინძლებს.

უწინარეს ყოვლისა კატაის დაწითლებულ თვალებს მისწვდა დავითის მზერა. შავი, დამასტის კაბა ეცვა გრძელკისერა, გამზდარ დიაცს. მასთან ერთად წამოდგა სპარსული დივანიდან შევიდიოდე სეფექალი, ხატურ აბრეშუმში მორათულნი.

თავდაპირველად ამაყად მოდიოდა დუკისძის ქალი, ნელა ქანაობდნენ მისი დიდრონი, ოქროს საყურენი, რომელნიც თითქმის მხრისთავეებზე უწევდნენ პატრონს; მეფეს რა მიეახლა, თავი ჩაღუნა, ერთბაშად დაიჩოქა სტუმრის წინაშე და მის მარჯვენას საამბოროდ წაებოტინა. მეფემ მკლავი არ დაანება, წამოაყენა და მხრისთავს მისას დააკარა ტუჩი.

კატაი დაეყრდნო დავითის მარჯვენას, სახეზე სუდარისფერი ვადაეღო, დარდისაგან ჩალამებულ თვალებიდან იწვიმა ცრემლმა.

მთელი ტაძრეული გახევებული იდგა. მღუმარედ შესცქეროდა ამას ყოველივეს. ბოლოს გვარამ ერისთავმა და მეფემ ისევ დივანამდის მიიყვანეს კატაი, თავქვე დაემხო გულამაყი დუკისძის ქალი.

ვიდრე დავითი უკან გამობრუნდებოდა, მან თვალი შეასწრო თუ როგორ უტოკავდნენ მხრისთავეები გულაჩვილებულს. ახლა კირონ მანგლელი და მამაი ბასილი გამოეყვნენ ტაძრეულს. წყალიო, უჩურჩულა მღვდელმთავარმა ნახოს. მამაი ბასილი მიუჯდა დამწუხრებულს.

„მოსვი მცირედი, შვილო“.

ეუბნება გულმტკივნეულად დიაცს.

როცა კატაი კვლავ წამოაყენა მამაი ბასილიმ, მანგლელი გამობრუნდა და ფრთხილი, ფრთხილი მხერა ესროლა მეფეს, მაგრამ ქრთილისოდენა თანა-

გრძნობა ვერ დაიჭირა მის სახეზე. მაინც იმედს არ ჰკარგავდა იგი: *მოდევ ერთი ასეთივე შემთხვევა და ტაბუჯ მეფეს მოუღლებათ გული.*

ეზოსმოდღარმა ზოსიმემ ეს ამბავი მახარაის ამცნო, მანქანდაქარათუხუცესისაყენ მიიღრია თავე და უჩურჩულა:

„რას იზამ, ცრემლი დიაცის ლოდსატყორცნია, ჩემო ქარიზან“.

## IV

## BIBAMUS

სერობა გვიან დაიწყო. მანდილოსანთავანი მხოლოდ კატაი უჯდა სამეფო ტაბაკს, გვიან ერისთავის გვერდით. სპასალარები შერგილი, ჯოჯიკი და ბემქენი, სამღვდელთავან, მანგლელი და მამაი ბასილი.

ყველანი ამჩნევდნენ: უგუნებოდ იყო პატრონი. თავდაპირველად ფრიად გაძნელდა დღემილის დარღვევა. ბოლოს მანგლელმა წამოიწყო საუბარი თრიალეთის ეკლესიათა გამო. გომარეთის ტაძარს სახურავი უნდა შეუქეთდესო. მანგლისის ტაძრის გაღავანი სამ ადგილას დაერღვია თებერვლის მიწისძვრას. კატაიმ ხმადაბლა უთხრა გვიან ერისთავს: არ დააცალდა, თორემ ლიბარტი უპირებდა ახალი ფიქალით გადახურვას გომარეთს. ეს ეკლესია ზომ ლიბარტი სძიეთა საძუალეთო.

მეფეს ეს არ გაუგონია. იგი შერგილ ლიბარტიანს მიუბრუნდა და უთხრა:

მარიამ დედოფალს ათი ათასი დუკატი გამოუგზავნია თრიალეთის ეკლესიების შესაკეთებლად, გეგუთში გამახსენე და ჰყონდიდელი გაიღებსო ამ თანხას. ეპისკოპოსები გულმოდგინედ მოეჭიდნენ ამ საუბარს.

კატაი ნაირნაირ კერძებს სთავაზობდა მეფეს, მაგრამ იგი არაფერს მიირთმევდა, მახარაის გადააბრალა თავისი უმადობა: ჯიხვის აბოხტი მაჭამაო გზაში. არც ღვინოსა სვამდა, ყინულიან წყალს ეძაღებოდა.

შერგილ ლიბარტიანს ვრძელი დანა ეჭირა ხელში, ეტრატის სითხეზე სთლიდა ხბოს ბეჭს, წამოაგებდა იმავე დანის წვერზე გაკეთებულ ჩქიფზე და მიართმევდა პატრონს.

დავითი მდუმარედ ყურს მიუგდებდა თანამეინახეთა ხმადაბალ საუბარს. შეფარვულად უჭერტდა ტაბაკზე მღვარ ოქროს ლეკიფს, რომელზედაც მშველზე მონადირე დიანა იყო ამოტვიფრული. იგონებდა კლდეკარის ციხეში ყოფნას, როცა სწორედ აგრეთივე ლეკიფის გადაღმა ხმაგატრინული იჯდა მისი სასურველი.

უცნაური რამ იყო მაინც, ამდენი მთა, ამდენი ციხე გადმოლაზა მის სანახავად, ლიბარტიის უზნამდის მოაღწია. ახლა მისი ოჯახის სუფრას უჯდა, მამამისის ღვინოს სთავაზობდნენ მას და დედისიმედის ნახვას მაინც ვერ ეღირსა.

„ჰოა, სოფელო, ულოსავით დაღრეკილო, ვინდა გაართვას შენს მუხანათ ხენჯებს თავი!“

ამას ფიქრობდა მკოდოვანთა და გლახაკთა მეფე.

ნაზო და ლელაი შემოვიდნენ, კატაის უჩურჩულეს: სიცხემ უმატაო ავადმყოფს.

კატაიმ ბოდიში მოიხადა და გავიდა.



უზომოდღვარი ზოსიმე მიეხალა გვარამ ერისთავს, მოახსენა თავმოურსკი-  
ლად: მახარაი დამთვრალა, უწყსოდ ირჯება, მეჯინიბებთან ლაზლანდარობს,  
აუფად ახსენებსო ლიპარიტსა და რატის, ჩვენ ვერას გაეხდით, <sup>საქმეა პატრონმა</sup>  
შეაგონოსო რაიმე.

დავითმა ბრძანა: აქ მომგვარეთო მახარაი.

შემობორილდა ჟოსა. მას ხმალი პქონდა მარჯვენა მხარზე არაბულად გა-  
დაკიდული, ბაქურიანისეული. იგი იატაკამდის უწევდა, სიარულის დროს ფე-  
ხებში ებლანდებოდა მთვრალს. ოღნავ შუბლშეკუმუნვილად მიმართა პატ-  
რონმა:

„რა დაგჩემდა ეგ, მახო, თრიალეთში ჩამოსვლის პირველსავე დღეს დათ-  
რობა, ჰა?“

„შენ ხომ იცი, მეფევე ბატონო, ღვინო ისეთ ქვეყანაში უფრო ისმის, სადაც  
ვაზი არ იზრდება ხოლმე. მე არც ნაჭარმაგვეში მიშრება ხახა, მაგრამ ლიპა-  
რიტს კახურ ყურძენს უგზავნის კვირიკე მეფე და ერისთავის შედგინენი  
ჩინებულად აყენებენ მას“.

თანადამწრენი შეიშმუშვნენ ლიპარიტის ხსენებაზე. უცნაურმა სიბრაღულ-  
მა შესძრა მანგლელის გული. თვალწინ დაუდგა კლდეკარის დილეგში ჯაკვით  
დაბმული ერისთავი ამ წუთში.

„როგორი სასტიკია ეგ საწუთრო, საყვარელი ქალის საქმრო იძულებული  
გახდა ქედზე ბორკილი დაედო მისთვის“.

სწყველიდა თავის გუნებაში სულთან ბარქიაროკსა და თურქებს, რომელ-  
თაც ამბოხი შემოიტანეს ქრისტიანულ სახელმწიფოში.

„In vino veritas,“) მეფევე ბატონო, არა?“

სთქვა მახარაიმ. მეფემ თვალი შეასწრო ამ წუთში მის ქვედა ყბაზე ორ,  
დაცალბულ ღოჯს.

„ვინძლო მოგკედე, მხოლოდ ამას ვთხოვ, ნულარ დამმარხავთ ბაგრატიონ-  
თა საძულეში ხარკისნაშობს, ნურც ბედიანში, ნურც ქუთათისში, ნაჭარმაგვეის  
ვენახში დამმარხე, მეფევე ბატონო, სადაც სულკურთხეულ მამაჩემს, ბაგრატს  
გაუშენებია თითას, ძელშავას, ბუდეშურისა და ცხენისძუძუს ვაზები“.

სადმე უზუტეს ვაზისქვეშ, რათა მისმა ფესვებმა ასაზრდოონ ჩემი დამზრალი  
სხეული ამ ღვთაებრივი წვენით“.

სთქვა და ხელი გაუწოდა ოქროს ფიალას, რომელზედაც ამოტიფრულნი  
იყვნენ უკანა ფეხებზე წამომდგარი, ყურძნით სავსე გიდელებით დატირთულ-  
ნი თხანი.

მეფეს იამა, მახარაიმ რომ შესძლო ამ სუფრაზე დავანებული სამგლოვიარო  
განწყობილების გაფანტვა. ამიტომაც გაუგრძელა მას სიტყვა ღვინის გამო.

„თუ აგრე გიყვარდა ჩვენებური ღვინო, კონსტანტინოპოლში როგორღა გას-  
ძელი იმდენხანს, მახო“.

„ხოისის ღვინოს ვსვამდი და ბერძნულ ზონდროს, ბალდადში მომეტებულად  
ვიტანჯებოდი, როცა რომანოზ დიოგენმა წარმგზავნა ხალიფას კარზე დესპა-  
ნად. დაადის ვსვამდი, თრიაქნარევე ღვინოს უშწარესს“, სთქვა მახარაიმ და  
ზეღიზედ დაფახულა წამწამები, თითქოს ამ წუთში ევაგმნა ეს ღვინო, „შერ-  
ბეთსნარდითა და პილიპით შეზავებულს, ვარდის წყალს ლლისფერს, ხანაც

1) ლათინური ანღაზა: ღვინოშია კვშარიტება.

ლენინოს ფინიკის წვეწოხას. პაპ, პაპ, პაპ, ფინიკის ღვინო უთუოდ შენც გეამებოდა, მეფევე ბატონო“.

„ფინიკის ღვინო“, განაგრძო მახარაიმ, ჯერ ჭაშნავის შერეული ფილა, შემდეგ შერგილ ლიბარტიანს მიანათა ღვინისაგან აელვებული თვალეები: „იკოდე, შერგილ, შესანიშნავია ფინიკის ღვინო. გარდა ამისა, არაბებს ღვინო აქეთ ერთგვარი, ღმერთო გამახსენე...“ ჯერ საფეთქელზე მოიფხანა ინით შეღებილი ფრჩხილებით, მერმე დამღულრულივით წამოიძახა:

„საქარ, ჰო, საქარ. ამასაც ფინიკის ბადავისაგან აყენებენ, თრიაქსა და მიპრტას ურევენ; როცა საქარით დათვრები, მუჰამედის მიერ აღთქმული შიშველი ჰურიები დაგეზმანება უთუოდ, შერგილ, ან ხელიკისფერ თვალე-ბიანი არაბი დიაცები ხალიფას პარამხანიდან, ჰე, ჰე, ჰე“.

იჯლანება ქოსა.

ახლა მანგლულმა და მამაი ბასილიმ დაინახეს მისი დაცალეზული, ყვითელი ლოჯები. ორივენი ისე მოიღუშნენ, როგორც ბუს მართვენი, სიბნელიდან სინათლეში შემოყვანილნი ანაზღად.

ცხადი იყო: მათ არ მოეწონათ პარემის დიაცების ხსენება ამ ხუფრაზე, მაგრამ მეფისადმი რიდით არ აგრძნობინეს ეს ამბავი ქოსას. მამაი ბასილის განავონი ჰქონდა მახარაის ოინბაზობის ამბები, მაგრამ ჯერაც არ ენახა იგი. თავისი დაფანჩული, შეყრილი წარბებიდან პირმოქულშული შესცქეროდა სახედამანჭულ ქოსას, რომელიც გაუგონარ ამბებს როშავდა მეფისა და მღვდელმთავართა თანადასწრებით.

„ყოველი ქრისტიანი უთუოდ გაირყვება მუსლიმთა ქვეყანაში. არა მარტო ყურანია ჩვენი ხალხის გამხრწნელი, არამედ მათი ზნენი და ჩვეყანიც“.

აგრე ფიქრობდა მამაი ბასილი.

უზომოდ მთერალი იყო მახარაი, მაინც შენიშნა: თუმც ნამალადევად იღამებოდა მეფე, თორემ ფრიად ნაღვლიანი იერი ჰქონდა, ამიტომაც შეუჩნდა მას.

„დალოე, მეფევე ბატონო, ღვინო. აჟი ღვთისა და ღვინის წინაშე თანასწორნი ვართ მეფე და მონა. გიორგი ჭყონდიდელს სამი რამე სძულს ამ ქვეყნად: ღვინო, ნიორი და ფშაქეული. მე ვაცი, შენ გიშლიდა იგი ღვინის სმას“.

მახარაი შესდგა, ჯერ მანგლელს შეჰხედა, მერმე მამაი ბასილის მიაშტერდა. თვალეები მოსკუტა, ისე შესცინა მის ლომისებრ ფაფარით დამშვენებულ თავს და განაგრძო:

„დიდი ლოთი იყო ხალიფი მანსურ. ვერც ყურანმა და ვერც ვაზირმა იაკუბ ბენ-დავუდმა მოაშლეცინეს მას ღვინის სმა. ერთმა მუტრაბმა ლექსი უთხრა მამაი:

„დეე, ვაზირ დავუდს ხახა გაშრობია,

„ესეათ ღვინო წითელი, ცხონებას ეგ სჯობია“.

მეფემ დაუთმო ქოსას, მართლაც აიღო წითელი ღვინით გავსილი ბროლის ფილა, რომელიც მწლემ მიართვა იმ წუთში. ტუჩი დააკარა და განზე გადადგა იგი.

მამლის ყვილიმაც მოაღწია. შერგილ ლიბარტიანი მიეხალა პატრონს, უჩურჩულა:

ხვალ დილით ფარცხისის ციხის სანახებისაგან თუ წამობრძანდები, ძილის დრო არისო უკვე.

მხარაი არ ეშვებოდა მეფეს. უთუოდ უნდოდა, ბერძნული ჩვეულებისამებრ, იმდენჯერ დაეცალა ფიალა, რამდენი ასოც იკითხება დავეითის სახელში. მანგლელი და მამაი ბასილი უარესად აიმრიზენ.

მეფე და ტაძრეული წამოიშალნენ, ძილი ნებისა უსურვეს ურთიერთს. მახარაი ჭამნავირს ებღლაძუნებოდა, მოღუშული გასცქეროდა ბერებს და ყვიროდა: **Bibamus...**<sup>1)</sup>

ძილფხიზლობდა საწოლის დარბაზში მეფე, რადგან იცოდა: მხოლოდ ერთი კედლის გადაღმა სიცხისა და დარდისაგან გულაგზნებული იტანჯებოდა „მტილი დახშული“ მისი. მთელი ღამე ჭიხვინებდნენ ცხენები, ჯოგის ძაღლები ყუფდნენ და როცა მყუდროება დავარდებოდა, ბულბულები სტეენდნენ დაუცხრომლად.

## V

## სიტყვანი ძორა

ფარცხისის ციხის სანახებიდან მობრუნებისთანავე ბრძანა პატრონმა: ალყა შემოეხსნათ ციხისთვის, მხოლოდ რამდენიმე ჩუხჩი მიეჩინათ შვირად.

ქარიმან სეტცილს დაეაღეს შინაითგამცემი ებოვნათ როგორმე, რათა რატის გვეგშბისათვის ანგარიში გაეწიათ და ისე ემოქმედნათ. ქარიმანმა სამგზის შეგზაუნა ბერების ჩოხაში გადაცმულნი ჩუხჩნი, მაგრამ შეიცვენეს მსტოვარნი, გააშიშვლეს, სციმეს და ციხის სამხერებიდან გადმოჰკიდეს გვემულნი.

მაშინ მეფის ნებისამებრ იღუმალი ალყა შემოარტყეს ფარცხისს და ეს ხდებოდა იმ გვარად, რომ მეციხოვნეთ არ შეენიშნათ კლდის ქვაბებში, ზრამებში, კატაბარდებში მიჩქმალულნი ჩუხჩნი.

არც თუ საზრდოს მომარაგებას და არც ციხეში შესვლას უშლიდნენ ვინმეს. უსიტყვოდ მიხვდა ქონდაქართუბუცესი პატრონის ზრახვებს: მეფეს ერჩია ციხეში მოეყარათ რატის თანამზრახველთ თავი, საერისთავოს დელილულღში მიჩქმალულნი იგინი უფრო სახიფათონი იქნებოდნენ უთუოდ.

შექურდნენ, შექურდნენ ღამაზად, ფიჭობდა ქარიმან, ბატის ქუეყებივით გამოვიქრო ბოლოს.

თავდაპირველად პერეთს აპირებდა გაქცევას რატი, ჯერ კიდევ კლდეკარში ყოფნისას მას იმედი ჰქონდა: როგორც კი დავით მეფის სპანი გადმოლახავდნენ საერისთავოს სამანებს, კვირიკე კახთა მეფე, ძაგან ზვდაზენის პატრონი და ბანუ-ჯაფარი ბირობისამებრ შემოუძღვებოდნენ თრიალეთში თურქებს. კლდეკარიდან გაქცეულმა კოყრის ციხისაკენ დააბირა წასვლა, მაგრამ ის იყო, გზა შეუერეს ჩუხჩთა. აზნაურებმაც ფარცხისში გამაგრება ურჩიეს.

უგ ციხე არ იყო დიდი, თავიდანვე არც მეციხოვნეებს ჰქონოდათ საკმაო მარაგი. ამიტომაც შეღამდებოდა თუ არა, რატის აზნაურები გამოდიოდნენ თემშარებზე, წინ გადაუდგებოდნენ მეურმეებს, მეაქლემეებს და ჩაღვადარებს, სტაცებდნენ საკლავსა და საყოლს.

<sup>1)</sup> ლათინურად: დავლით.

ქარიმანს დაეკლა პატრონმა: როგორმე გამოერყვია სად იყო წასულად კოზმან ბერი, რამდენი აზნაური ახლდა გაქცეულ ბაღუაშს თან, ან სად გადამალეს ლიპარიტის აურაცხელი საგანძურნი, ზარდახანა და სპარსელები.

ამოდ ჩხრეკეს ჩუხჩია კლდეკარის, ხელუტის და ბერძენების ციხეთა სამალაენი, არც მანგლისის სასახლეში აღმოჩნდა რაიმე. ბოლოს გომარეთის ეკლესიის სამალში იპოვნეს ათიოდე ბერძნული მუზარადი, რამდენიმე ირანული ფარი, თვინიც შუბით განგმირულნი, ორიოდე ათასიც ოქროს ბოტიანატი.

ცალკე მახარაი დატრიალდა: დღედაღამ ბერების საოსტიგნოებში ჩალიჩობდა, ჩუმჩუმად ათრობდა ხაბაზებს, მისრატულებს, მემამუხალებს, ათხრობინებდა სასახლის ამბებს, ხან საქურტლეთა და საგანძურთა ამბავს გამოპკითხავდა, მოულოდნელად კოზმან ბერს იკითხავდა.

ხანაც ზეთის სახდელ მარანში იტუზებოდა. ვითომდაც პირველად ენახა თუ როგორ ატრიალებდნენ უზარმაზარ დოლაბებს მონები, სახედრებივით დედით გაბმულნი საბრუნავ უღელში.

ვერაინ უთხრა საქურტლეთა ამბავი, არც ის იცოდა დანამდვილებით ვინმემ, თუ სად იყო კოზმანი წასული. ერთნი აგრე ამბობდნენ: ისპაჰანს გაიქცაო კლდეკარის აღების მეორე დღესვე კოზმანი, ჰერეთს წასულად სთელიდნენ სხვანი.

ბოლოს ბრძანა პატრონმა: შეიპყროთ მეციხოვნეთაგანი ვინმე, დილეგში ჩასვით და დაპკითხეთო.

მეორე დღესვე გვიანას მონასტრის სანახებში შეიპყრეს ჩუხჩია კარის მექურტლეთუცესი საბუნისძე და ზარდახანას გამვე ობოლაისძე. საბუნისძეს შვიდი უზარმაზარი კლიტე აღმოაჩნდა ქამარზე შებმული, ხოლო ობოლაისძეს თოკის კიბე ეჭირა ხელში. ქარიმან სეტყელმა თავათ დაპკითხა აზნაურებს.

სად მიდიოდით, ან ეს კლიტენი და თოკის კიბე რად დაგპირვებიათ?

საბუნისძემ სიმუნჯე მოიგონა. ჩუხჩები თავზე რა წამოადგენ, ისე დაფეთდა, ხმა ჩაუწყდა და ენა არ დაუძრავს მას შემდეგ. ხოლო ობოლაისძემ თავი მოიჭიკიანა. შლეგვივით ილრიჯებოდა ნიადაგ და ყოველ კითხვაზე ერთადერთი პასუხი ჰქონდა მზად: „არ ვიცი, შენმა მზემ“.

„რა გვარი ხარ, ძია კაცო?“

„შეეკითხა ქარიმანი.“

„არ ვიცი, შენმა მზემ“.

„ეგ მოხუცი?“

უთხრა ქონდაქართუხუცესმა და საბუნისძე აჩვენა თითით.

„არ ვიცი, შენმა მზემ“.

„ამ კლიტეთა მოქლონები სადა გაქვთ?“

„არ ვიცი, შენმა მზემ“.

„ეგ თოკის კიბე რად დაგპირვებიათ?“

„არ ვიცი, შენმა მზემ“.

„სანამდის იყურეუტებს თქვენი პატრონი ფარცხისის ციხეში?“

„არ ვიცი, შენმა მზემ“.

მაშინ ვანრისხდა ჩუხჩარხი და ბრძანა: ნიფხავი ჩაჰხადეთ აზნაურებს და ტაჯგანაგები დაუშინეთო. როგორც იქნა ბაგე გახსნა ობოლაისძემაც და ორრევმ განაცხადეს:

„თუ გნებავთ მთავარი სული ამოგვართვით ცემით, მაინც ვერას გახდებით, რადგან ფიცითა ვართ ხელშეკრულნი. ვერც საქურტლეთა და ზარდახანას სა-

დაურობას ვაგიმხელთ, ვერც იმას, თუ რად გვინდოდა ეს კლიტეში და ვეკებოთოკისა. და ველარც ჩენი პატრონის ზრახვებისთვის გაუწყებთ რაიმეს!

დილეგში ჩაავადო ქარიმანმა ტყვენი, ჩუბჩნი მოიხზო და ამტყველენენ ამ კლიტეთა მოქლონებს მიავნებს, მოოქროვილ ხმალოს მიიღებს!

ორი მზგეფსის მანძილზე არავინ აღმოჩნდა, ვინც ამ იღუმალი ამბების გამორკვევას დაიკისრებდა. ნაქარმაგვეში ერთი მეჯინიბე აეკიდა ჩოხჩთა, ვავლახად დაფებვილი, ენაბრგვნილი და კოკლი. იგი ქარიმანსაც არა სძულდა, რადგან ოსუნჯი იყო და მასხარად ჰყავდათ თრიალეთში წამოყვანილი.

სიტყვით ქორა ერქვა მას, რადგან ნამდვილი მისი ვინაობა არავინ იცოდა. სწორედ იმ წელს, როცა ალაგეთში დაამარცხა მეფე გიორგიმ თურქნი, მარბიელი ლაშქარი მტრისა ანახდად შეიქრა ატენის ხეობაში, ხიზანი აკერიდა და ხილისთავი დასწვა.

გიორგი ჭყონდიდელი და მახარაი მეჯვრისხევეში იღვწენ მცირე სპითა, სასწრაფოდ გამოუღვწენ თურქის მარბიელს, ქახერელთან წამოეწიენ და წაართვეს ხიზანი.

ერთ თურქს პოროლი აძგერა მახარაიმ ოტებულს და სწორედ ამ წუთში ხურჯინიდან გადმოუყვარდა ცხენოსანს ხუთი წლის ბიჭუნა.

მახარაიმ ცხენზე შემოისვა ყმაწვილი და ნაქარმაგვეს მიბრუნებულმა შენიშნა: თემოს ძვალი დამსხვრეოდა მას.

დოსტაქარი იხმო, თაბაშირში ჩააწვეინა, ამაოდ უაჭიმეს შემდეგაც, ბოლოს მეჯინიბებს ჩააბარა ნაქარმაგვეში. ჩარჩა მას შემდეგ ეს ყმაწვილი თავლებში და ცხენებთან ერთად იზრდებოდა ობოლი. არასოდეს ადამიანური საწოლი არ ღირსებია, მუდამ ბზეში ეძინა და ბრეში ამოთხვრილი დადიოდა ნიდავ.

უსიამოდ მწითური იყო ყმაწვილი, სწორედ ისეთი, როგორსაც ისკარიოტელს ხატავდნენ ხოლმე ძველი ოსტატები, ელაში იყო, ცეცხლისფერი თმა ჰქონდა, ობობის კარტლასავით წაწვერილებული კისერი, რა დაეცეკცადა, აღისფერი წვერი ამოუვიდა, ერთობლივი ჭორფლი მოერია სახეზე.

უზომოდ წაზრილ ფრჩხილებს ინით იღებავდა (ავი თვალის წინაშე შიშით), თრიაქის წვევას მიაჩვია იგი მახარაიმ, ხარის ბეჭზე ნახშირით წერა ასწავლა, ფსალმუნის კითხვა და შელოცვები. ათასგვარი ავეაროზი დაკიდა კისერზე. ყველას სძავდა ეს მწითური, გზაში შეხვედრილი გადააფურთხებდნენ და პირველს იწერდნენ მის დანახვას, ფუფა ეშმაკსო, მიამახებდნენ. ნაქსიო, ამტკიცებდნენ დიაკვანნი და მისრატუნნი, ზედმეტ სახელად „მახარაის ეშმაკს“ ეძახდნენ. ხუმრობდნენ მეჯინიბენი:

თუმცა მახარაიმ სიტყვაც დაანათლა და ქორიცა, მაგრამ არც ერთის არაფერი სცხიოა მავ სვედავსილს.

ერთ დღეს ლიბარატის უბნის საჯინიბოში თავის ცხენებს მიაკითხა მეფემ.

სიტყვით ქორა ფერხთით დაუყარდა პატრონს. როცა წამოაყენეს, ვერ გაწითლდა, მერმე გადაფითრდა, დამდღერულივით ათუხთუხდა სიტყვით.

ვერც მეფემ, ვერც შერგილმა და ვერც ქარიმანმა ვაიგეს თუ რა ეწადა მას. დავითს შეებრალა ქაბუკი, რისთვის დელავო? დაუყვავა ენაბრგვნილს. ბოლოს დაამარბალა თავისი აღისფერი წამწამები სიტყვით და როგორც იქნა წამოიბლუქუნა:

„...მი...მი...მი...ე...ე... გ...გ... ვაჰმიშვით ფარცხისის ციხეში და ყოველივეს გამოვირკვევთ“.

მეფემ ქარიმანს უთხრა ხმადაბლა:

„მაგ მეჯინბე თან მახლდა ჰავექალის დელეში, ჩემს თვალწინ ორჯო თურქი გამოვიგნა სატევრით. წარგზავნე ფარცხისს, მოდი, ვნახოთ ჩვენ ვაჭარს მოგვიტანს“.



როცა პატრონი წაბრძანდა, ჩუხჩნი შემოეხვივნენ ქარიმანს. ქილიკობდნენ, იჯლანებოდნენ: ამ დამრეცილმა რა უნდა ვაარიგოსო! არც ქარიმანს სჯეროდა რამე, რადგან მისი აზრით ვაჟკაცს ომშიანი გარეგნობა თუ არა აქვს, იგი ვერც იმამაცებსო ოდესმე.

ბოლოს ქონდაქართუხუცესს მიეახლა სიტყვაი, წასჩურჩულა:

მარტო დამტოვე შენთან და მოგახსენებო სათქმელს. დაითხოვა ქარიმანმა ჩუხჩნი.

მომეცი თუცა კაბიწი პური, სამი საპალნე ღვინო, ორი საპალნე ყველი, ათი ჯორი დამიტვირთეთ ზორავით, მე ვიკოდე და ჩემმა კაცობამო.

ქარიმანს გაეცინა გუნებაში:

ნახევარ ქათამს დამსგავსებია ეგ საწყალობელი, რომელ კაცობაზე ლაპარაკობსო?

ამასობაში მახარაი შემოეხეტა, სიტყვაის ვაუღიმა, თავზე ხელი წაუტყაპუნა ალერსიანად.

„დღეს რა დღეა, სიტყვაი?“

„ცხენის დღეა, ბატონიშვილო“.

„ცხენის დღე სვიანია, ჩემო სიტყვაი“.

ქარიმანს გაუკვირდა, რას ეკითხებო?

„სიტყვაი მესიზმრება ჩინებული, კვალად უკეთესი სამთვარიოს მცნობი, გაქარჩვისა და თვალისცემის წამალი იცის. შელოცვანი ალისანი და ეშმაკისანი. ცთომილებსაც ჩინებულად არკვევს და რამლის ჩბრეკაშიცა მყავს გამოწაფული“.

ქარიმანმა იცოდა, მახარაის არაფერი დაემალებოდა, ამიტომაც გაუმელავენა თუ სად უპირებდნენ წარგზავნას ქორას.

„სიტყვაი ჩემი შავირდია, სთქვა ქოსამ, იგი მეფისათვის ცხელ თონეშიაც ჩაწვება“.

ბოლოს ჩააბარეს სიტყვაის ხორაგეულით დატვირთული ვირები, შვიდი კლიტე და ერთი სატევარიც მისცა ქარიმანმა მას.

„სატევარი რა ჩირად მინდა, ჩემი სიტყვა სატევარზე უფრო ბასრია“, სთქვა ღიმილით სიტყვაი ქორამ.

„წაილე, წაილე, სატევარი სამოთხეშიც გამოადგება კაცს“.

უთხრა მახარაიმ სიტყვაის და ხელში მიაჩეჩა იგი.

ნაშუალამევს იდუმალად წარგზავნეს სიტყვაი, ორი ჩუხჩი თან გააყოლეს გზირად. მესამე დღეს შობრუნდნენ ქონდაქარნი და მოახსენეს ქონდაქართუხუცესს:

ზედ ფარცხისის ციხის მისასვლელუბამდის მიეყვეით ქორას, ჩვენს თვალწინ თავს დაესხნენ რატის მეციხოვნენი მას, სიტყვაიმ ყვირილი მორთო, მერმე სატევარი გაიძრო, ერთი მათგანი დასჭრა, ბოლოს შეიპყრეს. ვირებიანად წინ გაიძლეს და შემდგომ ამისა აღარ ვიცით თუ რა ბედი ეწვიათ სიტყვაი ქორასს.



ახალი ხვანჯარი



ქართული  
შრომობა

ლიბარტის უბანს მეფის ჩაბრძანებამ მთელი საერისთავო ფეხზე დააყენა. დღევანდელი ითაყვანა აზნაურნი ციხოვანნი, თემისთავნი და ხევისთავნი, ბერნი და მონაზონნი, დიდვაჭარნი, მემღვიმენი და მეროქიყენი.

ურბნელ ეპისკოპოსს ბიროსს და გოლგოთელს ანაქიმანდრესს თან ჩამოჰყვინენ შიდაქართლისა და კახეთ-ჭრეთის მღვდელმთავარნი და მოწესენი. ზოგნი სალხინოდ, ზოგნიც სააჯოდ, საჩივართა მისართმეველად სხვანი.

ყველა დარწმუნებული იყო: ლიბარტ ერისთავის შეპყრობის შემდეგ დავითს არაფერი დააბრკოლებდა ბალუაშთა ქალი შეერთო. იგიც კარგად იცოდნენ: ქორწილისა და ნადიმის დროს გულუხვნი იყვნენ მეფენი მულამეამს. ერთნი აღზევებას მოელოდნენ, სხვანი შევრდომებას, მიტაცებას და ძალადობას უჩივოდნენ სხვანი და სხვანი.

წინასწარ ზეიმობდნენ ნადიმთა მოყვარულნი. ლიბარტის უბანში იგავმიუწვდენელ ქორწილს იხდისო მეფე, ხმა დაჰყარეს მესაწოლე ბერებმა. ეს ამბავი თოვლის გუნდასავით დაგორდა თრიალეთის ზეგანიდან, ზევევივით მოედო შიდაქართლისა, ჯავახეთისა და ჰერეთის მონასტრებს, ციხეებს და სოფლებს. დაიძრნენ მეჩანგენი, მოშიპრენი, სონარისა და სტვირის დამკვრელნი, მათ უკან მოჰყვებოდნენ მუშითინი, მუტრიბნი, სძლის პირების მგალობელნი, მკოდოვანნი და გლახაკნი.

დიდ სამზადისს შეუდგა თავის წილ მახარაიცი. მან აიყოლია მონადირენი და მესათხველენი, ალგეთის, ჭციის და შაორის ხეობათა სანადირო ადგილები მიმოიხილა, გულმოდგინედ შეათვალიერა თუ სად მოეწყობოდა ჯერგა, სათევზაო მაჭმანები სად დაედგა, სასირე ბადენი რომელ ახოში მოეწყო, ან ასმანაკები სად გაეჭიმა ნადირთა შესაპყრობი, შეაკეთებინა თავისი ჩიტბადენი, ტრედადენი და კაკანათნი.

გვარამ ერისთავი გახარებული იყო, რადგან შენიშნა რომ კატაი უკვე დროულად სთელიდა ნიშნობას, მაგრამ ეს იყო, ორთავანს ვერც ერთს შეეხებინა პატრონისათვის ამ საქმის გამო თუნდაც ქარაგმულად რაჩე ეკითხნით. თავათ მეფე საკუთარი საქმეებით იყო გართული, ხან თავის სპასალარებთან თათბირობდა კარგამოკეტელში, ხან ამალიანად დაჰყვებოდა ქონდაქართულუცესს, ხანაც კითხულობდა, ან ბოლთასა სცემდა დიდ დარბაზში მარტოკა.

ყოველ დილას აგზავნიდა დედისიმედის მოსაკითხავად მახარაის, თუმც ერთხელაც არ გამოუთქვამს სურვილი, თუნდაც შესამე პირის თანდასწრებით მოენახლებინა თავისი ავადმყოფი საცოლე.

გვარამ ერისთავი ხან შერგილ ლიბარტიანს ჩამოუარაკებდა, ხანაც მახარაის, არას ამბობდა შერგილი, ხოლო ქოსა დაიჯლანებოდა ცალყბად:

„იქნება, თავის დროზე ყველაფერი იქნება, გვარამ ბატონო“.  
მაგრამ არა სჩანდა როდის?

არც დედისიმედის ავადმყოფობას უჩანდა სასიკეთო პირი. დასიცხული სწეული ღამით ბოდავდა. სიციხე არ კლებულობდა, თუმც ცხე მსოფლსა და ყინულს არ აკლებდნენ აქიმი.

2. „მნათობი“, № № 7 — 8.

ჯგაგაი

058C

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



სტუმართაგან მხოლოდ მახარაი დადიოდა საწოლის დაბრუნებას, ღრუცავდა და ულოცავდა დასიცხულს. მამაი ბასილი, ზორემან და აქიმი უტყვიანისძე სასთაულთან უსხდნენ დედისიმედს ნიადაგ.

ყოველ დილას ნელსურნელებანი თან მოჰქონდა მახარაის შიშვანად, განხმარო ფინიკის ნაყოფთა კრიალოსანნი, ამბრა და მიპრტა, არაბული წესით შემზადებული, ზანაც შალუკ, პინებში შეყენებული მოსხუს, ალოეთი და ამბრათი შეზავებული, ზთანაიური ნელსაცხებულნი იისა, ზამბახისა და მიპრობალანის თესლებისაგან შეკმაზულნი.

თანადამსწრეთა მოურიდებლად საყვარელ სასძლოს უწოდებდა ერისთავის ასულს, ეს პატრონმა მოგიკითხო, დასძენდა.

ბოლოს შეეცადა გვარამ ერისთავი თავით ეკითხა მეფისათვის თუ რას ფიქრობდა იგი ნიშნობის გამო, მაგრამ ორგზისვე სიტყვა გაეხიზა ხორხის არეში და სულ სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი, რადგან უცნაური დაღვრემილობა ამოიკითხა მის თვალეში იღუმალ.

კარგად იცოდა ერისთავმა: თუ მეფე ნიშნობის დღეს განაცხადებდა, ამირა ლიპარიტს ბორკილებს ახსნიდნენ, რატის შემოირიგებდნენ და საერისთავოში კვლავ მშვიდობა დამყარდებოდა.

გეგუთიდან შალემსრბოლი არ მოდიოდა, არც ნაჭარმაგვეიდან ისმოდა რაიმე. რას ფიქრობდა გიორგი ქუონდიდელი, ან გიორგი მეფე, ან დიოფალი ელენე? ერთ დღეს მანგლისს ჩავიდა გვარამ ერისთავი, კირიონს შევეთათბირებო, იფიქრა. იგი გომარეთს აღმოჩნდა წასული, ლიპარიტის უბანში რა მიბრუნდა, მანდ დაუხვდა მანგლელი ბექისციხის პატრონს.

სალამოს კატამი იხმო გვარამ ერისთავი.

„აფსუსს, მარიამ დედოფალი აქ რომ ბრძანდებოდეს, ყოველივე კეთილად წარიმართებოდა მაშინ. ამბობდა კატაი. მე ქალის დედა ვარ, გვარამ ბატონო, ან როგორ უნდა ვუთხრა სასიძოს: ჩემი ქალი დანიშნე მეთქი, შენ რაინდი ხარ ხანდაზმული და სისხლისმიერი ნათესავი ჩვენი, შენთვისაც უხერხულია აგეთი რამ შეჰკადრო პატრონს.“

ზორემანი ვადამერია, გვარამ ბატონო, კბილით მიჭირავს უსინათლო დიაცო. ავღვები, ფერხითი დაუფვარდები მეფეს, პირუთენელად მოვახსენებ: თუ საშენოდ მივაჩნია ჩვენი ქალი, ბარემ დანიშნე მეთქი, თუ არა და თავს ნუ მოგეჭრი მეთქი საქვეყნოდ.

ამეამად ავადაა ჩემი ანგელოსი, ღმერთი ინებებს გამომჯობინდება დღეს ხვალ, რა ვუყვით, რომ მეფეა საქმარო, სად ვაგონილა ერთ ჰერსკევეშ ცხოვრობდნენ უქორწილოდ მიჯნურნი. ისედაც აკლებული ვყავარ ენაქარტალებს. ხიდად იმას შეკითხვანიანო: არც ღნმლაობით დადისო სასძლოს მოსაკითხავად პატრონი? დავტუქუე ის ბედშავი ვაგლახად“.

გვარამ ერისთავმა აღარ იცოდა თუ რა ნუგეში ეცა სასოწარკვეთილ დედისთვის.

ამგვარი რამეც ხდება ხოლმე ცხოვრებაში: მეგობარი დაგვისზმრება შორს ვადახეწილი, დილას გაიხედავ და კარზე მოგადგება იგი. ინატრებ შექიზებული რაიმეს და მეორე დღესვე საწადელი აგიხდება ანაზღად.

აგრე მოხდა მაშინაც. სწორედ მეორე დღეს მოვიდა შალემსრბოლი გეგუთიდან; მარიამ დედოფალი დიდის ამალით გამოსულაო ხუფთიდან შაბათს.



იმედო მიეცათ გვიარამსა და კატაის:

მხოლოდ მაიკო თუ გახსნისო ეგზომ დაბურდულ კვანძებს,

უხანო აღმოჩნდა ეგ სიხარულიცა: გვიარამ ერისთავს ყურსმე, ქაფუვეფეფე ქახა-  
რაიმ: შიდა-ქართლელსა და პერეთელ ეპისკოპოსებს ერთობლადვეფეფე ქაფუვეფე ქახა-  
ერათ, წინ გადადგომოდნენ ნიშნობას როგორმე. ეგეც არ უკმარნიათ თურ-  
მე. დღე ნიადაგ ეჩიჩინებთან მანგლელსა და მამაი ბასილის: ბაგრატიონთა-  
განს არც ერთს ჯერ არ შეურთავსო ქვეშევრდომის ქალი.

—ეგ კიდევ არაფერი, დაძინა მახარაიმ, მთლად გაკადნიერებულან მღვდელ-  
მთავარნი: ქრისტიანი მეფე თავის ერისთავს წაევიდა, წურთვნა არ აკმარა  
ტყვექმნილს, დიღეგში ჯაჭვით დააბა იგი და ქალს მისას უპირებსო შერთვას.

ამგვარ რამეს უსჯულონი ჩადიოდნენ, სელჯუციანთა სულტანნი, დაატყვე-  
ვებდნენ შეამბოხე ამირებს, ხოლო მათ დიაცებს საკუთარ პარამხანაში წარ-  
გზავნიდნენო ზოლმე.

სხვა რამეც არ დაუფარავს მახარაის: ურბნელი პიროს თიბათვეფი ჩამოსუ-  
ლა კონსტანტინოპოლიდან. მას თავით ენახა თვალმშენიერი პიროსსა, ჰუნგ-  
რეთის მეფის ასული, აშკარად ამბობსო ეპისკოპოსი ურბნელი: არა სჯობია  
მეფური სისხლის ნაშიერი შეერთოს მეფემ, ან არა და დეა, ნორმანელი გრა-  
ფის ჰუმბერტოპულოს დაი.

თრიალეთის მთელ საერისთავოს იყიდისო ერთბაშად მზითვის წიგნი თვი-  
თულის ამ დიაცთავანისა.

პიროსი თვალდებით არწმუნებსო მანგლელს: ხელს ნუ უწყობთ მეფისა და  
დედისიმედის ნიშნობას, თორემ ბარქიაროც ისპაჰანი კვლავ აუღია, სომხეთს  
გადმოლახავს, და თრიალეთის საერისთავოში ისეთ სისხლის წვიმებს დააყუ-  
ნებს, როგორც ალფ-არსლანმა ეს ჩაიღინა, როცა ბაგრატ კუროპალატი გა-  
ჯიქდა და თავისი დისწული არ დაანებაო სულტანს.

მეორე დღესვე მამაი ბასილის ეწვია გვიარამ ერისთავი. საოსტიგნოში მარტო  
ისტანდენ იგი და კირიონ მანგლელი. დიდხანს ეთათბირა ბეჰისციხის პატრონი  
მათ. გვიარამ ერისთავმა შენიშნა: შემკრთალნი იყვნენ ორივენი ფრიად.

მამაი ბასილი დუმილს იცავდა, მხოლოდ მანგლელს არ დაუფარავს, რომ  
იგი უკვე ყოყმანობდა მხარი დაექირა ამ საქმეში მეფისთვის. ამით იმართ-  
ლებდა კირიონ თავს: მთელი თრიალეთის, ჯავახეთის, შიდა-ქართლისა და  
კახეთ-პერეთის მღვდელმთავარნი შეაყოყმანაო საესებით ახალმა გარემოებამ:  
ლიპარიტ ერისთავი დიღეგში ჰყავს მეფეს და მისი ქალის ამეამად დანიშნვა  
სჯულის კანონს არღვევსო უთუოდ.

ნამდვილი მიზეზები მაინც არ გაუმხელია გვიარამ ერისთავისთვის მანგლელს.  
თუ იგი და მამაი ბასილი წინად გულმოდგინედ თანაუგრძნობდნენ მეფისა და  
ერისთავის დამოყვრებას, ეს იმიტომ, რომ ისინი გამუსლიმების შიშისგან იყუ-  
ნენ შეძრულნი.

ამეამად, როცა სელჯუციანთა სასულტანოს საქმენი აიბურდნენ, ტაბურკან  
ხათუნმა, მამუდმა და ამირ ტურტუშმა სადაოდ გაუხადეს ბარქიაროც სულტა-  
ნის ტახტი, თრიალეთის გათურქების შიში შენელდა; მეფემ ლიპარიტის წურ-  
თვნა არ იკმარა და საერისთავოს შემომტკიცებას შეუდგა. გარდა ამისა, არც  
მანგლელსა და მამაი ბასილის მოსწონდათ თავაშვებული მახარაის ოინბაზობა.

გიეო, გიეია, მაგრამ მისი ასტროლოგიური და მისნური შეგონებანი ურწმუ-  
ნოების უფსკრულში გადაჩეხავსო ბოლოსდაბოლოს მეფეს. ეპისკოპოსთა შო-

რის მხოლოდ მანგლელი, წილენელი და ბედიელი უჭერდნენ და ერთს გამეფებას მხარს, სხვა დანარჩენნი მეტნაკლებს გულგრილობით შეხედნენ ამ საქმეს, რადგან აგრე ეგონათ: ეგზომ ყრმა ტახტისმტე მანც ვერ უჭერდებო საქვეყნო საქმეთა განმრიგედ.

აღრიან სიჭაბუქეშიც ნადირობდა დავითი, ამიტომაც ვარაუდობდნენ მღვდელმთავარნი: იგიც მამის კვალზე იელისო აღბათ.

ახლა მთავარეპისკოპოსი ქუთათელი უკვე ჩივოდა: საეკლესიო საქმეებშიაც ერევო გულმოდგინედ მეფე. ამიტომაც არა ერთგვის აფრთხილებდა იგი კირიონ მანგლელს: ნუ გავიწყდება, რომ ჩვენი ერთადერთი მეუფე ქრისტეაო მამა ზეციერი ჩვენი, ხოლო ურბნელი პიროსი აღარ ფარავდა: თრიალეთისა და კახეთ-ქერეთს რა შემოიმტკიცებს დავითი, მერმე ჩვენზე მოდგებო ჯერი.

ერთ რამესაც კარგად ამჩნევდნენ მღვდელმთავარნი: როცა მახარაი ურბნელის ლოთობას ყბად იღებდა, ხარჭაშნელის ნაბიჭვრებს, ან გოლგოთელის სიძვის დიაცებს ჩამოთვლიდა, ან იმას წამოსახავდა თუ როგორ დასდევდა მთვრალი ქუთათელი კუროპალატისა მელიტას ხვანჯარ აკრეფილო, მეფე ტაძრეულის თანდასწრებითაც არ იკავებდა დიმილს.

აგრე სჩვევია სიძულვილს, იგი ხშირად არა საპატიო მიზეზებს დაიხვევს ხოლმე ხელზე. „არა საპატიოს“, ვამბობ, რადგან გიორგი მთაწმინდელის შემდეგ არავის გაუმხელია რომ ლოთობა, მუცელდმერთობა, სიძვის დიაცების ყოლა და ხარჭისნაშობთა აღმოცენება თუ აუტად ჩათვლებოდათ ეკლესიის მწყემსთა. ამიტომაც ყველა სძაგდათ ეპისკოპოსებს, ვისაც მეფე დაიხლოვებდა ხოლმე.

მახარაი ხომ სძაგდათ „ეშმაკთან წილნაყარო“, ვერც ნინია ბაკურიანს იტანდნენ „ხარჭისნაშობს“, ახლა ნინია „უსჯულთთა წარიტაცეს თავათ უსჯულთა“, ჯონდი ერისთავს დასავესკბილი, რადგან იგიც გაიფეს თუ რა ზედმოწვენით გამოაჯავრებდა ხოლმე იგი თართის ქაბაში ურბნელს, გოლგოთელს, ქუთათელს, ბოდბელს, ხარჭაშნელსა და ნიჭოშელს.

ბოლო ხანს გიორგი მეფის ქებას უმატეს მღვდელმთავართა. ბრძენთა ბრძენიო ლეთისმოსავი მეფეთა მეფე. გულმოწყალე გამკითხველი გლახაკთა, ეკლესიათა, მოწესეთა და მონაზონთა დიდი მფარველი.

(თუმც კარგად იცოდნენ: თავისი მწეგრებისა და მგლის ლეკვების გამო უფრო მეტს ფიქრობდა იგი, ვიდრე ხუცებისათვის). ეგზომ მორჭმული და ბრძენი მეფე ჯერ არ მჯდარაო აფხაზთა მეფეების ტახტზე. სულ სხვა სადანიელი ჰქონდა ამ უსაშველა ხოტბას.

გიორგი მეფე ხელმარჯვედ მოსახმარი იყო მათთვის. თავისი ნადირობით გართული, ეკლესიის საქმეებში აროდეს ერეოდა იგი, მხოლოდ ქუთათელს წაეკენწლაგებოდა ხოლმე, როცა სანადირო ნაკრძალებს „ხატის ტყეებად“ გამოაცხადებდა იგი. სავესებით გულგრილად შესცქეროდა მეფეთ-მეფე იმასაც, თუ როგორ სექდებოდნენ „ოქროისა და ვერცხლის მხვექელნი“ მამანი, როგორ ლოთობდნენ მმანი თავადთაგანნი,\*) ან როგორ ეწეოდნენ ეპისკოპოსნი „თულაღებით ხელდასმას და უღირსთა მღვდელთა კურთხევას“, საეპისკოპოსო ტახტის მიტაცებას დიდაზნაურთა მიერ და მის გაყიდვას ისეთ პირებასადმი, რომელნიც „ყოვლითურთ სოფლისა შემსკვალულნი იყვნენ და უწესო მიმოსვლათა შინა აღზრდილნი“.

\*) თავადთა ოჯახებიდან გამოსულნი ბერნი.

ეს ამბები გიორგი პირველისა და ბაგრატ კუროპალატის დროსაც ხდებოდა, ამიტომაც აშოშმანებდა გიორგი მეფე დავითს:

„რა ვუყოთ, შვილო, აგეთია საშუთრო ჩვენი, აქლემის კუჩხსა მართლს ქუდი და ღრიანკალის ბჯალი ძე ხორციელს არ გაუსწორებია ჯერაც, შამათა ჩვენთა წესი გარდუვალი არს, გამიგონია აგრე უთქვამსო ბრძენს“.

ახლა უკვე ხედავდნენ ეპისკოპოსნი: თუ დავით მეფე ბალუაშთა ქალს შეირთავდა, რატის შეიპყრობდა და ძელზე გასეამდა, თრიალეთის საერისთავოს რა შემოიმტკიცებდა, კახეთ-ჰერეთისაკენ გაიწვდიდა უთუოდ ხელს.

ეკლესიის მამებს ერჩიათ კახეთ-ჰერეთის ტახტზე მჯდარიყო ღვთის მოსავი და ხუცთა მოყვარული მეფე კვირიკე, დავითს აფხაზთა სამეფო ექმარა, ხოლო მათ განუკითხავად ემართნათ თავთავიანთი სამწყსო.

სვარიოვად ფიქრობდნენ მდაბიორნი სამღვდელთაგანნი. იგინი საბოლოოდ დარწმუნდნენ: უწესოთა და უღირსოდ გამოჩინებულთ ისე მაგრად ეჭირათ ეკლესიის საღავენი ხელში, ვერც განსწავლის, ვერც გამუდმებული ღოცვის, ვერც სხვა სიქველეთა შეოხებით დაწინაურდებოდა მათთაგანი ვინმე.

ამიტომაც იმედის თვალნი დავით მეფისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი, რადგან ხედავდნენ, მეფე თვით „უგვაროთა აღზევებასაც“ არ ერიდებოდა, თვით ხარკისნაშობი — ნიანია ბაკურიანი დიდის წყალობით ჰყავდა შემოსილი. კოზმან ბერმა წამოაყრანტალა დავით მეფის ნათქვამი ერთხელ: „ორ რამეს ვერავინ მიიტაცებს ამ ქვეყნად: ხის ჩრდილსა და ნიქსა კაცისას“.

და ეს სიტყვები პირზე ეკერა მათ.

კატამ კარვად იცოდა თუ რა გარდაუვალი დაბრკოლების შექმნა შეეძლოთ ნიშნობის საქმეში მღვდელმთავრებს. თუ აქამდის მარტო ქუთათელი იფარებდა ნომოკანონს, ახლა წილენელის, მტბეეარის და ბედიელის გარდა თითქმის ყველას ერთობლივად შეეკრათ პირი, იგიც განაგონი ჰქონდა ლიბარიტის შეუღლეს, არაერთგზის დაუშლია მათ ბაგრატოვანთა ქორწილნი ძველად. მაგრამ ერთი იმედი კიდევ იყო: იგივე ეპისკოპოსები ხელში შეკუჭრებდნენ ეკლესიათა მფარველს მარიამ დედოფალს და საეკეო იყო მათ ბუზღუნს ხელი შეეშალა ნიშნობისათვის ამქამად.

გვარამ ერისთავი აგრე ვარაუდობდა: დედოფალი მარიამ ღვთისმოსავი ქალია, საეკეო მღვდელმთავართა ეგზომ ერთობლივ ნებას წინ გადაუდგესო იგი, მას უფრო მეტი იმედი ჰქონდა მეფის წადილისა: უმთავრესია, როგორ ინებებსო პატრონი თავათ.

მაგარი ეს იყო: მეფე სდუმდა, ლიბარიტის სახელის გაგონებაც არ უნდოდა, ხოლო სანამ ლიბარიტს ჯაჰეს არ მოხსნიდნენ ქედიდან, საეკეო იყო, ნიშნობა, ან ქორწილი დაენიშნა მანამდის მეფეს.

არც ის იყო სანუგეშო ამბავი, მეფე გულმოდგინედ რომ ამავრებდა თრიალეთის ციხეებს, ახლა მსტოვარი შეგზავნა ფარცხისის ციხეში ხორაგეულით დატვირთული. ცხადი იყო: ეს ამბავი არა ჰგავდა რატის შემორიგებას უკვე.

ქარიმან სეტყელი დაუცხრომელად დასუნსულებდა ჩუხჩებთანად მთელს საერისთავოში, იჭერდა რატის თანამდგომებს, დაჰკითხავდა და მერმე აგზავნიდა დილეგში ურჩითა.

## VII

## გულგულშის კაკანათი



დედისიმედის ავადობის მიზეზს ვერას მიუხედავად აქიმი. მახარაიმ გულდასმით გამოჰკითხა ზორეშანს შარშანდელი ამბები. „ეშმაკეული ჩვენებანი“ წ. გიორგის ზატის წინ, იესოს ჯვარცმის შეტოვება ნაშუალამევს. ეს ყოველივე ურთიერთს დაუკავშირა. ალბათ სატანა შემოეჩვიათ ბალუაშთა ოჯახს. აგრე დაასკვნა ქოსამ.

„გათვალავენ, აბა რა მოუვა მაგისთანა ანგელოსს!“ ფიქრობდა მახარაი. იგი დარწმუნებული იყო: ეს ქვეყანა ისეა გაჭედილი, ყოველი მშვენიერი და ქველი საბაბის მიუცემლად ჰბადებსო მტრობას.

კურდღლის კუდივით მოკლეაო სიკეთე, ზოლო ბოროტი — ფარშავანგის ბოლოსავით გრძელი, იტყოდა ხოლმე მახარაი.

ერთ დღეს თავით წავიდა ტყეში, დიდხანს დაბობლავდა აკანთში. რომელიღაც ყვავილებს, სოკოებს და ფესვებს ჰკრეფდა. ბოლოს ავანდასტა მოატანიდა, დანაყა, მოხარშა, თაფლითა და ძირტკბილათი დაატკბო, პინებში დაამზადა. წერილი აბრეშუმის ძაფებისაგან მოაქსოვინა დიაცებს ბადეები, მერმე ბადეები შეაღებინა ინითა.

ნასამზრალზე წაიღო ეს ყოველივე დედისიმედის საწოლის დარბაზში. ბადეები თავით გააბა საჩემლეებზე, წამლები ასეა ნუნულს. სთქვა ლოცვანი ალოსანი, თვალისანი და ქაჯიანისანი.

ბინდებოდა... დასაველეთისკენ გადაზრილი მზე ოქროს ფარშავანგით გაზლართულიყო ნაძენარების წვეროკინებში. ჩრდილნასვამი სიღამე ნელნელა შემოდოდა საწოლის დარბაზში. ზორეშანი სასთაულთან უჯდა ავადმყოფს. მახარაიკ სდუმდა ერთ ზანს, ბოლოს თავი აიღო, სპილოსძვლის ჯვარცმას მიაშტერდა და სთქვა:

„აგეთი ჯვარცმა დიდი ნუგეშია, ჩემო შროშანო, ამ დროს. ყოველი წამი ორსულია იღუმალებით: აგრეთმა ჯვარცმამ გადაარჩინა მაგნავრის სასახლეც, როცა სატანა მოვიდა ხრიზოტიკლინის ოქროს სასახლეში და გამოჩნდა ვარსკვლავი დოკიდა, სახრიზობელას სახისა იყო, დასაველეთისკენ მიდიოდა იგი.“

მე მანდ ვიყავი აღდგომა ღამეს, როცა სული ბოროტი გვეწვია გეგულთში, ბავრატ კუროპალატისეული ცხენი აქიხვინდა, კედელზე დახატული, ზატები ლელვის ფოთლებივით დასცვიფდნენ იატაკზე, მხოლოდ ერთად ერთი ჯვარცმა შერჩა კედელზე...

ბინდს დაჰყვებიან სულნი ეშმაკეულნი“.

დასძინა მახარაიმ. ზორეშანს გააქრეოლა ამის გამგონეს. იგიც ლიპარიტის უბანში იყო იმ ღამეს, როცა ჯვარცმიდან ჩამოეხსნა ქრისტე და ხელები ჩამოეშვა ძირს. ქსოვა მიატოვა უსინათლომ და ყური მიუგდო ქოსას.

მახარაი უამბობდა მათ თუ როგორ საესეა ეს სამყარო ეშმაკეულით. სულნი უცდიან იმ დროს, როცა მზე გაეშურება ქვესკნელის სამომში დასაძინებლად და მოედებიან ველებსა და ქალაკებს.

ქარს მოჰყვებიანო დაღმა და მდინარეებს აღმა აჰყვებიანო ცურვით. სახეს იცვლიან მცირე მიონები ყოველჯამს, ხან სიტურფვის საფარველით პირშენილებული მონადირეთ გიდუღებებიან გზაზე, ხან ცხენს შემოსასხდებიან ფაფარზე, თუ ძუა და ფაფარი ინით არ შეუღებია მხედარს.

ხან მესათხველეთა ბადეებში იხლართებიან ისინი, ხან ცხენთარემის დასახლებიან ქეროზე, ხანაც კალიების სახით მოედებიანო ყანებს, მოსრადენ თაველებს და კაცთ ასე ჰგონიათ, მკალმა გადასქამო ქვეყანა.

ხან თეთრი გველების პერანგს გადაიცივამენ, ხან შავისას თეთრად დაწინწკლულს. სწორედ იმ წელს, როცა მე ბაღდადს ვიყავი, ერთი უზარმაზარი შავი გველი ჩავიდა მექქას, <sup>1</sup> შავი ლოდის სათაყვანებლად; ნაგროზობა იყო, უამრავი ხალხი წაესია ეშმაკს, უკუიჭვა, ფრთები გამოისხა და გაფრენას აპირებდა, მაგრამ იმ დღეს ვიღაც ბერძენი ბერი ყოფილა სასერიოდ ჩასული მანდ, ჯგარი ამოულია და შეუკრავს ბილწი, როგორც იყო ჩაპქოლეს იგი, მაგრამ მეორე დღესვე შავი ქირი ატყდა მექქაში, თეთრმა გველებმა და მორიელებმა დაკბინეს ქალაქის მკვიდრნი.

მწევანე ვასაკებს ჩაუძვრებიან ეშმაკეულნი გვამში, ხეებზე გავლენ და ყოყინებენ ვასაკებსავეთ. ხან მუმლად იქცევიან, ხან შავ პებლებად, ხანაც იხეისოდენა მლამიობებად და აწყდებიან ისინი კაცთა სამყოფლის სარკმელებს.

დედისიმედი ხორცშანს მიუბრუნდა და უთხრა:

„იმიტომაც მეშინია მე შავი პებლებისა და მლამიობებისა, დედუ“.

„აგრეთი ბადეები უნდა გქონდეთ სარკმელებზე გაკრული, ჩემო შროშანო, მუღამ“.

სთქვა მახარაიმ და ინით შეღებულ აბრეშუმის ბადეებს მიხედა.

„არაბეთში, განაგრძო მან, ერთ შეიხს თავათ უნახავს თუ როგორ მოედენენ უღამნოს ეშმაკები ობობების ქარავანების სახით, თავათ დედა ეშმაკი ზღარბზე იჯდა თურმე და სარდლობდა მათ“.

„შენ მკერდზედაც ხომ ატარებ, ჩემო შროშანო, ჯვარს?“

დედისიმედმა მოიხსნა მკერდიდან ოქროს ძეწვეზე შებმული პაწია ხატი და გაუწოდა მახარაის. მახარაიმ თვალბთან ახლოს მიიტანა შთავარანგელოსის ხატი, ოქროზე ნატვიფრი პატარა ჯვარიც იყო ზედ დაკიდული. პირჯვარი გადაისახა, ემთხვია და უკან დაუბრუნა პატრონს.

„ეგ ხატი და ეგ ჯვარი ჩემი დიდი პაპის ლიპარიტის მეუღლისეულია, მზისთვალსეული. იგი თანა ჰქონია იერუსალიმში ლიპარიტ დიდს. მზისთვალს სიკვდილის შემდეგ მანას. უტარებია, მამაჩემის დედას, მის შემდეგ დედაჩემმაც, ბოლოს მე გადმომილოცა“.

მახარაიმ უბაში ზელი ჩაიყო, ავეგაროზები ამოიღო, წვრილი რუბინებით შემკული, ოქროს პაწია ყუთებში ჩაკეტილნი და დასძინა:

„ეგ ავეგაროზები მე მოგართვი, ჩემო შროშანო. ბასილი კეისრისეულია ივინი. ასაკ კომნენის სახლეულს უტარებია ოდესღაც, ბოლოხანს ეედოკიას პრეგებია, რომანოზ დიოგენის ცოლყოფილს, ხოლო მან მე მისახსოვრა ესენი. აგი თვალისაგან იფარავენ ადამიანს, ბოროტი მზერისაგან და შემორჩეთა შემოხედვისგან“.

უკვე ბნელდებოდა დარბაზში, მემანშალენი შემოვიდნენ, ოქროს სასანთლეს დაუბირეს ანთება. ნუო, ანიშნა მათ ქოსამ, თავათ აღვა, შეიდი კელაბტარი ანთო უახლოეს ნიშში.

დედისიმედი უქვერეტდა ავეგაროზებს.

<sup>1</sup>) მექქა — ქალაქი არაბეთში, ისლამის რელიგიური ცენტრი. აქ იმყოფება უზნოვარ დროიდან უზარმაზარი, ოთხკუთხედი შავი ქვა, მეტეორიტი, რომელიც მაჰმადზე ადრეც ბედლინთა სათაყვანო საგანს წარმოადგენდა — ქაბა.

მახარაიმ პატარა წიგნი ამოიღო ჯიბიდან, წაბლისფერ ტყავში დაკანული. ნიშის მახლობლად დაჯდა, დიდხანს ფურცლავდა წიგნს, ბოლოს დაიწყო ბუტბუტი:

„თქვი მე ვეძიებ შველას განთიადთა უფალის წინაშე, პოსთა სიაჯისა და ღამის დასათრგუნველად, როცა ბნელი მოიცავს ქვეყანას და აიშლებიან სულნი ღამისანი და ქვესკნელისანი. კვანძებში ჩამთქმელის დასათრგუნველად, როცა მის სახეზე ორი თვალი ლაპლაპებს, ერთი ცეცხლისა და ერთი ც წყლისა და ვითხოვ რომ გასქდეს წყლისა და გადაეხას ცეცხლისას და დაშრიტოს იგი.“

თქვი მე ვეძიებ შველას კაცთა უფალის წინაშე, ქვეყანათა მეფის წინაშე, მეშურნეთა დასათრგუნველად, როცა იგინი მეშურნეობენ დღისით და ღამით, იღუმალის ჩამთქმელის დასათრგუნველად, როცა იგი აღისქარით აღსაგებ პირს მიუტანს ყურებთან სწელს, უჩურჩულებს და უჩურჩულებს, ვიდრე ძილს არ მიპვერის გათვალულს და შეუძვრება სულში“.

მახარაიმ კითხვა შესწყვიტა, რადგან მამაი ბასილი შემოვიდა დარბაზში, მწუხრი მშვიდობისა უსურვა დამხედურთ და დედისიმედს სასთაულთან მიუჯდა. ბოროტი მზერა ესროლა მახარაის, როცა მან დაკეცილი წიგნი ჯიბეში ჩაიღვა. მერმე ადგა და საღამოს ფსალმუნნი წაუკითხა ავადმყოფს.

მახარაიმ ზედაც არ შეხედა მამაი ბასილის. ჯერ ეს უთხრა დედისიმედს: ცუდად მძინავსო ლიპარიტის უბანში. არ მიყვარსო ეგ კუპრი ღამეები თრიალეთისა. მერმე ღამეების გამო საუბარსაც მოეშვა და სიტყვა: მანგლისს მიბრძანდებო პატრონი ზეგ.

მამაი ბასილი მოღუშული იჯდა. ორივე ხელი უძრავად დაეწყო თავის ფაფუკიძზე და უხიაგად უბღვერდა დაფანჩულ წარბების ჩრდილიდან სტუმარს. მახარაიმ ირინი მზერა შეავლო არქიმანდრიტს და გაიფიქრა: ყარყატის ბუდეს მიუგავსო თვალწარბი ამ ხუცესს.

მერმე ადგა, ისევ გამოიღო უბიდან წიგნი, კელაპტარებთან მიიტანა, დიდხანს ფურცლავდა და იმ ადგილს რა მიაგნო, საიდგანაც წელან კითხოლობდა, მკერდზე დაადო, დედისიმედს და სთხოვა ენა წაესვა ზედ.

დედისიმედმა ორივე ხელით აიღო გადაფურცლული წიგნი, არ იამა არაბული ასოებით დაწინწკლული ყვითელი ეტრატე, შინც ხათრი ვერ გაუტება მის პატრონს და ენა დააკარა ზედ.

ბოროტი მზერა ვაყოლა მამაი ბასილიმ მახარაის ზურგს, მერმე მჯავზე ხელი წაავლო ავადმყოფს და ჰკითხა: როგორც სჩანს, სიცხე დამცხრალო, შვილო.

„სიცხემ დამიკლო, მამაო საზიერო, მიუგო ქალმა, მაგრამ გული მაქვს ემიოდან ეამზე ცუდად“.

„ანქარებულად გიცემს, არა?“

„არა, მეუფეო, მარცხენა მხარზე რა გადავბრუნდები, აგრე მგონია ზედ დამეკიდება მეთქი გული“.

მამაი ბასილი ზორეშანს მიუბრუნდა: მტლებს თუ ადებენო ცივს? მტლებს არ ვაკლებთო, მიუგო უსინათლომ.

„რა წიგნს გიკითხავდა ქოსა?“

ეკითხება დედისიმედს მამაი-ბასილი.

არ ვიციო, მიუგო ერისთავის ასულმა და კელაპტარებს მიაშტერა მზერა. ხელი ხელს შემოჰკრა მამაი ბასილიმ, მემამზალეებს უბრძანა: აანთეთო სასანთლენი ახლავე.





მეორე დღეს ხილნარში გადააწყდა გვარამ ერისთავი მახარაძეს: "საქმის შესახებებს ფეხბდა ასკილის ბურჭებში იგი. ათიოდე ხელში ეჭირა, საქმიანად დაფუხფულ-სებდა ქოსა.

"რა დაგვარგვია ამ ჩირგვებში, მახო?"

ეკითხება გვარამში.

"კაკანათს ვუგებ, გვარამ ბატონო, ბულბულებს".

"ბულბულები რაღად გინდა, მახო?"

"წალვლის ციხეში დაეპირდი ჩვენს პატრონს, თუ დედისიმედს შეირთავ, ისეთ კერძს გაგიკეთებ ბულბულების ენიდან, თვით ზალიფ ვალიდის სუფრაზე არავის ეგემნოს მეთქი".

სთქვა და თავისი ყვითელი ლოჯები გამოაჩინა მახარამი.

იმედი მიეცა გვარამ ერისთავს: ალბათ მართლდება ჭორი, მეფეს გადაწყვეტილი ჰქონიაო უახლოესს დღეებში ქორწილის გადახდა.

ეს მოხდა შაბათს, მიმწუხრისას. დიდხანს იჯდა გვარამ ერისთავი ფიქრში გართული ხილნარში. ზარების რეკვამ და ბერების ერთობლივმა გალობამ გამოაფხიზლა იგი.

"უნახოთ, რას მოგვიტანს ხელისდელი დღე," გაიფიქრა ბეჭისციხის პატრონმა და ნელის ნაბიჯით გაემართა სასახლისაკენ.

ვედრე ბეჭისციხის პატრონი სასახლეში მიბრუნდებოდა, ლიპარიტის მესაწოლე ბერი ზარგარელი შემოფეხება მას. მოახსენა ერისთავს: კატაი გთხოვსო მობრძანებას, ბატონო.

მეორე დარბაზში სპილენძის სასანთლენი ბუტყავდნენ. კირიონ მანგლელი, ურბნელი პიროსი და მამი ბასილი გარს უსხდნენ კატაის. ნელი ხმით საუბრობდნენ დამხედურნი.

როცა ზარგარელი გავიდა, კატაიმ კარებს მიხედა და სთქვა: "სისხლისმიერი ხათესავი ბრძანდები, გვარამ ბატონო, ჩვენი, ქველი რაინდი, მოყვარული ჩვენი ოჯახის. დღესასწაულის კვირაძალია ეს ღამე.

აიყოლიე მღვდელმთავარნი და ეიჯეთ მეფეს, ოჯახს ნუ დამიქცევს მრავალ ქირანახულს. ღმერთია მოწმე, განაგრძო კატაიმ და ახზედა მაცხოვრის ხატს კედელზე დაკიდულს, უბრალოა ლიპარიტ ამ საქმეში, გვარამ ბატონო, არც ბარქიაროკის წიგნი მოსვლია მას ოდესმე, არც თუ თურქების მოყვანა სდებია გულში, არც თუ შეფისა და მამულის დალატი.

ეს ყოველივე იმ სატანამ გამოიფონა, გულარძნილმა მახარამი მოჩმაბა ყოველივე, გვარამ ბატონო.

შენს მხესა ვფიცავარ, გვარამ, ჩემს საყვარელ ქალ-ვაჟს გეფიცები, უბრალოდ იტანჯება ლიპარიტი კლდეკარის დილეგში.

ერთად ერთი ბრალი, რომელსაც მეცა ვდებ ლიპარიტს, ეს ეგაა, რომ იგი განუღვა ქრისტის სჯულს, სთქვა კატაიმ და ისევ მიხედა მაცხოვრის ხატს, მაგრამ რა ვუყოთ, შენ თავით უწყი, არა არს ამ სოფლად ცოდვა, სინანული-

თა და ლოცვით რომ ვერ გამოისყიდოს ძებორციელმა, მამაი კირიონ დაგიმოწყმებს, ნანობს ლიპარიტ...“ სთქვა კატაიმ და მანგლელს შეაგლეჯა მხეჩრა, კომერმე შენც უწყი, გვარამ ბატონო, ლიპარიტს თირკმელების ტყვევლეუქმესს გვი ვერ გაუძლეშს დილეგში ყოფნას... მხოლოდ ამას გთხოვ, გვარამ ბატონო, ჩემს მაგვირად, ჩემი ოჯახის მაგივრად ეაჯე პატრონს, აკმაროს ლიპარიტს ესოდენი ტანჯვა უმართებულო“.

ამ სიტყვებზე ცრემლებმა იწვიმეს კატაის ლაწვებზე, მან ორივე მკლავი სახეზე აიფარა, ტაბაკზე დაემხო და აქვითინდა.

ერისთავი და მღვდელმთავარი წამოდგნენ და შეუდგნენ ნუგეშინის ცემას. გვარამი დაპირდა ამაღამვე ვეწვევით პატრონს, უშენოდაც ვაპირებდიო ამ შუამდგომლობის აღძვრას.

იმ ღამეს დიდხანს იცადეს დიდ დარბაზში ოთხივემ. მეფე, შერგილ ლიპარტიანი და ქარიშან სეტყელი მცირე საის ამირა იყვნენ სამხრეთ საზღვრების მოსახილველად წასულნი.

ურბნელი და მამაი ბასილიც დაეინებით ამტკიცებდნენ: ეს მახარაიმ გავდაკიდაო მეფე და ერისთავი ურთიერთს.

„მრავალი რამ მქონდა განაგონი მის გამო, სთქვა მამაი ბასილიმ. როცა პირადად ვნახე, მართლაც დავრწმუნდი: ეშმაკთან წილნაყარია იგი. მოგვხსენებთ, მამანო სახიერო, ბნელიანია ის სვედავსილი მახარაი და ვინ არ იცის, სატანისაგან შეპურობილებს ემართებათ ყოველთვის ბნედა. როცა ბნელიანი წაიქცევა და ხელფებს ასხმარტალებს, ამონერწყვას უბირებს სატანას, მაგრამ ამოად, დუფი ამოდის მხოლოდ. ჩვენი ვალია ქრისტიანული, მეფეს ჩამოვაცილოთ ეგ ქოსა სატანა“.

ბუნებით მშვიდი იყო მამაი ბასილი. ეს პირველად ნახა მანგლელმა ესოდენ გაცეცხლებული, მღვდლვარედ შეტყველი მოხუცი.

ახლა ურბნელმა წამოიწყო მახარაის ძაგება. ეჭვიოტანელი ცნობები მაქვს, თურქების მსტოვარიაო მახარაი. სელჯუკიანებს ძველთაგან აგრე სჩვევიათ, მსტოვარს წარგზენიან ქრისტიანული ქვეყნის სამეფო კარზე. ბიზანტიის უფლისწულებს ყიდულობდნენ იგინი ოქროთი, ნიკიფორე ბოტანიტესსაც შეპკადრეს ერთხელ ქრთამი, ჩახა სიყრმიდანე მითჩინეს კეისარ ალექსის, გააზრდევინეს. ბოლოს ამბოხი მოუწყოვო ჩახამ თავის გამზრდელს. ყოველი გიყი ისე თავკერძია, ვლახაც რომ იყვეს, მეფობაზე უჭირავსო თვალი.

„ნუ დაგავიწყდებათ, დამძინა მამაი ბასილიმ, მახარაი ბაგრატოვანია, ალბათ მას ეს სწაღია, — საკუთარი აზნაურებს შეაკლას მეფე... და თავად ხელში ჩაიგდოს ბაგრატოვანთა ტახტი და გვირგვინი“.

„მე არა მეჯერა, სთქვა კირიონ მანგლელმა, ტახტს წაეპოტინოს ეგ საკუთრისი. მაგრამ ერთი რამ ცხადია ჩემთვის: იგი ან სუფიაა, ან ჰაშიმდუნთა შეიხ ალ ჯებალი.“

ქრისტიანთა შორისაც მოიკიდეს ამ სექტებმა ფეხი, მახარაი ნათრეგია მუსლიმთა ქვეყნებში, არაბთა ჰადისშია განსწავლული, ყურანს კითხულობსო თურმე... ვინ იცის...“

სთქვა ყოყმანით და სათქმელი არ დაამთავრა მანგლელმა.

„თურმეო? ბრძანებს მამაი კირიონ, მე თავათ ვნახე ჩემი თვალით, მეუფენო, სთქვა მამაი ბასილიმ, ყურანს უკითხავდა იგი გუშინ საღამოს დედისი იმედს“.



ყურანს უკითხავდაო! შეერთენ ეპისკოპოსნი, ხოლო მამაი ბასილემ განაგრძო:

„დღედსიმედთან შევიარე წუხელ. ზედ მივესწარი, ყურანს უკითხავდა ჩემს დანახვაზე აიმრიზა, წიგნი დაჰკეცა, და უბაში ჩაიღო, მერმე კვლავ ამოიღო, ენა მოუსვიო, სთხოვა ავადმყოფს.“

„ენა მოუსვიო მერმე რა ჰქნა ერისთავის ასულმა?!“

წამოიძახა მანგლელმა.

„გალოცა, ისე როგორც სჩვევიათ ხოლმე სარკინოზებს, მაგ უსჯულოთა“. მიუფო მამაი ბასილიმ.

უარესად აღშფოთდნენ ბერნი.

ნაშუალამევს მობრძანდა პატრონი. მღვდელმთავრებს მიესალმა თავიზიანად. მანგლელს გაეხარდა: კარგ გუნებაზე ბრძანდებო. მეფე. ახლოს მიუჯდა და მანვე დასძრა პირველი სიტყვა.

მანგლელს შემდეგ ურბნელი შეუდგა ენამზეობას. სამას სამოცდახუთ წ. გიორგის იფიცავდა, მეც ვიცი, რომ უბრალოდ იტანჯებო ლიბარიტ ერისთავი.

არც თურქთა ლაშქრის მოყვანა ნდომია მას, არც თუ წიგნი მოსვლიათ ბარქაიროკისგან ოდესმე. ბრალი მისი ერთად ერთი ეს სჯულისგან განდგომია მისი, მაგრამ მამაი კირიონიც დავიმოწმებს, ტურბანი დაახალა თურმე კლდეკარის დიდგეში მიწაზე და კვლავ ქრისტიანულ ეკლესიას მიუბრუნდებო უძღვები შვილი.

როცა ურბნელმა საუბარი მოათავა, გვირამ ერისთავი აპირებდა სიტყვის აღებას, მაგრამ დუმოიზნედაც შეატყო მეფეს, მას უგუნებობა ერეოდა უფრო და უფრო. მეფემ მღვდელმთავრებს მოავლო თვალი და საკმაოდ მშრალად სთქვა:

„ამოდ გარჯილხართ, მეუფენო, მე კარგად ვიცი, ვინ რას ფიქრობს, ვინ რას აკეთებს ჩემს სამეფოში. (ეს უკანასკნელი ორი სიტყვა მტკიცედ წარმოთქვა). სანამდის რატის არ გამოვიყვან ფარცხისის ციხიდან, ლიბარიტს ბორკილს ვერ ავხსნი, ეგ იცოდეთ ყველამ, მამანო“.

როცა მოციქულნი წავიდნენ, მეფემ მესაწოლე ბერს ქალები დააქრობინა. სალამოს ლოცვა რა მოათავა, მარტო დამტოვეო, უბრძანა ბერს. ურბნელი პიროსი სასახლის ეზოში წამოეწია მანგლელს და ეს უთხრა:

„მე ენანობ, მეუფეო, იმ ჭოსა ეშმაკის გამო რომ ვერაფერი შეგკადრეთ მეფეს“.

„მაზარაის გამო მე საქვეყნოდ მოვახსენებ პატრონს“.

სთქვა მანგლელმა და ურბნელის დეკაცურ მკლავს წაეპოტინა, რადგან ბნელოდა სასახლის ეზოში და მონასტრიდან მოდიოდა მარტოხელა ზარით ეღრიალი.

## VIII

### ლომჯე გადაწყდარი მაჰმადი

კვირა დილას დიდი დროშა ააბეს, ციხკრისას.

აიყარნენ მეფე და ტაძრეული, ორი ათასი თოროსანი რაინდი ეახლა მათ, საზეიმოდ მორთულ ჯვარისმტვირთველს თან გაჰყვნენ მანგლისისაკენ.

სულიწმინდის მოფენის დღე იყო.

ტირიფითა და ველის ყვავილებით შეემოსათ სახლების სვეტები, ჭურჭრები და ქოლბაქები მკვიდრთა. თორ-მუზარადში, ცხენსაკაზმში ბზის ტოტები ჰქონდათ ჩაწნული რაინდებს.

ლურჯი ცარგვალი ზედ დაჰნათოდა თრიალეთის მშვენიერ შოთხს.  
 ხეობებიდან შემოკრეფილი მოსეირენი ფსალმუნების გალობით ეგებებოდნენ გვერდისმტვირთველსა და სეფედროშას.

„უფალო, ძალითა შენითა იზარებდეს მეფე  
 და მაცხოვარებითა შენითა იშვებდეს ფრიად“.

ქვაბებიდან გამოსულნი მემღვიმენი, გლეხები, მონები, მკოდოვანნი და გლახაკნი მტერიან გზაზე ეცემოდნენ პირქვე, მერმე სდგებოდნენ და უკან მისდევდნენ დასდასად მიმავალ ლაშქართა.

მაბარაის ველის ყვავილებით შეემოსა მუზარადიდან ფოლადის საბარკულამდე თავი. ცხენის ფაფარში შროშანები ჩაეწნა, ხოლო ძუა შეეღება ინი-თა, ასკილის ყვავილებით შეემკო ვადანი ორთავე ხმლისა. ჩემჩუმად ილიმებოდნენ ხუცები: ეშმაკს თავისი მათრახისთვის<sup>1)</sup> მიუგნიაო.

სეფედროშა დადგეს ეკლესიის კართან.  
 ვიდრე წირვა დაიწყებოდა, მანგლელმა მიიყვანა ტაძრის შუაგულამდე მეფე, გუმბათისკენ აახედა და თითით უჩვენა ზედ დახატული მამქადი, ლომზე გადამჯდარი.

შავი ატლასის კაფტანი ეცვა შავწვეროსანს, ლურჯი დამასტის ტურბანით ჰქონდა თავი გაკრული, ოქროსვალიანი, შავ ქარქაშიდან ამოწვდილი ხმალს ეჭირა მარჯვენაში, სამი ვარსკვლავი ეხატა ირგვლივ და მუსლიმური ნახევარი მთვარე.

მეფე გაოცებული მიაშტერდა უცნაურის ოსტატობით შესრულებულ ფრესკას.

სამ თვეს ლოგინად ვიყავ ჩაფარდნილი, მეფეც ბატონო, მარჯვე დრო ხელთ უპყრია სატანას და ეგ სურათი დაუხატავს ლამით, ხარაჩოები მზად მაქვსო უკვე, მუქი წამლებით წარეახოციანებო მაგ ეშმაკს კერძს.

ეს მოახსენა პატრონს.

თავათაც არ იცოდა მანგლელმა: ლიბარიტის გამუსლიმების შემდეგ ერისთავის ბრძანებისამებრ შეასრულა ეს ფრესკა ერთმა მხატვარმა არაბთავანმა. ხუცებს შეეშინდათ ეპისკოპოსის რისხვისა და ეშმაკს გადააბრალებს ეგ საქმე.

უშიშარი იყო მანგლელი ეპისკოპოსი, მხოლოდ სატანის შიშით ძაგძაგებდა ნიადაგ. ლამით მგზავრობას გაურბოდა, მუდამ ავისულები ელანდებოდა ბერიკაცს. წყალს არ დალევა, სანამ ჯვარს არ ამოაფლებდნენ მასში.

დაეთიმა დიდხანს უმზირა მამქადის სახეს, მერმე საკურთხევლის კარზე გამოსახულს თვალი შეავლო ეშმაკს, რომელსაც წ. გიორგი ხელშუბს აჩრიადა ხაზაში, მანგლელს მიუბრუნდა და უთბრა:

„რა უშავს, მამაო სახიერო, ზედმეტი ეშმაკი რას დააკლებს ღეთის სახლს“.

ლანდის უსწრაფესად მოედო ეს ამბავი გარს მოჯარულ სამღვდლოებას. ვილაც დიაკონმა აგრე გადააქეთა მეფის ნათქვამი: რა უშავს, მამაო, განა ცოტააო ეშმაკები და ავაზაკები ჩვენს ეკლესიებში.

<sup>1)</sup> ეშმაკის მათრახი — ასკილის ერთერთი სახელია.

ეპისკოპოსებს გულისხმობდაო პატრონი. დასძინა დიაკვნმა.

მღვდელმთავარი და მოწესენი აღშფოთდნენ.

ურბნელმა დრო შეურჩია საკურთხეველში მანგლელს და წასვლა უკლებლადამ არაბულ ეტრატებში იჭვრიტება ჭაბუკი მეფე, მახარაი ყურანს უკითხავს ნიადავ, ამიტომაც კეთილად არისო განწყობილი მაჰმადისადმი იგი.

„ჯერ არც ერთ მეფეს ბაგრატიონთაგანს არ წარმოუთქვამს ასეთი რამ“. სთქვა ხარჭაშნელმა.

მე შენს ადვილას ხელზე აევზაენიდი ოსტატებს და დაუყონებლივ წარხოცავდიო ეშმაკის ხატებას.

დასძინა გოლგოთელმა.

არც მანგლელსა და მამაი ბასილის მოეწონათ მეფის პასუხი.

ყოვლად ქრისტიანი მეფე, რომელიც მესხიის მახვილს უწოდებს თავის თავს, მაჰმადის სახის გუმბათიდან წარხოცვას წინ აღუდგაო!?

უგუნებოდ შეიქმნა კირიონ მანგლელი.

## IX

### „მამათა სჯამეს ქაჯანსი“

მანგლელ და მამაი ბასილი სწირავდნენ იმ დღეს, შვიდი ეპისკოპოსი თანწირველად ჰყავდათ. მეფე დიდხანს ლოცულობდა ამბიონის მახლობლად მუხლმოყრილი, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ლიპარიტისძენი იყვნენ დაჩოქილი წირვის დროს.

გულამრეზილნი ხედავდნენ რატის თანამდგომნი, რომ ბალუშთაგანი არავენ იყო ტაძარში სულიწმინდის მოფენის დროს.

როცა საქალბოში შემოვიდა მთელი დასი ფარჩებში მორთულ მანდალოსნებისა, ხმა დაირბა ხალხში: დედისიმედი და მისნი სეფექალნი მოვიდნენო წირვაზე. იმასაც ამბობდნენ ზოგნი: დღეს იწერენო მიჯნურნი ჯეიარს.

საზეიმოდ იყო ტაძარი მორთული. ხატებიც ვარდებით მოერთოთ, გარდები ეჭირათ ეპისკოპოსებს ხელში, მთელი ეკლესია ყვავილებით იყო შემკული. ამაოდ აცეცებდნენ მოსიერენი თვალებს:

მარტოკა ლოცულობდა მეფე. ფერგამკრთალსა და შუბლშეყრილს უგუნებობის გადაჰკრავდა ნირი.

ვაფაციცებით თვალს ადევნებდნენ მას მლოცველები, მის დაჩოქებას, წამოდგომას და პირჯვრის წერას. ხმაგატვრინული ყურს მიუფდებდნენ გაქვრივალბას აბჯრისას, ქარქაშის ჩქამს, იატაკზე მიხლოსას ვალებულს.

ჩუმჩუმად ჰჭირდავდნენ დიაკები დედისიმედს: მამა შეაბყრობინა, მამა გადაჰკარვა, კურო შინ მოიყვანა და საერისთავოს მიტაცებასაც ლამობსო.

უარესად ამბობდნენ მეშურნენი, სხვანი: აქამდის ბარქიაროკს ეტკლუცებოდა, რა შეატყო, ცუდად მიუღირო ძეს სულტანისას საქმე, ახლა დავით მეფის ვარსკვლავს უფახულებსო წამწამებს.

ნაწირვეც დიდხანს იქადაგა მანგლელმა. ბისონის ომფორით მოსილს პირისფერი ვარდები ეჭირა ხელში, ვარდებით მოფენილ ორხოვაზე იდგა სახე დამწრალი ბერიცაი და აღზნებულნი ოქროპირობდა სიკვდილისა და უკანასკ-

ნელი განკითხვისათვის. ჰქირდავდა ამ საწუთროთი შემსკვალულთ, ხორციელ ტკობას და მოლხენას, იმუქრებოდა ჯოჯოხეთის უშვრეტი გეგნით.

„თავათ დაფიქრდი, ძეო კაცისაო, რომ შენ სიკვდილი გიდავებდა და დამკვრებდა და კარზე. სიკვდილიდან მოღიხარ და სიკვდილისაკენ მიხვდებოდა და ეშმა ვიქვრეტს ყოველი სარკიდან, წყლის ზედაპირიდან, მზისთვალიდან და ცარგვალიდან.

იქქლის მარცვალო, ადამისძეო, შენ გთესენ ნიადგ სიკვდილის ჯეჯილზე და მერმე ამოდის იქქლის ნაცვლად ხეი. უკეთუ ხე იგი ჭრისტიანობის დიადი ხის ყლორტთაგანი არ ვახდა, მას შეუკეთებენ ეშმაკთა მიერ აღგზნებულ ცეცხლში. შეშა სულისა შენისა უკანასკნელ ცეცხლში შეიწვის, ხოლო ფერფლს მიუგდებენ ეშმაკების მიერ გამოლალულ კოლტს ღორებისას.

ამიტომაც ვეტყვით მე თქვენ, განამთე ეშმაკი და იქეციოთ ჭრისტეს ჯეჯილათ, რათა დღეს შეისას ანგელოსთა მოგმეან ცეცხლის ცელითა და არა ეშმაკებმა ფოლადის ნამგლებით, რომელნიც ისე მოდრეკილნი არიან როგორიც ახალი მთავარე მუსლიმთა ცრუმოციქულის, მუჰამედის შავს დროშაზედ გამოსახული“.

ხალხი სულგანაბული ყურს უგდებდა კვირიან მანგლელის ენამზეობას, მხოლოდ დიდად დაგვირგებული კაცი თუ მიუხვდებოდა მის ნათბარს.

„როდესაც კაცი მიწაზე აღმართულ უფსკრულებსა სჭვრეტს, იგი სხვას ვერაფერს ამჩნევს თუ არ წიადს უსრულო ცარგვალისას, ცთომილთა ზოდიაქოებს, დისკოს მზისა და მთვარისას. და იწყებს იგი იღუმალობის ამოკითხვას მისნობის ძალით. ეჰა, ძეო ადამისაო, ეგ იცოდე მტკიცედ: არა არს ამ ქვეყნად იღუმალეზაი ღვთისა კიდევან, რამეთუ თავათ ღმერთთა უდიდესი იღუმალეზა და მის გარეშე ნურავინ ეძიებს შეიცნოს სხვაი.

შაცხოვარი ჩენი ჯეჯარზე ეგნო ჩვენთვის და შეილთა ჩვენთათვის. კარნი ჯოჯოხეთისანი განგლო საკუთარი ფეხითა და ცად ამალდა და სული მისი მოგვეფინა ამ ვარდების, გუგულის კაბის, გვირილისა და ზამზახების სახით, რადგან ჭრისტეა თავათ მზეი უჭრობელი, ნათელი უმრუმოი, იგია თავათ, მარადეამობის იღუმალი ეპიფანია“.

„ეგ ვარდები, სთქვა ხმააწეულად მქადაგებელმა და თავისი დამქვარაი ხელი ზეასწია, ეგ ვარდებიც მოგვაგონებენ ჩვენ დღეს უკანასკნელს, რადგან ოდესმე ჩვენს კუბოებს დაამშვენებენ იგინი.

ჭრისტე შაცხოვარი ჩენი, იგია ქეშმარიტი თავადი სიკვდილისა და ჯოჯოხეთისა. იგია თავათ საიდუმლო უდიდმალესი და ნურავინ ეძიებს მის გარეშე იღუმალეზას.

რა ამოდ იღწვიან მსწავლულნი და გულმეცნიერნი როცა არსთა რაობის საიდუმლოს შეცნობას ლამობენ. მღამიობებს მაგონებენ ეგ საბრალონი, ღამის ნაშობთა, ბრმანი და უსახიერნი რომ აწყდებიან გაბიღნულ სარკეებს ამოდ.

ღმერთთა თავათ გონებისათვის დაბნული სარკმელი სამყაროსა და იქნეულნი ამოდ დაშვრებიან მის შესაცნობად.

სული ძლიერად უნდა სუფევდეს იღუმალეზაში, მაგრამ ეშმაკი არ შემოუშვას თავის სარკმელში, რამეთუ ცნობისწადიერია ეშმა, იგი ყოველ სარკმელს ეხლება ბრმა ღამურასავით. იგი ყოველგანაა, ჰაერში, ქარში, წყალში და ჩალაში, მაგრამ ყველაზე მეტად კაცის გულში დაფუძნებას მიეღტვის იგი.

ჩვენ შორის ფეხი მოიკიდა ურწმუნოებამ და ამიტომაც მომრაველდა უნათლავი ბაღდების სიკვდილი, თრიალეთის საერისთავოში შვიდ სოფელს დაე-

მართა სლოკინი, რადგან ჯვარს არ ატარებდნენ მკერდზე და ეშმას მხინებდნენ ნიადაგ. რამლსა ჩხრეკდნენ და მარჩიელს აკითხვინებდნენ.

„აი ეგ ხატებაც ეშმაკეულის...“ განაგრძო მანგლელმა და გულმოდგინებით აწავსახა ვარდებიანი ხელი, მრევლმა ზეახედა მაჰმადის ხატებას.

„იგიც ეშმაკის ხელის საქმეა უცილოდ. ამიტომაც დაქმანეთ კარნი და სარკმელნი მწუხრისას, უჯგვროდ ნუ ჩახვალთ წყალში, ქარიან დღეს ხელი აიფარეთ პირზე, საწმერთულნი მაგრად შეიკრან დიაცთა, რათა ეშმაკეული არ შეუძერეთ საშოში.“

ესმას ეს ყოველსა კაცსა, მეფეთა და მთავართა, აზნაურთა და უაზნოთა, ნურაეინ ეძიებს გონების ძალით ჩასწვდეს საიდუმლოს საწუთროისას, მიწისა, ცისა და ჯოჯოხეთისას. ნურაეინ გაიჩენს ასტროლოგსა და ბნელისმძიებრობს, მესიზმრეთა, მეწამლეთა და მჩხიბავთა, რადგან ღმერთთა თავათ საიდუმლო აუხსნელი და გაუხსნელი.“

დავითი გულმოდგინედ უსმენდა ოქროპირს. მიხვდა თუ ვის უმიზნებდა მისი ქარაგმული ბნელმეტყველება.

„სუფიებმა, ისმეელიტებმა, პაშიშაუნებმა ლამისაა დააქციონ დიდი სასულტანო სელჯუკიანთა, ხამს მტრების ჩვენის მარცხიდანაც ვისწავლოთ ქუთა, ამიტომაც დიდი და მცირე, მეფენი და მთავარნი, მდაბიორნი და მკოდოვანნი უნდა ევებრძოლოთ სჯულის საქმეში განდრეკილთა და მოცაქულთა ეშმაკისათა.“

დასძინა მანგლელმა.

ქადაგება დასრულდა, მაგრამ არავინ აპირებდა ტაძრიდან გასვლას, რადგან ეზოც გაქეპილი იყო და კარიბჭეებიდან ახალახალი ტალღა მლოცველებისა მოიკაფავდა ეკლესიისაკენ ვზას.

კენესოდნენ დიაცები, ღნაოდნენ ბალღები, მაინც ტაძრისაკენ მოიწრაფოდა ხალხი. ოთხივე ქიშკარს ჩუხჩნი იცავენენ, მაგრამ ველარ აკავებდნენ ბრბოს.

ამაოდ ეაჯა ქარიმან სეტყელი პატრონს, მრევლის დაშლამდე ნუ გაბრძანდებო ტაძრიდან. როცა მეფე და ტაძრეული პორტიკს მიუახლოვდა, ქონდაქართუხუცესმა თვალი მოჰკრა: ვილაც თავშიშველა, ჩონჩხბტქეული მდაბიორი ღელავდა ჩუხჩებისაგან გაკავებული, ისედაც დაბეჭილი პერანგის სახელონი შემოფხრეწოდა, მაინც წინ მოიწევედა იგი. ვინა ხარო? ეკითხებოდნენ ჩუხჩნი, ხმას არ იღებდა იგი. უცნაური ზუნი გამოდიოდა პირიდან უცნობს. მუნჯიყო, ყვიროდა ბრბო.

პორტიკის ზღურბლზე ფეხი გადადგა მეფემ და მდაბიორი ხელიდან გაუსლტა ჩუხჩთა.

ქარიმანს კარებიდან გამოასწრეს ეპისკოპოსებმა, მაგრამ რა დაინახა მეფისკენ მოიწრაფისო ის გაბურძგენილი კაცი, ხმლის ვიდა მოსინჯა, მისწი-მოსწია ხუცესნი და პორტიკში გასულმა ქორული მშვერა ესროლა მდაბიორს. ახოვანსა და შებლმაღალს ნაშიშშილარის სიყვითლე შესდგომოდა საბეზე, კეხიანი ცხვირი პქონდა და მგლისფერი წვერი.

მეფეს წამოეწია გამაღებელი ქონდაქართუხუცესი და სწორედ ამ დროს ფერხითი დაუვარდა უცნობი მეფეს და პანიპერსევისტოსის წითელ წაღებს აკოცა ქვინტზე. თავი ასწია ცალ იდაყვზე დაყრდნობილმა და შეჰღალადა პატრონს:

„უბადოდე სახესა შენსა მეფეო და ნულარ დაჰფარავ ყურთა შენთა ცედრო-  
ბისა ჩემისადმი. უსჯულო თურქთაგან წაბილწულია ქალაქნი, დაბანი და აგა-  
რანი ჩვენნი, ციხენი და გოდოლნი იავარქმნილი; მამათა სტანისა და  
კბილნი შეილთანი მოლხვეს.“

ორენი ველთა დაუტყვევბდეს, რამეთუ არღარაა მწევანე, ჰუნეთა მიერ მტრი-  
სათა გადათქერილი.

ალიღე მახვილი მეფეო და დევნა უყავ მტერს მახვილითა, სიყმილითა და  
სიკედლითა“.

ესა სთქვა აღტყინებულმა მოხუცმა, ზეწამოიჭრა და მეფის მახვილს შეავ-  
ლო თვალი.

„შენა ხარ მახვილი სიძულელითა ჩენითა აელევებული მეფეო, მახვილი  
ცხენებსა ზედა მათსა, მახვილი მხედართა ზედა მათსა, განაბნიე სპასპეტნი  
და მთავარნი მტრისანი, რამეთუ შენა ხარ ლომი მაქნართაგან იორდანისათა  
გამოსული“.

მანგლელმა შემოაბრუნა ქიდაგად დავარდნილი და შეიცნო დაყუდებულ  
ბერი გოდოლია, რომელიც ცამეტ წელს იცავდა დუმილს.

(გაგრძელება იქნება)

## საბათნოვას ჭიანჭყით



ირაკლის ლაშქრობის დროს აშუღი  
საბათნოვა წინ უძღოდა ქართველ ჯარსს  
და თავისი ჭიანჭყით ამხნევებდა სამ-  
შობლოს მამაც დამცველებს.  
მემატიანე.

1.

მითქვამს, ვამბობ და ამაზე  
სხვებსაც ვენაძლიე:  
სხვა საკრავზე ჭიანჭური,  
რა ვქნა, მიყვარს ძლიერ.  
ნაღველსა და ხადილობას  
ერთნაირად ლესავს.  
ო, ყურს ვუგდებ ალტაცებით  
ჭიანჭურის კენესას.  
მასში თითქოს გამოისმის  
გადასული ხანა: —  
ჩვენი ქვეყნის რაინდები  
კვლავ საომრად დგანან.  
კვლავ უტივეენ მოსეულებს  
ხმალს, მკვეთრსა და მხნესა.  
ო, ყურს ვუგდებ ალტაცებით  
ჭიანჭურის კენესას!

2.

პოეტო და მეომარო!  
გიგონებ და ვიმზერ!  
შენ მღეროდი ჭიანჭურით  
საქართველოს ვმირზე.  
სიმი რომ ვერ დაგეტია,  
ჭიანჭურის ალყზე,  
სიმის ერთი ნაწიბური  
გადასკიმე ხალხზე.  
ხალხი სწნავდა შენს ჭიანჭურს  
ქვეყანურად, მძიმედ,  
გამარჯვების მოლოდინში  
არ ჰკარგავდა იმედს.  
ასე იყო ირაკლის დროს,  
ასე არის დღესაც...  
ო, ყურს ვუგდებ ალტაცებით  
ჭიანჭურის კენესას!



ეღუჯას ღაბრუნება



ბაღის კარები ღია იყო;  
 მაგრამ შეგჩერდი.  
 მზე მალლით ჰქუენდა არე-მარეს  
 სუნთქვას საამურს.  
 ახლო, სულ ახლო მოისმოდა  
 შესაცნობი ხმა:  
 არაკრაკუნდა ბავშვი-მწვემსი  
 თავის სალამურს.  
 სანატორიის წინ შევედქვი:  
 ამ უცხო ბაღით  
 ვინაც საყვარელ მიღამოზე  
 თვალს შეაჩერებს,  
 ის ხარბად სუნთქავს სუფთა ჰაერს,  
 ფიჭვებისა და  
 მოთიბულ თივის სურნელებით  
 გაღმონაჩქერებს.  
 უნდა გავნათლდეთ — გავიფიქრე —  
 უნდა გავმრავლდეთ.  
 მე ვიდექ მარტო, მე ვხარობდი,  
 და მერე როგორ!  
 როდესაც ჩემკენ მომავალი  
 მოსჩანდა ბავშვი,  
 ამღერებელი, თმაზუჭუჭა  
 პატარა გოგო —  
 მისთვის ჰყვავიან ყვავილები  
 ათასნაირნი,  
 გულმხიარული ფრინველები  
 მისთვის მღერიაან;  
 მისთვის ეღუარებს მზე კაშკაშა,  
 მისთვის იცავენ  
 სამშობლოს, ასე თავდადებით,  
 მოსაზღვრეები.  
 დეე, ძმობის და სიყვარულის  
 სამფლობელოში —  
 მინაც იყვავოს, იყოს ლაღი  
 და ბედნიერი.  
 აი, ეს გოგო. ჩემთან ახლო,  
 ახლო მოვიდა:  
 რა ლამაზია, რა წარმტაცი  
 და მშვენიერი.  
 იქნებ ის როსმე დაესიზმრა  
 ოცნებას ჩემსას,  
 როს გაზაფხულის ღამე სიფრცეს  
 რიდეებს ჰქუენდა,

როცა ჰყვავოდნენ გაზაფხული  
 ცაცხვის ხეებში ღაბრუნება  
 და იაღონი გულსაგლავად  
 ვარდებში სტყენდი.  
 არა, არაა ეს ზმანება:  
 სინამდვილეა,  
 ეს თმები, სახე. აი ბავშვმა  
 რომ გაიბრწყინა —  
 ეს გამოხედვა რაღაც ისე  
 ახლობელია,  
 მინახავს საღააც და ოდესმე,  
 დიდი ხნის წინად.  
 მაგრამ სად? როდის? რანაირად?  
 ანუ რას ნიშნავს:  
 როგორ მეცნობა ეს ღიმილი  
 და ეს თვალები,  
 ნათელი ცქერა, ბავშვის ბავე  
 ალერსიანი  
 სუფთა, სპეტაკი, თეთრი შუბლის  
 გამოალეება!  
 როგორ მეცნობა ეს ნიკაბი  
 და ვარდისფერი  
 ღაწვების ეშხი, საამურად  
 რომ მოისახა —  
 სად, როდის ნახა ეს მოქნილი  
 და მოხდენილი.  
 ცქრილა ბავშვი, თვალმა ჩემმა  
 სად, როდის ნახა?  
 — შენა, გოგონა — ვეკითხები —  
 აქაური ხარ?  
 — არა! აქედან ჩვენი სახლი  
 შორზე-შორეა.  
 ამიერიდან კი აქა ვართ:  
 ეს არის ჩვენი  
 უფროს ექიმის, დედაჩემის,  
 სანატორია.  
 მამა ცოცხალი არ არისო,  
 დიდი ხანია.  
 იგი სხვებს ახსოვთ: მეომარი  
 იყო ნამდვილი.  
 მე არ მინახავს. ახლა, ძია,  
 რა ზიება ფრონტზე?  
 უმცრად მკითხავს გოგო წრფელი  
 და გულახდილი.



მაიმნეთ — რისთვის, რა საჭმისთვის  
დაგაგიღდოვესთ...

ზედვე გეტყობათ: გიბრძოლნიათ,  
ყოფილხართ გმირი...

მაიანეში კი, ვინ არ სცნობდა  
მამას ვაბედულს —

უფრო აღრინდელ ომის იყო  
რკინა, ქვიტიარი.

ბევრი ქარცეცხლი იმ ხანებში  
გადუტანია,

არ უდრეკებოდა მტრების მიერ  
ატეხილ ქუხილს...

— რა გვარი იყო მამაშენი —  
ბავშვს ვეკითხებო,

მაგრამ გოგონამ ვერ მოასწრო  
ეთქვა პასუხი,

სადამოს მზე სუნთქვას ჰფენდა  
არეს — საამუტრს,

როცა გაიღო სახლის კარი  
გადარაზული —

ლანდივით ჩანდა აივანზე —  
მალა-მალაღი

ლამაზი, მეტად მოხდენილი  
უცნობი ქალი.

— აი, ეს არის ჩემი დედა —  
მშვიდ სიამაყის

ფარული გრძნობით განაცხადა  
ბავშვმა უმალვე. —

აღელვებულმა — უმდაბლესად  
დაუქარ თავი.

— დედა! ახალი ავადმყოფი  
მოვიდა ჩვენთან.

— ძალიან კარგი; მაგრამ ეხლა  
უნდა დაგვტოვო.

წადი იმ ბაღში, შენ ხომ გიყვარს  
ყოფნა ფუტკრებთან? —

ბავშვს არ უნდოდა კარგ უცნობთან  
კარგ ნაცნობობის

ასე შეწყვეტა. იგი უცებ  
ძლიერ დაღონდა.

როგორნაირი სინანულით  
მან შემომხედა!

მაგრამ გოგონას უარიისქმის  
ნება არ ჰქონდა.

კვლავ შემომხედა და წყნარად სთქვა:

— უფრო გულდასმით  
ვილაპარაკებთ კიდევ დიდხანს...

ასე არ არის? — ~~მისი~~

თანხმობის ნიშნად მეგობრულად  
გავუღიმე მას,

და ბავშვი მოსწყდა ადგილიდან —  
ვითარცა ქარი.

დედას ღიმილი მოერიდა: —  
„სჩანს, დამეგობრდით!

ძთელი ქვეყანა მაინც მისი  
მეგობარია“.

ის განაგრძობდა გაღიმებას  
და ამ ღიმილში

დავიწყებულმა ოცნებებმა  
რაღაც გარია.

იღიმებოდა და თვალთაგან  
იფრქვეოდა მზე.

ჰანგს აღვიძებდა, რომელიც მხნე  
და მზიანია,

რაღაც ძველისძველს და მშვენიერს,  
დამატყვევებელს

ის ანათებდა წარსულს, გამქრალს  
დიდი ხანია.

„— ევა! — აღმოხდა მაშინ გულით.  
„— ელგუჯა, შენა?“ —

და ჩვენ მხურვალედ ჩამოვართვით  
ერთმანეთს ხელი.

„— გადმომისროლა ბედმა ასე...“  
„— კეთილშობილად

აწ მოქცეულა იგი ბედი —  
მუდამ ფიცხელი...“

ამ დროს გამოჩნდა კვლავ გოგონა  
აყვავებული

აღუჩეხისა და ვარდების  
მოპფანტა ბღუჯა.

— რა უნდა მეთქვა — განაცხადა —  
თქვენ მაიანეშის

მკითხეთ სახელი. მას სახელად  
ერქვა: ელგუჯა“!..

მოაქვს სადამოს სურნელება  
ყვავილთა კონის.

მამ გამარჯვება — თეთრო შუბლო  
კაკასიონის!

სანდრო ეული

## საბოლოო და გაღამყვები

გავიდა წელი, წელს მისდევნ დღეები კიდეც,  
ცა და ჰაერი იკვამლება, სამყარო იწვის,  
კანიბალების მიერ დაღვრილ სისხლს ზღვაც ვერ იტევს  
და გრგვინვად ისმის მოწოდება, — ძახილი მიწის.

ბნეულთის ძალებს გავუმართეთ მძაფრი შეტევა,  
ჩვენი შექურა კრთომით აქრობს მას და ამარცხებს,  
გმირთა ლაშქარი ბრძოლის ველზე ველარ ეტევა  
და გამარჯვების დროშა მიაქვთ წინ ჩვენს მამაცებს.

დღეს ეგ ბრძოლები საბოლოო და გადაწყვეტი,  
გააცამტვერებს სამუდამოდ მტერთა ბანაკებს,  
მხეცთა მოდგმიდან არ დარჩება ქვეყნად არც ერთი,  
ჩავექოლავთ იმათ თავშესაფარს ძელებით ანაგებს.

მალე იქუხებს გამარჯვების იქაც სიმღერა,  
სად გაუთელავს ყველაფერი ვერაგებს, ზილწებს,  
აგუზგუზდება მალე იქაც ჩამქრალი კერა, —  
სად ორთქლად ასდის ხალხთა ცრემლი და სისხლი მიწებს.

ჩვენი ვარსკვლავი მოკაშკაშე ელვარებს მარად,  
ველარ გაუძლებს მტრის ბუნავი სხივთა ნაკადებს,  
მალე შევხედვებით გამარჯვებულთ მთებში და ბარად,  
დიდი გენია წინ მიგვიძღვის, ბრწყინავს, ანათებს.

## მინე-ქალაქი

სევასტოპოლის გმირ დამცველებს.

შავი ზღვის პირას ქალაქი მედგრად  
 იდგა კლდეებით შემოზღუდული,  
 ქალაქს სამი მხრივ ხმელეთი ეკრა,  
 ქალაქი მაინც იყო კუნძული.  
 გრგვინაჲდა ცა და ხმელეთი ერთხმად  
 ქალაქზე შავი იდგა ღრუბელი,  
 ქალაქს სამი მხრივ ხმელეთი ერთყა,  
 შავ ზღვაზე შავი და დამლუბველი.  
 და შავ მიწაზე მცირე ალაგი  
 წითლად მოჩანდა, როგორც წერტილი,  
 გმირთა ქალაქი, ციხე-ქალაქი,  
 გზა გადაჭრილი და მოწყვეტილი.  
 თუმც გადიტრუსა შავად ქედები,  
 და დაეცხრილა ქალაქს სხეულო,  
 მაინც იბრძოდა თავგამეტებით  
 ლომი ზღვისპირად გამომწყვდეული.  
 ურიცხვი ერთყა ირგვლივ აფთარი,  
 იყო ღმუილი ყურის წამლები,  
 აიშლებოდა ლომის ფაფარი —  
 ქარი, გრიგალი და ზღვის ტალღები,  
 და ირყეოდა სადგური ნავთა,  
 თითქოს ნახტომი ზღვამაც მოზომა,  
 წამით სიკვდილის მოვარდნას გავდა  
 ლომის კვეთება და გამოხდომა.  
 წყდებოდნენ მტრები, წყდებოდნენ ბლომად,  
 ისეუ ჩნდებოდნენ კართან ჯოგებად,  
 მაშინ სიკვდილი არჩია ლომმა  
 უკან გაქცევას და დაჩოქებას.  
 ქალაქს სამი მხრივ ხმელეთი ერთყა,  
 ქალაქზე შავი იდგა ღრუბელი,  
 და დაიგმინა ქალაქმა ერთხმად  
 ხმით შემზარავით და დამლუბველით.  
 დაეცა, მაგრამ დაცემად ღირდა,  
 მთლად დაეცხრილა ცეცხლით სხეული,  
 თქმულებად იქცა ქალაქი გმირთა, —  
 ლომი ზღვისპირად გამომწყვდეული.

## პირისპირა\*)

რომანი

### ჯადოსნური ბაღი

ფეხბურთის შემდეგ საღამომ მოატანა. მზე მთის მწვერვალებისკენ დაეშვა და ვაკეში ოდნავ აგრილდა.

მთავრობა და უცხოური სტუმრები — ლანდოში, მანქანებში ჩასხდნენ და ქალაქისაკენ გასწიეს.

ჯარმა და ხალხმაც ქალაქისაკენ იწყო დენა.

ნაწილი ხალხისა კი — ჯგუფუჯგუფად გაიყო. მოქალაქენი, მოტანილი სანოვაგით, მთის კალთებს მოედნენ. ღვინის სმა და ღრეობა დაიწყეს.

კორნელი და სანდრო გზისაკენ გაეშურნენ. კარებს რომ მიუახლოვდნენ, ნაცნობნი და უცნობნიც გარს შემოეხვივნენ. უცბად კორნელისთან ესტატე და ვარდო მივიდნენ, ხელი ჩამოართვეს და მათაც თავისი აღტაცება მოახსენეს: ჩინებულად ვარჯიშობდითო. კორნელიმ მადლობა გადაუხადა მათ.

— თქვენ ფრონტზეც გისახელებიათ თავი. ასკერი მოგიკლავთ. — დაიწყო ესტატემ.

კორნელიმ თავი ჩაჰკიდა, დაირცხვინა და ეხლა ეს მორცხვი, მშვიდი და თავაზიანი ჰაბუკი სრულიადაც არა ჰგავდა კაცის მკვლელს. ასკერის მოკვლა ძილში ნახული ცუდი და კომმარული სიზმარივით დაპიწყნოდა კორნელის. ესტატე კი არ ეშვებოდა, იმ ასკერზე ეკითხებოდა, კაცის კვლის გამო აქებდა:

— ყოჩაღ. ძველი ცოდვები თქვენ სავსებით გამოგისყიდიათ.

კორნელი წარბშეკრული, სერიოზული სახით უსმენდა და უკანასკნელ სიტყვებზე შენიშნა:

— თქვენ რომ ფიქრობთ, ბატონო ესტატე, იმ საქმეში, ჩემი თავი მე ეხლაც უცოდველი მგონია.

— როგორ? სომხები თბილისზე ილაშქრებდნენ და თქვენ რა გულით იჯექით შინ? — შეეკითხა ესტატე.

— მე ის ომი უაზრობად მიმაჩნდა. არ მჯეროდა, თბილისს თუ შეგვედევებოდნენ. პროვოკაცია მეგონა. პეტრე რომ დასჭრეს და ჯვებე მოჰკლეს, მერმე კი — შევეყოყმანდი. ომში წასვლა დავაპირე, მაგრამ გვიანდა იყო: ომი მოულოდნელად გათავდა. — მიუვო ესტატეს კორნელიმ.

ეხლა ელო, ნინო და ვანო მოვიდნენ კორნელისთან. კორნელიმ ელოს და ნინოს იარაღებზე ვარჯიშობის გამო დაკოყრებული ხელი ჩამოართვა.

\*) იხ. „მნათობი“, № 6.

ნინოს ხელი ისეთი პატარა, ნაზი და სათუთი ეჩვენა, თითქო ~~საქონლო~~ კორნელის შიშველი ტანი, კარგა ხანია, რაც ნინოს ასე ახლოს არ ენახა. „რამოდენა კუნთები, მაღალი, განიერი და ძლიერი მკერდექმურადო, — გაიფიქრა და ძალაუნებურად დააცქერდა. კორნელიმ შენიშნა: „პატარა! ტრიალ ჩაისუნთქა, მკერდი საბერველივით აეწია და ზედ სპილენძისფრად მზით შეღებილი კუნთები ვეება ბურთებივით დაასხდნენ. გვერდის კუნთებიც გაუგანიერდნენ. კუნთები ერთთავად დაიგრიხნენ, გაუკაქდნენ, მძაფრად მოებანენ და დაეგრაგნენ. მთელი სხეული, თითქოს ერთბაშად გაეზარდაო და კორნელი ეხლა შევარდენს კი არა, ნამდვილ ატლეტსა ჰგავდა. ვარდომ ჯერ კორნელის და მერმე კი — ფერმკრთალ, გამხდარ და დასუსტებულ თავის ქალს შეხედა. ნინო შეეცოდა და გული შეუღონდა, კორნელი კი შეჯავრდა, რადგან თავისი ქალის მტანჯველად მიაჩნდა. ესტატეს ჩუმად უთხრა:

— შეხედე, ნინო რასა ჰგავს: დაიქანცა. წავიდეთ.

მაყაშვილებს ეტლი გზაზე უცდიდა. გზამდე ჰბატეებმა მიაცილეს. წინ ესტატე, ვარდო და ნინო მიდიოდნენ. მერმე — ელო, ვანო და სანდრო. კორნელი კი — უკან. ნინოს გამხდარი მხრები ასწოდა. წელი კიდევ უფრო დასწვრილებოდა. „რას ვერჩილი ამ საცოდავ ქალს, ასე რომ დატანჯე!“ — გაიფიქრა კორნელიმ და ნინოს ზურგსა და გამხდარ მხრებს თვალები ისევ მწუხარებით მიაპყრო. ნინო შეერთა. მხრები საოცრად ასწურა, თითქო მის ზურგს ვიღაცამ ხელი შეახოვო. უმაღვე მოიხედა და კორნელის ბავშვსავით გულუბრყვილო, საბრალო და მუდარით სავსე თვალებით შემოხედა. მზით დამწვარ, ფართო შუბლზე წარბები გაფრენილი მერცხალივით შეათამაშა და მსუქანი ტუჩები წინ წამოსწიდა, თითქო კორნელის ეუბნებოდა: „ნომ ხედავ შენს გამო რა დღეში ვარ და როგორ დავიტანჯეო?“ კორნელი მაშინვე მიხვდა ნინოს გამოხედვის მნიშვნელობას. იგი აღელდა. მანაც მუდარით შეხედა და როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, — ორივენი ჯადოსნურ ბაღღში გაეხვივნენ. ნინოს ფეხი შეეშალა, თავი ჩაჰკიდა, ნელის ნაბიჯით შეუდგა აღმართს და მშობლებს ჩამორჩა. როცა მეორედ, იმე მუდარით მოიხედა, კორნელიმ წონასწორობა დაჰკარგა, ნინოს დაეწია, მკლავში ხელი გამოსდო და აღმართზე ასვლაში მიეშველა. გამხდარ მკლავში ხელი მაგრამ მოუჭირა და ასწია, თითქო შევარდენმა წიწილა წაიღოვო. ნინომ გაიღიმა და კორნელის შემკრთალ შევლივით შეხედა. მასთან ახლოს მოსულ კორნელის, მზით დამწვარ სხეულიდან, აღმური ასდიოდა. კორნელის ღონიერი ხელი ოფლით შეფონილ ნინოს გრილ მკლავზე მარწუხივით შემოეჭლო, ქალი ჩიტვიით აცახცახდა და გულმა გამალებით უწყო ცემა. დუმლით მიდიოდნენ. მერმე კორნელი დაცხრა. გამძრალ ყელში ნერწყვი ძლივს გადაიტანა და ნინოს მკანკალებული ხმით შეეკითხა:

— ჩემი წერილი თუ მიიღეთ?

— მივიღე. — დამნაშავესავით მიუგო ნინომ.

ისევ დუმილი ჩამოვარდა. საშინელი, გულის დამღონებელი. კორნელიმ გაუბედავად შეაპარა:

— მერმე?

პასუხს ელოდა. ნინო კი თრთოდა, სუნთქვა უძნელდებოდა და ვერაფერს ვერ ეუბნებოდა.

— მე ის წერილი, — დაიწყო კორნელიმ, — სულმოუთქმელად ერთბაშად დაეწერე. როდესაც სამშობლოდან გაძევებული, უთვისტომო და ახალგაზრდა მთვრალი რუსი ოფიცერი რესტორანში კაეშნით მღეროდა ძველ რომანსს — „ვერნის“. მე იმ რომანსის სიტყვები — „Мы так, бедствие, так нелепо разошлись“, — გულში მომხვდა. ქაღალდის საღვთეოთი ავიღე და ზედ ცხელ გულზე დაეწერე. ის წერილი ჩემი გულიდან ამოძახილია. ეხლაც ვიზიარებ ყველივეს, რაც შიგ სწერია. პასუხის გარდა, სხვა გზა არა მაქვს.

კორნელი ისეთი გულითადის ხმით ლაპარაკობდა, რომ მის სიტყვების გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ეხლა ნინოს აღარ შეეძლო. ისევ კორნელის წერილი და ის ადგილი მოაგონდა, სადაც ეწერია:

„ჩემი დაღუპვის და ჩემი გადარჩენის სათავეც თქვენ ხელთ არისო“. პასუხისმგებლობა იგრძნო, კორნელი შეეცოდა და მიუგო:

— მე ვიპასუხებთ იმ წერილზე.

— როდის?

— ჩვენ კიდევ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. იმ პაემანის დროს, შესაძლოა, მე გადავაპარბე. მაგრამ როდესაც ყველაფერს გეტყვით, მაშინ დარწმუნდებით, მე რომ მართალი ვიყავი... — მიუგო ნინომ და უმაღლვე შეკრთა და შეშინდა: ელო და ვანო ხომ არ გამოიციო.

— როდის შევხვდებით ერთმანეთს? — მოუთმენლად ჰკითხა კორნელიმ.

— მე შეგატყობინებთ.

— დიდხანს ცლა აღარ შემიძლია, ნინო, მე გავგვიტყობი.

— ჩვენ მალე გავემგზავრებით ქვიშხეთში.

— ქვიშხეთში როდის მიდიხართ? — ისევ მოუთმენლად ჰკითხა კორნელიმ.

— ამ ერთ კვირაში.

— ერთი კვირა უნდა ვიცადო?

— არა. მანამდე...

ამ დროს ვარდომ მოიხედა. კორნელი და ნინო ცალკე მომავალი რომ დაინახა და მათ სახეებს დააკერდა, ყველაფერს მიხვდა და კაეშნით გაიფიქრა:

„მე მარწმუნებდა, კორნელისთან საქმე გავათავე, დამშვიდდო. ეხლა კორა დღეშია! პირველ შეხვედრისთანავე დაიფიქრა ყველაფერი, რაც მასა და კორნელის შორის მოხდა. არა, მათი დამოკიდებულება ძალიან შორს წავიდა. როგორ იქნება მათი საქმე, არ ვიცი! ნუთუ კორნელი ნინოს ბეღია? ღმერთო დიდებულო!“

ვარდომ ესტატეს ჩუმად უთხრა:

— გული მეუბნება: ვაი თუ ნინო კორნელიმ მოგვტაცოს!

— რა ცუდი ბიჭი მოგვტაცებს მერმე? — უანგარიშოდ მიუგო ესტატემ.

ვარდოს გულზე შემოეყარა და იმ წამსვე კორნელის დედის — ტერეზას სიტყვები მოაგონდა, როდესაც კარისმერეთიდან ურმით ზედაზენში მიდიოდნენ: „რა ცუდი ბიჭი მოგვტაცებს მერგო“.

ამ სიტყვებიდან ეხლა ვარდოსთვისაც აშკარა გახდა — რომ ესტატე კორნელის და ნინოს დაქორწინების წინააღმდეგი არ იქნებოდა.



## გაუნებრობა



ქართველი  
წერისმწიფეების  
კავშირი

„ამიერკავკასიის სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ სხვა სხვა მოხალისეთა ლაშქრის წინააღმდეგ და ხელი შეუწყონ გენერალ დენიკინისათვის ნათის და სხვა მასალების მიწოდებას და არ დაუშვან, რომ ამ საგნებით ისარგებლონ ზოლშევიტებმა“.

გენერალ-მაიორის — კორის წერილიდან. (გაზ. „ბორბა“, № 140, 396 — 27 ივნისი, 1919 წ.).

26 მაისს ჩატარებული შეიმი და ინგლისელ სარდლობასთან დამყარებული თანხმობა, დიდხანს არ გაგრძელებულა.

ოთხი დღის შემდეგ — 30 მაისს დენიკინის ლაშქარმა, სადავო ტერიტორიის დაკავების მიზნით, მდინარე მენჯადირთან საქართველოს საზღვარი გადმო-  
ლაბა.

ინგლისის სარდლობა, ყარსიდან გამოტანილ იარაღს, დენიკინს აწვდიდა საქართველოს ტერიტორიით, რაც მაშინდელი საქართველოს მესვეურთათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, მთავრობის განკარგულებით, იარაღით დატვირთული ბრიტანეთის მატარებელი თბილისის სადგურზე დააკავეს.

31 მაისს, მთავრობის თავმჯდომარეს — ნოე ჟორდანიას ბრიტანეთის ძალების სარდალი ამიერკავკასიაში — გენერალ-მაიორი კორი ეახლა.

კორი აღშფოთებული იყო. იგი ჩქარი ნაბიჯით შევიდა ჟორდანიას კაბინეტში. მას ქუდი არ მოუხდია. მთავრობის თავმჯდომარეს ხელი როდი ჩამოართვა. მხედრული სალაში მისცა და უკმეხად შეეკითხა:

— იცით თუ არა თქვენ, რომ თბილისის სადგურზე საქართველოს ჯავშნიანმა მატარებელმა ბრიტანეთის მატარებლის მთელი შემადგენლობა დააკა-  
ვა და მას არ უშვებენ?

— დიახ.

— მერმე, რას ჰგავს ეს?

გენერალ კორთან ერთად შემოსული პოლკოვნიკი — ბელე, ინტერპრეტატორი — კაბინეტი ხენტი და კაბინეტში მყოფი პოლკოვნიკი — მელიკოვი და მდივანი — მაჰაგარიანიც ფეხზედ იდგნენ და ასე უსმენდნენ განრისხებულ გენერალს. კორმა ისე ხმამაღლა უყვირა ჟორდანიას, თითქო თავის ხელქვეით ოფიცერს დანაშაულისათვის ტუქსავს და პასუხისგებაში მიცემით ემუქრებო. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს შერცხვა დამსწრე პირებისა. მხრები აიჩეჩა, ცალი წარბი „ფირალივით“ მალა ასზიდა, შეათამაშა, არყის ზის ქერქისფერი, უცნაური თვალები თავზედ გენერალს შეანათა და განუმარტა:

— ეხლა, დენიკინის ლაშქრობასთან სამხედრო მოქმედების ხანაში, ინგლისის სარდლობის მიერ ყარსიდან გამოტანილი რუსული საომარი იარაღის დენიკინისათვის მიწოდებას ჩვენ ვერ დავუშვებთ.

ჟორდანია დაჯდა და გენერალ კორს სავარძელი შესთავაზა. გენერალმა ჟორდანიას თვალთა უკეთური და მრისხანე გაეღეება დაიჭირა. გაუკვირდა: ასეთ ურჩობას როგორ მიბედავსო. დაჯდა და ეხლა უფრო მშვიდად შეეკითხა:

— იქნებ თქვენი თანხმობის გარეშე მოხდა ეს უმსგავსოება? რა პირადად თქვენ დაკავებთ ბრიტანეთის მატარებელი?

გენერლის კილომ ისევ შეურაცხყო მთავრობის თავმჯდომარე დამიტომ კორს ისევ ცივად მიუგო:

— დიას.

— საკვირველია, როგორ გაბედით!

სიჩუმე ჩამოვარდა. კორმა და ქორდანიამ ერთმანეთი თვალებით გასინჯეს. კორი ისევ გაუტეხელ კა „გაკუშებულ“ კაცის უცნაურ თვალებს წააწყდა და გაიფიქრა: „ქართველები ამყები და ჯიუტები ყოფილანო“. ქორდანიამ სარდალის ქედზე მიკრულ კოკარდას შეხედა: დიდი ბრიტანეთის იმპერიის სამეფო გვირგვინი ატოტებულ ლომებს თათებით ეკავათ. კორი მოეშვა და ახლა თავისთავზე უფრო დიდ ავტორიტეტულ პირთა საშუალებით სცადა ქორდანიას დაშინება:

— კეთილი. მე დღემას გავუგზავნი და ვაცნობებ სტამბოლში უმაღლეს სარდლობას, რომ მატარებლის მთელ ბრიტანულ შემადგენლობას არ შეუძლია თბილისიდან გასვლა თავის მარშრუტით, ვინაიდან მას საქართველოს ჯავშნიანი მატარებელი სროლით ემუქრება.

ქორდანიამ შენიშნა:

— გენერალ კორს ვთხოვ, ისიც აცნობოს უმაღლეს სარდლობას, რომ ამ მატარებლით მიდიოდა რუსული იარაღი დენიკინის არმიისათვის, რომელიც ამჟამად საქართველოს რესპუბლიკასთან ომს აწარმოებს.

— ის იარაღი ეგზავნება ბაქოთი — თურქმენებს. — გაუსტყადა კორმა.

— ბაქოთი და მერმე კი პეტროვსკით — დენიკინს. — გაუსწორა ქორდანიამ. კორმა იწყინა:

— მე მხედარი ვარ და ტყუილი არასოდეს არ მიტყვამს.

ქორდანიას თანდათან ცხრებოდა. იგი შეშინდა და ბოლოს მეგობრული საუბარი არჩია:

— მე დიდად მწყინს, რომ ამგვარ გაუგებრობას და ფაქტებს სწორედ ესლა აქვთ ადგილი: ინგლისელების წასვლის მომენტში, მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობას სულითა და გულით სურდა ინგლისელებსა და ქართველებს შორის მეგობრული ურთიერთობა სამუდამოდ დამყარებულიყო.

კორმა უნდობლად შეხედა. ცალი თვალი ეშმაკურად დაქუტა და მიუგო:

— დაუგერებელი ამბავია, ვინაიდან, როდესაც თქვენ ამას ლაპარაკობთ, ჯავშნიანი მატარებელი დგას ბრიტანეთის მატარებლის შემადგენლობასთან, სპეციალურად იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს ინგლისური იარაღის გადაზიდვას. ეს არის მეგობრული ურთიერთობა?

— დაკავებულია მხოლოდ რუსული იარაღით დატვირთული ვაგონები. ინგლისური იარაღით დატვირთული ვაგონები კი — ვაშვებული იქნება. — დათმობაზე წავიდა ქორდანიას.

— თქვენი განკარგულების თანახმად, ჯავშნიანი მატარებელი ბრიტანეთის მატარებლის მთელ შემადგენლობას ემუქრება. — ჩააცივდა ჯავშნიან მატარებელს კორი.

— ასეთი განკარგულება საქართველოს მთავრობას არ გაუცია. — თავს იმართლებდა ქორდანიას.

— ჯავშნიანი მატარებლის უფროსისა და იმის მიხედვით, რაც რეგულაციის სადგურზე ეხლა ზღვება, მე იძულებული ვარ დავასკვნა, რომ ასეთი განკარგულება თქვენს მიერ გაცემულია. — არ უჯერებდა კორი.

— გენერალს უფლება აქვს მე დამიჯეროს, გინდ არა, — ეს შისი საქმეა, მაგრამ რახან შე ვამბობ: საქართველოს მთავრობას ასეთი განკარგულება არ გაუცია მეთქი, ეს საქმარისია. ინგლისური იარაღით დატვირთული ვაგონები, ეიმეორებ, გაშვებული იქნება. — მიუგო ეორდანიამ.

— მიუხედავად მთავრობის თავმჯდომარის ასეთი განცხადებისა, ჯავშნიანი მატარებელი ემუქრება ბრიტანეთის მატარებლის მთელ შემადგენლობას და არც ერთ ვაგონს არ უშვებს. — ისევ მანიაკივით დაიჩემა და ჩააცივდა კორი ჯავშნიან მატარებელს.

ეორდანიამ გაიფიქრა: „ხომ არ მამახსრებსო“ და კატეგორიულად განუცხადა:

— მე ჯავშნიანი მატარებლის უფროსი არა ვარ. არც სადგურის უფროსი. ამიტომ არ ვიცი იქ რა ზღვება.

კორმა ღიმილი შეიკაეა. თავი ჩაჰკიდა და გაიფიქრა: „ეს რა მოსწრებულად მიპასუხაო“. ეორდანიამ კი გაიფიქრა: „ხომ არ გადავამლაშეო“ და ისევ დათმობაზე წავიდა:

— მე გავგზავნი სადგურში ჩემს მდივანს, თუ თქვენ ინებებთ, თქვენს ოფიცრებთან ერთად, რომელიც ადგილობრივ გამოარკვევს ვარემობას და ბრიტანეთის მატარებელს გაუშვებს. ჩვენ სრულიადაც არა გვსურს ინგლისელებთან მეგობრული ურთიერთობის გამრუდება... ჩვენ... — ეორდანიამ გენერალ კორს ზოტბა შეასხა.

კორი ყურს უგდებდა. თანაც ფიქრობდა: „ჩვენ განა არ გვსმენია აღმოსავლეთის ხალხთა ტკბილი ჰანგებიო“ და ბოლოს მიუგო:

— მე ვარწმუნებ მთავრობის თავმჯდომარეს საქართველოსადმი ჩემს უცვლელ კარგ დამოკიდებულებაში, მაგრამ — წყენით გაიქნია თავი კორმა: — რატომ დააყენეთ თქვენ ჯავშნიანი მატარებელი თბლისის სადგურზე, რათა ხელი შეეშალა ბრიტანეთის იარაღის გადაზიდვისათვის — კორმა ისევ გაიქნია თავი, თითქო ძალიან სწუხს: ნეტავი ეს უბედურება არ მომხდარიყო.

„ისევ ჯავშნიან მატარებელს ჩააცივდა ეს ოჯახქორიო“, — გაიფიქრა ეორდანიამ და მიუგო:

— ეს გაუგებრობა გამოსწორებული იქნება. რაც შეეხება ჯავშნიან მატარებელს, მისი მუდმივი სადგომი არის სადგური — თბლისი.

გენერალი კორი უმალვე გასწორდა საეარძელზე. გოაცებით შეხედა ეორდანიას და მიახალა:

— ეს გაუგებრობა არ ვახლავთ. იცით თუ არა თქვენ, რას ნიშნავს: ბრიტანეთის მატარებლის გაჩერება?

„ქვეყნის დაქცევას, წარღვნას და მეორედ მოსვლას“. — გაიფიქრა ეორდანიამ, მაგრამ მერმე გაურკვევლად წაილულლულა:

— ინგლისური ვაგონები არ შედიოდნენ მატარებლის შემადგენლობაში. ისინი უორთქლმავლოდ იდგნენ.

კორი წინ გაღიზარა. მაგიდაზე იდაყვი შემოსდო. ფართო ნიკაპს ცერი შეუყენა. ეორდანიას ისევ გოაცებით დააცქერდა და გესლიანად შეეკითხა:

— პარველად აკავებთ ბრიტანეთის მატარებელს?

— დიახ.

— და უკანასკნელად?

— ვიმედოვნებ.

— არ კი ვიმედოვნებ, არამედ — უეჭველად! — მიუგო <sup>ერკენულმა</sup> კიშკერმა, <sup>კიშკერმა</sup> კენთიან სახეზე ერთბაშად ათასი ნაოჭი დაიფანტა, თითქო თვითელმა მათგანმა დამცინავად გაიღიმაო.

ამ ირონიულმა ღიმილმა ქორდანიი წელში მოშალა და მან ისევ გაურკვეველად წაიღულღულა:

— იმ პირობით, რომ ვაგონები არ გაეგზავნება გენერალ დენიკისს.

— აკი ვითხარით, — მიუგო კორმა, — იარაღი ეგზავნება თურქმენებს, რომლებიც ბოლშევიკებს ებრძვიან. ვფიქრობ: საქართველოს მთავრობა წინააღმდეგი არ არის ბოლშევიკებთან ბრძოლისა.

— გენერალს კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს მთავრობა, მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებებით, ებრძვის ბოლშევიკებს. იგი ბოლშევიკებთან ბრძოლის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ საქართველო არაფერ ზელსაყრელს არ ზედავს იმაში, რომ რუსული საომარი იარაღი, საქართველოს ტერიტორიით, დენიკისს ეგზავნებოდეს. — შენიშნა ქორდანიამ.

— ნუთუ თქვენ დარწმუნებული ხართ იმაში, რომ დენიკინი საქართველოს შართლა ებრძვის! — გაუკვირდა კორს, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ მაშინდელი ინგლისი, დენიკინი და მენშევიკური საქართველოც ერთ წერტილში სცემდნენ და ქორდანიას ფაფხური და „ნეიტრალიზაციის“ თამაში კი სოჭის შენარჩუნების სურვილით იყო გამოწყვეული.

— ეს უეჭველად ასეა, — მიუგო ქორდანიამ კორს.

— ეტყობა, საქართველოს მთავრობას სწორი ცნობები არ მოეპოვება. — შენიშნა კორმა.

— გუშინ დენიკინის არმიის ნაწილებმა, მდინარე მენხადირთან, შემოტევა დაიწყეს. რას ეძახით თქვენ ორ სხვადასხვა ერის სამხედრო ნაწილებს შორის შეტაკებას, როცა არიან მოკლულნი და დაჭრილნი? — ჰკითხა ქორდანიამ.

„კომედისა“, — გაიფიქრა კორმა, მაგრამ ქორდანიას ღიმილით მიუგო:

— გაუგებრობას, რომელიც, თუ თქვენ ოდნავ დათმობაზე წახვალთ, ადვილად იქნება თავიდან აცილებული.

ბოლოს მამაც ინგლისელ გენერალს მოსწყინდა ლაცობა. 11 ივნისს, ბრიტანეთის მთავრობის დადგენილებების თანახმად, მან ქორდანიას ბრძანება გაუგზავნა. ამ ბრძანების მიხედვით საქართველოს საზღვარი, სადაო მდინარე ბზიბიდან — სამხრეთით უნდა გავლდებულყო... ამიერკავკასიის სახელმწიფოებს თავი უნდა შეეკავებინათ მოხალისეთა ლაშქრის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებისაგან, ხელი უნდა შეეწყოთ გენერალ დენიკინისათვის და მიეწოდებინათ მისთვის ნაეთი და სხვა მასალები. ეს ბრძანება მენშევიკურმა მთავრობამ პირნათლად შეასრულა.

ხმა გავრცელდა: ინგლისელები საქართველოდან წასვლას აპირებდნო. დენიკინის ლაშქარი რუსეთში ბოლშევიკებს ამარცხებდა და მოსკოვისაკენ მიიწედა. რუსეთში გამარჯვების შემდეგ, დენიკინი საქართველოსაც ჩაყლაპავდა.

ამ ამბებით შესფოთებულმა ესტატე მაყაშვილმა ვარდოს გამოცხადება  
 „საქართველოს ცაზე კვლავ შავი ღრუბლები გროვდება“ და ქვიშეთში  
 ცოლშვილის გაგზავნა 20 ივნისამდე გადასდო.

ეროვნული  
 ბიბლიოქოცა

### ჩაშლილი ექსპერტია

„უფროს დას — ემის და უმცროს დას — ჯენის ერთმანეთი  
 უყვარდათ, მაგრამ მიუხედავად ამ სიყვარულისა, ჯენის ეჯავ-  
 რებოდა ემი. ემისაც, თავისებურად, ეჯავრებოდა ჯენი, ყოვე-  
 ლივე მისი შურდა, იმდენად შურდა, რომ ხშირად შხად იყო  
 აშკარად მიყენებინა მისთვის შეურაცყოფა და ტყვილები“.

ფრანკ სუინერტონ: „ერთ საღამოს“...

მზით დამწვარი ტანი საშინლად უხურდა კორნელის, თითქო მდუღარე გა-  
 დაავლესო. საღამოს სიციხემ აუწია და, ტყვილების დასაამებლად, დეიდა  
 ელენემ ტანსა და სახეზე მაწონი წააცხო. უფრო ზურგი აფეთქა. კან ქვეშ  
 წყალი ჩაუდგა, საწოლზე ვერ ბრუნდებოდა და იტანჯებოდა. რამდენიმე  
 დღის შემდეგ, კანი ლღვსავით გასძვრა. ძალიან სწუნდა: მაყაშვილებმა,  
 ნინოს უნახავად, ქვიშეთში არ გამასწრონო. მაგრამ ვანოსაგან შეიტყო,  
 რომ მაყაშვილები 20 ივნისამდე ქვიშეთში არ გაემგზავრებოდნენ.

უნივერსიტეტში გამოცდები იწყებოდა. გამოცდებისათვის შხადებას და  
 მეცადინეობას ორი გარემოება უფერზებდა კორნელის: ნინოს პასუხის მო-  
 ლოდინი და ასკერის მოკვლა.

ის საბუთი, რომელიც ნინომ ცოლობაზე უარის თქმის დროს მოიყვანა,  
 კორნელის თავმოყვარეობას და ზნეობას შეეხებოდა. კორნელი ნინოს წინაშე  
 ჩადენილ დანაშაულს დიდ ბოროტებად არა სთვლიდა და შეურაცყოფილ  
 ქაბუქს შებღალული კაცობის აღდგენა სურდა.

ასკერის მოკვლაც ზნეობრივ საკითხს შეეხებოდა, მაგრამ ეს უფრო რატ-  
 ლი საკითხი იყო და მისი აწონ-დაწონის დროს კორნელი იბნეოდა.

კორნელისთან ვანომ შეიარა და უთხრა: დღეის სწორს ელო, ნინო და მე  
 მცხეთაში წასვლას ვაპირებთ და მათი სურვილია — შენც წამოხვიდე, შენი  
 საგზლითურთო. კორნელი მაშინვე დასთანხმდა.

იმის შიშით, რომ ელოსას დილის 7 საათზე მისვლა არ დაჰკვიანებოდა,  
 კორნელის მთელი ღამე არ დაუძინია. გარიყრაყისას წაქეჩინა მხოლოდ. მერმე  
 დეიდამაც გაუჭირვა საქმე: უქმელი ნუ წახვალ, ჩაი ეხლავე ადუღდებო. რვის  
 ოცი წუთი გავიდა და კორნელის ელოს ბინაზე მისვლა ისევე დაავკიანდა.

ელოს ნერვები აეშალა. კორნელის მოსდგა და მერმე არც ნინო და არც  
 ქმარი არ დაინდო:

— ის კაცი რომ ჩვენ ანგარიშს გვიწევდეს და პატივს გვიცემდეს, წუხელ  
 არც კი დაიძინებდა, არაფერს არ მიჰხედავდა და აქ დანიშნულ დროზე  
 მოვიდოდა.

ნინომ მაჯის საათს დახედა და მიუგო:

— რვის ნახევარზე რომ მოვიდოდეს, მატარებელს მაინც მიუტყურებთ.

— უცადე. — ბრაზით შენიშნა ელომ. უძილო თვალები დაახამხამა და  
 ქმარს ზიზლით შეხედა.

ვანო ჩანთაში საგზალს აწყობდა. უხაროდა, რომ მცხეთაში, ცოცხლოვრთ, მიდიოდა: ცოლის გულისსმოგება სურდა და ექსკურსიის ჩინებულად ჩატარებისათვის ყოველი წერილმანიც კი გაითვალისწინა. ეხლა ლაშქარის საზღვარის ხალათზე სარტყელი შემოერთყა და, სამი კაცის საგზლით გატევილი ჩანთა ზურგზე მოეგდო. იგი ოთახში სეირნობდა და, ბედნიერის ღიმილით, „ქეთო და კოტედიან“ არხენად ღიღინებდა: „წავიდეთ მალე, წავიდეთ მალეო“...

— გაჩუმდი, იდიოტო. — დატუქსა ელომ. — პირდაპირ ნერვებს მიშლის ეგ შენი აბეზარი ბზული. წავიდეთ მალე, წავიდეთ მალე. განა თქვენს ხელში სადმე, ოდესმე და თავის დროზე წახვალ!

— ელო, — უყვირა დას ნინომ, — ნერვებს რად იშლი, მიკვირს, ღმერთმანი! ჩვენ ხომ სიამოვნების მისაღებად მივდივართ მცხეთაში და არა უსიამოვნებისათვის!

— რა სიამოვნებაა, — მიუგო ელომ, — შეხედე: უკვე რვის ნახევარია. ჩვენ დავაგვიანეთ!

ვანომ სათვალე გაიკეთა, და საათს დაჰხედა: რვას ოცი წუთი აკლდა. პირი დაალო და გაუბედავად ჩაილაპარაკა:

— რა მოუვიდა კორნელის!

— რა მოუვიდა? — ისევ დატუქსა ელომ ქმარი, — რა მოუვიდა და, ალბათ ლეონ შერაბიანციან და მარჯარიტა ლეტციან ერთად ქეიფობდა წუხელ. შენ აკლდი მათ. შენ რომ იქ ყოფილიყავი, მაშინ ჩინებული კომპანია იქნებოდა. არა, — მიუბრუნდა ელო ნინოს, — ესენი ნამდვილად დაგვეციან. არავითარი ხათრი, მორიდება და პატივისცემა არა აქვთ ჩვენი. სიყვარულზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. გვაპამპულეებენ და თავს იქცევენ. არა, ნამდვილად დაგვეციან.

— ეს დაცივნა ძალიან ძვირად უჯდებათ მათ, — ღიმილით შენიშნა ნინომ. ელო აენტო და უყვირა:

— თუ ის ვაჟბატონი არ დაგვეციან და ნამდვილად უყვარხარ, რისთვის თქვენსას ამდენხანს არ მოვიდა? რისთვის შენთან შეხვედრა არ ინება?

— იქნებ ინება კიდევ, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, არ მოხერხდა. — მიუგო ნინომ.

რამდენადაც ელო ჰლელავდა, იმდენად უფრო მშვიდად იყო ეხლა, რატომღაც, ნინო. ეს გარემოება კიდევ უფრო აბრაზებდა ელოს და ბოლოს, კორნელის გასაშავებლად, უდავო საბუთი მოიყვანა:

— შენ რომ იმ ვაჟბატონს უყვარდე, უშენოდ ვეროპაში წასვლაზე არც კი იფიქრებდა.

ასეთ ინტიმურ საკითხზე, ვანოს წინაშე საუბარი, ნინომ უხერხულად მიიჩნია და ელოს შენიშნა:

— ეხლა აქ არც იმის დროა და არც იმის ადგილი, რომ ვარკვიოთ: ეუყვარვარ თუ არა მე კორნელის.

— როგორ? — იყვირა ელომ. საშინლად გაწითლდა და თვალები ბუდიდან კინადამ არ გაღმოსცვივდნენ. — მე არა მაქვს უფლება ამ საგანზე შენ გელაპარაკო, შენ — ჩემ დას? როგორი თავმოყვარე და ამაყი გამხდარხართ, ქალბატონო! ბოდიში.

— ელო, დაწყნარდი, აბა, დაფიქრდი, რას ჩადიხარ! — დამშვიდება დაუწყო ნინომ, მაგრამ ელო არ ცხრებოდა:

— უკვე რვა საათია. სად ბრძანდება ის თქვენი შეყვარებულო? უცადეთ. მან უკვე დაგვეცინა და დაგვაფურთხა ჩვენ. იგი ალბათ ათ საათზე მობრძან-



დება და იცრუებს: უბედურება შეემთხვა და იმიტომ დამაგვიანდაო. შენ კი პირს დაადებ, დაუჯერებ და შეგეცოდება კიდეც. მაშ, რა მსახიობია, შენ თუ ვერ მოგატყუა!

— ელო, რა საბუთით ამბობ მაგას. — შეეკითხა ელოს წინაშე მსახურსე ოღნავ გაფითრდა.

— მე ბევრ რამეს გეტყოდი შენ მის შესახებ, მაგრამ მეშინია: ისევ ცუდად არ გახდეს.

— სთქვი.

— გეტყოდი, მაგრამ შენ განა მას რამეს დაუმაღავ? — შენიშნა ელომ.

— სიტყვას გაძლევი, რომ არაფერს არ ვეტყვი. დიდუდას გეფიცები! — ნინო ანკესზე წამოიგო.

— მაშ კარგი, — უთხრა ელომ და მერმე ქმარს უბრძანა: — სთქვი, როგორი საუბარი ჰქონდათ რესტორანში მარგარიტას და კორნელის ნინოს გამო.

— ჩემს გამო? — გაოცდა ნინო. „პერი-მა, ისევ აურიეს და ამომიღეს ნიშანშეო“, — გაფიქრა ვანომ და ტანში გააცივა.

— დიას, — მიუგო ნინოს ელომ და ' ქმარს უყვირა: — ხმა ამოიღე, რამ დაგამუნჯა?

— ეს რომ კორნელიმ შეიტყოს, თავს მოიკლავს ან გამოათავებს. — მუღარით მიჰმართა ცოლს და გააფრთხილა ვანომ. ნინომ ელოს მაგიერ უთხრა:

— მშობლებსა და ჩემს თავს ვფიცავ, რომ ვერასოდეს ვერ შეიტყობს.

— მე ელოსა და თქვენი ოჯახის სიყვარულმა ჩამადენია მეგობრის გაცემა. — დაიწყო ვანომ. — ცხადია, მე თქვენი ინტერესები, მეგობრისაზე უფრო მაღლა დავაყენე. მე მყავს შვილთა ოჯახის ღირსების დაცვა მსურდა და ამიტომ...

— შორიდან ნუ იწყებ. პირდაპირ სთქვი. — ისევ უბრძანა ელომ მის მიერ დაგლახაკებულ და წამხდარ ქმარს. ვანომ ხელების-მტვრევით და ცბიერად განაგრძო:

— მარგარიტა კორნელის შეეკითხა: „ამბობენ, თქვენ ნინო მყავს შვილის შერთვას აპირებთო, მართალია, თუ არაო“...

ვანო შეჩერდა და ცოლმა ისევ მუჯღუგუნეი ჰკრა:

— კორნელიმ რა უპასუხა?

— „ტყუილია. რა დროს ქალის შერთვაო“. მარგარიტას გაეხარდა და შენიშნა: „მეც ასე ვფიქრობდი. თქვენ განა ქალს შეირთავთ? თქვენისთანები ცოლშვილისათვის არ არიან შექმნილიო“.

— მერმე კორნელიმ რა უთხრა? — ეხლა ნინო ეკითხებოდა ვანოს.

— სხვა საუბარი არა ჰქონიათ. — მიუგო ვანომ.

— ენაო! — შესძახა ქმარს ელომ. — მაშ შენ იცრუე, მარგარიტამ ნინოს დასცინაო?

— მე რას მერჩოდა? — გაუკვირდა ნინოს.

— ჰო, — მიუგო ვანომ, — მარგარიტამ კორნელის უთხრა: „საბრალო, რა ყალბ კაცსა და პოზიორში გაგცვალათ თქვენ იმ თავქარიანმა გოგონამო“.

— კორნელიმ რაღა უთხრა? — შეეკითხა ნინო.

— არა მგონიაო. — მიუგო ვანომ.

— სხვა კიდეც რა სთქვეს?

— სხვა არაფერი.

— ელო, უთხარი სთქვას. რატომ არ ამბობს? — გულუბრყვლოდ შეეხვეწა ნინო.

— მეც მხოლოდ ეგ მითხრა. — მიუგო ელომ.

„ღმერთო ჩემო, რა შეურაცყოფაა: ის მრუში და ქვეყნის სათრეველა ქალი ხალხში დამცინოდა, თავყარიან გოგოს მიწოდებდაო.“ — გაიფიქრა ნინომ. მაგრამ შეურაცყოფის გრძნობა ისევ ეკვება შეუცვალა: „ნუთუ კორნელის წერილი მოგონილია. ნუთუ კორნელის მართლაც არ ვუყვარვარ და მარგარიტაში გამცვალაო“. რა წამს ეს გაიფიქრა, მაყაშვილთა ახულის სიამაყეც მაშინვე გაქრა. მას კორნელი უყვარდა, ეპვი ანელებდა და, ეტყობოდა, იგი კორნელისგან ამაზე უფრო დიდ დამცირებასაც აიტანდა; ამ წუთას მას მხოლოდ ერთი რამ სურდა: ვანოს ნაამბობი მოკორილი ყოფილიყო.

— ეგ როდის იყო? — შეეკითხა ნინო ვანოს.

— ეს კორნელის ომში წასვლამდე მოხდა. — მიუგო ვანომ.

— მაინც, ზამთარში თუ გაზაფხულზე?

— ეს იანვარში იყო.

„პაემანზე აღრე ყოფილა. მაშინ შეიძლებოდა“. — გაიფიქრა ნინომ, ღრმად ამოისუნთქა და გულზე ბოტჩა მოეშვა. ელო კი, ისევ ძველებურად მსჯელობდა:

— აი, ხომ ხედავ. ეხლა ხომ მიხვდი, რისთვის მეჯავრება მე კორნელი? რისთვის ვუწოდე მე მას მსახიობი? ერიდე მას: იგი შენდამი სიყვარულშიაც კი თვალთმაქცობს... იგი არ არის გულწრფელი!

„არა-გულწრფელი“, — გაიფიქრა ნინომ. მაშინვე კორნელის წერილი მოაგონდა, წონასწორობა დაკარგა და წამოცდა:

— არა, თქვენ მართალი არა ხართ, მე თქვენ მის წერილს წაგაკითხებთ და დარწმუნდებით, რომ იგი გულწრფელია, რომ მე მას ვუყვარვარ, რომ მას არ შეუძლია მე დამცინოს. — მერმე გონს მოვიდა და უმაღლეს დამძინა: — მაგრამ ეს ისეთი წერილია, რომ შიგ სხვისმა თვალმა არ უნდა ჩაიხედოს.

— რა წერილი! — გაოცდნენ ელო და ვანო.

ნინო შეკრთა, რედუქტულს ხელი წაატანა, მკერდზე მიიკრა, თითქოს ეშინოდა წერილი არ გამომტაცონო და ელოს უთხრა:

— მე წაგაკითხებთ მის წერილს, მაგრამ შემომფიცეთ, რომ არავის ეტყვი, შემომფიცეთ, რომ წერილის შინაარსს, თქვენს გარდა, სხვა ვერავინ ვერ შეიტყობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე თავს მოვიკლა.

ნინო მაგიდასთან იდგა და მთელის ტანით ცახცახებდა. ელო და ვანო განცვიფრებით მისჩერებოდნენ მას. უცბად, ელო დამშვიდდა. მიხვდა, რომ ნინოს გაგიჟებით უყვარდა კორნელი და მის წინაშე დანაშაული იგრძნო. ძლიერ შეეცოდა ნინო და თვალზე ცრემლი მოადგა. ვანომ კი გაიფიქრა: „შებნდე შენ იმ ეშმაკს, როგორი წერილი მიუწერიაო“. ამ დროს, კარებზე ვილაყამ დააკაკუნა და, ნინო სკამზე მოცელილივეთ დაეკარდა.

კორნელიმ ელოს ნამტირალევი თვალეზი და ნინოს ფერმკრთალი და აგზნებული სახე რომ დაინახა, მაშინვე მიხვდა: აქ რაღაც დიდი უსიამოვნება მომხდარაო. იმასაც მიხვდა, რომ უსიამოვნების მიზეზი, მისი დაგვიანება იყო. ქალები მუნჯად ისხდნენ და გაუბედავად შესცქეროდნენ კორნელის, რომელ-

საც გალიფე, ჩექმები და ტილოს ხალათი ჩაეცვა, თავზე თუშური ქუდი დაეხურა და მხარზე კი საგზლით სავსე ჩანთა და საველე დურბინი გადაეკიდა. კორნელი შუა ოთახში შეჩერდა, ფეხი ფეხს მხედრულად მიადებდა. — თავი დაუკრა და მერმე ორთავეს ხელზე ეამბორა. ელომ უკეთურად შეხედდა ხელი ნაძალადევედ გაუწოდა და შენიშნა:

— თქვენ სიტყვის კაცი არ ყოფილხართ.

კორნელი შეერთა და ნინოს ისეთი მუდარით შეხედა, თითქო შევლას თხოვსო. ნინომ გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და ჩუმის ხმით შეეკითხა:

— რა მოგივიდათ? რად დაიგვიანეთ?

— დეიდას, უეცრად, ბრმა ნაწლავი ასტკივდა; საშინელი შეტყეები დაეწყო; ექიმში მივუყვანე და დამავკიანდა. — მიუგო კორნელი. ეს საკმაოდ საფუძვლიანი საბუთი იყო იმისათვის, რომ ქალებს საყვედურის თქმა შეეწყვიტათ.

— თუ ასეა, საკვირველია, მცხეთაში როგორ მოდიხართ? — შეეკითხა ელო.

— ექიმმა ვასინჯა, წამლები გამოუწერა და სთქვა: ორი ან სამი დღე დავიცდით, მე ვფიქრობ, ოპერაცია არ დასჭირდებაო. — მიუგო კორნელი.

— ჰერი-პა, ეს რა უბედურება მოსვლია დეიდა შენს? მაგრამ, არა უშავს, უთუოდ გაუვლის. მაშ, ეხლა წავიდეთ. — დაიძახა ვანომ, — მეორე მატარებელს მაინც მივუსწროთ!

ყველანი სადგურისაკენ გაემშურნენ.

ელო და ნინო წინ მიდიოდნენ. მათ ტილოს მთლიანი, უსახელო კაბები ეცვათ. ფეხზე — მოკლე წინდები და სანდლები. თავზე კილის ქუდები ეხურათ, ხოლო ხელში — ჩინური ქოლგები დაეჭირათ.

— შე პირდაღლო, დეიდასაც არ ინდობ! რას ერჩიოდი, კინაღამ რომ მოჰკალი? — ჩუმად ჰკითხა კორნელის ვანომ.

— არა, ჩემმა მზემ, ცუდად არის. — მიუგო კორნელი.

— ფეხი აიღე... განა ვერ მივხვდი, რომ იცრუე! კარგად მოიგონე. ელო და ნინო ისეთი გაბრაზებული იყვნენ, რომ ტყავს გაგაძრობდნენ. — უფრში უჩურჩულა კორნელის ვანომ. მერმე ჩუმად ჩაიხეხეხინა და ცხენსავით გრძელ კბილებზე ხელი აიფარა.

კორნელი ელოს და ნინოს შეხედა. ნინო ჯარისკაცივით მხნედ მიაბიჯებდა. ზურგზე დიდი შესწოდა და ბეჭებ შორის, თეთრ სხეულზე კორნელიმ ბუსუსები შეამჩნია. ნინო მამინევე მოტრიალდა, კორნელის და ვანოს გაუღიმა და უთხრა:

— უკან რას მოჩანხალბთ!

ქაბუკები ქალებს დაეწივნენ, მკლავში ხელი გაუყარეს და სადგურისაკენ ჩქარი ნაბიჯით გასწიეს.

სადგურში ცუდი ამბავი შეიტყვეს ექსკურსანტებმა: მეორე მატარებელი ნაშუადღევს 4 საათამდე არ იქნებოდა. მცხეთაში წასვლის საკითხი მოიხსნა. პირში ჩალაგამოვლებული ქალები ქალაქისაკენ თავჩალუნული, ნელა და უმიზნოდ მობოროილობდნენ. ელო ბრაზისგან იგუდებოდა და მზად იყო — კორნელი დაეხრჩო. ნინო კი ნალელიანად, დარცხენით იღიმებოდა, კორნელის

ხანგამომავლებით თვალს შეასწრებდა და ეცოდებოდა—ელოს რისხვა თავს არ დაატყდესო. ასე მივიდნენ მუშტაიდაძემდე. აქ კი ვანომ სიჩუმე დააღვლია:

— მეგობრებო, მუშტაიღში მაინც შევიდეთ. მტკვრის პირას ჩაჩლილი მოვსძებნოთ და იქ...

— გაჩუმდი. — სიტყვა გააწყვეტინა ელომ. — მე მუშტაიღში არ წამოვალ.

— თუ გნებავთ, ბოტანიკურ ბაღში წავიდეთ, — გაუბედავად შესთავაზა კორნელიმ.

— არც ბოტანიკურ ბაღში და არც მამადავითზე, — მოუჭრა ელომ, — მე მცხეთაში გულით მინდოდა წასვლა. რახან ეს გეგმა ჩაშალეთ, ეხლა არსადაც არ წამოვალ. სალდათები ზომ არა ვართ, მუშტაიდის ბაღში რომ ხის ქვეშ დავეყაროთ. არა, მე არსად არ წამოვალ.

კორნელის უზრდელად ეჩვენა ელოს ასეთი პასუხი, თავი ველარ შეიკავა და შენიშნა:

— ქალბატონო ელო, მე თქვენ უკვე მოგახსენეთ მიზეზი ჩემი დავგიანებისა. ვგრძნობ დანაშაულს და დიდად ვწუხვარ, რომ ჩემს გამო ჩაიშალა დღევანდელი ექსკურსია. ზედმეტი საყვედურებით ნულარ დამსჯით. რაიცა შეეხება მუშტაიდს, — იქ სალდათებიც და ჩვენზე უკეთესებიც დაიარებიან. მეც სალდათი ვარ და თუ თქვენ სალდათთან ყოფნა და სეირნობა გეთაკილებათ. — იყოს ნება თქვენი: გზა მშვიდობისა!

ამ ტირილს ნინო შემფოთებული ისმენდა და გული ჩიტსავით უფართოვლებდა; ეშინოდა: ვაი, თუ ელომ კორნელი არ დაინდოსო. ელო ბრაზისაგან გაღურჯდა, კორნელის ისევ უკეთურად შეხედა.

— არა, მე მაინც საქმე მჭონდა ქალაქში. მეგობართან უნდა შემეელო. თქვენ კი, სადაც გენებოთ, იქ წაბრძანდით, — მიუგო ელომ. ყველას ბრაზით შეხედა, თოფნაკრავივით შეტრიალდა და ტანალესილი შინისაკენ კუშტად წავიდა.

დედამისის შვილი იყო და, ვანო არ გაყვებოდა. ვანომ ბოდიში მოიხადა და ცოლს, მურა ძალსაებრ ძუნძულით, გაევიდა. ცოლქმარს ნინოც გამოუდგა. ელოს სამჯერ დაუძახა, მაგრამ დამ არ მოჰხედა. მაშინ ნინო ხის ქვეშ ობლად გაჩერდა.

კორნელი მივიდა და წყევით უთხრა:

— რა უცნაური, რა ნერვიული ქალია, ეგ თქვენი ელო!

ნინოს არ უბასუხნია. იგი, ფიქრში წასული, შინისაკენ მიმავალ ელოს და ვანოს გაჟურებდა. მერმე ამოიხზრა და პირველად მიხვდა, რომ მცხეთაში მიმავალი ექსკურსანტების ბანაკი ორ ჯგუფად გაიყო. რომ ელოს და მას შორის ზღვარი გაითხარა და, ამიერიდან, მათი სავალი გზები უნდა გაყრილიყვნენ.

ნინო ერთბაშად გამოიცივალა. მერცხლებით მოხატული ქოლგა დაატრიალა. კორნელის გაუღიმა და უთხრა:

— წავიდეთ მუშტაიღში.

— წავიდეთ. — მიუგო კორნელიმ. ქალს მკლავში ხელი გაუყარა და მუშტაიდის ბაღისაკენ წაიყვანა.

## მუშაიღვი



„მამაკაცის ცხოვრებაში ცოცხალ კმნილებას ოდესმე აჩრდილივით თუ ჩაუვლია, ის აჩრდილი, უთუოდ, ასულია, ისეთი, როგორც მე მაშინ მიყვარდა, როდესაც თავად ქაბუჯი ვიყავი. (რაც ამჟამად წარმოუდგენელია). მაგრამ მაინც, ჩემი ცხოვრების ყველაზე უკეთესი რეალობა, ესეც ამ აჩრდილის მოგონებაა.“  
 ანატოლ ფრანსის: „ბოროტმოქმედება სიღვესტრ ბონარისა“.

დილის ათი საათი იქნებოდა. მუშტაიდის ბალი-ცარიელი იყო. მხოლოდ ორი მერძევე რუსი დედაკაცი მოდიოდა ქალაქისაკენ, მეძავები, ქურდები და ჯიბგირები ფულს იყოფდნენ და მოხუცი მებაღე წურწურით ყვავილებს რწყავდა. მოხუცმა გაოცებით შეხედა კორნელის და ნინოს. გაუკვირდა: ეს რა უცხო ჩიტები მოფრენილან ამ დილით ჩემს ბაღშიო! შემოსულთ ქუდი მოხსნა და მიესალმა.

— გამარჯობა, ბაბუა, — უთხრა კორნელიმ, — ერთი ეს მითხარი, სალდათების გარდა, სხვა ვინმე თუ დაიარება ამ ბაღში?

— ქვე, მარტო სალდათებისათვის კი არ გაუშენებიათ ეს დიდებული ბაღი. — მიუგო მოხუცმა. იგი რაკველი იყო, ჯერ კიდევ ჯანიანი, დაბალი, ტაბაკვერა და მხარბეჭიანი. წურწური მიწაზე დასდო და კორნელის თეთონი სთხოვა. კორნელიმ სათუთუნე ამოიღო, გახსნა და, საამო სახის მოხუცს, პაპიროსი მიაწოდა. მოხუცი ლაპარაკის გუნებაზე მოვიდა. კორნელის ვინაობითა და საღატობით დაინტერესდა. ნინოს კეთილი თვალებით უცქეროდა და უღიმოდა. მაგრამ კორნელი მალე დაემშვიდობა, ნინოს ისევ მკლავში ზელი გაუყარა და მებაღეს გაეცალა.

კორნელიმ და ნინომ ასწლოვან ჭანდრებს ჩაუარეს. ნინო გაოცდა. გოლდათი ხეების კენწეროებს აპხედა. მათ მოხატულ ტანს ზელი შეხბო და ბუმბურაობა შეუქო. ეხლა ცაცხვებთან შეჩერდნენ და მერმე კი ძინაძინის ხეივანს გაპყვნენ. ხეივანში გრილოდა. ნინომ ქოლგა დაჰკეცა. ძინაძინის ტოტეები მალლა შეერთებულიყვნენ და ნინოს და კორნელის თავზე გუმბათივით დასდგომოდით, თითქო საზღაპრო ტალავარის ქვეშ მიდიანო. ბუმბული-სებრი, და გვიმრის მსგავსი, ნაზი და გამჭვირვალე ფოთლები ეთერში უცნაურად ვალურსულიყვნენ, თითქო სძინავთო. ფოთლები შვის სხივებს ატარებდნენ და სინათლე ხეივანშიც აშუქებდა. ქოლგასაებრ გაშლილი ძინაძინის ტოტების ქვეშ მიმავალ ნინოს სახეზე ზღაპრული ფერებით მოქსოვილი, ნაზი, მარმაში და მომწვანო პირბადე მიჰფენოდა. ნიავმა ოდნავ შეარხია ფოთლები და ძინაძინის შტოებისგან შეთხზული, პაეროვანი გუმბათი ეთერში სიზმარივით შეირხა. ფერწასულმა, მომწვანო, წარმტაცმა და საოცნებო მარაოს ჩრდილებში ნინოს სახეზე ნელინელ გადაურბინეს და ჭალი, მთვარიან ღამით, ტყეში მოსეირანე ფერიას დაამსგავსეს, თითქო მდინარიდან ამოსულა და ძინაძინის ხეივანშიც კი არ მიდის, — მისცურავსო.

კორნელიმ ქალს შეხედა და იგი ფერმკრთალი, დასუსტებული და მინაზებული ეჩვენა. უმალე კარისმგრეთი მოაგონდა. პირველ ღამეს, მთვარიით განათებულ მდნორზე რომ მიჰყავდა ნინო.

ნინო და კორნელი ხეივნიდან გავიდნენ. ეხლა ისევ ცაცხვები მგეყარათ. ცაცხვებზე ჩიტები ირეოდნენ. ზოგნი საამოდ უსტეენდნენ, თითქო, ხეივანში მიმავალთ უცხო ჰანგებით მიაცილებნო.

კორნელი და ნინო მტკვრის პირას, ერთ დიდ ცაცხვის ქვეშ შეჩქარდნენ. ნინომ კორნელის გაზეთი გამოართვა, სკამივით გამოთლილ სალ ქვაზე გადააფინა და ზედ დაჯდა. კორნელიმ ჩანთა და ღურბინდი მიწაზე დაალაგა და ნინოს შეეკითხა:

— ამ ცაცხვის ქვეშ სალდათი რომ თქვენს გვერდით დაჯდეს, ხომ არ დასძრახავთ?

— თქვენ უმნიშვნელო საწყენსაც კი ბოროტად იმახსოვრებთ, თურმე. — მიუგო ნინომ.

— სალდათები ელომ რომ ცუდად მოიხსენა, ის მეწყინა. განა სალდათება სათაქილო ხალხია? განა მე სალდათი არა ვარ? — შეეკითხა კორნელი და ქალის გვერდით ბალახზე დაჯდა.

— რალა უნდა გაბასუბოთ? სიმართლე თქვენს მხარეზეა. — გაულიმა ეშხინმა ჭალმა კორნელის.

ნინოს და კორნელის წინ, სულ ახლოს, პირთამდე სავსე მტკვარი მიგრიალებდა. მდინარის ნაპირას, რიყეზე, კუდცანცარები და წყლის შაშვები ხტოდნენ, ტანზე წყალს იელებდნენ და გაშლილი ფრთებით ფათქუნობდნენ. წყალ ვაღმა, მთა იყო აღმართული. მთიდან ჩანჩქერი ჩამობოდა და, მერმე, კლდეზე გადმოდენილი, მტკვარში ეშვებოდა. მთით დაქანებული და რძესიებრ თეთრად აჭაფებული წყალგარდნილის ხმაურს მტკვრის გრიალი ჰდარავდა. წყალგარდნილის ახლოს, ციცაბო მთის ტაფობზე, ორსართულიანი ნაგებობანი მოსჩანდნენ.

— აი, ეს ჩვენი, მეორე საარტილერიო ბრიგადის ყაზარმებია. ჩვენი ბრიგადის ბიჭები უვარგის ცხენებს ამ მთაზე მოიყვანდნენ, მტკვრის პირას ციცაბოზე დააყენებდნენ, თავში ნაგანს ან შაშხანას ესროდნენ და წყალში გადააუძახებდნენ. — უთხრა კორნელიმ ნინოს.

— უი, რატომ?

— ის ცხენები უკურნებელი სენით იყვნენ დაავადებულნი. ასეთები რომ არ მოგვეკლა, სენს სხვა ცხენებსაც გადასდებდნენ და დაჰლუპავდნენ. იმ სენს კატუჯარს ეძახიან. ტვინის დაავადებაა აქეთი. ცხენს ნესტოებიდან საპნის ქაფის მსგავსი ჩირქი ჩამოსდის. საკვირველია: იმ სენს რუსულად „საპს“ ეძახიან.

— უი, რა საშინელი სენი ყოფილა! — შენიშნა ნინომ და საბურთალოს მთაზე გაშენებულ ყაზარმებს გაჰხედა.

უცბად, ცაცხვის კენწეროზე უცხო ჩიტი შემოჯდა. საამური და რალაც ნაღელიანი სტვენა დაიწყო. კორნელიმ აჰხედა და გაუკვირდა:

— საოცარია.

— რა?

— ამ ჩიტმა, ჩემს მიერ მოკლული ასკერი მომაგონა.

— როგორ?

— საღამოს, — დაიწყო კორნელიმ, — სანდრო, კუკური და გიგა ნახუცრი-შვილი მოკლული ასკერის სანახავად წაიყვანე. ვერხვის ქვეშ, მოშიშვლებულ მინდორზე ასკერი ეგდო. ასკერს ცალი ფეხი მოჰკეცოდა, ხელები გაეშალა და



მოკრუნჩხული თითებით ბალახი ისე ჩაებლუჯა, თითქო დედამიწას ჩაკონე-  
ბით, ირგვლივ აი, ასეთი სიჩუმე იყო. ხის კენწეროზე შემდმჯღარი ჩიტი,  
აი, სწორედ ასევე გულდაგულ უსტვენდა მხიარულსა და უცნაურსა შანგზე.

— როგორ მოჰკალით ის ასკერი? — ჰკითხა ნინომ.

კორნელიმ დაწვრილებით უამბო. ნინო სულგანაბული უსმენდა, და როდესაც  
კორნელიმ ასკერის მოკვლის თხრობა დაასრულა, ქალმა ისევ ჰკითხა:

— შეგეცოდათ?

— ძალიან შემეცოდა. ლამაზი ჰაბუკი იყო. — მიუგო კორნელიმ. მერმე  
ცას გაპხედა და, ნინოსათვის უცნაური, ჩივილი დაიწყო:

— ადამიანთა მიერ შექმნილი საზოგადოებანი, სახელმწიფონი, მათი ბრძო-  
ლაჰიდილი და ომი, შესაძლოა მართლაც, „ამაოებაა ამაოებათა“ და სხვა  
არაფერი. აწმყო და მომავალ თაობათა ბედნიერ ცხოვრებისათვის ხანმოკლე  
სიცოცხლეს სწირავდე კაცი, ან სხვას ჰკლავდე, — უაზრობაა; სწირავდე ისე,  
რომ მეოცემ კი არა, თუნდ მეორმოცე საუკუნეშაც მოგიგონოს, როცა ექნება  
მსჯელობა შენი დროის და საუკუნის პოლიტიკაზე, მეცნიერებაზე, ხელოვნე-  
ბაზე და ამ დარგში მომუშავე გამოჩენილ ადამიანებზე. რა არის ორმო-  
ცი ან ოთხასი საუკუნე შედარებით მსოფლიოსთან? უსაზღვრო სიერცესა  
და დროსთან შედარებით, ადამიანის ცხოვრებისათვის მიჩნეული დრო  
წვეთია ზღვაში. წვეთიც კი არ არის. ამ თვალთა ხედვის მიხედვით, ადამი-  
ანს ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევის უფლება არა აქვს. მიუხე-  
დავად ამ შეგნებისა, ადამიანთა მიერ შექმნილი საზოგადოება, სახელმწი-  
ფო და მათი კანონები გვაიძულებენ საკუთარ თავისუფლებაზე ხელის აღე-  
ბას, სხვათა ნებასურვილის მიმართ მორჩილებას, სხვა მიზნების განხორ-  
ციელებისათვის საშუალებად გახდომას და იარაღად გადაქცევას: ომში  
წასვლას, საკუთარი და სხვისი სიცოცხლის განწირვას. მე ამას განვიციდი  
როგორც წყევას, ჩემგან დამოუკიდებელ უაზრო და სასტაყ სასჯელს. ის  
ხანმოკლე სიცოცხლე და დრო, რომელიც ადამიანს ამა ქვეყნად აქვს მი-  
კუთვნილი, ისე უნდა იყოს მის მიერ გამოყენებული, როგორც მას თავად  
სურს და არა სხვას. სიცოცხლის ყოველი საათი, წუთი და წამიც კი მე უნ-  
და მეკუთვნოდეს და არა სხვას. ამიტომ არის სახელმწიფო პიროვნებისა-  
თვის საშინელი.

— მასეთი საზოგადოება, ამა ქვეყნად, არასოდეს არ დამყარდება და რომც  
დამყარდეს, რა სანატრელი იქნება! ასეთი კაცთმოყვარე, უსისხლო, უნებისყო-  
ფო და დამბლადაცემული ქართველები დიდად შეარცხვენდნენ ჩემი ქვეყნის  
გმირ, რაინდ და მებრძოლ წინაპართა საფლავებს. — შენიშნა ნინომ.

ნინოს შენიშვნამ კორნელის მაშინვე მოაგონა ომში დაღუპული ჯგებე მი-  
ქელაძის დაკრძალვის დროს, ერემო გოდებანიძის მიერ თქმული სიტყვები:  
„თქვენკენ იწევენ საფლავებიდან წინაპართა ჩონჩხის ხელები და ითხოვენ მა-  
მულის გადარჩენას“.

კორნელიმ გაოცებით შეხედა მაყაშვილთა ქალს. იგი ამაყად იჯდა ეხლა  
მტკერის პირას. ამ წუთას ნინოს თვალები ისეთი ჰკვიანნი, საზრიანი და ბას-  
რი იყვნენ, რომ კორნელი მაშინვე მიხვდა, რა რიგად გამოცვლილა და გარ-  
დილა ეს ქალი, რა რიგად გამახვილებულა მისი გონება და გრძნობა. ნინო,  
მართლაც თავის წინაპარს — პაპასა ჰგავდა. კორნელის უნახავს პაპა მისის  
სურათი. ნოდარ მაყაშვილი მრისხანე, ფიცხი და ამაყი იყო. იგი სამოცა

წლის იქნებოდა, როცა ხევში, მოულოდნელად, ლეკები თავს დაესხნენ. ნოდარმა ათი ლეკი აპყუწა და მერმე მომხდურთ, თავისი ხალხით, ალაზნამდე მისდია. ალაზანზე მტრის რაზმის ნახევარიც კი არ გასწავლა. თითქო იმ წინაპარმა გაიღვიბა ეხლა ნინოშიო. ქალმა ისევ ჰკითხა კორნელის:

— მარტოკა ერთი კაცი გყავთ თქვენ ომებში მოკლული?

— ზარბაზანზე მუშაობის დროს, ამდენ ომშია, — მიუგო კორნელიმ, — ჩემს მიერ გასროლილ ყუმბარას, ალბათ, არა ერთი კაცი დაუშავებია და მოუკლავს კიდევ, მაგრამ მე ეს არ დამინახავს და ამიტომ მშვიდად ვიყავი. ზოლო ასკერი რომ მოკვალი, თვალნათლივ დაეინახე და, რაც დრო ვადის, მით უფრო მეტად მაღონებს. ჩემს თვალებს ჰაბუკი ასკერის სახე არ შორდება. ბოლოს იმ ზომამდე მივედი, რომ თავი კაცის მკვლელად ჩავთვალე და დანაშაულის მონანიების სურვილი დამებადა. პროზექტურაში მკედრებზე მუშაობა ველარ შევიძელი და სამკურნალო ფაქულტეტის მიტოვება გადაწყვიტე.

— შე აღრევეც მითქვამს თქვენთვის, რომ თქვენი საქმე უფრო ხელოვნება და ლიტერატურა არის მეთქი. — შენიშნა ნინომ. — რა მოგივიდათ? ნუთუ ასე შეგაშფოთათ ასკერის მოკვლამ? თქვენ რომ ის ასკერი არ მოგეკლათ, იგი მოგკლავდათ. მაშ, როგორ გენბავთ? მომხდური მტერი ჩვენს ჯარს რომ არ დაემარცხებინა, იგი დაგვამარცხებდა და ქვეყანას ააოხრებდა. იქნებ სჯობდა, დამშვიდებით გვეცქირნა მტრის ურდოებისათვის, როცა ისინი სამშობლოს დამონებდნენ, ხალხს გაკლედნენ და ააწიოკებდნენ, დაანგრევდნენ ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებს, ხოლო სიონისა და სვეტიცხოვლის ტაძრის ჯაგარიან ქვებიდან თავის უმსგავსო საცხოვრებელს გაიშენებდნენ! მაშ, რად გაწუხებთ ასკერის მოკვლა? უნდა მოგეკლათ იგი. ოსმალთა მიერ მოკლული, თქვენი მეგობრის — გრიგოლ ცაგურიშვილის სანაცვლო იყოს.

— ამინ! — მიუგო კორნელიმ. მრისხანედ ვაპხედა პიჭთამდე სავსე მტკვარს. ეხლა, მის გულში, ასკერისადმი შებრალება წარიშალა. ნინოს შენიშვნის შემდეგ, კორნელი საშიშ და სასტიკ ფიქრთა შორევიდან, თითქო, ფონს გადიოდა.

კორნელი და ნინო საარტილერიო ბრიგადის ყაზარმებს მიაჩერდნენ. ნინომ კორნელის მოაგონა:

— გახსოვთ, ჭალბატონ ტერეზასთან ერთად იმ ყაზარმებში თქვენს სანახავად რომ მოვედით?

— როგორ არ მახსოვს? — მიუგო კორნელიმ და მაშინვე მოაგონდა: თავლიდან გამოყვანილი ჯიშინი ცხენი, „გიაური“ რომ მოეწონა ნინოს.

ნინო მტკვარს დააცქერდა და სვედიანის ხმით სთქვა, თითქო მოხუცია და შორეულ წარსულს იგონებდა:

— ეხ, რამდენი წყალი წავიდა მას შემდეგ, ვინ იცის!

— ის დრო სჯობდა.

— რატომ?

— მაშინ ჩვენ უფრო ბედნიერი ვიყავით. — მიუგო კორნელიმ.

ნინომ უმაღვე შეხედა, ჯარისკაცის ტანსაცმელში, ცალ გვერდზე ნახევრად წამოწოლილ ჰაბუკს. შეერთა: წერილზე პასუხი არ მომთხოვოსო და ისევ მტკვარს ვაპხედა. მთავარ საკითხზე პირდაპირ გადასვლას და საუბრის დაწყებას, ორივენი გაუტბოუნდნენ და ამიტომ ღობე-ყორეს ედებოდნენ. ბოლოს კორნელიმ გაბედა და ასე დაიწყო:

— ნინო, ჩვენ აქ მარტონი ვართ. შეგვიძლია დამშვიდებით ვისაუბროთ და

გამოვარკვით ჩვენ შორის არსებული გაუგებრობა. — კორნელი ძლიერ პლელაუდა. სუნთქვა უწყდებოდა და მისი ხმა ყრუდ მოისმოდა, თითქო სამართიდან ამოდისო: — მე ამ შეხვედრას მოუთმენლად ველოდმ. შექონლობითი პასუხის მოცემა თქვენ არ მოისურვეთ და იქნებ ახლა მძინე სიბაასუხით! რა ჩაეიღინე ისეთი, რომ შემძულეთ, ჩემი არაფერი არა გვერათ და ჩემს გულწრფელობაში ეჭვი შეიტანეთ?

ნინო გაფითრდა. ამ მეორე პაემანის ეამს, ნინოს უფრო მეტი საბუთი ჰქონდა კორნელი მიწასთან გაესწორებინა და ცოლობაზე უარი ეთქვა, მაგრამ რესტორანში დაწერილი წერილით ისევ მოჯადოებული იყო. თანაც, ომგადახდილი კორნელი, რომელმაც ფრონტზე ასკერი მოჰქლა, — გმირად ეჩვენებოდა და ამიტომ თვალი მოაჩიდა, დედამიწას დარცხვენით დააჩერდა და ასე მიუგო:

— თქვენ მე დამცინეთ იმ უნამუსო ქალის წინაშე, რომლის სახელი მე არც კი მინდა ვახსენო და, რომელმაც მე თავქარიანი გოგონა მიწოდა.

კორნელი შეკრთა. გულისცემამ უმატა და შენიშნა:

— მართალია, მან ასე გიწოდათ თქვენ. მაგრამ მე რა შუაში ვარ? განა ეს ჩემი აზრია?

— ეს მაშინ იყო, როცა თქვენ ჩემზე ნაწყენი იყავით და, ალბათ, უფლება შეეცით თქვენს თავს, ჩემთვის დაგეციანათ. — არ დაეთანხმა ნინო.

— მე თქვენთვის არასოდეს არ დამიცინია. იმ ქალმა კი, შესაძლოა, დაგეცინათ. არ უარეყოფ.

— შერმე თქვენ დამშვიდებით მოუსმინეთ? რატომ მე არავის არ ვაძლევ უფლებას თქვენ დაგეცინოთ? რატომ მე გეჭომაგებით ყოველთვის, როდესაც თქვენ მიწასთან გასწორებენ? თუ ეჭვი გეპარებათ, რომ ასეთებიც არიან? — ჰკითხა ნინომ.

— არა. — მიუგო კორნელიმ, — შურით სავსენი, ბოროტნი და ცილისმწამებელნი, ამა ქვეყნად, არასოდეს არ დაიღვეიან.

— განა თქვენ არ განუცხადეთ იმ გარყენილ ქალს, რომ ქალის შერთვაზე თქვენ არასოდეს არ გიფიქრიათ? — ისევ შეეკითხა ნინო.

კორნელის ეს სიტყვები ნათქვამი ჰქონდა მარგარიტა ლეტცისათვის და ეხლა საჭირო იყო საბუთი მოეყვანა თუ რატომ სთქვა ეს.

— განა ყოველ გამვლელისა და გამოშვლელისათვის, ან იმ გერმანელ ქალისათვის ანგარიში უნდა ჩამებარებინა ჩვენი ინტიმური ურთიერთობის გამო? მაშინ მე ისეთივე ბრიყვი და რვეგენი უნდა ვყოფილიყავი, როგორც ის კაცი, ვინც ეს ჭორი მოგიტანათ.

ნინოს ჰკუთხა დაუჯდა კორნელის პასუხი. კორნელის შეხედა და მუდარით უთხრა:

— კორნელი; გთხოვთ ამ საგანზე ნულარ ვილაპარაკებთ. მე მეზიზღება, მე მრცხენია. გემუდარებით: დღევანდელ დღეს ნუ ჩამაშხამებთ.

— კეთილი, — მიუგო კორნელიმ, — მაგრამ ნუთუ მე არ უნდა ვიცოდდე: ხვედრათ თუ არა იმ ჭორებისა?

— მჯეროდა, მაგრამ თქვენი წერილის შემდეგ, თავგზა ამებნა. შეუძლებელია, იმ წერილის შემდეგ, თქვენს გულწრფელობაში ეჭვი შევიტანო. მე ამაზე ფიქრისაც კი მეშინია. გვედარებით: ეხლა ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. მე ბურანში ვარ. მომეტით დრო და საშუალება ყოველივე აწწონ-დაწწონო. ხომ იცით — დრო ჩვენზედ უფრო ბრძენია. დრო ყველაფერს გამოარკვევს. მე

ხომ აჩქარებული ქალი ვიყავი! მე კიდევ დაგაკვირდებით თქვენ, იმ ქორების მთქმელსაც და მაშინ ყოველივეს საბოლოოდ მოვისაზრებ. *ქვეყნის წერილები* ჩემი საბოლოო პასუხიც ეგ არის.

ასეთი პასუხი სრულიადაც არ აკმაყოფილებდა კორნელის. „აშკარაა, — ფიქრობდა იგი, — ჩემსა და ნინოს დამოკიდებულებას ვილაც ბინძურის ხელით შეპყბნია და გაუბზარავს. მთავარი, მაინც ჩემსა და მარგარიტას შორის რესტორანში მომხდარი საუბარია. მაგრამ რესტორნიდან ვინ გაიტანა ეგ საუბარი: თვითონ მარგარიტამ, ქეთომ, მოცეკვავე ქალმა — ზინამ, ლეონმა, თუ ვანომ? ყველაზე საშინელი იქნებოდა, რომ ჩემს მეგობარს — ვანოს დაეცა ჩემთვის ქურდულად დანა“. — ისევ გაიფიქრა კორნელიმ და ნინოს ჰკითხა:

— ვანომ ხომ არ გაიმბოთ თქვენ ის ქორი?

ნინო შეკრთა. კორნელის წყენით შეხედა და მიუგო:

— მე არასოდეს არ გეტყვით ამას. ვანო რა შუაშია! ნუ მკითხავთ. ოდესმე გეტყვით... როდესაც მე სახეებით დაერწმუნდები თქვენს გულწრფელობაში და სიმართლეში. როდესაც ეშვის ნატამალიც კი არ დამჩება. მაშინ, შესაძლოა, თქვენს ფერხითი დავეცე, ყოველივე მოვინანიო და შეურაცყოფისათვის პატიება გთხოვოთ. ნეტავი ეს ასე მოხდებოდეს და, ელოს თქმის არ იყოს, გათავდებოდეს ერთმანეთის წამება.

— მე კარგად ვიცი იმ წამების სათავე. მაგრამ მისი აღმოფხვრა ო, რა ძნელია.

— როგორ?

— ნუ დაგაფიწყდებათ, რომ თქვენც ქალი ხართ.

— მერმე რა, ქალი რომ ვარ?

— ქალები ყველაფერს ლამაზი ფერებით ხატავენ, აფერადებენ და აზვიადებენ. ზოგნი, ჩვეულებრივ ადამიანს გენიოსად, გმირად და ზეადამიანად წარმოიდგენენ. ხოლო ახლო გაცნობის შემდეგ, თავიანთ გმირში ადამიანურ ნაკლს აღმოაჩენენ და მაშინ, მათი პირვანდელი, მათ მიერვე შექმნილი ილუზია იმსხვრევა. — მიუგო კორნელიმ.

ნინო სდუმდა.

— თუმცა, არიან სხვანაირი ქალებიც, — განაგრძო კორნელიმ უცნაური საუბარი; — არის შემთხვევა, როდესაც ქალი მახინჯს ან რეგვენს შეიყვარებს და ცოლადაც გაჰყვება. აი, მაგალითად, თქვენი მეგობარი: მომღერალი-ქალი ვერა ალექსანდროვნა სამარინა ჩინებულ ქმარს გაეყარა და სომეხ ექიმს გაჰყვა — კუზიან და მაიმუნის მსგავს ვილაც კაცუნას.

— იგი მართლაც მაიმუნსა ჰგავს. საოცარია: რა მოეწონა იმ კაცში! — შენიშნა ნინომ.

— ალბათ იმ კაცს ისეთი რამ თვისება გააჩნია, რაც სხვა ქალებს არ შეუძინევიათ, სამარინამ კი შეამჩნია, მოეწონა, ხოლო, შესაძლოა, იმ კაცს ის თვისება მერმისში არც კი აღმოაჩნდეს. თუმცა, ისეთი გამოცდილი და ნაცხოვრები ქალი, როგორც სამარინაა, მამაკაცში არ შეცდება და რასაც ეძებს — სწორედ იმას იპოვნის.

კორნელის სიტყვები ორაზროვნად, უზერხულად ეჩვენა ნინოს. ქალს გაუკვირდა, ვაოცებით შეხედა კორნელის, შერცხვა და სახეზე წამოწითლდა. კორნელი კი, ისევ განაგრძობდა უცნაურ საუბარს:

— მე არა ვარ მახინჯი და რეგვენი, მაგრამ არც გენიოსი და არც გმირი ვახლავარ. მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და, მაშასადამე, არც ერთი ადამიან-

ნური ნაკლი, სისუსტე, ცდუნება და უზნეობა, უცხო არ ირის-ჩემთვის, მე პატივმოყვარე და მერყევი ვარ, მე მრუშობაც კი ჩამიდენია. თუმცა ის არასოდეს ჩემს ზნეობას და კაცობას საბოლოოდ არ შეჰხებია. არიან ქალბატონობის წუთიერი კავშირის შემდეგ, არასოდეს აღარ მოგაგონდება. ისინი ქალები კი არა, მართლაც — მანქანებია. მაგრამ შეგხედვებით ქალი, რომელიც არა მარტო სარცელზეა სანატრელი. ის სულსა და გულში ჩაგიჯდება, მისი სახე შენს თვალებს არასოდეს აღარ მოშორდება. უმისოდ სიცოცხლეს კი აღარ გინდა, იგი ადამიანს აღამალლებს, კაცად გახდის, გულში სიკეთის და სათნოების გრძნობას ჩაუნერგავს და საგმირო საქმისაკენ მოუწოდებს. აი, ასეთი ქალი ხართ თქვენ ჩემთვის. ილუზია სჩვევიათ არა მარტო ქალებს, არამედ მამაკაცებსაც, შესაძლოა, — მეც. დეე, ასე იყოს! მე თქვენ მიყვარხართ სხვანაირი სიყვარულით. თქვენ ჩემთვის ჩვეულებრივი ქალი როდი ხართ.

ქალმა შეხედა სიყვარულის გრძნობით მთვრალსა და ოცნებათა სამყაროში გადასულ ჰაბუკს. გულითადი და სევდიანი ხმით განუცხადა:

— ჯორწინების ეამს მამაკაცი უნდა იყოს წმინდა, ზნეობრივად და ფიზიკურად, ისეთივე სუფთა და სვეტაქი, როგორც ქალი.

ამ განცხადებამ უმალვე გამოაფხიზლა კორნელი, თითქო სიყვარულის გრძნობით გადამთვრალ ჰაბუკს თავზე ცივი წყალი გადაავლესო. ნინოს სიტყვებმა სრულიად განაიარაღეს კორნელი და მან არ იცოდა რა ეპასუხნა ქალისთვის. თითქო ყველაფერი, რაც კორნელიმ ნინოს უთხრა, თითიდან გამოწოვილი, მკდარი სიბრძნის ნაყოფი იყო, რომელიც რეალურ ქალთან — მყავილთან ასულთან ურთიერთობის ეამს გაცამტვერდაო. კორნელი თავს დამარცხებულად სთვლიდა. იგი, ქალის გვერდით, დარცხვენილი იჯდა. ბოლოს შორიდებით შეხედა.

გულხელდაკრეფილი ნინო ეხლა მწუხარედ გასცქეროდა მტკვარს და მის წინაშე მარბენალი ჩქარი ტალღები, უხილავი ნიჩბების მოსმით, თითქო ნაგების მხგავსად მიჰქრიაო. თავბრუ დაეხვია და ასე მოეჩვენა, თითქო მტკვარი — აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ნაპირზე მკდარი კორნელი და თვითონ კი — დასავლეთისაკენ მისცურავენო. ნინო იდაყვებით მუხლისთავეებს დაეყრდნო. პეპლის ფრთასებრ შუაზე გაყოფილი, ფართო და ორკაბი ნიკაბი ხელის გულებს დააბჯინა და ისევ დედამიწას დააქერდა. ქალს მაჯის სიმსხო, დავრავნილი ნაწნავები წინ — მკერდისაკენ გადაეგდო და კალთაში ჩასცვენოდა; ისინი — ცოცხალ არსებად ეჩვენენ კორნელის. მათი ხელში ალება და ალერსი მოუნდა. მაგრამ მძაფრ ჰერეტაში წასული ქალის სიმშვიდის დარღვევა ვერ გახედდა. წინ წახრილ ქალის ზურგს დააქერდა. კოფთის ღილი ისევ გახსნილი ჰქონდა ნინოს და ბეჭებს შორის, თეთრ ტანზე — ბუსუსები უჩანდნენ. ჩქარი სუნთქვის გამო ასულის ბეჭები პატარა საბერველებივით მოძრაობდნენ და მთელი სხეული თანაბრად ირხეოდა, თითქო ქალი დაიღალა და ძილი ეპარებაო და, მართლაც, ნინო გრძელ წამწამთა სიმძიმით ნაბავდა თვალებს.

კორნელიმ ნორჩი და უმანკო ასულის ტანის სურნელება იგრძნო. თავბრუ დაეხვია და ქალს ხელი მოჰხვია. ქალმა ცრემლიანი თვალებით შემოჰხედა.

ნინოს თვალები, ერთის შეხედვით, შავი იყვნენ, როგორც გომბორის მთაზე ჩამოწოლილი უმთვარო ღამე. მაგრამ ოდნავ მაინც თუ დააკვირდებოდა კაცი, მალე შენიშნავდა, რომ მისი თვალები ბნელს ჰფანტავენ და იქედან შეუქთა ისრები მოემართებიანო, თითქო დარი შექმნილა და ცაზე ვარსკვლავები ციმ-

ციმბენო. ამიტომ ნინოს თვალები ორმაგ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ: ისინი, ერთსადაიმავე დროს, აღმოსავლური კაეშნით მიბნედილი, შავი, უფრო და უსახო იყვნენ და თანაც — შუქიანი, მეტყველი და საზრიანე. ანუ ქონდა ნინოს, ერთი შეხედვით თითქო ღამაში: ყვრიშალის ძვალი — ფართო და მონ-ლოლსავით ოდნავ ამობორცვილი, ხოლო ხორცსავსე და ფართო ბაგენი — გულუბრყვილობის მაჩვენებელი. მაგრამ პებლის ფრთასაებრ ორად გაყოფილ ნიკაპზე და ორთავ ლაყაზე დამჯდარი ნაქლობი — ფოსოები, თავისთავად ილიმებოდნენ და თვალს ჰხიზლავდნენ თვისის მშვენიებით. შუაზე გაყოფილი, ოდნავ მუჭაბლისფერი შავი თმა და მალალსა და ფიქალ შუბლზე მერცხალი-ვით გაფრენილი წარბები კი იმდენ სიტურფეს, სიხალისეს, ქართულ ეშხსა და პატიოსნებას ჰფენდნენ სახეზე, რომ ეს ქალი კორნელის მართლაც წმინდა ნინოს ხატს მოაგონებდა, თითქო კაბადოკიიდან მოსული მარად ქალწული, საქართველოს დედა-ქალაქში, მალალი მთის წინაშე, მტკვრის პირას დამჯდარაო; დამჯდარა წიაღერისაგან დარჩენილ, დრო-გამის გამო გამოქართულ და გამოფიტულ, მოვარდისფერო ფილაქვაზეო.

კორნელიმ ქალის პატარა და ნაზი ხელი შეიპყრო, ზედიზედ აკოცა და ტოხრა:

— ნეტავ იცოდეთ, რა ძვირფასი ხართ თქვენ ჩემთვის! ნეტავ იცოდეთ, რა მსხვერპლი შემეძლია მე თქვენთვის გავიღო! მე მხოლოდ თქვენი ბედნიერება მსურს, როგორც პუშკინი იტყოდა ხოლმე:

...«И сердцем ей желать все блага жизни сей:

Веселья, мир души, беспечные досуги,

Все... даже счастье того, кто избран ей,

Кто милой деве даст название супруги».

— მაღლობას მოგახსენებთ ასეთი დიდი სულგრძელობისა და ბედნიერების სურვილის გამო. — წყევით შენიშნა ნინომ, ხელი გამოსტაცა და ისევ მტკვარს გაჰხედა.

— მაშ რა ვუყო, — შეეკითხა სახტად დარჩენილი კორნელი, — თუკი ჩემი სიყვარული ესოდენ წუხილს და ტანჯვას გაყენებთ? ვანა ჩემი სურვილი პირადი ბედნიერებით არის ნაკარნახევი?

— თქვენ გულუბვი სიყვარული გცოდნიათ. თქვენ მართლაც შეგძლებიათ მსხვერპლის გაღება! — ისევ წყევით და დაციევით შენიშნა ნინომ.

— რაც გინდათ ის იფიქრეთ ჩემს შესახებ. — დაიწყო კორნელიმ, — მე გულ-ახდილად გეუბნებით თქვენ ყველაფერს, რასაც ეხლა განვიცდი. მე ისე ძლიერ მიყვარხართ თქვენ, რომ არ შემეძლია ვიყო არაგულწრფელი და მოგაყენოთ თქვენ ტანჯვა და ტკივილები. მე ძალიან ბევრი ნაკლი მაქვს. შესაძლოა მე თქვენი სიყვარულის ღირსი არც კი ვიყო. მე ეგოისტი ვარ. მე მარტოობა მღრღნის, მე ბნელი ვნებების მქონე და ყველაფერში შეეჭვებული ადამიანი ვარ...

რაც უფრო შავის ფერებით ხატავდა კორნელი თავის სურათს, მით უფრო იზიდავდა იგი ქალს. მით უფრო უცნაურ ადამიანად ეჩვენებოდა კორნელი და თანაც ებრალებოდა იგი. ნინომ ნაღვლიანად შენიშნა:

— თქვენ, მართლაც, საკუთარ პიროვნებით ზედმეტად გართული ხართ. მაგრამ რა? ვანა მეც ასეთი არა ვარ?

კორნელის გაუტყვირდა და მიუგო:



— ადამიანები ეცნობიან ერთმანეთს და თავის საკუთარ მეობასაც, მხოლოდ დიდი ხნისა და მკიდრო კავშირის შემდეგ. რაც უფრო გეცნობით მე თქვენ, მით უფრო მომწონხართ და მიყვარხართ. მაგრამ ბედი ულმობელია, ღმერთი მართ. ალბათ, იმიტომ, რომ მე არსებითად ავი და ურწმუნო ვარ: ვარყვენი

ნინო ერთბაშად შემოტრიალდა, კორნელის შეხედა და გაოცდა:

შუაზე გაყოფილი, შავი გიშრისფერი და ოდნავ ხუჭუჭი თმა კორნელის ზებლს ზემოდ რქებივით აპყროდა. მალალი და ოდნავ კეხიანი ცხვირის გამო- ლადრული ნესტოები გაპტროდნენ და უხილაგი სურვილით უთრთოდნენ. ბა- გენი მოეკუმბა და ზედ დამკინავი და უნდობელი ღიმილი უთამაშებდა. გრძელი და დაკუთხული ნიკაპი, თითქო გაზრდილია. ცალი წარბი, მტაცებელი ფრინველის ფრთასავებრ, მალა გააფრენოდა და იქედან ცალი თვალი, რომელიც დღის სინათლისას გამოსცვლოდა და ორბის ქრელსა და ქროლა თვალს დამსგავსებოდა, — ისეთის ძალით და შუქით ანათებდა, თითქო ცხრამთას იქით მიწურულ ცის დასავალს წვდებდა და ყოველ წვრილმანსაც კი ამჩნევსო. საოცარი იყო ეს ანთებული მარცხენა თვალი, თითქო მის მიერ ნაკვეთი ელვა უსაზღვრო სივრცეს სჭრის და შორეულ ქედებს ერჭობაო.

ნინოს ტანში გააფრთხილა. თვალს ვერ გაუსწორა. შეშინდა. თავი ჩაღუნა და რატომღაც, გაიფიქრა: „სატანა“. რა წამს ეს გაიფიქრა, ცუდათ შეიქნა. სახეზე გაფითრდა და თავბრუ დაეხვია.

— რა მოგივიდათ? — დაიძახა კორნელიმ და ქალს ხელი მოჰხვია.

ნინომ აპხედა და ეხლა კორნელის ჩვეულებრივი, მშვიდი, კეთილი და მუ- დარით საესე სახე ჰქონდა. ქალმა განიერსა და კუნთმაგარ მკერდზე თავი მიაყრდნო ჰაბუქს და ჩუმად უთხრა:

— რალაც ცუდი მეჩვენა.

— ფუი, ეშმაკს! — დაიძახა კორნელიმ. ქანცმილელს და ბალახებში ჩავარდ- ნილ ხელიდან ქალს მარაო გამოსტაცა, გაშალა და სახესთან მაგრა დაუ- ქროლა.

ქალს იამა, თვალეები დახუჭა და ნაზად გაიღიმა.

## გამოთხოვნა

„განშორების საათი დაჰკრა“.

20 ივნისს კორნელი მაყაშვილებს ესტუმრა. ვარდო, ნინო და გამდელის გარდა, შინ ელო და ვანოც იყვნენ. ელო ქვიშხეთში მიჰყავდა ვარდოს. ვანო კი, ვინაიდან თეატრში მსახურებდა, ქალაქში უნდა დარჩენილიყო. ალაშმა უწყის, რას აკეთებდა იგი საოპერო თეატრში, რომელშიაც „მხატის“ წარმოდგენები იმართებოდა აქამად.

მაყაშვილები შუშაბანდიან ფართო აივანზე ისხდნენ და ჩაის მიირთმე- დნენ. უკანა აივნის ფანჯრები ღია იყო და აქედან ხეთა გუნდები და ალვის ხეები მოსჩანდნენ. თბილისში ისევე საშინლად ცხელოდა და არც ერთი ფო- თოლი არ ირჩეოდა.

ბარგი სადგურზე გავეზავნა ვარდოს და ევტოზი და შურა გაეტანებინა. შინ თვითონ დასახლდისობდა და ეხლა კორნელის ჩაის უსხამდა. ორი ეტლი 10 სა- ათისათვის ჰყავდა დაბარებული და ესტატეს მოსვლას ელოდა. ნინომ სთხოვა: კორნელის კაკლის შურაბა გაასინჯინეთო.



ჩაის შემდეგ, ნინო, ელო, ვანო და კორნელი სასტუმროზე გაუღიან, ნინოს ოთახში შევიდნენ იატაკიდან აღებული და კედლებიდან ჩამოხსნილი დაგორ-გლებული ნოხები და ხალიჩები სასტუმროს ერთ კუთხეში ააგდეს. კვიციანი-თვის—როიალისა და სავარძლებსათვის პერანგები ჩაეცვიათ, სურათებისა და ქალებისათვის თხელი, მარმაში ქსოვილი შემოეხვიათ, რათა მწერებს არ წაე-ბილწათ. ოთახებში ნავთალინის უსიამო სუნი იდგა.

ელო და ნინო ტახტზე დასხდნენ, კორნელი ნინოს გვერდით მოთავსდა, ხო-ლო ვანო—ცოლის ფერხით, პირდაპირ იატაკზე გაიშხვართა. ქალებს გული წყდებოდათ, ქალაქს და მეგობრებს რომ სტოვებდნენ და სენტიმენტალურ განწყობილებაზე იყვნენ. ეხლა ელო ქმარს არა სტუქსაედა და ნებას აძლევდა ფეხებზე მოხვევოდა და თავი კალთაში ჩადებდა.

— ყოველ კვირას ქვიშხეთში უნდა ჩამოვიდე. უშენოდ ქალაქში რა გამა-ძლებინებს! — ძილმორეული და ნებიერი ბავშვივით უჩიოდა ცოლს ბედნიე-რი ქმარი.

— საცოდავი, უჩემოდ რა ეშველება! — დაცინვით მოუწლიქა ენა ელომ, თმაში ხელი წაავლო და მოჰქაჩა.

— ვაი, ვაი. — დაიძახა ვანომ და ცოლს ფეხებზე კიდევ უფრო მოეხვია.

ელო და ნინო მორიდებული, მორცხვი, აზიზი ქალები იყვნენ და, რასაც ამაღამ თავისთავს ნებას აძლევდნენ, სხვა დროს არ ჩაიდენდნენ. ელომ გაი-ცინა, კორნელის შეხედა და უთხრა:

— მე ამის იმედი არა მაქვს, აბა, თქვენ იცით, უჩვენოდ თბილისში თუ არ იცუღლუტებთ!

კორნელის მარგარიტა მოაგონდა, დაირცხვინა და თავი ჩაჰკიდა. ნინოს შე-ევცოდა და გაუღიმა. კორნელიმ ხელზე აკოცა. ნინო ელოს მოერიდა და ხელის წართმევა დააპირა, მაგრამ კორნელიმ არ გაუშვა და ეხლა ხელში ნინოს პა-ტარა ნეკილა შერჩა. ელოს კალთიდან ვანომ ცალი თვალით შეხედა მათ და კორნელის გულაჩუყებულ და ისევ ძილმორეულ, ნებიერ ბავშვის მსგავსად უთხრა:

— კორნელი, ლატომ ნინოს შენც კალთაში თავს ალ ჩაუდებ. ესენი ქვიშ-ხეთში სულ მალე წაელენ. მოდი, მანამდე ასე დაეძინოთ.

— შენ კი მომიკვდი! — დაიძახა ელომ და თავში ჩააფარა მაქანკლობის მო-ყვარულ და გაქეჟილ ქმარს, რომელმაც ბავშვსაებრ, ლაპარაკში წაჰბაძა ნინოს.

კორნელიმ უნებლიედ შეხედა ნინოს. ქალს მოკლე კაბა ასწევოდა და ში-შველი მუხლები უჩანდნენ. ნინო გამხდარი ქალი იყო, მაგრამ მუხლები მა-ინც ხორცსავსე, მრგვალი და ბავშვსავით ბუნჩულა და ნაზი ჰქონდა. კორ-ნელი შეკრთა და ნინოს კალთაში თავის ჩადება ვერ გაბედა. ქალი მიუხედა, გაწითლდა, დარცხვინით გაუღიმა და მერმე შიშველ და თეთრ მუხლისთა-ევებზე კაბა გადაიფარა, მაგრამ ფეხზე ჩუსტი წაძერა. კორნელი დაიხარა და ჩუსტი აიღო. პირველად იბილა სრულიად შიშველი პატარა ფეხი ამ ქალისა. ქალს ვარდისფერი საამო ტერფი ჰქონდა. გრძელსა და შხვართ თითებზე, ფრჩხილების მაგიერ, თითქო ვარდის წითელი ფურცლები დაჰფრინიანო. კორნელიმ ნინოს ფეხი შეიბყრო და ზედ ჩუსტის ჩაცმა განიზრახა, მაგრამ, როდესაც ქალს ფეხის გულს ხელი შეახო, ფეხი სწრაფად ამოძრავდა, თით-ქო მახეში გამბული მტრედი ფრთქიალებსო. ქალმა კისკისი აიტება და ქანც-შიღეული ტახტზე წაგორდა. ვანომ თავი ასწია და აღტაცებით დაიძახა:

— ელიტინება, ელიტინება. ნინო ექვიანი და ვნებიანი ყოფილა.

— არაფერიც! — მიუგო ნინომ.

— გჭეიანები და ვნებიანები, ლიტინის მოშიშრები არიან! — აღარ ცხრებოდა ვანო და ისე გათამამდა, რომ ცოლს ფეხსაცმელი გაჰხადა და უჩინოდ ლიტინი დაუწყო, მაგრამ ცოლმა ვერ მოზომა და თავში კარგა ღამანად და მაგრა ჩააფარა. ეს უკვე მასხრობა აღარ იყო, მაგრამ შეშინებული ქმარი უმაღლე გაილურსა.

ცოტა ხნის შემდეგ, ნინოს ოთახში გამდელი შეპოვიდა. ტახტზე წამოწოლილი ქალები და ქაბუკები რომ დაინახა, — შესძახა:

— როგორ მტრედებივით დამჯდარხართ და არხენად ლულუნებთ. ეტლი უკვე მოვიდა.

მაყაშვილები პირველი კლასის ვაგონში. შევიდნენ და დალაგდნენ. ევტიხი და შურა კი მატარებლის ბოლოს — მესამე კლასში ისხდნენ.

პირველი ზარი დაჰკრეს. გამცილებლები თავისიანებს გამოეთხოვეს და ვაგონებიდან ჩამოვიდნენ. ეხლა კორნელი და ნინო, ვაგონის უკანა ბაჰანზე მარტონი იდგნენ. ნინოს ხელები კორნელის დაეჭირა. ქალი და ქაბუკი ისე გალურსულდნენ და ერთმანეთს თვალებში ისე მოჯადოებულვით მისჩერებოდნენ, რომ ეტყობოდათ, ისინი უენოდაც კარგად ახერხებდნენ საუბარს და ერთმანეთისათვის გულისთქმის გამჟღავნებას.

მეორე ზარი დაჰკრეს. ნინო შეკრთა. კორნელის ხელზე ხელი მოუჭირა და შეეკითხა:

— ქვიშეთში არ ჩამოხვალთ?

— უთუოდ. — მიუგო კორნელიმ და ხელზე აკოცა.

მატარებელი დაიძრა. ნინომ ისეთი კავშიანი თვალებით შეხედა კორნელის, თითქო ჰყვედრიდა: „ხომ ხედავთ, როგორ მიყვარართ და რად მტანჯავთო“. კორნელიმ ისევ ხელზე აკოცა, მერმე ქალის ხელი ღვეჯზე მიიღო და წასვლა დააპირა, მაგრამ ნინომ მუდარით შეხედა და არ გაუშვა. მაშინ კორნელი დაიხარა და ქალს შუბლზე საშუკერ აკოცა. მატარებელი მიდიოდა და ნინომ, რატომღაც გაიფიქრა, თითქო სამუდამოდ სტოვებდა კორნელის, თბილისს და სახე წუხილით დაედმიკა. მერმე, უეცრად, კორნელის წელზე ხელი მოჰხვია, განიერ მკერდზე თავი მიადო და ქაბუკს, მთელი ტანით ისე მაგრა მიეკრა, მიეგმასნა და მიეწება, რომ ვერც ვარდო და ესტატე, ვერც ამ ვაგონის და ვერც მთელი ამ მატარებლის მგზავრებიც კი ვერ მოაშორებდნენ და ვერ მოკვლავდნენ კორნელის. კორნელის ნეტარების გამო სუნთქვა ჩაუწყდა. ხმა ვერ გასცა. ვნებიან სურთსავით ტანზე შემოხვეული ქალი კუნთებიან მკლავებით გულში ჩაიკრა, მაგარ სალტეში მოაქცია და იმ წამსვე უცნაურმა ზრახვამ თავში გაუელვა: ამ კარს გავადებ, ვაგონიდან გადავხტები და, ვით კენტაგრებმა ფესალიეთის ქალები, — ნინოს ისე მოვიტაცებო. რა წამს ეს გაიფიქრა, ვაგონიდან ვარდოს შემფოთებული ძახილი შემოესმა:

— ნინო სად არის? ნინო!

კორნელი შეკრთა. ქალს თავი აუწია, თვალებში ჩაჰხედა და მუდარით გახსნილ ტუჩებში ხანგრძლივ აკოცა და ზედ დააცხრა.

ვაგონში ისევ ვარდოს შემფოთებული ძახილი გაისმა.

კორნელიმ ნინოს ხელი უშვა, ვაგონის კარებს მიაწყდა, მოიხედა და ქალს მიადახა:

— მშვიდობით ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო!

ნინო გაფითრებული და დაღალ-მიმოსული იდგა ბაქანზე. თვალები სიციხისავეით უნათებდნენ. კორნელი შეშინდა: არ დაეცესო, მაგრამ ხსენე უარდოს ძახილი, შემოესმა და ამიტომ ვაგონის კიბე ჩაირბინა და გაქანებულ მატარებელზე გადახტა.

კორნელი შეჩერდა და ვაგონებს თვალი გააყოლა. უკანასკნელ ვაგონის ფანჯარაში გამოყოფილი ევტიხის მწითური თავი დაინახა. მზარეულმა კორნელი იცნო. ყველის ვაქარივით გაუღიმა, ხელი დაუქნია და გადმოსძახა:

— მშვიდობით, კორნელი, მშვიდობით, გენაცვალე სულში!

## ცდუნება

„ამ რამდენიმე წლის წინად, პროვინციაში, ახირებულთა მთელი ჯგუფი ვიყავით. ჩვენ ცხოვრობდით უჩვეულო სამყაროში... ზოგმა თავი მოიკლა და ზოგნიც ბუნებრივი სიკვდილით დაიხოცნენ. ერთმა თავი ჩამოიბრძო, ზოგნი კი, მოწყენის გამო, გარყვნილებას მიეცნენ...“

ფლობერი: „წერილები“. 1933 წ.

კორნელი და ვანო ქალაქისავე დაღონებული წამოვიდნენ. დათა და ელენე, ორი დღის წინად, ბორჯომში სააგარაკოდ გამგზავრნენ და ეხლა კორნელი შინ მარტო დარჩა. კორნელი თავჩალუნული მოდიოდა და ვაგონის ბაქანზე ნინოსთან გამოთხოვება აგონდებოდა. მოზღვავებული ვრძნობა და ბედნიერება გულში აღარ ეტეგოდა.

— ეხ, — ამოიოხრა კორნელიმ.

— მარტო დაფრჩით. — შენიშნა ვანომ და მკლავში ხელი გაუყარა.

კორნელის სევდა დაწნადელი შემოაწვა. ვანომ უთხრა:

— სადარდებელი რა ვაქვს? ქალები შეგვირიგდნენ. გამოთხოვების დროს, ელომ მაკოცა. შენ არ ვაკოცა ნინომ? ვაი, შენს ტყავს, რა ქალი ჩაიგდე ხელში!

ვანომ კორნელის ხელი მოჰხვია. ხმამაღლი გაიციხა და დაიწყო:

— ხედავდი, შიშველ ფეხზე ნინოს რომ ხელი შეახე, როგორ ელიტინებოდა და კისკისებდა! აკი ვუთხარი: ეკვიანი და ვნებიანი ყოფილხარ მეთქი.

ნინოს ეტვიანობაზე, ვნებიანობაზე და ქალობაზე ღიღხანს ილაპარაკა ვანომ და მერმე დასძინა:

— ზრთი რამ აშკარაა: იგი ხელუხლებელი, გაუტეხელი და უმანკო ქალია.

— ისევ დაიწყო! — წყენით შენიშნა კორნელიმ. როცა ისინი ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების სახლს მიუახლოვდნენ, ვანო კორნელის შეეხვეწა:

— მოდი, ბიჭო, ღვინო დავლიოთ.

ვერის ხიდთან ოფიცერთა საკრებულოს ჩინებული ბალი იყო, რესტორანითურთ.

— არა, უგუნებოდ ვარ. — მიუგო კორნელიმ.

როდესაც კორნელი ვაგონის ბაქანზე ნინოს მოეხვია და, ვით კენტავრმა ფესალიეთის ქალი, მისი მოტაცება ისე განიზრახა, — ეგ სურვილი, როგორც

ვიციტ ვერ აღისრულა. ნინოსთან ყოველი ბედნიერი შეხვედრის შემდეგ კორნელის უცნაური და უჩვეულო რაღაც აღტაცება და ძალა ეწვევოდა და ემატებოდა ხოლმე. ნინოს მოსწონდა ეს ვეფხის მსგავსი ძალა, რომელიც მარტო კორნელისა, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობდა, რომ იგი ამ მსგავსებაში ნინოს დაოკებას ვერასოდეს ვერ შესძლებდა. სუსტ, აზიზსა და ნახ ქალს, ეს აზინებდა და შეუცნობ კაეშანს ჰგვრიდა. შუა გზამდე მისული კორნელი კი ლულოზე მისვლას, ქარბი ძალისა და გრძნობის დაცხრომას ლამობდა. ამიტომ კორნელის სურვილი: რაღაც უჩვეულო ჩაედინა, — ვასაგები იყო. კორნელიმ ვანოს უთხრა:

— იცი, ისეთ გუნებაზე ვარ, რომ მინდა რაღაც ჩავიდინო, მინდა ვიყვირო, გავიქცე, მთაზე ავირბინო, ან ვინმეს დავეტაკო, შემოვკრა, დავლეწო ან აი, ეს ხე ძირფესვიანად ამოვგლიჯო...

— შეც იმიტომ გეუბნები: ღვინო დავლიოთ მეთქი. მოდი ერთი ლოთიანად დავითროთ.

ვანო არ მოეშვა და ისინი ბაღში შევიდნენ. ჯერ ხეივანში გაისეირნეს და მერმე ბაღში გაშლილ ერთერთი მაგიდის დაკავება გადასწყვიტეს. ვანომ, მოსეირნე ხალხში, მარგარიტა ლეტცი და ქეთო მალალაშვილი დაინახა. კორნელიმ უთხრა:

— თუ ძმა ხარ, თავი გაანებე.

— ვა, რატომ? კავალრები არ ახლავთ. — მიუგო ვანომ. კორნელის არ დაუჯერა და ქალებისაკენ გაემართა.

კორნელი ხის ქვეშ გაჩერდა და ჩრდილში დაიმალა. მარგარიტა ვანოს მიესალმა, გაუღიმა და შეეკითხა:

— კორნელი სად არის?

— აქ გახლავთ. — მიუგო ვანომ.

კორნელი დაიბნა. ხის ტანს მოეფარა, მაგრამ ვანომ ქალები მისკენ წაიყვანა.

— რად იმალებით? — დაიძახა გახარებულმა მარგარიტამ. მერმე რესტორნისაკენ გაიხედა და ქაბუტებს სიცილით შეეკითხა:

— ლოთებო, სავანშობლ მობრძანდით?

ვანომ ქალები დაჰპატიჟა და რესტორანისაკენ წაიყვანა. ხის ქვეშ მაგიდა დაიკავეს.

კორნელი და ვანო ღვინოს ზედიზედ სვამდნენ და ქალებსაც აძალბდნენ. მარგარიტამ გაიგო, კორნელიმ და ვანომ მაყაშვილები ქვიშხეთში რომ გააცილეს. ქალმა დამცინავად გაიღიმა და კორნელის უთხრა:

— ეხლა კი მესმის, თუ რისთვის ხართ თქვენ ცულ გუნებაზე. გაავფრინდათ სამოთხის ჩიტი? არა გრცხვენიათ: სატრფო ქვიშხეთში გააცილეთ და თქვენ კი ქალებთან რესტორანში ქეიფობთ! აი, როგორი სიყვარული გკოდნიათ თქვენ! აი როგორი ატყუილებთ თქვენ, თურმე, ქალებს. — მარგარიტამ თითი ასწია და კორნელის დაემუქრა: — ეს თქვენ არ შეგარჩებათ!

კორნელი ერთბაშად აენთო და წამოცდა:

— მერე რა, ქალებთან რესტორანში რომ ვქეიფობთ თქვენ ზომ როსკიბი არა ხართ! თქვენ ქმარშვილიანი, ბატოხსანი მანდილოსანი ბრძანდებით.

ქეთომ ირემივით ყელი მოიდგრა და ნუშისმაგვარი მოგრძო და შავი თვალები კორნელის გაოცებით მიაპყრო. „კორნელიმ, ეს რა წამოროშაო! —

გაიფიქრა ვანომ და თავი ჩაჰკიდა. კორნელი მიხვდა, რომ გადაამლოშა, მარგარიტა შეეცოდა და უთხრა:

— ჰო, მე იმის თქმა მინდოდა: პატიოსან ქალებში ვქეიფობ მითქმე.

— კორნელი, გაჩუმდით. თქვენ დაითვერით! — შენიშნა მარგარიტამ. თავლები გივსაებრ შეანათა და მკლავში მაგრა უჩქმიტა.

კორნელმა ხელი დაუჭირა. ფრჩხილებზე დაჰხედა და უთხრა:

— როგორი ავი კლანჭები გქონიათ!

მარგარიტას პატარა, ვარდისფერი ხელი ჰქონდა. გრძელი ფრჩხილები — მანიკიურის ოსტატი ქალის მიერ დაქნილი და ისე შეღებილი, თითქო სისხლში ამოსერიაო...

როდესაც მზიარული და შეზარხოშებული კომპანია ვერის ხიდს მიუახლოვდა, ვანომ პარკი უჩვენა კორნელის და უთხრა:

— რესტორნიდან ლიკიორი და შეკოლადი წამოვიღე. მოდი, ქალები წავიყვანოთ შენსა. შენ ხომ მარტო ხარ!

— მე მარტო ვარ, მაგრამ შენი იმედი არა მაქვს.

— როგორ?

— შენ ყველაფერს ეღოს და ნინოს ეუბნები.

— ვინ მოგახსენა?

— ეძვები მაქვს.

— თუ შენ ჩემი მეგობრობა გეეძვება, თუ შენ დარწმუნებული არა ხარ, მე რომ შენ არასოდეს არ გაგცემ და არ გივალატებ, მაშინ, უმჯობესია, ეხლავე განვშორდეთ ერთმანეთს. — იწყინა ვანომ.

— კარგი, ნუ ცხარობ. — დაამშვიდა კორნელიმ. — ეთქვათ, რომ მე შენი მჯერა, მაგრამ ქალები განა ამ განთიადისას ჩემს ოთახში წამოსვლაზე დაგეთანხმდებიან!

ქალები სიამოვნებით დასთანხმდნენ.

კორნელიმ სტუმრები ოთახში შეიყვანა, ელექტრონი არ იყო და ლამაზა ანთო. მერმე ფანჯარა გამოაღო. მალე მტკვარიდან ნიავმა დაუბერა და ოთახში სივრილე შემოიჭრა. კორნელიმ პატარა მაგიდიდან წიგნები გადმოალაგა და მაგიდა შუა ოთახში დადგა. სანამ კორნელი დიასახლისობდა: კარადიდან ჭიქებს, საინებს და ხელსახოცებს გამოიტანდა, მარგარიტამ ოთახი დაათვალიერა და დაიძახა:

— კორნელი, რა კარგი ოთახი გქონიათ!

ქეთომ გაიკვირვა:

— აუ, რამდენი წიგნებია! ნუთუ ყველა ეს წიგნები წაკითხული გაქვთ?

— საუბედუროდ წაკითხული მაქვს. — მიუგო კორნელიმ.

— რატომ საუბედუროდ? — შენიშნა ქეთომ.

— ყველა ეს წიგნები რომ წავიკითხე, სწორედ იმიტომაც არაფერი არ ვიცი. \*ქ არ არის არც ერთი ისეთი წიგნი, რომელიც მეორეს არ უარყოფდეს და არ აბათილებდეს და აღარ ვიცი ვის ან რას დაუჯერო. — მიუგო კორნელიმ.

ქეთომ გულიანად გაიცინა, მარგარიტამ კი შენიშნა:

— ო, როგორ მეგაჯრება წიგნებით გამოშტერებული ადამიანი.

კორნელი მაშინვე მიხვდა, რომ მარგარიტა თავის ქმარს — პროფესორს სტუდენტურ შემანსკის და ზოგიერთ მის კოლეგებს ჰკულისხმობდა. ქალი ფანჯარასთან მივიდა, მტკვარს გაჰხედა და განაგრძო:

— რა მშვენიერი ადგილია. კორნელი, მე თქვენი ხშირი სტუმარი ვიქნები.  
 — მოზრძანებითა თქვენითა ვაახარეთ ეს ობოლი და ღარიბი საკანო ჩემი. —  
 ვაეხუმრა კორნელი.  
 ამ დროს ვანომ სუფრა გააწყო, ლიჭიორი დაასხა და ფანჯარისთან სტუმარებულ ქალებს დაუძახა.  
 ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ. ვანომ კიჭა ასწია და მარგარიტა და ქეთო აღდგობელა:

— За милых женщин, прелестных женщин,  
 любивших нас, хотя бы час! <sup>1)</sup>

სტუმრებმა გადხარხარეს და ლიჭიორი გადაჰკრეს. ბოთლი მალე დაიცალა და ესლა ალკოჰოლი ქალებსა და კაბუკებსაც უფრო მეტად მოეკიდათ.

მარგარიტა კორნელის საწოლზე წაგორდა, ქეთო კი მაგიდის იქით — ტახტზე. კორნელი მივიდა, საწოლზე ჩამოჯდა და მარგარიტას ჰკითხა:

— ცუდათ ხომ არა ხართ?

— ოდნავ თავი მტკივა. — მცუფო ქალმა, ხელის გული შუბლზე დაიდო, კედლისაკენ გაიწია და კორნელის უთხრა: — კარგად დაჯექით. დიდი ხანია მე თქვენ არ მინახებხართ. თქვენ, ალბათ, არც კი გახსოვთ პოტელ „ნოეში“ გატარებული ღამე.

— როგორ არ მახსოვს!

— არა, თქვენ დაგავიწყდათ ის ღამე. მეც დამივიწყეთ სრულიად.

— არ დამეწყინა.

— მაშ, რად არ ისურვეთ, მას შემდეგ, ჩემთან შეხვედრა?

— ხომ იცით: აქ არ ვიყავი. ეს ფრონტიო, ეს მეცადინეობაო.

ქალმა ცისფერი თვალები ოდნავ დახუჭა და კორნელის შიშაყრო. მის თვალებიდან ისევე ნემსის ყურწისოდენა, უცნაური შუჭი აკიფდა.

— თავს ნუ იმართლებთ. აღიარეთ, რომ თქვენ მე გეჯავრებთ. — დაიწყო ქალმა.

— მარგარიტა, ეგ საიდან მოიტანეთ! — დაიძახა კორნელიმ და ქალს მკლავში ხელი წაავლო. ქალი შეკრთა და უთხრა:

— არ მომეკაროთ, თქვენი გული ხომ სხვას ეკუთვნის. თქვენ ჩემთან მხოლოდ ჟინის მოკვლა გსურთ.

კორნელი დაიბნა და დარცხვენელ ბავშვსაებრ ჩაჰკიდა თავი. მარგარიტამ გულიანად ჩაიკისკისა და კორნელის ისევე უთხრა:

— თქვენ შეამიტი, გულუბრყვილო კაბუკი ხართ.

— რად ვარ შეამიტი? — იუკადრისა კორნელიმ, თავი ასწია და ქალს შეხედა.

— რად გეშინიათ თქვენ ჩემი?

— მე თქვენი მეშინია?

— გეშინიათ, გეშინიათ, ჩემო შევარდენო.

<sup>1)</sup> „ტურფი ქალებისათვის, მშვენიერ ქალებისათვის, თუნდაც ერთ საათს რომ ვუყვარდით ჩვენ!“

[ქველი რომანსიდან.]



ქალმა ორთავ ხელებით შეიპყრო კორნელის სახე, წამოიწია და კორნელის უთხრა:

— მაჩვენეთ თქვენი თვალები, ბასრთვალეებიანო, ჩემო მუცელსა და იგი ხანგრძლივ მიაჩერდა კორნელის. მერმე თვალები განაბა და უბრძანა: — მოიტათ შეკოლადი.

კორნელემ შეკოლადი მიუტანა. ქალმა პირში ჩაიდო და უთხრა:

— მოდიეთ „ბლარტების ჭმევა“ ვითამაშოთ.

— ბლარტების ჭმევა, რა თამაშია?

— უცხო თამაშია, ასეთი. — მიუგო ქალმა. შეკოლადის ნატეხი პირში ჩაიდო. მერმე ენის წვერით გამოაგდო, კბილებით დაიჭირა და კორნელის უთხრა:

— წაიღეთ, შექამეთ ეს შეკოლადი.

კორნელემ ხელით დააპირა შეკოლადის ნატეხის კბილებიდან გამოღება.

— ხელით არა. განა ბლარტები დედას ხელით ართმევენ საჭმელს?

— მაშ?

— ნისკარტით, პირით. წაიღეთ ჩემი შეკოლადი. კბილებით, კბილებით. — დაიჩემა მარგარიტამ.

კორნელი დაიხარა და ქალის სურვილი შეასრულა. მაგრამ ქალმა უმაღლეს შეიტანა, დამალა და ენის ქვეშ ამოიდო შეკოლადის ნატეხი. მერმე ისევ გამოჰყო, კბილებით დაიჭირა და ასე აწვალა ჰაბუჯი კარგა ხანს. უკიდურესი ვნებისაგან გაფიცებული ტუჩები ჰაბუჯისა ქალის სველსა და ტკბილ ტუჩებს ეხებოდა. კორნელის მთელ ტანში ნეტარმა ერთანტელმა დაუარა. არასოდეს არ განუცდია მას ასეთი ბასრი და ამალეღვებელი გრძნობა. იგი მთელის ტანით ცაბცახებდა. კორნელი ქალს ეკვეთა, ქალის ტკბილს, რბილსა და ღია ტუჩებს დააცხრა და ისე მოეჩვენა, თითქო შიგ იძირება და იკარგებაო.

ამ დროს, ქეთოს გვერდით წამოწოლილმა ვანომ მოიხედა და კორნელის ქართულად დაუძახა:

— კორნელი, უკვე დრო არის შთაბერო ლამპას შენი უკვდავი სული.

ქეთომ გაიცინა. კორნელი არ იძროდა. მაშინ ვანო წამოდგა, ლამპას ჩააბერა და ჩააქრო.

ოთახი წყვედიანა მოიცო. მერმე ცაში ნათელი ჩადგა, რიყრაყმა მოატანა და კორნელემ მარგარიტას სახე ნათლად დაინახა. სჯობდა არ დაენახა. იგი თინმოკლული, ვულგარული და საზიზღარი იყო. ქალს ეძინა. კორნელი დააცქერდა და შეძრწუნდა. გულზე საშინელი რაღაც სევდა, კაეშანი შემოაწვა. საჩქაროდ ჩაიცვა. ოთახიდან ჩუმად გამოვიდა, სანაპირო ქუჩას გაჰყვა და ვერის ხიდზე გაჩერდა. კორნელი მოაჯირს დაეყუდა და მტკვარს დაჰხედა. ჩქარი ტალღები, უხილავი ნიჩბების მოსმით, ნავების მსგავსად მიჰქროდნენ.

„სატრფო. ქვიშვითში გავისტუმრე და შეკი იმ გარყვნილ ქალთან...“ — არ დაუმთავრებია ფიქრი კორნელის. „ფუი“, — გადააფურთხა მან და გატარებულ ლამის მოგონებამ ისეთ გულისამრევ გუნებაზე დააყენა, რომ მტკვარში გადაეარდნა და თავის დაბრძოლა მოუნდა. მერმე მალა ცას აჰხედა. რიყრაყით შექდაღებული მთვარე მამადავითზე დასულიყო. მახათას მთის გაღდიმა კა, აღმოსავლეთი ვარდისფრად იღვიძებდა. მთაზე ღრუბლები იასამნის საეზე მტკვანებად მიჯარულიყვნენ და ღრუბელთა შორის კორნელის ნინოს სახე მოეჩვენა. ტურფა ასული ნაზად უღიმოდა, თითქო თავისი წარმტაცი ხელის ციმციმით ცის კარს აღებსო.

(გავრძელება შემდეგ ნომერში)



## გორის ღლეები\*)

VII

### ჩიტო-ჩიტოლია

სოსოს უბანში თავისი ტოლი ბიჭი არ ჰყოლია და იმიტომ უფრო შეეთვისა დარიკოს. უნდა გენახათ, რა ამბით, რა ყოფით მიცუნცულდებოდა ზოლმე გოგონას ფანჯარასთან და შესძახებდა ზოლმე:

— გუ-გუ, დალიკო, გუ-გუ!...

დარიკო უმაღლვე ფანჯარასთან მიიჭრებოდა, მაგრამ იქვე ჩაიმალებოდა ზოლმე და ბიჭიკოს აღიზიანებდა:

— გუ-გუ, სოსოლო, გუ-გუ!...

მისი ხმის გაგონებაზე ბიჭიკოს სახე უნათღებოდა, რაკილა გაიგებდა, აქ არისო, უფრო გულმოადგინებით ემუდარებოდა საყვარელ დობილს:

— გუ-გუ, დალიკო, გუ-გუ!...

დარიკო იღროვებდა და რომ შეატყობდა, ბავშვს გული არ გაღუჯერდესო, უცხად ამოხტებოდა და სურათოვნად ფანჯრიდან გაღმოსძახებდა უკვე სიხარულით აფრთხილებულ ბიჭიკოს:

— მოედივარ, ჩემო გუგულო, მოედივარ!... გუ-გუ!... გუ-გუ!...

და ასეთი გუგულური კაფიაობით გაღმოეშვებოდა და ხელად ბიჭიკოს გვერდით გაჩნდებოდა.

— შენ გულისა, ჩემო ჩიტო-ჩიტოლი, რა ძმობილი მყევხარ, — ეტყოდა გოგონა და ერთს მაგრად გადაჰკოცნიდა კიდეც.

— გუ-გუ, დალიკო, გუ-გუ!...

— ჰო, ჰო! გუ-გუ!... ვიცი, რაც გინდა, ვიცი!... აბა, რას შიბრძანებ, ჩემო ჩიტო-ჩიტოლი, სად წავიდეთ, სად?!

— იქ, დალიკო, იქა!... გუ-გუ!...

და ეს „იქ“ ნიშნავდა ბაღჩას, იქ მოჩუხჩუხებ რუს, კუნლისა და ასკილის ბურჩქებს, სადაც ბულბულს უყვარდა სტენა. გაფრინდებოდნენ, მიირბენ-მოირბენდნენ, აქ ნიბლიას გამოეკიდებოდნენ, იქ პეპელას, რუხე გადახტ-გადამოხტებოდნენ, ხიდაობას ითამაშებდნენ, ხან ვაშლს ფრთებს გაუკეთებდნენ და წისქვილის ბორბლად დაატრიალებდნენ, ხან ხელიკს გამოუღებებოდნენ, დაჰკრავდნენ ფეხს და კისკისით კვდებოდნენ, როდესაც კულდმოწყვეტილი საბრალობელი ხელიკუნია უკუდოდ ძლივ-ძლივობისას მიხტოდა ბურჩქებში შესამალად. შემდეგ სხვა ჯურის თამაშობაზე გადადიოდნენ:

— აბა, ახლა რა ვითამაშოთ, ჩიტო-ჩიტოლობია თუ გუგულობია? — ეკითხებოდა დობილი.

ბიჭიკო არჩევანში იბნეოდა.

\*) იხ. „მნათობა“, № 6.

- ციტო-ციტოლა... გუ-გუ...
- ორივე ერთად?
- ჰო!...



ქართული  
წიგლისწამბის  
კავშირები

სინამდვილეში „ჩიტოლიობაც“ და „გუგულობაც“ ერთიდაიგივე თამაშობა იყო, სახელდობრ—„თვალხუტულა“, ბიჭიკოს გასახარებლად სახელი დარიკომ შეუცვალა.

- აბა, ახლა წილი გყაროთ, ვინ დაიხუტოს ბირველად, მე თუ შენ?
- სენა, დალიკო...
- რატომ მე, და არა შენ?
- სენა!.. — ჯიუტობდა ბიჭიკო.

— არა, წილი გყაროთ... აბა, დადექი სწორად... აი ასე... ეხლა ვინც გადგება, ის დაიმალდება, ვინც დარჩეს, იმან დაიხუტოს, ჰო?!...

— ჰო, დალიკო!.. — მიუგო ბიჭიკომ და გადართოვებულ თვალეზში ცნობისმოყვარეობის ფრთა გაშალა.

დარიკო სოსოს წინ დაიყენებდა და მოპყვებოდა ხოლმე წილის საყრელ შიარს:

— კომში, კომში კომარა,  
კომში გადმომიყარა,  
ლიზამ დაკლა ქათამი,  
არ მაჭამა ბარკალი,  
ღმერთო იმას გაუწყვიტე  
წიწილა და ქა-თა-მი!

დარიკო მუდამ ისე ახერხებდა, რომ უკანასკნელი სიტყვის ჩამომარცვლის შემდეგ უსათუოდ ბიჭიკო გასულიყო თვალის დასახუტად.

მაგრამ ბიჭიკო არ ეთანხმებოდა:

- სენა, დალიკო, სენა ხუტუ-ხუტუ!...
- რათა მე ხუტუ-ხუტუ!... შენ დარჩი, მე ხომ არა...
- სენა ხუტუ-ხუტუ!...

— ბიჭოს, გარგია შენმა მზემ! შენ დარჩი და მე დავიხუტო? აბა, თავიღნ დავიწყოთ, — და ბავშვის ასარევიად ახლა სხვა შიარით უმასპინძლებოდა:

— იონ-იონ, ბაბიონ,  
გორში ვინა, განმე,  
იწილ-ბიწილ-ზეწყარა,  
ტარა-ბუა-ბიწ!

მაგრამ ბიჭიკო არ აცდიდა, ჰგრძნობდა, მომატყუებსო და ახლა თითონ განაგრძობდა:

„იწი-ბიწი-ბიწ!“

მაგრამ ესეც ვერ შეელოდა ბიჭიკოს. დარიკო ისე ურევდა, რომ გამარჯვებული ისევ თვითონ რჩებოდა. ბიჭიკო მაინც არ თანხმდებოდა. იყო ერთი დავი-დარაბა და წილადობის გადაწყვეტას ახლა სხვა ლექსით სტრიდნენ:

— კარგი, ჩიტოლი, თავიდან დავიწყით, — ეტყოდა დარიკო, — თურდა ასე:

„ამფურ-კამფურ...  
გადექ შამფურ!“

ერაქონული  
ზნელოქონული

აქაც ბიჭიკო ჰხედებოდა, რომ დარიკო კეთილსინდისიერად არ იქცეოდა და თვითონ შეჰქონდა შესწორება თუთიყუშური გამეორებით:

„აფუ-ჟაფუ...  
საფუ-ფაფუ!“

— აბა, შე კინკვლო, მაინც შენ დარჩი, — ეტყოდა დარიკო, როცა ოსტატურად ისევ თავის თავს დააძვრენდა, — ეხლა რაღას იტყვი? დაიხუტე, დაიხუტე!... აი, ამ ხესთან დადექი, ასე... ხუტუ-ხუტუ!.. უკან არ მოიხედო, ვიდრე არ დავიმალო, ჰო-ო?!

— ჰო, დალიკო, — მე ხუტუ-ხუტუ!... — ეტყოდა ბიჭიკო და ხისაკენ იბრუნებდა პირს, თვალეზზე მაგრა მიიფარებდა ხელს, ძალზე ხუტავდა.

— დლო, დალიკო?! — შეეკითხებოდა ხოლმე ხელოვნური სიბნელისაგან ტანაქინტრული ბიჭიკო. მას, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდეც. თვალეზის ძალზე მოხუტვის გამო ბაიბში ათასი ცეცხლის რგოლი უფორიატებოდა, მწვანე, ალისფერი, ნარინჯის ფერი...  
— დლო, დალიკო?!

— არა დრო, არა დრო!...

კუდრაქა გოგონა განგებ აწვალებდა ბიჭიკოს, თორემ დამალვაზე არც კი უფიქრია, იქვე, ღია ადგილს კუნძზე ჩამოჯდებოდა და ეშმაკივით იღრიტებოდა.

— დლო, დალიკო?!

რაღის-რაღის დუმილით გასცემდა პასუხს. ეს იმას ნიშნავდა, რომ დარიკო უკვე დამალული იყო.

— დლო, დალიკო, ფლი-ფლი-ფლი!..

შესძახებდა ერთსაც ბიჭიკო, ხელეზს ასწევდა ფრთებივით და პირდაპირ გაეშვებოდა. რა ბედნიერი ჟრიაბული ატყდებოდა ხოლმე, როდესაც აღმოაჩენდა მას! ერთი წიოკობით, ერთი ალტაცებული გადარევით გამოეკიდებოდა ხოლმე დასაჭერად. დარიკო ხელოვნებდა, კისკისით შორი-აზლოს ისე დარბოდა, რომ ბიჭიკოს ხელი მალე წაეველო კაბის ბოლოში ან გიშრის თავთავებივით ჩამოწულ ნაწნავებში, ბეჭებზე რომ აპეურებივით ეხლაკებოდა სირბილის დროს.

ახლა ჯერი დარიკოზე მიდგებოდა, რომ დაეხუტა.

— ახლა მე, ხუტუ-ხუტუ?...

— ჰო, სენა, ხუტუ-ხუტუ! — ეტყოდა ბიჭიკო.

აი, მიდგა გოგონა ხესთან და ბიჭიკოც მირბოდა დასამალად.

დარიკო მხოლოდ პირს იბრუნებდა ხისკენ, თვალს სულაც არ ჰხუტავდა, ხოლო იდუმალი კუქკუტით კვდებოდა, როდესაც ბიჭიკო რომელიმე ხეს ან ბუჩქს მოეფარებოდა და, უწინარეს ყოვლისა, თავს ჩაჰმალავდა ხოლმე. საკმარისი იყო თავი ხისთვის მოეფარებინა, ან ტოტებში წაეყო, რომ თავი დამალულად ჰგულებოდა, თუნდაც მთელი ტანი ხოხობივით ვარეთ ჰქონოდა დარჩენილი.

— დრო, სოსელო?! — გასძახოდა დარიკო და გულიანი ~~კუჭკუჭით~~ მოლოდინში იყო, აბა რას იტყვის ჩემი პატარა ძამიკო.

— დღო!.. დღო!.. — გამოსცემდა ისიც პასუხს და უფრო მეტად ტერინავდა სულს, სუნთქვას იკმენდავდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უფრო მეტად იხუჭავდა თვალს.

აქ იწყებოდა დარიკოს მთავარი როლი:

— თვალი ამიხელია,  
ჩიტი გამიფრენია...  
ფრრ!... ფრრ!.. ფრრ!..  
მოვფრინავ!...  
მოვ-დი-ვარ!...  
ფრრ!... ფრრ!... ფრრ!..

და ამის შემდეგ გამაფრთხილებელ ნიშანს მისცემდა:

— გუ-გუ!... გუ-გუ!... იკუნჭე, ჩიტო-ჩიტოლი, იკუნჭე!... ფრრ!... ფრრ!... ფრრ!... მოვფრინავ!... მოვდი-ვარ!...

— გუ-გუ, დალიკო, გუგუ!.. — უპასუხებდა ბიჭიკო და მთელი არსებით ჰმელავდა სულს და თვალს ჰხუჭავდა.

— რა გქნა, საიდან მოდის ეს ხმა? — შესძახებდა განგებ სახეგაწითლებული დარიკო, — ქვესკნელში ხომ არ ჩაძვრა ჩემი ბიჭიკო?... გუ-გუ! გუ-გუ!... ხმა გამე, გენაცვა, გუგუ-გუ!...

— გუ-გუ!.. — გულის ფანცქალით უპასუხებდა ბიჭიკო და უხაროდა, რომ დობილი ვერ ჰპოულობდა.

— გუ-გუ, ჩიტო-ჩიტო-ჩიტოლი! გუ-გუ!...

— გუ-გუ, დალიკო, გუ-გუ!...

კუდრაქა გოგონა თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მართლა ვერ ჰპოულობდა, ხან ერთ ბუჩქთან მიდიოდა, ხან მეორესთან, ხან ღობეს ეცემოდა, ხან რუხე გადახტ-გადმოხტებოდა, თვით იმ ბუჩქსაც მისწევ-მოსწევდა, სადაც ბიჭიკოს წაეყო თავი და თითქოს უნუგეშოდ ავიშვიშდებოდა:

— ვიშ, ქა-ა! სად დამეკარგა ჩემი ჩიტო-ჩიტოლი?!... ჩიტო-ჩიტო-ჩიტოლია, სადა ხარ?! გუ-გუ!..

და განაბული ბიჭიკო უფრო მეტად იცქნაფებოდა, უფრო მეტად ჰხუჭავდა თვალს. ასე ეგონა, რაკი თვითონ ვერ დაინახავდა დარიკოს, ვერც მისი დობილი იპოვნოდა მას.

— გუ-გუ, ჩიტოლი, გუ-გუ!..

როდის-როდის მიავნებდა დარიკო ძმობილის სამალულას, გადიკისკისებდი და ბუჩქს შეურხევდა:

— აი შე კუდრაქა, ავერ სად დამალულხარ!...

ბიჭიკო ბუჩქს თავს ანებებდა და აღტაცებით გაეშვებოდა წინ. დარიკო ქორივით გაეკიდებოდა, ხან სად წაექცეოდა, ხან სად, ბოლოს როგორც იყო, დაიპერდა და გულში ჩაიკრავდა:

ჩემი ჩიტო-ჩიტოლია  
ჭორის კლანჭებს წაპყლია...  
ფრრ!... ფრრ!... ფრრ!...

მაგრამ ბიჭიკო კობებს იკრავდა:

— უჯელო, დალიკო, უჯელო!...

— რათა, უჯერო, მე სწორად დაგიჭირე...

— უჯელო... უჯელო!... — მოჰყვებოდა შარიანობას ბიჭიკო, ზელახლად დაშვებოდა, ქორ-კაპასა გოგონაც გამოეკიდებოდა და კისკისით იმდენს ირბენდნენ, ვიდრე ზელახლად არ დაიჭერდა ბიჭიკოს და აწითლებული სახით არ მიიყვანდა დანიშნულ ადგილამდე...

შემდეგ გადიოდნენ მინდვრად ყვავილების საყრდენად, ან ძერა-ძერას სათამაშოდ, ან ისევ პეპლების დასაჭერად და ჩიტების სადევნელად. ერთხელ სოსო განაბულ რფოფს მიეპარა. რფოფს გაოცებული თვალი ისე უკიაფებდა, როგორც შინის ქილაში კეკლუცად მოეღვარე კაკლის მურაბა. კინაღამ დაიჭირა სულელი ფრინველი, მაგრამ დარიკომ აუფრინა.

— ლათა, დალიკო? — იწყინა ბიჭიკომ, — ლათა რფოფ-რფოფ — ფლი-ფლი, პა?!...

— ეგ იმითომ, ჩემო ჩიტოლი, რომ ეგ მყრალია, ჩიორასავით კარგი კი არ არის. ნუ უყურებ მაგის ქოჩორა სავარცხელს, — მყრალია, მყრალი... ფუი!...

და რომ ბიჭიკოსთვის ჯავრი გადაეყრევენებინა, მოჰყვებოდა ზოლმე ძახილს:

— უი, ქორი წამოვიდა!... აგერ, აგერ!... ალაღ!... ალაღ!... ალაღ!... წავიდეთ, გაეიჭკეთ, თორემ მოგიტაცებს...

ბიჭიკოს ყველაფერი ავიწყდებოდა, დარიკოს კაბაში წაავლებდა ხელს და გულგახეთქილი მიტუსტუსებდა შინისკენ, სადაც დედის კალთა დახვდებოდა და იქ ზომ ვერც ქორი დააკლებდა რამეს და ვერც გველეშაპი...

დედის კალთისთანა მალალი, უვნებელი და საიმედო საბუღარო არა არის რა ქვეყანაზე.

## VIII

### ზღაპრის გმირი

ზაფხული გავიდა.

ველის ყვავილებმა თავი დაუკრეს ჯულანთ ბიჭიკოს, გამოეთხოვნენ შემდეგ გაზაფხულამდე. თვალცრემლიანმა შემოდგომამ პატარა ხანს ყურძნის აკიდობებით გაახარა. მალე წითელქუდა კოდალამ გაუცინა და ხის ღეროზე ნისკარტის აკაკუნებით გადმოსძახა:

— მომილოცნია! თეთრწვერა ზამთარი მოდის. მოდის თავისი თოვლის ბარდნებით, გრძელი ღამეებით და თითის ტოლა დღეებით, მოდის, მოგლინავს, კობტა ციგები გაამზადე!..

წითელქუდა ვაებატონი როდი სტყუოდა: ყველაფერი ისე აცხადდა, როგორც სთქვა, მხოლოდ ერთის დამატებით: ზამთარი თეთრწვერაც იყო და თეთრნაბადაც. დღე ერთი ციციქნა შეიქნა, დამე კი დაუსრულებელი. ბიჭიკოს მამამ ციგა გაუკეთა, ჩასვა შიგ, თითონვე ცხენად შეება და ხან აღმა ასრიალა, ხან დაბლა. დარიკომ რომ დაინახა, ამხანაგებს გამოეყო და თოვლის გუნდა შიგ ზურგში მიაზილა ბიჭიკოს.

ბიჭიკომ იცნო-დობილი და გაიხარა. დარჩიკო მიიჭრა, ძია-ბესოს ჩამართვა ცივა და თავისი ძმობილი იმდენხანს ასრიალა ახლად დადებულ თოვლზე, სანამ კარგად არ მოიღალენ.

მაგრამ ბიჭიკოსთვის წამთარი სხვა მხრითაც გამოდგა სასარბილო. როცა ძლიერ ჰყინავდა და კარზე არ ვაისვლებოდა, იგი სულ ძია იაკოს მოლოდინში იყო. უყვარდა, როდესაც ის მოვიდოდა, დასხდებოდნენ ბუხრის პირს და მუგუზლის ტკაც-ტყუცზე ზღაპრის ფთილები ირთებოდა. ძია იაკოსგან ბევრი რამ მოესმინა. მაგრამ თუნდაც ერთი და იგივე ზღაპარი ყოფილიყო, მაინც სიამოვნებით უგდებდა ყურს. ნამეტნავად შეუყვარდა ჩიტ-ჩიორას ამბავი. ის ეხლაც ბუხრის წინ სხედან, ძია იაკო თვალეზში შეპყურებს ბიჭიკოს და თან ემასლაათება.

— მწყერ-ჩიტას ამბავი დავიწყოთ, თუ ჩიტ-ჩიორასი?

— ციტ-ციორასი, — მიუგო ბიჭიკომ.

— ეგ ჯერ არ მითქვია, განა?

— პო...

— აბა მამ დავიწყოთ...

და სმენად გადაქცეულ ბავშვს მოუყვებოდა ნელ-ნელა, ხველებით, შუბლზე თითის მიდებით, თითქოს მძიმე რაღაცას იგონებდა:

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩიტ-ჩიორა, ლამაზი, მალხაზი... ტყის მახლობლად ერთ მაღალ ხის ტოტზე ბუდე გაიკეთა, სამი კვერცხი დასდო და სამად სამი პაწია ჩიორა გამოსჩეკა. რას არ უზიდავდა დედა თავის შვილი-კოვებს, რა კალიებს, რა ბუზებს, რა პეპლებს. დიდ სიხარულში იყო ჩიტ-ჩიორა, ჩქარა ბავშვები დამეზრდებიან და ფრენას ვასწავლიო. მაგრამ შეხეთ, რა უბედურება ეწვია: ერთმა წუწკმა მელიამ მიავნო მის ბუდეს, მიცუნცულდა და ჩიორას შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

— რაო, ბატონო მელაო?!

— ერთი შვილი გადმომიგდო,

თორემ შავ ღღეს დაგაყენებ:

ცულს მოვიტან, ცუნცულასა,

ხელჩოსა, წალღუნასა,

ხესაც მოგჭრი, ხის ძირსაცა,

შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა...

დიდი ოსტატი იყო ძია იაკო, ისეთი კილოთი უთხრა, „შავ ღღეს დაგაყენებო“, რომ ბიჭიკომ თვალეზი ფართოდ გააჭყიტა, გამოურკვეველი შიში წინდაწინვე წარს სცემდა.

— მელე, ძია იაკო, მელე?!

— მერე რა მერე, ჩემო ვაჟკაცო, შეეშინდა საწყალ ჩიორას, აიყვანა და ერთი ბარტყი გადმოუგდო იმ წყეულ მელას. მელამ პირი დაავლო, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა.

ბიჭიკოს გული აუღუღდა და ცრემლები წამოაწვა, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— მელე, ძია იაკო, მელე?!

— წყეული მელაკუდა ამას როდი დასჯერდა, მეორედ კიდევ მიირბინა და შესძახა:



— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!  
 — რაო, ბატონო მელაო?!  
 — ერთი შვილი გადმომიგდე,  
 თორემ შავ დღეს დაგაყენებ:  
 ცულს მოვიტან, ცუნცულასა,  
 ხელეჩოსა, წალდუნასა,  
 ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,  
 შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა!..

საწყალმა ჩიტმა ჩიორამ მეორე ბარტყიც აიყვანა და მელას გადმოუგდო. წყვეულმა მელამ პირი დასტაცა, ბუჩქებში გაარბენინა და გადასასნლა.

ბიჭიკოს მოუსვენრობა დაეტყო. ეხლა შიში კი არა, სიბრაზე წამოაწეა ანთებულ თვალეებში.

— მელე, ძია იაკო, მელე?!

— წყვეული მელაკუდა არ ისვენებდა. მესამედაც მიცუნცულდა და ჩიტჩიორას შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!  
 — რაო, ბატონო მელაო?!  
 — ერთი შვილი გადმომიგდე,  
 თორემ შავ დღეს დაგაყენებ:  
 ცულს მოვიტან, ცუნცულასა,  
 ხელეჩოსა, წალდუნასა,  
 ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,  
 შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა!..

გულდამწვარმა დედიკომ აიღო და მესამე ბარტყიც გადმოუგდო. მელამ ბუჩქებში გაარბენინა და ისიც სწრაფად გადაყლაპა...

— მელე, ძია იაკო, მელე?! — ჰკითხა მოუთმენლად ბიჭიკომ, რომელსაც ახლა შურისძიების ცეცხლი მოედო და ძლიეს-ლა სუნთქავდა.

ძია იაკო მიუხვდა გულის პასუხს და დააჩქარა, რომ ზღაპრის კეთილი დაბოლოვებით გაეხარებინა ბიჭიკო.

— მერე რა მერე, ჩემო ვაჟკაცო, გამოილეშა ის წყვეული, არხეინად წამოწევა ჩრდილქვეშ და ხერინვა ამოუშვა. თვითონ ჩიტო-ჩიორა კი აფრინდა, მოშორდა იმ ადგილს და ერთი ხის ტოტზე მოჰყვა ტირილს.

— მელე, ძია იაკო, მელე?!

ძია იაკოს რაღაცა ბრწყინვალე აზრმა გაუარა და სახე გაუნათდა:

— ამ დროს ერთმა მწყემსმა ბიჭმა ჩამოიარა... სწორედ შენი ტოლი იყო. მხარზე სახრე გაედო. თვალი მოჰკრა ჩიტ-ჩიორას და ეკითხებოდა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორა, ეგრე მწარედ რამ დაგაღონა?

ჩიტ-ჩიორამ ცრემლები მოიწმინდა და უთხრა:

— აბა რა მაქვს გასახარელი, თვითონ გასახარელო, სამი შვილი მყავდა და ერთმა წუწკმა მელამ სულ ურთიანად დამიჭამა.

— მელაამ? მერე სად არის ის წყვეული? მაჩვენე ერთი, — მე გაყურები-ნებ იმის სეირს...



ჩიტ-ჩიორა გაუძღვა პატარა მწყემსს და მძინარე მელიასთან მიყვანა. იმ წყევულს კბილები სიამოვნებით დაღრეკოდა და სიზმარშიც კი იცინოდა, რომ ჩიტ-ჩიორას ბარტყები გამოსტყუა.

მწყემსს ბიჭს ვული მოუვიდა. აიღო ის სახრე და იმ კბილებშიც კი ჩასტხო, რომ ლაწა-ლუწით სულ ჩაუმტვრია...

ბიჭიკოს თვალები გაუფართოვდა, ვედარ მოითმინა და ძია იაკოს ხელი უტაცა:

— იცი, ძია იაკო, ის ბიჭი მე ვიყავი, განა!..

ძია იაკომ გულიანად გადიხარხარა და ზღაპრის გმირი გულში ჩაიკრა:

— განა არ ვიცი, რომ ეს შენ იყავი, ჩემო ვაჟკაცო, — უთხრა მან, — მე თვითონ დაგინახე, ჯიბიდან დანა რომ ამოიღე, იმ წყევულ მელას მუცელი გაუჭერი, ბარტყები ამოიყვანე და ჩიტ-ჩიორას ფრთებზე შეასხი. იმან კი იფრინა, იფრინა და შვილები ისევ ბუდეში ჩასხა, გაზარდა და გააფრინა...

თავის გმირობის ამბავი თავისებური ენით ბიჭიკომ დედასაც უამბო და გაახარა.

— მართლა, შვილო? — განგებ გაიოცა დედამ.

— მართლა, მას!

საქმე ის იყო, რომ ამ საკითხში თვით დარიცოც დაემოწმა და გულმართლად დაადასტურა ბიჭიკოს სიტყვა:

— მართლა, დეიდა კატო, მართლა... მე იქ ვიყავი, განა!

დედამ ორივე ბავშვი აქეთ-იქით ამოიყვანა, თან კუპკუპებდა და თან ჰკოცნიდა სათითაოდ, როგორც ზღაპრულ გმირს, ისე გმირის გმირობის დამსწრე მოწმეს.

## IX.

### ბუნების წიაღში

რამდენადაც წამოიზარდა სოსო, იმდენად უფრო შეუყვარდა ბუნება. ახალმა გაზაფხულმა პირი იბრუნა თუ არა, დობილმა ჩამოურბინა და შესძახა:

— ჰეი, ჩემო სოსო, მოდიხარ?

— ჰო, დალიკო, ჰო!...

— აბა, კულულობა ვითამაშოთ, — ეტყოდა იგი და ბიჭიკოს გვერდით ამოიყენებდა, ჩაცუნცულდებოდა, იმასაც ჩააცუნცებდა, ხელებს ყურებთან ასწევდა კურდღლის ყაიდაზე და სკუბ-სკუბა ხტუნაობით გასწევდნენ ერთად:

წკაბ-წკუპი... წკაბ-წკუპი...

ხტუნ-ხტუნ!... ხტუნ-ხტუნ!...

სკუბ-სკუპი... სკუბ-სკუპი!...

და ბიჭიკო აღტაცებით ააყოლებდა:

წკაბ-წკუპი.. წკაბ-წკუპი..

ხტუნ-ხტუნ!.. ხტუნ-ხტუნ!..

სკუბ-სკუპი... სკუბ-სკუპი!...

და ეს პაწია „ეჭრდღლები“ მარდად გადაეშვებოდნენ ხოლმე რუსეთში მოექცეოდნენ მეორე ნაპირს და ჰერი ბიჭო! ხშირად დილა შუადღედ იქცეოდა და შუადღედ საღამოდ, რომ შინ დაბრუნება ძლიერ-ძლივობისას მოეცინებოდათ. ბიჭიკო დაიპყრო ბუნების მშვენიერებამ, მისი პური ეს მინდვრებშია, აი ეს ბებლები, აი ეს ნაირნაირი ყვავილები, რომელთა შორისაც თვითონაც და მისი დობილიც ულამაზეს ყვავილებად მოკიაფობდნენ. სულ უნდოდა, რომ ამ ყვავილეთში ყოფილიყო. აი, მოჰკრავდა ყურს რომელიმე ფრინველის გალობას და ისიც გაინაბებოდა.

— დალიკო, უკლაი, აი-უკლაი!...

ეტყოდა თავის დობილს. იმანაც კარგად იცოდა, რომ ბიჭიკოს ენაზე „უკლაი“ მუსიკას ნიშნავდა.

— წამოდი, წამოდი, უკეთეს „უკრაის“ გაგაგონებ... აი ნახავ... — ეტყოდა გოგონა და ხელიხელგახვეული გაჰკრავდნენ მიწდვრად. ათასი სანახაობით გაბრუებულს ბიჭიკოს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ყველა ეს ხმები თავისით მოდიოდა, უხილავი მესალამურის ლერწამზე იკვრებოდა. დილის მზის სხივების ვარდნარი სამოსელი მისთვის ბულბულის პანგებს მოაფრქვევდა. ბიჭიკო ვერ მიხვდარია, რომ სწორედ იქვე ბუნქზე, ნამდვილი ბულბული იჯდა და გალობდა და არა მზე. რარივ უყვარდა მისი სტვენა! რომ შესაძლებელი ყოფილიყო, დღედაღამ სულ იმ ბუნქის ძირას გაატარებდა, თღონდ მოესმინა ეს მომზიბველი გალობა. შემდეგ ისევ სირბილი იწყებოდა ყვავილთა შორის. რა აღტაცებით მოსწყვეტდა ხოლმე ვარსკვლავა გვირილას, ხვერდკაბიან ნარვიზს, ან სიფრიფანა მარმამუელში გამოკვალთულ ათასნაირად მოკისკისე შეგ-ხალა ყაყაჩოს, მათრობელა ხაშხაშს, რომელთა გარშემო ამდენი მწერები დალიფლიფებდნენ. გაბრუებული ბიჭიკო შინ წასვლაზე არც კი ჰფიქრობდა, მას უნდოდა, რომ სულ მათ მზერაში გაეტარებინა თავისი უმანკო და მშვენიერებით აღსავსე ნორჩი სიცოცხლე.

ბიჭიკო ყველაფერში დარიკოს ჰბაძავდა, თუ ის ყვავილებს ჰკრეფდა და გვირგვინების წვენას მოჰყვებოდა, ბიჭიკოსაც უნდოდა, რომ ყვავილები ეკრიფა და გვირგვინები დაეწნა. თვითონ დარიკოც მას ისე უყურებდა, როგორც დიდ ტიკინს. მას გვირგვინებიც და ყვავილებიც სულ მის შესამკობად უნდოდა. უნდა გენახათ რა სიყვარულით და რა გატაცებით ჰკრეფდა ხოლმე არა მარტო ყვავილებს, არამედ კუნლისა და ასკილის ნაყოფს, ძახველას, რკოს გვირგვინს, როგორი ბეჯითობით აახხავდა ხოლმე ყველა ამას და კომწია ყელსაბამით შეუფარავლიდა გულმკერდს თავის საყვარელ ძმობილს.

ერთხელ ყელსაბამი და გვირგვინი არ იკმარა, ბიჭიკოს საყურეებიც კი გაუქეთა, ხოლო გვირგვინში ასკილის მსხვილი ნაყოფი წითელ ვარსკვლავივით რომ აკაიფა, თვითონვე აღტაცებაში მოვიდა და შესძახა:

— უი, დედა, შენ შემოგველე, რა ლამაზია ჩემი სოსელო!.. — და რომ ბიჭიკოც დაერწმუნებინა, თუ რა ლამაზი იყო, მიცყანა და რუს შეტბორებულ იდგილს ჩრდილწამოდგმულ სარკეში ჩაახედა. ბიჭიკომ ვერც კი გაიგო, რომ გამომკრთალი ტურფად შემკული ბიჭიკოს თავი ეს თვითონ იყო, აღტაცებით რაღაცა გამოურყვეველი ხმები გამოსცა და ხელი წაატანა, რომ ახლად შეძენილი მეგობარი ამოეყვანა. რუდან და გვერდით მოესევა სათამაშოდ.

— აი, აი!.. რას სჩადი, ბიჭო, არ ჩავარდე! — შესძახა დარიკომ და სოსო რუს პირიდან წამოაყენა. ბავშვურმა სიამაყემ იფეთქა ყმაწვილში, როდესაც მიხვ-

და, რომ რუს სარკეში გამოკრთალი ბიჭივთ მისი ორეულად იყო მას მოესურვა, რომ დედისგანთან გაფრენილიყო და ამ სამკაულებით გაეხარებინა მისი გული.

ამ დღიდან მოყოლებული აი ეს ყვავილები, ეს ჩიტუნიჭხი, ეს მჭკჭხინები, პეპლები, ფუტკრები, აი ეს დაწნული გვირგვინები, საყურეები, ეს რუ, ასკილის ტოტებით გაჩარდახებულ ადგილას რომ სარკის გულს აკიაფებდა, მის სულის სამეფოდ გაიშალნენ, უამათოდ ველარა სძლებდა. ბოლოს ისე გაიწაფა მათ შორის ყოფნაში, რომ დარიკო არც კი სჭირდებოდა, პირდაპირ მიცუნტულეზდა ბაღებისკენ. აგერ, მოლაღურის ხმას მოჰკრა ყური და სიხარულით დაიძახა:

— გოგია!.. გოგია!..

დარიკომ ერთხელ უამბო ზღაპარი ამ ფრინველის შესახებ. მართალია, ბიჭივთ ბევრი ვერაფერი გაიგო იქიდან, მაგრამ ისე კი მიხვდა, რომ მოლაღური ობოლი ბიჭია, რომელიც ბოროტმა დედინაცვალმა თავის დასთან ერთად გააგდო ძროხის საძებნელად. შემოალამდათ. ტურიკოებისა და მგლების ყმუილზე შეშინდნენ ბავშვები და ინატრეს, ნეტავი ფრინველებად გადავიჭკეთ და დედინაცვალთან აღარ დაგვებრუნაო. ნატვრა აღსრულდათ, — უცბად ორივენი მოლაღურებად იქცნენ.

— ეს დაიკოა, რომ ძმას უძახის „გოგია, გოგია“, — დასძინა ბოლოს დარიკომ.

— გოგია!... გოგია! — შესძახა აღტაცებულმა ბიჭივთ.

ბავშვმა ზის ძირთან მიიბრინა, დიდხანს იყურა კენწეროსაკენ, ბოლოს აღმოაჩინა და სიხარულით გადაირია:

— აგე, გოგია!... აგე, აგე!...

მისი „გოგია“ წვნივ მოქანავე ტოტზე იჯდა და ოსტატურად სწნავდა ბუფის. მთელი ცის მშვენიერება შეემოსნა. ოქრო და ცეცხლოვანი სხივები, ჯიშრის ბოლოები და ხავერდოვან მყვლის მარცვლებად მოელვარე თვალუბით ეს საოცარი ფრინველი ბავშვში ზღაპარსა და სინამდვილეს ერთადაჰქსოვდა და მის „გოგიას“ ერთიათად მიმზიდველს ჰხდიდა.

— ბიჭო, გოგიაო!... ბიჭო, გოგიაო!... — შესძახა ფრინველმა და დაბლა ბიჭივთსა საოცარი მინამსგავსი ხმით გაიმერა:

— გოგიაო!... გოგიაო!...

მან ისე იგრძნო, თითქოს თვითონაც მხრებზე ფრთები გამოესხა, ისეთივე ოქროთი დაფერილი ბუმბულით და იმნაირივე გიშრის ზოლებით.

შინ დაბრუნებისას გზადაგზა მას ყველაფერი აოცებდა. თუმცა ყველა საგანს უკვე იცნობდა და ნახული ჰქონდა, მაგრამ მაინც სულ სხვა სახით და სხვა იერით ეჩვენებოდნენ იგივე ყვავილები, იგივე პეპლები, იგივე ვარდები, კუნლისა და ასკილის ბუჩქები, ვერცხლის არშისავით გაკლავნილი ნაკადული, რომელიც იღუმელი ხმით მოუთხრობდა, სად რა ხვრელები გამოეგლო დედამიწის წიაღში, სად რომელი სიმდიდრე ენახა, ან ზემოთ, გადახნულ მინდვრებზე სად რა შრომის ოფლი იღვრებოდა, ვინ სად ჰკენესოდა, ვინ სად ლაღობდა და მუქთახორობით განცხრებოდა. ახალივე განცდებით ჰხიბლავდნენ იგივე კულმაკრატელა მერცხლები, ქოჩორა ტოროლები, ოქროთი მობიბინე ყანა, ზვიადი მთა და დათოვლილი მწვერვალები, მაღლა მსრბოლავი არწივი, ფრთააქვეტილი შევარდენი, ნაზად მოლულუნე მტრედები, ამაყი ვერხვების შრიალი. მაგრამ ყველაზე მეტად ვადარეული იყო ბულბულის

სტენით. შორიდან მოჰკრავდა თუ არა ყურს, თვალებს გააშტერებდა. შემდეგ გაქანდებოდა და ხელად მიაგნებდა, რომელი ბუჩქიც იყო იმ ბუჩქბულის სამშობლო. ატოკებული გულთ დიდგებოდა და მთელი საათობრე მუშენდა, თუ რომელი იყო ეს ბედნიერი ჩიტუნია.

ბევრჯელ, ძალიან ბევრჯელ მომხდარა, რომ იმ კუნლის ბუჩქის ძირიდან წამოუყენებიათ ბუჩქბულის გრძნეულებით მოჯადოვებული მძინარე ბავშვი. იგი სიზმართა სამფლობელოში სულ სხვანაირად ჰხედავდა გრძნეულ მგალობელს, ის ბევრად ლამაზი იყო, ვიდრე თეთრი მტრედები, ალიონზე მადლა ნავარდით მზის ხანძარს ფრთებით რომ ეზიდებიან ხოლმე, მისი სიზმარეთის მგალობელი ჩიტუნია ოქროს ფრთოსანი იყო, ბევრად ლამაზი სხივოსანი, ვიდრე ჩვენი მზე. როგორ შეჰკრთებოდა ხოლმე, როდესაც დარიკო ან დედა ხელს შეახებდა და ჰკითხავდა:

— უი, დამიდგეს თვალი, აქ სად დაგიძინია, შვილო? — პასუხად ბიჭიკო აჩივლებულა, ხელი გაუწოდებია მიტოვებული ბუჩქისკენ და ვედრებით უთქვია დედისათვის:

— ის ციტი მინდა!...

დედა ხელში იყვანდა ნახევრად მძინარე ბავშვს. მას მშვენიერად ესმოდა, რომ ბიჭიკოს ბუჩქბულის მახლობლად დარჩენა უნდოდა, ისევე ბუნების წიაღში ყოფნა, დიადი ხმებით დატკობა, უხილავი მუსიკოსის პანგთა ჯიროთ-ში ჩაქსოვება და დავიწყება...

## X

## ჩიტის ფაფოზა

დადგა გაზაფხული. ფრინველებს თავისი დღესასწაული დაუდგათ. საქართველოში ამ დღეს სოფლად ჩიტუნებს საგანგებო ფაფით უმსაპინძლდებოდნენ. გორში რუსის უბნის მოსახლეობას მეტწილად ან ადმინისტრაციული წესით გადმოსახლებულები შეადგენდნენ, ანდა სოფლიდან ლტოლვილი გლეხები, რომელთაც ვეღარ გაეძლოთ შიმშილთან ბრძოლისათვის და ბედის საძიებლად აქ შემოხიზნულიყვნენ. მართალია, მათთვის ძნელი იყო სოფლის მიტოვება, სადაც დაიბადნენ, აღიზარდნენ, სისხლის ოფლი ჰღვარეს და პურს ისე სჭამდნენ, მაგრამ ძნელია შიმშილთან ბრძოლა, იგი ყველაფერს გვაგვიწყებს, ყველაფერს გვათმენინებს. ამ გაპარტახებულ უბანში შემოხიზნულ გლეხის ოჯახებს როდი მიევიწყებინათ სოფლის ბარაქა, სოფლის ჩვეულებანი, იქაური წესი, ადათი. და აი, დღესაც ისინი საქართველოს ყველა გლეხებთან ერთად ერთის ამბით იზდიდნენ ფრინველთა დღესასწაულს, რომ მათ მოსავალი არ წაეხდინათ და გლეხის ნაოფლარისათვის ფასი დაედოთ.

სოსოს დიდდამაც გამართა ჩიტის ფაფოზა.

— პური სოფელს მოჰყავს, — ბრძნულად ამბობდა იგი, — მაგრამ პური მართო სოფლისთვის ხომ არ არის, — იმისი მადლი ქვეყნიერებას სწვდება, ქვეყნიერებას ახარებს, აძლობს... მაგრამ პურს ბევრი მტერი ჰყავს. ათასი მწერი, ჭია-ლუა... თუ ჩვენი საყვარელი ჩიტუნები არა, სულ გავვიოხრებენ ნათესს... ამიტომაც უმსაპინძლდებიან ჩიტუნებს. ჰოდა, შვილებო, ამ შესა-ნიშნავ დღეს ჩვენიც უნდა გავუმსაპინძლოთ მათ მშვენიერი ფაფით. აქაური

ჩიტუნები გაფრინდებიან და სოფლად შეატყობინებენ იქნურ ძმობილებს, რომ ქალაქელებიც მათთანა ვართ...

ფაფის პატარ-პატარა კერძები ფოთლების ლამბაქებით დასწვავთ დასწვავთ ბელურებისათვის და თან ამღერდა ბებრული ჩიფჩიფით:

„ჩიტსა, ფრთაჭრელ ჩიტუნებს,  
ვაძლობთ ტკბილი ფაფითა,  
ოჭროს კარავს დაეუღვამთ  
დღისითა და ღამითა.  
თუ მოსავალს მოგვეცემენ,  
ღვინოს ვასმევთ ჩაფითა,  
დღე და ღამე მოვალხენთ  
ზურნითა და დაფითა“.

სწორედ ამ დროს დარიკომ შემოირბინა. დიდებამ მას დაავალა, რომ დანარჩენი ფაფა ბაღის ჩიტუნებისთვის დაერჩებინა.

გოგონამ სიხარულით ტაში-ტაშს შემოჰკრა:

— დილილმე!.. სწორედ დღეს ჩამაცვეს ახალი ტუფლები... ჩიტუნების დღეობაში ერთს კარგად ვიცეკვებ და ეს იქნება...

— არა, შვილო, ჩიტუნებს შენი ცეკვა არ სჭირიათ. ისევ ეს ფაფა წაუღე, — უთხრა დედაბერმა.

— რა ვქნა, ვანა ჩიტუნებს ცეკვა უჯაერებათ? — გაიკვირვა გოგონამ.

— იმათ თავისებური ცეკვა იციან და ჩვენსას რად ინდომებენ. ეხლა ნუ აგვიანებ, წადი, წაუღე, თორემ ის ჩვენი მეგობრები ჭია-ღულით გამოძლებიან, ფაფას დასცდებიან, მოსავალს დასწყევლიან და სოფელი დაგვეშვევა... რა აქმა უნდა, იმ შიმშილში ჩვენც თან მოვეყვებით...

დარიკომ ახალ ფეხსაცმელებზე დაიხედა და ეწყინა, რომ ჩიტუნებს ვერ გააკვირვებდა ვერც ამით და ვერც თავისი თამაშით, ფაფა მაინც წაიღო, სოსოც თან გაიყოლია ბაღისში; სადაც კი ბელურას მოჰკრა თვალი, ნებლიას, ან ღობემძვრალას, ყველანი მიიბატირა და კოპწია ფოთლის ლამბაქებით ფაფა მისთავაზა.

ამ დროს ბუღბუღმა დაისტვინა.

სოსომ შეიფრთხილა:

— უკუღე, დალიკო, ციტი!...

დარიკომ იცოდა, რაზეც უთითებდა ბიჭიკო და კუნლის ბუჩქს მიაშურა, რუსპირად, სადაც ჩვეულებრივ სოსო ისვენებდა ხოლმე.

— ნელა, ნელა, თორემ გაფრინდება, — გააფრთხილა დარიკომ.

ფეხაკრეფით მივიდნენ. დარიკომ შეათვალთვინა ბუჩქი და ბიჭიკოს წყნარად წასჩურჩულა:

— აგერა, აგერ შენი „ციტი“, — და ბუღბუღზე მიუთითა.

ბიჭიკო ვერ მიხვდა, რომ ნაცრისფერი ჩიტუნია მართლა მგალობელი იყო. ის კვლავ ვარსკვლავა ფრინველს მოელოდა, შექმფინარეს, უცნაურს, ცეცხლოვანი ფრთებით მოკიაფეს, როგორც სიზმრად ენახა.

მგალობელ ჩიტუნისათვის თავი თითქოს მთლად თვალეზად გადაქცეულიყო. დიდხანს ჯადოსნობდა გრძნეული ჩიტუნია და ბავშვებიც გულმოდგინედ უსმენდნენ მას. ბოლოს მადლობის ნიშნად დარიკომ ნაადრევი ვარდი მოსწყვიტა

და იმისი ფურცლის თასით ფაფა მისთავაზა მგალობელს. მაგრამ ბულბული ისე იყო გატაცებული თავისი ხელოვნებით, რომ ვერა შებნისწა, ბაწილა გოგონას ხელით რა მშვენიერი თასი აიზიდა მისკენ.

ბავშვები დიდხანს ელოდნენ, როდის გაათავებდა ბულბული გალობას, ან როგორ შეექცეოდა დიდელას მიძღვნილ ფაფას, მაგრამ რანაირად გაოცდნენ, როდესაც ჩიტუნამ გალობა მათათვა და ისე გაფრინდა, რომ მათი ფაფა, ისიც ვარდის ფურცლის თასით, არც კი შეუნიშნია.

— ალბად დაგვიანდით, — სთქვა დარიკომ, — ჭია-ლუით იქნება გამომძღარი... ეხლა რა ვუბხრათ დიდელას? ხომ გავვიჯავრდებო...

შუაღღე მოახლოვდა. დარიკომ ცნობისმოყვარეობით ჩამოუარა სხვა ადგილებზე განლაგებულ ფაფას, მაგრამ უფრო მეტად განცვიფრდა, რომ იქაც ძღვენი ხელუხლებელი იყო.

— რა ვქნა, წყრებიან თუ მართლა დაგვიანდით?

ამ დროს მოლაღურს მოჰკრეს თვალი.

— აი შენი საყვარელი „ბიჭო-გოგია“, იქნება იმან მაინც მიირთვას, თორემ დიდელა შინ არ შეგვიშვებს.

ნიბლიას წილი ფაფა „ბიჭო-გოგიას“ მისთავაზა, მაგრამ „გოგიას“ სად ეცალა მათი ფაფისათვის, — იგი გამალებით ბუდის წენას ათავებდა და წამდაუწუმ ახალ-ახალ მასალას ეზიდებოდა და დიდის ოსტატობით ხელოვნებდა იმ მოქანავე წენიკ ტოტზე, კენწეროზე რომ თითქოს განგებ საჯამბაზოდ გამოშვებრილიყო.

— ზოგი ჩვენსკენაც მოიხედ, ბიჭო გოგია, — შესძახა დარიკომ მულარეობით, — დარიჩი ჩვენთან... ჩვენ დიდელას ფაფა მოგიტანეთ, ისეთი ტუბილია, რომ... სიმღერასაც გეტყვით, ვიცეკვებთ კიდევ... აბა ერთი შემომხედ, რა კარგი ტუფლები მაიცვია...

ბიჭიკოც თავისებურად შეევედრა:

— გოგია!... გოგია!...

მაგრამ არ იქნა, „ბიჭო-გოგია“ წამით რომ მოფრინდებოდა და საოცრად ხელოვნებდა თავისი ბუდის მოსაწნავად, მეორე წუთს მიიხედ-მოიხედავდა, საით სჯობია, საშენ მასალას სად უფრო კარგს გამოეძებნო, ერთსაც შესძახებდა — „ბიჭო-გოგიაო“ და ისევ მიფრინავდა.

— გაფრინდა, ჩვენთან არ უნდა თამაშობა, — ნალვლიანად სთქვა დარიკომ და ცხვირი ჩამოუშვა.

— ფლი-ფლი!... — დადასტურა ბიჭიკომაც.

საფიქრებელს მიეცნენ.

უეცრივე დარიკოს სახე გაუბრწყინდა:

— იცი რა, სოსელო, მოდი და ისევ მე და შენ ვითამაშოთ... გინდა ჩიტუნიალ გადაგაქციო?!

ბიჭიკოს გაეხარდა.

— გოგია მინდა, გოგია...

— ჰო და შენ მართლა გოგია იქნები, — ისე ლამაზად მოგართავ, რომ იმ შენს გოგიას თვალები დაუწყენოთ.

დარიკო დატრიალდა, ნაირნაირი ფოთლები მოაგროვა, შემდეგ ეკლები ხატულა ასკილს, კუნელს, ზემოდან კუნლის პატარა მარცვლები მარჯნის თა-



გებად წამოაცვა, ასე რომ კოპწია ქინძისთავეები მიიღო; შემდეგ მოკვდა ფოთ-  
ლების თვითნებულ ფოთოლს! ბიჭიკო გატყუებული იდგა და სიხარულს გულში  
ივლებდა. მას ისე ეგონა, მართლა მოლაღურის ბუმბული დასწამდა და მან-  
ზე ბევრად ლამაზი გამოდიოდა, კუნლის ქინძისთავეები ბუმბულზე ფოთლების  
ფრთებზე ისე კოპწიად კიაფობდნენ, როგორც კიამარიები, ჩიტუნებს ფრთებ-  
ზე და ტანზე ვიშრის ხალეზად რომ დასწინწკლიათ.

შემდეგ ყელსაბამი აუსხა ძაღლყურძენისა, ჯახველის, კუნლის და რკოს  
გვირგვინებისაგან. მაგრამ რაც იყო, ისევე ჩაფხუტი. როდესაც ესეც გამოჰკერა  
დარიკომ და ბიჭს თავზე დაახურა, თვითონვე გაუკვირდა თავისი ხელოვნე-  
ბისა, ტაში-ტაშს შემოჰკრა და დაიძახა:

— შენი კირიბე, დედა, რა ლამაზი ბიჭი გვყავოლია!

ჩაფხუტის შუბლს ისევე ასკილი აუკიაფა წითელი ვარსკვლავივით, უყურა,  
უყურა და გადაჰკოცნა:

— შენ უფრო ლამაზი ხარ, ვიდრე ჩვენი „ბიჭო-გოგია“...

— გოგია... გოგია... — აღტაცებით წამოიძახა ბიჭიკომ.

— მოიცა, მოიცა, ეხლა უფრო ნამდვილი გოგია შეყვალება, — უთხრა და-  
რიკომ, — იმათი ფაფით შენ უნდა გაგიმასპინძლდე, თორემ რას იტყვის დე-  
დედა, თუ ლამაზები ისევე საფხე დაინახა... აბა, მე ვაჭყევ და შენ ეს ფაფა  
უნდა აჰყენო... შენ ვითომ ბიჭო-გოგია ხარ და ამ ბუდიდან ჩამოფრინდი...  
მო-ო?!...

— ჰო — უბასუხა ბიჭიკომ, თუმცა არ ესმოდა, რას ეუბნებოდა დობილი.

— როცა იმ ტოტთან ასწვდები, ცხვირი ასე უნდა დაჰკრა, როგორც ჩიტუ-  
ნიებმა იციან ნისკარტით, როცა ფეტვის მარცვალსა ჰკენკავენ ხოლმე...  
ჰო-ო?!

— ჰო — მიუგო კვლავ ბიჭიკომ.

— აბა, ახლა გიზურგულეებ და შენ იცი...

დარიკომ დაჰხარა თავი და ბიჭიკოს ზურგი მიუშვირა.

— შემადეე, რა ვქნა, რას ვაჩერდი?

როგორც იყო, ზურგზე შეიყენა, ნელ-ნელა ასწია და ფაფასთან ცხვირი  
მიადებინა.

— აბა, ახლა აკენკე, გენაცვალე!..

ბიჭიკო საგონებელს მიეცა, ვერ მიხვდა, როგორ აკენკა.

— რა ჰქენი, ბიჭო, ვერ აკენკე? აი შე გლახა!.. შენ ხომ ეხლა ბიჭო-  
გოგია ხარ... შენ ცხვირი კი არ გაბია, არამედ ნისკარტი... და ეგ ნისკარტი  
აი ასე უნდა დაჰკრა, აი ასე, აი ასე...

და სურათოვნად ხელად ასწავლა ცხვირის ნისკარტად მოხმარება, ხელ-  
ახლად ზურგზე შეიყენა.

— აბა ჰა, გოგია, აბა, ჰა!

ბიჭიკო ეშხზე მოვიდა, მალლა აიხედა და მოლაღური რომ დაინახა, სიხა-  
რულით შესძახა...

— ბიჭო, გოგია!... ბიჭო, გოგია!...

ისე ლამაზად მიჰბაძა მოლაღურს, რომ გოგონა გაშტერდა.

— კიდევ, გენაცვალე, კიდევ...

ბავშვმა რამდენჯერმე გაიმეორა „ბიჭო გოგია“.



— აბა, ახლა ფაფა აჰქენცე...

ბიჭიკომ სცადა და, მართლაც, მალე სურათოვნად შეასრულე და ვერცხველი მოვალეობა, — ისე კონტად ანისკარტებდა, რომ მალე უფაფიქროსად მოეგუნვლა ის ცხვირიც, პირიც, ის კოპწია და ფუნთუშა ლოყები.

როდესაც დარიკომ ძირს ჩამოსვა, ისე გაეხარდა ბიჭიკოს ჩიტუნიაობა, რომ გულიანად გადაჰკონა და ახლა სხვა ფოთლის ლამბაქებს ჩამოუარეს და ყველგან ერთიდაიგივე ამბავი გაიმეორეს. მალე დიდდის დადგმული ფაფაც შეამოწმეს. აღმოჩნდა, რომ ჩიტუნებს იქაც უარი ეთქვათ ფაფაზე და ისევე სოსო-გოგისა მოუხდა ცხვირის ჩანისკარტება...

მეორე დღეს რუსის უბანში დედაბრებს გაჰქონდათ და გამოჰქონდათ:

— გიგეთ, ჩიტებმა ჩემი ფაფა ისე შშვენიერად მიირთვეს, რომ ნამცეცია არ დაუტოვებიათ.

— ჩემიც, ქალბატონო, ჩემიც...

— ვიშ, ვიშ, რა ბედნიერებაა!... წრეულს კარგი მოსავალი იქნება!

ასე ამბობდნენ რუსისუბნელი დედაბრები და აზრად არავის მოსვლია, თუ რა საარაკო „ბიჭო-გოგია“ მიირთვა მათი შეზავებული ფაფა-ფუფა.

## XI

### ფინთეზო, ფინთეზო

ძველად ჩვეულებად ჰქონდათ, სახლში ხილს ვერ დაეკარებოდნენ, ვიდრე ხილურთხევის დღე არ დადგებოდა, ეს იყო ექვსი აგვისტო. მანამდე ვაშლიც, ატამიც, ნიგოზიც, ახლად შემოსული ყურძენიც, საზამთროც, ნესვიც, ერთი სიტყვით ყველა სანუკვარი ხილი ამაოდ აბრეციებდა ბავშვებს თვალებს. თითო მათგანი ეძახოდა, ჩემსკენ, ჩემსკენაო, მაგრამ წინ დიდდა ელობებოდა: უკურთხებელი არ სჭამოთ, ღმერთი არ გააჯავროთო. ამ აღნიშნულ დღეს ხილი ეკლესიაში მიჰქონდათ საკურთხებლად, მხოლოდ კურთხევის შემდეგ შეიძლებოდა მისი ჭამა.

ბესო ჯულაშვილის სახლში ამ წესს დიდდა მელანია სასტიკად იცავდა. მას ვერ შეეწყინარებინა, რომ ბავშვი ცელქი იყო, სიცოცხლით სავსე და მის კანონებს ადვილად არ ემორჩილებოდა. ცემით ვერ სცემდა, მაგრამ დარიგებით კი გულს უწყალებდა.

— ფუფალა არ გააჯავრო, შვილო, უკურთხებელი ხილი არ ჭამო, თორემ ვერც მე გიშველი და ვერც მამაშენი: ფუფალა იიღებს და, ეშმაკს კუბრიელში შავი ვეშაპი რომ ჰყავს დაბმული, იმის პირში ჩაგაგდებს... უკ, რა საშინელი რამ არის ის ვეშაპი! ცხრილის ოდენა თვალები აქვს, შენხელა ეშვები და პირიდან სულ ცეცხლის კომოს ისვრის... თვალის დახანხამებამზე გადაგსანსლავს. მერე რას ეტყვი შენს დედიკოს, ტირილით ხომ თავი მოიკლა.

ბავშვი, თავის თავს ისე არ ნადვლობდა, როგორც დედას. და შესამოწმებლად დედას გულში მიეკვრებოდა, ჯერ კოცნით იჯერებდა გულს და შემდეგ ცრემლმორეული ეკითხებოდა:

— დიდდა მართალს ამბობს?

— ჰო, შვილო, მართალს ამბობს... რასაც გეუბნება, გაუგონე, — ფუფალად დაგლოცავს და ის ეშმაკიც ვერაფერს დაგაკლებს.

ბავშვი ბშირად საგონებელს მისცემია, ვერ პიშხვდარიყო — „ფუფალას“ რა ესაქმებოდა მასთან, ან რა დააკლდებოდა მას, თუ მე პირს ხილით ჩავიმტკბარუნებო. მაგრამ პასუხის მისაღებად არც საკუთარი გონებას ვაყენებ და არც დიდება უხსნიდა მას, — „ფუფალას ასე მსურსო“, — ეტყოდნენ ასე და ამით იწურებოდა ბიჭიკოს მტანჯველი საკითხი. მართალია, გარგვრულად ბავშვი შეუროვდა დიდებას კანონს, მაგრამ გუნებაში მას თანაბრად შესძულდა ეს დიდებაც, ეშმაკიც და ის ფუფალაც, რომელიც ასეთი სასტიკი მოთხოვნილებით ამდენ უსიამოვნებას აყენებდა მას.

— ენაცვალოს დიდება, ძალიან გამგონი ბიჭია ჩემი სოსო, — იტყოდა ხოლმე მელანია მეზობლებში, — ხილურთხევამდე კბილს არაფერს არ დააკარებს... ახლა ოთხშაბათისა და პარასკევის მარხულობასაც უნდა შევაჩვიო ჩემი სულის საცხონებლად.

ასე მოაქმონდა თავი ბიჭიკოს ჭკვიანობით, რომელსაც უნდა „ეცხონებინა მისი სული“, მაგრამ ბიჭიკოს ერთი ისეთი მარცხი მოუვიდა, რომ პირდაპირ საარაყო ვახდა.

ხილურთხევის წინა დღეს ძია იაკომ თბილისიდან საზამთროები მოიტანა და მშვენიერი წყვილი მურაზად ბესოს გაუგზავნა.

ოჯახს იამა ძია იაკოს ძღვენი. მეორე დღისათვის სადილად დაიპატიყეს. მელანია კი საზამთროს კრუხივით გადაეფარა, უკურთხებელი არ სქამათო.

მეორე დღეს დიდებამ ეკლესიაში წასვლამდე მთელი ხონჩა გაავსო ნაირ-ნაირი ხილით: რა ნაადრევი ატამი, რა მსხალი, რა თურაშაული ვაშლი, გარგარი, რა ახლად შემოსული ყურძენი, ახალი ნიგოზი არ დაალაგა ზედ, მაგრამ ყველა ამის შუა დედოფალსავით ჩააბრძანა კარგა მოზრდილი საზამთროს ნაჭჭრი, რომელიც ისეთის მაცდურებით იღიმებოდა და კოპწიობდა ლალისფერს სამოსში გამოწყობილი, თითქოს გეუბნებოდათ, მე ხომ ასეთი ლამაზი ვარ და ვარ, ზოგი ჩემი გემოც გაიგეთ და მაშინ უფრო კარგად მიცნობთ, ვინცა ვარ და რაცა ვარო.

საზამთროს ნაჭრის ძახილი ყველაზე მეაფიოდ პატარა სოსომ გაიგონა, მიიხედ-მოიხედა, დიდება ხომ არ მიყურებსო, დაუდო დანა, მთელი გული ამოსჭრა და ხონჩაზე ცარიელა ქერჭი დასტოვა.

ამასობაში შინაურობა მორჩა მორთვა-მოკაზმას და დედაც, დიდებაც და ბესოც ეკლესიაში წასასვლელად გაემზადნენ.

დიდებამ ხატის წინ ყვითელი სანთელი დაანთო და წყვილიც ხონჩაზე დასდო ეკლესიაში წასაღებად, მაგრამ გული გაუსკდა:

— უი დამიდგეს თვალები, საზამთრო ვინ შესჭამა?

სოსოს ტყუილის თქმა არ უყვარდა, თავი დააღუნა და „დანაშაული“ აღიარა.

— ეგ რა გიქნია, ბიჭო, — შესძახა დიდებამ, — მე საზიარებლად გამზადებდი და აქ საზამთროთი გამოძეხი? ახლა რას იტყვის ფუფალა, თავს რითი იმართლებ, ჰა?!

წავიდა, აღარ გაათავა დიდებამ, მთლად ჩამწარა ბიჭიკოს ის გემრიელი საზამთრო.

ჯერი ახლა ბესოზე მიდგა:

— ვერ მოითმინე, შე ურჯულო? — დაუტია მან: — დადექი წართან და იმდენ ხანს იდექი ასასივით, ვიდრე არ გითხრა.

სოსომ ითაკილა, გაფითრდა და უხმოდ კარებთან აიტუხა მხოლოდ დედა გამოექვამაგა ბიჭიკოს, მოეხვია და აკოცა:

— რას ერჩით ამ ბიჭს, რა დაგიშავათ, რა ვქნა?! საზამთროს ნაჭერი შესკამა, მეტი ხომ არაფერი?

— მეტი რაღა უნდა ექნა, გაუწყრეს მაგას ჩემი გამჩენი, — სთქვა ბესომ, — შე ჩემი და მაგან თავისი, — ვერ მოვაშლევინე.

— რა ვერ მოაშლევინე, რა?

— წესი უნდა იცოდეს, წესი...

— საზამთროს რა წესი უნდა... ბავშვია, თვალი წაუგორდა... ეხლა ვაპატიოთ და საკვლასოდ არ იზავს, არა, შვილო?!  
 — „კვლავ აღარ იზავს!...“ — გამოაჯავრა ბესომ, — შენ ვერე გააგულიანე და ნახე, რა ნულბარიც გამოგზრდება...

დედას უნდოდა სიტყვა შეებრუნებინა მისთვის, მაგრამ ბესომ ხმა აუმაღლა:

— თავი დამანებე! მე როცა ერთ რამეს ვაკეთებ, შენ ხელს ნუ მიშლი... წირვის დაწყების ხარი დაჭრეს. დიდდამ პირჯვარი გადაიწერა და მოჰყვა ჩიფჩიფს:

— ღმერთო, უშველე საქრისტიანოს!... ღმერთო, გვიხსენი ურჯულოებისაგან!... აბა, წავიდეთ, წირვაზე მაინც არ დავიგვიანოთ...

ბესო დაშოშმინდა. ყველანი გარედ გამოვიდნენ. მაგრამ ბიჭიკო ისევ კარებთან იდგა, გაფითრებული, ათრთოლებული ტუჩებით, თავჩაქინდრული, თითქოს მთელი ქვეყნის ვაება თავს დასწოლიათ. აშკარად ეტყობოდა, რომ სიბრაზე აღრჩობდა, მაგრამ ცრემლი არ წამოსცურებია.

ბესო მიუხვდა, რომ უსამართლოდ დასტუქა და მიუალერსა:

— კარგი, გეყოფა... მოდი, შვილო, მოდი, გაკოცო... შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ... აი, ვაკურთხებინებთ და შემდეგ რამდენიც გინდა, იმდენი სკამე, ვინ დაგიშლის... შემდეგისთვის თუ გინდოდეს რამე, მითხარი, აქ არა ვარ, ჩიტის ჩქესაც არ მოგაკლებ...

მაგრამ ბიჭიკო არც საყოცნელად მივიდა და არც მისი ჩიტის რძე ინდომა. გული ამოუჯდა, ცრემლი ყელში დაიჭირა და მოჰყვა სლოკინს.

— წავიდეთ, შვილო, წირვაზე არ დაგვაგვიანდეს... იქ ფუფალას ვეტყვი და ის გაპატიებს, — უთხრა ახლა დედამ, მაგრამ ბავშვი აღვილიდან არ დაიძრა.

ბესოს კვლავ გული მოუვიდა:

— შეხეთ, შეხეთ, რა ჯიუტი რამაა! ჯერ მიწას არ ასცილებია და მუე გვეურჩება, დიდი რაღას გვიზავს!...

ბიჭიკომ ღუმელით უბასუხა. ბესომ ბავშვისაკენ მიიწია, მაგრამ დედა ქორსავით გამოფრინდა და მამა-შვილს შორის ჩადგა.

— არ უნდა და არ წამოვა, რა გინდათ ახლა.

ბესო აყვირდა, ილანძლა და გულამღვრეული წავიდა საყდრისაკენ. უკან დიდდამ მისდევდა ხილუულით საეცე ხონჩით.

ბავშვმა მხოლოდ ეხლა ამოუშვა ქეითინი.

— ნუ, გენაცვალე, ნუ სტირი, შვილო... არ გინდა და ნუ წამოხვალ... თუ გინდა, საზამთროს კიდევ მოგიჭრი, გინდა?!  
 — ნუ, გენაცვალე, ნუ სტირი, შვილო... არ გინდა და ნუ წამოხვალ... თუ გინდა, საზამთროს კიდევ მოგიჭრი, გინდა?!

უარის ნიშნად ბავშვმა თავი გაიქნია, მხოლოდ სლუკუნს გულზე განაგრძობდა.

— კარგი, შვილო, კარგი, გული მოიბრუნე... დედა როცა გავტყობს, ფუფალაც ხმას ვერ გაგცემს...

— ფუფალა ფინთია... დიდუდაც...

დედა შეჰკრთა.

— ეგ რა სთქვი, შვილო?!

— საზამთლო ლად წამალთვა?

დედამ ლომილით გულში ჩაიკრა შვილი.

— სამაგიეროდ მე მოგცემ...

— აღ მინდა... ფუფალამ და დიდუდამ ქაოს...

დედა აღარ შეჰხირებია. ეკლესიაში ეჩქარებოდა.

— კარგო, შვილო, ნუღარ იტირებ... ახლა მე წავალ და თუ ხაბელანთ კოლას შევხვდი, გამოგვგზავნი... იბამაშეთ...

მართლაც, ბიჭიკოს მალე კოლა მოუვიდა. მან გარედ გაიტყუა და თამაშობაში ჩააბა. ირიკავეს. შემდეგ ჩიტებსაც სდიეს და ამასობაშიც წირვა გამოვიდა. მელანიამ მღვდელს ხილი აკურთხებინა და შინ დაბრუნდა.

ბესომ ძია იაკო და მისი მეუღლე თან წამოიყვანა სადილად.

სოსომ მოჰკრა თუ არა თვალი, მამა მოდისო, თამაშს თავი მიანება, მივიდა და ისევე კარებთან აიტუზა.

ბესომ იაკოს გაანდო ბავშვის ამბავი, და შუაგაცობა დააეხლა, შეგვარიგეო. ძია იაკო დაწინაურდა და შორიდანვე დაიძახა:

— რა ექნა, ამ ჩემს 'ნათლულს' აქ სადა ვხედავ? მოდი, გენაცვალოს ძია იაკო, მოდი ერთი მხარზე შემახტი და შენებურად ყურისძირში მაკოცე... არა, არა, ყურისძირი რა ოხრად მინდა, ულვაშებში, ულვაშებში მაკოცე და შენც ჩემისთანა დიდი ულვაშები ამოგივა, ვაჟკაცი შეიქნები და აქეთ გორს რომ წიხლს ჰკრავ, იქითა მთა გადაგორდება... მოდი, ვაჟკაცი, აღარა მცნობ თუ რა არის? რომ იცოდე, ძიამ რა კარგი კაკები მოგიტანა... შეხე, შეხე... ისეთი ნუყლია, ისეთი თხილი... ისეთი...

მაგრამ ბიჭიკომ თავი ჩაპლუნა, ტუჩები წინ გამოუშვა და ზედაც არ შეჰხედა ძიას, თითქოს იმასაც ებუტებოდა.

— ბიჭოს, ამას რას ვხედავ? გამაგებინეთ, გეთაყვა, რას მებუტება ეს ჩემი ბიჭი? — სთქვა და ბავშვს ხელი წაატანა.

ბიჭიკომ განზე გაიწია.

— გამიშვი, ძია, გამიშვი!...

ეტყობოდა, ბავშვი ცრემლებს ებრძოდა.

ბესომ თავისებური მსჯავრი დასდო.

— არ უნდა და ნუ უნდა. თავი გაანებეთ... ჰოდა, დღეიდან იცოდეს, რომ მაგისი მამა აღარა ვარ... წავიდეს და სადაც უნდა, იქ იპოვნოს ახალი მამა.

— არა, ეგრე როგორ იქნება, — სთქვა წყნით ძია იაკომ, — თუ მებუტება, მეც ავღგები და მთავისი ძია არ ვიქნები, — მეც გავებუტები...

ძია იაკომ ზურგი რომ შეუბრუნა, ბიჭიკომ ტირილი ამოუშვა:

— შენ არა, ძია, შენ არა...

— მაშ ვის ებუტები?

— მამას!... დიდუდას!... ფუფალას!...

ძია იაკობ გულზე მიიხუტა, დაპირდა, შენ ჯავრი ნუ გაქვს, ყველა მაგათ მე მოვარჯულვებო, მაგრამ ბავშვი მაინც არ შეკეცა შიგნით.

— თქვენცა ერთი და, — რა საქმე გაუჭირეთ, — სთქვა დედამ, — დასხედით სუფრაზე... ბუტიას წილი გემრიელიაო! ეგ დაჯდეს და თავის წრეწუნებსა და ფისუნია-ციცუნიასთან იყოს, მათთან ისადილოს...

როცა შიგნით შევიდნენ, ბიჭიკომ მუშტი მუშტს დაარტყა და დიდედს დაემუქრა:

— მაცალე ერთი... დედა მომიკვდეს, თუ კიდევ ვილოცო!... არ მინდა ეგ შენი ფუფალა... არ მინდა... არ მინდა... საზამთროსაც შეგვამ ხოლმე და ნესტსაც... მიყუროს ერთი!

შიგნით კი სადილს შეუდგნენ.

უგემურად ჩამოეყარათ ყველას ყურები, თითქოს ლუკმა ყელში ეჩხირებოდათ, მაგრამ დვინომ ბოლოს თავისი გაიტანა. გახურდა სადღეგრძელოები, ხუმრობა, აქეთურ-იქითური... ბევრი ჭორის გულაც გამოიცალა, ბევრი შართალიც ითქვა... ვინ არ გაათხოვეს, ვინ არ დააქორწილეს, რომელი სახელმწიფო რომელს არ წაჰკიდეს, ბოლოს სიმღერაც შემოსძახეს და ისე გაერთნენ, რომ ბავშვი მთლად მიავიწყდათ.

მთავდა სადილი. საქმე ახლა ხილზე მიდგა.

დიდედამ ნაკურთხი ხილი შემოიტანა სინით, საკუთრივ კიდევ მთელი საზამთრო თამადას მიართვა დასაჭერლად.

ძია იაკობ ის-ის იყო, საზამთრო დასჭრა ასო-ასოდ და დასარიგებლად ნათლიდედს ვადაუდგა, რომ კარი შემოიღო, ბიჭიკომ შემოაპყო თავი და დაიძახა:

— ფინთებო! ფინთებო!... ფინთებო!... მე გამიჯავრდება ფუფალა და თქვენ კი არა! ფინთებო!... ფინთებო!... ფინთებო!...

საზოგადო სიცილში ძია იაკო სუფრას გადმოაფრინდა, ბავშვი აიტაცა, შეისვა მხარზე და სუფრის ირგვლივ შემოატარა.

— აბა, სთქვი, გენაცვალე, სთქვი, სთქვი, ვინა ვართ? ფინთები, განა? ხა-ხა-ხა!.. ფინთები!.. ფინთები!..

სოსო კისერზე მოეხვია და გულამომჯდარმა ტირილი ამოუშვა.

— მართალი ხარ, მართალი, გენაცვალოს ძია იაკო, ჩვენც ფინთები ვართ და ის ფუფალაც, საზამთროს ჭამა რომ დაგიშალა. ხა-ხა-ხა-ხა!...

ძია იაკოს უჩვეულო ხარხარს ბესომაც ბანი მისცა და საზოგადო ზავიც დაიღო: ბიჭიკო ძია იაკომ გვერდით მოისვა და ნახევარი საზამთრო საკუთრივ მას დაუთმო.

## XII

### ა რ ი შ ა ნ ა

სოსო შეექცევ წელში გადადგა. მის ცხოვრებაში ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა: დარჩიო გაუთხოვდა. ძილიან ნაღვლობდა. ერთხელ და სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის გულითად მეგობარს, მასთან დედოფლობის თამაშს, კენჭობას, ხელოწიწანას, ყურთაწიას. ეხლა უნებურად ზაბელანთ კოლას უნდა დაახლოვებოდა, თუმცა იგი მასზე უფროსი იყო და გაეშმაკებულნი. პირველ ხანებში როგორღაც ტყუაში არ მოსდიოდა კოლასთან ერთად შორს წასვლა, ახალი ამზანავების გამოხანხვა. მაგრამ ყველაფერს შეეჩვია, შეეჩვია ბანაობასაც ჯერ

უწყინარ ფშანზე, მის მიწრეტელ გუბე-მორევებში, სადაც აშკარად დასლიკი-  
ნებდნენ ვერცხლისფერი ლიფსიტები, შემდეგ ლიახესაც ეწვია პირველად ლი-  
ახვმა თვალეზი აუტრიოლა, დაარეტინა, ასე ეგონა, ამ გადაჭრულ მოწყობი-  
მდინარეს ქვეყნიერება თან შიქეს და მეც წამიღებსო. დამფრთხალნი მშინ გაიქ-  
ცა, მაგრამ ამხანაგების დაცივას ვერ გაუძლო და მალე იმასაც შეეჩვია. ჯერ  
ფეხების ჩაყოფით კმაყოფილდებოდა, შემდეგ კი, შემდეგ... მაგრამ შემდეგ  
ხომ თავისი ისტორია აქვს. მერე დარიკო? ის სულ აღარ აგონდებოდა და არც  
სციდილობდა მაგიერი ვინმე ეშოვნა. ბიჭებმა მთლად მოინადირეს იგი, უიმა-  
თოდ ვეღარ სძლებდა, მათგან სწავლობდა ისეთ თამაშობას, რაც დარიკოს სუ-  
ლაც არ უხსენებია. დარიკოს ასკინკილა შესცვალა პოლტაობამ და სალოობამ,  
დამალულა და ხეზე ხელი — ლახტიწრემ, ბურთაობამ, რიკაობამ, ბერაობამ,  
ქილაობამ.

მაგრამ სოსოს ხოვანაში ღრმად აღიბეჭდა შეიდმისობა და ამ დღეს გადახ-  
დით არიფანა, რომლის შინაარსიც არასოდეს არ დაქვიწყებია.

შეიდმისობა საგანგებო დღესასწაული იყო ჩვენში მზის მობრუნების საზეი-  
მო გამარჯვების აღსანიშნავად. შეიდი მაისი შეიდი მნათობის სახელზე იყო  
შერჩეული. ამ დღეს მზე ძალიან მაღლა იწევს. საზეიმოა მისი ოქროს ეტლის  
სრბოლა, უფრო მეტად მაიცოცხლებელია მისი სხივები, კეთილისმყოფელი მისი  
სითბო. მინდვრებში ყვავილთა ნოხები უხვად აფრქვევენ სურნელს. ამწვანებუ-  
ლი ჯეჯილი ოქროს იჯავშნავს, წვეტიან შუბებს ცისკენ სტყორცნის, თითქოს  
ყველას აფრთხილებს, საპატიო სადარაჯოზე ვდგევარ, არ მომეკაროთ, მა-  
ცადეთ, ნაყოფი დაეამწიფო და ნარკვევი ხორბლით ქვეყნიერება დაეაპურო-  
დღე უსაზღვროდ დიდდება, დამე კი სულ პატარავდება. მაღლა ცა ვარსკვლავ-  
ებით იმოსება, ძირს კი ყვავილთა ფოთლებს აღმასებად ეფრქვევა მოკაიფე  
დილის ნამი. ჩვენ ხალხს სჯეროდა, რომ სწორედ შეიდი მაისს დილას ასეთი ნა-  
მით მოაქურებული ყვავილები სამკურნალო ძალას იქნენო. იმ დღეს მკით-  
ხობდნენ ჩვენი გასათხოვარი გოგოები სამყურა ბალახზე, იასამნის ყვავილზე.  
ამ დღესვე ხელმძღვანელობდნენ მოხუცებულები ჯეილებს ყვავილთა ავკარ-  
გინაობის გარკვევაში: ასწავლიდნენ, რომელ ყვავილს რა სამკურნალო ძალა  
ჰქონდა, როგორ გამოეხარშათ, რანაირად გაეხმოთ, როგორ დაეფქვათ გამხ-  
ნარი ფოთოლი ან როგორ გამოეხადათ წვენი და რომელი ყვავილი მოეხმარათ  
ამათუიმ ავადმყოფობის განსაჯურნად. რა თქმა უნდა, ყვავილს შელოცვაც თან  
სდევდა, რადგან ხალხს სჯეროდა, რომ ყველა ავადმყოფობას თავისი ბოროტი  
და კეთილი ანგელოზი ჰყავს, რომლებიც ადამიანის ჯანში ბულობდნენ და  
მოითხოვდნენ ყვავილების შესაფერ ხარკს. ასეთი ამბები სდევდნენ მზის მო-  
ბრუნებას და მის საზეიმო გამარჯვებას შეიდმისობა დღეს.

და როდესაც მოხუცები ჯეილებს ყვავილთა სამკურნალო თვისებებს ასწავ-  
ლიდნენ, ბავშვები თავისებურად ჰხედებოდნენ ამ დღესასწაულს. ისინიც მი-  
დიოდნენ მინდვრად, ჰკრეფდნენ ყვავილებს და როდესაც კარგა მოიღლებოდ-  
ნენ, დასხდებოდნენ და არიფანას იხდიდნენ.

არიფანა ამხანაგური ნადიმი იყო. დანიშნულ დღეს და დანიშნულ ადგილას  
ბავშვები ერთად იკრიბებოდნენ. ყველას თავთავიში წილი ბური მოჰქონდა,  
ყველი, ქათმის ნაჭერი, მოხარშული კვერცხები, ხილი და ზოგჯერ ღვინოც,  
თუმცა სმა სავალდებულო არ იყო. ქიქებად რკოს გვირგვინებს ხმარობდნენ ან  
მამლის ყანწებს. მრავალეამიერსაც შემოსძახებდნენ ხოლმე, რომ უფრო სურა-  
თონად დამსგავსებოდნენ დიდებს. ამხანაგებში თუ ვინმე ღარიბი გამოერეო-



და, იმასაც სამშო სუფრაზე უშვებდნენ. ერთის სიტყვით, არიფანამ არ იცოდა არც მდიდარი და არც ღარიბი, არც სტუმარი და არც მასპინძელი, ყველა ყველას სტუმარი იყო, ყველანი ყველას მასპინძლობდნენ.

წელს სოსო პირველად მოხვდა არიფანაში. მან არც კი იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა. როგორც ყოველთვის, ეხლაც ამ მძიმე საკითხის გასარკვევად ძია იაკოს მიჰმართა:

— ძია, არიფანაზე მეძახიან, წავიდე თუ არა?

— უნდა წახვიდე, მაშა! რის ვაეკაცი ხარ, თუ ამხანაგებს ჩამორჩები? ყოჩი უნდა იყო, ყოჩი!

— იქ რა უნდა ვაკეთო, ძია?

იაკომ გაიკვირვა. ბოლოს ჩაიღიმა და ვაეხუმრა:

— რა უნდა ვაკეთო? ბუს კვერცხებს დასდებ და ის იქნება.

ბიჭიკოს არ მოეწონა იაკოს პასუხი და შუბლი შეიკრა.

— ბუს კვერცხები კი არა, ქათმისა არ გინდა!

— ჰო-და მაშ რას მეკითხები, შეილო, რახანც გცოდნია: კარგად იქეიფებთ და ის იქნება.

— ვიქეიფებთ?

— იქეიფებთ, მაშ, როგორც დიდი კაცები.

— როგორც დიდი კაცები?! — გაიკვირვა ბიჭიკომ.

— კარგად დალევთ, კარგად შესჭამთ, იმღერებთ, ითამაშებთ, ყირა-ყირა გადახვალთ.

— ლეინოც უნდა დაელიოთ?

— თუ გინდათ, დალიეთ...

— არა, ლეინო ფინთია...

— ჰო, ფინთია, სანამ დავაეკადები. შემდეგ ვატკებბა...

— არა, შეჯაერება, ვერ დავეღებ...

— ნურც დალევ რა, სავალდებულო როდია! ეს შემდეგ, როცა ვაეკაცი ვახდები, კისერშიც ჩაგასხამენ, თუ არ დალევ, ეხლა კი ჩვენს წინაპრებს უნდა გავუგონოთ. არ გაგიგონია, როგორ გვარიგებენ?

— არა.

— მაშ გეტყვი:

ბერი კაცი თვრესო,  
ვაეკაცს ერთი ჰხედესო,  
ყმაწვილს სუნი მიუვიდეს —  
ღმერთს თაყვანი სცესო...

— რა კარგი ნათქვამია!

— კარგია, მაშა! ძველია, ძველი! რასაც ძველად იტყოდნენ, ხმალივით მოქნეული სიტყვა იყო. ეხლა? ჩენი სიტყვა გროშადაც არა ჰღირს.

— მაშ რაც ძველია, სულ კარგია, ძია?

— კარგია, მაშ!

— შე კი ახალ ხალათს რომ მიკერავენ, ის უფრო მომწონს. ძველს გავიხდო და გადავაგდებ.

ძია იაკო შეფიქრიანდა, უღვაშებზე ხელი გადაისვა და სიტყვა ბანზე აუტლო:

— ხალათი სხვაა და ძველი სიტყვა კიდევ სხვა. ძველი ვაჭარებიც სულ სხვანაირები იყვნენ, ჩვენ კი არ გვგვანდნენ. პაპა-ჩემს ერთი ძლიერ უღვაშები ჰქონდა, მე კი სიმინდის ქოჩოჩს მიმიგავს...

ბავშვს უღვაშების ამბავმა ღიმილი მოჰგვარა, მაგრამ მტკიცე უჩქარებელი თვალები მიაშტერა, თითქო რაღაცა აწუხებდნო.

— რაო, შეილო, რაზე დაფიქრდი?

— ძია, არიფანაზე ყველამ უნდა მიიტანოს საკმელი?

— ყველამ, მაშა!

— რომ არ ჰქონდეს?

— ეგეც შეიძლება, მაგრამ ხელს არავინ ჰკრავს. თუ აგრეთი ღარიბი ვინმეა, რა ეწყობ, უნდა გაეიტანოთ. შენ ქურდობა და აქვაცობა თქვე, თორემ სიღარიბე რა დასაძრახისია. გყავს ასეთი ამხანაგი?

— ჰო, მყავს.

— ვინ?

— ხუციანთ გიგა... ისეთი კარგი ბიჭია, ისე კარგა მღერის, რო... პურს მე ვაქმევ ზოღმე...

— გულკეთილი ბიჭი ყოფილხარ. ძიასაც მუდამ ეყვარები, თუ აგეთი კარგი ბიჭი იქნები. ნურც ეხლა შეშინდები. მიყურე ერთი, ამ კალათაში იმდენ რამეს დავტვივ, რომ შენც გეყოს, ხუციანთ გიგასაც და ყველა შენს ამხანაგებსაც...

ძია იაკო დატრიალდა, პუკლის კალათა გადმოიღო და ხელად ამოავსო პურიით, ყველით, მოხრაკული ვარიით, კვერცხით, ვაშლით. ბოლოს ერთი ბოთლი ღვინოც მიაყოლა.

— ეს ნუნეა იმან ვადაპკრას, ვინც თქვენში ნამდვილი ვაჭაკი იქნება, მაგრამ იმ პირობით, რომ პირველად ძია იაკოს სადღეგრძელო დალიოს...

ბიჭიკომ სიხარულით გაჰკურცხლა ამხანაგებისაკენ.

ბავშვები მინდვრად გაეიდნენ. ჯერ ყვავილები დაჰკრიფეს და ლამაზ-ლამაზი გვირგვინებით თავები შეიმკეს. შემდეგ ერთი ობოლი ოლეს ქვეშ ბორხვენის ფოთლები დადინეს, შუკრივად ჩამოსხდნენ და ამ ფოთლებზე ამოალაგეს თავთავიანთი საუზმე.

ხაბელანთ კოლამ მამასახლისობა იკისრა: მთელ სანოვავეს ერთად მოუყარა თავი და შემდეგ ამხანაგებს გაუნაწილა, მაგრამ არა კეთილსინდისიერად. თვითონ სულ კარგი ნაჭრები დაიტოვა, თავის მახლობელ ამხანაგებსაც კარგი და კარგი შესთავაზა, დანარჩენებს, ვის როგორც მოხვდა, ისე. ზოგს კი სულ არაფერი არგუნა.

სოსოს ძალიან გაუკვირდა ასეთი მიკროძოვება. ძია იაკომ ერთი უთხრა, აქ სხვა გამოდიოდა. ვერ მოითმინა, წამოხტა:

— შენ ეი, ხაბელანთ ბიჭო, სწორედ არ იქცევი... რა ამბავია, რომ ყველაფერი შენ დაითრიე? აბა ამ ხუციანთ გიგას რა არგუნე?

— ხუციანთ გიგას არაფერი მოუტანია, რა უნდა ჰრგებოდა?

— მე ხომ ბლომად მოვიტანე, იქიდან გაუყე რა... არიფანა ყველასთვისაა!

— ეს რა ჭინჭყლი ვინმე ჩამოგვერია, — შესძახა გამბრაზებით კოლამ, — რას შარიაობ, შეილოსა, თუ ჩვენთან არ გინდა, ადექი და შენს გიგასთან ერთად, სადაც გინდა იქ იარიფანევი...

— არსადაც არ წაველ, არიფანაზე ვარ და არიფანა უნდა ვნახო. ეგ სადაუ-

რია? ცოდო არ არის ეს ბიჭი! რა ვუყოთ, რომ ღარიბია, ძია იაკობ სთქვა, სი-  
ღარიბე დასაძრახი არ არისო...

ნაწიხული

სოსოს სხეებიც გამოეჭრებოდა.  
კოლას შერცხვა. პატარა გიგასაც გაუნაწილა, მაგრამ ვაი ახტო უანწილდება!  
თვითონ კოლა ზომ ბუზლუნებდა და ბუზლუნებდა, საწყალი გიგა სირცხვილით  
იწვებოდა, დამნაშავესავით თავი დაელუნა, თითქოს ხერხელს დაეძებს, რომ  
თხუნელასავით შიგ შეძვრესო.

— აი ავრე, ეხლა ისევე კარგი კოლა ხარ, — უთხრა სოსომ.

კოლას იაშა, რომ სოსოსაგან მოწონების სიტყვა გაიგონა. შეურიგდა. მცირე  
ხნის შემდეგ უსიამოვნება ისევე სიხალისემ და ცელქობა-ქრიაშულმა შესცვალა.

თუმცა სოსო კარგად ნასაუზმევი იყო, მაგრამ არიფანაზე უბრალო მშრალი  
ლუკმაც დიდად ესიამოვნებოდა და ისე შეეძვცეოდა, როგორც არასოდეს. ცა-  
ლი თვალი სულ გიგასაკენ ჰქონდა, აქებებდა:

— ჰამე, გიგა, ჰამე, ნუ გეშინიან, აქ არა ვარ!

გიგა თუმცა წლოვანებით უფროსი იყო, მაგრამ სოსოს გაბედულ სიტყვას  
ემორჩილებოდა, თითქოს ჰგრძნობს მის უპირატეაობასაო.

— ნუ გეშინიან! — ათამამებდა სოსო და როცა ბიჭები შესძახებდნენ: არი-  
ფანა, არიფანა, ჩვენს კამპანიას გაუმარჯოსო, ფერდში წაპკრავდა, შენც ასე  
დაიძახეო.

გიგასაც უხაროდა, მაგრამ რაკი სამშო სუფრაზე არაფერი ჰქონდა მიტანილი,  
თავს მაინც დამნაშავესავით ჰგრძნობდა.

ამ დროს ერთმა დაიმღერა და ყველანი აიყოლია:

„თუქუნა წვიმა მოვიდა,  
დიდი მინდორი დანამა.  
დანამა, ბიჭო, დანამა,  
დიდი მინდორი დანამა!  
ვინც რომ ჩვენზედა ცული სთქვას,  
გული დაუკლას დანამა.  
დანამა, ბიჭო, დანამა,  
გული დაუკლას დანამა“.

სიმღერას ლექსები მოჰყვა, კოლამ პირველმა დაიწყო:

— ყაყაროსა სიწითლითა  
ყანა დაუმშვენებია,  
ყმაწვილსა კარგი სწავლითა  
დედა გაუხარებია“.

მა' მეორე გამოეკამათა ლექსის ცოდნაში:

„ნეტამც არ დაგძინებოდა,  
ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა,  
გამოგიჭროლებს ალალი,  
წაგიყვანს მაღლა შთაზედა“.

მესამემ აღარავის დააცადა, წამოხტა და უსუნთქებლივ წამოიძახა:

„კურდღელო, ნუ სძოვ ყანასა,  
ნაღარია და ბრალია,  
თორემ მოგიტევ მწვეგრებსა,  
ჩემი აღარა ბრალია“.

გაქონულნი  
გინჯილნი

სოსო უსაზღვროდ ბედნიერი იყო. უკვირდა, ამ ყმაწვილებმა ამდენი ლექსები საიდან შეისწავლეს, ან რატომ მე არაინ მასწავლაო. მას „ჩიტი ნიბლიაც“ მოეწონა, გაუმადლარი კურდღლის ამბავიც, მაგრამ კოლასაგან თქმული ლექსი სულ სხვა რამ იყო. ნელ-ნელ მეხსიერებაში აღადგინა მთელი ლექსი, შუბლი მოჰმუხნა, თითქოს რაღაცა სტანჯავდა, ბოლოს წამოღდა და დაიძახა:

— მეც მინდა ლექსი ვთქვა, მაგრამ რო არ ვიცი...

— მე ვიტყვი, მე! — დაიძახა ისევ კოლამ და დასტურისათვის აღარ მოუტლია:

„მზეო, ამოდი, ამოდი,  
ნუ ეფარები გორასა,  
სიცივეს კაცი მოუკლავს,  
საწყალი, აგერ ჰგორავსა“.

თუმცა ცხრათვალა მზე იყო, მაგრამ სოსომ ისე იგრძნო, თითქოს მართლა ყინვის ზორკილები დაადესო. მის ფიქრმორეულ თვალებს გადაეშალა სუსხიანი ზამთარიც და უპატრონოდ დაგდებული გაყინული კაცი, რომელიც, ვინ იცის, იქნებ ტურების კერძი გახდეს. სოსოს ფიქრებიანთვის ვერ აერთოვა თავი, რომ ახლა ხუციანთ გიგამ დაიწყო ცმუკვა.

— მეც მინდა ერთი რამე ვთქვა, — უთხრა სოსოს.

სოსომ ფიქრებს აართვა თავი:

— სთქვი, გიგა, სთქვი, ნუ გეშინიან, — წააქეზა მან.

გიგა წამოღდა, გაწითლდა, ქამარი მიიწ-მოიწია, ხალათის კალთას ჰმუტუნა დაუწყყო და შემდეგ კი არ წარმოსთქვა, ლამაზად დაილიღინა, სუფთა ხმით, ქართველი გლეხის სევდიანი კილოთი:

„რამ დაგაშრო, შე ოხერო,  
ლარიბების ბედის წყარო,  
ამოდლდი, რომ ქვეყანა  
ერთიანად გაახარო!“

ნაღვლიანი ხმა ყველას გულზე მოხვდა, ნამეტნავად ჯუღიანთ ბიქს. მას ეწყინა კიდევ, გიგამ ასე მალე რად გაათავაო და გულითა სთხოვა, კიდევ ემღერა რამე. სხვებიც შემოებვიენენ გიგას. გიგა გამხნევდა და ახლა უფრო სევდიანი კილო გამოიჩინა ბავშვების ასაცრემლებლად:

„სოფლელი გლეხის შვილი ვარ,  
ჰადითა გამოზრდილია,  
უჭუდო, ჩოხის ამარა,  
ჰალამნებ ვაცვეთილია.“



ობოლი დავრჩი დედ-მამას,  
 დრო მაღვა ვასაქირია,  
 სადაცა ვარდასა დავეძებ,  
 იქ მხვდება ეკლის ძირია.  
 მამაც ამრიგად ტანჯულა,  
 ვით ვიტანჯები შევლია,  
 თუმცა სათქმელი ბევრი მაჭვს,  
 ვერ გამიღია პირია.  
 მე ვინ მომაცლის იმდენსა,  
 გლახმა ვისწავლო ანბანი,  
 დაეჯდე და წიგნი ვისწავლო,  
 გაეიგო ქვეყნის ამბავი.  
 მიწაა ჩემი ქალაღდი,  
 გუთანი—ბასრი კალამი,  
 და მელნად — ტანჯვა-წამებით  
 ოფლი უზომოდ ნაღვარი...“

— გეყოფა, გიგა, გეყოფა! — შესძახა აცრემლებულმა სოსომ.

სხვებმაც ცრემლები მოიწმინდეს. ყველას უნდოდა, რომ გიგასთვის რითიმე ეამებინა. ზოგი კერძს სთავაზობდა, ზოგი ლილებიან ქამარს. თვით სოსო გულზე მიეხუტა, თავზე ხელი გადაუსვა ისეთის გრძნობით, როგორც იცოდა ძია იაკომ, როდესაც მიუღერსებდა ხოლმე მას. სოსო გრძნობებით იღვრებოდა. მას არასოდეს არ გაუგონია ისეთი სევდიანი სიმღერა, როგორიც გიგამ ვა-  
 აგონა. მთელი სული წამოუქოთა მძიმე და აუტანელმა კითხვამ, თუ ვინ იყო ის საწყალი კაცი? იფიქრა და იმ დასკვნას დაადგა, რომ ეს საწყალი კაცი თვითონ გიგაა. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა. ყველას დედ-მამა ჰყავდა, მხოლოდ გიგა იყო ობოლი. ბიჭიკოს წარმოდგენით კი ყველა ბედნიერი იყო, ვისაც მშობლები ჰყავდა. თვით ყინვისგან მოკლული კაცი, რომელიც სა-  
 ცოდავად ჰგორავდა ყინვაში, გიგას მამად წარმოუდგა. შეებრაღა გიგა, ერთი-  
 ორად შეუყვარდა. მთელი თავისი ულუფა მას გადაულოცა, მერე ისე შეუშ-  
 ნევლად, რომ გიგას თავმოყვარეობაზე არ ემოქმედნა.

— შენი ჭირიმე, გიგა, ყოველ დილაობით მოდი ხოლმე ჩემთან, — უთხრა ბიჭიკომ და გულში გადასწყვიტა, რომ მისთვის თავისი კერძიდან ყოველთვის გაეზიარებინა რამე.

ბოლოს წამოიშალნენ ბავშვები, სიცოცხლემ სიცოცხლე მოითხოვა, აცქრი-  
 აღდნენ, მოამზიარულეს, რა არა სთქვეს, რანაირად არ იოხუნჯეს. ერთმა დაიძახა:

— არიფანა, არიფანა, ტაში!

— არიფანა, არიფანა, ტაში! — შესძახეს აქეთ-იქიდან ბიჭებმა და სახელოდა-  
 ხელოდ იქვე ტაში-ფანდური გააჩაღეს.

— ჩამოდექით, ჩამოდექით, მე უნდა ვითამაშო! — იძახოდა ხაბელაანთ ბიჭუ  
 და წრეში ჩამდგარ ბიჭებს ქამრის ქნევით ჩამოურბინა: — განი, განი!

წრე გაფართოვდა.

— ტაში! ტაში! ტაში! არიფანა, ტაში! — შესძახა ხაბელაანთ კოლამ და ჩამოუარა.  
 ერთმა ორ სიბ ქვას დაავლო ხელი, ააკაკუნა, მაგრამ ეს იმდენად ყურის ვამ-  
 კვითი იყო, რომ სოსომ შეაჩერა:

— თუ ძმა ხარ, ავრე არა, ისევე სიმღერით ვითამაშობ.

— სიმღერით, სიმღერით!

— აბა, გიგა, შენ კარგისა გეცოდინება; — უთხრა სოსომ ზუციანთ ბიჭს, — დაიწყე...

და ზუციანთ გიგაც მოჰყვა მზიარულ სათამაშო ჰანგს:

„ბანი მითხარით, ბიჭებო, ვარალალო,  
ვარალალი, ვარივარალალე!“

და შემდეგ მომღიძარი სახით სოფლური შაირი მიაბა გიგამ:

„ბიჭმა ვოგო გაიტყუა  
ჩიტი ბუღითეინაო,  
ჩიტბუღეს რა უნდოდა,  
სულ სხვა რამითეინაო.“

სოსო ცქერად იყო გადაქცეული. ტ.შ-ფანდურამ მოჰხიბლა, სოფლურმა კი-ლომ და სიმღერამ გული დასწყვიტა. მიხვდა, რომ ამხანაგებს ბევრ რამეში ჩამორჩენოდა, მაგრამ მაინც თავს ბედნიერად ჰგრძნობდა. მზე ხომ მზეობდა და ხარობდა, ბიჭიკოსაც გადაედო მისი სითბოს გრძნეულება. ბოლოს ისიც გათმართა წელში, გაშალა ხელები და ხაბელაანთ კოლას მიხედვით ავად თუ კარგად აჰყვა ტაშ-ფანდურას, ლეკურიც დაუარა, ჩანჩურიც, ბაღდალურიც, ყველა სათამაშო სულ ერთმანეთში აურია. ფეხიც გაუსვა, ჩაჰბუჭნა კიდევ, თუმცა თავმა გადასძლია და კინაღამ გადაკოტრილა.

ბიჭებმა ჟივილ-ზივილი ასტეხეს.

— ტაშ-ტაშ! ტაშ-ტაშ! ჩვენს კამპანიას გაუმარჯოს!

უცბად სოსო შეჩერდა და გიგას შენიშნა:

— შენ რაღას გაჩერებულხარ, გიგა, მოდი, შენც ფეხი გაუსვი!

— რა ექნა, სოსო, სიმღერაც ვიცი, თამაშობაც... აი ეხლაც თამაშობა მინდა, მაგრამ ჩუსტები არა მაქვს და როგორ ვითამაშო.

სოსო შეფიქრიანდა, უცბად ფეხსაცმელი გაიძრო და შესთავაზა:

— შე თავმეკდარო, ამისათვის რას დალონებულხარ, აბა, ჩაიცვი!

გიგამ იუარა, მაგრამ სოსო არ მოეშვა, ვიდრე არ ჩააცვა და გემოზე არ ათამაშა.

შემდეგ ჰიდაობა გაიმართა. აბა, ხაბელაანთ კოლას ვინ მოერეოდა, ნათამამევი ბიჭი იყო. მართალია, წლოვანებით გიგა და ის ერთმანეთს თითქმის გაუტოლდებოდნენ, მაგრამ გიგა დაგვალული ბიჭი იყო, გამხდარი, ობლობისგან გაცრეცილი, კოლა კი ჩაფსკენილი, ამიტომ ზვიადობდა იგი, ტრაბახით აიკლო იქაურობა, ყველას არცხვენდა, მშიშარებს უწოდებდა. სოსოს არასოდეს არ ეჭიდავნა, მაგრამ მისი ყოყლოჩინობა ითავილა და დაეტაკა. ხაბელაანთ ბიჭმა უბრალო სარმით წააქცია. სოსოს ეწყინა, მაგრამ ჯავრი გულში ჩაიკლა.

— ერთი შეც დავეჭიდები, — წამოიძახა გიგამ.

სოსომ თვალები დააჭყიტა, როგორ უბედავს შებმასაო.

— წადი შე ჰინჭრაქავ! — შესძახა კოლამ და დაცინვით წამოჰკრა კისერში, მაგრამ გიგა გაუსხლტა, შეზომა თვალით, შემდეგ ისკუბა, მისწვდა ჭმარში, შეაჯანჯღარა და, ვიდრე კოლა გონს მოვიდოდა, კისრულით მოისროლა და პირაღმა ლავაშივით გააქრა მიწას.



ბავშვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. სოსო გაეჭანა და გიგა გრძობა-კოცნა. კოლას შერცხვა, გიგას ბლევრით შეხედა და დაემუქრა, მაკადე, დედას ვიტყვებო.

შემდეგ ისევ აფრიაულდნენ. გაჩაღდა ყვავილების სროლა, გვირგვინების ტაციობა, დაშენა. შერე ისევ ლექაები, ისევ სიმღერები...

სოსოს ამისი მსგავსი არა ენახა რა. ყველაფერა ეუცხოვებოდა, მაგრამ ამხანაგებს არაფერში ჩამორჩენია, არც სიმღერაში, არც ცეკვაში, არც ხუმრობაში, შეძახილს შეძახილით უპასუხებდა.

შინ რომ დაბრუნდა, დედას ყელზე მოეხვია და უთხრა:

— იცი, დედიკო, რა ვისწავლე?

— რა, გამახარე?

— ლექსი... აი, რა კარგია:

„ყაყაჩოსა სიწითლითა  
ყანა დაუმშვენებია,  
სოსოსა კარგი სწავლითა  
დედა გაუხარებია“.

დედიკომ სიხარულით გადაკოცნა და გაამხნევა:

— აგრე, აგრე, შვილო, ვენაცვალოს დედა, მუდამ დედიკოს გამხარებელი იყავი!

შემდეგ ბიჭიკომ უამბო, ხაბელანთ კოლა როგორ წააქცია გიგამ, მაგრამ დედამ გრძნობამორეულ შვილს ლოგინზე მიუთითა, დროა, დაიძინეო.

ბიჭიკო ბურანში გაეხვია. არიფანა სიზმარშიც გაგრძელდა...

მეორე დღეს ამხანაგებს სთხოვა, ასეთი არიფანა ხშირად გაემართათ ხოლმე და ნუ მოეცადათ შემდეგი შეიღმისობისათვის.

### XIII

#### ძია იაკოს ხანაძემო

მსუქანმა შემოდგომამ უხვად დააჯილდოვა მთელი ქართლი. დაბრაწული თურაშაული ვაშლი, დევკაცთა ოჭროს საყურეებად მოკიაფე კომში, ხავერდოვან მარკებად დაკიდული ბროწეული და იაგუნდის მარცვლებით დამკვრახული მტევნები რა ერთი ხანია ყველას ხელს უქნევდნენ და ეძახოდნენ — დაგვეპატრონეთ, მოდით, იგემეთ ჩვენი სიმდიდრეო.

ფართოდ გაშლილ ეზოებში გრძელ-გრძელ სარებზე გამოჰკიდეს ახლად დაულებული ჩურჩხელები, ყურძნისა და საზამთრო მსხლის ჯაგნები, თონედან ამოდებული ჩამიჩი, ქარვის მარცვალა სიმინდის ტაროები, ბანებზე გორა-გორად დამღარი კვახები... ყველანი დაკარწახებული ჩქარობდნენ, რომ ზამთარს დოვლათით საცეს კიდობნებით შეჰკებებოდნენ.

ყველაზე გვიან ძია იაკო გაისაჯა. როგორც დინჯი, დარბაისელი კაცი, ის არ კმაყოფილდებოდა ყურძნის მარტო ერთი შეთვალეებით, უცდიდა იმ დროს, როცა მარცვალს კარგად აეწვა კანი სიმწიფით. მაშინ კი ჩოხა აიკალთავა და

ქალების ლაშქარს გაუძღვა, ჯალაბობით ეწვია ვენახს და ეს განხლებული ლაშქარი შეუსია მტევნებით დაზნექილ ვაზებს.

ყველამ ხელი დაატრიალა, თვითონ ძია იაკო გამოცდილი საუბარით თვალს ადევნებდა მუშაობას და თანაც ჯალაბობას განკარგულებას განკარგულებაზე აძლევდა:

- აბა, ერკეპალი წამოაქციეთ!
- ვარიებს წასწყვიტეთ თავები!
- ხაშლამა არ ჩაგეხარშოთ!
- არტალა ნივრით!
- მწვადები ჩემს მეომრებს!

შემდეგ საწნახელთან მივიდოდა და რამდენიმე ვაყკაცს, რომელთაც ფეხები დაეხადნათ და რომელნიც ყურძნის საწურად ჩამდგარიყვნენ, თითო-თითოს გადააკრევენებდა:

— აბა, ყოჩაღად, ბიჭებო, ყოჩაღად გასაჯეთ მუხლის ძალა...

შრომის ომი ვაფიცხდა. მტევანი მტევანს მისდევდა, კალათა კალათას, გოდორი გოდორს. ყველანი მიეშურებოდნენ პირდაღებულ გაუმადლარ საწნახელისაკენ.

რქაწითელას ღვართქაფი ღარზე ყოყინით მოსჩქეფდა და ღალის დალაღებად ეშვებოდა არა ნაკლებ გაუმადლარ ქვევრისაკენ.

მოახლოვდა შუადღე და ძია იაკოს სტუმარი სტუმარზე ეწვია: ბესო თავისი ჯალაბობით, ხოდელი ვიგო, რომელსაც უკვე მოესწრო შეზარხოშება და დჭრილი ლომივით ფრთქვინავდა, სქეჭდა, მიხაკა ციხელი ცოლშვილით და ბევრი სხვაც.

პატარა სოსო პირველად მოხვდა რთველში. ყველაფერი უკვირდა, ყველაფერი აინტერესებდა. ნელნელა გაიგეშა, კუნთებმა თამაში დაუწყეს, თვალი გაძღა-მოსავლის სიუხვით. ციბრუტივით დატრიალდა და დაუღალავად ეზიდებოდა აკიდობებს, ყურძნის ჯაგუნებს.

ძია იაკომ სტუმრებს ფეხზევე დაალოცვინა ვენახი: საგანგებოდ შემონახული ამავე ვენახის ღვინით და ვიდრე ჭრელი სუფრა გაიშლებოდა, ვაზების ხეივანში ასტყდა ხუმრობა.

— აბა, სამერმისო დოვლათიანობაც დაელოცოთ, ვენახის სამერმისო მოსავლიანობა!

— თქვენი ვენახის დოვლათიანობა გვაჩვენე, ძია იაკო, გვაჩვენე, თორემ მე ჩემი დედოფლით დავიწყებ! — შესძახა ზოდელმა და თავის მეუღლისკენ გაიწია. მორცხვობამ ლოყები აუწითლა ფეფელას, ის განზე გაუხტა, ღობის იქით გადახტა. ვიგოს ხარხარი დაყარეს. სამაგიეროდ ძია იაკოს ვერსად წაუვიდა თავისი დარბაისელი მარიამი, მან იქვე ვაზებში გადააგორა-გადმოაგორა მარიამი, როგორც ამას ხელხური ჩვეულება მოითხოვდა უხსოვარი დროიდან მიწის დოვლათიანობის დასალოცავად, და თან ძახილდა:

— ამოდენა მტევნები! ამოდენა ჯაგუნები!

სტუმრები ხარობდნენ, მათ თვალში სამერმისოდ ვენახი კიდევ ისხამდა ისეთი ქალის სიმსხო ტევნებს, როგორიც მარიამი იყო. ჯამებით ღვინოს მოსვამდნენ და ძია იაკოს შეძახილს შეძახილით უბასუხებდნენ:

— მაგოდენა მტევნები! მაგოდენა მტევნები!

ამის შემდეგ იაკომ სველი ხელადა აიღო, დალოცა ვენახი, გამოსცალა და ახლა ვიგოს გადაულოცა.

მარიამის გორაობა ვაზებში ჩხუბად მიიღო სოსოვ, ძია იაკოს ხელი დაუჭირა და უსაყვედურა:

— ძალს რატომ ა სცემ, ძია იაკო? ცოდოა...

ბავშვის გულმტკივნეულობაზე მარიამმა გულიანად დაპოკუნა იგი, სამსახიეროდ ძია იაკომ განგებ წარბი შეიკუმხნა:

— შენ, ეი, ხოდელი ხომ არა გგონივარ, რომ ცოლი წამართვა?

ბავშვი წამოწითლდა, თვალში ცრემლები მოერია, მაგრამ ხოდელმა გა-  
მოაკეთა საქმე:

— მერე რაო, — გადმოსძახა მან რიზიანად, — თუ გგონია, რომ ფალაფა-  
ნობაში აჯობებს! მე თუ მომერია, შენ რაღა წითელი კოჭი ბრძანდები! შენც  
ძირს დაგცემს...

— ვინა, ეს ნაცარქექია მე წამაქცევს?

— სანაძღვოს მოვდივარ, რომ წაგაქცევს! — დაიქინა ხოდელმა, — დაეჭიდე,  
თუ კაცი ხარ, დაეჭიდე და ნახავ, როგორი ნაცარქექიაა!

— სანაძღვოს რას მოხვალ? — წამოიძახა ძია იაკომ და გრძელი უღვაშები  
გადაივრია.

— თუ წააქცევ, უღვაში მომბარსე! — მიუგო ხოდელმა.

— ეგ კატის უღვაშები შენთვის შეინახე, მე რა ოხრად მინდა, სხვა რამე  
სთქვი.

— თოხლს მოვდივარ, შენა?

ძია იაკო შეფიქრიანდა:

— ჩემს ნათლულს ერთ ვირს ვუყვიდი თავისი ოქროს უნაგირით...

ბიჭიკოს თავბრუ დაესხა, არ იცოდა, რა ექნა, შესჭიდებოდა თუ არა ძია  
იაკოს. მართალია, ერთ დროს ხაბულაანთ ბიჭმა წააქცია, მაგრამ მას აქეთ ხომ  
წელშიც გამაგრდა და მუხლშიც, უნაგირიანი ვირი კი მისთვის ყველაფერი იქ-  
ნებოდა, და აი გიგო ხოდელის წაქეზებით ბიჭიკო საფალავენოდ გამოვიდა.

სტუმრები ყიყინით მოეხვივნენ ფალაფანს.

— განი, განი! — შესუქქა ხოდელმა და ჭიგოთი მისწია-მოსწია სტუმრები და  
საჟღაო მოედანი დაუთმო ფალავენებს.

ძია იაკო სერიოზულად იტყეოდა, სახელოებს იკაპიწებდა.

ხოდელმა მტევნებით საესე გორდა მოაპირქვევა, დასტაცა ხელი და სქელი  
კოტიტა თითებით დოლივით აახმაურა იგი და თან ზურნასავით მოჰყვა  
ჭიქყინს:

„ტირაულა ტარიტუმ,  
ტირაულა ტარიტუმ!  
ტარი-ტარი, ტარი-ტუმ,  
ტირაულა ტარიტუმ!“

„ფალავენები“ ეტაკნენ ერთმანეთს.

ძია იაკო ძალზე ქშინავდა, ვიგო ხოდელი კი დოლის ბრახუნით ყურს აყრუ-  
ებდა, პატარა ფალაფანს თავს დასტრიალებდა და „ტარი-ტუმით“ აქეზებდა.

უსაზღვრო იყო საყოველთაო მხიარულება. მხოლოდ კატოს უთრთოდა გუ-  
ლი, ბავშვის არაფერი ეტყინოსო. ბესო კი, ბესო, უღვაშებში იღიმებოდა და  
ჭორის თვალებს არ აშორებდა ბიჭიკოს პატარა სარმებს და ნაირნაირ ფანდს.

— აგრე, აგრე! — აქეზებდა იგი, — გამოჰქარ სარმა! მოფვერდი უნ! კისრულით წამოიღე...

ბოძოლა ვამკაცრდა. ბიჭიკო უტევდა. ძია იაკომ ქმენას ვეძღვებოდა ვითომ თავდაცვაზე გადავიდა. ბოლოს იმოდენა კაცი პირუტყულმა გაიშლართა.

საზოგადო აღტაცება და ტაში ხოდელის განგაშმა დაჰფარა. მან გორდა მოისროლა, ბიჭიკოს მივირდა, იაკოს გულიდან აიტაცა, მხარზე შეისვა და მთელი ვენახი შემოარბენინა „ვაშა-ვაშას“ ძახილით.

ძია იაკო წამოხტა და ერთის ამბით მოჰყვა მტკიცებას, რომ მარცხი უბრალო შემთხვევით მომივიდაო, მაგრამ ხოდელი არ ყაბულდებოდა.

— როგორ თუ შემთხვევით? იმოდენა ოფლი მოგასკდა და ეს შემთხვევით იყო? შენ რომ ზღართანი გაგადინა, მე ბეჭის ფრთამ ტყვიელი დამიწყო... რაება ჰბოდავ, სანაძლეო წაგებულაი!...

— ერთიცა ვცადოთ, ერთიც!

— არა, საკმარისია...

— რითი იქნება საკმარისი, თვითონ ნათლულსა ვკითხოთ.

— რა კითხვა უნდა, შენ ვირი მოუყვა თავისი ოქროს უნაგირით! — არ ისვენებდა ხოდელი.

— ხალხნო და ჯამათნო, თქვენი სიტყვით, — მიჰმართა ძია იაკომ სტუმრებს, — სწორია ჩემი მოთხოვნა თუ არა?

— სწორია, სწორი! — შესძახეს აქეთ-იქიდან, რამაც ხოდელს გაახელა, იქაურობა აიკლო ღრიალით, ეს უნაჟუსობაა, სანაძლეო მოგებულაიო.

ბიჭიკო გათამამდა, ხოდელს ხელი დაუჭირა:

— მოვიდეს, ძია, არ შეშინიან...

ხოდელი დაყაბულდა და თან წააქეზა:

— აბა, ერთი კიდევ ღვეჯლის ტრამარასავით დააზღერეთ, გენაცვა, და იმ ვირიკოს მე დავექდავ ვერცხლის ნალებით.

გაჩაღდა ხელახლად გორდის ბრახუნი და „ტირაულა“, სტუმრების თავშეუქავებელი სიცილი.

წუთიც და ძია იაკო ისევ გაჭიმული დასტოვა ბიჭიკომ.

— ვაიმე, თეძოვ! თეძო მომტყდა! — შეპღრიალა ხოდელმა, გორდა ხელახლად მოისროლა, კარგახანს თეძოთრეული ბლუოდა, ბოლოს წელში გასწორდა, მივირდა იაკოს, წამოსწია და შეეკითხა: — უხლა რალას იტყვი, ვაუბატონო?!

— თითი მომიკაყენია, დავმარცხდი... მე ვლაწირაკმა შემარცხვინა... გორის ფალავანობაზე ხელი ამიღია, მაგისთვის ვადამილოცნია...

— ფალავანობა შენთვის დავცილოცნია, უმაგისოდაც ფალავანია ჩვენი გმარი, — შენ ისა სთქვი, ვირიკოზე როგორა ხარ, არ უყვიდი?

— რა მეტი ჯანია, უნდა ვუყვიდო, მაშა!

ძია იაკომ მეორე დღეს, მართლაც, კოხტა ნაცარა ვირი მიუყვანა სოსოს თავისი პატარა უნაგირით. ხოდელმა სიტყვა შეასრულა და კოპწია ნალებით დასკედა. ბავშვმა უსაზღვროდ გაიხარა. უნდოდა თავისი სიხარული ვისთვისმე გაეზიარებინა. ვირს სადავეში წაივლო ხელი და უბანს ჩამოუარა.

პირველად, თითქოს განგებ, ხაბელაანთ მიჭი შემოეყარა. იგი საპნის ბურთებს უშვებდა, ხოლო მისი პაწია თოვლია ყუფით დაბტოდა მის გარშემო და ბურთების ბრტყეილა ქარავენს იქერდა, სპობდა.

ბიჭიკოს არასოდეს არ ენაბა საპნის ბურთების ფრიალი, ისე ლამაზად რომ მისდევდნენ ერთმანეთს, როგორც სხივმფენი ყელსაბამი, რომლის მძევებს სილამაზეს ვერც ერთი ვარსკვლავი ვერ შეედრებოდა.

სოსოს გული დასწყდა, რომ მას ასეთი ჯადოსნური ბურთების გზის შეგება არ შეეძლო. ისიც ეწყინა, რატომღა, რომ ხაბელაანთ ბიჭი თოვლიას ნებას აძლევს ასეთი ჰაეროვანი და თვალწარმტაცი ბურთები გააფუტოსო...

კოლა სოსოს ვერა ჰხედავდა, პირში ლელის მილაკი ეჭირა, თან დარბოდა და თან, საპნის ბურთების ჭარავანს ზედიზედ უშვებდა და ჰაეროვანი კრილოსანივით ასახავდა.

— ბიჭოს, ეს რა ლამაზი ვირიკოა! — შესძახა კოლამ, როდესაც სოსოს ვირს თვალი მოჰკრა. საპნის ბურთებს თავი გაანება, კისერზე მოეხვია ნაცარას და მშვიდ ტბასავით მომზირალი შავი თვალეები გადაუკოცა.

სოსოს იამა, რომ ვირი მოუწონა ხაბელაანთ ბოქსა.

— ვისია ეს ვირი?

— ჩემი, — მიუგო ამაყად სოსომ.

— შენი კი არა...

— დედა არ მომიკედეს, ჩემია...

— მერე, აქნობამდის სად გყავდა?

— ძია იაკომ მომიყვანა.

— ძია იაკომ?

— ჰო, სანაძლეოში მოვეუბე.

— რა სანაძლეო იყო?

— ქილაობაში წააქციე, — უთხრა მან და თავი ასწია, თითქოს უნდა გაახსენოს: გახსოვს, არიფანობას რომ წამაქციე, ეხლა მე ის სოსო აღარა ვარ, გორის ფალავანი გავხდითო.

კოლამ სიცილი დააყარა:

— ძია იაკო შენ წააქციე?

— წააქციე, მაში ზოდელაანთ გიგოც იქ იყო...

— წადი ერთი და! — უთხრა კოლამ, — შენ მე ვერც კი მიძღებ და ძია იაკოს როგორ წააქციედი? ის მთელი გორის ფალავანია, დუნიაზე ჯერ კაცს არ წაუქციეია და შენ შეარცხინე? არა მჯერა...

სოსომ ითავილა...

— ეხლა შენ ველარ წამაქციე... მაშინ პატარა ვიყავი...

— თუ გინდა, კიდევ დამეჭიდე.

— მოდი, თუ ბიჭი ხარ...

კოლა, ცოტა არ იყოს, შედრკა, ასე რამ გაათამაზათ, მგერამ უკან არ დაუხევია, სასტიკად ეძგერა, თეძოთი მოგვერდი უყო და ბიჭიკო ძირს გააქრა...

ბიჭიკოს ხმა არ ამოუღია. გაყვითლდა. შინისაკენ გასწია დარცხვენისმა, ვირიც კი მინდვრად მიატოვა. სულ არ შეუმჩნევია, თუ მისი მერტოქე კოლა როგორ მოაჯდა ნაცარას ზურგზე და აღმა-დაღმა აჯირითებდა.

მეორე დღეს სოსომ ძია იაკოსთან დაიჩივლა:

— თითქოს ფალავანი ხარო... ხაბელაანთ კოლამ წამაქცია...

— რას მეუბნები? კოლამ წაგაქცია? არა მჯერა!

— წამაქცია, ძია იაკო.

— ალბათ, შემთხვევით თუ?

— არა, მერვეა... ფალავანი ის ყოფილა... ერთხელ არიფანობაზე წამაქცია, ერთიც გუშინ...

— არა მჯერა და რა ვქნა... შენისთანა ფალავანი დღნისზე არ შეგულება. არ მესმის, ხაბელანთ ბიჭი როგორ მოგეროდა!

ძია იაკო იმდენს ეცადა, რომ აღეღებული ბავშვი დაამშვიდა, ხაბელანთ ბიჭის გამარჯვება რაღაცა გაუგებრობააო.

— ჩემი თვალთ სანამ არ დავინახავ, არ დავიჯერებ.

— ტყუილია, ძია, ის წამაქცევს.

— ვერ წაგაქცევს, შვილო, თუ ყურს დამიგდებ...

— რა, ძია?

— არ დაეჭიდო, სანამ არ გითხრა.

— კარგი, ძია.

— შენ ჩემთან იარე. შვილო, და მე ვიცი. მიყურე ერთი, ეგ კუნთები ისე გამოვადოლადო, რომ შენი მოწონებული. ენახოთ, ის შენი კოლა ყვავის ბახალასავით როგორ დაგაზღარებინო.

ასეც მოიქცნენ.

სოსო ყოველდღე დაიარებოდა ძია იაკოსთან სავარჯიშოდ. მართლაც, ძია იაკომ კუნთები გაუფოლდა, ხერხემალი გაუმგარა, მუხლში ძალა შეჰმატა და მალე ჭიდაობის ფანდებში გაწრთენა, გააოსტატა, ასე რომ თვითონაც კმაყოფილი იყო მისი.

ყველიერი დადგა. გორი საკრივოდ ემზადებოდა. უბანი უბანს ეჯიბრებოდა, წინასწარ ვარჯიშობდნენ, რომ შემდეგში, ეგრეთწოდებულ შავ ორშაბათს, ერთმანეთს დასტაყებოდნენ ორ დიდ ლაშქარად, ზემო და ქვემო უბნელებად.

რუსის უბანიც არ ჩამორჩა. იქაც ვარჯიში სწარმოებდა. კრივს და ჭიდაობას პატარა-პატარა ბიჭებით იწყებდნენ, შემდეგ ჭომაგად მოზრდილებს ჩაურევდნენ ზოლმე, ბოლოს ვაჟაკები ეშველებოდნენ და ნამდვილ ომს აჩალებდნენ.

გიგო ხოდელმა სოსო ორიოდ დღეში კრივში გამოწვრთნა.

— თვალბში, შვილო, თვალბში სეტყვასავით დაუშინე მუშტი. მოწინა-აღმდეგს თვალს რომ დაუბნელებ, შემდეგ თხასავით წინ გაიგდებ, სდიე და სტყიბე, რამდენიც გინდა...

და როცა დაასრულეს ბიჭიკოს წვრთნა, ორივე ძიამ — იაკომ და გიგო ხოდელმა საფალავნოდ გამოიყვანეს. ბედზე კოლა შემოიყვართ.

— შენ ხარ ხაბელანთ ბიჭი? — შეეკითხა ძია იაკო.

— მე ვარ, ძია იაკო.

— კეთილი. შენ წააქციე ეს ჩემი ნათლული?

— ჰო, მე წაგაქციე...

— არა მჯერა. აბა ერთიც სცადეთ, ეს ბურთი და ეს მოედანი...

— ჰო, ჰო, ეს ბურთი და ეს მოედანი, გინდა? — დაუმატა გიგო ხოდელმა, — თუ წააქციე, ერთ ვირიკოს ახლა შენც გიყიდი.

ხაბელანთ ბიჭი არ შეშინებულა:

— დავეჭიდები, ძია, რატომაც არა. აბა, მოვიდეს, თუ ბიჭია!

კოლა ზეიადად გამოვიდა. ხუმრობა ხომ არ იყო, მთელი ქვეყანა მაყურებელი ჰყავდა, იმავე დროს ორი უდიდესი მოწმე, გორის საბელოვანი ფალავანი ძია იაკო და დიდი მოკრივე გიგო ხოდელი. უბნის ბიჭებს ხომ თვლა არა ჰქონდათ.





პატარა ფალავნები ერთმანეთს ეცნენ.

მოსიერენი ცმუკავდნენ, ხან ერთს აქეზებდნენ, ხან მეორეს, კოლას ეგონა, ერთის შეტევით წააქევედა, მაგრამ სოსო გადა გაუცულდა სარმაცა და მოგვერდიც, სათემოდ საქმე არ მიუყვანია. კოლა შედრკა და თავდაცვაზე გადავიდა. სოსომ გულის პირში ჩაპბლუჯა ხელი, შეაჯანჯლარა, დავლური შემოატარა და მოულოდნელი კისრულით მიწაზე გაშლართა.

საზოგადო აღტაცების ტაშმა იგრიალა.

ხოდელმა შუბლი გადაუკოცნა:

— შენი ჰირიშე, ბიჭო, შენი! რა გემრიელი კისრული იყო!

კოლა სირცხვილნაჭამი გაიპარა.

ძია იაკომ გამარჯვებული ნათლული ნაცარა ვირზე შესვა და წინ გატძღვა:

— მაშ რა ეგონა იმ ვირის თავს, ჩემი ნათლულის ჯავრს შევაქმევედი თუ? ეს მარცხი არასოდეს არ დაავიწყდება!

— „დასცა და ბეჭი მოსტეხა, აღგილი დახვდა ქვიანიო“, აი ამაზედ უთქვამთ სწორედ, — დაუმატა ხოდელმა და სოსოს ახლა საყრივოდ ეწეოდა. მაგრამ ძია იაკომ არ უყაბულა, ჯერ ეს ვიკმართო...

სოსოს გამარჯვება უბანს მოედო, მაგრამ განათხულზე ეს გამარჯვება ერთიანად ჩამწარდა ბიჭიკოს. დილით რომ ბაკში შევიდნენ, ვირიკო ავად დახვდათ. ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ მოარჩინეს. მოკვდა.

სოსომ ძალიან იღარდა. ხან დედას, ხან ძია იაკოს, ხან კიდევ ძია გიგოს სულ ერთსა და იმავეს ჰკითხავდა:

— რად მოკვდა ჩემი ვირუკა? რად მოკვდა, პა?

და როდესაც ასე ეკითხებოდა მათ, მის თვალებს ცრემლი ასველებდა.

ძია იაკო დაპირდა, მეორეს გიყიდო, მაგრამ ეს დაპირება ვერ ანუგეშებდა ბიჭიკოს, იგი ისევ თავის საყვარელ ნაცარასთან იყო და თავიდან არა შორდებოდა ის მტანჯველი კითხვა:

— ნეტა რად მოკვდა ჩემი საყვარელი ნაცარა, რად?

#### XIV

### გმირის სიზმარი

რაც უფრო გონებაში ვარდებოდა ბიჭიკო, მით უფრო შეუყვარდა ძია იაკო, უფრო მეტად დაუახლოვდა, მისი პატარა ამხანაგი გახდა. ძია იაკო მისი მასწავლებელი იყო, — რას არ უამბობდა, რა ლეგენდას არ გამოუტყობდა, რა ზღაპარს, რა ისტორიულ ამბავს. აგერ, ვახტანგ გორგასლანი და თბილისის დაარსების ამბავი, როგორ გაეკიდა ზოხობს მეფის ქორი და თრეიენი ცხელ წყაროს ჩქეფებში ჩაიხარშნენ. აგერ ოსბალათართან სურათოვანი ჭიდაობა, მისი დამარცხება. აგერ თამარიც. თამარი ზომ ამოუწურავი თემა იყო. მაგრამ ბიჭიკოს ყველაზე მეტად სააკაძეს ამბები ჩარჩა გულში, ალბათ, იმიტომ, რომ თვითონ იაკოც ვახტანგით უამბობდა ამ პირველხილი გმირის შეუპოვარი ბრძოლის ამბებს ჩვენს მძინეარე ფეოდალებთან და შაჰაბასის ურდოებთან. ტუული და მართალი ერთი მეორეს სდევდა. შემდეგ თქმულება შოთასა და

მის სიყვარულზე, გორის ციხის ირგვლივ მოქსოვილი ლეგენდა, თქმულება იმ მთაზე, იმ მწვერვალზე. ზღაპრების გულდა ხომ ჯერ კიდევ გამთლებული ჰქონდა ძია იაკოს, მაგრამ მის კუნძულში ობოლ მარგალიტთა მოძიებაში ამბავიც იყო ხელუხლებლად და თავის დროს უცდიდა. ამ დრომაც არ დააყოვნა.

ერთხელ ბიჭიკოს ლიახვში ებანანა. გაცივებულყოფი. საშინო არა იყო რა, მაგრამ სიცხე მაინც მისცა. ძია იაკომ გაიგო თუ არა მისი ავადმყოფობის ამბავი, ქაჩანით მიიქრა, ბავშვს დაჰხედა და აეარდა, — ნათლიდელაც კარგად გამოლანძღა და ნათლიმამაც: რას მიჰქარავთ, რას გაუგივებინათ, რომ ასეთი ვაიუშველებელი შეჰქენით, ჩემს ნათლულს საიმირო რა სჭირს, რომ ქვეყანა შეჰყარეთო. გვერდით მიუჯდა ბიჭიკოს, მოახალისა, აიყოლია, თვითონვე მოუხარშა და დაალეგინა პიტნის ჩაი, ოფლი შოადენინა. ბოლოს მოსვენება სთხოვა, მაგრამ ბავშვმა არსად გაუშვა:

— ძია, მიაშბე რამე.

— რა უფრო გინდა, შვილო?

— რაც თვითონ გასურდეს, სულ ერთია... შენ ყველაფერს კარგად მიაშბობ ხოლმე.

ძია იაკო დიდხანს არ დაფიქრებულა:

— ქორთლოზე მიაშბნია რამე?

— ჰო, თოვით რომ არწივი მოჰკლა და სთქვა: გასწორდა მთა და ბარიო.

— ეთერიანზე? შვიდ ვეზირიანზე?

— ჰო, ეგენიც ვიცი.

— სააკაძეზე?

— ეგეცა.

— მაშ ყველაფერი მითქვია.

— თუ ახალი აღარ გაგონდება, ისევ სააკაძეზე მიაშბე.

— არა, მოიცა, მოიცა, ამირანზე მითქვია რამე?

— არა... მიაშბე.

— ეგ როგორ მომსვლია? ვაი შენ ჩემო თავო! რა ძნელი ყოფილა სიბერე.

და ძია იაკომაც ვატაცებით უამბო ამირანის ზღაპარი, არა მარტო ისე, როგორც ხალხში გაეგონა, არამედ როგორც ბავშვს მოუხდებოდა და აამებდა. ბიჭიკო დიდი გულმოდგინებით უსმენდა ძიას.

იაკომ შეატყო თუ არა, ბავშვი დაინტერესდაო, სულ მარტივად უამბო, თუ ვინ იყო ამირანი, როგორ ექომაგებოდა საწყალ ხალხს, რამდენი ვეშაპი მოჰკლა, ან და რა ბღღვირი აღინა მღვევს:

„ამირან-მღვევი შეიბნენ,  
მინდორს გაჰქონდა ზრიალი,  
დასცა და მხარი მოსტება,  
ადვილი დაჰხედა ქვიანი.  
ბეჭა და მთებსა ესმოდათ  
მის საცოდავი ღრიალი...“

ბიჭიკომ ეს რომ გაიგონა, სიხარულით წამოხტა და შესძახა:

— ჯან, ბიჭო, შენი ვულისა!

არა ნაკლებ გაეხარდა კამარ-ქალის მამის ლაშქრის გაელეტის ამბავი, დეი-  
თონ იმ მდევ-გმირ მამასთან შებმა, რომელსაც სპილოს ძეგლს მუხარედი  
ჰქონდა სარქველად დადგმული და ამირანის ხმალი ვერაფერს ვერაფერს  
შინ კი კამარ-ქალი დაეხმარება და ამირანს გააგონებს:

„ზევით რასა სცემ სპილოსა,  
ქვემოთ შემოჰქარ რბილოსა,  
ძარღვები დააწყედებინა,  
დაეცემიან ძიროსა...“

შემდეგ ვეშაბთან შებრძოლება: მარცხდება წითელი ვეშაბი, თეთრიც, მაგ-  
რამ მას მართო კუდს მოაგდებინებს. გაცოფებული ვეშაბი პირიდან-ცეცხლს  
აღს ამოუშვებს და გმირს თვალის დახამხამებაზე ჩანთქავს.

ბავშვმა თვალები დააჭყიტა. არ მოელოდა ასეთ საზარელ ბოლოს. ეგო-  
ნა, ესაა გათავდება საქმეო, მაგრამ ამირანის ბიძა ჩასძახებს:

„წესია დარეჯანისა —  
ჯიბეს ჩაღება დანისა,  
ამოღება და გაკაფვა  
მაგ შავი გველშაპისა...“

ბავშვი უსაზღვროდ გაახარა ამირანის გადარჩენამ. გულიანად ც გადაიკუჭ-  
კუჭა, რომ მის უღვაწეები გაპარსული გამოჰყვა და „გოჭსა ჰგავდა ზუზარასა!“

მაგრამ ამდენი გმირობის ჩამდენ ამირანს მეტად უსამართლოდ მოეჩვენა  
ქრისტე ღმერთი, რომელიც რკინის პალოზე დააბამს მას და თავზე გერგეთის  
მთას წამოაბურებს.

ბავშვი დაღონდა. მაგრამ ძია იაკოს ხელშია მთელი გრძნეულება, ხელად  
მონახა გზა, რომ ბავშვი ცვლავ გაეხალისებინა და აი მისი გული ჩიტვივით  
შეაფრთხილა, როდესაც უამბო, რომ შებორკილ გმირს პატარა მეგობრები  
გამოუჩნდნენ, თეთრი და შავი ფრთოსანი ლეკვები, რომლებიც შეუღდნენ  
გმირის ჯაჭვების ლოკვას და ღრღნას. მთელი წლის განმავლობაში ირგებიან  
ეს ლეკვები, მაგრამ წყეული მკედლები სწორედ იმ დროს, როდესაც ჯაჭვის  
რგოლი ვასაწყვეტადაა დამზადებული, დასცხებენ უროს გრდემლს თავზე და  
ის ჯაჭვი ცვლავ მთელდება... ლეკვებს ხელახლად უხდებათ ჯაჭვის რგოლე-  
ბის ლოკვა და ღრღნა მეორე წლამდე. მანამდე კი მთელი კავკასიონის ყვა-  
ყორნები და ძერები მოჰფრენენ შავი ღრუბლებივით და წამებულ გმირს უფ-  
ლეთენ გულ-გვამს, — გაძლება მისი სისხლ-ხორციით ერთი ფარა და მოჰფრენს  
მეორე ფარა. უსაზღვროა გმირის ტანჯვა...

ამ ამბავმა ზარი დასცა ბიჭიკოს. ბრაზი აბრჩობდა მკედლებისა, ასე რა-  
ტომ მტრობენ საყვარელ გმირ კაცსო. სატირლად გაეშხადა. ძია იაკო მიუ-  
ხედა გულის პასუხს და, როგორც ყოველთვის, აქაც გამონახა მისი გულის  
დასაამებელი მალამო.

— და აი ერთხელ, — დასძინა მან, — გერგეთის მახლობლად ერთი პატარა  
მწყემსი ცხვარს ამოვებდა. ამ დროს შეესმა გმირის კენესა. ბიჭმა გადაიბი-  
ნა ნაპრალი და რას ჰხედავს? ის წყეული ყორნები მართლა ჰყორტნიან და  
ჰფლეთენ ამირანის გულ-გვამს. გაბრაზდა ბიჭი, მოუქნია ჩომბახი და სულ

ერთიანად ამოეღიტა ის ყორნები, შემდეგ დაუშინა ჯაჭვს, ისიც გააწყვიტა და გაანთავისუფლა გმირი ამირან თავისი ფრთოსანი ლეკვები.

— შენი გულისა, ბიჭო! — შესძახა ბიჭიკომ, შემდეგ შეწვედა: — თუ რა-ღაცა ფიქრებს მიეცაო, თვალები გაუფართოვდა, სიხარულით აეგზნო, ლოგინიდან წამოხტა, ძია იაკოს კისერზე ჩამოეკიდა, შუბლზე აკოცა და მორცხვი აღტაცება დიდის ყოყმანით გაუშეღაენა:

— იცი, ძია, ის ბიჭი მე ვიყავი, განა!

ძია იაკოს სულაც არ გაჰკვირვებია, წარბი სერიოზულად მოშვილდა და ეტბნება:

— მე ვიცოდი, შვილო, შენ სულ ჩემი ზღაპრების გმირი ხარ. მწყერნიტაც კი შენ ვაბნარე... ეხლაც თვალს გადავხედდი, ნეტავი სად მიდის ის ბიჭი-მეთქი. ფეხდაფეხ დაგედევნე და მიხაროდა, იმდენი ყორანი რომ მოჰკალი და ამირანი გამოიხსენი.

იმ დამეს ბავშვი სულ აგზნებულ სიზმრებში დასცურავდა, სულ ამირანთან იყო, მას ებმარებოდა, თითქოს ფრთოსან ვეფხს მოახტა ზურგზე და ხალხის მეგობრის საძებნელად დაულალოვად გაჰქროლა თოვლიან მთებისაკენ. ღრუბლებიდან ღრუბელს გადასწვდა, მწვერვალიდან მწვერვალს. ხან ეთეროვან ვარსკვლავეთში ამოჰყო თავი, ხან ქვესკნელში. წარმტაცი იყო მისი ოცნება და ნაირნაირი მისი ზერხები და საშუალებები, ვიდრე ვერგეთისკენ გზას მიიკვლევდა.

აგერ შეეძმა უცნაური გმინვა და კენესა, მაგრამ წამებულის ხმა ჩანჩქერთა გრგინვა-ქუხილმა ჩანთქა. აგერ უზარმაზარი ჩაბნელებული ნაპრალები, სწორედ ისეთი, ძია იაკომ რომ აღწერა... კიდევ ნაბიჯი წინ, ნაპრალიდან ნაპრალებზე ხტება, როგორც ფეხმარდი ქურციკი. კოტა კიდევ და აგერ მიიგნებს დიდებულ ტყვეს, ღმერთებთან მებრძოლ უდიდეს გმირს, თვითონ ამირანს, რომლის თვალებში ცეცხლის ალემად ზვირთდება რისხეაც და უძღურება; ტანჯული კაცობრიობისადმი სიყვარულიც და ზიზღიც კაცთმოძულეთადმი... ოჰ, რა შესანიშნავი სანახაობაა!

ბიჭიკოს გული აუტოკდა, რომ ხალხის მეგობარი ასე მარტოდ-მარტო იყო მიგდებული, რკინის პალოზე დაბორკილი და თავზე მთა-ჩაფხუტ წამოდგმული.

ველარ გაუძლო პატარა ვეკაცს გულმა, ჰკრა ფეხი და პირველ ყოვლისა ის გერგეთის მთა ისევ თავის ადგილას დაასკუპა და ამირანმა მთელი გულით ამოისუნთქა.

ნაბიჯიც, და დაინახა პატარა ფრთოსანი ლეკვები, ხავერდოვანი თათებით რომ მიზხუტებოდნენ გმირს და ერთგულად უღრღნიდნენ ჯაჭვებს.

— უი, დედილო, მართლა რა ლამაზი ლეკვები არიან! — შესძახა ბიჭიკომ და ხელები გაშალა გულში ჩასაკონებლად. სულ მთლად დაავიწყდა შებორკილი გმირის ტანჯვა-ვაება.

დიდხანს სტკებოდა მათი მზერით. ერთი შავად-შავი იყო, როგორც კუპრიელი, მეორე — თეთრად-თეთრი, როგორც ახლად დადებული თოვლი, სწორედ ისეთი, ძია იაკომ რომ აღწერა.

— თქვენი გულისა, ცუტებო! აგრე დაეხმარეთ ჩვენს გმირთა-გმირს, დაეხმარეთ! მეც თქვენთანა ვარ!

ბიჭიკოს მალე დაუდგა დრო თავის გამოჩენისა. გმირთა-გმირს უეცრად კვილ-ყრანტალით მიესიგნენ ყორნები. ძერა ყველაზე წინ წამოვიდა დასის-

ხლიანებული თვალებით და გაალმასებული ნისკარტ-კლანკებით. ანდრო ბიჭიკო, იშიშვლა ხმალი, სწორედ ის ხმალი, მია იაკომ რომ გამოუტყრა ყაჯრის ნაჭრიდან, იშიშვლა და თავი გააგდებინა ყაჩად ძერას. შეძლებდა კონტრგზს მიუბრუნდა და, სიცოცხლე გაქვით, იმათ დღე დააყენა: სულ პარტესპორტს დალალა, დაჭრა, ფრთები დაამსხვრია, უშველებელი ზევი მთლად ამოავსო მათი ლეშით. ეხლა კი დრო იყო მიშველებოდა გმირთა-გმირს, საყვარელ ამირანს. ახლა მის ჯაქვე-ბორკილებს დაუშინა ხმალი, მიღეწ-მოღეწა, წამოაყენა მწოლიარე გმირი და შესძახა:

— ძია ამირანს გაუმარჯოს!

— უი, შენ კი გენაცვალე, ჩემო მხსნელო ბიჭიკო, შენა! — შესძახა ამირანმა და გულში ჩაიკრა თავისი მხსნელი, — დღეიდან მე ვიქნები შენი თანამგზავრი. უჰ, კიდევ რამდენი მღვეები და გველ-ვეშაპები მყავს დასაყლელი! ერთის სიტყვით, ამირანმა სიზმარში ბიჭიკოს სწორედ ისე უთხრა, როგორც მია იაკომ უანზო მანინ, არც მეტი და არც ნაკლები.

— ეხლა რითი შემოდლიან გემსახურო? — ჰკითხა ბოლოს გმირთა-გმირმა და გულზე ხელი დაიკრიბა პასუხის მოლოდინში.

— მე მინდა, რომ ჩვენ სულ ერთად ვიყოთ.

და როცა ეს უთხრა, ისე მოეჩვენა, თითქოს იმ გმირთა-გმირს ხავსით შემოჯალჯული თმა და წვეერ-ულვაში შემოებერტყა და გაჯეეღდა, ისეთივე გაქვაცი გახდა, როგორც მია იაკო, საჭიდაოდ გასული რომ უნახავს მოედანზე.

გმირთა-გმირმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— ეხლა რალასა მთხოვ, ჩემო მხსნელო?

— რა უნდა ვთხოვო, ძია, მაჩუქე ეს შენი ლეკვები.

ამირანმა სიამოვნებით დაუთმო ორივე ლეკვი.

— წაიყვანე, გენაცვალე, წაიყვანე, ვიდრე გაიზრდები და ეს ლეკვებიც ნაგაზეზად გარდაიქმნებიან, წაიყვანე...

ბიჭიკოს ის იყო, ლეკვები უნდა აეყვანა, რომ აღერსიანი ხმა გაიგონა:

— შეილო სოსო, ჩემო სოსო, გენაცვალოს დედა, გაიღვიძე, შეილო, გაიღვიძე!

სიზმრის კოშკი დაინგრა, მაგრამ ბიჭიკო კარგა ხანს ვერ გამოფხიზლდა, ვერც კი იცნო დედიკო, თეთრ ხელებს თმაში რომ უნაეარდებდა და აღერსის მარმანებში ახვევდა.

— გაიღვიძე, ჩემო ბიჭიკო, დროა. შეხედე, რა ლამაზი მზე ამოვიდა, სულ ვარდები მოჰფენია შენს ფანჯარას. აი ეს ტაბაკაც იმან გამოგიგზავნა და სთქვა, ჩემმა ბიჭიკომ დღეს ესა სჭამოს და ხვალ სხვას გამოეუგზავნიო. გაიღვიძე, შეილო, გაიღვიძე!

მზე ოქროს სხივებს მოაფრქვევდა. ბიჭიკომ ოდნავ გაახილა თვალები, მაგრამ უშალვე მოხუტა, რადგან მზემ სიცილით ისრები წაუშინა მის გიშრის ტბებს.

— შეილო, გაიღვიძე, გენაცვალოს დედა, გაიღვიძე!

ბიჭიკომ წამოიწია და თვალდახუტულმა მკლავები შემოაელო დედას. როცა ვახილა, აღმასის ნამებით შეკაზმული დედის წამწამები დაინახა:

— დედილო, დედილო!

— დედა გენაცვალოს, შეილო, არა გზიან? — და ტაბაკა წინ დაუდგა. მაგრამ ბიჭიკოს ტაბაკა სულაც არ შეუნიშნავს.



გაქცეული  
მარტა

— ვერ დაინახე, დედიკო, ვერ დაინახე?

— რა უნდა დამენახა, გენაცვალოს დედა?

— ისა, ისა... ამირანი... წედან რომ გავანთავისუფლე! თქვენს უფროსს მარტა, თეთრი და შავი... ვერ დაინახე?

დედამ ძია იაკოსაგან უკვე იცოდა, თუ მისი ბიჭიკო როგორ შეიქნა ზღაპრის გმირი და ღიმილით უბასუხა:

— როგორ არა, შვილო, დაინახე! მაშ! წედან აქეთ ჩამოიარა, გიკითხა და სთქვა: ჩემ ვაჟაკ ბიჭიკოს აი ეს ტაბაკა მთავარიო...

მაგრამ ბიჭიკო ისევ სიზმარში იყო:

— მე გავანთავისუფლე. რა კარგი კაცი, დედილო, რა კარგი კაცი! მიყვარს ამირანი... ძია იაკო ზომ მიყვარს და მიყვარს, მაგრამ ამირანი უფრო შემყვარდა, სულ სხვა ვინმეა!

— კარგია, მაშ, შვილო, რომ კარგი არ იყოს, განა აგრე გეყვარებოდა?

— ჩემი ლეკვები რა იქნა?

— ძია იაკომ წაიყვანა... ასე სთქვა, მთავი მწყემსებს გავაზრდევინებ და დიდები რომ დახდებიან, მაშინ ჩამოვუყვანო.

ბიჭიკოს არ ესაიამოვნა ეს ამბავი:

— რად მიჰყავდა, რა ვქნა, ლეკვებს ხომ მეც დავზრდიდი?

შემდეგ ამირანი მოკითხა.

— აკი ვითხარი, შვილო, ჩვენსკენ ჩამოიარა მეთქი... ეხლა ის ძია იაკოსთან იქნება. იაკომ უნდა გზა ასწავლოს მთიულეთში, რომ იქ საწყალ გლეხის შვილებს დაეხმაროს...

— აჰ, რა კარგი ვინმეა, დედილო, ის ამირანი. ნეტავი სულ იმასთან მამყოფა! სთქვა და თავდავიწყებით მიეკრა დედას, მკლავები კისერზე შემოაშხვია და მაგრა, ძალიან მაგრა გადაჰკოცნა...

## XV

### მეფე და მისი ვეზირები

უბნის ბიჭებმა ყველაზე მეტად სოსო შეიყვარეს. უფროსად არც ერთ თამაშს არ აწყობდნენ. იმ დღესაც მათ ჯერ „ლახტი წრის“ თამაშით იჯერეს გული, ერთმანეთს ჭამრით კარგა აუწვეს კანკები, შემდეგ „ცორინე“ მიაყოლეს, „ხელი-ხელი პრასუნა“ და ბოლოს, ხაბელაანთ ბიჭის წინადადებით, „მეფის ვეზირებზე“ გადავიდნენ.

სოსომ ეს თამაში არ იცოდა და თავი შეიკავა.

მეფის არჩევამ პატარა კამათი გამოიწვია, მაგრამ რადგან ხაბელაანთ კოლა ყველაზე უფროსი იყო, ისევ მას დააწვეს:

— კოლა ავირჩიეთ მეფედ, კოლა!

— ხაბელაანთ კოლა იყოს, ისა სჯობია!

— არა, სოსო სჯობია! — დაიძახა გიგა ხუციშვილმა.

სოსომ მოიბოდიშა, ეს თამაში ჯერ არ ვიცოდა და „მეფობა“ კოლას დარჩა.

კოლამ ამაყად ცხვირი მიღო ასწია, გარს შემოირტყა ამხანაგები და გამოუცხადა, თქვენ ვეზირები ხართ და ყველა ბრძანება მეფისა უკლებლივ უნდა შეასრულოთ. ვეზირებმა მორჩილება გამოუცხადეს.



— აბა, ჩემო ვეზირებო, — შესძახა კოლამ, — სმენა იყოს და გავიწყობა!  
ვინც ჩემს ბრძანებას არ შეასრულებს, ტანზე თავი აღარ შერჩება.

— ბრძანე, ხელმწიფეო, ბრძანე!

პირველ ყოვლისა, ნიშნად ყურმოპირილი ყმობისა, კოლამ ყველასა და-  
ჯებქვეშ გაატარა. სოსო განზე დადგა.

— შენ რალას უყურებ? — შეუბღვირა კოლამ.

— ეგ რა თამაშია? არ მომწონს ლაჯებქვეშ ძრომა...

— მოყვება ჭინჭულობას! არ მოგწონს და ნუ მოგწონს, — ჩვენც კარგად ვე-  
ყოფით ამ თამაშს! — მიუგო კოლამ.

განაგრძეს თამაში. კოლამ გივას უბრძანა, შენ ცხვარსავით უნდა იბღავ-  
ლოო.

გივაც გადაა განზე და ისეთ ბღავილს მოჰყვა, თითქოს ეს-ეს არის მგელს  
კბილი წაუვლია, ზურგზე მოუვლია და ტყისაკენ მიარბენინებსო.

ციხითათრიშვილი სანდრო-ვეზირი გოშიად აქცია და იმდენი აყუფა, რომ  
ყურთა სმენა წაიღო.

ერთი სახედარივით ააყროყინა.

მეორე ვეზირს ძროხის როლი დააკისრა.

— შენ ჩემი მაიმუნი იქნები, — უთხრა კოლამ უკანასკნელ ვეზირს, — ჩო-  
ლახ-ჩოლახ, გელდ მაიმუნ!

ის-ის იყო ამ უკანასკნელსაც მაიმუნობა უნდა დაეწყო, რომ სოსომ შეა-  
ჩერა:

— მოიცათ, ბიჭებო, ეს სადაური თამაშია, რომ ახლა მაიმუნდაც გაგვხა-  
დოს?

ყველანი სახტად დარჩნენ.

— ვითომ რატომო? — იკითხა კოლამ.

— იმიტომ, რომ არ მომწონს...

— არ ვიცი, მაინც რა გინდა, ბიჭო? — შეეკითხა გაჯავრებით კოლა, —  
თამაშობა არ არის? თუ შენ არ გინდა, უშენობით, შევიღოსა, ქვეყანა არ  
დაინგრევა...

— შე თამაში მინდა, მაგრამ აგრეთი სულელური არა.

— მაშ რა გინდა, ბიჭო?

— არ მინდა ისეთი თამაში და ისეთი მეფე, ვინც ზოგს ვებაღავლებს, ზოგს  
გვაყუფებს, ერთი ლიტყვით, ვინც მხეცებად და პირუტყვებად გაგვხდის...  
სხვა ქვეყანური ვერაფერი მოიგონე?

და იმ ბიჭებმა, ვინც წელან იბღავლეს, იყუფეს, იყროყინეს, მხარი მისცეს  
სოსოს:

— სოსო მართალს ამბობს: — ეგ სადაური ბრძანება?

— ძირს კოლა მეფე, ძირს! ახლა სხვა ვინმე ავირჩიოთ...

— ავირჩიოთ, ავირჩიოთ!

გადმოგდებულმა კოლა მეფემ ბუზღუნე დაიწყო:

— რახან აგრეა, თვითონ ეგ ჭინჭულის გულა აარჩიეთ. ენახოთ, რა სოლო-  
მონ ბრძენი იქნება...

— სოსო იყოს, სოსო!

სოსომ მიიღო წინადადება.

— აბა, ბიჭებო, რიგზე დამხედით...

„ვეზირებმა“ წრე დაარტყეს და სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

მზე ჩადიოდა. მისი უკანასკნელი სხივები ხანძარივით მოედო მწვერვალებს, ხოლო ქალაქის შუაგულს ამართულ ციხეს ზღაპრული სამოსელი გადააცვა და ვარდისფერ ტალღებში ჰაეროვანი გემივით განსრულდა.

სოსომ ციხეს მიაბჟრო თვალები და დაიძახა:

— აბა, ბიჭებო, ვინ გვიამბობს აგერ ამ ჩვენი ციხის ამბავს.

— მე! — წამოიძახა რაზმადიანთ გიგომ, რომელსაც ჯერჯერობით არც ეყვანა და არც ეყროყინა, რადგან კოლას „მეფობის“ დროს ჯერმა არ მოუწია.

რაზმადიანთ გიგო ნიბლიასავით წყნარი ბიჭი იყო, ჭკვიანი თვალებით, ოდნავად ავადმყოფური გამომეტყველებით. მან ჯერ ციხეს შეჰხედა, შემდეგ წყნარად დაიწყო, თითქოს ეს არის ეხლა აართვა თავი სიზმარსო.

— ძველის-ძველად, როდესაც ჯერ კიდევ ჩვენი მამებიც არ იყვნენ გაჩენილები, ჩვენი გორის ადგილას თურმე სულ ტბა ყოფილა გაჭიმული, ლაფვარდი, მშვიდი. აი ეს უბანიც, ის უბანიც და შემდეგაც ლელით იყო დაფარული. ერთი ადგილი წარმოადგენდა თურმე კუნძულს.

„თელი მიდამო სანადირო ადგილი იყო. აქ ბუდობდა თურმე გარეული ბატი, იხვი, წერო, მაგრამ ხოხბებიც სცოდნია.

„ერთხელ თამარ დედოფალს აქ გაუმართნია ნადირობა“...

და რამზადიანთ ბიჭმა ისე ლამაზად ასწერა ნადირობის ამბავი, რომ მსმენელები მთლად დაიბჟრო, თვით კოლაც კი.

— კარგია, კარგი! მერე, გიგო, მერე? — შესძახა მან და მუხლებთან მიუჩოჩდა გიგოს.

ნადირობის ამბავს მოჰყვა შევარდნის ამბავი, გამოკიდება ხოხობზე, ორივეს დაღუბვა კუნძულზე, უიღბლო ჭაბუკის წასვლა შევარდნის საოვნელად. პოვნა დედოფლის საყვარელი ფრინველისა, ჭაბუკის დაბრუნება, მისი დაღუბვა და, ბოლოს, იმ ჭაბუკის სახსოვრად ამ ციხის ამართვა დედოფლის მიერ:

— თურმე, — დასძინა გიგომ, — აგერ, იმ გაღმიდან, ბურეთის კალთებიდან, ირმის ჯოგი დაძრულა და ქვიშა და კირი იმათი რძით აურევიათ. ამიტომაც თურმე ეს ჩვენი ციხე ასე მაგარი...

ბიჭებს ძალიან მოეწონათ გორის ციხის ლეგენდა და სურვილი აღეძრათ, ახლა თვითონაც ეამზნათ ასეთი რამ კარგი და ლამაზი.

კოლამ ქოროლის სავაჟაკო ამბები მოუთხრო.

ლამაურთან სინკას ბიჭმა აღექსიანი გააცნო, იტირა და ამხანაგებიც ატირა თავგადასავლით.

ხუციიანთ გიგამ ისევ სავაჟაკო გუნებაზე დააყენა ბიჭები, როცა ამირანი ახსენა.

ბიჭებს ყველას გაეგონათ ამირანის ზღაპარი, მაგრამ ხუციიანთ ბიჭმა ისე უშნოდ გავლოსცა, რომ ყველა ატოკდა, სიტყვა მე დამითმე, უკეთ ვიამბობთ. რამდენიმე ბიჭმა სცადა ზღაპრის გაგარძელება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, მაშინ ისევ სოსომ ჩამოართვა ყველას სიტყვა და თვითონ მოჰყვა, მაგრამ ისე კი არა, როგორც ერთ დროს ძია იაკომ უამბო, არამედ ისე, როგორც მისმა ფანტაზიამ მოჰქსოვა გავონილისა და სიზმრად ნახულის მიხედვით.

ბიჭები გაინბნენ. გულმა ძგერა დაუწყო ყველას, როდესაც სოსო ფრთოსან ლეკვებზე გადავიდა. რაზმადიანთ ბიჭს ცრემლები წამოუთქუტუნდა. მაგრამ პატარა მწყემსის ამბავმა გამოადარა ყმაწვილები, განსაკუთრებით მაშინ, რო-

დესაც სოსომ სურათოვნად ასწერა: „ასე და ასე, ის ბიჭი მიეპარა იმ ყორნებს, კომბალი დასცხო და სულ პანტა-პუნტით გადაარეკა უფსკრულისაგენ...“

აქ ბიჭებმა ველარ მოითმინეს და ერთხმად შესძახეს:

— შენი გულისა, ბიჭო!

ყოველ მათგანს უნდოდა, რომ ის პატარა მწყემსი ეხლა თვითონ ყოფილიყო. სოსო როლში შევიდა, კინალამ თავმა წასძლია, უნდოდა ეთქვა, ის ბიჭი მე ვიყავი, მაგრამ შერცხვა, რადგან ძია იაკომ შემდეგში უკვე გააგებინა სინამდვილე, რომ ამირანი ზღაპარია და შენი გმირობის ამბავი მხოლოდ ლამაზი სიზმარი იყო.

ზღაპრებიც მოათავეს. კუნთებმა გაშლა მოითხოვეს. ბიჭები წამოიშალნენ.

— ბიჭებო, მოდი ახლა „ავანგალა-განგალა“ ვითამაშოთ! — შესძახა სანდრომ.

ველანი შემოეხვიენენ. სანდრომ ჭამარი შემოიხსნა:

— ამოდენა თავი ჰქონდა, — და უჩვენა თავის სიდიდე იმ ჭამრით.

— ავანგალა-განგალა.

— ამოდენა ნისკარტი.

— ავანგალა-განგალა.

— ცაშიაც დაჰფრენს, მაგრამ ქაობშიც უყვარს ყოფნა.

— ავანგალა-განგალა.

— უყვარს აგრეთვე ცალფეხზე დგომა.

— ავანგალა-განგალა.

— გორის ციხე მომიცია, — რა ფრინველია?

— წერო! წერო! — შესძახეს აქეთ-იქიდან და გორის ციხე ჩაპბარდა გამომცნობელთ.

„ავანგალა-განგალა“ მალე მოიწყინეს.

ამ დროს გაისმა ბულბულის სტვენა.

ბიჭებმა ყური სცქვიტეს.

— ეს თავმკვდარი ჩვენი სოსოა! — შესძახა რაზმაძიანთ ბიჭმა.

მართლაც, სოსო იქვე ბურჩქებში შემალულიყო და ბულბულს ჰბამებდა სტვენაში. როცა ბურჩქში მიუხტნენ, სოსო გამოეფარდა და სიხარულით შესძახა სიმღერა:

„ცანგალა და გოგონა და...“

„ცანგალა და გოგონა...“

უპასუხეს ბიჭებმა.

ერთი კარგად ჩაითამაშეს „ცანგალაზე“, შემდეგ მოახტნენ ხის ცხენებს და ყიფინით და ჭენებით თავთავიანთ სახლებს მიაშურეს, სადაც დღედები რაერთი ხანია ელოდებოდნენ მათ.

## XVI

### შავი ყვავილი

ჯულაანთ ბიჭი უკვე შეიდი წლისა სრულდებოდა, როდესაც გორში შავი ყვავილი მძვინვარებდა. ოჯახი არ იყო, რომ ყვავილს ბავშვი არ ემსხვერპლა. კუბო კუბოზე მიჰქონდათ. გვიგო ხოდელის სახლიდან ორი კუბო გაიტანეს. დამპარდა ძია იაკოც, იგი ერთ დღეს სამ შეიღოს ერთად გამოეთხოვა. უზარმაზარი კაცი დაიღია, კნუტივით დაიქუნტა, ზერხემალი ცერად დაედრიკა.

ქალაქის ექიმი სააკაშვილი, ადამიანი განათლებული, მიმართულხნით ხალხისანი, სულ თმას იგლეჯდა: ხალხო, აცრევიანეთ ბავშვები, ნუ გუპავთო, — ეუბნებოდა ყველას. მაგრამ დიდი იყო ხალხის უმეცრება, ბავშვნიც მხუტულ-ქვეშ გასრესილი გლეხობა პირუტყვობამდე იყო დასული, უცეცხვად დასაშინელი ცრუმორწმუნეობა უფრო მეტ ვნებას აყენებდა, ვიდრე შავი ქირი ანუ რომელიმე სტიქიური უბედურება. ერთხელ ამ ექიმმა მკითხავი ჯოხით დაიფრინა, მაგრამ გლეხებმა კინალამ სიცოცხლის ფასად დაუსვეს, შენ ჩვენ მხსნელ ხატის მსახურს შეურაცყოფას ნუ აყენებო. მკითხავმა მას ურწმუნოს სახელი გაუგდო და გლეხები ახლოს აღარ იკარებდნენ.

შავმა ყვავილმა გორელებს გზა მკითხავ მაგდო ყარაღაჯელისაკენ დააქვინა. ყელთამდე გაივსო ის თვალთმაქცი. გაცეცხლდა სააკაშვილი:

— თქვენ რაღა გემართებათ, თქვენც ხომ სოფლელები არა ხართ, ხალხო? ყურიდან ბაჰმა გამოიღეთ, ბავშვები აცრაათ. ნუ გჯერათ მკითხავისა. გინდაც თავი გამაგდებინოთ, ჯოხით ვცემ, სულს ამოვხდი, თუ გაუბედნია აქ ჩამოსვლა... თქვენი ბავშვების ავადმყოფობაში არც ღმერთს ურგვია ხელი, არც მის ხატსა და ანგელოზს...

არ მოსწონდათ სააკაშვილის სიტყვა. არც ბესოს ოჯახმა შეიწყნარა იგი, როდესაც რკინის ჯოხის ბაქუნით კარზე მიადგა.

— ნათლიდედ, გააღე კარი, ეს მე ვარ, ექიმი სააკაშვილი...

კატომ კანკალით გაუღო კარი.

— რა გნებავთ?

— თქვენ ბავშვი გყავთ, ცოდო-მოვალეობაში ნუ ჩადგებით. ამაყრევიანეთ, თორემ ღმერთმა დაიფაროს, თუ შავი ყვავილი შეეყარა, ვერ გადაიტანს.

— დედა ჩემი უარზეა... ბესოც...

— რა დროს უარია, დედაკაცო, დრო მიდის! ბესო ხომ ქალაქში ნამყოფაა... მომიყვით ბავშვი, ორ წუთში ყველაფერი მზად იქნება. იაკოს ცოლიც ასე უარობდა და აგერ სამი შვილი ერთად დაჰკარგა.

დედას ცრემლები მოერია, უნდოდა ბავშვი დაეხსნა. მაგრამ ამ დროს მელანიამ გამოჰყო თავი და ისეთი დაუტატანა ექიმს, რომ ის ქუდმოგლეჯილი გაიქცა, ემანდ მართლა არაფერი დამარტყასო. და მოხდა ის, რასაც ექიმი სჩიოდა:

ბავშვი ავად გახდა.

ბესო ღამით დაბრუნდა იაკოს ოჯახიდან, სადაც სამძიმრისათვის იყო წასული.

მბუტბათი სინათლე რომ შენიშნა, არ მოეწონა, ფანჯრიდან შეიხედა. ცოლიც და სიდედრიც ტანთვალებდებოდა ისხდნენ ბავშვის ლოგინთან.

— ვაიმე, ვილუპები! — სთქვა მან და შიგნით შევიდა, — რა ამბავია?

— სსუ, ანგელოზები არ დააფრთხო! — მიუგო დედაბერმა.

— რაო?

— ბავშვი უემურ გუნებაზე დაბრუნდა, — მიუგო ცოლმა, — ებლა დაწვა... ვერ ისვენებს... აღმათ, ტანში აქვს გამჯდარი...

— დაეღუპულვარ!

— რად დაეღუპულვართ, ქა-ა? — მიუგო სიდედრმა, — ბატონები იმის ბატონები არიან, რომ კიდევ მობრძანდებიან და კიდევ წაბრძანდებიან... ვენაცვალე მათ სტუმრობას! ია და ვარდი ჰფენია მათ მობრძანებას!

ბესო ტახტზე ჩამოჯდა და ბავშვის სახეს დააცქერდა.

ბავშვს სიციხე ჰქონდა, ლოყები ატლასივით უელვარებდნენ.

„ვილუპები, ვილუპები!“, — იმეორებდა გუნებაში ბესო.

ცრემლი გამოჟონა. არ მოელოდა, თუ „შავი ღმერთ-ქალი“<sup>საგვარისი</sup> ლოზებით“ ასე ანაზღუელად ეწვეოდა.

არ დაუძინია. იმ ღამესვე გაჩაღდა წარმართული დღესასწაულის ლიტანი-ობა: სანთლები, ლოცვების შეუწყვეტილი ბუტბუტი, „წმინდა წყლით“ სავსე ჯამზე მკითხაობა, წითელი ვაშლების გორება, თეთრი კვერცხების გამოკვალ-თვა წითელ ჩერებში...

განთიადისას ბავშვმა თვალები გაახილა, უნდოდა ტახტიდან გადმოფრენი-ლიყო, მაგრამ თავმა დასძლია და ისევ ლოგინს დააჯრა.

— წყალი მინდა...

— ეხლავე, შვილო... მურაბა?

— მურაბაც...

დედამ და დიდედამ ნაირნაირი მურაბა გადმოუღეს, ბავშვი სათითაოდ ყველას დაეჯრა, მაგრამ უგემურად უკანვე გადასდო.

შუადღისას უკვე ხალისი დაეკარგა ლაპარაკისა, ბალიშზე მისდო თავი და ბურჯანში გაეხვია.

მეორე და მესამე დღეს ბავშვის მდგომარეობა გაუარესდა. სიციხემ უმატა, ხოლო მეოთხე დღეს უკვე პირღებინება დააწყებინა და სიციხეც ორმოცი გრა-დუსის ზევით ახტა. კიდევ ორიოდე ხაზიც და ბავშვი აღარ იჭნებოდა, მაგ-რამ გაჯიუტდა სიციხე და ზემოთ ველარ წავიდა და ვერც დაბლა ვაპბედა დაშვება, ერთ წერტილს შეეყინა...

ყვავილმა გამოფენა დაიწყო.

დედაბერი იმ დღეს სიხარულით ცაში ჰფრენდა, — ეს კეთილი ბატონები გვეწვიენ და არა შავიო. მართალიც იყო, ბავშვს ჩვეულებრივი ყვავილი შე-ეყარა და არა შავი.

რაკი გული დაიარბენია ამ მხრივ, დედაბერმა „ბატონების“ დამწყალობე-ბა მოისურვა: ბავშვს ლოგინი შაქარწყლით დაუნამა, ასევე მოასხურა კედ-ლებს, ფანჯარებს. შემდეგ ბესო და კეკე დითხოვა ოთახიდან, ჩაპკეტა კარი, ნაჭრებში ვახვეული კვერცხები ხატის წინ დაჰკიდა, მერე დანაყა ნიგოზი, გა-მოჰხადა ზეთი, შიგ პატარა ფთილები ამოავლო და ბაზმა დააგშია.

შუალამე რომ შესრულდა, ბავშვი ღრმა ძილს მაცეცა. დედაბერმა ვერცხლის თმა სურათოვნად ჩამოიშალა, ხონჩაზე გააწყო შაქარწყალი, ტუბილი კვერე-ბი, დაანთო სანთლები, ბაზმა, აიღო ეს საბატონო ძღვენი და ბავშვის ირგე-ლივ სამგზით შემოიარა საგალობლის წყნარი აღვლენით:

„აქ ბატონები მობრძანდნენ, იავ, ნანინაო.

მობრძანდნენ და თავს დაგვადგნენ, ვარდო, ნანინაო.

ბატონების მამიდასა, იავ, ნანინაო,

წინ დაუგვებთ ხალიჩასა, ვარდო, ნანინაო.

ბატონების ბახჩაშიო, იავ, ნანინაო,

თეთრი თუთა გაშლილაო, ვარდო, ნანინაო.

აბრეშუმში დედას არ აქვს, იავ, ნანინაო

და საჩუქრად ჩითი მოაქვს, ვარდო, ნანინაო.

მზის სურნელი დააფრქვია, იავ, ნანინაო,  
 ვარდსა ვარდი აღარ ჰქვიან, ვარდო, ნანინაო.  
 მიწა ჰკოცნის მზის სადავეს, იავ, ნანინაო,  
 სპობს ამ ქვეყნად ეამთ სიავეს, ვარდო, ნანინაო.  
 მის სახელსა დიდ შშვენიერს, იავ, ნანინაო,  
 დიდ ბატონებს შეავედრებს, ვარდო, ნანინაო,  
 ჩემი სოსოს დღეგრძელობას, იავ, ნანინაო,  
 ოქროფრთიან კალმითა 'წერს, ვარდო, ნანინაო.  
 აიტყვა ცისკენ ვაშავარდნე, იავ, ნანინაო,  
 ბაღნარები გადავბარდნე, ვარდო, ნანინაო.  
 დაიძინე, პაწაწინა, იავ, ნანინაო,  
 დღეგრძელობა გიძევს წინა, ვარდო, ნანინაო!"



ყოველ შემოვლაზე და საგალობლს მუხლის შესრულებაზე მელანო ღია ხარკმელთან შესდგებოდა ხოლმე, მთვარისაკენ ასწევდა ხელს, ცერით გაატკატუნებდა, შესწრუწუნებდა და შემდეგ ისევ განაგრძობდა ლიტანიობას.

მეორე დღეს დიდდამ განკარგულება გასცა, ორი თვის განმავლობაში სახლში ცეცხლი არავის დაენთო, არც ჩაი დაედგათ, ცხელი რამ არ შემოეტანათ.

— ჩვენს ტკბილ ბატონებს ფეხები დაეწევათ, გაგვიფრინდებიან... ვენაცვალე მათ მობრძანებას, არავინ გაანრისხოთ... ია და ვარდი მოუფინეთ, რომ ჩემი სოსოს სანაცვლოდ ისევ მე წამიყვანონ...

და, მართლაც, მთელი ორმოცი დღის განმავლობაში არა თუ შინ, გარეთაც კი არ დაუნთიათ ცეცხლი. ყველანი მარხულობაზე გადავიდნენ, დედაბრის განკარგულებას ასრულებდნენ, და „ბატონების“ ფერიაობაში იყვნენ. მაგდო ყარაღაჯელის მკითხაობაც გამოიყენეს და გერის წმინდა გიორგის ხატის სახელობაზე თეთრად-თეთრი მამალი შეიძინეს, მთლად წითლად შეღებეს და გორიჯერის ტყეში გაუშვეს საილალოდ.

სოსოს ყვავილმა მეზობლები დააფრთხო. არავინ აღარ დაიარებოდა, თვით მახლობლებიც კი. სოსოს ერთადერთი ერთგული ისევ დარიკო გამოდგა. გულს ვერ გაეძლო მისთვის და ბავშვის სანახავად წამოსულიყო. სწორედ მაშინ მოუსწრო ბავშვს, როდესაც ყვავილმა პირველი ნიშანი გამოიღო გამოფენისა. ბავშვს ძალიან იამა ძველი მეგობრის სტუმრობა, რომელიც ღამაზე მოჩვენებასავით თავს დაადგა. დარიკო, მართალია, ეხლა ყელმოღერებული ახალი პატარძალი იყო, მაგრამ სულმა სული მაინც იცნო. ბიჭიკო სულ თვალბეზელში შესტყეროდა, მოსწონდა, რომ მეგობრის სახეს იასამნის ფერი შარფი ამშვენებდა, ზედ ამოქარგული ოქროს ვარსკვლავებით და ვერცხლის პაწა გვირილებით. მის ოცნებაში გაიფურჩქნა ნორჩობის ხანა, როცა ის „ზიზის“ აღფრთოვანებით ეგებებოდა. ეხლაც გაუწოდა ხელი და შარფის ტოტა მოსწია, მიუალერსა გვირილა-ზიზის და გულზე მიიფინა.

— ხომ მიცანი, სოსო, მე დარიკო ვარ...

— ჰო, დარიკო ხარ, — მიუგო ბიჭიკომ.

— მოგწონს ეს შარფი?

— ჰო, კარგია... სულ ვარსკვლავები...

— გინდა, ვაჩქო?



სოსომ მორცხვად თავი ჩაღუნა, შარტს ჩამოსწია, შარიშურით ჩამოტყარია-  
ლა პატარძალს მხრებზე და ვარსკვლავა გვირილებს თითით დაუწყო ზღერა.  
— ჩემს სახსოვრად გკონდეს, სოსო.

ბავშვს მიმჭრალი თვალები წამოუნაპერწყლდა მდღობის ღრმად. <sup>გაქონული</sup> <sup>ქმედების</sup>  
დარიკო გადმოიხარა, კულულებს ბეჭდები ჩამოარხია და მის შებლს ნა-  
ზად აკოცა, როგორც ღვიძლ ძმას.

— აბა, ყოჩაღად იყავი, ყოჩაღად! კიდევ რას დამბარებ, რომ შემდეგისა-  
თვის მოვიტანო.

ბავშვმა თავი წამოსწია და ისე დაუწყო მზერა, როგორც ქოჩორა ტორო-  
ლამ განთიადის მზეს.

— არაფერს... ისე მოდი ხოლმე...

— მოვალ, მოვალ, მაშ!

როცა დარიკო წასასვლელად მოემზადა, ბიჭიკომ ნახევრად წამოიწია:

— დარიკო, დარიკო...

— რაო?

— შარტი დაგავიწყდა...

— ეგ შენი იყოს, გენაცვალე, შენს ბატონებს მივეძღვნათ...

— არა...

ბევრი არ უდავნიათ, ბავშვმა თავისი გაიტანა და დარიკოს შარტი უკან  
გაატანა, თან სთხოვა, ხშირ-ხშირად იარეო. დარიკოც ასრულებდა მის თხოვ-  
ხას. მოჰქონდა ნაირნაირი ტყვილეული: შაქრის კვერცხები, ვაშლი, ნუყლი...

მოახლოვდა კრიზისი. ყვავილის გამოთენის მეხუთე დღეს სიციხე უმატა.  
ბავშვმზ ბოდეა დაიწყო. ეგონათ, აღსასრული დაუდგაო. დედაბერმა დო მოი-  
ტანა, შიგ კამბოსტოს ფოთოლი ამოაგლო და შებლზე მიათენა. მშფოთვარე  
ბავშვის სიცოცხლე სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის გავლებულ ქუფს-  
კრულში დაქანაობდა.

კრიზისი მშვიდობით დამთავრდა. ბავშვი გადაურჩა სიკვდილს. სამაგიე-  
როდ დედაბერი დიდმა მარხულობამ, გამუდმებულმა ლოცვამ და „იავ-ნანამ“  
გონებაზე შეფრყია, სულ „ანგელოზები“ ელანდებოდნენ, თითქოს ისინი წმინ-  
და გიორგისთან მიადრენდნენ. და ამ ყოფაში, მოჩვენებათა შორის პროწიალ-  
ში დაღია მრავალტანჯული სული. მიიცვალა და თან წაიღო ცრუმორწმუნე-  
ობით აღზნებული ცეცხლი.

დიდი ტირილი და მოთქმა არა ყოფილა ბესოს ოჯახში.

— ჩემი სოსოს ჭირი მგავს წაუღია, — სთქვა ბესომ და მისი საწინააღმდეგო  
არც კატოს ჰქონია.

— რა ექნა, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, — ამბობდა იგი, — დიდ-  
ბი უნდა დაიხოცნონ, პატარებმა კი იცოცხლონ... სოსო ცოცხალი შეყ-  
დეს და...

ბავშვმა მართლა მოიხედა. ორი თვე ებრძოდა ლოგინიდან წამოდგომას და  
ბოლოს ეს ბრძოლა გამარჯვებით დააგვირგინა.

— დარიკო, შეხე, მოვრიჩი! — უთხრა ერთბელ სტუმრად მოსულს თავის მე-  
გობარს.

— მე ექვიც არ შემიღოდა, რომ შენ მოჩრებოდი, — მიუგო დობილმა, რო-  
მელსაც ახალ-ახალი საჩუქრები მიეტანა: კარგი ცხენი, ხმალი, დუღუკი და  
დოლი.

ბიჭიკო პირველად დოღს ეცა, ლოჯინში მოიკეცა და ურთის ნაშობ აავან-  
გაშა.

დედა სიხარულით შეიკრა.

კარი შეაღო ბესომაც, რომელსაც მზის სხივთა ზღვა თან მეჭვე და  
ბავშვს ოქროს ტალღები მოახვია.

მთელი ოჯახი გამზიარულდა. ბავშვის წამოდგომამ განვლილი მწუხარება  
და დარდი სულ ერთიანად დააფიწყათ.

## XVII

## აღთქმა დიდების საფლავზე

სოსო ყვავილის შემდეგ გამოსაღების გზას დაადგა. ბუნებამ თავისი გაი-  
ტანა, ბავშვს მოაწყურა სიცოცხლე. მზეს დანატრებული ვარედ შიიწევდა,  
ამხანაგებს კითხულობდა, მაგრამ რადგან ჯერ კიდევ სუსტი იყო, მარტო სახ-  
ლის კარებთან კიბეზე ჩამოჯდომის ნებას აძლევდნენ.

ერთ დღეს ხაბელანთ კოლამ ინახულა. ბიჭიკომ გაიხარა. ვიდრე თამაშო-  
ბას დაიწყებდნენ, ამხანაგები გადაითვალეს, აღმოჩნდა, რომ ბევრი მათგანი  
ცოცხალი აღარ იყო.

— ბავშვმა იცოდა, რომ როდესაც ვინმე კვდებოდა, მას დაიტრებდნენ ხოლ-  
მე და სადღაც მიჰქონდათ კუბოთი, მაგრამ სახელდობრ სად ან რად, ეს აღარ  
იცოდა, ჰგონებოდა, რომ „მოკვდა“ საშინელი სიტყვა იყო, მაგრამ რას ნიშ-  
ნავდა თვითონ სიკვდილი, ამას ვერ მიმხედარიყო.

— კიდევ ვინ მოკვდა?

— ონიანთ შალა, გელდიანთ ილა, სარაულიანთ შიხა, მაისურაანთ ვანე-  
ძია იაკოს შვილები, ძია ვიგოს სანდრა და მიხო... გადარჩა ლაშაურაანთ სინ-  
კას ბიჭი, რაზმაძიანთ გუცა, ნათლია მიხაკას სანდრო, შენ, მე და ორიოდე კი-  
დევ სხვა, დანარჩენები ბატონებმა წაიყვანეს.

ბავშვს თამაშობის ხალისი დაეკარგა, ისევ შინ შებრუნდა, თითქოს უნდა  
დედას შესწიელოს და მისგან ვაიგოს სიკვდილის საიდუმლოებანიო.

— დედილო, იცი, კოლამ სთქვა, გელდიანთ ილაც მოკვდაო, სარაულიანთ  
მიხაც, მაისურაანთ ვანეც... მართალია?

— მართალია, შვილო, მათი დღე შენ შეგემატოს, ყველანი ბატონებმა ის-  
ტუმრეს... ძია იაკოს შვილებიც... საწყალი კაცი, ლამისაა ჯავრისაგან დად-  
ნეს. რა მარგალიტი შვილები დაეხოცა...

— სიკვდილი რა არის, დედა?

— უი, შვილო, მაგას რას მკითხავ?

— მინდა ვიცოდე...

— ვინც მოკვდება, შვილო, ის ცოცხალი აღარ იქნება.

— მერე?

— მერე სასაფლაოზე წაიღებენ და დამარხებენ...

ბავშვი თითქოს მიხვდა და თითქოს ვერც მიხვდა დედის ნათქვამს. რაღაც  
გამოურკვეველი შიში დაეუფლა.

უეცრივ დიდება მოიკითხა:

— დიდდა სად არის, დედილო, რატომ ვერა ვხედავ? ისიც მოკვდა? გუ-  
ნინ ტაკვია მოლოზანმა აგრე მითხრა, მოკვდაო.

— ის, შეილო... ისიც ფუფალამ წაიყვანა, ახლაც ფუფალასთანაა და  
ჩქიდან გლოცავს...

დედას ცრემლები გადმოსცვივდა. ბავშვმა ამღვრეული თვალები შეინათა:

— ფუფალასთან?

— ჰო, შეილო, ფუფალასთან.

— როდის დაბრუნდება?

— არც როდის.

— რატომ?

— ფუფალა არ გამოუშვებს.

— რატომ არ გამოუშვებს?

— იმიტომ რომ... იმიტომ რომ დიდდასაც ფუფალასთან ურჩევნია...

ბავშვმა არ დაუჯერა, რომ დიდდას „ფუფალასთან“ ურჩევნია. მის ხსოვ-  
ნაში ბუნდოვანად აღსდგა ეს სახელი. ერთხელ სწორედ ეს „ფუფალა“ იყო,  
რომ მას საზამთროს ჭამა დაუშალა და დიდი უსიამოვნებაც გადაჰხდა. ეხლა  
დიდდაც მას წაუყვანია. რა ბოროტი ვინმე ყოფილა!

— რად ურჩევნია ფუფალასთან, ის ხომ ფინთია, ფინთი!

— უი, დამიდგეს თვალი! მაგას რას აპბობ, შეილო, ეგ რომ ბოროტი ყო-  
ფილიყო, შენს სიცოცხლეს ვინ მაჩუქებდა?

ეხლა უფრო დაიბნა ბავშვი, — რა შეაშია „ფუფალა“ ან იმან როგორ  
აჩუქა ჩემი თავიო.

— ის არ იყო, საზამთრო რომ არ მაჭამა. დაიკარგოს, ფინთია, ფინთი! დი-  
დდაც იმას წაუყვანია... მაკადოს ერთი...

— ჩუ, შეილო, ჩუ! ფუფალა არ გააჯავროს... იმან როდის დაგიშალა სა-  
ზამთროს ჭამა... ყველაფერს თავისი დრო აქვს. ღორმუცლობას არც ფუფა-  
ლა მოიწონებს და არც დედა შენი...

— არა, ფუფალა ფინთია, ფინთი! რატომ არ უშვებს დიდდას? ის საყუთ-  
რივ ჩემი დიდდა იყო, იმისი ხომ არა?

— შენია, მაგრამ ეხლა დიდდას ფუფალასთან ურჩევნია, შეილო... თვითონ  
დიდდას არ უნდა დაბრუნება...

— სტყუი, სტყუი! ის არ უშვებს... მე ვნახე ის შენი ფუფალა, ოქონის საყ-  
დარში ხატია, ამოდენა ტუჩები აქვს, ამოდენა წვერი, ამოდენა თმა. ორივე  
ხელი გაუშლია... იმას ჩემი, მოტაცებაც უნდოდა, მაგრამ ისეთი დავიტიშე,  
ისეთი, რომ ბიჭია და დამიჭიროს! ისეთ ქვას ვაუფუზუნებ, რომ შუბლი გა-  
ვუხეთქო. ჩემს დიდდას კი მოერია. დიდდას მუხლში ქარი ჰქონდა... ტაკვია  
მოლოზანმა სთქვა, აი იმ ფუფალამ წაიყვანა დიდდაშენიო. დამაცადოს ერ-  
თი, აბა ნუ გამოუშვია! უბეს ქვებით ავიესებ და თავში დაეუშენ...

— რასა ყბედობ, შეილო, რას? ვინ გასწავლა ავეთი ლაპარაკი? რა შეაშია  
აქ ფუფალა?

— შენც აკი სთქვი, ფუფალამ წაიყვანაო, — ჯიუტობდა ბავშვი.

— კარგად ვერ ვაიგე. ის თავისით წავიდა დასასვენებლად... აქ დაიღალა...  
იქ ფუფალას სამოთხეში ისეთი ლამაზი სახლები აქვს, არზენიად დაისვენებს  
იქ.. აი, როცა მე და მამაშენიც დავილლებით, დასასვენებლად იქ წავაილთ...

8. „მნათობი“, № № 7 — 8.

— ვერ მივართვი ბადრიჯანი! რამდენჯერაც მე დავიღალე, მაშნულ იმასთან უნდა წავიდე? წელანაც ცხენაობით ისე დავიღალე, ექვთიმო, რა ვიღე ფუფალასთან? გამიშვებ?

— უი, უი, უწინ დღე დამელიოს! ენამ არ გიყვილოს, შვილო, რაებსა მბოდაე!

— თუ ფუფალასთან კარგია, მაშინ მეც იმასთან წავალ დასასვენებლად, დიდუდას კალთაში ჩაეუჯდები, ჭრელ წინდებს დამიქსოვს, ზღაპრებით ვამართობს...

— კარგი, დედა შემოგველოს, კარგი! სისულელეს ნუ ბოდილობ...

— სისულელე რად იქნება: ონიანთ ბიჭი თუ წავიდა, მე რაღა მოშავს? ის ფუფალასთან კარგ ბაღებში იყოს და მე კი არა? ან გელდიანთ ბიჭი, ის რაღა წითელი კოჭი ბყო, რომ ფუფალამ ის წაიყვანა?

ბავშვი უფრო ღრმად იფლობადა დედის წინააღმდეგობათა მორევში.

— შენ ჯვარი გწერია, შვილო, ისინი ფუფალამ წაიყვანა იმიტომ, რომ ფინთები იყვნენ?

— ილო ფინთი იყო? ნიკა ფინთი იყო? სოლოც ფინთი იყო? წავიდე ვუთხრა იმათ დედას... მაშ რად ტირიან, თუ ფინთები იყვნენ? სოლომ ერთხელ თაფლი მაჭამა, რად იქნება ფინთი? ფუფალამ საზამთრო წამართვა, სოლომ კი თაფლი მაჭამა, აბა ფინთი რითი იყო?

დედამ გულში ჩაიკრა ბიჭიკო, იგრძნო, რომ რაც მეტ განმარტებას მოსცემდა, იმდენად უფრო ჩაიფლებოდა წინააღმდეგობათა ხვეულებში და ძალიან გაუხარდა, რომ ბესომ კარი შემოაღო.

ბესო ცოტა ნაღვინევი იყო, ხელში ყურძნის მტევანი ეჭირა, ბიჭის დანახვზე მოიხალისა:

— ეიშ, ეიშ, ეიშ! ამას ვის ვხედავ? ჩემი დევემირი, ჩემი ამირანი, ჩემი ყარამან გმირი! აი ესეც შენი ყაფის მთა, აბა ამოსწვდი, მამა გენაცვალოს, და ცალ ხელში დაიჭირე. მე კი მთელი ლაშქარით მის ქვეშ გავივლი...

ბესომ მტევანი აუთამაშა.

ბიჭიკო ყურძენს წაეტანა, დაიჭირა, ბესომ ერთი ყიყინით მის გამოწვდილ მკლავს ქვეშ გაიარა „მთელი ლაშქრით“, შემდეგ ზურგი შეუშვირა და შესძახა:

— აბა, ჩემო ყარამან გმირო, მოახტი ზურგზე შენს აჩუას! მართალია, ექვსფეხა არ არის, მაგრამ ცხრა მთას იქით გადავაქროლებს. აბა, საით ვაგაქენო, მითხარი, გენაცვალე!

და ისევ ისე, როგორც ფეხადგმულ ბიჭიკოს, ეხლაც ზურგი მიუშვირა. სოსო ზურგზე მოექცა, მკლავები ყელზე შემოჰხვია და ქუსლი გაჰკრა გვერდებში:

— აჩუ, ქვირო, აჩუ!

ბესომ მოიხალისა. რამდენჯერმე გააჭენ-გამოაჭენა ბიჭი, მძიმედ ქმინაედა, დაიღალა, მაგრამ თავს მინც იქნევდა ულაცყივით, ხან წიხლს გაისროდა, ხან შეჩერდებოდა და ტოკავდა, ყალყზე დგებოდა, ხან ისე შესჭინებინებდა, თითქოს ბრძოლის წინ ხევსურელმა ხევის ბერმა დაფდაფი ააგანგაშაო. შემდეგ შეჩერდა და ისევ ძველებური წესით შეეკითხა, როგორც ორი წლის ბიჭიკოს ეკითხებოდა ხოლმე, როცა ხელში აჩუპრავებდა ანდა მუხლზე შეისვა მდა და „აჭენაეებდა“:

— აბა, ყარამან გმირო, წავედეთ ინდოეთში, სარვი ხურაშან მოვეტაცოთ, გინდა?

მავრამ დღეს ბიჭიკოს არც ყარამანობა უნდოდა, არც ვარდახეყენობა.

— არ მინდა, მამი.

— მაშ ბათომში წავედეთ?

— არა.

— ქუთაისში?

— არა.

— ტრაპიზონში?

— არც ტრაპიზონში.

— მაშ სად გინდა, შვილო, ჩინ-ჩინამეთში?

— არც იქ... თუ გინდა, ისევ დიდდასთან წამიყვანე...

— დიდდასთან?!

— ჰო, ის მინდა ვნახო...

ბესოს ზარი დაეცა. პირი დაალო. ბახუსის ოშხივარი შუბლიდან ავარდა, მუხლს ჩაეკეცა და იქვე ტახტზე დაეშვა.

— რა ვქნა, რაგებსა ჰბოდავს? დიდდასთან რა გინდა, შვილო?

— წინდები უნდა დავაქსოვინო.

შემოწოლილი ვარამი გულიდან მოსწყდა ბესოს და მთელი გულით ამოიჭმინა.

— სულ ეგ იყო? შე კაი კაცო, დიდდასთან რომ არ გაიქცე, უთხარი დედიკოს, განა ის არ დაგიქსოვს.

— დედიკომ ისეთი არ იცის... ის კრელ-კრელს მიქსოვდა...

— კრელ წინდებს მე გიშოვი, შვილო, ოსის დედაკაცებს მაგის მეტი რა მოაქვთ ჩვენს ბაზარზე.

— არა, მე დიდდასთან მინდა, იმისი დაქსოვილი... წამიყვანე, მამილო, წამიყვანე... ჰო-ო?

— კარგი, კარგი, წაგიყვან, — უთხრა მამამ და შვილი გულში ჩაიკრა.

— რა კარგი მამა ხარ!

ბიჭიკომ მამას სქელი უღვაშები გადაუწია და ტუჩებში აკოცა.

ბესომ ბიჭიკო კარში გაიტყუა, სათამაშოდ გეძახიანო, თვითონ კი კეკეს მიუჯდა და საიდუმლო თათბირი გამართა, თუ რას ნიშნავდა ბიჭიკოს ასეთი აბირება.

— მე ჩემი და იმან თავისი! — სიქვა კეკემ, — მეც მთელი დღე სულ მაგასა მთხოვს...

— ალბათ, ცხონებულის სული თუ ითხოვს, რომ ბავშვმა სანთელი დაუნთოს მის საფლავს, — ბრძნულად დაასკვნა მამამ. — წაველ, მღვდელს კვირისათვის პანაშვიდს დავანიშნებ და საფლავს ვაკურთხევიანებ, იქნებ ჩვენც მოგვასვენოს და ბავშვიც...

ასეც მოიქცნენ. კვირისთვის მთელი ოჯახი და მეზობლიანთ მოხუცი ქალები წავედნენ წირვაზე. შემდეგ სასაფლაოზე ვაეპართნენ. სოსოს ის უკვირდა, რომ აღთქმული დიდდის ნაცვლად მას ახლად მიწა-მიყრილი საფლავი აჩვენეს პატარა მიზომილ ადგილზე, რომელსაც თავსა და ბოლოს წამოყალყული სამნები ჰქონდა წამოდგმული...

— დიდდა სად არის? — იკითხა გაოცებულმა ბიჭიკომ.

დედამ ცრემლები შეიმავრა.

— აი აქ, შვილო, აქ, — და მიუთითა სველ საფლავზე.

ბავშვი მიწას დააქერდა, მაგრამ დიდდა ვერ დაინახა, უფრო მეტად გაოცდა და ხელახლად ჰკითხა:

— აბა სად, დედილო, სად?

— აი აქ, საფლავში ძვეს...

— სად არის საფლავი?

— აი თითონ ეს, შვილო... ამ მიწის ქვეშ წევს...

— მერე ცოდო არ არის?

— არა, შვილო, იქ ტკბილად სძინავს.

— მარტოდ-მარტოს?

— ჰო.

— გავაღვიძებ, დედი, ცოდოა...

— არა, შვილო, გაღვიძება არ იქნება... აქ ძილი ურჩევნია...

— ცოდოა, დედილო, ცოდო!

ამასობაში მღვდელი შეიმოსა და საფლავს ირველივ საცეცხლურის ქნევით შემოუარა. სანთლები გააჩალეს. საფლავის თავზე კოლიო დადგეს, თავლით და ქიშმიშით შეზავებული, იქვე ტაბლა და ხელადით წითელი ღვინო, ერთის სიტყვით, ყველაფერი ის, რაც იმ დროს ვითომ მიცვალებულს უნდა ეგემნა საიჭიოში. ბოლოს „სულთათანა“ გაჩალდა. შავებში ჩაცმული დედა აჭვითინდა. დედაბრებმა ბანი მისცეს დაუსრულებელი ვიწვიშით.

ბავშვს დარღმა გადაურბინა, როდესაც დედამ ანთებული სანთელი მისცა:

— აბა, შვილო, დიდდას დაუნთე, გაეხარდება...

ბავშვმა სიხარულით შეიფრთხილა.

— სად არის მერე ჩემი დიდდა?

— აქი გითხარი, აი აქ მარხია მეთქი. მიდი და ეს სანთელი იმ ქვასთან დაანთე.

ბავშვმა გაუგებრად თვალები დააჭყიტა და სამანის ქვაზე მიუთითა:

— ეხლა ეს არის დიდდა?

— მანდ არის, მანდ, მაგის ქვეშ... დაანთე, შვილო, რას უყურებ? დიდდა დაგლოცავს... ჩემი სოსო კარგი ბიჭია, დედ-მამის გამგონიო... მოდი, შვილო, ნულარა დგებარ, სანთელი დაუნთე.

— აქა, დედილო?

— ჰო, მანდ...

ბავშვს ხელი შეაშველეს და, როგორც იყო, სანთელი სამანთან დაანთებინეს.

ბიჭიკო ნაღვლიანად გამობრუნდა, ის დიდდას ელოდა და ქვა კი აჩვენეს. ხან ანთებულ სანთელს უყურებდა, ხან შემოსილ მღვდელს. უკვირდა, რასა ბუტბუტებსო.

შემ ღრუბელი გადაიყარა და თავისი სხივები ათასნაირად ააცივლიდა მოკიაფე ცეკვით მღვდლის საცეცხლურზე. ვაისმა „სულთათანას“ ღიღინი და საყოველთაო ქვეითნი.

ბიჭიკომ კოპები შეიკრა და დედას მოეჭიდა კალთაზე:

— ნუ ტირი, დედი, თორემ მეც ვიტირებ, აი...

გათავდა პანაშვიდი. მღვდელმა ხელადით ღვინო საფლავის თავს წაუქცია — მიაგებოსო და დაიკვანს უბრაძანა, ტაბლა შინ წაეღო. ის კოლიო კი ჭირისუფლებმა გლახებს გაუნაწილეს თითო-თითო კოვზობით.



დედამ ერთხელ კიდევ დაიტერია მიცვალებული. მიწა აბეჭეტა საფლავიდან, გახსნილ გულსიპირში ჩააყარა და მოჰყვა მოთქმას:

— უბედურო, გაუხარელო, დედი, ეხლა მაინც მოისვენე. შენი სოსო, შენ რომ გიყვარდა... დალოცე, დედი, დალოცე, რომ ბედმძიერი კაცს გამოვიდეს...

ბავშვი ვერ მიხვდა, სად იყო დიდედა, რომ დალოცვა მიეღო მისგან. ისე კი დედის ტირილზე იმასაც ცრემლი წამოსცვივდა და ხელახლად მოიხვია:

— ნუ ტირი, დედი, თორემ მეც ვიტირებ, აი...

მაგრამ ბიჭიკოს ყველაზე შეტად ის გაუყვირდა, რომ ბოლოს საფლავიც მიატოვეს და დიდედა მაინც არ სჩანდა.

— ჩემი დიდედა? — იკითხა მან, — რატომ არ მოდის?

— ის ვერ წამოვა... ფუფალასთან ურჩევნია...

ისევ ფუფალა! ბავშვს სახე მოელუშა...

გავიდა ხანი. ერთ მშვენიერ დღეს ბიჭიკო დაიკარგა. მშობლები მეზობლებში დაეძებდნენ, ნამდვილად კი იგი სასაფლაოს ეწვია და დიდედას სამარე მოსძებნა. იპოვა, იქვე სამანზე ჩამოჯდა და ცრემლების ღაბაღღებით მოჰყვა:

— დიდედო, პაი დიდედო, ეს მე ვარ, შენი სოსელო... ამოდი, გენაცვალე, ამოდი ერთი, რალაც უნდა ვითხრა.

მაგრამ დიდედა არ ამოვიდა. ბავშვმა იფიქრა, იფიქრა და მოისაზრა, ალბათ, იმაზე მიწყრება, რომ ბევრს ვაჯავრებდიო. გონებაში გადასთვალა, სად რა ეშვებოდა ჩადენილი, სად როგორ მოეპარა მისთვის ჩურჩხელა, სად როგორ გადაემალა გორგალი, წინდისჩხირები, სად ჩიბტი-კოპი გაეხადნა საძებარი, ან როგორ გამოჰპაროვდა საყდრიდან, ან და ისე ჩაწოლვილიყო ლოგანში, რომ პირჯვარი არ დაეწერა, არც ულოცნია, — იხსენებდა ყველა ამას და ცრემლები ღაბაღღებით სცვივოდა:

— დიდედო, პაი დიდედო, შენი ჭირიმე, ოღონდ ეხლა ამოდი და მაპატიე, და ნახავ, რანაირი გამგონი ბიჭი შევიქნები! დედა მომიცვდეს, თუ კიდევ ვაჯავრო, თუ ჩურჩხელები მოგპარო, ან ვაშლი, მსხალი, თუ წინდისჩხირი დაგიმალო, ან კაკლის მურაბა მოგიპარო, ან ლოცვაზე უარი ვთქვა, თუ საყდარში არ წამოგყვე ხოლმე... თუ ასე არ მოვიქცე, მაშინ მე ჩემი დედიკოს შვილი ნუ ვყოფილვარ! შენც ნულარ დამიქსოვ იმ პრელ წინდებს, ნურც გოზინაყს გამიკეთებ, ნურც ჩურჩხელებს მაქმევ...

მაგრამ დიდედამ არც ამ ფიცს დაუჯერა და საფლავიდან არ ამოვიდა. ბავშვს გული დასწყდა. დიდხანს იჯდა ასე ბიჭიკო, დიდხანს ემუდარა, ბოლოს სამანს ჩიჩქნა დაუწყო, უნდოდა გადაგორება, იქნებ ამოსვლა გავუადვილოო, მაგრამ რომ ამოსული ვერ ნახა, დაღონდა და ქვაზე ჩამოჯდა. ბოლოს ჩასთვლიმა და ტყბილ სიზმრებში გაეხვია: მხოლოდ მაშინ ნახა თავისი დიდედა, მხოლოდ მაშინ აღიარა გულში ჩაკვრა, წინდების დაქსოვაც, მურაბების გაღებაც, სულ მაშინ, სულ მაშინ... რამდენი ვარსკვლავი დაათოვა თავზე, რამდენი „ზიზითი“ მოჰქარგა მისი შავი თმა, რამდენი კოცნა დააწვიმა...

მხოლოდ შეღამებისას წაიყვანეს ბავშვი სასაფლაოზე. მყოფმა სხვა ჭირის-უფლებმა.

ბესომ სულ სხვანაირად ახსნა ბავშვის თავს გადაშდარი ამბავი და კატოს გადაწყვეტით უთხრა:

— დედაცაო, რას ჩაეცვილით ამ ოხერ ოს ვანუას სახლს: ადგილის ფუძე გამოვიცვალოთ, თორემ ხეირი არ დაგვეყრება! იქნებ სხვა სახლის ანგელოზმა გაგვიღიმოს და ეს ბავშვი კეთილგონიერებაზე დაგვეყენოს, თორემ კრალაცა სულ სხვანაირად მღერის...

გინგლიჩოშვიკა

— მეც აგრე ვფიქრობ, — უთხრა კატომ, — ადგილის ანგელოზი უნდა შევიცვალოთ...

ეს იყო ცრუმორწმუნეობის უკანასკნელი ზეიმი. იმავე კვირას ბესომ გულანაბადი აიკიდა და ჩუტკარაანთ უბანში გადასახლდა, ჩარკვიანების ცალთვილა ოთახში, სადაც, მისი აზრით, ახალი ანგელოზი ბედნიერების ნიშნებს გაუფენდა.

## XVIII

### აზგები არბილერიის მოედანზე

გულის ტკივილით განშორდა სოსო რუსის უბანს, იმ სახლს, სადაც დაიბადა, ფეხი აიდგა, იმ ადგილს, საიდანაც იმდენი რამ სამახსოვრო წამოჰყვა; პირველად ძალიან ნალეობდა ამხანაგების დაშორებას, მაგრამ ნელ-ნელა აქაურობასაც შეეჩვია, აქაც აღმოაჩინა ახალი ამხანაგები და, ცოტა არ იყოს, დარდი ჭაუქაბრდა.

მისთვის ყველაზე საინტერესო ჯერ თვითონ სახლის პატრონის პატარა ქალიშვილები იყვნენ. უფროსი კატო ცოტა უკარება გოგო იყო, თავი მოჰქონდა, რომ ბიჭიკოზე ერთი-ორი წლით მაინც უფროსი იყო. სამაგიეროდ მაშო მისი ტოლი იყო, ხოლო უმცროსი სონა სწორედ მისი სამეგობრო გამოჩნდა. ეს იყო მეტად კიკიკია გოგონა, კუდრაქა, ცელქზე ცელქი და მოუსვენარი. პირველ გაცნობისთანავე ბიჭიკოს ჩხუბი გაუმართა ბლის კუნწულისათვის, ქოჩორში წასწვდა და ერთი ბლუჯა თმა ააბდღვნა და იმდენი იწიოკა, სანამ არ წაართვა ის ბლის კუნწულა. ლამაზი საყურებოვით ვაღიგდო ყურებზე და გამარჯვებული ენის გამოყოფით აღიზანებდა, — ჰე, მოგზედა თუ არაო. მაგრამ ეს არ უშლიდა, რომ წუთს უკან ისევე შერიგებულ იყვნენ ცელქები და დედოფლობა გაეჩაღებინათ. სოსომ ამ გოგონასაგან ისწავლა კენჭაობა, ხელისწიწკნა. პირველ ხანებში ბიჭიკოს ხელები დაუსისხლიანდა, მაგრამ შემდეგ სოსომ ისე გაიმართა ხელი, რომ კები შეუქცია და რამდენჯერმე ისე აწიწკნა ხელის გული, რომ სულ კურცხალი ჩამოაყრევინა გოგოს. ხშირად ათი თოფა-კაფა, ჩემურმელა და წკატუნელა გაუცდენლად შეუსრულებია. ასევე ისწავლა მისგან ბანქოს ქაღალდის ხუზულაობა, მატარებლიანობა, ჯარისკაცობა. მთელ დასტას ერთიმეორეზე მიყოლებით ჯარისკაცებივით გაამწკრივებდა ტახტის თავიდან ბოლომდე, შემდეგ სულს შეუბერავდა და სიხარულით ცაში დაფრინავდა, როდესაც ერთიმეორეზე მიხლით ეს ჯარისკაცები სულ ძირს ეგებოდნენ.

ბიჭიკომ მისგან კიდევ ბევრი რამ სხვა თამაშობა ისწავლა, კლასობანაც, იწილო-ბიწილოც, მაგრამ სოსო ისევე კენჭაობას არჩევდა. უყვარდა გოგონას ხელის აწიწკნა, მისი აწიოკება.

— დედა, უთხარი სოსოს, აგრე მწარედ ნუ იწიწკნება, — არაერთხელ დაუ-

ჩივლია გოგონას დედის წინაშე, მაგრამ დედა დღიური მუშაობით ისე იყო დატვირთული, რომ გოგონას დაჩივლების მოსაგვარებლად აღარ ეცდებოდა.

ერთი ათიორდე დღის შემდეგ ბიჭიკომ გარედ გასვლა მოახერხა. ცხელი ტანის პირველი ბიჭი, ვისაც ის გაეცნო, იყო ჩუტკარაანთ კოტეჯის წინააღმდეგობით სწორედ მისი ფარდი. თვითონ კოტეჯევიანი ბიჭი იყო, ამხანაგებში გამოჩენილი. მან თავისი სახელიც აჩვენა. იქ კოტეს მამა ძველი ყარაილელი გამოდგა, დარდიმანდი, მაგრამ მეტად ტკბილად მომღერალი.

პირველად მისგან გაიგონა ყელში აღიდინებული იმღროისთვის კარგად ცნობილ გივიშვილის რომანსი:

„მითხარ, მითხარ, რას მემღერი,  
შენი სულისა,  
აღარა მაქვს მოთმინება,  
შეკვლელო გულისა.  
კარგად იცი, ტყვე ვარ შენი  
სიყვარულისა.  
ახსენ ბაგე, გამაგონე,  
ხმა ბულბულისა...“

ბიჭიკოს რომანტიკოსობისა არა ესმოდა რა, მაგრამ სიმღერის გრძნობიერმა კილომ მოხიბლა, თვითონაც აითვისა იგი და როდესაც გუნება სთხოვდა, აღიდინებოდა ხოლმე ისე ტკბილად, ისე სევდიანად, თითქოს ნამდვილი ბულბული სჩივისო.

კოტემ კიდევ ერთი სიკეთე უყო სოსოს — მან გააცნო ახალი სათამაშო ადგილი, არტილერიის მოედანი, სადაც მრავალი ბიჭი იყრიდა თავს და მოვარჯიშე ჯარისკაცების მიხედვით თვითონაც „საღდათობას“ თამაშობდნენ.

სოსოს თვალს სტაცებდა საშხედრო კაზმულობა, ხიშტების კიაფი მზის სხივებზე, ცხენების თქარა-თქერი, ჯირითი და, ბოლოს, რაც უმთავრესია, სასულე ორკესტრის საზეიმო სანახაობა, საკრავთა გულუნ-გრიალი, უზარმაზარი დოლის განგაში.

პირველ ხანებში, ეს მუსიკა რომ ნახა, გადაიროა, სიზმარში ეგონა თავი.

— შენი ჭირიძე, დედა, ამას რას ვხედავ! — შესძახა ერთხელ და კოტეს გვერდში ამოეცქნაფა.

— რა იყო, ბიჭო, რა დაგემაართა?

— ერთი უყურე, ის დოლი როგორ მოაბიჯებს.

— რომელი დოლი?

— აგერ ის... დედა, რამოდენაა! შეხე, შეხე, ფეხებიც ჰქონია, როგორ მოაბიჯებს... წაიხედე, ძია იაკოს უნდა ვთხოვო, აგრეთი ფეხებიანი დოლი მიყიდოს. კუტი რა ოხრად მინდა!

კოტე კიდევ ვერ მიხვდა, რომელ ფეხებიან დოლზე იყო ლაპარაკი. სოსოს ისე ეგონა, რომ მოგანგაშე დოლი მართლა თავისით მოდიოდა, მაგრამ პატარა ხანს უკან მედოლეს თავიც გამოჩნდა და ეხლა ისე წარმოუდგა, თითქოს დოლს თავიც ჰქონდა და ფეხებიც.

— ბიჭოს, ბიჭოს! ამას რას ვხედავ? დედა, ეს რა საოცარი დოლია: თავიცა აქვს და ფეხებიც. მერე როგორ ურტყავს!

მგარამ მალე ისიც შეამჩნია, რომ იმ საოცარ დოღს ხელობაც ჰქონდა. კინალამ შეიშალა. ცნობისმოყვარეობამ დასძლია. ცოტათი ახლოს მიიჩინა და ერთბაშად გამოარკვია, რომ თვალი ატყუებდა, რადგან ისევე ხერხემაწირი დოღი არა ნაკლებ უზარმაზარ ჯარისკაცს ეჭირა. ვერ გაარჩინა მსოფლიო დოღი კაცს მოაგორებდა, თუ კაცი დოღს. ყოველ შემთხვევაში მალე მიხვდა თავის შეცდომას და დარცხვა კიდევ. ეს როგორ მომივიდა, რომ დროზე ვერ შევიმჩნიე, დოღს ფეხები როგორ ექნებოდაო. გატერინა სული. კოტესთან ჩაფარება წედანდელი უხერხული შეკითხვა.

თი შორწინე ჯარისკაცები ვარჯიშს, დაცალეს მოედანი და ახლა უბნის ბიჭებმა გამოიყვანეს თავთავიანთი მწკრივები. სოსოს ძალიან მოეწონა მათი დარაზმულობა. ჰხედავდა, რომ ამათაც ჰყავდათ თავთავიანთი ოფიცრები, ჯოხები მხრებზე გაეწყოთ და ამაყად მიამბიჯებდნენ ფეხს. მათ ვერავინ დაუჯერებდათ, რომ ნამდვილი ჯარისკაცები არ იყვნენ ისინი, სოსოს ხომ მით უმეტეს. ეხლა კი გაუტკბა არტილერიის მოედანი, იგი უკვე მადლობელი იყო, რომ ამ უბანში გადმოვიდნენ. უნდა გენახათ, რა გატაცებით ადევნებდა თვალს ახალი ამხანაგების მოძრაობას, მათ ამაყ სვლას და ერთის ამბით მწყობრ ამოძახილს:

— ას-ღვა! ას-ღვა! ას-ღვა!

და ამ ძახილით პატარა ჯარისკაცები მოედნის ირგვლივ გაყოლებულ ხეივნების ჩრდილში ვრცელ წრეს არტყავდნენ.

— შენი ჭირიშე, კოტე, ეს რა კარგ ადგილას მომიყვანე, — შესძახა სოსომ და ახალ ამხანაგს გვერდით ამოუდგა.

— შენც გინდა სალდათობა?

— მინდა, მაში!

— აბა, შევიარაღდეთ...

კოტემ თვითონვე შეაიარაღა სოსო. იქვე ბაღში გადახტა, ორი სარი გამოჰკლიჯა ვაზებს, ერთი თვითონ გაიღო თოფად მხარზე, მეორე სოსოს გაუდებინა, უბნის ბიჭების რაზმს ბოლოში მოექცნენ და ხმა შეუწყვეს:

— ას-ღვა! ას-ღვა! ას-ღვა!

ბიჭიკოს მხოლოდ ის სწყინდა, რომ ბოლოში მოექცნენ და არა თავში. რა ბედნიერი იქნებოდა, რომ ყველაზე წინ ის დაეყენებიათ და ასე სჩვენებოდა საყვარელ დედიკოს, ან მამას, ან ძია იაკოს.

— ნეტა რას იტყვიან ისინი, რომ სალდათად დამინახავენ? — ფიქრობდა იგი და თან მარჯვედ აყოლებდა:

— ას-ღვა! ას-ღვა! ას-ღვა!

ახალმა უბანმა, ახალმა ამხანაგებმა მალე მიაფიწყეს ბიჭიკოს ძველი უბანი და იჭაური სიხარული. ეს უბანი ძველთან შედარებით უფრო ქალაქსა ჰგავდა, შენობებიც უკეთესი იყო, ქუჩები სწორი, არც წუმბეებს ჰქონდათ ადგილი. სათამაშოდ ხომ ეს მოედანი პირდაპირ სასწაული იყო. უბნის ბიჭებში სოსო ისე ვაჭვია, ისე მოთამაშდა, რომ მალე მისთვის უცნობი აღარ იყო აღარც მუხლის გატეხა, აღარც ცხვირში სისხლის წადენა, აღარც ისეთი თამაში, როგორცაა თოფაობა და შურდულის ტყორცნა. არა, ბედნიერი კი არა, უბედნიერესი გახდა ამ უბანში სოსო. ძველი უბანი დაიჩრდილა, შთლად მიაფიწყა.

თოფობია უბრალო რამე არ გვეგონოთ. ბავშვები ჯოხის თოფებიდან მალე „ნამდვილ“ თოფებზე გადავიდნენ. ერთმა უფროსმა ამხანაგმა ჯარის-

კაცის მიერ გადაგდებული ვაზნა აიღო, პატარა კონდახში ჩაუყარა, როგორც დამბაჩა, შემდეგ ლურსმნით ლულას თავში ნახერტი გაუკეთა. ვინ ასწავლა თოფის გაკეთება, ვერაინ გეტყობათ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვინ სწავლიდა თოფის წამალიც იშოვნა, ვატენა ვაზნა, ასანთი გაკურა და როცა პაწია ნახერტთან მიიტანა, თოფმა იგრიალა.

პატარა სოსომ პირი დაალო, იმდენად შიშისაგან არა, რამდენადაც იმიტომ, რომ გაიოცა.

მეორე დღეს უბნის ყველა ბიჭმა გაიკეთა ასეთი თოფი და არტილერიის მოედანზე ბათქა-ბუთქი გაუდიოდათ. ჯარისკაცებმა ბავშვების ხალისი რომ დინახეს, სალდათობა უყვართო, ადგნენ და იმდენი ცარიელი ვაზნები აჩუქეს, რომ მთელ წელიწადს ეყოფოდათ. ჩუტკარაანთ კოტეს ორი ცალი ერგო. ერთი ვაზნა სოსოს აჩუქა, მეორე თვითონ დაიტოვა.

სოსო გულმოდგინედ ადევნებდა თვალს, თუ როგორ აკეთებდა კოტე თოფს. შინ რომ დაბრუნდა, იმწამსვე შეუდგა კონდახის გამოთლას. მთელი დღე იშრომა. უნდა ითქვას, რომ მეტად ჩინებული კონდახი გამოკანკლა. კოტეს გაუკვირდა კიდევ, ასეთი ლამაზი თოფი როგორ გააკეთათო.

— იქნება ძია ბესომ გიშველა?

— მამა ჩემს სადა სტალიან მაგისთვის! — მიუგო სოსომ, — ნეტავი თავის გაკეთებულ ჩექმებს მოუაროს. ეს ჩემი გაკეთებულია...

— არა მჯერა, ბიჭო.

— ჩემმა მშემ, მართლა. გინდა, შენც გამოგიტალო?

— მინდა...

და გაეარჯიშებულმა ხელმა უფრო ჩქარა და ხარისხითაც უკეთესი კონდახი გამოუთალა კოტეს.

გასამრეგლოში კოტემ თოფის წამალი მისცა. შუაზე გაიყვეს. ცდა მოახდინეს. კოტემ თავისი თოფი ვატენა, სოსომ თავისი. უნდა გენახათ, როგორ აღბერდა სოსოს გული, როცა თოფი მოიმარჯვა და ანთებული ასანთი ნახერტთან მიიტანა. ხელმა კანკალი დაუწყო. თვალები მოხუჭა.

— ბუჰ! — გაეარდა თოფი და სოსო ერთ ადლზე შეხტა.

ირგვლივ პატარა კომლი დადგა.

— გაეარდა, აი! — წამოიძახა როდის-როდის. სახეზე ფერი წასვლოდა, თითქოს გამტვრებულ მდგომარეობიდან ჯერაც არ გამოსულიყო.

— ჰო, გაეარდა! — დასტური დასცა კოტემ და ჩიციანა.

— გაეარდა, გაეარდა! — ხელახლა წამოიძახა სოსომ, ტაში ტაშს შემოჰკრა და ერთი სამჯერ მაინც შეიკუნტრულა სიხარულით.

მთელი საღამო სოსო სულ თავის თოფს დაჰკირკიტებდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ეს უბრალო ხის თოფი კი არ ვახლავთ, არამედ ნამდვილი თოფი, როგორც შეჰფერის თოფს. ცეცხლიც კი გაჰყარა, კომლიც ააბორიალა და, რაც მთავარია, ჭახანიც გაადინა. მას ჩაის დაღვევაც დაავიწყდა. რამდენჯერაც დედამ ჰქა მითუნა, იმდენჯერ გაუცივდა, დაუღვევი დარჩა.

გრძნობამორეული ჩაწვა ბიჭიკო ლოგინში და თოფი ბალიშქვეშ დაიდო. ფიქრმა წაიღო. ძილმა ვერ დასძლია.

— ვთქვათ, გაეარდა ჩემი თოფი, — ფიქრობდა ხგი, — კედელი ხომ გაანგრია... შემდეგ ჰერი ჩამოიქცევა. ვთქვათ, კედელს კი არა, საყვარელს დედის მოხვდა. მერე, ვინდა იქნება ჩემი დედიკო? მამას უღვაშები აქვს, თოფი

არ მოხვდება, მაგრამ დედა... დედას არც უღვაშები აქვს და არც არაფერი, პირდაპირ გულში მოხვდება...

და ეს რომ გაიფიქრა, დიდი მზრუნველობით ხელი შეაბერა მუცელში კვეშ და პაწია თოფს ლულა შეუტრიალა, — თუ გავარდნაა, შეიძლება დაჯარას მოხვდეს, შეშა დაიმსხვრევა და ყველანი გადავრჩებითო. ამის შემდეგ, ცოტა არ იყოს, უფრო დამშვიდებით მიწვა და ჩაეძინა.

ბიჭიკოს მალე სიზმარი ეწვია, მაგრამ სიზმარი არეული იყო. ბიჭიკო ხან დათვებზე ნადირობდა, ხან ირმებზე, ხან კიდევ გერგეთის მთა შემოიარა და ამირანს მოაწონა თავი ვაეკაცობით. შებოროტიდა ტყვემ მოუწონა პატარა ვაეკაცს ეს თოფი და სთხოვა, მარტყო, მაგრამ, ვაეკაცს შერცხვა, ასეთ იარაღს სხვას როგორ დაეუთმო და გამოტრიალდა. სამაგიეროდ ეხლა იმ თოფით სულ ბურტყლები აღინა გმირის გამოქვამულის თავზე გადმოფრენილ ძერას და ყვავ-ყორნებს.

დილით თვალები მოიფშენიდა. გაბრუებული იყო სიზმარში გადახდილი ნადირობით. შემდეგ წამოხტა და შესძახა:

— ჩემი თოფი!

ბალიში კედელს მიახეთქა. გაუხარდა, რომ თოფი თავის ადგილას იყო და არც დედა მოეკლა და არც კედელ-ფანჯარა გაენჯრია.

პირი არც კი დაუბანია, არც უსაუზნია, თავისი გრძნობების გასაზიარებლად ძველი უბნის ამხანაგებში გაიჭრა. პირველად ლაშაურიანთ სინკას ბიჭი შემოეყარა. გაუხარდა, რომ თავის გამოჩენა შეეძლო მასთან.

— შაშას გაუმარჯოს!

— გაგიმარჯოს, სოსო!

— იცი, შაშა, მე ნამდვილი თოფი მაქვს, განა!

— თოფი კი არა და...

— ჩემმა მზემ, მართლა! — მიუგო სოსომ და შარელის ჯიბიდან კოხტა კონდახიანი პატარა თოფი ამოიღო.

სინკას ბიჭმა ცნობისმოყვარეობით გასინჯა ეს თოფი. მოეწონა, მაგრამ უფრო მაშინ დაალო პირი, როდესაც სოსომ გაისროლა.

— ბიჭოსკ გავარდა! ეს რა ყოფილა, შენი ჭირიმე!

— მაშ რა გეგონა, ჩა! გინდა, წავიდეთ, ვინადიროთ?

— ვინადიროთ! ვინადიროთ!

სოსომ იქვე მჯდარ ბედურას დაუმიზნა, მაგრამ შერცხვა, როდესაც ბედურამ მის გასროლილ თოფს დაკინებით ბოლო აუქნია, იქვე ლობზე შეფრინდა და მაგაერელასავით მოპყვა ტყიბინს:

— ჭყაბ! ჭყაბ! ჭყაბ! სადაც შენი დაიყვებო, იქ ჩემიცა სთქვიო.

სოსომ მეროდეც ესროლა, მაგრამ იგივე ამბავი განმეორდა. გაიკვირვა:

— ბიჭოს, ეს რა უმართება ამ ვერანას?! წუხელის იმდენი ყორნები დავხოცე იქა და...

ბიჭიკომ სიზმარი უამბო, სინკას ბიჭი ხომ დააჯერა და დააჯერა, ბოლოს თვითონაც დაიჯერა.

საქმე იმითი მოთავდა, რომ სინკას ბიჭს ერთი თოფი გაუკეთა და თოფის წამალიც უწილადა.

ლაშაურიანთ სინკას ბიჭს სულმა წასძლია და პირთამდე გააქსო თავისი



თოფის ლულა, შემდეგ ყოყლოჩინად გაპკრა ასანთი და როცა თოფი გაქრდა, ერთი საზარლად შეღრიალა, ვაიმე, დედავ, მოგიკვდიო, და გაიზნლართა.

გულგახეტქილი სოსო მივარდა.

— რა მოგივიდა, ბიჭო, მოკვდი?

როდის-როდის გული მოიბრუნა სინკას ბიჭმა.

— წაილე ეგ ოხერი, შიგ გულში მომხვდა.

— აბა, სად?

— აი, აქ...

გული გაიღვდა. სოსომ დაათვალიერა. სისხლი არსად უჩანდა.

— ალბათ, ტყვია გულში თუ გაჩერდა!

— ჰო, მაგრამ ტყვიით გატენე?

— მაშ თოფი უტყვიოდ ვის გაუგონია, შენ რომ მომეცი, ის რა იყო?

— თოფის წამალი.

— ტყვია?

— არა, მე წამალი მოგეცი...

— მაშ ეშმაკს გაუტენია.

— აი შე დოყლაბიავ, შენც იტყვი, ვაყკაცი ვარო, ეშმაკი კი არა, ბუს კვერცხები არ გინდა! ეშმაკს შენთვის სადა სცალიან?

შემდეგ მოსძებნეს თოფი. გამოდგა, რომ კონდახიდან ლულა შორს გატყორცნილიყო, თოფის წამალს თან გაეტაცნა.

— აგერ, სადა გდია, ეგ საოხრო, — სთქვა ლაშაურიანთ სინკას ბიჭმა, — კინაღამ არ მომკლა!

იმ დღიდან ლაშაურიანთ სინკას ბიჭმა თოფის სროლაზე ხელი აიღო, სულ არ ეკარებოდა. სოსომ კი უფრო მოუხშირა ცდებს, — როგორ მოვახერხო, რომ ჩიტუნებზე ვინადირო. საფანტიც იშოვნა, მაგრამ არა გამოუვიდა-რა.

მალე თოფი შურდულმა შესცვალა. სოსომ შურდულს დიდი ყურადღება შიაქცია. როდესაც ჩუტკარაანთ კოტემ პირველად აჩვენა შურდული, სოსო გადაირობა. ხელად ისწავლა მიზანში კენჭის გარტყმა და მალე ისე დახელოვნდა, რომ უზნის ბიჭებში მერტოქობას ვერავენ უწევდა.

— უჰ, შენი გულისა! — შესძახა სოსომ, როცა პირველად ბელურა ვადმოატრიალა. — ეს რა კარგი რამე ყოფილა!

რამდენი ბელურა ინაცვალა, რამდენი ნიბლია, ლობემმერალა. ერთადერთი ტოროლა არ გაუმეტნია: როგორც კარგმა მონადირემ, მან უცვე იცოდა მონადირის აღთქმა, რომ ტოროლას არ გაიმეტებდა, როგორც საწყალი ღამის მეხრის უერთგულუს მამალს:

„ტოროლას მაინც არ მოგკლავ,  
ბევრიც რომ მქონდეს წამალი,  
საწყალი ღამის მეხრისა  
ისაა კარგი მამალი“.

ჰო-და, რა უნდა ექნა საწყალ ღამის მეხრეს, თუ ტოროლასაც მოუკლავდა? ბელურა კი სულ სხვა იყო. ერთხელ მეზობლიანთ მამალსაც გასცხო თავში. რამდენი იცინა, როდესაც მამალს კისერი მოედრიცა და მთვრალივით აფარფატებული წაღმა-უკულმა წავიდა. მხოლოდ მაშინ მოპკურცხლა სოსომ, როდესაც მამალი უსულოდ დაეცა და დეხუბიანი ფეხები გაქიმა.

ის იყო და ის. ფერმანგოვების აფთიაქის მალაზიას კიდევ ერთი მუყაითი მუშტარი შეეძინა სოსოს სახით, საშურდულე რეზინი სულ გაურჩანბა. ყოველდღე ახალ შურდულს იყეთებდა. ორთითა შინდის <sup>ქვეყანა</sup> ~~ქვეყანა~~ <sup>გაშინებდა</sup> ~~გაშინებდა~~, დასთლიდა კოხტად და ცერებზე რეზინს მოაბამდა, ხოლო <sup>რეზინის ტოტებს</sup> ~~რეზინის ტოტებს~~ ბოლოში მეშის ნაჭერს მიაკერებდა, ჩასდებდა კენკს და წუწუნ-წუწუნით გაუზუნუნებდა ჩიტუნებს. უბნის ბიჭებში პირველი მონადირის სახელი გაითქვა. ჯიბე მუდამ გამოვსებული ჰქონდა საშურდულე კენკებით. შურდულს გულისათვის აღარც ახალი დობილები დაინდო — ჩარკვიანთ გოგოები. რა წამს კენჭაობას და ხელისწიწკნას გაახურებდნენ, ის კენჭებს დასტაცებდა ხელს და გარეთ მირბოდა. თუ გოგოები წიოკობით გაეცილებოდნენ, ის შურდულით მიბრუნდებოდა და კუდიტ ქვას ასროლონებდა ხოლმე. მისი სროლის სიმწვავე შინაურმა მტრედებმაც იგემეს. მშვიდი ფრინველები მოპკრავდნენ თუ არა თვალს, გულგახეთქილები მიფრინავდნენ უგზო-ოვკლოდ, თითქოს ქორმა წამოუქროლო. ერთხელ წყვილი ახლად დაფრენილი მტრედი მოჰკლა, უბეში გამოიხვია და ძია იაკოსთან გაგლინა, რადგან შეეშინდა, დედაჩემი ამ საქციელს არ მომიწონებსო. გზა-გზა ხუთიოდე ბელურაც მიუმატა.

— ბიჭოს, ეს სულ შენ დაპხოცე? — შესძახა გაკვირვებით ძია იაკომ.

— შე დავხოცე, მამა!

— ბიჭოს! ბიჭოს! აი მონადირეც ამას ჰქვიან! კოჭებში გატყობ, რომ მალე დათვებზედაც წახვალ სანადიროდ.

— წავალ, ძია, წავალ! — სიტყვა თავმოძმონედ ბიჭიკომ, თუმცა გულში შიშმა გაურბინა, ემანდ თავი რომ მომდლიძოს დაათუნია, ჩემი დედიკოს შველი ვინ იქნებაო.

იმ ღამეს სოსოს ნანადირევეზე ძია იაკომ ბესოც დაპპატივა. სადღეგრძელოებიც სულ ახალი მონადირის ირგვლივ ისმოდა. ძია იაკო ეშხზე მოვიდა. საკუთარ ბავშვების დანაკლისი ამ პატარა ბიჭიკოთი შეივსო, გახალისდა, მკუმუნვარების ცეცხლი ჩაიჭრო.

— აბა, ჩემო ვაჟკაცო, გახსოვს, როგორ გასწავლე ყაენისა და მეფე ერეკლეს კიდაობა?

— მახსოვს, მამა!

— აბა ერთი წაგვიკითხე.

ბიჭიკო თამადად წამოდგა წინ, ჯერ წყნარად წაიკითხა ავადმყოფ ერეკლეს ამბის დარბევა, შემდეგ ხმას აუმატა, როდესაც ყაენი გაგულისდა, ეხლა კი დრო მაქვს მეფე ერეკლეზე ჯაერი ვიყაროო, და საქართველოს მოსაოხრებლად წამოვიდა. აქ ერეკლე ავადმყოფობას აართმევს თავს, — ხალხმა რა დააშავა, მოდი, ერთმანეთს შევებრძოლოთ და გამარჯვებული თუ გამოხვალ, ხელს ვიღებ მეფობაზეო. ყაენი დასთანხმდა. აქ კი დაიწყო თვითონ კიდაობის ამბავი. ბავშვი აღელდა, თვალები აენთო და სიტყვები ცეცხლის ქურაში დასწვა, ასტყორცნა, ააბურთავა.

„გამოვიდა ყენი  
მედიდური სახითა,  
უსართყელო, უქამრო,  
მარტო ახალუხითა.

აქ ირაკლიმ ყვენსა  
 ხელი სტაცა ქამარში,  
 წელში ისე მოსდრიკა,  
 როგორც დანა სახსარში.“



ძია იაკობ ტაში დაპკრა, ბიჭვით მხრებზე შეისვა და ჭუფტის გარშემო ყვენივით შემოატარა.

## XIX

### პატარა სარდალი

პირველ ხანებში ჩუტკარაანთ უბანში რომ გადავიდნენ, სოსოს ისე ეგონა, თითქოს ათასი ვერსით დაშორდა ძველ უბანს და თავის ამხანაგებს, მათ ედღარასოდეს ედღარ ნახავდა. მაგრამ რა ერთი გზა გაიკვეთა, აღმოჩნდა, რომ ეს უბანი და ის უბანი არც ისე იყვნენ დაშორებულები და სანაძლეოზე ასკინკილათიც შეეძლო გადასვლა. ახლა ყოველდღე ნახულობდა ძველს ამხანაგებს. მათთან ყველა ის თამაშობა გადაჰქონდა, რასაც ამ ახალ უბანში იძენდა. რუსის უბნელი ბიჭები მოთამაშდნენ, თავი გაანებეს კაკაინათელას, ლატის დადგმას. ახლა შურდულზე გადავიდნენ და ააზუზუნეს კენჭები. უბნის ბელურებს ახალი ჭირი გაუჩნდათ. მათ ისე მიმინოსი არ ეშინოდათ, როგორც შურდულიანი ბიჭებისა. მაგრამ არც დედაბრების ცალთვალა შეუიან ფანჯრებს დაადგათ ხეირი. ქვის სეტყვით ხან ვის ჩამსხვრეოდა ფანჯარა და ხან ვის. ბებრების წიოკობას ბიჭები შორიდან სიცილ-ხარხარით უპასუხებდნენ.

მაგრამ ძველი უბნის ბიჭებს ყველაზე მეტად შეუყვარდათ „საღდათობია“. სოსომ ამ თამაშში ბევრი შნო და ლაზათი შეიტანა. ჩუტკარაანთ უბნის ბიჭებს თავიანთი ოფიცრებიც ჰყავდათ, პოლკოვნიკებიც, გენერლებიც. სოსომ ერთი კვირის განმავლობაში ყველა ხარისში მიიღო, მაგრამ უბნის ბიჭებმა მისთვის გენერლობა ვერ გაიმეტეს. სოსომ ისარგებლა ამ გარემოებით და განიზრახა ყველას ცხრანაბადით თავზე გადაელებოდა.

ძველი ამხანაგებისაგან ჩინებული რაზმი შეადგინა და ასწავლა მწყობრა სიარული. ეს კი არა. თოფებიც ყველას საკუთარი ხელით გაუკეთა, მაგრამ ისე, რომ თოფი თოფს დამსგავსებოდა, ხმალი ხმალს, ხიშტი ხიშტს, ცხენებს კიდევ ძუა-ფაფარი ჰქონოდათ. ყაერის კობწია კონდახებს შინდის ჯოხის ლულები მიაბა, ბოლო წვერზე კი ცარიელა ვაზნებს ისე მოხერხებულად ვადმოაყოფინა პირი, რომ თოფისლულის ტუჩი გეგონებოდათ.

გარდა ამისა, რაზმი გუნდებად დაპყო, თვითველ გუნდს თავისი უფროსი მიუჩინა, მკერდსა და მხრებზე აიონჩხილი ზიზილ-პიპილებით. აამუშავა მაკრატელი, მუყაო, შრეში, წითელ-ყვითელი ქაღალდები და ბუზმენტები. ყველა შექაზმა ეპოლეტებით და ნაირნაირი ჩინ-ტემლაკებით. მაგრამ ყველაზე ჩინებულად მაინც თავისი თავი შეამკო. გულზე ვარსკვლავი გაიკეთა, მერე როგორი ვარსკვლავი, — წითლად მოხასხასე ქინძისთავით. აქ კი ნახევრად ძველი დრობის, დარბილს, დარბილს ხელოვნება გამოიყენა. კუნლის გრძელ ეკლებს თავზე ლუქი დაადგენთა და თეთრ ვარსკვლავს გულში ჩაუბნია. ეს

წითელი ქინძისთავიანი ვარსკვლავი ისე კომწოდ აკიაფდა-მის მკერდზე, რომ ამხანაგები შეეხებენ, ჩვენც გავვიკეთე შავისთანა სამკაულიო. თავზე ყველას კოხტა ჩაფხუტი დაახურა, დიდრონ ფოთლებიდან ამოკოვლილი, როგორც ეს გაიხსენა იმავე დობილ დარიკოს ხელოვნებიდან. ნერგის მსხვილი ტოტები სულ თეთრად დასთალა, თავის რაზმს ცხენებად დაურია, და ერთი ყოყინით გაემართნენ არტილერიის მოედნისაკენ.

ახალი უბნის ამხანაგები გაოცდნენ სოსოს რაზმის დანახვაზე. მათი გენერალი უმაღლე გადაყენებულ იქნა, თვითონაც სოსოს რაზმს შეუერთდნენ და სოსო მთავარსარდლად აღიარეს. მეორე დღეს გაერთიანებულ ლაშქარს სოსომ სულ რუსის უბნელი ბიჭები ჩაუყენა ოფიცრებად. აქ იყო ჭროლა, დაწინწკლულ თვალზეა ჭორფლიანი რაზმადიანთ გიგო, თრითინასავით რომ იყურებოდა, ლაშურთან სინკას ბიჭი, კვახს რომ ეძახდნენ, საბელაანთ კოლა — ეს მგელ-ბიჭა, მოუსვენარი, რომელიც გუნებაში გენერლობას იზრახავდა, რათა სოსო მოხერხებულ დროს გადაეგდო და მთავარსარდლობა თვითონ ეკისრა, გელდიანთ და ონიანთ ბიჭები. უნდა გენახათ, რა სიამაყით აბაკუნებდნენ ფეხებს არტილერიის მოედანზე. მთავარსარდალი კი წინ მიუძღვოდა ყოჩივით და ხმამაღლა გასძახოდა:

— ას-დგა! ას-დგა! ლევაი! ლევაი! ას-დგა! ას-დგა! ლევაი! ლევაი! შემდეგ შეჩერდებოდა, ხმალს ასწევდა და დაიძახებდა:

— ნაპრა-ვა! კრუგომ!

რაზმი მარჯვნივ იბრუნებდა პირს. პატარა სარდალი კი არა ცხრებოდა:

— შაგომ-აში!

და როცა რაზმი დაიძრებოდა, პატარა სარდალი იმავე წესით განაგრძობდა:

— ას-დგა! ას-დგა! ლევაი! ლევაი! ას-დგა! ას-დგა! ლევაი! ლევაი!

სოსო მთავარსარდლად აღიარეს, მართალია, მაგრამ ის თანდათან იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ მისი ლაშქრის ცხენები მაინც ნერგის ჯოხები იყო. აქ კი, ამ მოედანზე, ჯარისკაცები ნამდვილი ცხენებით ჯირითობდნენ. გულის ტკივილით გაიხსენა თავისი პატარა ვირიკო, რა ჭკვიანი და რა გამგონი იყო, დიდრონი „ფილოსოფიური თვალებით“, როგორც ძია იაკო იტყოდა ზოლმე. ეზლა? აღარც ისა ჰყავს და ნერგის ტოტებით კმაყოფილდება. ერთხელ ისე გულმოკლული აღევნებდა თვალს ცხენოსანთა ვარჯიშს, რომ მის დასასრულს უნებურად ერთი მოხუცი პოლკოვნიკის ყურადღება მიიქცია.

— ბიჭოს! — შესძახა მან, — შეხეთ ამ პატარა ვაჟაკს, რა ჩინებული ეპოლეტები აქვს! არ გინდა, ბიჭიკო, ცხენით გაგაჰქენ?

— მინდა, — დაურიდებლად მიუგო ბიჭიკომ და თვალზეში ცეცხლი აენთო.

— მოდი, ბიჭიკო, მოდი და უკან შემოგისვამ... ხელები შემომხვიე და ისე გაგაჰქენებ.

ბიჭიკოს აღფრთოვანების ცეცხლი შეუწელდა და შორცხვად უკან დაიხია:

— არა, ეგრე არ მინდა, ძია.

— მაშ როგორ? — გაიოცა პოლკოვნიკმა.

— მე თვითონ, ძია, მე თვითონ...

— ოჰო! — წარმოსთქვა პოლკოვნიკმა, — ძალიან ამაყი ვინმე ყოფილხარ. — შემდეგ სიცილით მიაყოლა, — ალექსანდრე მკედონელობა ხომ არ გინდა?

ბიჭიკომ არ იცოდა, ვინ იყო ეს ალექსანდრე მაკედონელი, მაგრამ ალლო-  
თი მიხედა, ისიც ვინმე დიდი ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო, როგორც ქორ-  
ოლლი, გარდანქეშანი, ამირანი ან ყარაშანიო და სწრაფად მძაფრდნულნი  
— მინდა, მაშ!

მოხუცმა პოლკოვნიკმა გადაიხარხარა, ჩამოხტა და ბავშვს სურვილი შეუ-  
სრულა:

— კარგი, პატარა ვაჟკაცი, რახანც ალექსანდრე მაკედონელობა გინდა,  
აპა ეს ჩემი ყორანა ბუცეფალი. მაგრამ ფრთხილად, ვაჟკაცი, ემანდ ინდო-  
ეთში თავი არ ამოგაყოფინოს! მეტად ფიცხია...

მან ხელი შეაშველა, ბიჭიკო უნაგირზე შესვა, ავეცილ უხანგში მაგრა  
ფეხები ჩაუღო და აღვირი მიაწოდა.

— აბა, ჰე, ვაფრინდი, ვაჟკაცი, ინდოეთი უკან დასტოვე!

— ანუ, ქვირო! — ალტაცებით შესძახა ბიჭიკომ.

ბედაური არც ისე ფიცხი გამოდგა, როგორც დააშინა პოლკოვნიკმა. შეი-  
ფრუტუნა და წელი ნაბიჯით შემოურბინა მოედანს.

ბიჭიკოს თავბრუ დაესხა სიხარულით. ასე ეგონა, ცაში მივფრინავო.  
ირგვლივ ველარაფერს ამჩნევდა, თვით მოხუც პოლკოვნიკსაც, რომელიც  
გაფაციცებით თვალს ადევნებდა, ბავშვი არ გადმოაგდოს და არ ჩასჩეხოსო.  
მაგრამ შიში უსაფუძვლო გამოდგა. ბიჭიკო უნაგირს დაესოლა და ცხენს გა-  
ტაცებით აქეზებდა:

— ანუ, ქვირო! შენი გულისა!

ცხენმა თითქოს უსმინა ბიჭიკოს, ნაბიჯს უმატა, გაჰკრა ცოტაც და მალე  
ფრთები შეისხა, მიჰქროდა, მაგრამ ისე სათუთად, ისე ლამაზად, რომ პატარა  
მხელარს ოდნავადაც არ ანჯღრევდა. ბიჭიკოს თვალუბი აუჭრიალდა. მის  
თვალში თითქოს ყველაფერმა ბზრიალ-ტრიალი დაიწყო, ერთმანეთში აირია:  
მოედანიც, ცნობისმოყვარე ჯარისკაცებიც, მოხუცი პოლკოვნიკიც, ამხანა-  
გებიც, რომლებიც შურით თვალს ადევნებდნენ, ვერხვის შრიალა ხეებიც  
თითქოს შეტრიალდნენ და ფოთლებით თან ტაშს უკრავდნენ, თან უჩვეუ-  
ლო სტვენას ასმენდნენ, ცაც თითქოს გადმოტრიალდა საფირონის უზარმა-  
ზარი ხუფივით, დედამიწა კიდევ კუდბაწარასავით აფრიალდა და მუშტის  
ოდენად გადაკარგული თითქოს ცის კანდელზე ჩამოეკიდა.

— ეხლა კი ემარა, გეყოფა, ჩემო კარგო! — სთქვა პოლკოვნიკმა და ცხენს  
სადავეში უტაცა ხელი. ცხენი უმაღლვე შეჩერდა. ბავშვის ოცნებაც წამოინ-  
გრა. შეერთა, ძირს იდგა, მიწაზე, მაგრამ ისე ეგონა, თითქოს ყველაფერა  
მაინც პროწიალებდა მის ირგვლივ. როდის-როდის შენელდა ქვეყნის ტრია-  
ლი. მხოლოდ ეხლა შენიშნა ამხანაგები, რომლებიც ვივილ-ხივილით შემოპ-  
ხვევოდნენ გარს.

— ყოჩაღ, ბიჭიკო, ყოჩაღ! — უთხრა პოლკოვნიკმა, — შენ მართლა ნამ-  
დვილი მოჯირითე ყოფილხარ. დიდი როცა გაბდები, ჩემს კისერზე იყოს  
ერთი ასეთი რაში.

იმ საღამოს ბიჭიკომ ყველაზე ადრე ძია იაკო ინახულა და ზღვა შთაბეჭ-  
დილებით დატვირთული გრძნობები აჭაფებულ ღვარად გადმოხეთქა.

— იცი, ძია იაკო, მე ნამდვილ ცხენზე ვიჯექი, განა!

— რას მეუბნები! — გაიკვირვა ძია იაკომ.

— ჩემმა მზემ, მართლა, ძია ჩვენს ვირუქას კი არა ჰკავდა, ნამდვილი ცხენი იყო... მითის ოდენა... ისე დავფრინავდი, რო...

— ვერ დავიჯერებ, ვერა...

— მართლა, ჰო, მართლა, ჩემმა მზემ!..

— აბა დედიკო დაიფიცე.

— დედა არ მომიკვდება!

— ძია იაკო?

— ძია იაკო!

— კეთილი, კეთილი! ეხლა კი მჯერა, ან რატომ არ დავიჯერებ, შენ ხომ ჩემი საკუთარი ყარამანი ხარ...

— არა, გარდანქეშანი, — შეუსწორა პატარამ.

— ჰო, გარდანქეშანი. რა გულმაფიწყი ვარ...

ძია იაკომ ბიჭიკო გულიანად გადაჰკოცნა.

### მამის სახელოსნოში

პატარა ყელი შეიღერა თუ არა სოსომ, მამამ გადასწყვიტა ეზრუნა მის მომავალზე.

— დედაკაცო, — უთხრა ერთხელ ცოლს, — დროა, ამ ბიჭს მივხედოთ. უკვე შეიღი წლისა სრულდება. ჩემი ხელობა უნდა შევასწავლო, თორემ ქუჩა-ქუჩა წაწვალს შეეჩვევა და ხელიდან წამივია. ესეც არ იყოს, არც საქმე მიმდის ზეირიანად. დათოს ეხლა სოსო უნდა მივაშველო. ნიჭიერი ბიჭია, ენაცვალოს მამა, იაკო სულ მაგის ქებაშია: ნახავ, თუ არ გეასახელოსო. ჰო-და გეასახელებს, თუ კი ჩვენი ამქრის მშვევება შეიქნება. ერთხელ ჩვენმა ამქარმა უსტამბომა მე შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი, ამისათვის გზა ბნელი იქნება, ოღონდ ხელი გამოამუშაოს...

ბესო მართალს ამბობდა, მისი საქმე ძველებური ეშხით ველარ მიდიოდა. გორში მრავალი მალაზია გააღეს. წინად ოსეთა ბარამოვი იყო. ბარამოვს ცერცვაძეები მიემატნენ, შიხინოვები, ზაზუნოვები, ხარატიშვილები. მათ პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, განსაკუთრებით ვარშაიდან უამრავი საქონელი მოაყარეს. აბა, როგორ შეეძლო ბესოს მეტოქეობა გაეწია ფაბრიკის ნამუშევარ ფეხსაცმელისათვის? ამიტომ იყო, რომ ბესოს უკვე ოლარავინ უკვეთდა წაღებს, რადგან მასზე ბევრად უფრო იაფად თვითონ მალაზიები იძლეოდნენ მეტად კაშკაა ფეხსაცმელს. კლიენტებად ბესოს ისევ ჯუღაჭუჭული გაკორებული თავადები შერჩნენ, იმათაც ნისიად მიჰქონდათ დანაკვეთი. ზედმეტად სამაღარიჩოდ ერთ ხელადა ლეინოსაც გამოსყულებდნენ ხოლმე ბესოს ანგარიშზე. ბესოს ხელი მოეცარა. ქარგალი დიდბანია გაუშვა. სამი შეგირდიდან მარტო დათო შეინარჩუნა, როგორც ხელმარჯვე ბიჭი. იგი რუსიდან წამოიყვანა, როგორც ობოლი ბავშვი, და ისე შეიჩვია, როგორც ოჯახის ნამდვილი წევრი. ეხლა ეს შეგირდი ჰყოფნიდა. ერთხელ კლიენტებად ისევ ლარიბი მოსახლეობა შერჩა, ისიც ჩუსტების დასაჯღანად. ბესოს განთქმული სახელოსნო ნელ-ნელა ჯღანებზე დახურავდა.

გაპირებდა გაპირებდა, მაგრამ დედამ სულ ცეცხლი წაიკიდა, როდესაც გაიგო, რომ ბესო მის საყვარელ შეიღს სახელოსნოსთვის იმეტებდა.



— რაო, რაო? — წიწმამტებდა იგი, — ბავშვი მეჩემელ გამოვზარდო? შენში რა ხერი ყრია, მგასაც რომ სიცოცხლე არ ჩაუღმწაროთ!

— გუბნები, დედაკაცო, ეგ მე ბევრად მეჩეობინება, ოქროსხეულე დაქვსოთხ-ხუთ წელიწადში ოსტატი იქნება და შემდეგ უსტაბაშობასაც გავუყვარებ...

— არ მინდა შენი უსტაბაშობა, არა, ჩემი შვილი დუხოვნში უნდა მივაბარო, ან უჩიტელი გამოვა, ან ბლალოჩინი...

აქ ბესომ ჩაიციხა:

— უჩიტელი! წვერცამეტა ბლალოჩინი სხვა რაღა გინდათ, დაჯექით და იქეიფეთ, კოლიო არ მოგაკლდებათ და ტაბლა. წაიბუტბუტებს: „შევუნდებ თქვენ შვედარსა, ჩაუღებ ჩემ ყბასა“, მორჩა და გაათვდა — ოქროს ქოთან ხელთ გექნებათ...

მაგრამ შემდეგ სასტიკად მოსჭრა:

— მეც გიყი ვარ, რომ გეკითხები. რა შენი საქმეა, შვილი ჩემია და რა ზედაც მინდა, იმ ხელობაზე დაეაყენებ.

ერთმანეთს სერიოზულად წაეკიდნენ. მაგრამ საყითხი თვითონ ბიჭიკომ გადასჭრა:

— მეც მინდა მამის ხელობა ვისწავლო... ისეთ წადებს შეგვეკრავ, რომ სულ თავისით ფრინავდეს.

— ჰო, აგრე! აი ეს მესმის, ეს უკვე საქმეა! უჩიტელი! ჰმ, ბლალოჩინი! ებისკოპოსი კი არ გინდა? იმას უფრო ზარების რეკვით ხედებიან ხოლმე. ასწავლე ბლალოჩინობა!

ბევრი აღარ ულაპარაკნია, მოჰკიდა ხელი ბიჭიკოს და სახელოსნოში დათოს გვერდით დასვა.

— აბა, შენ იცი, ყველაფერი რიგზე ასწავლე...

— მესმის, ოსტატო...

დათოს კიდევ გაეხარდა, რომ საყვარელი ოსტატის შვილი ამხანაგად ეყოლებოდა. გაახსენდა პატარა ამბავი, რომელიც სამი თუ ოთხი წლის წინათ გადაჰხდა. და აი დარჩნენ თუ არა მართოდ, ხითხითით მოუყვა:

— როგორ იყო, სოსო, ერთ რუსს რომ შენს გამოისად ავადრასტე.

— როდის?

— აი მაშინ, ამხელა ბიჭი რომ იყავი... ერთხელ ბაზრიდან ოსტატმა გამომატანა შენი თავი. შეგხედოთ, ვიღაცა შლაპკიანი რუსი მოდის, იღიმება და ძახის: „აკაიო მილა სარანჩიკაო“. ცხვირზე ხელი მოგადო. „როგორ თუ სარანჩიკი-მეთქი“, შეგძახე, კალათა იქით მივდგი და ერთი რომ გორულად ჩავაფარე, შლაპა რუსში ვადაფრინდა. ატყდა ჩხუბი, დავიდარაბა. გარადავოიმ პოლიციაში წამიყვანა. შენ მომტროდი. თავი ეიმართლე, ჩემი ოსტატის ბიჭს „სარანჩიკი“ დაუძახა, რა პრავა აქვს, რომ ასე აგინებს მეთქი. ბევრი იცინეს, თურმე „სარანჩიკი“ კალიას ნაშნავს. რა ვიციოდი, მე კი გინება მეგონა. ძალიან კი გამხდარი იყავი, ბიჭო, აი, ნამდვილი კალია... კისერი ნემსის წვერივით დაგწვრილებოდა.

სოსოს ძალიან მოეწონა სახელოსნოში ყოფნა და ჩხირკედელაობა ჩაქუჩით, ნემსით, სადგისით. განსაკუთრებით მოეწონა მუშტას ტრიალი, ეს იყო ბრჭყვილა, მთლიანი თითბრის კვერი, რომლითაც დათო ჩექმის საძირეს სტეკბნიდა ხოლმე.

დათო სხვაფრთვად საინტერესო გამოდგა სოსოსთვის. ერთხელ შენიშნა, რომ მუშაობის დროს ეს ბიჭი ხანდახან გვერდით რაღაცა წიგნში იხედებოდა.

ერთხელ  
წიგნში  
იხედებოდა  
წიგნში  
იხედებოდა

— მანდ რას უყურებ, დათო? — ჰკითხა სოსომ.

— წიგნსა ვკითხულობ.

— წიგნსა? შერე რა წიგნია?

— ძალიან კარგი რამე...

— რითია კარგი?

— არსენას ამბავია აწერილი, ისეთი მიყვარს რო...

— ვინ არის ეგ არსენა?

— ვინაო? როგორ თუ ვინა? არ იცი თუ?

ბიჭიკო სახტად დარჩა.

— არა... რა იყო, დათო?

— ფუი! შენც იტყვი, ვაჟკაცი ვარო! არსენა და კაცმა არ იცოდეს! სირცხვილი, სირცხვილი...

— არ ვიცი და რა ვქნა! — უფრო მეტი დარცხვენით მიუგო სოსომ და დამნაშავესავით თავი ჩაღუნა, — თუ შენ იცი, მითხარი, ვინ იყო.

— არსენა ლომივით ბიჭი იყო, დიდი ვაჟკაცი... იმისი ამბავი ჩვენმა გლეხებმა სულ ზეპირად იციან.

— ეგ არსენა ამირანზედაც დიდია?

— ამირანი ზღაპარია, არსენა კი ეხლაბანს იყო, პაპაჩემს ახსოვდა. ისეთი თვალეტი ჰქონია, რო რა... ვისაც კამეჩივით შეუბღვერდა, შიშისაგან ელეთმელეთს დამართებდა.

— რას მეუბნები?

— აგრეა, მაშ! ამირანიც კარგია, ყარამანიც, ქოროლიც, მაგრამ არსენა და სააკაძე სულ სხვა ბიჭები იყვნენ...

— სააკაძე არსენას ძმა იყო?

— მე მგონია, არა... არსენა ოძელაშვილი ვეფხვი იყო, ვეფხვი. საწყალ ხალხს ექომაგებოდა, სამაგიეროდ ბატონებს სინსილას უწყობდა. ერთხელ თავის ბატონს, ბარათაშვილს, მოახლე მოსტაცა და ახალციხეს გაუყენა. ბარათაშვილი გადაემტერა, ყაზახები დაადევნა, ღრუბელნაბაროც შეაჯერა, მაგრამ იმ ვაჟკაცმა სუყველას ბღღვირი აადინა:

„ათი თორმეტი ყაზახი  
სულ ერთმანეთს მიადევნა,  
ყველას თოფები წაართვა  
და მიწითა დაუტენა...“

— რას მეუბნები! — აღტაცებით შესძახა ბიჭიკომ.

— არა, შენ ისა სთქვი და, ის ყაზახები არსენას დასაპყრად წავიდნენ, წინ არსენა შემოეყრებათ და ეკითხებათ:

„ზრასტი, ზნაკომ, ვამარჯობა,  
კულა იღოშ, საითყენა?“

— ჰა-ჰა-ჰა! — გაღიჟქვლუბა ბიჭიკომ, — ვერ იცნეს?

— როცა გაიგო, ჩემს დასაპერად მოდიანო, ყველანი ყარფუზივით გააგორ-გამოაგორა და თან:

„ნასკაკოიც მიაძაბა,  
თავათ გახლავარ არსენა“-ო.

ეს რომ სთქვა, ერთ მტკაველზე ლაში დააღო და გაუთავებელ ხარხარს მოჰყვა. ბიჭიკოც აჰყვა და ძალიან დიდხანს იცინოდნენ.

ბიჭიკომ პირველმა შესწყვიტა სიცილი და ფიქრმოორეული თვალებით შეაცქერდა დათოს:

— და ყველა ეგ ამ წიგნში სწერია?

— სწერია, მაში

— აბა, მაჩვენე.

— აი ნახე. აქ სულ არსენას ამბებია. სულ ზეპირად ვიცი, მაგრამ მაინც მინდა, რომ წიგნში ვიკითხო, სულ ვიკითხო და ვიკითხო. როლი მწყინდება. რა კარგია ეს ოხერი წიგნი. ერთმა დურგალმა ხარის ბეჭზე მასწავლა წერაც და კითხვაც. იმანვე მაჩუქა ეს არსენას ლექსი: ვენაცვალე, კარგი კაცი იყო... მაგრამ კარგად ვერ შევისწავლე, კითხვა მეძნელდება. საოცარია, დაჯდება შენთვის, თან მუშაობ, თან ცალი თვალით აქეთ იხედები და ერთობი. მერე ისე ხალისიანად მოგიყვება ამბებს, რომ სულს საგუბარს აგიჭოთებს...

სოსო ღრმა მღელვარებით ათვალეერებდა წიგნს, მაგრამ იქ ვერაფერი შენიშნა, გარდა შავი პატარა ნიშნებისა.

— აქ არაფერია, დათო, როგორ გაიგე, რომ არსენას ამბავი აქ სწერია.

— სწერია, მაში, ეს რაა, ვერა ჰხედავ?

გამორული სალოკი თითი დაისველა, გადაფურცლა წიგნი და სტრიქონებს გაადევნა თითი, ლექსის სხაპა-სხუბით.

ბიჭიკო თვალეზდაჰყვტილი შესცქეროდა, ასე ეგონა, წიგნში ვიღაცა ჭინკა ზის და ის ესაუბრებო.

— მეც მინდა, დათო, ეგრე წავიკითხო, აბა მომეცი! — შესძახა ბიჭიკომ და წიგნს ხელი წაატანა.

— მოიცა, ბიჭო, — უთხრა დათომ, — ასე ერთბაშად როგორ შეიძლება. ჩემმა ოსტატმა სამი წელიწადი მასწავლა და ჯერაც ხეირიანად ვერ ვკითხულობ და შენ გინდა ერთბაშად შეისწავლო? აგრე არ არის, თაყაო, შენ რომ მამული გაჰყაო. აქ მოთმინებია საჭირო. თუ გინდა, მოვყვეთ და ნელ-ნელა შენც ისწავლი.

— კარგი, დათო, კარგი, აბა, დავიწყოთ...

მაგრამ დათო მეტად უხვირო მასწავლებელი გამოდგა, ბიჭიკოს ანბანისა ვერაფერი გააგებინა. ბავშვი შესწუხდა, მიხვდა, ამისგან ხეირი ვერაფერი გამოვაო და შინ დაფიქრებული წავიდა.

— დედილო, გეჩაცვა, ერთი სათხოვარი მაქვს, — შესძახა სოსომ შინ მისვლისთანავე.

— ორი მთხოვე, დედა გენაცვალოს, რა იყო?

— ისა, რომ, დედილო, წიგნი მინდა ვისწავლო...

— ჩემო სიხარულო, მეც მაგაზე ვფიქრობ. უნდა ისწავლო, გამახარე, უნდა ისწავლო, თორემ უსწავლელი მამაშენივით მუდამ დედასწავლელი იქნები. მართლა მამის ხელობაზე კი არ ჩაგტოვებ... რაც უნდა სწავლავს მამამ, მე მაინც გასწავლი...

— როდის, დედა?

— მალე, შვილო, მალე... აი ჩვენი სახლის პატრონის ბიჭი კოტე დუხოვნიში სწავლობს, დაწინაურდა, კარგი ბიჭია... ეხლა ადგა და ძმასაც ეგ ასწავლის. მერე ედგასაც ასწავლის. უნდა, რომ ყველანი ნასწავლები გამოიყვანოს. ნეტავე მაგის დედას! მშურს, რომ ეგენი სკოლაში იღიან და შენ კი აქ ჩაქუჩი უნდა აკაკუნო... არა, შენც იქ მიგაბარებ. თუ მშვიდობა იქნება, შემოდგომასზე შენც იქ იცუნცულებ კოტესა და პეტასთან ერთად.

— პეტაც სწავლობს?

— კოტე ეხლა ამზადებს... მე ვთხოვ, შენც გასწავლოს...

— როდისღა, დედი, როდისღა?

— დედა გენაცვალოს, ჩქარა იქნება, ჩქარა...

— სად არის კოტე ან პეტა, რომ მასწავლონ?

— ეხლა სოფელ წაღვლში არიან წასულები მამასთან, მალე ჩამოვლენ და მაშინ...

ბავშვი დაღონდა, რომ სკოლაში მიბარება გადაუდეს შემოდგომისათვის. მეტი ჯანი არ იყო, ისევე პირველ მასწავლებელს უნდა დაბრუნებოდა.

დილა აღრიან პირუშმო მიადგა მამის სახელოსნოს.

— შენი ქირიმე, დათო, მოდი ერთხელ კიდევ ვცადოთ, იქნებ ეხლა მაინც გავხდე რამეს... დავიწყეთ წიგნი...

— დავიწყეთ, დავიწყეთ! მეც ეგ მინდა, შენ ოსტატის შვილი ხარ, როცა წიგნში გავჩვევი, ყარამანიანს იყიდი... თი, ნეტავე ერთი ეგ წიგნიც მომცა! იმ დურგალმა სულ ზებირად იცოდა ყარამანიანი. რაებს არ მიაპობდა, რა კაცი იყო... ყარამანიანი, შევდევზირიანი, ქალ-ვაჟიანი, — რა გინდა, სულ და გულო, რომ არ სცოდნოდა.

— არა, ჯერ არსენა ვისწავლოთ, დათო, ჯერ არსენა იყოს...

— ვისწავლოთ, ვისწავლოთ, აბა, დაჯექი! თან ეგ მუშტა დაატრიალე და ეს ლანჩა გამიტკებნე, სულ ლასტივით უნდა გახადო... მეორეც, ოსტატ რომ შემოგვისწერებს, შენიც მაღლიერი იქნება და ჩემიც, რომ საქმიანობაზე დავგინახავს...

ბიჭიკომ მამისეული ტყავის ფესტამალი ჩამოიგდო გულზე და გულ უბრყვილოდ გაღიხარხარა, აგრეთვე დათომაც.

— როგორ ფქვილის ტომარასავით დამადგა! — შესძახა მან.

მეგრამ სიცალის დრო არ იყო, ბიჭიკომ მიიყეც-მოიყეცა ფესტამალი, შემოისწორა, ქამარით დაიმგრა და მუშტა გაართყა საძირე ტყავს, მეგრამ იქვე შეჩერდა, რადგან დათო სწავლების საქმეს შეუდგა.

— აბა, აქეთ მოიწი, — უთხრა დათომ, — ამას ჰხედავ, წიგნს ზემოდან რა აწერია?

ბიჭიკო დააცქერდა წიგნის ყდაზე დაბეჭდილ სათაურს და მოზრდილი უცნობი ნიშნების მეტი ვერა შენიშნა-რა.

— ამაზე ამბობ?

— ჰო, მაგაზე, რა სწერია?

— არ ვიცი.

— საქმეც ეგ არის, რომ არ იცი... აბა კარგად დააკვირდი და წაიკითხე.

ბიჭიკომ დიდხანს უკირკიტკა ასოებს, მაგრამ ვერაფერს შინადასწავლიდა.

— მოიცა, მე წაგიკითხავ: „არსენას ლექსი“... გაიგე?

— ეს არსენას ლექსია?

— ჰო, არსენას ლექსი...

— არსენას ლექსი?

— ჰო, აბა, წაიკითხე...

ბიჭიკოს ყდაზე არც კი დაუხედნია, ზეპირად წამოიძახა: „არსენას ლექსი“.

— ბიჭო, თვალეზში ნუ კი მიყურებ, წიგნს დააქცერდი და ისე წაიკითხე.

ბიჭიკო დააქცერდა წიგნს, შემდეგ ისევ თავი ასწია და გაიმეორა: „არსენას ლექსი“.

— კიდევ! ეგრე არა, წიგნში წაიკითხე, წიგნში! აი ასე, მიყურე!..

დათომ ყდაზე ანაბეჭდ ასოებს სალოკი თითი გააყოლა და ჩათვლით ანაბეჭდ წაიკითხა:

— ან-რაე-სან-ენ-ნარ-ან-სან-ლას-ენ-ქან-სან-ინ. გაიგე?

ბიჭიკო გაშტერდა, ასე ეგონა, დათო გაგიჟდაო.

— რაეზსა ჰბოდავ, ბიჭო?

— კი არა ვბოდავ, ვკითხულობ... სწავლა გინდა, ასე უნდა იკითხო, თორემ არსენას ლექსი ვაშლივით კი არ ჩაგივარდება პირში. ჰო-და აქ „არსენას ლექსი“ სწერია და წაიკითხე ისე უნდა წაიკითხოთ. აბა, რაც მე ვთქვა, შენც გაიმეორე.

— დავიწყოთ, დავიწყოთ.

— ან.

— ან.

— რაე-სან-ენ.

— რაე-სან-ენ.

— ნარ-ან-სან-ლას.

— ნარ-ან-სან-ლას.

— ენ-ქან-სან-ინ.

— ენ-ქან-სან-ინ.

— რა გამოვიდა?

— მე-რა ვიცი, რა გამოვიდა! ეგ რაღაცა ქაჯური ენა გამოდის...

— აი დოვლათი! მე წმინდა ქართული ენით გელაპარაკები და შენ ქაჯურზე მეუბნები.

— ქაჯურია, მა რა ეშმაკებია, ეგ სან-რაეა თუ რაღაცა — გაჯაგრებიო წარმოსთქვა ბიჭიკომ.

— ქართულია, ბიჭო, ქართული და გამოდის „არსენას ლექსი“, გაიგე?

— აბა, როგორ?

— როგორ და ისე, რომ აქ არსენას ლექსი სწერია... აბა, დაჰხედე, თუ ეგ არ ეწეროს: „არსენას ლექსი“, მაშ რა ოხრობაა ეს?! აბა ერთი კიდევ გავიმეოროთ:

— ან.



— ან, — წამოიძახა დავთრებარეულმა ბიჭიკომ.

— რაე-სან-ენ-ნარ-ან-სან.

— რაე-სან-ენ-ნარ-ან-სან.

— ლას-ენ-ქან-სან-ინ... ეხლა ხომ ვაიგე?

— ვერა, ვერადერი ვაიგე.

— შენ კი რა ვითხრა, შენაი ამას რა ვაგება უნდა: არსენას ლექსი, ბიჭო, არსენას ლექსი გამოვიდა!

ბიჭიკო გულზე გასკდა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა ან-რაე-სა-ნიდან როგორ გამოდიოდა არსენას ლექსი.

დაილაღნენ. მასწავლებელს შუბლზე ოფლი მოასკდა. ბიჭიკოს კი სიბრახით ტუჩები გაულურჯდა, გაყვითლდა, ეს როგორ მომდის, რომ წიგნს ვერა ვსწავლობო.

— შენ, ჩემო ძმაო, ისევ ზეპირად გასწავლი, წიგნი შენი საქმე არ არის...

ბიჭიკოს გული ჩასწყდა, მაგრამ დათმობ რომ შაირი დაიწყო, ისევ გამოცოცხლდა და სმენად გადაიქცა:

„შაირი სიტყვით მესტვირიემ  
 ღმერთი მაღალი ახსენა,  
 ღმერთმა მოგცეს გამარჯვება,  
 ოძელაშვილო არსენა...“

დათმობ რომ ნახევრამდის მიიყვანა შაირი, შეისვენა, ბიჭიკო მოეხვია და ქრუანტელდავლილმა სთხოვა:

— აი ეგ კარგია, ეგ მესმის...

თითქმის ერთი კვირა გაგრძელდა ასეთი ვარჯიში.

ერთხელ ბიჭიკომ უთხრა:

— აბა, დათო, ყური დამიდგე... ახლა მე გეტყვი არსენას ლექსს.

და ბიჭიკომ ჯერ მოკრძალებული ხმით დაიწყო შაირი, შემდეგ მოუმტა, აუმაღლა და ცარიელ გრძნობებად გადაიქცა. დათო მოიხიბლა, გაინაბა, გაოცდა, რომ ბიჭიკომ ასე მალე იმდენი ისწავლა, რაც მან სამ წელს შეიძინა. მერე რა გრძნობით კითხულობდა, როგორი გატაცებით...

— ბიჭოს, შენ არც ისე უგონო ყოფილხარ, როგორც მეგონა... წიგნში მე გჯობნი, შაირში კი ეხლავე ცხრანაბადით თავზე გადამაბტი...

მართლაც, მალე ბიჭიკომ „არსენას ლექსი“ თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა.

უნდა გენახათ, რა ამბავი მოხდა ჩუტკარაანთ უბნის ბიჭებში, როდესაც სოსომ არსენას ლექსი გრძნობამორევით წაიკითხა. ბიჭები ყურგანაბულები ისმენდნენ. აღარ იცოდნენ, რითი და როგორ გამოეხატათ თავიანთი გრძნობა. ბოლოს იმითი დაავიგვრვინეს, რომ წინადადება შეიტანეს არსენას ლექსი გაეთამაშებინათ.

სოსოს ძალიან მოეწონა მათი წინადადება.

იმ დამესვე სოსომ როლები დაარიგა; ამ უბნის ბიჭიკოს ძველ გენერალს თავად ბარათაშვილის როლი აკისრებინა, ძველი უბნიდან ხაბეღანთ კოლას გიორგი კუჭატნელობა, ფარსადანის როლი ნამორაანთ ბიჭმა იკისრა. თვითონ



კი ერთხმად არსენად იქნა არჩეული. ბიჭიკომ მეორე დღეს ყველანი დაე-  
სებურად მორთო. თვითონ ქვაბის მურით კოპწია უღვაშები გაიკეთა, <sup>მასწავლებლის</sup> <sup>მარტო</sup>  
ფარსადანს სიმინდის ქოჩოჩით გრძელი უღვაშები გაუკეთა. <sup>მასწავლებლის</sup> <sup>მარტო</sup>  
კუქატნელი. ზაალი მატყლის დიდი წვერ-უღვაშით შემოსა.

„არსენაობას“ თამაში იმდენად მოეწონათ, რომ დიდებიც კი სიამოვნებით  
უყურებდნენ, ხან სერიოზულად შუბლს იკრავდნენ, ხან იცინოდნენ, ხან  
კიღვე არსენას ვაეკაცობაზე ერთხმად შესძახებდნენ ხოლმე:

— ჰაი, ბიჭო, დასცხე, დასცხე მაგ ურჯულოებსა, დასცხე!

მაგრამ ყველა ეს მაინც ის არ იყო, რაც სოსოს უნდოდა. გულის სატკი-  
ვარი, როგორც ყოველთვის, ეხლაც ისევ ძია იაკოს შესჩივლა:

— ძია, წიგნი მინდა ვისწავლო...

— უნდა ისწავლო, მაშა! ხელს ვინ გიჭერს?

— მამა...

— ბესო?

— ჰო, იმას უნდა, რომ სულ სახელოსნოში ვიჯდე და მუშტას ვატრია-  
ლებდე...

— მუშტაც კარგი საქმეა, შვილო, მაგრამ წიგნს არა სჯობია-რა...

— მიშველე, ძია, წიგნი მინდა...

— კარგი, კარგი... ეს უღვაშში ჩამომპარსე, თუ შენ სკოლაში არ გაცუნ-  
ცულა...

— რა კარგი ძია ხარ! — ბავშვი გრძნობამორევით მოეხვია იაკოს, მაგრამ  
უმალვე ჰკითხა: — სკოლაშიც „ან-რაეს“ მასწავლიან?

— ან-რაე რა არის?

— წიგნი... დათომ ასე სთქვა, ასე უნდა იკითხოო.

ძია იაკო ვერაფერს მიუხვდა, მაგრამ მტკიცე სიტყვა პირზე კოცნითაც  
დაუმოწმა, რომ შემოდგომიდან ბიჭიკო მართლა ივლიდა სკოლაში.

## ზღვისპირელი ქარი

მოთხრობა

ზღვისპირელი ქარი სუსტად უბერავდა. ხასანის ტბის გამოღმა, მოზრდილი გორაკების მიდამოებში, სრული დუმილი და სიწყნარე იყო.

შორეული აღმოსავლეთის ნაცრისფერი ნისლი უკვე გამჭრალიყო, მიწას შეენსრუტა იგი თუ პაერს, აღარსად სჩანდა.

მაგრამ ორი თუ სამი საათის შემდეგ ცამ პირი ისევ შეიკრა, ზღვიდან წამოსული ღრუბლები სვეტებივით აღიმართნენ. მოულოდნელად იქუხა და სეტყვანარევი წვიმა წამოვიდა.

მუხლამდის წყალში ჩამდგარმა პავლე ერშოვემა გამოდრების იმედი სულ დაჰკარგა. საერთოდ ამ დღეებში ძალიან ხშირად სწვიმდა. მთები მუდამ ნისლში იყვნენ გახვეული და კაცი მათ იშვიათად ხედავდა.

ერშოვემა რეზინის საწვიმარი თავზე გადმოიცვია, ხელები სახელოებში გაუყარა და მწვანე ბუჩქებისაკენ გაიხედა.

— ნიკიტა, ნიკიტა! — გასძახა უმცროს ლეიტენანტს.

იმავე წუთს პავლეს წინ დაბალი ტანის ლეიტენანტი გაჩნდა. ქროდა თვალეებში ნათელი შუქი უკიაფებდა.

— ნიკიტა, საზღვრის ზოლში ასი თვალი და ასი ყური გამოიბით, ყოველი ხე და ბუჩქი გულდასმით მოსინჯეთ! — და ერშოვემა ალერსიანად შეავლო თვალი ნიკიტას.


— მესმის, ამხანაგო უფროსო! — უპასუხა ნიკიტამ და უფროსი ლეიტენანტის მიერ გადაცემული დავალების ბარათი სასწრაფოდ ჩასდო საველე ჩანთაში.

სანამ ცვლა მოვიდოდა, ერშოვემა ერთხელ კიდევ დაათვალიერა საგუშაგოები და როცა ყველაფერი რიგზე ნახა, თავისი მოვალეობა ახლად მოსულ უფროს ლეიტენანტს გადააბარა, თვითონ კი მესაზღვრეთა რაზმის საერთო საცხოვრებელში წავიდა. იქ მისი ცოლშვილი სცხოვრობდა.

გზაში მისი გონება იმ ფიქრებზე გაიტაცეს, რომლებიც მას ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე მარტოობისას. წარმოიდგინა, თითქოს მშობლიურ ყუბანში გადაფრინდა... თავის სტანიცაში, ზეხილის ბაღში, ხილით დახუნძლულ ხესთან. იქიდან გაპყურებს იმ ტრამალებს, სადაც მან სამოქალაქო ომში დაღუპულ მამასთან ერთად ბევრი ოფლი და შრომა დაღვარა.

როცა ბაღის სურნელებით დასტკბა, მდინარე ყუბანისაკენ გასწია, შიგ გადაეშვა და მის ცივ ჩქერებს გახურებული გულმკერდი შეაგება. ნაპირზე ამოსვლისას ჭვიშიან რიყზე წამოწვა, რათა ეგრძნო მზის ძლიერი მზურვალეობა.

თვალწინ შავთვალა დედა წარმოუდგა. ერშოვის მამამ იგი ახალგაზრდობისას ჩერქეზთა აულიდან მოიტაცა.

მეზობლების გოგოებიც მოიგონა. გაახსენდა მათთან სირბილე...  


ერშოვი ერთბაშად გამოფხიზლდა: მიხვდა, რომ რაც ახლახანს სწავნიტადა, ბავშვობის დღეებს ეკუთვნოდა.

ნაბიჯს მოუმატა.

ერშოვის ცოლს, ცაბაიას, და მის პატარა ბიჭს იაშას ძალიან უყვარდათ მინდვრის ყვავილები, და თუმცა კოკისპირულ წვიმას ცუდი დღე დაეყენებინა ბალახისა და ყვავილებისთვის, პავლემ გზაზე მაინც მონახა შროშანი, ვაცისწყერა და მინდვრის სხვა ყვავილები, კონად შეპკრა და მხიარულად გაემართა შინისაკენ.

პავლემ ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ ვაწოლილ ტაიგას გახედა და თავისთვის სთქვა: „რამდენი სიმდიდრე და დოვლათია ხელუხლებელი ამ მხარეში: ხე-ტყე გინდა, ნავთი, თევზი, ბეწვეული, სბილენძი თუ სხვა ძვირფასი მადანი. რას ინატრებ, სულო და გულო, აქ რომ არ იყოს? იაპონელებიც ამიტომ ილესავენ კბილებს და ცოფმორეულნი გადმოჰყურებენ ჩვენს მიწა-წყალს. გაიხსენონ 1922 წელი, ვოლოჩაიევის დღეები, სისხლით შეღებილი მდინარე ტუნგუსი და იან-კარანის მწვერვალები. ჰქუთს სასწავლებლად ესენი ეყოფათ“.

პავლე, ალბათ, დიდხანს ესაუბრებოდა თავის თავს, რომ სადარაჯო რაზმის შენობასთან გუშავის მწვანე საწვიმარისათვის არ მოეკრა თვალი.

უკრაინულად შეღებილ თეთრ შენობაში მესაზღვრე რაზმის მეთაურები, გუშაგები და მათი ცოლშვილი სცხოვრობდნენ. სახლს ხეხილის ბაღი აკრავს ირგვლივ. ქლიაფი, მსხალი და ვაშლი საამოდ გამოიყურებიან რტოშეფოთილ ხეებიდან.

მახლობლად ლურჯად გადაბიბინებულ ბოსტანი მოსჩანს. ბოსტანი მესაზღვრეების ოჯახებს ეკუთვნის.

ერშოვის ცოლმა ცაბაიამ ბევრი იმუშავა ბოსტანში. ყოველდღე შიგ ტრიალებდა, თოხნიდა, ფოცხავდა, ბალახს აცლიდა. საქართველოდან ჩასულ ქალს ამ ბოსტანში მუშაობა იმ დღეებს და წუთებს აგონებდა, როცა ის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბოსტანში ბრიგადირობას ასრულებდა.

მაშინ შეხვდა იგი პირველად პავლე ერშოვს.

პავლე ახლად ჩამოსული იყო ჩრდილოეთ-კავკასიიდან. მოეწყო თუ არა იგი ჩაის მეურნეობაში მუშად, ახალი ტანისამოსი ჩაიცვა და მეურნეობის მთელი ფართობი შემოიარა.

მეურნეობის ერთ ნაკვეთზე უამრავი ქალი და ბავშვი ირეოდა, — ბოსტანს მისეოდნენ.

პავლე მათ გულუბრყვილოდ მიაჩერდა. ერთმა ახალგაზრდა ქალიშვილმა განსაკუთრებით მიიქცია მისი ყურადღება. ქალიშვილს სახე ოფლით დანაშოდა. თოხის ყოველ მოქნევაზე ლაშაზად არხედა მონდენილ ტანს.

პავლე თითქოს დააბაო უცნაურმა ძალამ. მან ხალათის საკინძი შეიხსნა, ცალი თვალი მოჩრდილა და ასე შეპყურებდა უცნობ ქალს.

ქალებმა სიცილი დააყარეს. იგი მაინც უძრავად იდგა. მაშინ ის ქალი, რომელმაც პავლეს ყურადღება მიიქცია, გამოეყო ამხანაგებს, თამამად მივიდა მასთან, ისედაც აჭარხალებული სახე პავლეს ახლა სულ აელანძა, აენტო. ხელი გაუშვირა და დამტკრეული რუსულით უთბრა:

— რუსო, კუში, კუში, ჰა! — და ახლად მოწყვეტილი კიტრი გაუწოდა.

ქალებმა კვლავ სიცილ-ხარხარი ასტეხეს.

ქალსაც შერცხვია, მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოიყვანა ამხანაგების სიმღერამ, რომელიც სასიამოვნო გუგუნით მოეფინა არემარეს.

პავლეს რაღაც ტკბილი და ნეტარი გრძნობა ჩაესახა გულში, სიცოცხლეზე უფრო ტკბილი და თავისთავზე უფრო საყვარელი.

ამ მოვონებით იყო გატაცებული პავლე, როცა ბოსტანში მყოფმა ცაბაიამ ქმარი დაინახა. იგი სწრაფად გადახტა ღობეზე და პავლეს ანაზღეულად გზა გადაუღობა:

— რუსო, კუში, კუში, პა! — მიაყვირა და თან ახლად მოკრეფილი კიტრები გაუწოდა.

— ოჰ, შე აღქაჯო, შენა, არ დაანებებ ცელქობას თავს!

ამასობაში პატარა იაშას უკვე გამოღვიძებოდა. პავლემ შვილი ხელში აიტაცა და შეათამაშა, მერე მასთან ერთად საწოლზე მიესვენა.

— ბოსტანში ტალახის ზელას თოფზე რომ გევიარჯიშა, ის აჯობებდა, — მიმართა პავლემ თავის ცოლს.

თავიდან ფეხებამდის დასველებული ცაბაია ტანისამოსს ეძებდა კარადაში. მერე სამზარეულოში შევიდა და იაშას ფაფა გამოუტანა.

პავლე კვლავ გამოელაპარაკა:

— საზღვარზე ვართ, ჩემო კარგო, საზღვარზე. აქ დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა ისე კარგად უნდა იცოდეს იარაღის ხმარება, როგორც გამრუც გლეხმა ცელის მოსმა იცის.

— შამხანის გამოყენება კარგად შეეითვისე, ახლა აირამრიდზე ვეარჯიშობთ ქალები... მაგრამ ამ ბოლო დროს სულ თოფზე, რევოლვერზე და ყუმბარაზე რომ ჩამომიგდებ ხოლმე ლაპარაკს, თუ ღმერთი გწამს, მიმართლე შიშხარი, ომს ხომ არ მოელიან?

— მოელიან თუ არ მოელიან, ამას ჩვენ არაფერს გვეტყვის, მხოლოდ საზღვარზე იაპონელები რომ ფუსფუსებენ და გვიჩხიკინებენ, ეს ნამდვილია.

ცაბაია გაყურდა. უცებ ფიქრი სხვა რამეზე გადაიტანა და ქმარს გაახსენა:

— ერთი კვირაა, რაც მამიჩემის წერილი მივიღეთ. გწერდა: სანდროთა შორეულ აღმოსავლეთში გამოამწყესეს, თუ ჩემი ხათრი და სიყვარული გაქვს, გამოიგე, როგორ ცხოვრობს, აგერ ერთი თვეა მისგან წერილი არ მიმიღიაო. ასე გწერდა მოხუცი მამა, მაგრამ შენ პასუხის ღირსადაც არ გახადე. შე კაი კაცი, ასე უნდა სიკეთის დახსომება? მაშინ ხომ კარგი ბიჭი იყო სანდრო, როცა ხელის გულზე გისვამდა და სოფლიდან-სოფელში გატარებდა — გაციანით, ჩემი მეგობარია, სამუშაოდ ჩამოსული ჩვენს რაიონშიო, დილა, კარგი იყო მაშინ...

პავლემ გეზად გახედა.

— შენი სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქოს სანდრო მეჯავრებოდეს. ის კი არა, ნეტავი ერთი დამანახვა და მეტი არაფერი მინდა. შორეული აღმოსავლეთის არმიში რამდენი პოლკი და დივიზიაა, შენ დასთვლი, ჩემო ცაბაია? მო-და როგორ ვიკითხო, ან ვის მივმართო, ლეიტენანტი სანდრო ბენდუქიძე, ცხვირკეხიანი ქართველი ბიჭი, თქვენ ერთეულში ხომ არ არის-თქო? არა, ერთი მიბრძანე, ვლადივოსტოკში ვიკითხო, ხაბაროვსკში, ამურის ნიკოლაევსკში, კომსომოლსკში თუ წყნარ ოკეანეს სამხედრო-საზღვაო ფლოტში?

— აბა რა ვქნათ, მივანებოთ თავი და დაევიწყოთ? — წამოძიხა, ცოტა არ იყოს, საყვედურის კილოთი ცაბაიამ.

ხუთი წელიწადი იქნება, რაც ცაბაიას არ უნახავს არც მოხუცი მამა, არც სანდრო და არც ის მშობლიური მთები და ველები, სადაც ის გაიფურჩქნა და დაქალიშვილდა.

პავლეს შეებრალა ცაბაია და იმედი მისცა: სანდროს კვლავ უნებუნებლად მივაგრებ და მალე ნახავ, რომ ამ ოთახში გვეკონდეს გახურებული ქართული ჭეიფი, რომლის თამადადაც სანდრო გვეყოლებოდა.

ამ ლაპარაკში დაწოლის დრომაც მოაღწია.

გარეთ კი ზღვისპირული ქარი კვლავინდებურად ჰქროდა.



ლეიტენანტ ერშოვს წუხელის მოუსვენრად ეძინა. იმდენი ბრძოლა და იმდენი ხმლის ტრიალი, რაც სიზმარში ნახა, არასოდეს არ უნახავს, არ გაინუცდია და წიგნებშიაც არსად ამოუკითხავს. ეშვებ-გადმოყრილ გარეულ ტახთანაც მიოხნდა შებმა. ზღვის არწივსაც დაუმინა თოფი, მაგრამ სანამ პავლე ესროდა, არწივი ასრიალდა და განშორდა იქაურობას, ზღვაზე წამოშლილ ღრუბლებს მისცა თავი. შაშვები და კაჟკაჟები, რომლებიც მახლობელ ტყეებში საკმაოდ ბუდობენ, ისინიც კი წამოფარდატდნენ, თავზე გადაღარ-გადმოუარეს, წრე შემოხაზეს, მაგრამ პავლემ ვერც მათ დააკლო რამე. ყველას შეებრძოლა, ყველას ჩაუსაფრდა, მაგრამ ყველასთან გაწილდა.

მძიმე შთაბეჭდილებით წამოდგა იგი დილით. ტანთ ჩაიცვა. თითქოს უბრად იყვესო, ცოლისთვის ხმა არ გაუცია და წარბი არ გაუხსნია. ჯერ კიდევ ღრმა ძილში მყოფი ბავშვი ფრთხილად გადაკოცნა და საზღვრის მიდამოებისკენ გაეშურა.

ამ დილით ნისლი სულ გამქრალიყო.

საამო დღე იდგა. ლილისფერი ცა მოკრიალებული გამოიყურებოდა. მზე ვერცხლისფერ სხივებს უგზავნიდა გორაკებსა და ხასანის ტბის ნაპირებს. მალლიდან დაშვებული სხივები ტბაზე ისრებივით ეცემოდნენ და ათასფრად ციმციმებდნენ, ხოლო ფართოდ გაშლილ ტბის ზედაპირზე ჰრელურგაიანი თევზები ხტუნაობდნენ.

ამ დროს, შორს, ტბის პირდაპირ, ბეზიმიაიას მალლობზე, მესაზღვრეთა რაზმი ჩვეულებრივი სიფრთხილით გუშაგობდა გადაჭიმულ საზღვარს. საზღვრის ხაზი მახლობლად გადიოდა.

მალლობს მცირე რაზმი დარაჯობდა.

დღეს განსაკუთრებული გულმოდგინეობით გაჰყურებდა ნიკიტა ხასანის მიდამოებს, თვით მდინარე ტუმან-ულანის ნაპირებამდის და მანჯურელთა სოფლებამდის. როგორც ამ მხარის მიწა-წყლის მკვიდრს, ჭოველი ხე, ბუჩქი და ყოველი ხევი ათასჯერ ნახული და დათვალიერებული ჰქონდა.

ნიკიტას პირდაპირ მწვანე ბუჩქს შეხამებული სნაიპერი თომა შველიძე ანაზდეულად შეინძრა, თავი მალა წამოსწია და საზღვრის ახლოს ადამიანთა საეჭვო მოძრაობას თვალები მიაპყრო.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ვთხოვთ აქედან ვაპხედოთ საზღვარს! — მიმართა თომამ ლეიტენანტს.

ნიკიტა სამ წითელარმიელთურთ სახედაძაბულ თომასთან მივიდა და დურ-

ბინდი მოიმარჯვა: იაონელები პირდაპირ მდებარე მალლობოდან საზღვროდ-  
ნენ და ჩქარი ნაბიჯით საზღვრისაკენ მოდიოდნენ.

ნიკიტამ ეს ამბავი ერშოვს აცნობა.

შესაზღვრებმა თავიანთ ადგილებს მიაშურეს.

ნიკიტამ უფროს ლეიტენანტთან ერთად კვლავ გახედა საზღვარს. შენიშნუ-  
ლი მტერი უკეთესად გამოჩნდა.

— მოეშადეთ! — გაისმა ერშოვის მკვეთრი ხმა.

მწყობრად წამოსულმა მტერმა თოფებისა და ტყვიამფრქვევების სროლა  
ასტეხა.

— ცეცხლი! — გაისმა ლეიტენანტის ხმა და ამ ხმას გრივალისებური სრო-  
ლა მოჰყვა. ტყვიამფრქვევები დაუტყრომლად კაკანებდნენ. მტერი უფრო და  
უფრო უახლოვდებათ. მოდის მთლიანი ფრონტით.

საზღვარს კარგა მანძილით გამოსცდნენ, მოდიან „ბანზაის“ ძახილით.

ამ დროს თომა შეელიძე ბუჩქიდან გამოძვრა, წინ მდებარე ბუჩქობზე შე-  
ხოხდა, ერთხანს გაყურდა, მერე თოფი მოიმარჯვა და პირველ გასროლისთა-  
ნავე მტრის ერთი მტყვიამფრქვევე მკერდგანგმირული მიწაზე დასცა.

გაცოფებული ოფიცერი თომასკენ გამოიქცა, თომამ ადგილი მოინაცვლა.  
დაჭრილი ამხანაგი შენიშნა. დაჭრილს იაონელი ჯარისკაცი უახლოვდებოდა.  
ამხანაგს ფეხზე წამოდგომა არ შეეძლო, იგი სისხლის ზღვაში ცურაობდა.  
თომა ტყვიებს არ შეუშინდა, ხელი დაავლო გულწასულ დაჭრილს და უში-  
შარ ადგილას გაიყვანა. თვითონ მძალა ბალახში ჩაიმალა, ერთხანს სრო-  
ლაც შესწყვიტა.

იაონელმა ოფიცერმა ჩვენი ტყვიამფრქვევი შენიშნა და თავისი რაზმით  
მისკენ გამოემართა.

მალლობზე თოფის წამლის სუნი დადგა. ყველავერი კვამლსა და ცეცხლში  
გაეხევა.

ამ დაძაბული მდგომარეობის დროს ერშოვმა დაჭრილი წითელარმიელის  
ტყვიამფრქვევს დაავლო ხელი. ოფიცერი თავისი ასეულებით უფრო და უფრო  
ახლოვდებოდა.

თი იერიშზედაც გადმოვიდა მტერი. მაშინ პავლემ ტყვიამფრქვევი ააქაჯა.  
შრავალი იაონელი დააწვინა იქვე, მაგრამ ერთ იერიშს მეორე მოჰყვა, სამუ-  
რაებს სამურაები მიემატნენ...

ახლა უბრალო ბრძოლა როდი იყო, ახლა სიკვდილი და სიცოცხლე დამ-  
გარიყვნენ პირისპირ, ერთმანეთს დასჭიდებოდნენ. ამ ორომტრიალში საში-  
ნელი კენესა და ყვირილი! მოისმოდა, მაგრამ იგი სწრაფად სწყდებოდა,  
როცა მძიმე არტილერია გრუხუნებდა და მიწასა და ცას შორის სვეტებს  
აღმართავდა ხოლმე.

— ბანზაი, ბანზაი! — გაისმა ოფიცერის ხმა.

პავლემ იგრძნო რაზმის საფრთხეში ყოფნა, ამიტომ ხელყუმბარები გადა-  
უშვა მტრის განლაგებისაკენ, მაგრამ ამ დროს ის აბეზარი ოფიცერი ზურ-  
გიდან მოეპარა, ოფიცერს ხელში ბასრი მახვილი ჰქონდა მომარჯვებულ.  
თითქოს ყელში თოკი წაუტყირესო, ისე ამოაბრიალა მან რალაც უხამსი და  
ყრუ ხმა. სანამ ოფიცერი თავის მახვილს მოიქნევედა, ერშოვმა შამხანის ბას-  
რი და ელვარე ხიშტი მუტელში დაუტრიალა. ოფიცერმა საშინლად დაილ-  
რიალა, ხელი მუტელზე იტაცა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და მიწაზე  
გაიშლართა.



როცა პაეღემ ოფიცერთან ანგარიში გაასწორა, ისევ დაზვიან ტყვი-  
მფრქვევს მოუჯდა. მაგრამ იაპონელებს ახალი და ახალი იერიშები მოჰქონდათ.

— ამხანაგო მეთაურო, ჩვენს დასახმარებლად რაზმი <sup>მოდის</sup> ~~მოდის~~ <sup>შეხარუ-</sup>  
ლით მიმართა ერშოვს გახარებულმა ნიკიტამ.

პაეღეს თვალები გაუფართოვდა. რაზმის გამოჩენისთანავე მან დასჭეკა:

— წინ, იერიშზე, ამხანაგებო, დედა-სამშობლოსათვის!

ახალი ძალები ისე ეკვეთნენ მტერს ხელყუმბარებით, ტყვიამფრქვევებით,  
ჩვეოლვერებით და ხიშტებით, რომ იაპონელები უკუიქცნენ.

ამ შეტაკებისას თომა შველიძე მძიმედ დაიჭრა, ძირს დაეცა და თვალები  
სამუდამოდ დახუჭა.

ამავე დროს ბალახით დაფარულ დაბლობში სამი წითელარმიელი კრილო-  
ბას უსინჯავდა ნიკიტას. ნიკიტამ ერთი გაახილა თვალები და მერე ისიც გა-  
მოესალმა სიცოცხლეს.

როცა ერშოვმა ნიკიტას სიკვდილის ამბავი გაიგო, საველე ჩანთა მოხსნა,  
შიგ სხვა საბუთებთან ერთად ერთი ბარათი ეცა თვალში: „თუ დავიღუპო-  
ა ცნობეთ ჩემს დედას, რომ შენი ერთადერთი შვილი ნიკიტა სამშობლოს  
მტრებთან ბრძოლაში სასახელოდ დაეცა. გული არ გაიტეხო, დედაჩემო, ჩემი  
ამხანაგები შენს ღვიძლ შვილებად იგულვე, ხოლო ჩემი ქვეყანა — პატრონად  
და მომვლელად.“

ბოლოში მისამართი იყო მიწერილი.

ბრძოლა ისევ გრძელდებოდა.



სამხედრო ვარჯიშობით დაქანცული უფროსი ლეიტენანტი სანდრო ბენ-  
დუქიძე შინ ბრუნდებოდა. დაღლილ ფეხებს ძლივს ადგამდა მიწას, თითქოს  
ენანებოთ ბალახის გათელვა. დრო-დადრო ზღვისაკენ იყურებოდა, ყურს  
უგდებდა წყნარ ოკეანედან მოვარდნილი ტალღების შხუილს.

ოკეანედან წამოსული თეთრი ნისლი ქულებად იშლებოდა სავრცეში და  
ზანტად ეფინებოდა გორაკებსა და ჭაობებიან დაბლობებს.

„ბატალიონმა მთიან პირობებში სამხედრო მოქმედება კარგად ჩაატა-  
რა!“ — გაიფიქრა სანდრომ და ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო. პაპიროსს  
ეცხლი მოუქიდა და პორტსიგარს გაღიმებულბ დააჩერდა: „ჩემს მეგობარს  
სანდროს — ირინესაგან“, კმაყოფილებით ამოიკითხა მან ოქროს ასოებით წა-  
ნაწერი და ხელმარჯვნივ გახედა თეთრად შეღებილ სახლს, სადაც ირინე  
ცხოვრობდა.

სანდრო სახეგაბრწყინებული გაეშურა ირინეს ბინისაკენ.

ახლა დაღლილობას აღარა გრძნობდა, მსუბუქად და სწრაფად მიაბიჯებდა.

სამხედრო ჰოსპიტალში ექიმის თანამემწეედ მომუშავე ირინე მეთაურთა  
შემადგენლობის სახლში ცხოვრობდა. მას დედა და ბავშვი მოჰყვდომოდა,  
სახლის კარი გამოეკეტა და ყუბანიდან წასულიყო.

სანდრო ამ დროს ერთ-ერთ ნაწილში იყო უმცროს მეთაურად. პირველად  
მათი შეხვედრა ბიბლიოთეკაში მოხდა.

სანდრო გატაცებით ეწაფებოდა ომების ისტორიას, მემუარებს, განსაკუთ-  
რებით ნაპოლეონზე და სტეფანოვზე ეხალისებოდა საუბარი. ირინეც სია-  
მოვნებით უგდებდა ყურს.

— შენ ქალი ხარ და ასე რატომ გიტაცებს სამხედრო საქმე? — გაკვირვებული შეეკითხა სანდრო.

— ბავშვობიდანვე მიზიდავდა თოფი. იარაღის სიყვარულს სწავლობს მამაჩემმა ჩამინერგა. ის სამხედრო კაცი იყო. თოფს ისე ელოდებოდნენ, როგორც დედა თავის ბავშვს. ხშირად მეტყობდა, შვილო, რუსულ იარაღს დიდი და სახელოვანი ისტორია აქვს, რუსული იარაღის გამარჯვება ჩვენი ხალხის გამარჯვებაა. გიყვარდეს იგი, როგორც ჩვენი ყუბანის მიწა-წყალით, — მღელვარებით სთქვა ქალმა.

— ახლა სად არის მამაშენი?

— სამოქალაქო ომში მოკლეს ბიჩერახოვის ბანდებმა.

ირინეს თვალის უბეები ცრემლით აევსო.

სანდროს ძალიან იტაცებდა ირინესთან საუბარი. ხშირად ხედებოდა მას.

— დღეს ლიტერატურული საღამო გვაქვს წითელი არმიის სახლში, ხომ წამოხვალ? — ჰკითხა ერთხელ სანდრომ ირინეს, როცა ჩვეულებრივად ეწვია ბინაზე.

გამომშვიდობებისას გულთბილად გამოეთხოვა.

ამ დღიდან მათ შორის სრულიად ახალი დამოკიდებულება დამყარდა: ოფიციალობა უბრალოდამ და ურთიერთის გულისხმიერმა გაგებამ შესცვალა, ხოლო მორცხვობა — სითამამემ და გულწრფელობამ.



მეთაურები და პოლიტ-მუშაკები თავთავიანთ ნაწილებსავე მიიჩქაროდნენ. სანდრო ზედღუქიძეც იმ დროს მიიჭრა თავის ასეულთან, როცა წითელ-არმიელები მანქანებზე სხდებოდნენ.

აღფრთოვანებული სანდრო გახარებული შეჰყურებდა მტერთან შეტაკებისათვის მზადმყოფ ასეულს, რომელსაც მხოლოდ ბრძანება აკლდა. ასეული ამ ბრძანებას მართლაც ისე მოუთმენლად მოელოდა, როგორც თოფის შეყენებული ჩახმახი თითის გამოკერას.

თითქოს იგრძნოთ ეს აღტყინება ბატალიონის პოლიტ-სამმართველოს უფროსმა, ახოვანმა და ბრგე ვაქაცმა, რომელსაც უღვაშები ყურებაშდის ჰქონდა გადაგრეხილი. მან თვალთ შეამოწმა მეთაურთა და წითელარმიელთა საბრძოლო მზადყოფნა და წარმოსთქვა:

— იაბონელმა სამურაებმა დამით ხასანის ტბის რაიონში საზღვარი გადამოლახეს. მტერი უნდა გავანადგუროთ, ასეთია არმიის შტაბის საბრძოლო დავალება.

„მტერი ისე უნდა გავანადგუროთ, რომ მეორედ ვეღარ გაბედოს ასეთი თავხედობა!“ — ამბობდა ბრძოლის ცეცხლით ანთებული სანდრო, როცა დანიშნულ ადგილისკენ ასეულს მანქანებით მიაქროლებდა.

სანდრო ისე გაემართა სალაშქროდ, რომ ვერც-კი მოასწრო ირინესთან გამოთხოვება.

— უკვე მივედი! — წამოიძახა მან, როცა ტბის ნაპირი დაინახა.

მათ თვალწინ გადაიშალა ხასანის ტბის ვიწრო და გრძელი ზოლი. მის იქით ლამაზად და მწყვანედ შემოსილი ზაოზერნაიას მალღობი ამოტივტივდა. ეს

ხავერდოვანი მალლობი, ამფითეატრივით დაქანებული, ბალახბულებით და ბუჩქებით შეფენილი, პირდაპირ ტბაში ეშვებოდა.

მალე გამოჩნდა ის მალლობიც, სადაც წინა დამეს იაბონიის მითრის ფრეზი-ზია მესახლდრეთა მცირერიცხოვან რაზმს დასცემოდა. აღებულთა სტატიის-თვის მტრის ინჟინრებსა და ოფიცერებს ოთხი ათასი ჯარისკაცი მიესიათ და ორი დღე-ღამის განმავლობაში მიუვალ სანგარ-სიმაგრეებად ექციათ.

ეს მალლობი იაბონელებისათვის ძალიან ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენდა. ამ გორაკზე გამაგრებულ დივიზიას თავისუფლად შეეძლო საარტილერიო ცეცხლის ქვეშ ჰყოლოდა მთელი უბანი პოსიეტის ყურედან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, შეეძლო არც ერთი კაციც არ გაეჭაქანებინა იმ მიდამოში. იაბონელები იქიდან უშუალოდ ემუქრებოდნენ პოსიეტის ნავსადგურს და ზღვის მთელს სანაპიროს ვლადივოსტოკის გასწვრივ.

მალლობთან მისასვლელი ადგილები ჰაობებით იყო დაფარული, ამიტომ მძიმე არტილერიისა და ტანკების გამოყენების საშუალება არ არსებობდა, უამისოდ-კი სამურაებისაგან ზაოზერნაიას განთავისუფლება ძნელი იყო. სიძნელეს ისიც ართულებდა, რომ სარდლობას სასტიკად ჰქონდა ნაბრძანები — მანჯურისის სპლდარი არ გადაღაზოთო.

შელამებისას სანდრო ბენდუქიძემ ასეული მალლობის მიდამოებში დააბანაკა. მერე მიიხმო ათეულებისა და ოცეულების მეთაურები, პოლიტმუშაკები და ბატალიონის უფროსისაგან დაკისრებული საბრძოლო ამოცანა ვააცნო.

— თერიშს მივიტანთ მალლობის მარჯვენა ფრთაზე. პირველად სროლას ასტეხავს ტყვიამფრქვევთა ოცეული, — ხელი გაიმვირა ოცეულის უფროსის, ახალგაზრდა ლეიტენანტის სერგეი მიროშნიკოვისაკენ.

სერგეი დაბალი და მაგარი აგებულების კაცი იყო. ცისფერ თვალებს მალ-მალ ახამსამებდა. ამოცანის შესრულება დიდს დაფიქრებას, დაკვირვებას და იმავე დროს სწრაფ მოქმედებას მოითხოვდა. იგი ასეულის უფროსს თვალს არ აშორებდა, თითქოს მისი პირიდან მარჯალიტები მარცვალ-მარცვალ მოსცივთა და იქერსო.

სანდრომ წამოიძახა:

— ვასიუკ უსენკო!

რიგებიდან მოჭიდავესავით გამოვიდა საარტილერიო დანაყოფის ოცეულის უფროსი უსენკო.

იგი ასეულის მეთაურის წინ გაჩერდა.

— არტილერია ბრძოლას დიწყებს იმ ვარაუდით, — მიმართა მას სანდრომ, — რომ მტრის ბატარეისა და ქვეითი ჯარის მიზანში ზუსტი ამოღებით მოწინააღმდეგე არ მოასვენოს, გადაჯგუფების საშუალება არ მისცეს, ნაბიჯი არ გადაადგმევინოს. როცა ასეთი წესრიგით გაიშლება ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი, მაშინ ქვეითი ერთეული, ამხანაგო ვლადიმერ, — მიუბრუნდა ახლა რგი ქვეითი ოცეულის უფროსს, — წინ წაიწყეს არტილერიის ცეცხლის საფარ ქვეშ, ხოლო სატანკო ოცეულის უფროსს ვაგალებ, მზად იყოს და ელოდოს განკარგულებას!

ამ სიტყვების შემდეგ ბენდუქიძე მარჯვნივ შეტრილდა, მან თვალი გააყოლა საბრძოლველად დამრულ ნაწილებს. აგერ საარტილერიო დანაყოფის ოცეულის უფროსი უსენკო რალაცას უსნის თავის მებრძოლებს. გაახსენდა ამას წინად საუბარში ნათქვამი მისი სიტყვები:

— ჩემს წინაპრებს გეტმანებისათვის არ შეუჩინებიათ ბატონობა და ძალმომრეობა. არც ჩემს მშობლებს, ძმებს, მეგობრებს და ამხანაგებს შეუჩინებიათ ძალმომრეობა პეტლიურასათვის, მახოსათვის, პოლონელთა წინებისათვის და გერმანელებისათვის. ჩვენ ჩაპაევისა და შჩორისის მსგავსი საღვთო ვართ, დავალებას ყოველთვის ბირნათლად შევასრულებთ.

აგერ დანიშნულ ადგილისკენ გაემართა მეორე ერთეულიც, ვლადიმერ გრებენშიჩოვის ძველითი ოცეული. გრებენშიჩოვი ვარეგნობით სასაცილო შესახედობის კაცი იყო. ისეთი დაბალი და წვრილი ტანი ჰქონდა, რომ შორიდან თხუთმეტი წლის ბიჭსა ჰგავდა. მხოლოდ მისი დასრულებული სახე გაფიქრებინებდათ, რომ საქმე გაქვთ ოცდარვა წლის მომწიფებულ კაცთან. გრებენშიჩოვს ნამგალივით მორკალული ფეხები ჰქონდა. სამაგიეროდ ისეთი სწრაფი და მოქნილი ტანისა იყო, რომ ვერც გადახტომაში და ვერც სირბილში მას ვერავინ სჯობდა. სწორედ ამიტომ დონბასის მღაბრებში მუშაობისას მას მეტსახელად უჩინარი ადამიანი შეარქვეს. ერთ წამში რომ ამხანაგებთან იღაბეოდა წამში უჩინარდებოდა.

იგი სანდროს ძალიან იყო შეჩვეული. ამ დღეებში შევებულება უნდა მიეღო. შინ საცოლე ელოდებოდა. ემზადებოდა წასასვლელად და სიხარულისაგან მთელი ღამეები არ ეძინა. მაგრამ სამურაებმა ხელი შეუშალეს და გრებენშიჩოვი შევებულების მაგიერ საბრძოლველად გაემართა.

ბენდუჭიძემ საველე ჩანთიდან რუკა ამოიღო, ზედ რაღაც აღნიშნა, მერე ბრძანება გასცა, მამხალეები აუშვითო.

ღამის წყვილადში მამხალეებმა ასეულის წინ შეფენილი გორაკები დღესავით გაანათეს. გამოჩნდნენ ადამიანთა სილუეტები. იაპონელები იყვნენ. ისინი მოძრაობდნენ, იერიშზე გადმოსასვლელად ემზადებოდნენ. როგორც ეტყობა, სანდროს ასეულიც შეუნიშნავთ.

სირბილისაგან გულაძვრებულმა მწვერაგმა ასეულის უფროსს ცნობა მიუტანა: მტერი იერიშზე აპირებს გადმოსვლას, ზაოზერნაიას მღაბობის მარჯვენა ფრთიდან მარცხენაზე გადადის, ზოლო არტილერიას ახალი ძალები ემატებიანო.

სანდრო მიხვდა, რომ ამ ადგილას დიდი ბრძოლა უნდა გამართულიყო. თავისი აზრი ბატალიონის უფროსს აცნობა და დამხმარე ძალები მოითხოვა. გათენებისას მართლაც მივიდა ახალი ძალა.

იმ ერთეულებში, რომლებიც სანდროს უნდა დახმარებოდნენ, მოსაზღვრეთა რაზმის ოცეულიც იყო. ბენდუჭიძეს უზომოდ გაუხარდა, როცა ამ ოცეულის უფროსი პავლე ერშოვი დაინახა.

— პავლე, ძმაო, ვერ მიცანი? — შესძახა სანდრომ.

ახლა კი მიხვდა პავლე, რომ ასეულის უფროსი, რომლის განკარგულებაც შიაც ის იყო გადაგზავნილი, მისი ცოლის, ცაბაიას ძმა არის, რომელსაც კოლ-ქმარი ასე დაეძებდა მოხუცი მამის წერილის მიღების შემდეგ.

— შენ აქ რა გინდა? დიდი კაცი გამხდარხარ! — გაიკვირვა პავლემ და სამჯერ გადაჰკოცნა.

- კინაღამ ვერ ვიცანი! — გაიკვირვა სანდრომ.
- დიდი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი და იმატომ...
- დიად, დიად, — გაუღიმა სანდრომ. — ცაბაია როგორ არეკმ
- შენი ჯავრი აწუხებს, — მიუგო ერშოვმა.
- კარგა ხანია არ მინახავს, იქნებ ვერც მიცნოს.
- აბა რას ამბობ! ცაბაია არა და, იაშა კი მართლა ვერ ვიცნობს.
- ბიჭიც ვყავთ?

— მერე როგორი ჩაბუთქუნებული ბიჭია! პო, ძაბოლა, ამ მხარეში მიწის ყოველ ნაკვეთს ისე კარგად ვიცნობ, თვალუბდახუტული რომ გამიშვა, არ დავიბნევი, დავალუბას შევასრულებ, ამასთან ერთად, ამხანაგო უფროსო, — მიმართა ახლა სანდროს ოფიციალურად, — უნდა გაცნობოთ, რომ თქვენს თანა- შემწედ ვარ დანიშნული.

და პავლემ დალუქული პაკეტი გადასცა.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ტყვიამფრქვევების კაკანი მოისმა. მას ზარბაზნების გუგუნი მოჰყვა და მალე სულ ახლოს ყუმბარა დაეცა და უშველებელი ორმო ამოთხარა.

ახალი მხვერავი ბუჩქებიდან გამოძვრა და სანდროს მოახსენა: მტერი უკვე მთელი ძალებით მოიწვეს წინ, ალყის შემორტყმას გეგმობს...

სანდრომ შეტევაზე გადასვლის ბრძანება გასცა.

როგორც ხშირად, დღესაც კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ქვეყანა ტბად და დღეებად იქცა. ბაშბასავით თეთრი ნისლიც პირბადესავით გაენართხა მიწას.

„ხეცა თუ ბილიკზე, ტყესა თუ მალლობზე, ყველგან და ყოველ ადგილას ნისლი და ნისლი, სიბნელე და უფხოობა. მოდი და ასეთ პირობებში რომე“, — ამბობდა თავის გულში სანდრო შეტევის წინ, როცა მეორედ შეამოწმა ოცულები.

ააბონელებმა გრიგალისებური საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს, ყუმბარებს უღვევად ისვრიან. ტუმენ-ულანის ნაპირებიდან მტრის ოცი ტყვიამფრქვევა მოქმედებს, პირდაპირ მალლობიდან — ოცდაათქვამეტტი, ხამაკოვის ტბის რაიონიდან ერთი საარტილერიო დივიზიონი გრუხუნებს, ციანცის ტბის ნაპირებიდან — მეორე. რკინიგზის ხაზის გასწვრივ ერთი ჯავშნოსანი ქოთქოთებს, ხოლო ზაოზერნაიას და ბეზიმენაიას მწვერვალზე სამურაები ჩსაფრებულან, სწორედ იმ ზაოზერნაიას მალლობზე, რომელიც, სარდლობის ბრძანებით, სანდროს ასეულმა უნდა აიღოს მარჯვენა ფრთაზე დარტყმით.

მაგრამ აი დაუძლეველი სირთულეც: წინამდებარე სივრცე ას ორმოცდაათი მეტრის სიგრძეზე სულ ფკლიანი მავთულით არის დახლართული. გარდა ამისა, ფრონტსა და მტრის პოზიციებს შორის ხასანის ტბა მდებარეობს, რომელიც ასეულებს და ათასეულებს საშუალებას არ აძლევს პირდაპირი შეტევის განვითარებისათვის. ამიტომ, სარდლობის მითითების საფუძველზე, სანდრომ ასეული წაიყვანა ხასანის ტბის შემოსავლელად, მტრის საარტილერიო ცეცხლის ლაბირინტში, რასაც ჩვენი არტილერია ძღვევამოსილად უბასუხებდა. ამან შედარებით გააადვილა წინსვლა, ხოლო როცა სარდლობიდან ცნობა მიიღო სანდრომ — ავიაციამ მტრის პოზიციებზე სამჯერ მოახდინა თავდასხვა, უფრო გამხნედა.

მებრძოლებს ვერაფერი აჩერებს, ნელო, მაგრამ მტკიცედ და ძღვევამოსილად მიიწვევენ წინ, რათა მალლობის ძირში მოექცნენ.

ზაოზერნაის მადლობი ჩვენი უნდა იყოსო, — ასეთია უმაღლესი სარდლობის ბრძანება და ასეულის საბრძოლო ამოცანა.

— ამხანაგო უფროსო, გთხოვთ ნება დაგვართოთ, გავარდნივართმსამუქრელთა ეკლიანი ხლართები და მათ სანგრებში ყუმბარები ჩაეყაროს! — ჩინოვნიკ ტყვიამტრქვევთა ოცეულის უფროსმა სერგეი მიროშნიკოვმა, რომელმაც, მიიღო თუ არა თანხმობა, უეცრად გაქჭრა თავისი ოცეულით.

ნისლში გახვეულმა ოცეულმა მუცელზე ხოხვით მიაღწია მტრის ეკლიან ხლართებს და სანგრებს. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერაგინ ვერ შეამჩნია მათი მისვლა. ხოლო როცა ნისლი გაიფანტა, მტერმა ოცეულს თვალი შეასწრო, მაგრამ მებრძოლებმა სანგრები დროზე გათხარეს და შიგ ჩამალვა მოასწრეს. ამასობაში სანდროს ასეულის დანარჩენი ნაწილები წინ მიიწვიდნენ. მაგრამ წვიმა, ნიაღვარი და ტალახი მოძრაობას ხშირად შეუძლებელს ხდიდა: მებრძოლებს ტალახში ეფლობოდათ ფეხები.

შუადღისას, ნისლი რომ გაქჭრა, ცამ საშინლად დაიჭუხა, თითქოს დედამიწა შეინძრათ. მალე თვითმფრინავთა ესკადრილია გამოჩნდა. ისე ბევრნი იყვნენ, რომ მათი დათვლა შეუძლებელი იყო.

საბრძოლოდ დაწყობილნი მიემართებოდნენ ისინი მოწინააღმდეგის სანგრებისაკენ. ჯერ სულ მალე და მალე მიდიოდნენ, მერე დაბლა დაეშვნენ და ყუმბარები დაუშინეს მტრის პოზიციებს.

ციცკენ მიწის უშველებელი სვეტები აღიმართნენ, აფეთქდნენ ბატარია, ბეტონით ნაგები სანგრები და ქვემეხთა ბანსანგრები. ზარბაზნის თვლები ჰაერში ჯარასავით დატრიალდნენ. ავიო-ყუმბარშენს არტილერიის გრუნხნი და ყუმბარების აფეთქება მიემატა. მალე გამანადგურებლებიც ჩაებნენ ბრძოლაში, მათმა იერიშმა ცა თითქოს ორად გააბო, სანგრებში ჩამალულ ჯარისკაცებს ყუმბარები სეტყვასავით ეცემით თავზე.

უკვე დადგა ქვეითი ერთეულების იერიშზე გადასვლის ჯერი. ისინი ტანკების თანხლებით შეჰყვნენ აღმართს. ტანკები შეუფერხებლოვ არღვეოდნენ ეკლიანი მავთულის ხლართებს და ამსხვრევდნენ სიმავრეებს, რითაც ქვეითა ოცეულებს ხელს უწყობდნენ წინსვლაში.

სანდრო ამ გახურებულ ბრძოლაში ხან ერთ ოცეულთან გაჩნდებოდა, ხან მეორესთან. გული არ უდგებოდა, მოძრაობად და მოქმედებად იყო გადაქცეული. მან პავლესთან მიიზბინა, რაღაცა ჩასჩურჩულა ყურში და მერე დასჰქვა:

— წინ, ამხანაგებო, დიდი სტალინისათვის!

ასეული წინ მიიწვიდა. ხელყუმბარები აზანზარებდნენ მიდამოს. მტრის „ბანზაის“ ჩვენი „ურას“ ძახილით უბასუსხეს.

ამ ორომტრიალში ერთმა მებრძოლმა ტანკი გააქანა იაბონელებისაკენ. მტრის სანგრებამდის მიაღწია, მავთულხლართები დასჭრა, დასწყვიტა.

ერთს ბორცვზე ტანკმა სვლა შეანელა. ეს შენიშნა იაბონელმა ოფიცერმა. იგი მიწაზე გაწვა, ხელში ყუმბარა მოიმარჯვა და ტანკისკენ გახოხდა. ეტყობოდა, მისი აფეთქება უნდოდა.

ასეულის უფროსი ხედავდა ამას და ბრაზი ახრჩობდა. შეცივებულივით აძიგივდა, ზეზე წამოდგა, უნდოდა ჭორივით გადაეჭროლა ოფიცრისათვის თავზე. მაგრამ ამ დროს ტანკისტმა სათვალთვალო ხვრელიდან ერთხელ კიდევ გახედა მიწაზე განართხულ ოფიცერს, საჭე მესამე სისწრაფეზე გადაიყვანა და თვალის დახამხამებაზე ოფიცერი ამ ქვეყნად აღარ იყო.



სანდრო დამშვიდდა. ამ სურათს თვალი მოაცილა. მებრძოლებს წინ გაუძღ-  
ვა ანთებული თვალეზით და ერთი ათად გაამხნევა და აღაფრთოვანა ისინი.

სანდროს



იაპონელთა იერიშს სისუსტე დაეტყო. ტყვიამფრქვევები კანტიკუნტად  
იღებდნენ ხმას, ხოლო არტილერია დროგამოშვებით ამოიხრიალებდა ხოლმე.

აი სწორედ ამ დროს სანდრო ბენდუქიძემ სითბო იგრძნო მარცხენა მუხლის  
ზევით. ამისათვის მას დიდი ყურადღება არ მიუქცევია. არც სხვებს შეუმჩნე-  
ვიათ რამე, რადგან ყველა გახურებულ ბრძოლაში იყო ჩაბმული. სითბოს  
მალე ტყვიელი მოჰყვა. ხელი რომ მოისვა, თითები წითლად შეეღება. მისვლა,  
რომ დაჭრილი იყო, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა.

ბოლოს მუხლმა უსუსტა. ძირს დაიხარა — კრილობას გავსინჯავო. ამდროს  
იაპონელი ოფიცერი გარეულ კატასავით ზურგზე შეანტა.

სწორედ მაშინ, როცა მტერს მახვილი უნდა ჩაეცა, სანდრომ ძალ-ღონე მო-  
იკრიბა, ოფიცერი ქვეშ მოიქცია და რევოლვერი დაახალა.

ტყვიები საზარლად ზუზუნებდნენ. ხან ყურთან გაუწივლებდნენ სანდროს,  
ხან თავს გადაუვლიდნენ. იგი მაინც უვნებლად რჩებოდა და სწრაფად მი-  
წევდა წინ.

მაგრამ აი სანდრო უცებ შეირხა, სახე გაუფითრდა, მუხლებში ძალა გამოე-  
ლია. ტყვიამ მკერდის კანი ისე ძლიერ გაუკაწრა, რომ სისხლი წამოუვიდა.

მებრძოლნი მისცივიდნენ და მანამ არ მოეშვნენ, სანამ კრილობა არ შეუხ-  
ვეს და სისხლის დენა არ შეუჩერეს.

სანდროს საექიმო წერტამლის მისაყვანად ერშოვმა ორი წითელარმიელი  
გამოჰყო, მაგრამ ასეულის უფროსმა უარი განაცხადა:

— არაფერი მიჭირს, ბიჭებო, მე თვითონ წავალ, თქვენ ახლავე დაბრუნ-  
დით მებრძოლებთან.

როცა წითელარმიელები წავიდნენ და ასეულმაც საგრძნობლად წაიწია წინ,  
სანდროს თავს წაადგნენ ქირურგი სანიტარული რაზმიდან, ფერშალი ქალი და  
სანიტარი.

ექიმმა სანდროს კრილობა გაუსინჯა. მუხლს ზევით ტყვიას ისე გაეგლო  
რბილს ხორცში, რომ არ გაჰკარებოდა. ხოლო მკერდის მარჯვენა მხარეს,  
ნეკნების მახლობლად, კანი ჰქონდა გაგლეჯილი. ვასინჯვის შემდეგ ქირურგ-  
მა ორივე კრილობა მოჰბანა, ნაპირებზე იოდი შემოაცხო, სტერილიზებული  
სახვევის ოთხკუთხ ნაჭერზე ლიმონისფერი დეგოლინი დაასხა, კრილობაზე  
დაადო, სქელი ბამბა დააფინა და მერე ისე გულდაგულ შეუხვია, რომ სან-  
დროს დაუხმარებლად შეედლო პალატისაკენ გზის განგრძობა.



დილით წვიმამ გადაიღო. ნისლიც ნელ-ნელა აიკრიბა დაბლობიდან.

ბრძოლა მიწყდა.

ზაოზერნიას მალლობიც გამოშხურდა, მთლად მოსუფთავდა და მოკამკამ-  
და. ღრუბლის არც ერთი ნაგლეჯი აღარ მოსჩანდა მის მწვერვალზე და ტყვი-

ებით დათხრილ ფერდობებზე. ყველაფერი მისუსტებული — და ღონემიხდილი გამოიყურებოდა — ადამიანიც და ბუნებაც.

თუმცა ერშოვი არაქათვამოლეული იყო, მაინც სიხარულითსაგან მას თვალებს რული არ ეკარებოდა. მტერზე გამარჯვება ამხნევებდა; სისილქლდევებდა. აწუხებდა მხოლოდ სანდრო ბენდუქიძის ბედი. „რამდენი ხანია არ მენახა, სულით და გულით მეწადა მისი ხილევა, — ფიქრობდა გულში. — ბედმა გამოიღმა, სწორედ შუაგულ ბრძოლაში შეეხვდი, მაგრამ მალე ისევ დაეშორდი. ვაი თუ მძიმედ დაჭრილმა სიარული ველარ შესძლო და სადმე გულწასული გღია“.

ამ ფიქრებში იყო წასული, რომ წითელარმიელებმა მტრის ოფიცრის დღიური მიუტანეს.

პაეღემ დღიური გადაშალა და ამოიკითხა:

„31 ივლისი. ასეული ბრძოლაში ჩაება. მტერმა ჩვენს პოზიციებს შემოუტია. ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. ადამიანთა მსხვერპლი დიღია, ჩვენს ასეულში 24 ჯარისკაცი მოჰკლეს. მძიმედ დაჭრილი ამაზე ოთხჯერ მეტია. ასეულის უფროსი სასიკვდილოდ დაიჭრა. საშინელებაა, საშინელება!“

1-ლი აგვისტო. მძიმე წონის ყუმბარები განუწყვეტლოვ ეცემიან ჩვენს სანგრებში. ჩვენს თავზე მტრის თვითმფრინაეები გამოჩნდნენ. ყუმბარები ჩამოჰყარეს, თავს დაგვეხსნენ გამანადგურებლები.

2 აგვისტო. ვიყავით ჩანკუფის მდლობზე, მთელი დღე-ღამის განმავლობაში სანგრებს ვთხრიდით. ბოლოს მტრის ტანკებმა შემოგვიტიეს. ამ დღეს რალაც საშინელება მოხდა. სულ ახლოს სკდებოდნენ ყუმბარები. ორი დღე-ღამის განმავლობაში არაფერი გვიქამია, ერთი ადგილიდან მეორეზე გადავბოდით. საშინელ გუნებაზე ვარ.

4 აგვისტო. კვლავ სანგრებს ვთხრიდით. როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, მახლობლად ყუმბარა გასკდა. რამდენიმე კაცი უსულოდ დაეცა. მტრის არტილერია გრივალისებრ ცეცხლს ანვითარებს, უშველებელი ყუმბარები სკდებიან ჩვენს ირგვლივ. გადარჩენის იმედი აღარა გვაქვს არც მე და არც სხვებს“.

••

ბრძოლის ველზე დარჩენილ სანდროს საშინლად აწუხებდა დაჭრილი ფეხი. იმავე დროს გულს უკლავდა ასეულისაგან ჩამოშორება.

„ძნელი და აუტანელი ყოფილა მეომრისათვის იერიშის დროს უქმად ყოფნა“, — ფიქრობდა თავისთვის. მაგრამ იმედს მაინც არა ჰკარგავდა: შესახვევ წერტამდის მივალ, ჭრილობებს მოვიშუშებ და ჩემს წილ ბრძოლას მაინც ვირგებო.

სანდრო ძალიან ბრანობდა: რალა მაინც და მაინც ფეხში მეცა ტყვია. როდის მივალწიო საექიმო პუნქტს? — ნერვიულობდა.

იმ ადგილას, სადაც ახლა იყო, მტრის მხვერავეები დამშეული მგლებივით დაძრწოდნენ. იგერ ახლაც დაინახა იაპონელები. მარჯვენა ხელი ყუმბარაზე იტაცა.

რამდენსამე წუთს ასე სულგანაბული იყო. მერე თავი წამოსწია, მაგრამ მალე ისევ ჩაღუნა, პირქვე დაემხო: სამი იაპონელი ჯარისკაცი დახოცილეს.

ათვალიერებდა. ზოგს ფეხით გადააბრუნებდნენ გულდმა, ზოგს ჩამქრალ თვალბეში ჩახედავდნენ, თითქოს მოკლულთა აღრიცხვას აწარმოებდნენ. ნამდვილად კი სახელგანთქმული პოლკოვნიკის გვამს ეძებდნენ, მუშაობდნენ შეტყვის დროს რომ დაჰკარგა იაბონიის დივიზიამ.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ სანდროს, მით უფრო დელავდა, შფოთავდა და თვალს არ ამორებდა იგი. გუშინ არ იყო, მტრის წინააღმდეგ ასეული რომ მოჰყავდა იერიშზე? მაშინ კარგად გრძნობდა, რომ უქვეელი სიკვდილის წინ იდგა. მიუხედავად ამისა, შიში არ გაუტარებია გულში. მისი გონება ერთი აზრით იყო შეპყრობილი: მალლობი ჩვენი უნდა იყოსო. არც მაშინ აუტაცნია მისი სხეული შიშს, მკერდში რომ დასჭრეს. მაგრამ ახლა, მტრის გვამებს შორის რომ გდია, სამი შეიარაღებული იაბონელის გამოჩენამ შიში მოჰგვარა, თმა ყალყზე შეუყენა და კანკალი დააწყებინა. ფეხადგმული სიკვდილი თითქოს მახვილით მიდიოდა მისკენ მოსაკვეთად, — ასე გრძნობდა ახლა თავს. ნუ თუ მართლა დაიღუპება?

სანდროს მოეჩვენა, თითქოს ირინემ გაბრწყინებული თვალები სახეში შეანათა და ყურში ჩასჩურჩულა: გამაგრდი, ღონე მოიკრიბე, სიცოცხლე იმაზე უფრო ტკბილია, ვიდრე აქამდის გეგონათა.

ადგილი სანდროს საიმედოდ არ ეჩვენა, ბევრი ათვალიერა, მაგრამ უკეთესი თავშესაფარი ვერ აღმოაჩინა. მაშინ რამდენიმე ნაბიჯზე გაჩოჩდა და შეზვინული გვამების ქვეშ შეფოფხდა. ირგვლივ საშინელი სუნი იდგა...

გადაჩინის იმედი მაინც ნაკლებად ჰქონდა, რადგან იაბონელები ყოველ მოკლულს სინჯავდნენ. ამიტომ გადასწყვიტა ძვირად დაესვა თავისი სიცოცხლე.

წელზე ხუთი ხელყუმბარა ეკიდა. რევოლვერიც თანა ჰქონდა. როცა იაბონელები სულ ახლოს მივიდნენ, ხელი ყუმბარის სახელურისაკენ წაიღო და მომართა. მერე მარცხენა თვალი მოხუჭა და ყუმბარა გაისროლა.

ანგარიში შეუმცდარი აღმოჩნდა. სანდრომ ჰაერში აეარდნილი მკლავები და ფეხები დაინახა.

გუშინდელი შეტაკებისას დამარცხებული მტერი მამველი ჯარის შემწეობით მეორე მალლობზე გამავრებულიყო. ჩვენს, ასეულს ბრძანება მიუღია სამურაები ამ მალლობიდანაც განედევნა, ზედ წითელი დროშა აეფრიალებინა და მალლობთან მისასვლელელები უშიშარი გაეხადა.

ამოცანა ძნელად შესასრულებელი იყო. აქაც გუშინდელივით ალყა შემოერტყათ გორაკისათვის.

ერშოვმა ოცეულები ლელიანიდან დაძრა. ამ ადგილს იაბონელებმა ქვემეხები და ტყვიამფრქვევები დაუშინეს. ტყვია სეტყვასავით მოდიოდა. მაგრამ უკან არ დაუხევიათ. ბოლოს ტბას მიადგნენ. როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ მტრის ძალები მოქმედებდნენ, პირდაპირ უნდა ევლოთ. პირდაპირ კიდევ ტბა იყო. ამაღ დიდად დააფიქრა ერშოვი. მეტი გზა არ იყო, ოცეულები ტბაში შეიყვანა. მებრძოლები წყალში გაფანტა, შორი-შორს დააყენა. წყალი მკერდამდის სწვდებოდა წითელარმიელებს, მაინც წინ მიიწევდნენ.

მტერს ერშოვის ოცეულები დაეკარგა, ამიტომ მან აქეთკენ სროლა შესწყვიტა. ერშოვმა ბრძანება გასცა, ტყვიამფრქვევითა და თოფებით არ გაესროლათ, მტერს რომ არ შეემჩნია.

ერთი საათის შემდეგ, როცა მთლად შესწყდა სროლა მტრის სანგრებიდან, ერშოვა ბრძანება გასცა მიეტანათ ღერში მალღობის ასაღებად. ოცეულები ტბიდან გავიდნენ და ნაპირ-ნაპირ გაემართნენ მტრის განლაგებულ ნიშნებს. იაპონელებმა ასეული შენიშნეს მხოლოდ მაშინ, როცა მას კარგა შანძილი ჰქონდა გავლილი. ატყდა საშინელი სროლა. ზარბაზნებიც ამოქმედდნენ.

მესაზღვრეთა იმ საერთო საცხოვრებელში, სადაც ლეიტენანტ ერშოვის ოჯახი სცხოვრობდა, სამხედრო ჰოსპიტალი მოაწყვეს.

ყველაფერი ცაბაიას თვალწინ მოხდა: პირველი დაჭრილების მოყვანა და პირველი სისხლის გადასხმაც.

ცაბაიას ჰქმრის დარდი აწუხებდა. რაც ერშოვი ფრონტზე წავიდა, მას შემდეგ აღარავითარი ცნობა მისგან აღარ მოსვლია. როგორც კი ვაიგო ხასანის ტბასთან მომხდარი ამბავი, დიდხანს არ უფიქრია, ახლად მოწყობილ საავადმყოფოში მოხალისედ დაიწყო მუშაობა. მართალია, პროფესიით იგი არც ექიმი იყო და არც ფერმალი, მაგრამ იმდენი დაკვირვება და ისეთი ხალისი გამოიჩინა, რომ მალე ყველას პატივისცემა დაიმსახურა.

დაჭრილი მეგობრები ამბობდნენ, ცაბაიას ტკბილი ხელი აქვსო. ეჭიმების გამოსვლის შემდეგ უფრო ხშირად იმ პალატაში შედიოდა, სადაც ფეხმოჭრილი წითელარმიელი იწვა. მოწიფული ვაეკაცი სისხლგამშრალი იღო საწოლზე. თვალის უბეები ჩავარდნოდა, ლოყები გაყვითლებოდა. შაშხანის ტყვიას ტერფი დაელეწა. მოყვანისთანავე ფეხი წვივს ქვევით მოუყვითათ, მაგრამ მეორე დღეს განგრენა გასჩენოდა და მთლად მოუშორებიათ ფეხი მუხლს ზემოთ. იგი ახლა შეწუხებული შესტყუროდა ცაბაიას, ხოლო მოხალისე ქალი როგორც საკუთარ ძმას, ისე ველებოდა თავს.

დაჭრილი თავისი ოჯახის ამბავს უყვებოდა, ხოლო ცაბაია საფრონტო გაზეთს უკითხავდა.

— ძალიან კარგი აღამიანი ხართ, ცაბაია, მაგრამ ამ საავადმყოფოში ერთი მეტოქე გყავთ, — ღიმილით მიმართა მას დაჭრილმა.

— მეტოქე?

— დიად, მეტოქე!

— მე არავის არაფერში არ ვეცილები!

— ცუდად ზომ არ ვამიგეთ?

— ჩემთვის, მეგობარო, ყველანი ერთნი ხართ. მე გული თქვენსკენ იმიტომ მომიწევს, რომ, როცა თქვენ გივლით, ასე მგონია, ჩემს ძმას და ჩემს ქმარს ვუვლი მეთქი. ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე ვიბდი ვალს. ბავშვი რომ არ მიშლიდეს ხელს, ფრონტზე წავიდოდი.

— თქვენ სხვანაირად ვაიგეთ ჩემი სიტყვები, — მიუგო დაჭრილმა: — მე ის მინდოდა მეთქვა, რომ ჩვენს პალატაში თქვენსავეთ გულშემატკივარი კიდევ გყავს-მეთქი, ისიც ისე კარგად გვებყრობა, როგორც თქვენ, მაგრამ თქვენს შორის ის განსხვავებაა, რომ თქვენ ქართველი ხართ, ის კი რუსი.

ცაბაიამ გაღიზარება. გულიანად გაეცინა.

— იქნებ ქართველი არა ვარ, რა იცით?

— თბილისში ვყოფილვარ და ქართველს ადვილად გამოვარჩევ სხვებისაგან.

ცაბაიას სიხარული ჩაეწვეთა გულში. თვალწინ თბილისი წარმოუდგა. ალბათ, დიდხანს იქნებოდა ასე გატრუნული, რომ დაჭრილს არ წამოეძახა:

— აი თქვენი მეტოქეც მოვიდა!

ცაბაიამ კარებისაკენ მიიხედა. ახალგაზრდა, ლამაზი, ქერა ქალი შევიდა და დაჭრილთან დადგა.

— გაიცანიოთ, ირინე, ეს ქალი თქვენსავეთ გულისხმიერია.

— რატომ ავზობთ მაგას? — დაირცხენა ცაბაიამ.

ახლად შესულმა ახედ-დახედა ცაბაიას და ხელა გაუწოდა.

— ხომ ჰგავს, ირინე, ეს ქალი ქართველს? — არ ეშვებოდა ახალგაზრდა კაცი. ირინემ ერთხელ კიდევ შეათვალიერა ცაბაიას სახდომიანი სახე.



ომის დროს ფრონტზე ადამიანები ადვილად ეცნობიან და ადვილად ეგუებინან ერთმანეთს. ცაბაია და ირინეც მალე დაუხალოვდნენ ურთიერთს. ორივენი შედეცინის მოხალისე დებად იყვნენ ჩარიცხულნი ჰოსპიტალში. ორივენი დაუხარებლად მუშაობდნენ, არავითარ საქმეს არ გაურბოდნენ.

ერთხელ ცაბაიამ ირინე შინ დაჰპატიჟა სადილად.

— მართალია, ომის გამო აწრიალებული ვართ, მაგრამ შეიძლება ჩვენებური სადილის გაკეთებაც მოვასწრო.

— თქვენებური?

— დიად, ჩვენებური, ქართული.

სალამო იყო უკვე, როცა ცაბაიას ოთახის კარი შეაღეს. იაშა შინ არ დახვდათ. ცაბაიამ ბოდიში მოიხადა სტუმართან და მეზობლისას გავიდა შეილის მოსაყვანად.

ოთახში ცხელოდა. ირინემ ფანჯარა გააღო, წყნარ ოკეანედან საამო წიავე მოჰქროდა, გულმკერდს უგრილებდა, სახეს ელამუნებოდა. ირინემ ცას ახედა. ასედი მშვიდი და მწმენდილი ცა იშვიათია იმ მხარეში. დიდხანს უყურა მან ცაზე ანთებულ ლამპრებს, მერე მეგობრის ოთახი შეათვალიერა. მისი ყურადღება მიიქცევს კედელზე გემოვნებით დაკიდებულმა სურათებმა. ერთი სურათი, რომელიც განმარტობებულად ეკიდა კედელზე, თითქოს იცნო. კარგად რომ დააკვირდა, თვალები გაუფართოვდნენ. უნდოდა წამოეძახა ნაცნობი სახელი, მაგრამ თავი შეიკავა. მივამსგავსე, ალბათო, გულში გაივლო. სურათმა ირინეს საყვარელი მეგობარი სანდრო შოაგონა.

— ჰგავს მხოლოდ, თორემ აქ რა უნდა მის სურათს? — გადასწყვიტა ბოლოს ირინემ, როგორც იყო მოშორდა სურათს და ისევ ფანჯარასთან მივიდა. ამ დროს კარები გაიღო და ოთახში ცაბაია და იაშა შევიდნენ.

— მალე მოვიცილი შენთან სალაპარაკოდ, მანამ კი იაშასთან შეიქცეე თავი, მე სამზარეულოში შევალ, — უთხრა ცაბაიამ.

არ გასულა ხანი, რომ ოთახის კარებთან გაისმა:

— ცაბაია ერშოვა! ცაბაია ერშოვა!

სანამ ირინე წამოდგებოდა, სამზარეულოდან ცაბაია გამოვარდა და კარი გააღო.

— მე ვარ, — და ამ სიტყვებთან ფოსტის დამტარებელმა წერილი გადასცა. ცაბაიამ დახედა თუ არა, წამოიძახა:

— ჩემი პავლიკის წერილია.

აკანკალებული თითებით გახსნა და კითხვას შეუდგა:

„სალამი ცაბაიას და იაშას! როგორა ხართ? ხომ არ მიწყრებით, წერილი რომ

ვერ მოგწერეთ? ჩემს პირობებში მყოფ კაცს, რომელსაც წერილის წერა ხარ-  
ბაზნების ქუხილზე უხდება, ყველაფერი ეპატიება. რა უნდა მოგწეროთ აქ-  
ური ამბების შესახებ! ალბათ, ყველაფერი დაცოცინდება. წერილში  
მივდივართ ხასანის ტბის მიმართულებით. მტერი სეტყვასავით გვიშენს ტყვიას.  
თუმცა წერილის გამოგზავნა დამიყოვნდა, მაგრამ სამაგიეროდ ამ წერილს  
ჩემს დიდ სიხარულს ვატან, რომელიც შენ ჩემზე უფრო მეტად გაგახარებს\*.

— ნეტავი რა უნდა იყოს? — წამოიძახა ცაბაიამ და კითხვა განაგრძო:

„ფრონტზე სანდროს შეგხვდი, ასეულის მეთაურია, მე მისი თანამეგობრე ვარ.  
ახლაც გამოგაერდები? შენ ყველაფერი მოამზადე და წითელ დროშას რომ  
წავატარებდით მაღლობზე, ორივენი ერთად ჩამოვალთ. მამაშენს აცნობე ეს  
ამბავი. ბიჭი ჩამიკოცნე, უთხარი, მამილო ბევრ ვაზნებს მოგიტანს-თქო.  
გკოცნი მრავალჯერ. შენი პავლიკი“.

ცაბაია თვალებს არ უჯერებდა, ოთახში დარბოდა და იძახოდა:

— სანდრო უნახავს, სანდრო უნახავს!

სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ირინეს ეცა და გადაკოცნა. გაოცებულმა  
სტუმარმა ნაცნობი და მახლობელი სახელი რომ გაიგონა, ცაბაიას მიაპყრო  
თვალეები. მასპინძელი კი სულ სანდროს სახელს იმეორებდა.

ირინემ ველარ მოითმინა:

— ვინ სანდროზე ლაპარაკობ?

— ჩემს ძმაზე, ირინე, ჩემს ძმაზე!

— ბოდიში, მაგრამ შენი საკუთარი გვარი არც კი მიკითხავს შენთვის, ცა-  
ბაია...

— ბენდუქიძე.

— ნუ თუ სანდრო ბენდუქიძე, უფროსი ლეიტენანტი, შენი ძმა?

— ჩემი ძმა, მაგრამ შენ საიდან იცნობ?

— ღმერთო ჩემო! — შეკვივლა ირინემ და ცაბაიას გადაეხვია, — ჩემი სან-  
დრო, ჩემი სულის მეგობარი! — იმეორებდა ამ სიტყვებს და ცაბაიას შავრად  
ეხვეოდა, ჰკოცნიდა და ხელიდან არ უშვებდა.

ერშოვის ოჯახი სიხარულით აივსო. ირინე ცაბაიას ოთახში გადასახლდა,  
თითქოს ერთი გული ჩაედგათ, ერთი გრძნობით ცხოვრობენო მეგობრები.

ერთ საღამოს კაცური მოესმათ.

— ვინ არის?

— სანიტარი ვარ, ცაბაია მინდა!

ქალებმა ხმაზე იცნეს უფროსი სანიტარი და მიაძახეს:

— შემოდი, ბიძია, შემოდი!

— ოჰო, კამპანიას გაუმარჯოს! — გახარებული ხმით წარმოსთქვა სანიტარ-  
მა, გაშლილი სუფრა რომ დაინახა.

— რა ამბავია, ბიძია? — იკითხა ცაბაიამ.

— მშვიდობა, შეილებო! ჰოსპიტლის გამგემ გამოგზავნა, ცაბაია მომიყვან-  
ო.

— რალაც ამბავია, ალბათ! — წამოვარდა ზეზე ცაბაია.

— რატომ მოიყვანო, ბიძია? — დაინტერესდა ირინე.

— ყური მოგკარი, ვილაც დაკრძილი მეთაური მოვიდა ფრონტიდან თავისი  
ფეხით. ექიმები გაკვირებულნი არიან, როგორ მოაღწია სხვის დაუხმარებ-  
ლადო.

— მერე, მერე?



— მერე და, როგორც კი დააწვინეს, მაშინვე ჩაეძინა, მაგრამ ვაი ასეთ ძილს: ისეთი სიძვენე მისცა, რომ სულ აზოდებს, გაუგებარ ენაზე ლაპარაკობს. ქირურგმა სათქვა, ქართველი უნდა იყოს, ცაბაია მოიყვანეთო. <sup>ქირურგული</sup> მალე სამივენი ჰოსპიტალში გაჩნდნენ. მისვლისთანავე ცაბაია და ირინე დაქრილთან შეიყვანეს.

როცა ცაბაიამ დაჭრილს სახიდან ზეწარი ახადა, შეშინებულივით წამოიკვილა:

— სანდრო, ძმაო!

ახლა ირინე მივარდა:

— სანდრო, ჩემო სანდრო!

ბურანში მყოფ სანდროს ნაცნობი ხმები ჩაესმა ყურში, თვალები გაახილა, დიდხანს უყურა ქალებს, მერე თითქოს გონს მოვიდაო, უღონოდ აღმოხდა:

— ცაბაია ხარ? აქ რამ მოგიყვანა? — მერე გვერდზე მიიხედა და უფრო აღტაცებული ხმით წამოიძახა: — ირინე, ირინე... ნუ თუ შენც?!

ლონემისხდილმა სანდრომ თვალები ისევ დახუჭა...

რამდენიმე დღის შემდეგ მოლონიერებულმა სანდრომ უთხრა ცაბაიას და ირინეს:

— მგონი მალე ენახავ ჩვენ ბიჭებს. პავლე, ალბათ, უჩემოდ დაამთავრებს სარდლობის ამოცანას.



ოცეულებმა ერშოვის მეთაურობით მხნედ განაგრძეს იერიში.

სულგანაბლნი შეუდგნენ იმ მაღლობს, რომლის თავზედაც მტრის არტილერია იყო მოთავსებული. მოწინააღმდეგემ ძალიან გვიან შენიშნა ასეული. სწრაფად მაშინვე სროლა ასტეხეს. აგრუხუნდნენ ქვემეხები და აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები.

მებრძოლები ვეფხვებივით ეკვეთნენ მტერს, მალე გაფანტეს იგი და მისი არტილერია ხელთ ჩაივდეს.

მაღლობის დაკავების შემდეგ ერშოვმა ბრძოლა დასრულებულად ჩასთვალა და ბრძანება გასცა შეესვენათ და სული მოეთქვათ მებრძოლებს.

მდინარეები და ღელეები ახლა, სიწყნარეში, უფრო ახმაურდნენ. წყნარ ოკეანეს ზღვისპირული ქარიც მოძალებული ხვნეშოდა.

ასეულს ამ მძიმე ოპერაციის შემდეგ ბევრი მებრძოლი დააკლდა: ზოგი მძიმედ იყო დაჭრილი, ზოგი მსუბუქად, ზოგიც სრულებით აღარა გრძნობდა ტკივილს, მწუხარებას და არც იმ მოზღვაებულ სიხარულს, რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ მებრძოლნი მაღლობის განთავისუფლების გამო.

ერშოვის ბრძანებით მაღლობზე აღმართეს ყუმბარის ნატეხებით დაფლეთილი და ტყვიებით დაცხრილული დროშა.

— კვლავ აფრიალდა წითელი დროშა მაღლობზე. გაუმარჯოს ძლევათისილ საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს დიდ სტალინს! — შესძახა მეთაურმა. მას დანარჩენი მებრძოლნი გამოეხმაურნენ და მძლავრი ვუგუნე გრგვინვასაგით მოედვა მაღლობს და მის ფერდობებს.

ზღვისპირულ ქარზე დროშა მრისხანედ შრიალებდა. იგი ხან დადუმდებოდა; ხან მაღლა აწვდილ ტარს ტლაშუნით შემოეხვეოდა, ხან-კი თავის ფართო კალთებს ხასანის ტბისკენ გაშლიდა.

## ღ ე რ ე

ვაგონში ყველას ეძინა.

სიბნელეში ხანგამოშვებით გაიღვებდნენ ხოლმე ფანჯარასთან მიმჯდარი დედის თვალები. დედას არ ეძინა. გულის ჯიბეში დებულა ელა.

— შიშველ არის დაჭრილი, შიშველ არის დაჭრილი! — უხმოდ იმეორებდნენ დედის ბაგეები დებულის ტექსტს. — მივუსწრებ? — ხმამალა წამოიძახა დედამ.

გარშემო მიმოიხედა. ყველას ეძინა.

რატომ აეკვიატა ეს სიტყვა? დებულის მიღებისთანავე შეიჭრა დედის არსებაში და ახლაც თან მისდევდა, თითქოს მატარებელს აედევნა და მის სიჩქარეს აპყვავო.

დედა წამოდგა. ფანჯარაში გაიხედა. მატარებელი რომელიღაც სადგურს უახლოვდებოდა. ჩამწყვიტებული სინათლეები, თითქოს საღდაც მისწრაფიანო, უკან გარბოდნენ.

„მივუსწრებ თუ არა?“ — კვლავ გაუელვა თავში და მატარებელიც შედგა. დედა შეკრთა. ნუ თუ ვერ მოიშორებს თავიდან ამ უცნაურ სიტყვას?

კუთხეში მიჯდა. წარსული გაიხსენა. თავისი მატარა ბიჭიკო თეთრ ჩვრებში გახვეული უჭირავს. წინათ ყველა ჩვილი ულამაზო ეჩვენებოდა. მისი ბიჭიკო კი როგორ აზრიანად მისჩერებია, თითქოს იცის კიდევ, რომ ეს დედაა მისი. აგერ ძილში პირველად გაიცინა ხმამალა მისმა ბიჭიკომ. რადიდი სიხარული გამოიწვია ამ სიტყვამ. ხმამალა კისკისებდა დედა. ყველას უჩვენებდა თავის ბიჭიკოს. აღტაცებით ეუბნებოდა: ნუ თუ ვერ გაიგონეთ, როგორ გაიცინაო.

გავიდა დრო. უკვე დიღია მისი ბიჭიკო. დაბაჯბაჯებს. მაგრამ მამლის ყივილი მაინც აშინებს...

თეთრი სახლის გრძელ ტალანში ფეხაკრეფით მიდის დედა. აქეთ-იქით კარებს ათვალეირებს.

— აი აქ შებრძანდით, — უთხრა მეკარემ.

კარი გააღო. მაგიდასთან მჯდარმა ქალმა დედას შეხედა. როცა გაიგო, ვის დაეძებდა, შეშფოთდა.

— თქვენ მისი დედა ხართ? — შეეკითხა და ფეხზე წამოდგა.

დედამ ქალის თვალებში შიში ამოიკითხა.

— ჩქარა მაჩვენეთ! — შესძახა დედამ.

ქალი მიხვდა, რომ მისი შეშფოთება უადგილო იყო. ორივე ხელი დაუჭირა დედას, წყნარად უთხრა:

— დამშვიდდით, დაბრძანდით. ახლავ მოვიყვან უფროს ექიმს.

ქალი გავიდა. დედას საუკუნედ მოეჩვენა რამდენიმე წამი.

ახალგაზრდა ვაჟკაცი აჩქარებული ნაბიჯით შევიდა ოთახში.

— შეილი უნდა მაჩვენოთ, — შეეგება შემოსულს დედა.

— მძიმედ არის დაჭრილი.

— ცოცხალია? — დედას მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა: *მხეცწრის, გიგლეჩის*  
 ცოცხალს მიუსწიროს შეილის.

კვლავ გრძელ ტალანში მიდის დედა. მანძილი დაუსრულებელი ეჩვენება. კარებთან შედგნენ. ექიმმა კარი გაადო, დედა წინ შეუშვა. ფანჯარასთან საწოლი იდგა. იქვე იჯდა თეთრად ჩაცმული ქალი.

უჩვეულოდ ახმაურდა დედის გული. შეეშინდა, საერთო მყუდროება არ დაერღვია გულის ხმაურს. ორივე ხელი მაგრა მიიძო გულზე. ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა საწოლს.

სითეთრისა და ბინტების მეტს ვერაფერს ხედავდა დედა. მხოლოდ ხელები დაინახა. საბანს შემოდან ედგა. ხელებს დასწვდა. ნაზი, ქალური ხელება ჰქონდა მის ბიჭიკოს. დედის ხელები გამოჰყვა ბიჭს, და გაახსენდა დედას: ტოლები როგორ დასცინოდნენ პატარაობისას.

დედა დაინახა. ათრთოლებული ხმით ჩასძახა:

— მალხაზ, შეილო მალხაზ!

ავადმყოფი თითქოს შეინძრა, თვალები გაახილა. თეთრ ბინტებს შორის გამოჩნდა ორი შავი წერტილი. დედა ხარბად დაამტერდა შეილის თვალებს. ჩამქრალიყვანენ მალხაზის თვალები, შორს უაზროდ გაიყურებოდნენ.

სკამი მიუწიეს დედას. მოწყვეტით დაეშვა. თვალს არ ამორებდა შეილის მკერდს. ეშინოდა, სამუდამოდ არ შეჩერებულყო საბნის სუსტი მოძრაობა. ავადმყოფმა შფოთვა დაიწყო. ექიმმა დედას მკლავი დაუჭირა:

— სჯობს გაბრძანდეთ.

დედამ თვალებში შეხედა და მუდარით უთხრა:

— დავრჩები.

დედამ შეილის ლოგინთან დაიჩოქა. ლოყაზე მიიკრა მისი ხელი, და დედის გული გრძნობდა, როგორ თანდათან ცივდებოდა მალხაზის ხელი.

•  
•

კვლავ თავის ქალაქს უნდა დაუბრუნდეს დედა. სად უნდა წავიდეს? შეილი აქ დასტოვა, თვითონ უნდა წავიდეს ცარიელ სახლში, უნდა დარჩეს მარტოდ-მარტო. იქ მოლოდინის იმედიც კი აღარ ექნება!

ამ ფიქრებით უახლოვდებოდა დედა შეილის ყოფილ საავადმყოფოს: უნდა უკანასკნელად ნახოს ის ოთახი, ის საწოლი, სადაც მისი მალხაზის სიცოცხლე მბეუტავი კელაპტარივით ჩაქრა.

უფროსი ექიმი კარებში შეეფეთა დედას.

— მობრძანდით! — მიიწვია მან თავის ოთახში. ხმის ამოუღებლად დასმდნენ. დედამ პირველმა დაარღვია სიჩუმე:

— მინდა იმ ოთახში შევიდე, სადაც ჩემი მალხაზი იწვა.

ექიმი დედას მიაშტერდა, შემფოთებულმა უთხრა:

— იქ მძიმედ დაჭრილი წევს.

— არ შევაწუხებ.

ექიმი წამოდგა:

— წამობრძანდით!

კარი გაიღო. კვლავ ფანჯარასთან მიდგმული ლოგინი, კვლავ თურქი ჭალი ავადმყოფთან. და დედას მოეჩვენა, თითქოს მისი შვილი იყო, ლოგინზე რომ იწვა.

დედა საწოლს მიუახლოვდა.

— რატომ დედას არ შეატყობინებთ?

— იქნებ არცა ჰყავს დედა, — მოესმა დედას ექიმის სიტყვები.

გააუბრებოდა: იქნებ არცა ჰყავს დედა... რად ჩაეჭიდა დედა ამ სიტყვებს? ავადმყოფთან დაიხარა, ხმამაღლა ჩასძახა:

— შვილო, — უეცრად შეჩერდა: მალხაზო, უნდა წამოეძახა, მაგრამ ვერ მოახერხა, ყელში რაღაც გაეჩხირა.

ავადმყოფმა თვალები გაახილა, ქალს მიაშტერდა:

— დედა! — უეცრად წამოიძახა მან და კვლავ დახუჭა თვალები.

„დედა“, — რა ტკბილი და მახლობელი იყო ეს სიტყვა! დედას კვლავ მოუნდა მუდამ სმენოდა ეს სიტყვა. სიზარულით აევსო გული, დაიხარა, ათრთოლებული ხელებით დასწვდა ავადმყოფის ხელებს და გულში ჩაიკრა.



ერთ თვეზე მეტია, დედა თავგამოდებით უვლის ავადმყოფს. ისინი საყვარელნი და მახლობელნი გახდნენ ერთმანეთისათვის.

აღმოჩნდა, რომ რამაში მალხაზთან ერთად ყოფილა ფრონტზე. ხშირად მოუთხოვრებდა დედას მალხაზის გმირობაზე. დედა სულგანაბული უსმენდა და იგონებდა იმ დროს, როცა მალხაზი ძლივს დაბაჯბაჯებდა, როცა მამლის ყივილი აშინებდა... ასე შეუუმჩნევლად გადიოდა ზამთრის გრძელი ღამეები. აქ დედასა და მეგობარს შორის ცოცხლდებოდა მალხაზი.

— დედა, მე იქ უნდა ვიყო, ამხანაგებს შორის.

დედას ეძახდა რამაში. როგორ გაეხარდა, როცა რამაშიმ უთხრა, დედას დაგიძახებო, არ მახსოვს, ეს სახელი როდისმე წარმომეტქვასო.

— ცოტა კიდევ მოითმინე, მოეწარები იქ წასვლას.

— არა, დედა, უკვე ჯანმრთელად ვარ. ხვალ დილით წავალ. ექიმს წერილს დავუტოვებ.

განთიადი იწყებოდა. ცის ტატნობი წითლად აელვარებოდა. დაცემულ მინდორზე გზა შავად მიიკლავებოდა. გარშემო არავინ იყო. გზაზე მხოლოდ ორი მიაბიჯებდა. დედა და რამაში.

შედგნენ.

დედამ გულში ჩაიკრა რამაში. რამაში ეხუტებოდა საყვარელ ადამიანს:

— ნუ სტირი, დედა, მალე დავბრუნდები.

დიდხანს, დიდხანს იდგა დედა, მისჩერებოდა შავად გაწოლილ გზაზე შიშვალ ერთადერთ მგზავრს. მისი თოფის ლულა დილის სხივებზე ელვარებდა. და კვლავ მოლოდინი იქ, სახლში, მოლოდინის ტკბილი წუთები...

— შვილო, შვილო! — ჩუმად იმეორებდა დედა.

ვერავენ გაიგებდა, ვის ეკუთვნოდა ეს მიმართვა — დაკარგულ შვილს თუ მიმავალს.



# დიდი მოუკავი<sup>\*)</sup>

## მოქმედება მისამი

თბილისი, სასახლე... დარბაზი ნაირი მორთულობით. სცენის სიღრმეში შაჰაბასი ზის ტახტზე, ერთი მხრით დვას გიორგი სააკაძე თავისი მზღებლებით, ხოლო მეორეს მხრივ ყარჩიხაი-ხან და ჯანგერდი. უკან ემირები და ხანები. ქაიხოსრო, სვიმონ, ფარსადან, ანდუჯფარ და სხვა დიდებულნი ყვენიან ფერხთა წინაშე დამზობილან მორჩილების ნიშნად, ხოლო აშული დვას, უკრავს სასს და მღერის.

აშული — აი, ბალამ, ბაა... ლაააააამ...

ბულბული ვარდზე დამღერის ბალამ,  
 ვარდს სხვა ბულბულებიც უმღერიან...  
 ტირის იადონი თავის ზეაშიადს გულამოყვენისით,  
 ეკლიანია შირაზის ვარდი ბალამ.  
 ბაღში ნაირი ყვავილნი ფერადობენ,  
 წითელი მიხაკი და თეთრი ზამბახი ბალამ,  
 მაგრამ ირანი თითონ სამოთხეა —  
 ეშხიანია შირაზის ვარდი ბალამ.  
 ვისაც არასდროს არა ყვარებია,  
 იმან რა იცის სოფლის ნეტარება ბალამ.  
 უგულოს — გულს მატებს, ლაჩარს ავაუკაცებს,  
 სიყვარულია შირაზის ვარდი ბალამ!

(აშული სიმღერას გაათავებს. შაჰაბასი ფულს გადაუგდებს)

შაჰაბასი — ყარჩიხაი-ხან! როგორ ამბობს ჩვენი თქმულება დუშმანებზე: მოვიდა იგი, კაცი ვინმე წარჩინებული და იავარყო...

ყარჩიხაი-ხან — დიად, მბრძანებელო, ეგრე იწყება, როგორც მახსოვს: მოვიდა იგი, კაცი ვინმე წარჩინებული და იავარყო მოშურნენი...

შაჰაბასი — ვუბრძანებ ქართლის დიდებულებს: ყველა ციხე-სიმაგრე ირანის საზღვართან რომ დღესვე მიწასთან გაასწორონ. აგრეთვე ვბრძანებ: ხვალ, შშის ჩასვლამდე ნიშნად მოწურ მორჩილებისა ოცი ათასი მარჩილი ვადასკენ ჩემს უზბაშებს ზაზინის შესავსებად. ვინც წინ აღუდგეს ამ ბრძანებას: სასტიკად დაისაჯოს!

ანდუჯფარ — (დაჩოქილი) ძლიერო მფლობელო ირანისავე, პირადად ჩემო მფარველო და მწყალობელო ჩვენ, ქართლის დიდებულებს, ამეამად მხოლოდ ერთი სურვილი გვასულდგმულებს: გვინდა გაგეგოთ ირანის ლომს /ფეხქვეშ ფიანდაზად, რომ მარად მზად ვიყოთ თქვენდა სამსახურად!

დიდებულნი — თქვენდა სამსახურად, მეფეთ-მეფეო, მხოლოდ და მხოლოდ თქვენდა სამსახურად.

\*) იხ. „მნათობი“, № 6.

ანდუყაფარ — თუ რამ შეგცოდნეთ, გვაბატე... ფიცსა ვლებთ წაკიცეს, რომ დაშვებული უნებლო შეცოდებანი — ისევე ჩვენი ერთგულებით გამოსწორდება.

დიდებულნი — გამოსწორდება, ხელმწიფეო, გამოსწორდება.

ანდუყაფარ — აი, ხომ გესმის წრფელი დღაღი დიდებულთა! მოიღმობიერე გული შენი, დიღო ხელმწიფეო, და სიკეთე შენი ჩვენზე მოიღე მოწყალებად.

დიდებულნი — გთხოვთ, ხელმწიფეო, გვედარებით ერთგულნი შენის შაჰაბასი — ხედავ, ყარჩიხან, როგორ ვაგვეგო მტერი ფეჩქეში!

ყარჩიხაი-ხან — და არც არასდროს შემუქლება ბასრი მახვილის ბრწყინვალუბა ირანის მპყრობელისა.

შაჰაბასი — სულ რამდენი ტყვე მოასხეს კახეთიდან ჩვენმა უზბაშებმა?

ყარჩიხაი-ხან — მარჯვედ ვერ ყოფილან, მზეო ირანისავ... მხოლოდ ორი ათასი კომლი აუყრიათ.

შაჰაბასი — ისინიც ვაგზავნეთ მაზანდარანში.

ყარჩიხაი-ხან — უკვე შზად ვახლავს ქარავანი, ჩემო მბრძანებელო.

შაჰაბასი — მოურაე-ბეგ!

სააკაძე — აქ ვახლავარ, როგორც მთვარესთან მუღმივთან მყოლი მცირე ვარსკვლავი — დიღო მფლობელო ირანისავ!

შაჰაბასი — ლაშქარი შეამზადე! ვინც აგვიანებს: მისთვის მეგლისში აღგილი არ არის... ვინც ბევრს ყოყმანობს: მისი საშველი არ არის, რადგან ასე გვასწავლის მაჰმადი მართლმორწმუნეთ: ყოველივე მოისაზრე და ყოველივე ცხად ჰქავ გონიერ მოქმედებით.

შააკაძე — დიდ არს ალლაჰი, ხელმწიფეო, თქვენი ბრძანება ჩემთვის კანონია!

შაჰაბასი — წყალობა ჩემი ისე სწრაფია, როგორც ისარი ჩემი კაპარქისა... დაპყრობილ ქვეყნების ერთი ნაწილი შენთვის მიჩუქნია!..

სააკაძე — მადლობას გიძღვნი, წრფელი გულისგან ნაკარანახევს... ის ქვეყნები მე მხოლოდ შენთვის დამიბყრია, მეფეთ-მეფეო!.. ინდოეთის რაჯები, არაბთა შეიხები, ავღანთ ხანები — ყველანი შენს ფერხთაწინაშე თავდაბლობენ და ქედს უხრიან ირანის მზესა მორჩილებით.

ყენი — დიხ, ყველანი ქედს იხრიან... მაგრამ ვაი, რომ გულს ერთი ნაღველი მიანიც არ ასვენებს!..

სააკაძე — რა ნაღველი გაქვთ ეგეთი, ხელმწიფეთა-ხელმწიფეო?

ყენი — გიორგი მეფე, ლიხს გადაღმა იმერეთისა... მე მას ქართლ-კახეთის მეფეთა გამოგზავნას ვეაღებ, ვუთვლი და ვემუქრები... ის კიდეც უარზედ დგას და ლუთაიებით ოინაზობს. დამცინის კიდეც კორტოხის მბრძანებელი: მეფენი სტუმრადა მყვანან და ვერ დავითხოვო. მუსრიო საჭირო, იმერეთისკენ გალაშქრება.

სააკაძე — კეთილად იტყვის ბაგე ცხებულის ზეცისაგან. ღირსნი არიან აოხრების, მაგრამ ელჩებს რომ დავუცდიდეთ — ეს კი აჯობებს. მოუთმინეთ, მეფეთ-მეფეო, შადიმანის ჩამოსვლას, რაკი შადიმანს ნაცისრი აქვს იმერეთიდან ლუარსაბის გაღმოყვანა, — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ — აუცილებლად გაღმოყვანს.

ყენი — ალლაჰ! აგსრულდებოდეს კეთილად ეგ გუმანი, გულის რჩეულო!



სააკაძე — ნება დამრთევით, ხელმწიფეო, დროებით დატოვოთ. სხვადასხვა სასწრაფო საქმენი მიმელიან, ყველგან ჯანყი და ღალატი, ათასი თვალი, ათასი ყური მკვირდება, რომ ერთგულად გემსახურდნენ.

შაჰაბასი — წაღი, იფხიზლე მეგობრისთვის, რადგან მაჰმადი გვასწავლობს მართლმორწმუნეთ: ხე ნაყოფით გამოიციანობის და კაცი მოქმედებით.

სააკაძე — შართალსა ბრძანებ, ხელმწიფეთა-ხელმწიფეო! გამომყე, ზურაბ! (სააკაძე მისი მზღებლებით მიდის).

შაჰაბასი — ყარჩიხაი-ხან!

ყარჩიხაი-ხან — მიბრძანე, მზეო ირანისაე!

შაჰაბასი — უხმეთ მთხვევლთა და მოშაირეთ. იქნების ნადველი გამოფანტონ!

ყარჩიხაი-ხან — ეხლავ, მბრძანებლო! თქვენც, დერვიშებო, სანამ მგონები მოვიდოდნენ — გაართეთ თქვენი მბრძანებელი (იწყება დერვიშთა ცეკვა. ნახევრად შიშველი დერვიშები ცეკვავენ მწყობრად და ხანჯლით თამაშობენ. შემოდის ირანელი მგოსანი. შაჰაბასს თავს დაუკრავს, მოწიწებით მიეახლება და ხელზე აკოცებს. შემდეგ მიმართავს ხელაპყრობით).

აი, მოველ მე, შენს წინაშე ქედმოდრეკილი, გიბრძანებია, რომ შეგკადრო სალამი ძმური. ნუ გამიწყრები, მბრძანებლო, ასწონ-დასწონე და თუ დაგიჯდეს, ჩემს საუბარს დაუგდე ყური.

ჩვენ ამ ქვეყანას ამის გარდა კვლავ ვერ ვიხილავთ, ვეღარ შევხედებით კვლავ სუფრაზე მეგობრებს ლხენით, მაშ ნუ გაუშვებ იმ წუთიერ სიამოვნებას, რომელსაც შემდეგ შენ ვერასდროს მისწვდები ხელით.

სიკვდილის ისარს სულერთია ვერ გაეჭევი, მეფე და გლახა მის წინაშე თანაბარ დგანან. თუ ლხენისათვის დაიბადე — იცხოვრე ლხენით, სხვა დანარჩენი: ამათა თვითონ ქვეყანა.

ჩვენ სულ მცირე დრო დაგვინიშნეს აქ ყოფნისათვის: იგემე, რაც გაქვს, და ნუ ეტრფი შორეულ ჩვალეს. სიყვარულისა და ბადაგის საესე კიქები დასცალე, თორემ მის დაცლამდე დახუჭავ თვალებს.

როს ფხიზელი ვართ, არაფერი ჩვენ არ გვაბარებს, და როცა მთვრალი — გული ეშხის სიმებზე მღერის, მაგრამ სიფხიზლეს და სიმთვრალეს შორის არს წუთი და სწორედ იგი არის ჩვენთვის სუყველაფერი.

იფიქრე კარგად, ქვეყანაზე თუ რისთვის მოხველ, ცოცხალი არსის დასასრული კედომია მხოლოდ: დაღვე, თუ არა, სულერთია, — დანიშნულ დროზე ის მოვა შენთან, რომ უეცრად მოგიდოს ბოლო!

თავს ნუ იტყუებ, რომ ეგვიპტის ხარ დამპყრობელი, თუნდ მთელ მსოფლიოს მბრძანებელი — მაინც ეგ ბოლო შენი და ჩემი ერთი არის: — სამი წყრთა ტილუკინულნი და ერთი პეშვი შავი მიწის მიგყვება მხოლოდ...  
 და ერთი პეშვი შავი მიწის მიგყვება მხოლოდ...  
 და ერთი პეშვი შავი მიწის მიგყვება მხოლოდ...

მაშ ნუ გაკვირვებს მორკმულობა არაფრის მთქმელი, გვირგვინი, ოქრო და ეს ტახტი ნაქედი თვალთ. შენამდე ბევრი ბედნიერი მგდარა ზედ მთვრალი, მაგრამ დღეს ქოტი მის ნანგრევზე ზის და ქვითინებს, ეგ ერთადერთი ნატამალთა ჭირისუფალი.

შ ა პ ა ბ ა ს ი — გააგდეთ! აწ აღარ ნახოს თვალმან ჩემმან ეგ მაწანწალა! დამ შეიღების მაგიერ უფრო ამიშალა ფიქრები მრავალგვარი (მგოსანს გააგდებენ. შემოდის გუშავი, ყარჩიხაი-ხანს ყურში წასჩურჩულებს, შემდეგ ის შაჰთან მიდის და მოახსენებს)

ყ ა რ ჩ ი ხ ა ი - ხ ა ნ — შადიმან მოგეახლათ იმერეთიდან, ქვეყნის მბრძანებელი შ ა პ ა ბ ა ს ი — სთხოვე მობრძანდეს დიდებულთ უპირველესი! (შემოდის შადიმან მხლებლებით)

შ ა დ ი მ ა ნ — ძლივს, მბრძანებელი ირანისაჲ! ძლივს შევესრულე თქვენი გთილი დაეალება. თუმცა თეიმურაზ ვერაფრით დაეაჯერე, მაგრამ ლუარსაბ ფიცს ენდო და წამოსვლა გადასწყვიტა. ახლა აქ არის, მოგეახლა თავის ამალით: ქართლის დიდება, მეფე ჩვენი გვირგვინოსანი.

შ ა პ ა ბ ა ს ი — დიდება ალლაჰს! შენს სიკეთეს არასდროს დაევიწყებ, შადიმან. უბრძანეთ საარდლებს, ემირებო, აშალონ ლაშქარი, რომ სულ ყველანი აღლუმზე გამოვიდნენ. მსურს გურჯისტანის მეფეს შესაფერი დიდებით მივეგებო.

(შაჰაბასი ტახტიდან წამოდგება. ისმის მისასალმებელი მუსიკა. მცხრე ხნის ჩაბნელების შემდეგ, იმავე ადგილას შაჰაბასი და ლუარსაბი სხედან ტახტრევაზე. იქვე ახლოს დგას შადიმან და კრიალოსანს მარცვლავს).

შ ა პ ა ბ ა ს ი — მეტად კარგი ქენ, რომ გადმოხველ. იმედი მაქვს, სანანებლად არ გაგიხდება ეს ნაბიჯი, ძეო სასურველი!

ლ უ ა რ ს ა ბ — არც ვნანობ, მზეო ირანისაჲ!

შ ა პ ა ბ ა ს ი — თუ დადლილი ხარ, არ შეგაწყენ...

ლ უ ა რ ს ა ბ — არა, მზის შვილო, არ ვგრძნობ დადლს!

შ ა პ ა ბ ა ს ი — მრავალჯის ელჩი გამოგზავნე, ფიცის წიგნიც კი გაახლე... მაინც ვერ შევსძელ შენი დარწმუნება... ვითარ გაცივლე გუნებაში, თითქოს მე მქონდეს რამე მზაკერობა გულში შენზე! ეგრე ტანადსა, აღვის ზის მსგავსსა ტურთა ყრმასა, ვით წაგანდენდი უმოწყალოდ!

ლ უ ა რ ს ა ბ — არ ვღირსვარ ქებას, მნათობო ირანისაჲ!

შ ა პ ა ბ ა ს ი — მე გული შენზე დამიყრდნია... შენ კი უნდობლად გამიბიზხარი.. ცრემლს ვერ ვიკაეებ, ასე როგორ უნდა აიყარო გული ჩემზე! ზომ დაინახე, ვახეთს როგორ სასტიკად მოვექეცი, თეიმურაზის ქვეყანას? მაგრამ ქართლს არ ვახდენ, მე ივრ შენთვის შემინახავს.

ლუარსაბ — შევედი, მაღალო მოყვარეო, არ ვლისვარ სათნო შეწყალებას.

შაპაბასი — უთხარ, შადიმან, უთხარ, რამდენი ვიტირე, <sup>ჩრდის მჭყვთა</sup> გაქცევის ამბავი მომიტანეს!

შადიმან — ვგრე იყო, მეფეო, ცხარე ცრემლებით ტიროდა ირანის მბრძანებელი... სწყევლიდა თეიმურაზს და ტიროდა შენთვის გულსაკლავად.

შაპაბასი — ამიერიდან შენ მეტი შორსმკვრეტელობა შეგფერის, ჩემო მოყვარეო, როგორც გონიერ გვირგვინოსანს!

ლუარსაბ — შენს სამსახურად, მეფეთ-მეფეო!

შაპაბასი — რას ჩააცივდით შეინვარეთის კეისარს! ვანა თეთრი ხელშეიფე ჩემზე უფრო დააფასებს ქართლის ერთგულებას?

ლუარსაბ — სჯული, ყენო, სარწმუნოება ერთი გვაქვს, ბერძნული, ჩვენც და მყინვარეთსაც!

შაპაბასი — სისულელეა! ვანა არ ხედავ, ჩრდილოეთი როგორ მოზობდავს სამხრეთისაკენ! მოგორავს შხისკენ, სითბოსაკენ... იჭერს ქვეყნებს და იმორჩილებს... უნდა ჩაიკეტოს დარიალი, გზა მოეჭრას მყინვარეთს სამუდამოდ! ეგ თუ მოხდება, ვფიცავ მაჰმადს — კმაყოფილი დარჩება ჩემი შეგობრობით.

ლუარსაბ — ახლაც კმაყოფილი ვარ, შხის შვილო, თქვენი მასპინძლობით.

შაპაბასი — როგორ თუ ჩემი მასპინძლობით! ვანა მე სტუმარი არა ვარ ჩემი ძვირფასი ცოლის ძმისა?

ლუარსაბ — არა, ყენო, თქვენ ძალად მოსული სტუმარი ხართ და ამავე დროს მპყრობელი ჩემი სამეფოსიც.

შაპაბასი — ეგ რა სთქვი, ჩემო სასურველო, მე სტუმარი ვარ შენი, შენ კი მოყვარე, ჩემი მასპინძელი!

ლუარსაბ — მაშ, თუ ეგრეა, მომეცი თავისუფლება, მომეცი ნება, სადაც მიინდა იქ ვიარო და, როგორც მნებავს, ისე ვიმოქმედო!

შაპაბასი — ეგ არ იქნება.

ლუარსაბ — მაშ ტყვე ვყოფილვარ!

შაპაბასი — ტყვე როგორა ხარ! ჩემს ცოლის ძმას თავის სახლში ტყვეობა როგორ ეთქმის? მხოლოდ ამას გთხოვ, რჯული შეიცვალო; იწამე მაჰმადი, შეფედ დაგსვამ და დღესვე გაგიცლები.

ლუარსაბ — სარწმუნოებას გადავუღებ?

შაპაბასი — თუ პაპაშენმა, დიდმა სვიმონმა სჯული შეიცვალა, მე ვფიქრობ, შენც არაფერი წაგიხდება; დიდ არს ალლაჰი და მაჰმადია მისი წინასწარმეტყველი.

ლუარსაბ — ხალხს ვუღალატო?

შაპაბასი — სად არის ხალხი? თავს რად იტყუებ, მეფეო! ხალხი, მიწაზე გართმული, პატიებას მევედრება... თავადები კი ერთმანეთს ეცილებიან ჩემი წყალობის მისაღებად... მინდა, ბედსა გწევ, მინდა, არაზად გადაგაქცევ!

შადიმან — რას იზამ, მეფეო, სხვა გზა არ არის ენლა ჩვენთვის, ისევე ირანის გამგებელს უნდა დავეუჯეროთ.

ლუარსაბ — არასოდეს!

შაპაბასი — როგორ? არ გჯერა ჩემი გულწრფელობის?

ლუარსაბ — არ ხარ სარწმუნო! შევეცი მოსკლას და ვნახობ კრძალს.

შაქაბასი — მამ ხელს არ იღებ მყინვარეთზე?

ერეკნული  
ნიკოლოზი

ლუარსაბ — არასოდეს.

შაქაბასი — არც ისლამს ირწმუნებ?

ლუარსაბ — არასოდეს... მოვა რუსეთი, ცეცხლით და მახვილით შევსრავს ურჯულელებს და განიხარებენ ყოველნი ერნი ქრისტიანნი...

შაქაბასი — ქართლის მეფენი საბატო სიკვდილით კვდებოდნენ ბრძოლის ველზე, შენ კი ასეთი სიკვდილის ღირსიც არა ხარ, უგუნურო! გამოეთხოვე შენს სამეფოს... ურჩ თავს სიკვდილი გაასწორებს! (განრისხებული ყვენი მიდის).

ლუარსაბ — ხედავ, შადიმან, ჩემო ძვირფასო შადიმან... ჩემი აღსასრულის ეამა ჩამორეკა! შე უკვე ტყვე ვარ შაქაბასის.

შადიმან — ხომ ვსთქვი, მეფეო, ძლიერი მტერი საშიშია. უნდა დაგეთმო ყვენი სათვის. დათმობა წაგებას როდი ნიშნავს. ძლიერი ლომიც უკან იხტვს, როცა შეატყობს, რომ გზა შეუტრეს და შეტევას ანებებს თავსა... შენც ასე უნდა გემოქმედნა.

ლუარსაბ — არა, შადიმან, ჩემს ღმერთს და ხალხს ვერ ვუღალატე! წადი, უთხარი მოვიდნენ ჩემი მოკეთენი. — უთხარ მოვიდნენ და ცოცხალი გამომიტრონ.

შადიმან — ვაი ამ ყოფას, მეფეო, ვაი საწუთროს გაწბილებულს... წავალ და ეხლავ მოვიყვან ქირისუფალთ... მიდის. ლუარსაბ ფარდას გადასწევს, გამოჩნდება საგვარეულო სამლოცველო კუთხე. მოხდის გვირგვინს, ხმალს და სამეფო პორფირს, დაიჩოქებს ხატების წინ და დაიწყებს ლოცვას).

ლუარსაბ — ღვთის მშობელო, წმინდაო დედაო მარიამ და შენც უფალო იესო ქრისტე, ღმერთო მაცხოვარო! შენ უწყი, რამეთუ არა ვარ ღირსი წახდენისა და მაინც ვიღუბები. მეყავ მეოხედ, ყოველად მაღალო სახიერო, დამიავ ყოველგვარ მზაკერულ ცდუნებისაგან, რომ არ შედრკეს გონებაი ჩემი და არ განვეშორო შენს სიყვარულს და სჯულის მცნებას... მეყავ მეოხედ, ო, ძლიერო ძეო უფლისაო! (თანდათანობით შემოდიან დიდებულნი, სასულიერო ბირნი და მოტირალნი... ლუარსაბ ლოცულობს. შემდეგ მიმართავს მოსულთ) მოდიო, დიდებულნო, მობრძანდიო, სულიერო მამებო, იტირეთ, ჩემნო მოკეთენო! იყო ქვეყანა და აღარ არის, გყავდათ მეფე და აწ აღარ გეყოლებათ... მაზიარე, ყოველად სამღვდელოვ, კურთხევა შენი გამატანე სამარადისო.

ქათალიკოსი — იყავ მშვიდობით, ღირსო შეილო! გიწყალოს უფალო... სიმართლემან შენმან გიოხოს წამების დროს... ერი შენი მტირალია შენი უბედობით. იტირეთ, მჭილებო, იტირეთ ქვეყანა, იტირეთ ხელმწიფე თქვენი წამებული!

მოტირალნი — ვაი, ჩვენს ღუბჭირ სასოებას, უბედურ მეფეს... ვაი, ქვეყანას აოხრებულს! (შემოდის სააკაძე)

საკაძე — ეს რა გოდება გაგიმართავთ, დიდებულნო! რას მოასწავებს ასეთი უბედური სალამი?...

შადიმან — აჰა, მოვიდა ის, ვინც თავის გულზვიადობას მეფეც და ხალხიც ანაცვალა. აწ მაინც დასცხრი, გაიხარე მოშურნობით.



ანდუყაფარ — რა პირით მოხველ, მუხანათო?

სვიმონ — სთქვი, რა სინდისმა მოგიყვანა?

სააკაძე — სწორედ სინდისმა მომიყვანა, რადგან, ქვეყანა, ცხოველებს გლოვობს თავის თავს და საყვარელ მეფეს, მეფეს, რომელსაც წირა და თვითონ თავიც დაიღუპა.

მოტირალნი — ვაი ჩვენს ყოფას, ვაი ჩვენს იმედს, ვაი საწუთროს გაზბილებულს.

ლუარსაბ — იტირეთ ისე, ვით ტიროდით, მოყვანო ჩემო, ვიდრე თვალთაგან ცრემლთა მდინარე არ შეწყდება... შენ კი რად ტირი, სატანაილის მოციქულო, ეგ ცბიერების წყალია, თუ შედიღურ გულიდან ცრემლი მონადენი?

სააკაძე — ნუ გიკვირს, მეფეო, თუ რად ვტირი! მტერმა მოსტაცა ქვეყანას აღუდგენელი სიმდიდრე, ბრძენთა გონიერება და ერს პატიოსანი გვირგვინი, დღეს აღარ არის ჩვენი მზე და იგი ხელმწიფე, რომელიც უნდა წინ გვიძლიადეს გორგასლანურად. იტირეთ, ძენო, ობლად დაჩინილნო მამისაგან!

ლუარსაბ — ახლა რად ტირი? ხომ ხედავ, როგორ დაქცეულვარი შენმა სიკეთემ, ასე, ამგვარად ამაყვავა!

სააკაძე — რაზედ შეგშურდა, მეფეო, საქართველოს ჰაერი ჩემთვის? რა იქნებოდა, მეც მექამა ლუკმა პური ჩემს ქვეყანაში? შენ თვითონ იცი, აქ რომ გყოლოდი, შენ ესლა ტყვე არ იქნებოდი! ან თქვენ რას ფიქრობთ, თქვენ, მტირალნო ნათესაენო ქართლოსიანნო! შესაყრებულს სახლო ივერიელთა! ტაძარო სულ მთლად დაქცეულო! ნუ თუ ტირილით მარტოოდენ უშველით საქმეს!

ლუარსაბ — პასუხს შენ აგებ, მუხანათო, მხოლოდ შენ, რადგან შენმა სიამაყემ დაღუპა შენი ერი..

სააკაძე — არა, მეფეო, ჩემი სიამაყე პირველად ჩემი სიმართლე იყო და მეორედ ქვეყნის სამსახური! სთქვი, რა გაწყენინა დღღოფალმა თეკლემ? რად მოსტაცე დიდება სააკაძის ოჯახს? რად აღიღე ჩემი და შენს უმაღლეს ტახტზე და თუ აღიღე, რად დაამიწე და დაქვრივე უბედური?

ლუარსაბ — შენი ბრალია, მუხანათო. შენ მეფობა გინდოდა, იმას კი, რა ვიცი, იქნებ არაფერიც არ ელო ცული ვუნებაში და მსხვერპლია უბედური... მაგრამ შორხა, დღეიდან აღარა ვართ მე და შენ ბატონ-ყმანი... მე ტყვე ვარ, შენ კი ფარ-ხმალი შენი სამშობლოს დამტყვევისი წყუთლიმც იყოს, ვინც თავის მეფე საფათერაყოდ გაიმეტა!

სააკაძე — ვიყო წყუელი, თუ ბრალი მედოს მანდ მცირედი... მინდოდა სამი სამეფოს და ოთხი სამთავროს მფლობელი გამეხადე, შემექმნა ლაშქარი, ბაზინა გამეგესო განძეულით, შემეკრა ერი გათიშული, მრავალსმლიანი და ამის შემდეგ რაღა ფარსაგი წაგვანდნდა? ქართველთა ძლევაშობილების ხმა გრიგალივით გაიკრებოდა კასპიის ზღვიდან პონტოს ზღვიმდე შენი სახელის სადიდებლად... ეს ყოველივე შემეძლო მე! ფეიცავ ზეცას, შევძლებდი მეთქი დაქადებულის შესრულებას, მაგრამ შენ თვითონ არ ინებე. შადიმანს აყვე და ის არის კიდევ გიღებს ბოლოს მუხანათურად!

შადიმან — ღმერთო მალალო, ვითარ ითმენ ერთი კაცისგან ესოდენ კიცხვას დიდებულთა... მოპკითხე ცოდვა, მიანიჭე რისხვა ცისათა, რომ შენდა გამოხად არ იძროდეს მისი ბაგენი.

სააკაძე — აი, შადიმან, შენი ხმალი ერთხელაც არ გამოგეხმოს მხეპლასათვის ქარქაშიდან, შენმა ენამ კი ლამის ქვეყანა დააქციოს!

შადიმან — არა, ეგ ოინი აღარ გაგიყა, დაქადებულო ვაქაცო, სუყველამ ვიცით, რისთვის მოხველ... ეს უკანასკნელი წუთები გინდა ჩავგიმწარო..

ლუარსაბ — ბარემ გამოდი, რაღას უცდი, ბოროტო შეილო, დამკარი ხმალი და მომარჩინე. ხმალი შენი მაინც განთქმულია მტარკალობით.

სააკაძე — ნუ მგმობ, მეფეო... თუ მზის სხივს შეუძლია მთის ანკარა წყარო აამღეროს, მაშინ ეს გულიც შერყენილი ყოფილა. აი, ახლა მზად ვარ, მომეცი ხელი, ჩამომაშორე გზიდან შადიმანი თავისი დასით და კვლავ დაგადგამ თავზე გვირგვინს, ახდილს მტრისაგან!

ლუარსაბ — არასოდეს!

სააკაძე — უკანასკნელად გვედრები, ჩემო ხელმწიფეო, თავს ნუ იღუპავი ხსენი თავი და სამშობლო დაღუპვისაგან!

ლუარსაბ — ჩემე წუთები დათვლილია. დე, ჩემი სისხლი ჩემმა ერმა წმინდა ზვარაკად შეიწიროს.

სააკაძე — რად გოდებ, მეფეო, ეგრე რად სტირი გულმდღულარედ! რად აიყარე იმედის იარაღი? რად გვიხაროდა შენი ხელმწიფედ ცხებულუბა, თუ გონიერ თავს ასე უღონოდ დაიღებდი! რად გინდოდა სახელმწიფო პორფირი, თუ მის მაგიერ დასამიწებელ სუღარას მოიხვევდი! რად გეჭირა სკიპტრა მპყრობელობის — თუ კი მის მპყრობელსა ხელსა გულზე დაიკრეფდი! რად გერტყა ხმალი, სურამის თმში დაფერილი, თუ კი ეგრე უბრალოდ შეიხსნიდი! ეგრე უქმად რად გიწყევია ეგ ძლიერი ხელები? რად ატირებ ეგრე მდღულარედ ჭირისუფალთ, ერს და ეკლესიას? ნუ თუ იმ ბედნიერი დროის კალთები უკვე აგეხადა, რომელიც თამარმა დაგვიტოვა, და რომელიც დღემდე მტერს სიცოცხლეს უჩრდილებდა? ნუ, ხელმწიფეო, გვედრები, იბრუნე გუბი და ჩემი თხოვნა შეასრულე!

ლუარსაბ — არასოდეს!

სააკაძე — კარგი, ეგრე იყოს! აგერ ყენიც მობრძანდება თავის ამალით! (შემოდის ზურაბ) ზურაბ, საით აპირებს ირანის მობრძანებელი?!

ზურაბ — ეტყობა, ცული ამბავი მოვიდა ირანიდან. ამაღა შეკყარა და მიდის ისაპანში. (შემოდის შაპი ამალით).

სააკაძე — რატომ ეგრე ისწრაფვით, ხელმწიფეთა-ხელმწიფეო, ირანში გამგზავრებას?

ყენი — შენგან დაპყრობილი ავღანთ ტომები თავს აღარ მიდებს საბატონოდ. მივდივარ, ჩემი იქ ყოფნა უფრო საჭიროა... თქვენ კი აქ გტოვებთ, შენ და ზურაბს, ყარჩინაი-ხანს დაეხმარეთ. ქართლ-კახეთი აყარეთ და ირანში გამოგზავნეთ... დარწმუნებული ვარ, თქვენ შეასრულებთ ჩემს დავალებას!

ზურაბ — ეგრემც იქნება, მალალო მფლობელო ირანისაგ!



- სააკაძე — ჩემს სისასტიკეს საზღვარი არ ექნება... ნურაფერს გამოიტყუებ, ყველა... დიდათ გულნატყევი ვარ ქართველებზე.
- ვეენი — ვიცი... შურისძიების დრო ახლა გავეს და მოიხმარე... შენმა ნათესავებმა ირანში იმყოფება, შენი შეუღლებ იქ არი, ზურაბ... იმართებს ნელა... დებთ, ისინი დიდ პატივში შეყოლებიან... (ყარჩინაი-ხანს ჩუმად) თვალი გეჭიროს მოურავზე... თუ რამ შენიშნო, შემატყობინე სასწრაფოდ ისპაჰანში.
- (რამდენიმე შეიარაღებული პირნი შაჰის ამალიდან ლუარსაბს გარს შემოერთებიათ. შაჰაბასი მიდის თავისი ამალით, სააკაძე, ყარჩინაი-ხანი და ზურაბი ამაღას გაჰყვებიან).
- ლურსაბ — მშვიდობით, ქართლო, მშვიდობით, დიდებულნო... აწ ველარ განახათ თქვენი მეფე პატივყარილი... ჩემმა წამებამ იქნება ქვეყანას სიკეთე მოუტანოს... აჰა, მივდივარ განწირული... მოიხსენიეთ ჩემი სული და ილოცეთ ჩემთა ცოდვათა მოსატყეველად. მშვიდობით, ჩემო შადიმან! (გუშაგებს გაჰყავთ ლუარსაბი. ისმის ზარების რეკა. ყველანი ძირს დაემხოებიან).
- კათალიკოსი — იტირეთ, შეილებო, იტირეთ ფერცხალი დიდებისა, ილოცეთ მეფე წამებული საწუთროისგან და შეიყვარეთ მისი საქმენი საჩინონი.
- მოტირალნი — ვაი ჩვენს ყოფას, ვაი ჩვენს იმედს, ვაი ქვეყანას აოხრებულს.

## სურათი მეორე

მღვიმის მონასტრის ეზო. მონასტრის კედელზე ამოტიფრულია ღვთისმშობლისა და მცხოვრის სახე. ძაძით და არდავით დაბურულ ტალავებზე დალაგებულია მეფე ლუარსაბის ტანისამოსი და სამეფო ნიშნები. მონასტრიდან მოისმის ზარების რეკა და ნელი სავალობელი, ხალხი დაღონებული და მწუხარე სახით მისჩერებია შადიმანს, რომელიც ჩუმად დასტრის მეფე ლუარსაბის სახსოვრებს.

ფარსადან — კარგი, გეყოფა, შადიმან, რაკი ეკლესიამ წმინდანად ჩარიცხა ჩვენი ლუარსაბი, ახლა უკვე დრო არის, წავილოთ ეს წმინდანაწილები და მონასტერში დავასვენოთ.

შადიმან — შენს ღმერთს გაფიცებ, ცოტათი კიდევ დამაცადეთ. ეს ლადამრჩენია ჩემი გაზრდილი მეფისაგან სასუგეშოდ. ეს სახსოვრები უნდა ვიტვირო მარადეამს გულის საოხებლად... წყეულომც იყოს ის, ვინც ჩვენი დიდი იმედი ასეთ ზვედრისთვის გაიმეტა!..

ქაიხოსრო — იყოს წყეული, რისხოს ღმერთმა, ნუ გაახარებს ზეციერი! შადიმან — მოურავს ჰკითხე, ზეციერო, იმისი ცოდვა, რისზე ვერავი მოსისხარი!

ზაზა — კარგი, შადიმან, თუ მეფეს ეტირით, შენმა მზემ, მეფე დავიტიროთ. მოურავს თაფი დანებე!

შადიმან — მაშ, ეს ცრემლები ვის ეკუთვნის, თუ არა იმას, ვინც ქვეყნისათვის თავი დასდო დაუნანებლად! წინ მიდგას მისი ნაწილები და არ ვიტვირო? აი, ეს თაჯი! მას თავს ეხურა ეს ძვირფასი მოკაზმულობით, ახლა სადღაა ეს თავი! ზელთ ეპყრა ფირუზ-მარგალიტით მოოჭვილი

სდგრო და ფაენი! სადღაა ახლა ეგ ხელები? აი, ეს კაბა, უცხო მოსასხამი ბიერილიონით და საფირონით ფრიად მოხატულუკანასკნელუკარებადა, როცა გასეირნებას ინებებდა! როგორ შევნოდე ქრწიყყუფუფელი მიმოტანა ამ სიასამურის მოსასხამში! ვაი ჩვენს დღეს, როგორ არ უნდა ვტიროდეთ ასეთი მეფის მოშორებას!

ფარსადან — ჭეშმარიტად, ის მეფე იყო, თვით ზეცისგან მირონცხებულ!

შადიმან — მერე რა მეფე, მეგობრებო! ჯერ ქართლში დედას ისეთი გმირი არ უშვია... აგერ ზაზა და ამას კითხეთ: სურამის ომში თათარხანს რა დღე დააწია! შეილწართმეული ლომი ისე ვერ ეკვეთება თავის თავდამსხმელს, როგორც მან ერთმა შეამტვრია თათრის ურდონი — ქინკველებივით მოსეული! თქვენ ტირით, ძმებო? ისიც ტიროდა, როცა თავის შშობელ ქვეყანას ეთხოვებოდა სამუდამოდ... დეთაებრივ თვალმს სდიოდა ცრემლი მღუღარებით... და მერე ვინგან შეიმუსრა ის უბედური? მოურავისგან. ის არის ჩვენი მესაფლავე, რომლის ხელითაც შაჰაბაზ ყველას გვანადგურებს.

ზაზა — როგორ? მოურავს ბრალად ვდებთ ჩვენ ხელმწიფის სისხლსა და შენ, რომელმაც გადმოგვარე იგი შაჰაბაზს იმერეთიდან ერთი ხალხის გულისათვის, — თავს უბრალოდ გრძნობ?

შადიმან — ღმერთო, მიხსენ მე, დამიფარე, ყოვლად ძლიერო, — ბოროტი კაცის ენისაგან... ქვეყანამ იცის, რომ მოურავის შთაგონებით ჩვენი ხელმწიფე ირანის ლომმა წუთისისოფელს გამოასალმა.

ზაზა — სტყუი, შადიმან, ამას ღმერთი არ გააბატებს.

შადიმან — გრცხვენოდეს, ციციშვილო, რომ მოურავს ექომაგები. დიდგვაროვანთა ნაშიერი მაინც არ იყო!

ზაზა — ნუ თუ ბედისწერამ ასე გადასწყვიტა, თავის მოამაგეს სამშობლო სწყველიდეს! მაშინ სიმართლედ სადღა არის, ვისღა უნდა დაუფასდეს ამაგი, როცა გულმრუდობას ყოველ ნაბიჯზე ვაკანონებთ. მორჩა, დიდებულნო, ამიერიდან მე თქვენს შორის ნულა მიგულებთ. მე მოურავთან მივდივარ და იქ გამოჩნდება, ვის როგორ ეწვის ჯიგარი სამშობლოს სიყვარულით! (მიდის)

შადიმან — ჯანდაბას იქითაც ვზა გქონია! (ფარსადან იქერს)

ფარსადან — შესდექი, ზაზა, შესდექი, ჩემო სახლიკაცო. ასე დაუფიქრებლად ნუ გადადგამ ამ საბედისწერო ნაბიჯს ცხოვრებაში.

ზაზა — ხელი გამიშვი! ჩვენ სხვადასხვაგვარად გვესმის, ფარსადან, ქვეყნის სიყვარული და ვინც გულმრუდედ ემსახუროს თავის სამშობლოს — ის კიდევ ღმერთმა შეარცხენოს! (გადას)

სვიმონ — ამაზე მეტი შეიძლება შეარცხენა კიდევ?! ქვეყნის დამქცევსა მხარს აძლევდნე მეგობრობისა, და ქვეყნის ერთგულთ გაურბოდნე! ფუ, დასწყველის ზეციერი!

ქაიხოსრო — დაგვლუპავს, ვეფო, დაგვლუპავს ეშმაკეული და ეგ არის! (შემოდის თეკლე მონაზვნის ტანსაცმელით)

შადიმან — ეს ვინ არი?

ფარსადან — თეკლეა, ჩვენი დედოფალი!

შადიმან — (მიეგება) როგორ ბრძანდებით, დედოფალო, რატომ გამოხველით წმინდა სავანედან?



საბჭოთა  
საქართველო

თეკლე — შენ ვინა ხარ, ეგრე ცივად რომ მეკითხები?

შადიმან — ეგ მე ვარ, უბედური შენი შადიმან.

თეკლე — არა, შადიმან შენ არა ხარ... შენ პატიოსანი დური.

შადიმან — მაგას რათ ბრძანებთ, დედოფალო, ვანა შადიმან ამ დამცირების ღირსი არის?!

ფარეში — გთხოვთ, დედოფალო, წამობრძანდეთ თქვენს სავანეში!

თეკლე — არ მომეკარო, უბედურო... ჩემი სავანე იქ არის, სადაც ჩემი ლუარსაბის წმინდა ნაწილები ასვენია. რას შემომცქერით? ვანა არ შეიძლება, ჩემი მეფე რომ დავეტირო?! აი, ეს დროა, ჩემი ხელით მაქვს მონაქარგი... აი, ის ქისაც, ის ფილაც, მე რომ პირველად მოგიძღვენი, ჩემო მეფე, ჩემო ძვირფასო სახსოვარო... ეს მე ვარ, ჩემო სასურველო... შენი თეკლე გიხმობ და გეძახი მწუხარებით. იქნებ მანდ მაინც ვაიგონო ჩემი ხმა ნადვლიანი... შენს სახსოვრებს დავსტირი უბედური... რად აყოენებ მოსვლას? მითხარ, სად მყევხარ, სად ვიბოვო შენი სავანე! რომელ მღვიმეში მოგიძიო, რომელ ნაბრალში მოგიინახულო! ცაში ახვალ, — თან უნდა წამოგყვე, ზღვაში ჩახვალ, — შიგ ჩამოგდექვს ქვესკნელამდე... არსად გაგიშვებ, არსად გავეყრები... ჩემო სასურველო, ჩემო წამებულო, ჩემო ქვეყნისგან მოძულებულო ნათელი მეფე მეფეთ შორის!  
(შემოდის სვიმონ)

სვიმონ — დიდებულნო, ვაი ჩვენი თვალების დაბნელებას, რას მოვესწარი ამ ჯოჯოხეთს... იწყება, დიდებულნო, იწყება ქვეყნის აოხრება..

შადიმან — რა იყო, სვიმონ? სთქვი, რა ამბავი მოიტანე?

სვიმონ — დაიწყეს, შადიმან, დაიწყეს სოფლების აყრა ირანში წასახმელად. ხალხი მთისაკენ გარბის, მაგრამ გზები სუყველგან შეკრულია, მოურავის კაცები დგანან ბლიკებზე და არავის უშვებენ გასახიზნად.

ფარსადან — აი წყველი მუხანათი! რომ აღარ გვინდობს, ეგ ცხადია, ძირ-ფესვიანად ამოგვიღებს ეგ სამაგელი.

შადიმან — ნუ ღელავ, ფარსადან, სწორედ ესლა საჭირო მიშველება, ესლა გემართებს სიმტკიცე და მოჭირნახულე თავის გამოდება. დავასვენოთ ეს წმინდა ნაწილები მონასტრის სავანეში, და მყისვე მარტყოფს გავეშუროთ ყარჩიხაი-ხანთან... შესთხოვეთ ყველამ, რომ ხალხის ნაცვლად ოქრო და ვერცხლს დაგვყაბულდეს. აბა, მომყვიოთ, მე მჯერა, ბრძივი ყარაამული ოქროს აიღებს და საჭართველო გადარჩება... (ისმის ზარების რეკა, ოთხი დიდებული აიღებს ტალავერს, დროშებს დაიხრებიან და ნელი საგალობელი მიაცილებს ლუარსაბის სახსოვრებს მონასტრის სავანეში).

### მოკმელება მიოთხა

მღვიმის მონასტრის ეზო. ისმის ზარების რეკა. მონაზვნები მიდიან სალოცავად. შემოდის საკაძე, პაპუნა და ხოსიტა.

საკაძე — რა პქენ, პაპუნა, ჩემი ბრძანება ხომ სუყველას შეატყობინე?

პაპუნა — ყველას, ბატონო. მზის ჩასვლამდე მოვლენ შეთქმულთა მეთაურნი.

ს ა ა კ ა ძ ე — ისიც ხომ უთხარი, სად უნდა შეიკრიბონ?!

პ ა პ უ ნ ა — რაღა თქმა უნდა... აჰ, მღვინის მონასტრის ვეზიში დაგვიბარე.

ხ ო ს ი ტ ა — ვიღაცა მოდის ჩვენკენ, მოურავო!

გ. შ. კ. ე. ლ. ი.

(ვაძინდება ქალი მონაზვნის ტანსაცმელით).

ს ა ა კ ა ძ ე — ნეტავ ვინ არის ეგ შავებში ეგრე გახვეული! დედაო, შავოსა-  
ნო, ვინა ხარ შენ?

თ ე კ ლ ე — ველარ შიციანი? ან რას მიცნობ, ელდა-მწუხარებამ სულ  
მღლად გამომცვალა. შენც გამოცვლილხარ, უბედურო, გატეხილხარ,  
თმაში ქალარა გავრევი.

ს ა ა კ ა ძ ე — ვინა ხარ მეთქი, აღარ იტყვი?

თ ე კ ლ ე — არ მომეკარო. სჯობდა შენახე შადიმანის მახვილით მკედარი,  
ვიდრე შემკული ურჯულოთა ტანსაბურველით. შორს ჩემგან, ჩემი  
ქმრის უღვთოდ დამღუპველი!

ს ა ა კ ა ძ ე — ო, დაო ჩემო, ეს შენა ხარ, ჩემო ანგელოზო?

პ ა პ უ ნ ა — თეკლე!

ხ ო ს ი ტ ა — დედოფალო!

თ ე კ ლ ე — ჰო, შე ვარ, თეკლე... ღვთისგან წყეულო ძმია ჩემო!

ს ა ა კ ა ძ ე — ჩემო ძვირფასო, ჩემო გაწამებულო და ცოცხლად წაწყმედილო  
დაო ჩემო! მე დაგლუბე შენ, მე ჩავდეშ შენს ცოდვაში. მაშ, შორს  
ჩემგან გულის სიღრმემდე საქულველო ტანსაბურავო!.. (მოიხდის  
ჩალმას და ხალათს გადააგდებს, რჩება ქართულ ტანსაცმელში) ეგ  
ბტრების ტანსაცმელი მხოლოდ საშუალება იყო მიზნის მისაღწევად,  
გულით და სულით მე ისევ ქართველი ვარ და მალე დადგება ის  
დრო, როდესაც შენ ჩემით დიდად იამაყებ!

თ ე კ ლ ე — გიორგი!

პ ა პ უ ნ ა — ერწმუნე, დედოფალო. შენი ძმა ქვეყნის ერთგულია, მისი  
მოკეთე!

ხ ო ს ი ტ ა — და ჩვენც მასთან ვართ შეფიცულნი სიკვდილის დღემდე. (მაპუ-  
ნა და ხოსიტა ორივე გაიხდიან ხალათს და გადააგდებენ)

თ ე კ ლ ე — ძმაო! გიორგი! ჩემს თვალში შენ ისევ ხელახლა დაიბადე, შენ  
ეხლა ისევ გიორგი ხარ, ძველი გიორგი! (მივარდება და გადაეხვევა  
მოურავს)

ს ა ა კ ა ძ ე — ო, უბედურო დაო ჩემო, როგორ მაწუხებს შენი ბედი! სადღაა  
ის ძველი დრო, როცა შენ ჰყვარი ნოსტეში უზრუნველად! სადღაა  
ნოსტევი, სადღაა ჩემი საქართველო!

თ ე კ ლ ე — აღარ არის! ისე აღარ არის, როგორც საწყალი დედაშენი. სულ  
შენს ხსენებაში იყო უბედური სიკვდილის წუთებში. ვერ აიტანა მწუ-  
ხარება, ძნელი ასატანი ყოფილა მეფის რისხვა და ქვეყნის აოხრება!

ს ა ა კ ა ძ ე — ო, საბრალო დედაჩემო! ნეტავი იმ დროს სასთუმალთან მაინც  
გყოლოდი... გული მეჯერა, ტირილით გაემძღარიყავ. ეს, ჩემი ბრაღია  
ყოველივე; სუველა ქვეყნის გულისთვის გაგამეტეთ, ქვეყანამ კი ეგრე  
გადამიზადა! მეჯერა არაფერია, ღმერთი გადაუხდის ლუარსაბს, ღმერთი  
მოკითხავს ჩვენი წახდენის მძიმე ცოდვას!

- თეკლე — ნუ, გიორგი, თუ ძმობა გწამს, ცუდად ნუ ახსენებ ჩემს ღვაწლსაბს... რა ვუყოთ, რომ არ ინებო ჩემი დედოფლობა, თავს გვირგვინი ამხადა უკადრისად, მე მაინც მას ვლოცულობ, სენაკში ჩაკეტილი...  
სააკაძე — როგორ! შენ გული კიდევ დაგრჩენია იმ შენს დამღუპველზე?  
თეკლე — რა ვქნა, ძმაო, მებრალემა ის უბედურე... ის თვით არ იყო დამნაშავე...  
სააკაძე — წმინდაო არსებაე, კეთილო სულო, ქვეყნად ტანჯვისთვის გაჩენილო!  
პაპუნა — ო, დედოფალო! ეს წმინდა სული რომ კიდევ შეგრჩენია... მსურს თავყანი ვსცე შენს მწუხარებას!  
თეკლე — პაპუნა! მოდი აქ ჩემთან, უბედურეო!  
პაპუნა — გახლავარ, ჩემო დედოფალო! (კალთაზე ეამბორება).  
თეკლე — შენდა სატანჯველად, პაპუნა, შენდა სატანჯველად გაგრჩენილვარ ქვეყანაზედ... მაგრამ არ არის ჩემი ბრალი...  
პაპუნა — ღმერთია გულთამხილავი, დედოფალო, შენ თვით არავინ წარგამტყუნებს!  
თეკლე — ჩემო ძმაო, ჩემო წამებულო და უღარესად ტანჯულო ძმაო! წარსულის ამბავს რომ ვიგონებ, ცეცხლი მეკიდება. ბედნიერი ვიქნებოდით, მაგრამ ვანგებამ არ ინება!  
პაპუნა — მიბატიებია, დედოფალო, შენი დაკარგვა ქვეყნის სიყვარულზე გადავიტანე... ღმერთია მოწმე, გულში მაინც შენ ენთე ლამპარით... მისი შუქი ყოველთვის გზას მინათებდა და გაჭირვების სასტიკ რკალიდან გამოეყავდი.  
თეკლე — აგერ მოდიან... მშვიდობით, გიორგი, მშვიდობით, ჩემო პაპუნა, მივალ მონასტერში, სენაკში ჩაიკეტები და თქვენი საქმის გამარჯვების გულისთვის ვილოცებ გულმხურვალედ.  
(პაპუნა თეკლეს გააცილებს, შემოდის ელია)  
ელია — მოვიდა, გიორგი, ზურაბ ერისთავი მოვიდა საფურცლედან.  
(შემოდის ზურაბი)  
ზურაბ — სად ხარ, გიორგი! რამდენი ხანია დადგებ. ყარჩიხაც გიცდის, საფურცლეში უკვე იწყება მუხრანის ველიდან ხალხის აყრა და წიოკობა!  
სააკაძე — იწყება კიდევ? ო, ის ჯალათი ყარამფილი! აბა, გაბედოს, უმაღ ჩემის ხმლით ჩავაძაღლებ!  
ზურაბ — ეგ რა სთქვი, გიორგი!..  
სააკაძე — დღეს, ზურაბ, დღეს გამოჩნდება ჩვენი ვაეკაცობა, ჩვენი მამულის სიყვარული. ხომ გაიგონე, ხომ შეიგნე ყენის გეგმები, მსურთ გააუქმონ საქართველო!  
ზურაბ — თუ კი-ეგრეა, რას ვუყურებთ, ეხლაც რამე გზა გამოვნახოთ.  
სააკაძე — გზა ერთი არის, ჩემო ზურაბ, ერთადერთი და საიმედო. ან უნდა ვიხსნათ მე და შენ ქვეყანა, ან მის სახელთან ბრძოლაში დავიღუპოთ! ამოიჩინე, რომელიც გიჯობდეს!  
ზურაბ — ღვაწლით შემოსილო წმინდაო ესტატე, ეს რა მწარე და შავი ხვედრი გამიმზადე!  
სააკაძე — როგორ, ყოყმანობ? ეხლა ფიქრის დრო აღარ არის. იმ იარაღით, რომელსაც მე შაჰინშაჰის ოქროთი ვიძენდი და ვგზავნიდი სამშობლოში — მარტო თავგასულ თავადების დასჯა როდი მსურდა,

არამედ მეტი: თვით დიდი შაპის შავი გეგმა უნდა მომესალო, რომ მით დამეხსნა განწირული სამშობლო ჩემი.

ზურაბ — თუ გულს ეგ გედო, იქ რად არ მიიხარ, შე უნდა ირანში ცოლს არ დაეტოვებდი!

საკაძე — იქ თუ არ გითხარ, ამის მიზეზი სიფრთხილე იყო, ჩემო ზურაბ, ყენი ივეს აიღებდა, როდესაც მძევლებზე დაეწყებდით ლაპარაკს. განა არ იცი, რამდენი ჰეშეგი და მსტოვარი ჰყავს შაჰაბასს სუყველგან მოფენილი! მაშინ არ ითქმოდა და არ გითხარ, ახლა შეიძლება და პირდაპირ გიცხადებ: უნდა აღმართო შენი მახვილი!

ზურაბ — ვერა, გიორგი, ვერ ჩავდგები ჩემი ანნას ცოდვაში, რა წამს ჩემს ღალატს გაიგებს ირანის მბრძანებელი, საწყალ ქალს თავს ტანიდან განაშორებს!

საკაძე — გრცხვენოდეს, ზურაბ, ერთი ადამიანის სიყვარულს გინდა ანაცვალო ნამაგდარი სამშობლო ქვეყანა! განა ჩემი იმედი, ჩემი სიყრმის მზე, ჩემი პაატა ნაკლებ მიყვარს და ნაკლებ მიღირს? მაგრამ ხომ ხედავ, ქვეყნისთვის დამითმია! პირდაღებულ აფთარს ხახაში მივეცი ჩასაყლაპად! მე ჩემი შეილი, ჩემი ჯიგარი გავიმეტე. შენ, შენი ცოლი უნდა დასთმო... ქვეყანა დიდია, ჩემო ზურაბ, ანნა და პაატა ქვეყანას ვერ შობენ, ქვეყანა კი ბევრ მათ სანაცვალს გაამრავლებს.

ზურაბი — ნუ, გიორგი, ეგრე ნუ მირჩევ, განა არ ხედავ, ქვეყნის წყალობით როგორ ყელამდე ავსებულვარ?!!

საკაძე — როგორ! განა შენს ქვეყანაზე მეტად გიღირს ეს წარჩინების ნიშნები? ამაზე სცელი შენს ნამაგდარ სამშობლო ქვეყანას? მერე რა არის ამ ნიშნებზე გამოხატული! (გულიდან მოაგლეჯს) აბა, დახედე: ირანის ღომი, ბასრით ხელში, შენი სამშობლოს დამქცეველი... გრცხვენოდეს, ზურაბ! ხალხის საცოდაობას ხედავ და ღონისძიებას არ ხმარობ, შენი ქვეყნის დაღუპვის ჟამმა დაჰკრა და ფარ-ხმალს არ იღებ! ფუ მავ ვაჟკაცობას! ამიერიდან შენც შეგარცხვინოს ღმერთმა და შენი ხმალიც!

ზურაბ — შესდექ, გიორგი! ნუ მირცხვენ ხმალს და ვაჟკაცობას, შენ თვითონ იცი, თუ რა კვეთა აქვს ჩემს ბასრ მახვილს!

საკაძე — დიახ, ვიცი და იმიტომ გთხოვე დახმარება... შენ კი ერთი დიაცის გულისათვის ქვეყანას ღალატობ! მაგრამ შენ უნდა იცოდე, ზურაბ, რომ საქმე არც ისე ცუდად მაქვს დაწყებული გუშინ კათალიკოსს და წილკნელ მირმინოზს გავენდევით... ჯარი მზადდება სიღუმლოდ. მალე მეფე თეიმურაზიც აქ შეყოლება... შენ ცოლს ნუ დარდობ, მე შენ ლეილას, ან თვით ჩვენი მეფე თეიმურაზის ქალს შეგერთავ ცოლად!

ზურაბ — დარეჯანს! თეიმურაზ მეფის ქალიშვილსა?

საკაძე — დიახ, ქართლ-კახეთის თვალსაჩინო სიძე ვახდები.

ზურაბ — თი, შენ, ღმერთო სახიერო! ეგ რა საშინელი გამოცდის წინაშე დამაყენე!

საკაძე — ნუღარ ყოყმანობ, ცოლი თუ ქვეყანა, — აირჩიე, რომელი უფრო გემეტება?!!

ზურაბ — რაკი ქვეყანა საფრთხეშია, ისევე სამშობლოს ენაცვალს ჩემი სიცოცხლე!



სააკაძე — ეგრე, ზურაბ, რაკი ხმალს იღებ, გასწი შენს საეშომში და საჩქაროდ შეკრიბე არავეღლი... ფრთხილად იყავი, არავეღლიც არაფერი წამოგდეს! ხომ იცი, საიდუმლო საქმეში კედლებსაც აკურავთ? ახსიფთაბა, გასწი და გადმოაფრინე შთიდან არწივები! (ზურაბი მიდის)... ო, ღმერთო ჩემო! ასე როგორ დაჯინდა ქვეყანა! ასე როგორ დაეცა სულით და ხორციტ, რომ მისი გადარჩენის გულისთვის აღარავის უნდა თავი შეიწუხოს! ნუ თუ, სიმდიდრისა და პატივის უბრალო გრძობამ უნდა დაჩრდილოს ყველაფერი? მაგრამ ეს რა არის, ეს იდუმალი ხმა რომ არ მასვენებს!.. დღე და ღამ ყურში ჩამჩურჩულებს, მეძახის: იხსენ ქვეყანაო! ნუთუ მეც მჭირდება შეგონება? საიდანა ხარ, ნეტარო დაღდეზა, ეგრე სასტიკად რომ შევალე? შე ყველაფერს გაეფაცოებ, რასაც კი შესძლებს მკლავი ჩემი და გასწვდება გონება ჩემი. ან კი ვის უნდა დავამადლო ქვეყნის სამსახური. მაგრამ ტახტისას ნურას მტყვი... სულს მკმუნვარევი, მომსვენე, ნუ მეძალები და ცდუნებისკენ ნუ მაქეზებ. კვერთხი უფლების ჯერ ჩემთვის არ გამოჰქვდილა და არც არასდროს იქნება ის, მაშ, რაღად ამბობ: აიღეო? რად უნდა მოვსტაცო ბაგრატივნებს სამეფო გვირგვინი? შენ მაინც ძლიერი ხარ: სადავითოვო სახლო, მეფე დავითის მიერ დადგენილი სახლო, თამარის მიერ გაშუქებულ სახლო... რა ვუყოთ, რომ აღარ არის ლუარსაბ, ისევ თეიმურაზს დაფუძახებ იმერეთიდან: დე, იმან ზიდოს საქე ქვეყნის მპყრობელობისა.

(შემოდინ ელია და ხოსიტა)

ელია — როგორ არის, გიორგი, ნუთუ ჩვენთან აღარ იქნება ზურაბ არაგვის ერისთავი?

სააკაძე — ჩვენთან იქნება... ხომ შეიპყართ ანდუყადარ?

ელია — გუშინ წინ ღამით არშის ციხეში ჩავამწყვდიეთ.

სააკაძე — მარჯვედ ყოფილხართ... კარგად ხომ ჩაკეტეთ გორის მბრძანებელი?

ელია — დიდებულად... უკეთესად აღმასის თვალს ვერ ჩაკეტავს ძუნწი განჯინაში.

სააკაძე — ეგრე ეკადრება, წავიდეს ახლა და ყენის ურდოებს მხარი მისცეს ქვეყნის დაქცევაში.

ხოსიტა — რა საჭირო იყო, მოურავო, დატყვევება? ჯობდა მოგვეცლა ის წუნკალი, ჩემმა მზემ, ასე აჯობებდა!

სააკაძე — ამას შემდეგში გაიგებთ! (შემოდის სარიდან)

სარიდან — ხალხმა შეკრება დაიწყო, მოურავო! უკვე მოვიდნენ მხედართმთავრები კახეთიდან, ზევსურთა უბუცესი დუშეთიდან, გორიდან რჩეულნი მოლაშქრენი... ყველანი შენს ხილვასა ნატრულობენ!

სააკაძე — სთხოვე მობრძანდნენ!

(შემოდინ: ჯანდიერი, ედიშერ ვაჩნაძე, და სხვ. მოლაშქრენი. მოურავი წინ მიეგებება)

ჯანდიერი — დადგა ჟამი, შენგან მსხვერპლს ითხოვს სამშობლო შენი, მოურავო!

ედიშერ — დიდო სარდალო, საქართველოს სული გაეალებს: დაიცვა ხალხი, ან მასთან ერთად განადგურდე!

- სააკაძე — დიდება მის სახელს მომეციტ ნება ორთავეს გულს გეამბო-  
როთ!
- ჯანდიერი — შენმა კაცებმა ყველაფერი გვიამბო, შენმა წყნარმა ხმალი  
ავილია ურჯულოს წინააღმდეგ?  
შინაღმართი
- სააკაძე — და არც ჩაიგება იგი, ვიდრე ქართლის მიწაზე მტერი ითა-  
რეშებს!
- ჯანდიერი — ეგრე, ეგრე, შენი კურობევის გულსათვის!
- ედიშერი — ქვეყანას, შენს გარდა, პატრონი აღარა ჰყავს, მოურავო, ლუარ-  
საბ აღარ არის, ბოლო თეიმურაზ ლიხს გადაღმა იმერეთს იმალება...  
აილე ფარი, ჩაფხუტი იგი უძლეველი თავზე დაიდგი და გზა მახვილით  
გაგვიკვლი!
- ჯანდიერი — ხომ ხედავ სოფლებს ცეცხლ-მოღებულს, ბაღებს და ბაღ-  
ჩებს დაღწილებს... წყეულებს იყოს, ვინც ეგეთი ტანჯვა ხალხს თავ-  
ზე რისხვად დაატეხა.
- სააკაძე — ამინ! იყოს წყეული ზეცისაგან!.. სასტიკმა ბედმა ეგეთი უძ-  
ლეველი ხელით დახლართა ჩვენი გზები... მაგრამ აწ განგება გახლავთ  
მპყრობელი ჩემი სულის და ზრახვებისა... მომეციტ მხარი, გამოიყვანეთ  
მხედრობა დარანტული და სამაგიეროდ მიიღეთ ჩემგან ჩემი ხმალი,  
ჩემი სიცოცხლე!
- ჯანდიერი — გაკურთხოს ღმერთმა, შეილო ჩემო, სიმართლე შენთანაა,  
შენთან იქნება შენი ხალხი, შენი ქვეყანა...
- სააკაძე — თუ იქნება, ჩემი თავიც ქვეყნისთვის შემოწირავს... და თუ არ  
იქნება, მარტოც რომ დავრჩე — მაშინაც არ დაცხრება ჩემი ხმალი.
- ხმები — რას ბრძანებთ! ყველანი აედგებით, მოურავო!  
— თავს არ დავზოგავთ მამულისთვის!  
— ოღონდ სამშობლო დაიხსენი!
- სააკაძე — ხალხის ნება და ერის ხმა — ღვთის ხმად მოისმის, ჩემო ძმებო,  
ამიტომ პირდაპირ ვეუბნებთ: თოკის ორი წვერი მომიცია თქვენთვის,  
ქართველებო: მტრისაგან ჩვენი თელვის და მამულის გამოხსნის ორი  
წვერი: რომელს აირჩევთ ამ ორში, ვაყაყებო?
- ხმები — სიკვდილს, ქვეყნისთვის თავდადებას.  
— ყვეს რისხვა და დარღებალა!
- სააკაძე — ეგრეც იქნება, ჩემო ძმებო, რაღა ხმალი ავიღე, იგი უსისხლოდ  
აღარ ჩაიგება. ამიტომ... საქმეზე გადავიდეთ: შენ, ჩემო დავით, ჩემი  
ცალთვალა არწიეო, მყისვე წახვალ და სიღნაღს გაამაგრებ... ყიზილბა-  
შების ნაწილს იქ გამოვგზავნი ჩასახოცად და შენ იცი, როგორ მასპინძ-  
ლად დაუხვდები... შენ კი, ედიშერი, წახვალ და მფევე, თეიმურაზს მომ-  
ყვან გონიიდან — ხარება დილით მარტყოფში გელოდები... იქ უნდა  
მოხდეს ყათლანი ყიზილბაშთა. არ დაგაეიწყდეს, ხარება დილით გელო-  
დებით, ჩემო ედიშერი!
- ედიშერი — იხარე მარად მაგ ნუგეშიან სიტყვებისთვის!
- სააკაძე — შენ კი, სარიდან, ახლავე გაფრინდი ირანში შურდულივით,  
იხელ შაჰაბასს და პირველად ჩემი სალაში გადაეცი. შემდეგ მიულოცი  
ქართლ-კახეთის აყრა და აოხრება... კარგად ჩაავიდე ჩემი მრისხანება  
და ისიც დაუმატე: რომ მალე შენი ერთგული მოურავი-ბეგ ყველა  
ქართველთ ირანში მოგირეცს-თქო.

პაპუნა — იცი, გიორგი, დრო ეხლა გვაქვს და მოვიხმართო, მაღიან მარდის და ანდუყაფარიც ჩვენს ხელთ არის... რაღა გვაბრკოლებს, ერთი დავე-  
როით და ქვეყანა მოისვენებს!

სააკაძე — ეხ, ჩემო პაპუნა, ისეც ბევრი სისხლი დაიღვარა ქართველების,  
მას აღარ უნდა მიმატება! (შემოდის ელია) ეს რა ხმა არის, ელია?

ელია — მოდიან, გიორგი, ზაზა ციციშვილის რაზმები მოდიან დანიშნულ  
პაემანზე (მოისმის შორეული სიმღერა)

სააკაძე — ოხ, ღმერთო ჩემო! ო, ამ ნეტარ ხმებს სანუგეშოს!.. ხედავ,  
პაპუნა, გული ამიჩუყდა... აღარა, უკვე აღარ დაიღუპება საქართველო.  
(ახლოვდება სიმღერა. პატარა ხნის შემდეგ სცენაზე შემოიჭრება ზაზა  
თავისი რაზმელებით. სააკაძეს გადაეხვევა)

ზაზა — მზად არის, მოურავო, აგერ, ეს ხუთასი ხმალიც უკვე შევეგროვე...  
შენს ნიშანს ველით, მზად ვართ, გაგვიძებ მტრების სამუსრაველ!

ხმები — საქრისტიანოს გაუმარჯოს!

— მოურავს ჭაუმარჯოს!

— ჩვენს მამას და პატრონს გაუმარჯოს!

სააკაძე — ეგრე, მეგობრებო, ჩვენს მტკიცე რწმენას გაუმარჯოს! ბურუს-  
წყვილიანი ნუ გამინებთ... აი ხვალ, დაპყრავს რიყრაყი, შემოფანტავს  
ჭარი ნისლს მთაზე და ივერიის მრავალტანჯულ კრიალა ცაზე შზე დი-  
დებულო გაიფლებს... დიად, საოცრად გაიფლებს... შემდეგ კი ეგ შზე  
აღარ უნდა ჩავიდეს არასოდეს!

(ისმის ზარების რეკა. გამოაქვთ დროშები. რაზმელები მღერიან: „ქარ-  
თველო, ხელი ხმალს იყარ!“)

### სურათი მეორე

მარტყოფი. ბანაკი, სადაც დგას ყიზილბაშთა ლაშქარი. წინა ხედში სააკაძის კარავია.

სააკაძე — მაშ, კმაყოფილია, სარიდან, შაჰინშაჰი თავის ერთგული მოუ-  
რავ-ბეგის სამსახურით?

სარიდან — კმაყოფილია, მოურავო. ექვიც კი არ შესდის შენს ერთგულე-  
ბაში. დიდსა და ძვირფას საჩუქრებს ამზადებს ოგი შენთვის.

სააკაძე — სხვა რა ამბავია ისპაჰანში, ჩემი შვილი, პაატა არ გინახავს?

სარიდან — როგორ არ ვნახე, სულ შენ გიგონებს უბედური.

სააკაძე — ფირმანი რამე ხომ არაფერი მოგიტანია ირანის მბრძანებლი-  
საგან?

სარიდან — სრულიად არაფერი, ბატონო.

სააკაძე — მაშ ასე... დღეს ან არასოდეს. ხვალ, მზის ამოსვლისას დაპყ-  
რავს ნაღარა და ჩემი ხალხი მტრის ურდოებს თავგანწირულად ეკვეთე-  
ბა. შეილო პაატა, აწ ვერ გიხილავ, შეილო, ვერასოდეს. რად არ დაიქცა  
ის დღე, რა დღესაც შენ დედაშენს მუცელში ჩაესახე. განა არ გიჯობ-  
და, რომ სრულიად არ შობილიყავ ქვეყანაზე, რა უბედურ ვარსკვლავე-  
ზე ყოფილხარ, შეილო, შობილი უბედურ დედისაგან. შორს, უცხო მხა-  
რეს, ვინ იცი, როგორ იტანაგება. იქნება მწყველი მე უბედურს, მაგრამ  
ნუ, შეილო, შენმა სიკვდილმა შენი სამშობლო უნდა იხსნას დაღუპვი-  
საგან. (შემოდის ყარჩიხაი-ხან)

- ყარჩიხაი-ხან — რაღა ხარ, გიორგი, ეგრე უფუნებოდ? ამიღახვარის მოტაცებამ ეგრე როგორ დაგაღონა? წამოდი ჩემთან, ჩემს კრავში მეტბალოსია... ღვინო, ქმანჩა, აშუღები, წამოდი რაღა, ქვეყნეფესკუტრებისაც კი ვიშოვნი, აი ისეთებს, მაჰმადი რომ პირღებუ. *ქართლშიორწმუნეთ სიკვდილის შემდეგ...*
- სააკაძე — ეგ სხვა დროისთვის გადავლოთ, ჩემო სარდალო. კაცს როცა წინ ძნელად გასარიგებელი საქმე გაუჩნდება, — ღვინოსაც უნდა ერიდოს და ქალებსაც. განა ხუმრობა საქმეა ქართლ-კახეთის აყრა და ირანში გადასახლება!
- ყარჩიხაი-ხან — ბისმაღლაჰ! ძნელი საქმეა, მაგრამ ალლაჰისა და მისი ფეჰამბარის შემწეობით ყველაფერს მოვაგვარებთ!
- სააკაძე — რაღა თქმა უნდა, მოვაგვარებთ, მაგრამ მე შაინც ამიღახვარის ამბავი მოცუბს... რა საშინელი დაციწვია! როგორ ოსტატურად მოგვტაცეს ბანაკიდან!
- ყარჩიხაი-ხან — ამბობენ: თითქოს ჩაეკეტოს იგი არაგველებს!
- სააკაძე — მერე და ეგ მოსათმენია, რომ ყუენის სიძეს ამებს უბედავენ! შე ვფიქრობ: ჯარის გაგზავნა საჭირო და სასწრაფოდ ციხიდან გამოყვანა.
- ყარჩიხაი-ხან — ბისმაღლაჰ! გამოხსნა საჭიროა, მაგრამ ჯარი რომ იქ გაგზავნოთ, არშისაცენ, აქ ხომ შესუსტდება ჩვენი ლაშქარი!
- სააკაძე — შესუსტდებაო? რას ბრძანებთ, სარდალო, ეგ მხოლოდ უსაფუძვლო შიშია, ისე როგორ შესუსტდება ჩვენი ლაშქარი, რომ საომრად ვინმემ შემოგვებდოს... წამოდით ჩემთან, მე თვითონ განესაზღვრავ რამდენი კაცის გაგზავნა შეიძლება! (შემოდის ელია)
- ელია — ქართლის დიდებულნი გეახლათ, სარდლებო, შადიმანის მეთაურობით.
- ყარჩიხაი-ხან — სთხოვე, მობრძანდეს დიდებულთ უბირველესს. (შემოდინ: შადიმან, სვიმონ, ფარსადან, ქაიხოსრო და სხვები)
- შადიმან — დიდო სარდალო, შაჰინშაჰის მახვილო ყურო, და განთქმულო გმირო ირან-ერაყის მილეთასა! ჩვენს ქართლის დიდებულებს, მეტად დიდი და მაღალი პატივი მოგვენიჭა, რათა ქვეყნის ტკივილი გამოგვეთქვა და თანაც თქვენი ბრძნული ნუგეში მოგვესმინა...
- ყარჩიხაი-ხან — ბრძანეთ, შადიმან, კეთილ საუბრისად მუდამ მზად არის ყური ჩემი.
- შადიმან — იყოს დღეგრძელი შაჰინშაჰი სწორობოვარი!
- ყველანი — იყოს დღეგრძელი შაჰინშაჰი! იყოს დღეგრძელი!
- შადიმან — მაგრამ, სარდალო, შაჰინშაჰი ეხლა შორსაა, მისი ხმალი კი უკვე ყელთან მოგვიახლოვდა. უკვე დაიწყეს თქვენმა უზბაშებმა ხალხის აყრა და ირანს განწესება. ნუ თუ, სარდალო, ამ უზარმაზარ ცის ქვეშეთში ჩვენთვის ადგილი აღარ არის, სულ უნდა გასწყდეს ქართველთ ნაშიერა და მისი ლაშაზი გმირული წარსული წაიშალოს! არა და არა, ამას არ იზამს თქვენი მაღალი სულგრძელობა. რაც გვაქვს, არაფერს დავიშუტებთ. ხარკს და ხარჯვას გავადიდებთ, თავს არ დავზოგავთ, ოღონდ ეგ რისხვა აგვაშორე!

დიდებულნი — გთხოვთ, გვევლრებით, სარდალო, შეწყალებას... გთხოვთ, გვევლრებით...

ყარჩიხაი-ხან — შენ როგორ ფიქრობ, მოურავ-ბეგ, არ ვაცხებთოთ ირანის მპყრობელს ქართლის სათხოვარი?!

სააკაძე — არავითარი დაყოვნება, ჩემო სარდალო, შაჰის ბრძანება კანონია!

შადიმან — აი, ხომ ხედავთ, დიდებულნი! ხომ დაინახეთ, ვინ არის ჩვენი დამცველი! ხეს რას დააკლბს მჭრელი ცული, იმის ყუაში მისვე გვარისა რომ არ იყვეს ტარად გაჩრილი..

ფარსადან — სირცხვილი შენი, მოურავო!.. ვთქვათ, ჩვენ, დიდებულებმა გაწყენინეთ, მაგრამ ქართლმა, შენმა ხალხმა და ქვეყანამ რაღა დაგიშავა? შენი ქართლი მაინც შეიბრალებ!

სააკაძე — მერე სად არის ჩემი ქართლი? რა უყავით თქვენ იმ ქართლს, რომელიც ასეთ ბრწყინვალე მდგომარეობაში დაგიტოვეთ? მე თქვენ ცხოვრება და მშვიდობა დაგიმყარეთ, თქვენ კი რა პქენით? თავი მოკვეთეთ ერთსაც და მეორესაც! მე თქვენ გამარჯვება დაგიტოვეთ, ჩემი სისხლით და ოფლით მოპოებული გამარჯვება — თქვენი ის დამარცხებამდე მიიყვანეთ. მე თქვენ სახელმწიფო დოვლათი დაგიტოვეთ — თქვენ ცარცვა-გლეჯა და სილატაკე დამახვედრეთ. აბა, მითხარიოთ: რა უყავით იმ რაზმელებს, რომელთაც მე ვზრდიდი და ვაგროვებდი — ისინი ცოცხალნი აღარ არიან და ამის შემდეგ თქვენ იმედი გაქვთ შეწყალების? არავითარი შეწყალება! ვფიცავ ზეცას, ბრწყინვალე შაჰინშაჰს ბრძანება შესრულდება! მომეყ, სარდალო, ჯარის გაგზავნა დავაჩქაროთ, თორემ ყვენიმა თუ გაიგო ჩვენი ყოყმანი — უნდა იცოდეს: ერთი თავით ორივეს დაგვამოკლებს! (მიდიან)

შადიმან — რა გქნათ, დიდებულნი? რა ვიღონოთ, რითი ვუშველოთ წამხდარ საქმეს?!

ფარსადან — სადა გაქვს, ღმერთო, სამართალი! ერთი ყოფილი გულამშიერი აზნაური ამაებს უნდა გვიბედავდეს ქართლის ბრწყინვალე გვარი-შვილთა? რად არ გასკდები, დედამიწავ, და ყველას შიგ რად არ ჩაგვიტანი!

სვიმონ — ახლა ამის დრო აღარ არის, ფარსადან. უნდა მოვითმინოთ. ქვეყნის გულისთვის დავიფიწყოთ წვრიმალი წყენა და მოურავი შევიროვოთ; ხომ დაინახეთ, საშველი უმისოდ რომ არ არის!

ქაიხოსრო — რას ამბობ, ვეჟო?! სიზმარში ხარ თუ შეიშალე? არავითარი შერიგება მოურავთან!

შადიმან — სწორია, დიდებულნი! არავითარი შერიგება მოურავთან! წამოდით ჩემთან, ისევ ყარჩიხაი-ხანს ვეთათბიროთ! (მიდიან, სარიდან მარტო)

სარიდან — ო, რა ფრთხილია მოურავი! ქვეყანას აქცევს და ყარჩიხას არაფერს აგრძნობინებს. თავადებიც დატუქსა პირფერობით... მაგრამ ეგ არაფერი... მე რას გამოიმპარებ, შეილოსა! თუ ბიჭი ვყოფილვარ, ხვალ მზის ამოსვლამდე ანგარიშს გაგისწორებ! აი, აქ მიდევს შენი დამლუპველი ფირმანი. მაგრამ საქმე ეს არის, როგორ ვადავცე ეგ ყარჩიხას?!

მოდი, აქ დაველოდები მის გამოვლას და როცა გამტვრივს, მაშინ გადავიცემ, ასე უფრო აჯობებს...

(შემოდის ჯიხილო)

ეკატერინე

ჯიხილო — მორჩა, ჩემმა მზემ, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ლაჩარო ხომ არა ვარ, გეთაყვა? ჯიხილო არ ვიყო, თუ ეს მოურავს შევარჩინო!

სარიდან — ეი, ვინა ხარ? რაღაც მეცნობა შენი სახე... აქ რას აკეთებ?

ჯიხილო — რას ვაკეთებ? ვწვალობ, სხვა რას უნდა ვაკეთებდე.. მას შემდეგ, რაც შადიმანმა მეფის სამსახურიდან გამაგდო, ერთი ფუთი და ხუთი ჩარეკი დავიკელი. ახლა ეგ არი, მოურავთან მოვეწყვე სამსახურში, მაგრამ ჯანდაბას! აქაც არ მწყალობს იღბალი, როგორც ვხედავ!

სარიდან — რაო, რა შეგემთხვა ასეთი?

ჯიხილო — თუ მოურავი უკან არ წაიღებს თავის სიტყვას — მე იძულებული ვიქნები დღესვე სამსახურს თავი დავანებო!

სარიდან — რაო, რა ვითხრა ამისთანა?

ჯიხილო — რას მეტყოდა, დათხოვილი ხარო...

სარიდან — დათხოვილიო?

ჯიხილო — მაშ! მერე არ იტყვი რაზედ შითხოვს! შორიგედ ვიყავ და ცოტაოდენი ჩამთვლემიყო. სწორედ ამ დროს ჩამოიარა იმ ჩემი ცოდვით საესემ და ქიმუნჯით გამაღვიძა... რად გძინავსო! ეა, მძინავს რომელია! მე ხომ არ გამოჩენია ძილი ქვეყანაზე... დამე შე კი არა, მხესაც სძინავს!

სარიდან — ეპ, კარგი ერთი, ღირს კი მაგაზე ლაპარაკი?

ჯიხილო — ეა, როგორ თუ არ ღირს!.. გუშინ სადილიც ცუდი იყო... მარტოდენ ძელები მოიტანეს, ღვინოც ნაკლებია... და რაც არი, ისიც ძმარია სულერთავად... არა, უსათუოდ ყარჩინასთან უნდა წავიდე; ჩემმა მზემ, მოურავს ბოროტად დავასმენ.

სარიდან — რას სულელობ! მალე ისე გამოძლები, რომ მონელებაც გოგიჟიდეს.

ჯიხილო — რას ამბობ, გეთაყვი! იქნებ ყვენმა გამოგზავნა ჩვენთვის სანოვაგე?!

სარიდან — სწორედ იმან. აი, ამაშია მოურავის სული დამწყვედეული.

ჯიხილო — ეგ რა არი?

სარიდან — ყვენის ბრძანება, ყარჩინას ატყობინებს: საჩქაროდ მოურავის თავი მაახლეთო.

ჯიხილო — თავიო! ვახ, ვახ, დახე! დახე! მერე და რად სჭირდება მოურავის თავი ირანის მბრძანებელს?

სარიდან — იმათ სჭირდება, რომ ორგულობა გაუგო...! შენ ჭამ, გძინავს და არც კი ვესმის რა ხდება ქვეყანაზე. ვაიგე, დალატს ამზადებს მოურავი... აი, აქ, ამ ადგილას ფიქრობს ჩახოცოს ყიზილბაშნი!

ჯიხილო — ვახ, დახე, დახე! ეგ რაები მოუგონია! მაშ ეგრე, აქ უნდა უყოს შახსეი-ვახსეი ყიზილბაშებს?

სარიდან — ასე გამოდის.



ჯიხილო — მერე და გეთაყვა, თუ ეს მართალია, შენ ხელს უცარი ამ საქმეში მოურავსა? მე ახლა მაგონდება, მეფის სამსახურიდან რომ დამითხოვეს, მიზეზი შენ იყავი... ჩქარა, ფირმანი, ყეენის ~~ფირმანი~~ <sup>გადამოწმების</sup> მომეცი.

(ჯიხილო ეცემა სარიდანს. სარიდან სცემს) მიშველეთ მომკლეს, გამათავეს!...

(შემოდინან: სააკაძე, ხოსიტა, ელია და რამდენიმე მეომარი)

საკაძე — არა გრცხვენიათ! რა ამბავში ხარ, აზნაურო?

სარიდან — ბოდიში, მოურავო! ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ჩვენ ისე უბრალო ჩხუბი მოგვივიდა.

ჯიხილო — დახე, დახე, როგორ სტყუის ეს არამზადა! ახლა თქვენ ფირმანი გამოართვით და მაშინ ნახავთ, უბრალო არი, თუ ბრალიანია!

საკაძე — ეხლავ ფირმანი გადმომეცი!

სარიდან — რის ფირმანი, მოურავო! არავითარი ფირმანი მე არა მაქვს.

ჯიხილო — სამგზის ვიყო წყეული, თუ ამის გამბეღისთვის მე შენ თავადობას არ მიბოძებ!

საკაძე — მე ველოდები, სარიდან!.. (ელია ხანჯალს ამოიღებს, სარიდან ფირმანს სააკაძეს გადასცემს) „შეილო, ყარჩიხანი! ყოვლის შემძლე ალლაჰი და მისი ფეჰამბარი ბნელ ღამეშია ცხედავს ვერაგ მოლაღატეს. ზურაბ და მოურავი შეთქმულან, შეილო ჩემო... შიღებ თუ არა ამ ფირმანს, იმედი მაქვს, ქართლ-კახეთის აყრას დააჩქარებ და მოურავის თავს გამოგზავნი... შაჰაბას დიდი“... ამისთვის ვაგავზავნე მე შენ, სარიდან, ისპაჰანში?

სარიდან — ო, ღმერთო ჩემო... ვფიცავ ზენას, მე ბრალი არ მაქვს, მოურავო (ფეხებში ჩაუფარდება)

საკაძე — ო, საზიზღარო მოლაღატე, ჭირსაც წაუღიხარ ჯოჯოხეთში! (მოკლავს) შენ კი, უზბაშო, ამ ერთხელ პატიების ღირსი ხარ და კიდევ მიპატიებია. შეგიძლია ისევე შეუდგე შენი მოვალეობის ასრულებას!

ჯიხილო — მაშ, გამოდის, რომ აღარ მითხოვ სამსახურიდან!

საკაძე — აღარა... იყავი შენებურად, იძინე, რამდენიც გსურდეს და დღე, რამდენიც გენებოს!

ჯიხილო — ღმერთი, რჯული, კარგი წყალობაა... უკეთესი ჯილდო ღმერთმა შეარცხვინოს.

საკაძე — აბა, მიწეწით ახლა, ყმაწვილებო, რაღას უყურებთ, გათენებამდე დროა კიდევ. მისთვლინეთ ოდნავ და როცა ჩემს ხმას გაიგონებთ, მერე თქვენ იცით — უნდა ლომებად გადაიქცეთ... სანთელი რაღაც ცუდად ბუტყავს. კარგად ვერ ვარჩევ, ეს ვინ მოდის? (შემოდის პაპუნა)

პაპუნა — მე ვარ, პაპუნა!

საკაძე — რა ჰქენ, რა ისმის!

პაპუნა — ჯერ არაფერი, სძინავს ურდოს და მათ სარდლებსაც...

საკაძე — ბევრი უკლია გათენებას?

პაპუნა — თენდება უკვე... აღმოსავლეთი სისხლისფრად შეიღება.

ს ა ა კ ა ძ ე — ე გ რ ა არის! მალე მტრის სისხლით ეს მარტყოფთა ველებზე უნდა შეიღებოს! ნუღარა წევებით, ყმაწვილებო, უკვე დრო არი... მთებზე ბურუსი აიკრება... მაგრამ ზურაბი რომ კრება... სწორედ წუ თუ შეკრთენ და ვეღარ მოხედეს ქართველებმა? დემერთო მაღალო, ეს რა მომდის! რაღა ვარ ეგრე მოუსვენრად? ყოველ ჩემს საქმეს როგორ ეცრება ეგრე ხელი, როგორ ბრკოლდება ყველა ჩემი დაწყობილება.. მაინც წინ გასწი, თავო ჩემო, შენ არ იცი უკან მოხედვა, არ გიყვარს შედგომა და ვერც ახლა შედგები ნაპრალოთან ლაჩარით!

(ისმის შორეული ხმაური და დაფდაფების ხმა)

სუ!.. ჩუმად, ძმებო! ჩუმად, რაღაც ხმაური ახლოვდება! ოხ, ამ ნეტარ ხმებს სანუგეშოს! ეს ზურაბია... როგორ გრგვინავენ დაფდაფები შესაზარად... რაღას უდგეხართ, ლომკაცებო, ჩქარა ჩაფხუტი დაიხურეთ... ჯაქცემულნო მუხლნო, წამოდექით საასპარეზოდ, ბექთარი მკლავებს, მუსრი მტარვალთ... მუსრი ურჯულოთ!

(შემოცვივიან შეშინებული სპარსთა სარდლები ყარჩიხაი-ხანის მეთაურობით)

ყ ა რ ჩ ი ხ ა ო - ხ ა ნ — რ ა ამბავია! ეს რა ყურის მგლუჯელი ხმებია, მოურავო, ვინ იქნებიან, ვინ უნდა მოდიოდენ?

ს ა ა კ ა ძ ე — ვაეკაცებია, სიკვდილი მოაქვთ მჩაგვრელთათვის... (საკაძე დაძვრავს შუბს ყარჩიხაი-ხანს და მიწაზე დააკერებს. შემდეგ დაერევა სპარსთა დანარჩენ სარდლებს. გაჩაღდება სასტიკი ბრძოლა. ახლოვდება ხმაური და ყიფინა... უკვე შემოიჭრა ზურაბის ჯარებიც... ყიზილბაშნი კარვებიდან გამორბიან და იძახიან: „მალურაე! მალურაე!“ და ზარდაცემულნი ერთმანეთს ეხეტეებიან... ზოგნი იქცევიან, ზოგნიც ვარბიან თავის საშველად... კარვებს შორის ჩაღდება მწვავე ბრძოლა. მოსული ჯარები როცა სააკაძეს თვალს მოჰკრავენ, აღფრთოვანებით შესძახებენ: მოურავი! მოურავი! ჩვენი მოურავი.. ჩვენს გიორგი მოურავს გაუმარჯოს!)

ზ უ რ ა ბ — ქართველებს გაუმარჯოს, საქრისტიანოს გაუმარჯოს!

ს ა ა კ ა ძ ე — ძმებო, შეილებო, ვაეკაცებო, მომყევით, ქართველებო, როგორ გვიხედავს მტერი გამაგრებას? რჯულისა და მამულისათვის, ქვეყნისა და ნამუსისათვის, არ დაზოგოთ, დასცხეთ, ჩახოცეთ, არ გაუშვათ! (ჯიხილო კარავიდან უყურებს ბრძოლას)

ჯ ი ხ ი ლ ო — ვახ! ვახ, ვახ! რა ყოჩალი ყოფილა ეგ მოურავი! დახე, დახე, როგორ არწივივით იგრეზება... აი, ყათლანიც ამას ქვია! სულ მკვდრების ხროვა შეაყენა, ებე, წამოილო, წამოილო, სულ თხებივით დაირეკა ურჯულონი! (შემოდის ყიზილბაში)

ყ ი ზ ი ლ ბ ა შ ი — ალლაჰ, ალლაჰ, ეს რა ყათლანი მოგვიწყვეს, ეს რა ჯოჯოხეთი განგვაეღვივინეს! ალლაჰ, ალლაჰ!

ჯ ი ხ ი ლ ო — დახე, დახე, ალლაჰსაც ეხვეწება! ალლაჰ-ბალახი მე არ ვიცი, აი, შენი, წამალი, შე ურჯულო, აი შენი წამალი! (მოკლავს. შემოირბენს ხოსიტა რამდენიმე მეომრით)

ხ ო ს ი ტ ა — ჩქარა, ჯიხილო, რას უდგეხარ, იმშველე ხმალი და გამოგვეყვი... აი, ის ციხე, მთაზე რომ სჩანს, ის უნდა ავიღოთ!



დიდი მოურავი

ჯიხილო — ვერა, გეთაყვა, იქ ახლა რა ამიყვანს!

ხოსიტა — ჩქარა, არ შეიძლება დაყოვნება!

ჯიხილო — არა, ძმებო, მოურავს დავეუცადოთ, რომ ვერ ვერძობთ, მშვენიერებაში მივეცემით! (ხოსიტა აღარ მოუხედავს ჯიხილოს და მიდის. პატარა ხნის შემდეგ პაპუნას შემოყავს დაქრილი ელია)

ელია — გამიშვი, პაპუნა, ღვთის გულდაათვის, აქ დამტოვე.

პაპუნა — ძმაო ელია, შენი ჭირიმე, ბიჭო, მოიხედე, ნუ გეშინია...

ელია — აღარ ვარ, ძმაო, სასიცოცხლოდ... მშვიდობით, პაპუნა, იმედი მაქვს, მოურავი ჩემს მშობლებს უნუგეშოდ არ დასტოვებს... პატრონობას გაუწევს... წადი, მოურავს მიეშველე! (ძირს დაეცემა)

პაპუნა — ელია, ძმაო... ჩქარა წყალო, წყალო, ბიჭებო, იქნებ როგორმე გონს მოვიდეს... (რაზმელები ელიას წყალს ასხურებენ. ისმის ყიფინა და ბრძოლის ხმაური. შემოდის სააკაძე და ელიასთან მიიჭრება).

საკაძე — ჩემო ელია, რას შეგები, ბიჭო, როგორა ხარ, ხმას აღარ იღებ?

პაპუნა — მოკვდა, მოურავო, აღარა გვყავს ჩვენი ელია.

საკაძე — ხედავ, პაპუნა, რა უბედურად შეუმუსრავს მტარვალის მახვილს!

პაპუნა — სიკვდილის წინ სულ შენ გიგონებდა, მოურავო, წადით, დამტოვეთ და მოურავს მიეშველეთო...

საკაძე — თი, შენი სულის ჭირიმე, ჩემო ელია, კვდებოდი და მაინც მე გახსოვდი... რა ვლახრა, ბიჭო, ახლა დედაშენს, რითი უნდა მივიდე და ვანუგეშო უბედური! რა მოუსვენარი იყავი, ასე არ გიყვარდა უმწეოდ წოლა, ჩემო შევარდნო... ხედავ, პაპუნა, აღარ ქიკვიცებს მერცხალივით, აღარ, აღარა!

პაპუნა — დროა, მოურავო, ეგ უბედური მიწას მივაბაროთ!

საკაძე — წადით, ბიჭებო, ცხედარი. ისეთი სამარე გასჭვრიტო, როგორიც მეფეებს ეკადრებათ! (შეომრები ელიას გვამს ასწევენ და მიასვენებენ. შემოიბრუნს ხოსიტა) რა ამბავია, ხოსიტა?

ხოსიტა — საშინლად გაცხარდა, ბატონო, ომი... არიქა, გვიშველე, ჯანვერდი თავისი ჯარებით ბრძოლაში ჩაერია.

საკაძე — ზურაბ სად არის?

ხოსიტა — ზურაბმა ორჯერ შეუტია, მაგრამ გაცოფებულმა ჯანვერდით უკან გამოაბრუნა და ახლა თვითონ უპირებს ზურაბს შემოტევას.

საკაძე — ჩქარა, მომგვარეთ ჩემი ცხენი!.. ზაზასაც აუწყეთ, ეხლავე ომში ჩაერიოს! (დიდი ხმაური და ყიფინა ახლოვდება. სცენაზე შემოიჭრება ჯანვერდი რამდენიმე ყიზილბაშით. ჯანვერდი პირდაპირ სააკაძეს მიუშურებს. დანარჩენ ყიზილბაშებს პაპუნა და ხოსიტა დაერევა).

ჯანვერდი — ეხლა სად წახვალ, სატანაილის მოციქულო, კარგა დანიხლომე, ყარჩიხას სისხლი არ შეგჩრება!

საკაძე — მოდი, მტარვალო, ჩემი ხმალის წერა ყოფილხარ.

ჯანვერდი — იკვებნი კიდევ! აბა ვნახოთ. დედას ამ ქვეყნად იმისთვის კი არ ვუშობივარ, რომ შენმა ხმალმა მომაკვლინოს!

ს ა ა კ ა ძ ე — იცოდე, ბრიყვო, ვერასდროს უფრო საბედლოვნად შენ ვერ მოკვდები! (სააკაძე და ჯანვერდი ხმალ და ხმალ იბრძვიან. სააკაძე ხმალს აძგერებს და ძირს დასცემს ჯანვერდის. სცენაზე მყოფები ზაზა ციციშვილი თავისი რაზმელებით)

ზ ა ზ ა — ხედავ, გიორგი, რა ლომები მოვიყვანე! ქვეყნისთვის სისხლის დაღვრასა ხალისობენ!

ს ა ა კ ა ძ ე — მომყევით, გმირებო, სისხლმა და ჩენმა გამარჯვებამ დღეს უნდა გაბანოს საქართველო ძველი ცოდვებისაგან! (ხმლებს იწიშლებენ და სააკაძეს გაყვებიან. ისმის ყივინა, ცხენთა თქარა-თქური. პატარა ზნის შემდეგ შემოდიან: შადიმან, ფარსადან, სვიმონ და ქაიხოსრო)

ქ ა ი ხ ო ს რ ო — ეს რა მკვდრების გროვა შეუყენებიათ, ვეეო. სულ გაუმუსრავთ საურჯულო და ეგ არი!

შ ა დ ი მ ა ნ — ეგრე ეკადრებათ. ოი, ვაცხონე მოურავის მამის სული, რომ ყიზილბაშთა ჯაგრი ყველას გულიდან ამოგვეყარა. ვის ეგონა, თუ იგი ამას ჩაიდენდა!

ფ ა რ ს ა დ ა ნ — ეგ მართლაც ღირსეული საქმე მოიქმედა მოურავმა.

ს ვ ი მ ო ნ — ამას თქვენ ამბობთ, დიდებულნო?!

შ ა დ ი მ ა ნ — ვითომ და რატომაო?! მე ყოველთვის კარგი აზრის ვიყავ მოურავის ევაკაცობაზე. მე მხოლოდ მისი რწმენა და ჩასიითი არ მომწონდა.

ქ ა ი ხ ო ს რ ო — რას ამბობ, ვეეო! ამიერიდან მაგ ვეშაბ კაცს წინ ვილა და უდგება?!

შ ა დ ი მ ა ნ — ეგ არაფერი, შადიმან კარგად იყოს და ყველაფერს მოეკლება... მალე ზურაბს და მოურავს ისე წაეკიდებ, რომ თვითონ დასჭამონ ერთმანეთი... აგერ, დაფდაფებს მოუხშირეს, მეფე თეიმურაზ მობრძანდება! (შემოდის ედიშერ)

ე დ ი შ ე რ — შემოეგებეთ, დიდებულნო, მეფე თეიმურაზ მობრძანდება თავის ამალით. (ახლოვდება ყივინა და ხმაური, შემოდის მეფე თეიმურაზ თავის ამალით. შადიმან წინ წარსდგება)

შ ა დ ი მ ა ნ — მაქვს მაღალი პატივი გაუწყოთ, მეფეო, რომ მრავალრიცხოვანი მტრის ურდო საოცრად გაიმუსრა... აჲ, განგება არის ჩენი შემწე და გამკითხავი... კეთილი იყოს ქართლის მიწაზე შენი მობრძანება... ჩენი განთქმული პიტივის, მეფე თეიმურაზ ბაგრატივნის, მრავალ არიან წელნი!

(გუნდი შემოსძახებს საგალობელს)

თ ე ი მ უ რ ა ზ — გმადლობთ, ჩემო შვილებო, გმადლობთ, ჩემო ქართველებო! ცრემლს ვერ ვიკავებ სიხარულით... აღარ მეგონა, თუ კვლავ მელირსებოდა მოსვლა ჩემს მამულში... ფეხის დადგმა ჩემს საყვარელ მიწა-წყალზე! სად არის ის კაცი, რომელმაც ეგეთი სიკეთე მიყო, რომელმაც ეგეთი სიმძლავრით მიმართა ქვეყნის ბედი და ჩემი საკუთარი?.. მიხმეთ, სად არის სააკაძე?

შამიდან — მოდიან მეფეო, აგერ მოურავიც მოდის და არაგვის ერისთავიც! (შემოდინან: სააკაძე, ზურაბ ერისთავი, ზაზა, პაპუნა, ხოსიტა, და მათ მოყვება ლაშქარი)

სააკაძე — ბატონო თეიმურაზ! ამ გამარჯვებულ დროშას, ჩემი მიწის და ხალხის სიამაყეს, ვხრი თქვენს წინაშე და გილოცავ მშვიდობით დაბრუნებას... როგორც ხედავთ, მტერი სასტიკად შეიმუსრა. ნადავლი დიდია, მაგრამ მე არაფერს არ ვიღებ ნადავლიდან. ხაზინისათვის შემიწირავს ყველა ეს სახსარი... მე მხოლოდ იმას გთხოვთ, მეფეო, რომ ამიერიდან ქვეყანას უპატრონოთ. ქართლი და კახეთი დმერთს არ გაუყვია... ყველანი ქართველები ვართ. ამიტომ საჭიროა მეფეც ერთი ვიყოლიოთ. მაშ, ძმებო, ქართლ-კახეთის მეფეს, ბატონ თეიმურაზ გაუმარჯოს!

ყველანი — გაუმარჯოს! მეფე თეიმურაზს გაუმარჯოს!

თეიმურაზ — გმადლობ, ჩემო გმირო და მოამაგვე! გმადლობთ, დიდებულნი, გმადლობთ, ჩემო ქართველებო! დროა დავიძრათ მარტყოფიდან, წავიდეთ თბილისს და ჩვენს სატახტო დედა-ქალაქს მივეპატრონოთ! (ყველანი აიშლებიან)

ფ ა რ დ ა

პირველი ნაწილის დასასრული.

## სიმღერა როლანდზე

„სიმღერა როლანდზე“ ირის უძველესი ფრანგული თქმულება. ფრანგთა მეფის კარლოს დიდის ესპანეთში ლაშქრობის შესახებ სამი საუკუნე სწარმოებდა ხალხის უსაზღვრო ფანტაზიის მუშაობა. XII საუკუნის დასასრულს ერთმა გენიალურმა ტრუვერმა, რომლის ვინაობა გამოურკვეველია, ერთ სიმღერაში გამოაკვთა ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი პანგები, რის შედეგადაც წარმოიშვა ეს შესანიშნავი პოემა.

გმირობისა და პატრიოტიზმის ეს გენიალური სიმფონია ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე რედაქციით. მათ შორის უძველესია ოქსფორდის ხელთაწერი, რომლის მიხედვითაც ითარგმნა ქართულად.

ამ პოემაში, ისე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ უმაღლეს წერტილზე აყვანილი მეგობრობის, გმირობის და მამულიშვილობის გრძნობა. პოემის მთავარი გმირები როლანდი და ოლივიე ბეგრ ჩამეში გვიან ტარიელს და ივთანდილს.

„სიმღერა როლანდზე“, ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ფრანგულ „ილიადად“.

იგი ქართულად თარგმნეს პოეტებმა ალექსანდრე აბაშელმა, ხარიტონ ვარდოშვილმა და რაუდენ გვეტაძემ.

სიტყვა-სიტყვით თარგმანი და რედაქცია ეკუთვნის სოლომონ იორდანიშვილს.

### ბრძოლა

#### ნაწყევები

მეფე მარსილის ძმისწულს ჰქვია სახელად ელროთი,  
იგი პირველი მიაჭენებს ტაიქს ხევებში,  
და ესერის ფრანგებს გამჭირდავ და საღანძღავ სიტყვებს:  
„ვერაგნო ფრანგო, დღეს თქვენ უნდა ჩვენ შეგვებრძოლოთ.  
რომელსაც უნდა დაეცავით, მან გიღალატათ,  
გიჟია მეფეც, რომ დაგტოვათ თქვენ ამ ხევებში.  
დღეს საფრანგეთი აქ დაჰკარგავს თავის დიდებას  
და კარლოსი კი — მარჯვენა ხელს თავის ტანისას.“  
როდესაც როლანდს ეს მოესმა, ძალზე აღშფოთდა,  
შემოჰკრა დეზი და მიუშვა აღვირი ტაიქს,  
მარსილის ძმისწულს მოუქნია როლანდმა შუბი,  
გაუბო ფარი, დაუგლიჯა პერანგი ჯაჭვის,  
საშინელ დარტყმით დაუმსხვრია მკერდის ფიცარი,  
ჯაღაუმტვრია ხერხემალი, წელში მოჰხარა,  
და განაშორა სხეულს სული წვერბასრი შუბით.  
მან ერთი დარტყმით შეარყია ელროთის ტანი,  
ბოლოს კისერი გაუხვრიტა თავხედ სარკინოზს





და განგმირული დაანარცხა ცხენიდან დაბლა.  
ვერ მოითმინა, მიიძახა თან ეს სიტყვები:  
„იცოდე, ბილწო, რომ არ არის კარლოსი ვიფი,  
და, მას ლალატი არასოდეს არ ჰყვარებია.  
კარგად მოიქცა, რომ დაგვეტოვა ჩვენ ამ ხევედში,  
აქ საფრანგეთი არ დაჰკარგავს თავის დიდებას.  
დასცხეთ, ფრანგებო, ჩვენი არის პირველი დარტყმა,  
ჩვენ მართალნი ვართ, მტერს მიუძღვის დანაშაული.“

აი მთავარი, ფოსერონი ჰქვია სახელად,  
ის ახლობელი და ძმა არის მეფე მარსილის.  
აბირონისა და დათანის მიწებს მფლობელობს,  
ცისქვეშ არაა მასზე უფრო ცბიერი კაცი.  
ორ თვალთა შორის აბორცვილი დიდი შუბლი აქვს,  
ზომით იქნება ნახევარი ტერფის ოდენა.  
ძმისწულის მოკვლამ მწუხარებით იგი აავსო,  
გაბრაზებული გამოხტება ჯარიდან სწრაფად,  
ჯერ დაიყვირებს, ვით სჩვევიით ომში წარმართებს,  
შემდეგ ღვარძლიან, მძვინვარე ხმით შესძახებს ფრანგებს:  
„დღეს საფრანგეთი აქ დაჰკარგავს თავის დიდებას.“  
ამის გამგონე ოლივიეს ცეცხლი მოედდა,  
ფიცხლავ შემოჰკრა თავის ტაიჭს ოქროს დეზები  
და დაატაკა მან ფოსერონს ძლიერად შუბი.  
ფარი გაუპო, დაუგლიჯა პერანგი ჯაჭვის,  
ღრმა ჰრილობებში ჩაუტენა თვისივე დროშა  
და შუბით, მკვდარი გადმოიღო უნაგირიდან.  
შემდეგ დახედავს საცოდავად ძირს დანარცხებულს  
და ეტყვის წარმართს სიამაყით აღსაყვს სიტყვებს:  
„ლაჩარო, არად მიძაჩნია შენი მუქარა.  
დასცხეთ, ფრანგებო, მაგრად დასცხეთ, ჩვენ გავიმარჯვებთ.“  
„მონეტა“ — ბოლოს დაიძახა, როგორც კარლოსმა.

იქ არის მეფე, მას კორსაბლისი ჰქვია სახელად,  
ბერბარელია, წამოსული უცხო ქვეყნიდან.  
იგი მიმართავს მყვიანა ხმით სხვა სარკინოზებს:  
„რადგან ჩვენს ჯარზე ფრანგთა რაზმი უფრო მცირეა,  
ჩვენ შეგვიძლია დღეს იოლად მოვიგოთ ომი.  
სულ არ აარიან საშიშარნი ახლა ისინი,  
კარლოსი ვერც ერთს ველარ იხსნის განსაცდელისგან  
და დღეს ყველანი უნდა გაწყდნენ ჩვენთან ბრძოლაში.“  
როცა ტურპინმა, მღვდელმთავარმა, ეს გაიგონა,  
იგი წარმართი შეეზიზღა ყველაზე მეტად,  
დაუყოვნებლივ ჰკრა თავის რაშს ოქროს დეზები  
და მთელის ძალით შეახეთქა შუბი სარკინოზს.  
ფარი გაუპო, დაუგლიჯა ჯაჭვის პერანგი,  
შუა სხეულში გაუტარა შუბი ტარამდე.



ძლიერი დარტყმით შეარყია ცხენზე წარმართი,  
შემდეგ ასწია, გადმოიღო ცხენიდან დაბლა.  
ბოლოს დახედავს უსასოოდ მიწაზე გართხმულს,  
არ აძლევს ნებას მან რამე თქვას, თვით ეუბნება:  
„თქვენ, უბადრუკნო და ჯაბანნო, საზიზღრად სტყუით.  
მეფე კარლოსი მუდამ ჩვენი იმედი არის,  
დღესაც ფრანგები არ ლამობენ ზურგის ჩვენებას.  
ჩვენ შევაჩერებთ ადგილზევე ყველა თქვენ რაზმებს!  
თვითონ შენ უკვე საკადრისი სიკვდილი გერგო.  
დასცხეთ, ფრანგებო, თქვენი ვალი არ დაივიწყოთ,  
დიდება უფალს, ჩვენი არი პირველი დარტყმა.“  
„მონათა“ — ბოლოს მან იყვირა გასამხნეველად.

და მყის ეერენი შეეჯახა მალპრიმ დე-ბრიგალს,  
მას კარგმა ფარმა ერთ დენიეს ფასად არ არგო.  
ეერენმა წარმართს დაუმსხვრია ბროლის ბალთები  
და უცებ ფარის ნახევარი მიწას დაეცა.  
ასევე სწრაფად დაუხია ჯაჭვის პერანგი  
და შუბი მარჯვედ გაუტარა შიგ მკერდში გულთან.  
ამ ერთი დარტყმით ზარკინოზი ძირს გადმოვარდა  
და მისი სული ჯოჯოხეთში წაიღო ეშმაბ.

ახლა ეერიემ შეუტია ამირა პრიმას,  
ფარს დაულეწავს და ჩაუხვეს პერანგს ჯაჭვისას,  
და ბასრი ლახვრით გამოუყრის გარეთ შიგნეულს.  
ამ ძლიერ დარტყმით მან წარმართი იქვე განგმირა  
და მკვდარი, ველზე დაანარცხა ერთის მოქნევით.  
ოლივიემ თქვა: „აი, ბრძოლაც ასეთი უნდა“.

ახლა სამსონი ეკვეთება წარმართ აღმასურს,  
გაუბო ფარი მოოჭვილი ძვირფასი თვლებით,  
ჯაჭვის პერანგი მას სრულიად ვეღარ იფარავს.  
სამსონი მტარვალს გაუგმირავს შუბით გულ-მუცელს  
და შორს, მიწაზე დაანარცხებს მის უსულო ტანს.  
„ეს მართლა კარგი დარტყმა იყო“. — ამბობს ტურპომ

და ანსეისმა ქარზე სწრაფად გაჰკურცხლა ცხენი  
და მიაშურა მან პირდაპირ ტურგის ტორტოხელს  
მთლად დაუმსხვრია ფარი ოქროს ბალთებიანი,  
სარჩულიანად დაუხია პერანგი ჯაჭვის  
და შემდეგ შუბი ისე მაგრად ატაკა მკერდზე,  
რომ შუბის წვერი მეორე მხრით გავიდა გარეთ,  
და დასცა ველზე ის უსულოდ ერთის მოქნევით.  
„ეს მამაცური დარტყმა იყო.“ — ამბობს როლანდი.



და ანეელიემ, ვასკონელმა ბორდოს კუთხიდან, ორივე ფეხით ცხენს დეზი ჰკრა, აღვირს მიუშვა, მყისვე ესკრების დე-ვალტიერეს შუბი ატაკა, კასტრზე ფარი დანაკიდი მთლად დაუმსხვრია, შემდეგ ლაზვარით დაუგლიჯა პერანგი ჭრელი, დაარტყა მკერდზე და მხრებს შორის შუბი გავარდა. ერთის მოქნევით უნაგრიდან ძირს ჩამოაგდო. და უთხრა ასე: „თქვენ ყველანი უნდა ამოწყდეთ“.

ოთონმა დაჰკრა გამეტებით წარმართ ესტორგანს სპილენძის ფარი დაუღეწა, წინ რომ ეფარა და გააცვინა წითელი და თეთრი ფერები. შემდეგ უძცია ნაკუწებად ჯაჭვის პერანგი, მსწრაფლ განუგმირა ტანი თავის წვერმახვილ შუბით და გადმოაგდო გაჭენებულ ცხენიდან მკვდარი. თან მიაძახა: „ვერვინ ვიხსნით სიკვდილისაგან.“

ახლა ბერანემ ესტრამირინს დასცხო ძლიერად, ფარი გაუპო და პერანგი მთლად დაუგლიჯა, ერთი მოქნევით განუგმირა სხეული შუბით და წარმართთა წინ ჩამოაგდო ცხენიდან მკვდარი. თორმეტ პერიდან, სარკინოზებს ათი მოუკლეს, ორიღა დარჩა მათგან მხოლოდ ახლა ცოცხალი: ერთი შურნუბლი და მეორე მარგარისია.

ეს მარგარისი რაინდია, მეტად გულადი, თანაც ლამაზი, ღონიერი, სწრაფი და მხატვ. ოლივიესკენ გამოქუსლა მან თავის ცხენი მუზარადის ქვეშ გაუხეთქა თავისა ქალა შემდეგ ატაკა მჭრელი შუბი მარცხენა გვერდზე, მაგრამ უფალმა დაიფარა და ასცდა შუბი, მხოლოდ ოდნავად გაუკაწრა სხეულის კანი. მაშინ შორის ვახტა მარგარისი დაუბრკოლებლად და მოუწოდა სარკინოზებს საყვირის დაკვრით.

გაჩაღდა ბრძოლა საოცარი და აღრეული. გრაფი როლანდი მტრისგან საფრთხეს არ ერიდება და იქნევს შუბს, ვიდრე მისი ტარი გაუძლებს, მაგრამ თხუთმეტჯერ დარტყმის შემდეგ ხელში გაუტყდა მაშინ იშვივლა დურანდალი, თავისი ხმალი, დეზი ჰკრა ტაიქს და მძვინვარედ ეკვეთა შურნუბლს, მთლად დაუღეწა მუზარადი, თვლებით მორთული, მუზარადის ქვეშ გაუხეთქა თავისა ქალა და თვალებს შორის გადუკვეთა შუბლი და სახე. შემდეგ პერანგი, მოოჭვილი ძვირფასი ქვებით, ჩამოახია და გაუჭრა სხეული ორად, წმინდა ოქროთი გარს შეჭედელ უნაგირამდე.

ბოლოს პირბასრი დურანდალი ცხენს მოხვდა ზურგზე,  
 გადაუჩეხა ხერხემალი ელვისებრ სწრაფად  
 და ხშირ ბალახზე ძირს დაეცნენ — კაცი და ცხენი. ქაქიძის  
გამბეჭდვა  
 როლანდმა უთხრა: „უბედურო, აქ ტყვილად მოხველა,  
 ვეღარ გიშველოს მუჰამედმა, შენმა მფარველმა,  
 ჯერ არ მომხდარა გაიმეგრას ომი მოეგოს.“

გრადი როლანდი ბრძოლის ველზე ცხენს დააქროლებს,  
 ხელში უპყრია დურანდალი, ფოლადი ბასრი,  
 და სარკინოზებს დაუნდობლად იმით მუსრს ავლებს.  
 ნეტავ გენახით, ვით აწყობდა იგი მკვდარს მკვდარზე  
 და რწყავდა მინდორს წარმართების მჩქეფარე სისხლით.  
 როლანდის ფარი და მკლავები სისხლმა შეღება,  
 მისი ტაივის მხრებ-კისერიც სისხლმა შეღება.  
 არც ოლივიე ჩამორჩება როლანდს დარტყმაში.  
 თორმეტი პერიც მათებრ იბრძვის თავგანწირულად  
 და სხვა ფრანგებიც განაგრძობენ დარტყმას დარტყმაზე.  
 ისე წყდებიან წარმართები, ზოგს გული მისდის,  
 და მღვდელმთავარი დაიძახებს: „ვაშა ჩვენს გმირებს!“  
 „მონჭუა!“ — ბოლოს იგი ჰყვირის, როგორც კარლოსი.

ცხენს ატრიალებს ოლივიე ცხარე ბრძოლაში,  
 შუბი გადუტყდა, ხელში მხოლოდ ნატეხი შერჩა,  
 მაგრამ ის მაინც ეკვეთება წარმართ ბალსარონს, —  
 ფარს დაუღეწავს, ოქროთი და ვარდებით შემკულს,  
 ერთის მოქნევით ორთავე თვალს დააყრევინებს,  
 წარმართის ტვინი მის ფეხებთან მიწას ენთხევა  
 და თავის შვილას კაცთან ერთად ეცემა მკვდარი.  
 შემდეგ მან მოჰკლა ტიურგისი და ესტორგუსი,  
 მაგრამ ტარამდე ახლა შუბი მთლად დაუღეწა.  
 როლანდი ეტყვის: „მეგობარო, მაგას რას შერები.  
 ასეთ ბრძოლაში, თვითონ იცი, ჯოხი არ ვარგა,  
 აქ საჭიროა მხოლოდ რკინა, კარგი ფოლადი,  
 თქვენი პოტკლერად წოდებული ხმალი სად არის,  
 რომელსაც ტარი ოქროსი აქვს და კოტა ბროლის.“  
 „ვერ მოვახერხე ამოღება, — თქვა ოლივიემ, —  
 რადგან სულ მინდა ამ წარმართებს ვურტყა და ვურტყა.“

ბოლოს ბატონმა ოლივიემ იშიშვლა ხმალი,  
 რომელიც სიყრმის მგებობარმა მას მოაგონა  
 და, ვით რაინდმა, მყისვე იგი უჩვენა როლანდს.  
 შემდეგ მან ჟუსტინ დე-ვალ-ფერეს გადაჰკრა მძლავრად,  
 ერთი მოქნევით წარმართს თავი ორად გაუპო,  
 გაჰკვეთა ტანი, დაქარგული მისი ჯაგშანი,  
 და უნაგირიც, მოქედილი წმინდა ოქროთი.  
 გადაუჩეხა რაშსაც ზურგი ბასრი მახვილით,

და ძირს დაეცა ცხენიანად მკვდარი მხედარი.  
როლანდმა უთხრა: „ჩვენ ძმები ვართ ამიერიდან,  
აი, ჩვენ ასეთ დარტყმებისთვის ვუყვარვართ მეფეს.“  
ყოველი მხრიდან ფრანგთა ჯარი ჰყვირის: „მონჟუა!“



გრაფი ეერენი ზის მერანზე — თავის სორელზე,  
ხოლო პას-სერფზე მხნე ეერიე, მისი ძმობილი.  
მიუშვეს ერთად აღვირები და ჰკრეს დეზები  
და თავგანწირვით შეეჯახენ წარმართ ტიმოზელს.  
ერთმა დაარტყა მას პერანგზე, მეორემ ფარზე;  
ორივეს შუბი მის სხეულზე ტართან გადუტყდა  
და ჩამოაგდეს მყის ცხენიდან მახვილით მკვდარი.  
და მე არ ვიცი, არც არვისგან მომისმენია,  
თუ ვინ მოიქცა უფრო მარად ბრძოლაში მაშინ.

ახლა გამოხტა ბორელის ძე ესპერვირისი,  
ის ანჯელიე, ბორდოელმა შუბით განგმირა.  
შემდეგ ტურპინი სწრაფად მოჰკლავს თვალთმაქც სიგლორელს,  
რომელიც უკვე ჯოჯოხეთში ნამყოფი იყო,  
სადაც ის თურმე ჩაიტყუა იუპიტერმა.  
მღვდელმთავარმა თქვა: „აი, დიდად ცბიერი კაცი“.  
როლანდმა უთხრა: „საზიზღარი კიდევ დამარცხდა,  
ძმავ ოლივიე, მე ასეთი დარტყმები მიყვარს.“

ამასობაში ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა,  
სცემდნენ ურთმანეთს ფრანგები და სარკინოზები.  
ერთნი უტევენენ, მეორენი იგერიებდნენ.  
რამდენი შუბი გადამტყდარი და სისხლიანი,  
რამდენი დროშა და ალაში ძონძად ქცეული,—  
რამდენმა ფრანგმა იქ დასტოვა თავისი ყრმობა.  
ველარ ნახავენ აწ თავიანთ დედებს და ცოლებს,  
ველარც იმ ფრანგებს, რომლებიც მათ ხევში ელიან.  
დიდი კარლოსი მათ დასტირის და მათზე მოსთქვამს.  
ვაგლას! რისათვის? განწირულებს რაღა ჟმეველით.  
მათ განელონმა ცუდი საქმე მაშინ დამართათ,  
როცა გაჰყვიდა სარაგოსში თავისი მოდგმა.  
იმ დღეს დადუბა მან თავისი ტანი და სულიც:  
ექსის სამსჯავრომ მიუსაჯა მას ჩამოხრჩობა.  
და მასთან ერთად მის ოცდაათ ახლო მეგობარს,  
რომელთაც ხალხმა არ შეუწოდო დანაშაული.  
გრძელდება ბრძოლა საოცარი და მეტად მძიმე,  
ოლივიე და მხნე როლანდი მეხვიით სცემენ.  
იქვე ტურპინი — მღვდელმთავარი, ძლიერად ურტყამს,  
არ ჩამორჩება ბრძოლაში მათ თორმეტი პერიც.  
სარკინოზები ათასობით იხოცებიან,  
სიკვდილი ელის, ვინც ველიდან არ გაიქცევა,

ჩუნდა თუ არა, იქ ათავეებს თავის სიცოცხლეს.

მაგრამ ფრანგებიც სახელოვან გმირებს ჰქარავიენ,  
ისინი ველარ იხილავენ ძმებსა და მშობლებს,  
ვერც კარლოს მეფეს, რომელიც მათ უცდის ხევებში.



თვით საფრანგეთში ამ დროს დიდი ქარიშხალია,  
ქეჩა-ქუხილი აზანზარებს ცასა და მიწას.

კოკისპირული წვიმა მოდის და წვრილი სეტყვა.  
ხან აქ და ხან იქ დაბლა ხშირად ეცემა მეხი  
და იძვრის მიწა,

სენ-მიშელ-დუ-პერალიდან მთლად რეიმსამდე.

ბენანსონიდან იქ ვისანტის ნავსადგურამდე  
მრავალ ქალაქის დაიბზარა ბჭე და კედლები.

შუადღისას კი არე-მარე ბნელმა მოიცვა;

ნათლდება მხოლოდ მაშინ, როცა ცაზე იელვებს.

ყველა შეიპყრო საშინელმა შიშმა და ძრწოლამ

და იძახიან: „აღსასრული მოვიდა ქვეყნის,

ჩვენს თვალწინ დადგა საუკუნის მრისხანე ბოლო.“

მათ არ იციან არაფერი და ვერ მიმხვდარან —

ეს არის მხოლოდ დადი გლოვა როლანდის გამო.

ფრანგები ისევ განაგრძობენ მამაცად ბრძოლას,

იელიტებიან წარმართები მუნ ათასობით.

ცოცხალი, ასი ათასიდან ორი გადარჩა.

მღვდელმთავარმა თქვა: „ჩვენი ხალხი გულადი არის,

მის უკეთესი ქვეყანაზე სხვა მეფეს არ ჰყავს.

ასე წერია საფრანგეთის მატთანეში,

რომ ჩვენს ხელშიფეს მსახურებდნენ კარგნი მოყმენი“.

ფრანგები ველზე დაეძებენ თავისიანებს.

ფრანგები დარდით ცრემლს აფრქვევენ მოკლულთა ცხედრებს,

რადგანაც თავის მოდგმის დიდი აქვთ სიყვარული.

საცაა ფრანგებს შეებმება თვითონ მარსილი.

მეფე მარსილი მიდის დიდი ველის სიგრძეზე  
თავისი ჯარით, რომელიც მან სწრაფად შეჰკრიბა.

მთელი ლაშქარი გაუყვია წარმართს ოც რაზმად.

ბრწყინავენ მზეზე ჩაფხუტების ოქრო და თვლები,

ბრწყინავენ მზეზე ფარები და რკინის ჯავშნები.

შვიდი ათასი საყვირის ხმა ცას აზანზარებს,

ეს იერიშის ხმაური დგას მტრის ქვეყანაზე.

როლანდი ამბობს: „ოლივიე, ძმაგ, ამხანაგო,

წარმართს შეჰფიცა განელონმა ჩვენი სიკვდილი,

მისი ლალატი, გამცემლობა ახლა ცხადია,

მაგრამ მიუზღავს კარლოს მეფე სამაგიეროს.

მალე გვექნება საშინელი და ცხარე ბრძოლა,

რომლის ბადალი ადამიანს ჯერ არ უნახავს.





მე ჩემი ხმალით, ღურანდალით, დავიწყებ კაფვას,  
 თქვენ, მეგობარო, სჩეხეთ მტერი თქვენი პოტკლერით.  
 მრავალი ბრძოლა მოგვივია წინათ ამ ხმლებით,  
 ნუ იმღერებენ ჩვენზე მერმეც მჭირდავ სიმღერებს.“

როცა ფრანგებმა დაინახეს ურიცხვი მტერი,  
 რომელმაც დიდი, ფართო ველი სრულად დაფარა.  
 მყისვე თორმეტ პერს, ოლივიეს და როლანდს უხმეს,  
 რომ მოსალოდნელ ხიფათისგან ისინი იხსნან.  
 მაშინ ტურპინმა, ფრანგებს უთხრა, რასაც ფიქრობდა:  
 „ო, ბატონებო, ამოიგდეთ გულიდან შიში,  
 ღვთისგულისათვის არ გაიქცეთ ბრძოლის ველიდან,  
 თუ არ ვსურთ ხალხმა თქვენზე შეთხზას სიმღერა ცუდი,  
 ამას აჯობებს გმირად მოკვდეთ ბრძოლის დროს ველზე.  
 შესაძლო არის, მართლაც გველის ჩვენ აქ სიკვდილი,  
 გავა დღე და ჩვენ აღარ ვიყოთ იქნებ ცოცხალი,  
 მაგრამ ერთ რამის თავდებობა მინდა ვიყარო:  
 სამოთხის კარი თქვენთვის მუდამ ღია იქნება  
 და დაიმკვიდრებთ სასუფეველს წმინდანთა შორის.“  
 მისმა სიტყვებმა გაამხნევეს ფრანგების გული  
 და სიხარულით დაიყვირეს ერთხმად: „მონჟუა“!

იქ არის ერთი სარკინოზი, სარაგოსელი,  
 ვისაც ეკუთვნის ამ ქალაქის დიდი ნაწილი.  
 კლიმბორინია, მას არა აქვს მამაციის გული,  
 ეს ის კაცია, განელონმა რომ ფიცი მისცა,  
 რომელმაც ნაცვლად მოღალატეს აკოცა პირზე  
 და უსახსოვრა ხმალი დიდი ღალით შემკული.  
 „მე მინდა, — თქვა მან, — საფრანგეთი რომ შევარცხვინო,  
 წაეართვა კარლოსს, ფრანგთა მეფეს, მისი გვირგვინი.“  
 იგი ზის ცხენზე, ბარბამუში რომელსაც ჰქვია,  
 რომელიც უფრო მალი არი, ვიდრე მიმინო.  
 ის ცხენს ღეზებს ჰკრავს, და მიუშვებს სრულად სადავეს  
 და ეკვეთება ანეელიეს, გასკონელ რაინდს.  
 ფარმა, ჯავშანმა ანეელიე ვერ დაიფარა,  
 წარმართმა შუბი გაუტარა ისე ძლიერად,  
 რომ შუბის წვერმა გაიხედა მეორე მხარეს,  
 და ძირს ცხენიდან დასცა მკვდარი ერთის მოქნევით.  
 შემდეგ შეჰყვირა: „კარგი არის ამ ხალხის ქლექა,  
 დასცხეთ, წარმართნო, და გაეტეხოთ მათი რიგები“.  
 ფრანგნი ამბობენ: „ღმერთო, რა მხნე კაცი მოიკლა.“  
 გრაფმა როლანდმა ოლივიეს მწუხარედ უთხრა:  
 „აი, ბატონო, ანეელიეც ზომ დილუბა,  
 ფრანგებს არ გვეყვდა მასზე უფრო მამაცი, გმირი.“  
 ოლივიემ თქვა: „შურს ვიძიებ ღვთის დახმარებით“  
 და თავის მერანს მან შემოჰკრა ოქროს ღეზები,



მკვთავ კაცინუში  
გიგლიჩიძისა

პირსისხლიანი მოიმარჯვა ხელში პოეტული  
და მთელის ძალით გრიგალივით წარმართს  
ერთის მოქნევით სარკინოზი მიწაზე დასცა  
და მისი სული ეშმაკებმა წაიღეს მყისვე.  
შემდეგ განგმირა მან მთავარი ალფაინი,  
ხოლო იქავე ესკაბაბას თავი წარკვეთა,  
უნაგრებიდან გადმოიღო შეიდი არაბი,  
იმათ შემდეგში არ მოუწევთ არასდროს ბრძოლა.  
როლანდი ამბობს: „ოლივიე, ხედავთ, გაცხარდა,  
და მოიპოვა ჩვენს თვალწინ დიდი პატივი.  
ასეთ დარტყმისთვის შეგვიყვარებს კარლოსი უფრო“.  
შემდეგ შესძახა მან ხმაშალა: „დასცხეთ, ფრანგებო.“

მეორე მხარეს შეჭურვილი დგას ვალდაბრენი,  
ამყ რაინდად მან აყურთხა მეფე მარსილი.  
კყავს ხომალდები გაშლილ ზღვაში ოთხასზე მეტი,  
მისი სახელით ამყობენ მწვლვაურები.  
ერთხელ ღალატით მან აიღო ერუსალიმი,  
მოსრა ტაძარი დიდებული სოლომონისა,  
და ეშმაკის წინ პატრიარქი შუბით განგმირა.  
ეს ის კაცია, განელონმა რომ ფიცი მისცა,  
ნაცვლად აჩუქა მოღალატეს ხმალი და ოქრო.  
იგი ზის ცხენზე, გრამიმონდი რომელსაც ჰქვია,  
რომელიც უფრო მალი არი, ვიდრე მერცხალი.  
ეს ვალდაბრენი ცხენს შემოჰკრავს წვეტიან ღებებს  
და მთავარ სამსონს თავგანწირვით დაეჯახება. —  
ფარს გაუტეხავს, დაუგლიჯავს პერანგს ჯაჭვისას  
და გადმოაგდებს შუბით მოკლულს უნაგირიდან.  
„დასცხეთ, წარმართნო, ჩვენ იოლათ მათ დაეამარცხებთ.“  
ფრანგნი ამბობენ: „რა მთავარი, ღმერთო, დაეკარგეთ.“

როცა როლანდმა დაინახა სამსონი მკედარი,  
ვინ წარმოიდგენს, თუ რა დიდი ტკივილი იგრძნო.  
მყისვე შემოჰკრა რაშს ღებები, აღვირს მიუშვა.  
ხელში ეჭირა დურანდალი, ოქროზე კარგი,  
და მთელის ძალით, როგორც მეხი, ისე დააბრტყა,  
წარმართის ჩაფხუტს, ოქროთი და თვლებით მოოქვილს.  
გაუპო თავი, გაუკვეთა პერანგი, ტანი,  
და უნაგირი მთლად ოქროთი გარს შეჰქედილი,  
შემდეგ დურანდალს ცხენის ზურგი გააჩეხვინა.  
გინდა დასძრახონ, გინდა აქონ, ორივე კი მოჰკლა.  
წარმართებმა თქვეს: „ეს მრისხანე დარტყმა ვიგემეთ.“  
როლანდმა უთხრა: „მეზარება თქვენი დანახვაც,  
თქვენ მზარეზეა თავხედობა, არა სიმართლე.“

იქ იყო ერთი აფრიკელი, შორით მოსული,  
მალკიდი მეფის საყვარელი ძე მალკადანი.



მას საჭურველი ოქროსაგან აქვს გაჭედული, სხვის საჭურველზე მისი უფრო ბრწყინვალეობს მზეზე. იგი ზის ცხენზე, სო-პერდუ რომ ჰქვია სახელად; არ არის ცხენი, მას გაუსწროს ველზე რბენაში. მყის მალკადანმა მაგრად დასცხო ანსეის ფარზე, დააყრევინა ძირს ვერცხლის და ლაევარდის თვლები, შემდეგ, გულფიცხმა დაუგლიჯა ჯაჭვის პერანგი, გაურჭო ტანში რკინა და ხე თავის შუბისა. გრაფი დაეცა და დამთავრდა მისი სიცოცხლე. და თქვეს ფრანგებმა: „აი, დიდი უბედურება.“

ველზე ტურპინი — მღვდელმთავარი, ცხენს დააქროლებს, არვის უნახავს მისებრ, სხვა მღვდელს, მესის მგალობელს, გამოეჩინოს სიმარადე და ომში მხნეობა. „იყავ წყეული, — შეუძახებს იგი ურწმუნოს, — შენ ის მოჰკალი, ვისაც ჩემი გული დასტირის.“ შემდეგ ტურპინი გააჭენებს თავის ფეხმარად ცხენს, დასცხებს მალკადანს მთელი ღონით ტოლედურ ფარზე და მკერდგანგმირულს დაანარცხებს მწვანე ბალახზე.

მეორე მხარეს დგას წარმართი ყრმა გრანდოანი, კაპადოკიის მეფის შვილი, ძე კაპუელის. იგი მერანზე ზის, რომელსაც ჰქვია მარმორი, რომელიც უფრო მალი არის, ვიდრე ფრინველი. უცებ მიუშვა ცხენს სადავე, დაჰკრა ღეზები, საოცარ ძალით გულმძვინვარე ეკვეთა ეერენს, გაუპო ფარი და დაარტყა საშინლად მწვავედ. ამ ერთი დარტყმით დაუგლიჯა ჯაჭვის პერანგი, შემდეგ ცისფერი დროშას ტარი ტანში ჩაარჭო და გადაიხეხა მალალ კლდიდან მკვდარი რაინდი. მოჰკლა აგრეთვე მან ეერი, ეერენის ჯუფთი, მოჰკლა — ბერანეე, ყრმა გიონი და ანტუანი. შემდეგ ეკვეთა ოსტოარსაც თავგამეტებით, რომელიც ფლობდა ვალენსიის მიწას რონაზე. იგი ჰკლავს მასაც და წარმართნი დიდად ხარობენ, ფრანგნი ამბობენ: „ეცემიან ჩვენი გმირები“.

გრაფ როლანდს ხელში სისხლიანი ხმალი უპყრია, უცებ მოესმა მას ფრანგების ეიში და მოთქმა და ლამის რაინდს მწუხარებამ გული ჩასწყვიტოს. მან უთხრა წარმართს: „სატანჯველი ღმერთმა მოგაგონს, ძვირად დაგისვამ მის სიცოცხლეს, ვინც შენ მოჰკალი.“ და მან შემოჰკრა ცხენს ღეზები, ცხენი გაფრინდა. ვინ დამარცხდება?! აი მტრები ერთმანეთს შეხვდნენ. ვულადი იყო გრანდოანი, თანაც ჰკვიანი, შემმართებელი, უშიშარი ბრძოლაში მუდამ.



როცა როლანდი, ხმალშიშველი წინ გადაუდგა,  
 მაშინვე იცნო, თუმცა იგი ჯერ არენახა.  
 იცნო რაინდთა ამაყ სახით, კენარი ტანით.  
 იცნო იმისი გამოხედვა, მისი იერი  
 და უნებლიედ შიში იგრძნო გულის სიღრმეში.  
 სურდა გაქცევა, მაგრამ უკვე გვიანლა იყო,  
 როლანდმა მძლავრად დურანდალი ისე დაარტყა,  
 რომ გაუკვეთა მუზარადი ერთი მოქნევით.  
 ორად გაუპო შუბლი, ცხვირი, პირი, კბილები,  
 ორად გაუპო ტანი ჯაჭვის პერანგიანად,  
 ორად გაუპო უნაგირი მოოქროვილი,  
 სარკინოზის ცხენს შემდეგ ზურგი მთლად ჩაუჩეხა  
 და უმოწყალოდ ერთად მოჰკლა კაცი და ცხენი.  
 ამის დამნახველ ესპანელებს კვინესა აღმოხდათ,  
 ხოლო ფრანგებმა დაიძახეს: „ჩვენი მარჯვედ სცემს“.

ბრძოლაა დიდი, საოცარი, გამალებული,  
 ფრანგები სცემენ ვაბრაზებით, სცემენ სასტიკად,  
 მძლავრი მოქნევით ჰკვეთენ ხელებს, გვერდებს და ზურგებს,  
 ჰკვეთენ მახვილით მაგარ ჯაფშანს სხეულიანად.  
 და თბილი სისხლი მიჩანჩქარებს მწვანე ბალახზე.  
 სარკინოზები გაჰყვირიან: „ვეღარ გავუძლებთ,  
 ო, დიღო მიწავ, შეგაჩვენოს შენ მუჰამედმა,  
 ეგ შენი ხალხი ყველა ერზე მამაცი არის“.  
 და ნირწამხდარი წარმართები მარსილს უხმობენ:  
 „აქეთყენ, მეფევ, ახლა გვინდა ჩვენ დახმარება“.

გრძელდება ბრძოლა საოცარი, გაუგონარი,  
 სცემენ ფრანგები სეუადიან მკვეთრი შუბლებით,  
 ადამიანთა დიდ სატანჯველს თქვენ აქ ნახავდით —  
 სცურავენ მკვდრები, დაჰრილები სისხლის მორევში,  
 ერთი მეორეს ზურგზე აწევს, ზოგიც პირქვეა.  
 ჩანს, სარკინოზებს აღარ ძალუძთ დიდხანს გაძლება  
 და, სურთ თუ არა, უნებურად ბრძოლას სტოვებენ,  
 მაგრამ ფრანგები მათ კვალდაკვალ მისდევენ ხმლებით.

მარსილი ხედავს ამოწყვეტას თავის ხალხისას,  
 ბრძანებს, დაუკრან მყის ზუკები და საყვირები,  
 შემდეგ შეჯდება ცხენზე თავის დიდ ჯართან ერთად.  
 წინ, ჯარის თავში, სარკინოზი აბიმი მიდის,  
 არაფერ არის წარმართებში მასზე ცბიერი,  
 მასზე ცოდვილი, ბოროტი და ავის ჩამდენი.  
 მას არ სწამს ღმერთი, შვილი წმინდა მარიამისა.  
 იგი შავია, როგორც მზისგან გამდნარი ფისი.  
 აღრაცხელ ბაჯაღლო ოქროს  
 მას ურჩევნია ღალატი და მუხანათობა.



არვის უნახავს ჯერ მღიმაზე, სახე მცინარი,  
 ამასთანავე იგი მეტად გულადი არის,  
 ამიტომ უყვარს მეფე მარსილს ეს მოლაღატე.  
 ხელში უჭირავს მას ამაყად სამეფო დროშა,  
 რომლის გარშემო მოუყრიათ თავი წარმართებს.  
 მაგრამ აბიში ეზიზღება მღვდელმთავარ ტურპინს,  
 როგორც შენიშნავს, მასთან ბრძოლის ტინი შეიპყრობს,  
 და მეტად წყნარად, დაფარულად, თავისთავს ეტყვის:  
 „ვგრძნობ, ეს წარმართი უდიდესი მწვალბელია,  
 ყოველთვის მძაგდა მე ლაჩრობა და მხდალი კაცი —  
 ან უნდა მოვკვდე, ანდა მოვკლა დღეს თვითონ იგი.“

და მღვდელმთავარმა ახალ ძალით დაიწყო ბრძოლა.  
 ტურპინის ცხენი, — მან წაართვა იგი გროსეილს,  
 რომელიც იყო ხელმწიფე და მოკლა დანიას, —  
 სწრაფზე სწრაფია, ტანმსუბუქი, მეტად მოქნილი.  
 მერანს ფეხები სულ წვრილი აქვს, წვივები ბრტყელი,  
 ბარძაყები კი ოდნავ მოკლე და გაეა ფართე,  
 გვერდები გრძელი, ზურგი მრგვალი, ფერდები საესე,  
 კისერი მუდამ მოღერილი, იერიანი,  
 კუდი თეთრი აქვს და ფაფარი ფერად ყვითელი,  
 ხოლო ეურები ძალზე მომცრო და თავი ქარცი.  
 ვერც ერთი ცხენი ტურპინის ცხენს ვერ შეედრება.  
 მხნე მღვდელმთავარმა რაშს დეზები შემოჰკრა მავრად,  
 დაუყოვნებლივ და პირდაპირ ეკეთა აბიშს.  
 დასცხო ღონივრად საუცხოო და ლამაზ ფარზე,  
 რომელიც იყო მოოქვილი ძვირფასი ქვებით:  
 ამეთვისტოთი, ბროლ-ლალებით და ფირუზებით.  
 იგი ამირმა გალაფრისმა აჩუქა აბიშს,  
 თვითონ გალაფრის ეშვამ მისცა ის ვალ-მეტასში.  
 დასცხო სარკინოზს მღვდელმთავარმა შეუბრალეზლად,  
 ამ დარტყმის შემდეგ მისი ფარი არ ღირს დენიედ.  
 მან ნაჭერ-ნაჭერ მთლად აკუწა აბიშის ტანი  
 და გულმძვინვარემ დაანარცხა მკვდარი მიწაზე.  
 ფრანგნი ამბობენ: „აი, დიდად გულადი მოყმე,  
 მღვდელმთავარს კვერთხი საიმედოდ უჭირავს ხელში.“

გრაფი როლანდი ოლივიეს უყივის ველზე:  
 „ჩემო ბატონო, ხარ თუ არა თქვენც ჩემი აზრის,  
 რომ მღვდელმთავარი ძალზე კარგი რაინდი არის.  
 არ იპოება უკეთესი მამაცი ცისქვეშ,  
 იგი მარჯვედ სცემს, მარჯვედ ურტყამს შუბსა და ლახვარს.“  
 ოლივიემ თქვა: „მივეშველოთ, წავიდეთ ჩქარა“.  
 და ამ სიტყვებზე განაახლეს ფრანგებმა ბრძოლა.

დაიწყო ქლეტა კვლავ სასტიკი და უმოწყალო.  
 ქრისტიანები მუნ იტანენ დიდ მწუხარებას.



მეტად კარგია, როს როლანდი და ოლივიე  
 ერთად იბრძვიან, მტრებს სჩეხავენ შიშველი ხმლებით,  
 როცა ტურპინი სარკინოზებს შუბით ამარცხებს.  
 ამ გმირთა მიერ გაქლეტილებს კაცი დაითელის:  
 ჩაწერილია მათი რიცხვი სიგელ-გუჯრებში,  
 შატანეც სწერს: ოთხი ათასს აცდაო შკედარი.  
 ჯერ ოთხ ბრძოლაში გამარჯვება ფრანგებს ხედათ წილად,  
 მაგრამ მეხუთე — მათთვის იყო მძიმეზე მძიმე.  
 წარმართთა ხელით მოკვდა ყველა ფრანგი რაინდა,  
 გადარჩა მხოლოდ, დაიფარა სამოცი ღმერთმა,  
 მაგრამ ისინიც ანანებენ მტერს თავხედობას.

თარგმანი რატონი გვიტაძისა.



## ბრძოლა კუდიკოვის ვეღზე \*)

შვიდ სექტემბერს, დილით, ქვეითი ჯარი გადავიდა ახლადდაგებულ ფისიან ხიდებზე დონის იქითა მხარეზე.

ცხენოსნებმა გადაიარეს მდინარე ტატიანის ფონებით, სამს ადგილას ნებრი-ადვის შესართავის ქვევით.

სალამოს დმიტრის მთელ მხედრობას რუსეთის მიწა დარჩა ზურგს უკან. სარდლებს მიყავდათ პოლკები ბობროკის მიერ დანიშნულ ადგილებზე, ყველა იქ ბანაკდებოდა, სადაც უნდა ყოფილიყვნენ ბრძოლის დროს.

დმიტრამ ბრძანა, ეს დღე ჯარს მოსვენებით გაეტარებია, საბარგულები დონის იქეთ დასტოვეს, მაგრამ გადმოიტანეს, რაც სჭირდებოდათ: ქვაბები, ბურღული, ზეთი, და საომარი იარაღი, მხოლოდ კარკები არ გააშლევინა დმიტრამ, თითქოს საიდუმლოდ წინსვლას აპირებდნო. კოვზებს დიდი შრომა დაადგათ: სარდლები დადიოდნენ კოცონებს შორის და ურჩევდნენ:

— სჭამეთ, დაისვენეთ! ბევრი ვიარეთ, — დაისვენეთ. თუ საჭირო იქნება, წავალთ წინ.

და მხედრები ქაშს ილუქებოდნენ და მხიარულად უპასუხებდნენ:

— ჰაი, ჰაი წავალთ!

უკვე მოასწრეს ერთმანეთში დამეგობრება: გზა აღამიანებს აახლოვებს. დაშორება საწყენად დარჩებოდათ: გზა უცნობი იყო, დარი კარგი იდგა, ამხანაგები ლაპარაკის მოყვარულნი იყვნენ.

ჯარში ერივნენ მოცეკვავენი, მთხრობელნი, მომღერლები, ტაკი-მასხარები; ყოველ პოლკს წინ მიუძღოდნენ მღვდლები ზატებით, ყველას ჰქონდა თავის სურვილისამებრ გასართობი: მხიარულებს — დუდუქი და იგავ-არაკი, ლეთისმოსავთ — ლოცვა და საკმეველი.

კირილემ ვერ იპოვა კლიმი, ან კი როგორ იპოვნოდა, როცა ორასათასზე მეტი კაცი მოჰყვა აქ დმიტრის და კიდევ მოდიოდნენ და მოდიოდნენ ასობით და ათასობით, ჯავშნიანი და უიარაღო, ბებერი და ახალგაზრდა, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან.

კირილეს ბრბო დააყენეს სათადარიგო პოლკში ოლგერდოვიჩებთან ერთად. ისინი ყველაზე უფრო ახლო იდგნენ დონთან და მარცხენა მხარით მასზე იყვნენ მიბჯენილი. მათ ზურგს უკან დონს უერთდებოდა ნებრიადვა. მარცხნივ დონთან ახლოს, ხშირ ტყეში იმალებოდა ვლადიმერ სერპუხოვსკისა და დმიტრი ბობროკის საფარი პოლკი.

\*) ერთი ეპიზოდი რომანიდან „დმიტრი დონსკოი“, რომლის გამო მიმდინარე წელს ავტორი დაჯილდოვებულ იქნა სტალინის პრემიით.

კირილე ვულღარძლით იცქირებოდა მათგან: ჩაფარებულნი ტარინის ფონთან ახლოს იდგნენ და თუ რამ უბედურება მოხდებოდა, ერთ წუთში შესძლებდნენ მეორე ნაპირზე გადასვლას! მაგიერად კირილეს წინ კეჭრით და ცერსტზე გაჭიმული, მკიდროდ იდგნენ მოწინავე პოლკები. გველაჩეკა მწუხრით — ქვეითი სადარაჯო პოლკი თავადი დრუცკებისა, თავადი ტარუსკებისა და თავადი ობოლენსკისა. მათ სარდლად ჰყავდათ შიხაილო ჩელიადინი და უფლისწული ანდრეი სერკიზი.

სადარაჯო პოლკში კირილემ დაინახა ორი სქიმოსანი და ერთ მათგანში შეიქნო ის ახოვანი ალექსანდრე, რომელიც ტროიციის ლაგრაში ოდესღაც მოეხმარა, ცხენისათვის გაეხსნა სამხედრო აბზინდა.

ვერ შეეგნო რატომ ხდებოდა ასე, მაგრამ წინანდელი შეხვედრის მოგონება არ სიამოვნებდა კირილეს, თითქოს ეს მოგონება იყო მისი მხრებისთვის აუტანელი რაღაც სიმძიმე. და როცა ალექსანდრემ მკაცრი, ადამიანთა ბედისადმი, ყოველი წარსულისა და მომავლისადმი თანაგრძნობას მოკლებული თვალი გაკვირვებით მასზე შეაჩერა, კირილემ თავი დახარა და ხალხში შეერია.

უშუალოდ კირილეს პოლკის წინ, სადარაჯო პოლკის უკან დააყენეს დიდი მთავრის დიდი პოლკი თავადი ივანე სმოლენსკის წინამძღოლობით; სარდლებად კი მას ახლდნენ ტიმოფეი ველიამინოვი, ივანე კვანია, მიხაილო ონდრეინი ბრენკო და სახელოვანი ბუმბერაზები — დიმიტრი მინინი და აკიმ შუბა. მარჯვენა, მდინარე დუბიას ხრამებზე მიბჯენილი, იდგა მარჯვენა ხელის პოლკი თავადი ანდრეი როსტოვსკისა და ანდრეი სტაროდუბსკის შეთაერთობითა და სარდალი გრუნკოს წინამძღოლობით.

მარცხნივ იდგა მარცხენა ხელის პოლკი; იქ იყვნენ თავადები — ფედორე და ივანე ბელაშჩერსკები, ფედორ იაროსლავსკი, ფედორე მოლოფსკი, ხოლო სარდლად მათ ჰყავდათ ლევ მოროზოვი, მეტსახელად მოზირი.

სათადარიგო პოლკში, კირილესთან ერთად, საომრად ემზადებოდნენ ლიტველი თავადები ანდრეი და დიმიტრი და რომან ბრიანსკი; მათი სარდალი იყო მიკულა ველიამინოვი, დიდი მთავრის ქვისლი.

სწორედ მიკულასთან ითვლებოდა გრიშა კაპუსტინი და აქვე მოვიდა კირილე თავისიანებით.

კოცონთან მჯდომი ჯარისკაცები შემოხვეოდნენ დათუნას; ყველა ცდილობდა ხელი მოეკიდნა მისთვის და რითიმე გამასპინძლებოდა; დათვიც ტიმოშკას ლუღუკზე ცეკვავდა ქვაბებთა შორის. სასეიროდ მას ჩამოკიდეს ხრამალი, მაგრამ ხრამალი მოკლე გამოდგა: დახურეს ზუჩი, მაგრამ ზუჩი ვიწრო აღმოჩნდა.

ამ დროს ქვაბებთა შორის ცხენით ჩაიარა მიკულა ვასილიევიჩმა; და, როცა დაინახა იარაღსმული ნადირი, მწყარალად დაიძახა:

— ეს რაღაა?

მხედრები შეკრთნენ, დუღუკმა ერთი დაიჭყვიტინა და დადუმდა, ტიმოშა კი მთლად წახდა.

— რა ამბავია, გვეითებით? — ყვიროდა მიკულა. — ასეთ ბუმბერაზს ვინა ასე უნდა შეიარაღება? ვინაა მავის გამძღოლი? ცხლავე წავიდეს მესაჭურველსთან და მიიღოს შესაფერი იარაღი. უკან რომ დაებრუნდები, დავხედავ — შხად იყოს.

ულაყს მათრახი გადაკრა და დიმიტრისკენ გაექანა.

ბევრს უნდოდა დათუნა მესაჭურველსთან წაეყვანა, მაგრამ ტიმოშამ ეს

საპატიო მოვალეობა არავის დაუთმო და თვითონ წაიყვანა. შესაქურველს მკაცრად მოსთხოვა:

— სარდალმა მიბრძანა, დათვი ეხლავე ბუმბერაზად შევთავაზო. გინდა, კე მარაგი, მოსძებნე, რომ მოერგოს.

შესაქურველ ალმაცერად შესცქეროდა ტყის ბუმბერაზს, საჩქაროდ გამოტეხნა აბჯართა შორის ვეებერთელა აბჯარი, ზუჩებთა შორის უზარმაზარი ზუჩი.

— ჩვენს დმიტრის ყოველგვარი იარაღი აქვს, ყოველი ტანისა და ხნოვანების შესაფერი: ღარიბი ვართ თუ? აი რიანანის თავადმა გამოცხვანაო, ამბობენ, თავისიანები ქალამნებითა და ჩუსტებით. ახლა რცხვენია, და ამიტომაც ვერ ბედავს მამისთან წასვლას.

— შენ ვინ ვითხრა?

— ჩვენმა მზვეერაებმა.

დათვის ჩააცვეს ჯავშანი, თავზე დაახურეს და თასებით შიბებს წითელი ფრთებით გაწყობილი, ვეებერთელა ზუჩი.

— ნუ გეშინია, არ ჩამოვარდება!

როცა მიკულა ვასილიევიჩმა უკან გამოიარა, ტიმოშას უბრძანა:

— წადი დიდ მთავართან, — როცა დათვზე ელაშვებ, მოისურვა თვითონ ნახოს.

— ეხლავე! — სიხარულით დაეთანხმა ტიმოშა.

მაგრამ, როგორც კი ველიამინოვი გაშორდა, ტიმოშა მივიარდა კირილესთან:

— წინამძღოლო, რა ექნა? ის ხომ ჩემს დაქერას ბრძანებს! მე ხომ მეძებდნენ.

— მეომარს ვინ დაიკერს? ხომ არ გადარეულხარ?

— მაშ არაფერია?

— წადი, ნუ გეშინია.

კირილემ თვალი გააყოლა მათ. ჯარისკაცები იცინოდნენ, როცა დაინახავდნენ ოდნავ განზე გადაწეულ წვეტიან ზუჩით შეიარაღებულ მიმავალ დათვს.

სარდალმა ბობროკმა, როცა პოლკებს თავთავის აღვილზე აყენებდა და დათვს თვალი მოკრა, ოთხამოღებით გაქენებული ცხენი შეაჩერა, გაიცინა, ჯიბიდან ამოიღო თავლიანი პური და გადაუგდო.

პოლკების განლაგების დროს ბობროკი ცდილობდა, რომ ისინი მდგარიყვნენ, როგორც ფრთებ-გაშლილი არწივი და ფრთები მჭიდროდ მიბჯენილი ყოფილიყო კულიკოვის წყაროების გაუვალ ხრამებზე.

დმიტრი მიწაზე იჯდა, როცა დათვი დაინახა:

— ე, ტიმოშა! — შიამახა მან, — ხომ გამოაწყვე შენი დათუნა?

ტიმოშას მუხლები აუკანკალდა.

— შენ რატომ აღარ დადიხარ ჩემთან, დათუნა?

ბრენკო მკაცრად უყურებდა ტიმოშა-გამძლოლს და თან უხსნიდა დმიტრის:

— ჩემი ბრალია, ჩემთან გამძლოლს ხმა ეკარგება.

— დამნაშავეა?

— კაცისმკვლელოა.

დმიტრის ერთხანს არ ამოუღია ხმა, რაღაცას ფიქრობდა და წყნარად სთქვა:

— აქ დავივიწყოთ.

ტიმოშა ფეხებში ჩაუფარდა დმიტრის, რომელმაც მოუთმენლად უბრძანა:

— ჯერ იცეკვე და დუღუკი დაუტარი. რა დღეა, ხომ ჯერჯერობა და უეცრად ჩაფიქრდა...

— არა, აქ არ არის საჭირო.

და როცა ტიმოშამ შეაჩერა დაკვრა და ტუჩებთან კიდევ ეჭირა ჩაღის დუღუკი, დმიტრიმ ხელი გაუქნია:

— წადი, ლაშქარში დაუტარი. გაამხიარულე ხალხი. მე კი უნდა ვიმარხულო — ხვალ ხომ დეთისმშობლობაა.

ვლადიმირი მიხვდა, რომ დიდ თავადს ეცოდებოდა ჯარისკაცები, რომელნიც, შეიძლება, უკანასკნელად მოუსმენდნენ დუღუკს, გაიხარებდნენ და დაიხოცებოდნენ და ვერასდროს ველარ გაიღიმებდნენ. მაგრამ თავის მწუხარებას დმიტრი მალავდა, რომ მოლაშქრენიც არ დალონებულობდნენ, შეენარჩუნებინათ სულიერი სიმშვიდე და ყოფილიყვნენ მამლარი.

ბრენკო მიიწია დმიტრისკენ:

— მთავარო, მინდა შეგეკითხო?

— რაზე?

— ხელსაყრელია, რომ ბობროკი ქვეითა ლაშქარს აყენებს მთელი ჯარის წინა რაზმში? ისინი ხომ მხენელ-მთესველი გლუბაკობაა. ბრძოლის საქმე ნაკლებ იცინა; თივასავით მოცელავენ მათ.

— გეცოდებიან?

— რა სარგებლობას ენახავთ, რომ დაიღუბონ?

დმიტრიმ სახე შექმუნა:

— რა სარგებლობა იქნება, თუ მხედრები დაიღუბენ და ესენი კი გადარჩენ? ოღონდ მხედრობა გადარჩეს, და მხენელ-მთესველს ყოველთვის ვაშოვიო.

ამ დროს თავადის წინ გაჩერდა მწყემსის გრძელი კომბალით ხელში სრულიად გათეთრებული ბერიკაცი.

— თვალყურს ადევნებ, თავადო?

— გამარჯობა, მამა ივანე! შენც აქა ხარ?

— მამ სად უნდა ვიყო? საბრძოლველად ვემზადები, სიმტკიცეს ვიცავ...

— რითი იბრძობ? იარაღი რათ არ წამოგიღია, მამაო?

— შუბი ავიღე—მძიმეა, ხრმალი,—მძიმეა. რათ გააკეთებინე ასეთი იარაღი? მარტო ბუმბერაზებია შენთან თუ? წინად მსუბუქი იარაღით ვომობდი. დმიტრიმ არ უთხრა, რომ იარაღი კი არ არის მძიმე, არამედ ძალა გამოეღია მოხუცის ხელებს.

ივანე მიუახლოვდა დმიტრის; წარბები გადმოწოლოდა თვალებზე; თავადი უფრო კარგად რომ დაენახა, ივანემ თავი გადასწია—და ისე მნიშვნელოვანი და მტკიცე იყო მისი ცქერა, რომ დმიტრი წამოდგა ფეხზე, და მასთან ერთად წამოდგენ ვლადიმირი და ბრენკო. და გორაკზე, სადაც ნებრიადკა პირს იბრუნებს, მთელი თავისი ჯარის წინაშე დმიტრიმ გაიგონა:

— კოცონები რათ დაგინთია ამ ღამეში? ცეცხლი ნაკლები გვეყოფა, ხოლო უფრო საჭიროა მეტი დარაჯი, სადარაჯოდ მწვერაგების დაგზავნა. ბნელია ღამე, მაგრამ მგლის თვალი გამჭრიახია და მტრის თვალიც მგლის თვალზე უფრო სკრის—დარაბების იქეთაც ხედავს; ღამის წყვილიაღში, შორიდან, განუწყვეტლივ გითვალთვალებს. შესუსტდები, წაიფორჩილებ, უნებურად

შეანელებ ყურადღებას, და იგი აქ გაჩნდება! და მაშინ ამით იქნება სრულ-  
ლი. რომ ბოლოს არ ინანო, წინასწარ უფროსილი!

და თითოთ დაემუქრა.

და უეცრად გულანუყებულ შივიდა დმიტრისთან და ხელეზ მოაშვირა:

— ხელმწიფეო, შვილო, თავადო! თავს უფროსილი! შენ თუ დაეცი, ყვე-  
ლას ეჭვი შეეპარება გამარჯვებაზე. გამაგრდი, არ დაეცი!

— როგორ შემიძლია, მამაო, ჯარს ეუთხრა „დავიხოცოთ სამშობლოს-  
თვის“—თქო და თვითონ კი მათ ზურგს უკან გადავრჩე? ვინლა მიიტანს  
იერიშს?

— წინად თავადები ასე არ იქცეოდნენ! მათი საქმე არ იყო ბრძოლაში  
ჩარევა!

— ამიტომაც მარცხდებოდნენ ისინი!

— იდექი მაგრად, შიტი!

დმიტრი გადახედა ბებერს. ამ დრომოკმულ სხეულში უკვდავ ცეცხლად  
ენტო ერთი ვნება— ურდოზე გამარჯვება, და ეს ვნება ბებერს წინ მიუძ-  
ლოდა, თვით ბებერი კი მის უკან მიჩანჩალებდა.

ბებერმა მძიმედ, ღრმად, მიწამდე თავი დაუკრა და წავიდა.

დმიტრიმ, რომელსაც არ ახსოვდა მამის ალერსი, მამის ხმაე კი დიდი-  
ხანია დავიწყებოდა, თვალცრემლიანი უყურებდა ბერიკაცს, თითქოს მას-  
თან მოსულიყოს არა ივანე-მწყემსი, არამედ მამა— დიდი მთავარი ივანე, ან  
ბაბუა— დიდი მთავარი ივანე.

და დმიტრის გულში, თითქოს მისანი ჩიტი სირინიაო, ამღერდა სევდა. ეს  
სევდა იმღერდა მაშინაც, როცა ჯარებისაკან წავიდა და მაშინაც, როცა დაბ-  
რუნდა აქ, არყის ხეების ძირში.

რვა სექტემბერს, დილით გათენებისას მიწას გადაეკრა სქელი, თეთრი  
ნისლი. ნისლში დაიჭექა საომარიმა საყვირებმა, და ჰგავდა, მთელი ქვეყანა  
მოძახილს ეუბნებო.

ნისლი ზე ავიდა, საყვირები კი ღრიალებდნენ.

ლაშქარი ფეხზე დადგა, შუბები აღიმართა ხშირ ტყედ. აღმომავალმა მზემ  
განათა ზუჩები, და ეს ზუჩები, აბჯრების ზემოთ, გაწყობილი წითელი,  
ვარდისფერი და ზაფრანანსფერი ფრთებით დაირხნენ, როგორც ალიონი  
ლურჯ ტბაზე.

დასავლეთის ქარმა ააფრიალა ზეაღმართული დროშები. და ფრთებმა გაი-  
ელვეს ცეცხლის ტალღად.

დმიტრიმ ჩამოიარა პოლკები და გასამხნეველად ეუბნებოდა მათ:

— ძმებო, ერთად დაეკრათ! ერთად გავიმარჯვებთ, ანდა ერთად დავი-  
ხოცებით!

ის ლაპარაკობდა, ჩიტი სირინი კი მის გულში იმღერდა და იმღერდა. დმიტ-  
რიმ მოიწვია თავადები და სარდლები, და, როცა ისინი შემოკრბენ, დმიტ-  
რიმ გადახედა მათ ჰალარა წვერებს— ბებერი მამად შეეფერებოდა, ზოგი კი  
ბაბუადაც— ბებერი ლაშქრობა ჩაუტარებია მათთან, და ახლა კი შეიძლება  
სასიკვდილოდ მიჰყავს ისინი.

ის იდგა დიდი მთავრის სრულ სამოსელში გამოწყობილი: ალისფერი მან-  
ტია უფარავდა ჯავშანსა და ფოლადის ბიზანტიურ საგულეს. ის ეხვეოდა  
ნოსასხამის მძიმე, თბილ ნაოქებში.

ჩიტი სირინი ხულ იმღეროდა, და დმიტრიმ მიმართა შემაჯავრობით:

— თქვენ იცით ჩემი ხასიათი და ჩვეულება. თქვენი თვალის წინ დავიბადე, თქვენს შორის ვიზრდებოდი, თქვენთან ვიყავი მთავრად, თქვენთან დავდიოდი ომებში. მტრისთვის საშიშარი ვიყავ, სამშობლს ვაჩუქებდი, თქვენ პატივს ვდებდით და მიყვარდით. თქვენთან ხელთ მეჭირა ქალაქები და დიდი თემები. თქვენი ბავშვები მიყვარდა, ბოროტი არავისთვის გამიფიქრია, არავინ გამიცარცვავს, არ დამიჩაგრავს, პატივი არ ამიყრია. თქვენთან ვნადიმობდი, თქვენთანვე მივლოვნი. ესლა ჩვენ გველის განსაცდელი უფრო დიდი, ვიდრე წინად, ვინც ცოცხალი დარჩებით, მოუარეთ სამშობლოს. ვინც დაიღუპება, ქვრივებზე და ობლებზე ნუ სწუხდებით — ვინც ცოცხალი დარჩება, ის იზრუნებს მათზე. მე თუ მოშკლეს, გავბლებთ მოუაროთ ჩვენი დიდი საქმის კელატარს — რუსეთის გამაგრებას. შეინარჩუნეთ იმა კელატარის ალი... სიკვდილის არ შეგეშინდესთ, გეშინოდესთ დამარცხებისა — მას მოაქვს ჩვენთვის სიკვდილიცა და სახელის გატეხაც“.

ყველას გამოეთხოვა, და როცა მხოლოდ ახლობელნი დარჩნენ, დმიტრიმ ახლო დაუძახა ბრენკოს და უთხრა:

— ჩვენ ერთმანეთს შევეხარდეთ. როგორც ნათესავი, ისე ცხოვრობდი დედაჩემთან. ესლა ჩიცივი ჩემი ტანისამოსი და დაღექ ჩემი ბაიარლის ქვეშ.

ბრენკო გაფითრდა, მოიხსნა თავისი იარაღი და აღიჭურვა დიდი მთავრის იარაღით, მოიხსნა მისი ალისფერი მანტია, დაიხურა მისი მაღალი ზუჩი. მათ სამჯერ გადაეკოცნეს ერთმანეთი. ბრენკო აღარ შემობრუნებულა, ისე შეეჯდა დმიტრის თეთრ ცხენზე და დიდი შავი ღროშის ქვეშ, რომელზედაც ოქრომკედლით აყერილი იყო ქრისტეს ხატი, გზას დაადგა.

დმიტრის კი მოუტანეს უბრალო, მაგარი იარაღი. თეთრ ხალათში, თეთრ ტილოს შარვალში გამოწყობილი, იგი არაფრით განსხვავდებოდა უბრალო მხედრისაგან.

— რას სჩადიხარ? — უსაყვედურა მიკელა ველიამინოვმა.

— ვიბრძობე ყველასთან ერთად. ასე გადაწყვიტე, ასეც მოგიქცევი.

— შენ რომ მოგვლან, ჯარს რაღა დაემართება?

— ასე ვერ მოშკლავენ, სანამ ჯარი არსებობს! — უპასუხა დმიტრიმ.

მოართვეს ცქვიტი ცხენი, რომელზედაც დმიტრის უყვარდა ნადირობის დროს ჯდომა. დმიტრი წავიდა და დადგა სტოროკევის პოლკის წინ. მხედრები, რომელნიც თვალს ადევნებდენ, ველარ ცნობდენ, სად იყო დმიტრი — ხან აქ, ხან იქ ჩნდებოდა დმიტრის ზუჩი. ყოველი მხედარი შეიძლება ყოფილიყო დმიტრი — ასე ბრძოლის დაწყებამდე, იგი გახდა უკვდავი: ორასათასი კაციდან სანამ ერთი მაინც ფეხზე დარჩებოდა, დმიტრის ვერ მოსაობდენ, — უკანასკნელი მეომარიც ხომ შეიძლებოდა ყოფილიყო დიდი მთავარი.

და მაშინ ისევ აყვირდენ ბუკები, და დიდი არწივი, რომელიც გაშლილი ფრთებით ებჯინებოდა ხრამებზე, აუჩქარებლად დაიძრა ადგილიდან.

რუსების ბუკების ღრიალმა თათრებს მიუსწრო მაშინ, როცა ისინი ქვაბებთან იჯდნენ. დაუღუპავი ლუკით პირში ისინი გარბოდნენ მაშაის მოწოდებაზე და თავდაყირა აყენებდნენ ქვაბებს.

დღის თორმეტ საათზე ბორცვების წვერზე რუსებმა დაინახეს ოქროს ურდოს უთვალავი მხედრობა.

პირველად მოდიოდა, სამიოდე ვერსტზე გაშლილი, გენუელების შავი ქვე-



ითა ჯარი: ევროპის ვაჟკაცი, აღრიატიკის კომანდორების მოწაფე, თავისთავის მოიმედე ფრიაგები დაიძრნ.

პატარა ხრმლებით შეიარაღებულნი, ფრიაგები მოდიოდნ უკრთმანეს მარდამცემ ტალღად; წინ წამოწეული ჰქონდათ შავი, მკვიდროდ უკრთმანეს მძღებელი ფარები; წინა რიგს მხარზე ეყრდნობოდა მეორე რიგის გრძელი შუბები. ლურჯი ფრთები ირზეოდა მათ მუზარადებზე. ქვეითა ჯარის გვერდებზე იღგა ცხენოსანი თათრების ათასეულები. მათ უკან ცხენებს თავს ეშვერდენ უხმოდ მომავალი გაბურძღნული, შავ ბოხოხიანი, უღმობელი ქაშაგები; ბორცვების თხემებიდან კი მოდიოდნ და მოდიოდნ შემკვიდროებელი, შავი, უხმო, ახალ-ახალი ურღოები.

მაშამ დასტოვა ჯარი და ბერნაბის, ტიულიუბეკის და უფროსი მირზების თანხლებით ავიდა წითელ ბორცვზე, საიდანაც სჩანდა კულიკოვის მთელი ველი.

რუსის საყვირები დადუმდნ.

რუსის წითელი ფარები ზეაღიშართა.

უხმოდ უახლოვდებოდნ ერთმანეთს მტრები.

როცა მტრების შუბები თითქმის ერთმანეთს შეეხო, შეჩერდნ: ჯერ არ იყო ბრძოლის დაწყების ნიშანი მიცემული — უბირველესად ყოვლისა საჭირო იყო ერთმანეთის შეთვლიერება, აქა-იქ შეხლა-შემოხლა.

გენუელების წრეები გაიშალა, და ქაშაგების ცხენოსნების რიგებიდან მარდი, შავი უღაყი გამოახტუნა პაქამიკმა ჩელუბემ, პირი რუსებისკენ მიიბრუნა და ჰენებით ჩაიარა ურდოს დადუმებული ხაზი.

ჩელუბეი ისეთი უზარმაზარი იყო, რომ ფეხებს თუ გაწვდიდა, ცხენსაც კი შეეძლო მათ შორის გავლა, თუ ხელებს გაშლიდა, მარცხენა ხელით რუსების ფარებს მისწვდებოდა და მარჯვნივ — თათრებისას.

შავი ტურნები ასწია წითლად შეღებილ წვერს ზევით, კაშკაშა კბილები თავხედად გადმოყარა, მძიმე მხარსაფრებმა დაიჭრაქუნა. მან ადვილად, თითქოს ბალახიო, ასწია მძიმე შუბი და შესძახა:

— აბა! ვინ ხარ მამაცი? ქალამნიანო მონებო, ლარებო!

ბევრს უნდოდა გავარდილიყო მასთან საბრძოლველად, მაგრამ ყველა ამჩნევდა, თუ რა ძლიერი და უღმობელია ეს მტერი. ბევრს იმსხვერპლებს, თუ ბრძოლაში შევიდა და რუსის ბუმბერაზები იციდნ, სანამ საბრძოლველად გავილოდნ, რადგან მტერი უსათუოდ უნდა დაემარცხებინათ — ეს იყო რუსეთის მთელი ხალხის პატივისა და თავმოყვარეობის საქმე.

მაშინ დმიტრის ეახლა ტროიკის ბერი ალექსანდრე პერესვეტი:

— ჩვენმა ილუმენმა, მამა სერგიმ, დამლოცა მე ამ ბრძოლისთვის უხრწნელი იარაღით — ჯვართა და სქიმით. ნება დამრთუ, ზელმწიფეო, ურჯულოს წინააღმდეგ გამოვეადო მისი ძალა.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი! — უპასუხა დმიტრიმ.

პერესვეტმა გაარღვია წინა რიგი და მხედართა შორის ვიწრო ყელიდან გამოახტუნა ცხენი.

მან ჰენებით ჩაუარა რუსების წყებას ველის მეორე მხარემდე. ხელში შუბი ეჭირა. თეთრი ჯვრებით აკერილი შავი სქიმა სისწრაფისაგან ფარფატებდა. სქიმის ქვეშ მას არ ჰქონდა არც აბჯარი და არც ჯავშანი. მოღვლილ მკერდზე ურტყამდა რკინის მძიმე ჯვარი.

ორივემ ერთდამივე დროს შემოაბრუნა ცხენი და წინ გაშვერილ შუბზე



მიწოლილი ველის სხვადასხვა მხრიდან, რაზმების შუაში გფეშურა მტრისავენ და ეკვეთა მას.

პერესვეტის მოქნეული შუბი ჩელუბეის მუცელში მოხვდა და პერესვეტის მკერდი ვანგმირა ჩელუბეის შუბმა.

შეჯახებამ ცხენები ჩაამხლსისთავა.

ერთი წუთის შემდეგ ჩელუბეის ფაფარგაშლილი ვაყა მიათრედა უზანგში ფეხ-გარჩენილ მკვდარ მხედარს.

პერესვეტი უნაგირზე შერჩა. მისი ცხენი თავისიანებისკენ მიბრუნდა, და იჭიხინა და მხედარი მოიყვანა: მკვდარი ბერი კისერზე მოხვეოდა ცხენს და ისე დაუბრუნდა თავის პოლკს.

დიდი მთავრის ბაირალთან ხარივით დაიბღავლა საომარმა ბუკმა, და ათასმა პირმა შებღავლა ბრძოლის პირველი შეძახილი; ფარი მოხვდა ფარს; შუბები ქახა-ქუხით დაეჯახენ ერთმანერთს; შეტაკების გააფთრებულმა გუგუნმა, უჩეხუნმა, ჩხარუნმა, თქარა-თქურმა შეანძრია მხედართა ზევით ცა და ქვევით დედა-მიწა.

მამაის ქვეითა ჯარი შეეტაკა სადარაჯო პოლკის შუაგულს, სადაც იბრძოდა დმიტრი. ნაცადი ხელით აიცილა პირველი დარტყმები, გენუელების რაზმში შენიშნა ხერელი და შიგ შეიჭრა. ირგვლივ გაჩაღდა გაშმაგებული, შეუპოვარი ბრძოლა.

ცოცხლები დგებოდნენ მიცვალბულთა გვამებზე, მაგრამ ზოგს ფეხი უცურდებოდა, ზოგიც დაქრილი ძირს ეცემოდა. ფეხზე წამოდგომას კი ვერავენ ახერხებდა, რადგან წაქცეულზე ზე დგებოდა ათი ცოცხალი.

თათრები ჯიუტობდნენ. რუსები უძლებდნენ მტერს. მალე ამ ადგილზე ისეთი სიფიროვე შეიქმნა, რომ ცხენები ფეხს ვეღარ აღდამდნენ გვამების გამო. თავმოჭრილები ერთხანს იდგნენ ბრძოლაში გართულთა შორის, რადგან ვერ აღწევდნენ მიწას; ქვეითა ჯარს სული ეხუთებოდა სიფიროვის, ჯგლეუთის და ცხენოსნებისაგან.

ფარებს ჯახა-ჯუხი ვაჰქონდათ და სკდებოდნენ, როგორც ნაქუჭი დარტყმისაგან. გენუელების ხელში დიდი ხანია რაც გაიელვა რუსების ფარებმა, და რუსების ხელში გენუელების ხრმლებმა. დიდი ხანია მტრების ცხენოსანი ჯარები შეეტაკნენ ერთმანერთს. დიდი ხანია ააგუშავო პოლკი დაწვა გენუელების ქვეითა ჯარის გვამებზე, და დიდი მთავრის დიდი პოლკი იბრძმის მათ გვამებზე.

კირილე, ტიმოშა და გრიშა ხრმლით მხარდამხარ იბრძოდნენ.

კირილეს პრიალა საჭურველით მოზიდულმა სამმა ოსმა მოაგდო ცხენი. მაგრამ თათრულმა თუ არაბულმა ფოლადმა გაუძლო ოსური მოღუნული ხრმლის ფიცხელ დარტყმას. გამოქანებულმა ოსმა ჩაიარა, და გრიშამ მოასწრო მეორეს შემბრძოლებოდა; კირილე ეცა მესამეს, დაარტყიანა, არ აცალა წელში გასწორებულიყო და კისერი გაუჩეხა. ოსმა ხელები ჩამოუშვა და უნაგირიდან ჩამოეცურდა.

კირილემ ვერ მიუხსრო, როცა პირველი ოსი შემობრუნდა და გრიშას მხარში ჰკრა შუბი. გრიშა შეტორტმანდა, კირილე გვერდიდან მივიარდა, უნაგირიდან ჩამოაგდო ოსი, გათელა და გასრისა.

გრიშამ ხრმალი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიღო და უფაროდ განაგრძო ბრძოლა.

ახალ-ახალი ურდოები ებმოდნენ ბრძოლაში, მაგრამ რუსები იდგნენ მკიდ-

როდ და მაგრად, თათრებს სივრცე არ ყოფნიდათ შეტევისა და გარს შემოტყუვისათვის. ხრამებით შემოზღუდულ მაშაის შეეძლო მხოლოდ იმდენი ჯარი შეეყვანა ბრძოლაში, რამდენსაც უკუაქცევდნენ რუსები.

მაშინ ყაინმა გადასწყვიტა დმიტრის სიმტკიცე გაეტეხა სათადარიგო ძალების შეტევით. წითელი ბორცვიდან ბრძოლისკენ გაექანა ტიულიუბეკი თავისი ათასეულეებით და გზა გაიკაფა დმიტრის დროშისაკენ.

დმიტრიმ შენიშნა, რომ ბრძოლის სიმძიმემ იქეთკენ გადახარა, და თვითონაც იქეთკენ გაექანა.

დმიტრი ბრძოლით იკაფავდა გზას, როცა შეამჩნია, რომ დიდი მთავრის საჭურველით შევიწროვებული ბრენკო გაშმაგებით ერკინება თათრების ხელმარჯვე ხანს. დმიტრიმ მოიგერია თათრები, რომელთაც გზა გადაუტრეს, მაგრამ წუთით თვალები მაინც დახუჭა: ტიულიუბეკის ხრამალმა ბრენკონ შეზღი გაუბო. რუსული შავი დროშა დაეცა დახოცილ გვამებზე.

იმავე წამს დმიტრი გაჩნდა ტიულიუბეკის წინ.

მან დაინახა გახარებული, ბრწყინვალე სახე ახალგაზრდა ურდოელისა: ტიულიუბეკს ეგონა და უხაროდა, რომ მოჰკლა დმიტრი! და მაშინ ხრამლის მძაფრი დაკვრით დმიტრიმ ხანს თავიდან ჩამოაცალა ზუჩი.

მეორე წუთში ტიულიუბეკის ხრამლი მოხვდა დმიტრის ხელს, მაგრამ დაცურდა ფოლადის საბელურზე.

მათ ცხენებიც მკერდით შეეჯახნენ ერთმანერთსა და ღრღინდნენ ერთი მეორეს.

ტიულიუბეკმა ვერ მოასწრო დაცურებული ხრამლის ხელმეორედ მოქნევა, რომ დმიტრიმ იგი შუა გააპო.

სამი საათი რუსები გვამებს ერთი მეორეზე აყრიდნენ, ერთმანერთში ურევდნენ მკვდრებსა და დაჭრილებს, თავისიანებსა და შტრებს.

დიდი პოლკის შეეწროებულმა მოსკოვის რაზმმა გაუძლო ქაშაგების ერთდამადვე დროს ორი მხრიდან თავდასხმას. რუსების შეუდრეკელობით განცვიფრებულმა თათრებმა პირი იბრუნეს და მთელი სიმძაფრით ეკვეთნენ მარცხენა ხელის პოლკს.

ბუმბერაზებისაგან შემდგარი საფარი რაზმი თათრებმა გადათელეს, და ურდოს მთელი თავისუფალი ძალა ეცა ამ ადვილს. პირველად დაეცა წინ გამოვარდნილი სარდალი ლევ მოროზოვი.

მარცხენა ხელის პოლკმა დაიწყო გაშმაგებული ბრძოლით უკან-დახვევა. ოლგერდოვიჩებმა იქეთკენ მიუსიეს სათადარიგო პოლკი, მაგრამ ოქროს ურდოს მხედრობამ, რომელსაც ბრძოლაში მიუძღოდა ტაშ-ბეკი, მიუსწრო და შეაჩერა ისინი.

მარცხენა ხელის პოლკი, რომელმაც დაკარგა სარდლები და ვერ მიიღო სათადარიგო პოლკის დახმარება, გაიქცა მდინარე ნებრიადვისკენ.

თათრებმა პირი იბრუნეს დონიდან, შეიჭრნენ სათადარიგო და მარცხენა პოლკებს შორის, გაექანნენ მარჯვენა ფრთისაკენ, სოლად შეერქვენ მარჯვენა და სათადარიგო პოლკებს შორის, რომ განეშორებიათ ისინი, შევარდნილიყვნენ ხვრელში და ესრისათ ცალ-ცალკე.

ფედორე და ივანე ბელოზერსკებმა, ფედორე და მსტისლავ ტარუსკებმა, სარდალმა შიკულა ველიამინოვმა და ანდრეი სერკიზმა აღმართეს დმიტრის

შავი ღროშა და წინ გაეშურენ, რომ შეეერთებინათ დიდი პოლკის გათიშული ნაწილები და დაეკეტათ გარღვევა.

მამაიმ იქითკენ გაგზავნა უკანასკნელი ახალი თათრები, <sup>ერქვეშული</sup> ჯარისკაცები, ცხენოსანი თურქები გააფთრებულ დასვენებულ ცხენებზე იქ განიდნენ. ორივე ბელოზერსკი, ორივე ტარუსკი, სარდალი მიკულა ვასილიევიჩი, ანდრეი სერკიში, აკინფ შუბა, ასამდე სხვა მხედარი დაეცა. დიდმა პოლკმა დაკარგა კავშირი მარჯვენა ხელის პოლკთან და მისი ნაწილი გაიქცა მდინარისაკენ. ლტოლვილმა მხედრებმა თავის ტალღაში მოიყოლიეს თვით დმიტრი. ვილაცის ხელით ნასროლი შუბი დმიტრის ცხენს კისერში მოხვდა. დმიტრი ჩამოხტა უნაგირიდან, ამოგლიჯა ცხენს შუბი და ქვეითად მივარდა ტოურმენელ მხედრებს, რომელნიც გვერდით მიჰქროდნენ. შუბის მოთულოდნელი დარტყმით ერთი მთვანე ცხენიდან ჩამოაგდო, ხელი სტაცა აღვირს და შეუქცა ტოურმენის ჯერ კიდევ თბილ უნაგირზე.

დმიტრიმ ერთი თვალი მოკრა ველზე მიმავალ ბებერ ივანეს. თავს ზევით, როგორც შუბი, ხელში ეჭირა კომბალი და თათრების შესახვედრად მიჰყავდა ქვეითი რაღაც რაზმი და რაღასაც შესძახობდა, მის ირგვლივ ხალხი ეცემოდა და კვდებოდა, ის კი მიდიოდა უძველესი, უკვდავი, როგორც სახალხო შეურაცყოფა.

დმიტრიმ ცხენი შემოაბრუნა და გაუმკლავდა სამი ტოურმენის შემოტევას. იგი გადააჩინა მხედრების ცხენების სიმკვირცხლემ, ხრმალი ორჯერ მოხვდა მის საჭურველს ნაქვედ სამხარულზე და ზუნზე. მაგრამ კარგმა ფოლადმა გაუძლო, მხედრებმა კი ვერ შეაჩერეს გაცოფებული ცხენები და ისე დაშორდნენ, რომ ვეღარ შემობრუნდნენ.

როცა შეამჩნია დიდი პოლკის დაშლა, დმიტრი გაექანა ტყისკენ, რომ ჩასაფრებელი ძალების სათავეში ჩამდგარიყო, მაგრამ აქაც შევიდა თათარმა გზა გადაუჭრა. ამ დროს კირილემ დაინახა დმიტრი. ტიმოშასა და დაჭრილ გრიშასთან ერთად მან მიაშურა დიდ მთავარს. ოთხი ებრაოდა დმიტრის, სამი განზე იდგა; კირილემ შეამჩნია, რომ დმიტრიმ სწრაფად შეაბრუნა ცხენი და ჩამოაგდო ერთი ცხენოსანი, მაგიერად განზე მდგომი სამი თათარი მივარდა.

კირილე და მისი ამხანაგები ეცნენ თათრებს და შეაჩერეს ისინი. გრიშას აღარ შეეძლო ცალი ხელით დიდხანს გაეწია წინააღმდეგობა და მალე თათრის შუბმა ძირს დასცა უსულოდ. თათარი, რომელიც წინად გრიშამ დასჭრა, ეცა ტიმოშას. კირილეს თავზედაც გაიღვია ვილასიც მოთულოდნელმა შუბმა. ტიმოშამ მოასწრო დაეფარა კირილე, რომელიც მათ შუბთა ქვემოთ გახტა, შემობრუნდა და თათარს ზურგში დაჭრა ხრმალი. იმავე წამს ორი ხრმალი მოხვდა ტიმოშასაც და კირილესაც. კირილე კიდევ ვასწორდა წელში, ტიმოშას ხელიდან გაუვარდა ხრმალი, გადმოვარდა უნაგირიდან და უხმოდ, თითქოს კოცნას უბირებდო, პირისახით დაეყრდნო მიწას. უეცრად თავზარდაცემულმა თათარმაც შეაჩერა ცხენი: ვეებერთელა დათვი, შეჯავშნული, ყურებისკენ გადმოქანებული ზუჩით, აღრიალდა, გაეაზნე შეახტა ცხენს და როგორც ლავაში, ისე მოთელა თათარი, რომელიც მიწაზე ჩამოვარდა; უჩვეულო სიმძიმით ქანცგამოლეულმა, შეშინებული ნადირის კლანკებით დაკაწრულმა ველის ცხენმა კი ნადირი გაიტაცა უკან თავის ბანაკისაკენ, პირდაპირ წითელ ბორცვზე.

დმიტრი ატრიალებდა ცხენს და დიდხანს თავს იცავდა სამი თათრისაგან. მისი საჭურველის ფოლადი ილუნებოდა, იხეოდა, მაგრამ მოჭნეულს იცდენდა



— საქმეც ესაა, რომ ხმაილა ყვირიან.

— ამიტომაც მოითმინე, ჰგავს ჯერ კიდევ ახლო არიან.

გუშაგები ყვიროდენ.

— ჩვენები თათრებმა დონიდან ნებრიადვისკენ მიაბრუნეს.

— საითკენ?

— ნებრიადვისკენ მიბრუნდენ. მარცხენა პოლკს ერეკებიან.

— დაარბიეს პოლკი?

— დაარბიეს.

— ჩვენ ზურგი შემოგვაქციეს?

თათრების ხმა მიწელდა.

ბობროკი წამოდგა. გული გამმაგებით უცემდა; მუშტი შეკუმშა და მშვადად წავიდა ცხენისკენ.

ყველამ მიატოვა ზევით, გუშაგებისკენ ცქერა და ბობროკს მიაჩერდა.

— ჩამოდიო! — დაუძახა გუშაგებს.

მშვიდად შეპყრო ფეხი უზანგში, შეჯდა, მშვიდად ჩამოიცვა მწკანე ხელთათმანები, თავი ბრძოლისკენ გაიქნია. ცხენს აღვირი ჩაპკრა და გზადაგზა დაუყვირა ჯარს:

— დროა!

დიდხანს უმოძრაოდ ნამყოფმა ცხენებმა, ბრძოლას მოწყურებულმა მხედრებმა ერთის გაქანებით ვადალახეს სმოლკა და ქაცენარით დაკაწრულები გამოვიდენ კულოკოვის ველზე.

დევნით გატაცებული თათრები გაყოფილი იყო მრავალ რაზმებად, და ახლა სმოლკისკენ ზურგშექცეულნი ებრძოდენ რუსების პოლკების დაქსაქსულ ნაწილებს.

მამაიმ, რომელიც ბორცვიდან თვალს ადევნებდა ბრძოლას, დაინახა, რომ მისი ჯარი ჯერ მიდენდა რუსებს ნებრიადვისკენ, მერმე შეჩერდა, იბრდაირია, და უეცრად გამეფებულ სიჩუმეში ისევ უკანვე შემობრუნდა.

განცვიფრებული ყინი მიუბრუნდა ბერნაბეს. გაფითრებულ ბერნაბეს კბილები უწყაყაყებდა და მიშტერებოდა არა ყინს, არამედ ველს.

გარბოდა გენუელი ქვეითა ჯარი, რომელიც უფრო და უფრო მცირდებოდა, როგორც ქვიშამღე მისული ტალღა; შეუჩერებელი ტალღად მათ მიაწვინენ ქაშაგები, რომელნიც თელავდენ და სრესდენ, რაც-კი რამ შეხედებოდათ გზაზე. ქაშაგების უკან ყვირილით მიბრძოდენ თათრები. ყველაზე წინ კი ყინის ბანაყისაკენ გაცოფებულ ველურ ცხენს მიაქენებდა და დმუოდა აბჯრიანი დათვი.

თითქმის ნებრიადვაზე მიდენილი რუსები შეჩერდენ, სიხარულის ყიფინით შემოუბრუნდენ გაქცეულ თათრებს და დაუწყეს მათ დევნა.

მამაიმ მხოლოდ ახლა გაარკვია, თუ როგორ შეიქრა ბრძოლაში ტყვიდან გამოვარდნილი რუსების ახალი ცხენოსანი ჯარი, რომელიც პანტასავით ფანტავდა ტოურმენების ქულებს და მიწაზე ანარცხებდა ქაშაგების შავ ბოზოხებს.

თათრები არ შეუჩერებია ბობროკის ზურგში თავდასხმას, მხოლოდ ნაწილი ირიბად შებრუნდა წითელ ბორცვისაკენ, უმრავლესობა კი განავრძობდა ნებრიადვისკენ ლტოლვას, მაგრამ ეხლა ისინი კი არ სდევნიდენ, არამედ რუსებს გვერდს უვლიდენ, გარბოდენ და რუსებიც გზას უთმობდენ.

ფრიალო ნაპირები, მდინარის სიღრმე, საქურველის სიმძიმე, შეხლა-

შეტაკება, — და ყველაფერი აირია: ოსები, ბურტასები, თურქები, ქაშაგები, ფრიგები და ტოურმენები—ყველა ვარდებოდა ნეპრიადვაში და იგუდებოდა მდინარე შეჩერდა.

ოცხალი ჯებირი ჯერ კიდევ მოძრაობდა, ხან ცხენის ფეხებით ლეებდა ზევით, ხან ოქროს დიდი ურდოს მხედრობის ხელებს ან თავს. ნეპრიადვა გადაიარა მხოლოდ მან, ვინც მოახერხა ფონი გეამებზე გადევლო.

თავდასხმა იყო მოულოდნელი. იგი მოაწყობდასვენებულმა ჯარმა დალილ მტერზე. ასეთი ანდერძი დასტოვა ჩინგიზმა. და ეს ახალი მხედრობა კვალდაკვალ მისდევდა მტერს, დროს არ აძლევდა გონს მოსულიყო, სული მოეთქვა, მიდენიდა და თან სრესდა მას.

ასე შეასრულა რუსეთმა ჩინგიზის სამი ანდერძი.

მამაიმ ცხენს მიაშურა.

მორთოლვარე ხელი ფაფარში სტაცა, მაგრამ ცხენი ტრიალებდა, და მამაიმ უზანგი ვერ დაიჭირა.

უნაგირხელჩაჭიდებული მამაი ცდილობდა სირბილის დროს შემჯდარაიყო, სული ეხუთებოდა, ცხენი კი ჭენებით მისდევდა ბერნაბისა და მირზების ცხენებს.

ზურგს უკან ისმოდა ლტოლვილი მხედრობის ღრინაცილი, მდევართა ხრმლების ჩხარა-ჩხური და მათი საშინელი ყიყინა.

ელადიმირ სერპუხოვსკოი გადარჩენილ პოლკებს წაუძღვა წითელი ბორცვისაკენ, გადაიარა რამოდენიმე ბორცვი და განცვიფრებით ჩაუარა იმ ადგილს, სადაც თათრებს საკმელი ექამათ, სადაც ეყარა გადაყირაგებული ქვაბები ჯერ კიდევ თბილი ცხერის ხორციით.

გასისხლიანებული, მაგრამ მაინც ძლიერი, დიდი არწივი მიმოქროდა ველებზე, სადაც დღესაც კი მშვიდად იდგნენ ბანაკები, დამით კოცონების ცხელ ფერფლზე, საბარგულების წაჭეიულ ურმებზე, ტყეებში გაქრილ ჯოგების გვერდით, გარეტიანებულ მყვირალა ხალხის გვერდით და სრესდა და სჩებდა მათ. წინ კიდევ ირეოდა ცხერის ფარები და ცხენების ჯოგები, მაგრამ მტერი აღარ სჩანდა — იგი მთლიანად დარჩა უკან, გამარჯვებულთა ფეხქვეშ.

ელადიმირმა შეაჩერა დევნა და დაბრუნდა უკან, კულიკოვის ველზე.

საფარიდან გამოსული დმიტრი ბობროკი თავისი ძალებით ქვევით გაჰყვა მდინარე პტანს, სადაც მირბოდენ ტოურმენები, თათრები და თვით მამაი.

მათ სდევნიდენ კრასნი მეჩამდო, კუზმინის ხერგამდი, მამაის ნოხებით დაფენილ რუსულ ძველ ქოხამდი.

კრასნი მეჩხედაც იგივე მოხდა, რაც დაქმართათ მამაის მხედრებს ვოკაზე და ნეპრიადვაზე: მძიმე საჭურველმა ფსკერისკენ წაიღო, ვინაც მოინდომა მდინარის გადალახვა.

მამაის კარავში ბობროკს მოართვეს დარჩენილი ოქროს თასი.

ბობროკმა თასი თვალთან მიიტანა და ჩამავალი მზის სისხლისფერ სინათლეზე წაიკითხა:

„თასი ესე არს დიდისა მთავრის ვალიციისა მსტისლავ რომანოვიჩისა, ვინც დალევს-შესარგებად და მტრისათვის წარსაწყმედად“.

მსტისლავ ვალიციი მოკლეს კალკაზე ბრძოლაში ასორმოცდაათი წლის წინად. იქედან წაიღეს ურდოში ეს თასი.

აი ახლა ბრუნდება თასი სახლში.



ბობროკი ჩაფიქრდა: წინ კიდევ გარბოდენ, მამაის ლაშქრის გრუნება და მესხთერება, დაკარგული ნაწილები და მათთან ერთად თვით მამი. ცხენებს კიდევ შესწევთ ძალა მათ დაეწიონ. შეიძლება დაეწიოს, ~~ქვეყნულ-ქონსოს,~~ რომ თმაც, სულის თქმაც არ დარჩეს ქვეყანაზე უთვალავად, ~~ქვეყნულ-ქონსოს~~ თქმული ძალებისაგან. მაგრამ დამეა, წინ ველია, ველში კი არც თავშესაფარია და არც საკმელი.

და ბობროკმა ბრძანა უკან დაბრუნებულიყვნენ.

ისევ მიყვებოდენ მდინარე პტანს. მდინარეს მიჰქონდა ფარების ნატეხები და ნაგავი. მთელი ნაბირი, მთელი გზა სავსე იყო დახოცილი თათრების გვამებით. ოცდაათი ვერსტი მოეფინათ გვამებს. გვამების გასწვრივ მდიოდენ გამარჯვებულნი და ხედავდენ, თუ როგორ უფრო და უფრო ბნელდებოდა და როგორ კლებულობდა დაისის მშვიდი წითელი ზოლი.

და მხედრებს, რომელთაც მთელი დღე გაატარეს ჯერ საფარში, სიჩუმეში, უხმოდ, შემდეგ უეცრად გაცოფებულ ბრძოლაში გამარჯვებით გახარებულთ, ახლა ამ სიბნელეში მოუნდათ ლაპარაკი. არავინ იცოდა, შეიძლება თუ არა ლაპარაკი, და საკადრისია თუ არა სიმღერა ასეთი უთვალავი სიკვდილის წინაშე. ბობროკის კითხვას კი ვერ ბედავდენ. ჩუმი და მკაცრი იგი წინ მიდიოდა.

მას დემიტრისთვის მიქონდა მამაის ოქროს თასი და არ იცოდა ცოცხალია თუ არა ის, ვისთვისაც მიქონდა.

დევნის შემდეგ, ჯერ კიდევ მზე არ ჩასულიყო, ვლადიმირ სერაპუხოვსკი დაბრუნდა კულიკოვის ველზე და შეკრების ნალარის დაკვრა უბრძანა.

დაფლეთილი, მძიმე, შავი ღროშა ისევ აღიმართა დახოცილ მეომართა გვამებით მოფენილ ველზე. ხრამლებით დაჩეხილი ხმა-ჩახლეჩილი საომარა საყვირები აღრიალდა გლულდ. მხოლოდ უსულო გვამები განაგრძობდენ მიწაზე წოლას.

ველის ყოველი მხრიდან ვლადიმირთან იკრიბებოდენ მეომრები. ზოგი ეყრდნობოდა ხრამსა და შუბს, ზოგი მოჰყავდათ. მაგრამ ლაშქარი თავს იყრდა; ერთმანერთს ეხვეოდენ ნათესაუბი, მოყვრები და მეგობრები. ზოგი შეშფოთებული გასცქეროდა ველს და ელოდა თავისიანებს. ზოგი გაკვირდა სახელს, მაგრამ მათ ხმას პფარავდენ საყვირები, და საყვირის მოწოდებაზე მოდიოდა ყველა, ვისაც კი შეეძლო სიარული.

მათადრო ცხენი წვერებ-მოჩნებლმა, თვალ-ჩალეწილმა ხოლმსკიმ, მოვიდენ და გადაეხვივნენ ვლადიმირს ოლგეროდვიჩები — მათი მეგარი აბჯარი იყო გათვლილი და სისხლისაგან დაეანგულსა ჰგავდენ. აღამიანებსა და მიწას ასდიოდა სისხლისა და რკინის მძიმე სუნი. მოვიდა ახალგაზრდა თავადი ნოვისილსკი: ბრძოლაში გადარჩენილი მისი ღია სახე გადაესერა ლურჯი ხაზებით პირველ ნაოქებს. საყვირები ღრიალებდენ. მხედრებს მოყავდათ აქ დაჭრილები, მოქონდათ თათრებისათვის წართმეული უცნობი საგნები, მოყავდათ მარჯაოდ ცხენები...

— ჩემი ძმა სად არის? — შეეკითხა ვლადიმირი ოლგეროდვიჩებს.

— თითქოს დაეინახეთ, — სთქვა ნოვისილსკიმ, — ოთხ თათარს იგერიებდა, მაგრამ გზა ვერ გაეიკაფე მისკენ.

ბებერმა ივანემ ძლივს მიადწია ვლადიმირს. თეთარი ტილოს შარვალი სისხლით ჩაშავებოდა: ის დიდხანს დადიოდა ველზე, ამხნევებდა მეომრებს და ეძებდა დიდ მთავარს. ივანემ მკაცრად ჰკითხა ვლადიმირს:



— სად არის?

— არ არის! — უბასუბა ვლადიმირმა და უბრძანა ბუკის ცემა შეეწყვიტათ, და შემდეგ მთელ ველს გადასძახა:

— დმიტრი!

და ყველაფერი დადუმდა და სმენად გადაიქცა.

— მთავარო!

ნოვოსილსკი კი გვამებზე აბტუნებდა და მიაჭენებდა ცხენს იქეთკენ, სადაც უკანასკნელად იბრძოდა დმიტრი.

დიდი მთავრის ერთ დაპირებულ მოლაშქრეს ენაბა მაღალი მხედარი, დაფლეთილ ჯაგმანითა და დიდ-კუდა შუბით ხელში რომ მძიმედ, მარტოდ-მარტო მიდიოდა ტოურმენების გამოქანებულ ცხენოსანთა რაზმის წინააღმდეგ. და ეს მხედარი დმიტრი იყო.

ვილაცამ სთქვა, წინ, დახოცილთა გროვაში, დიდი მთავარიც წევსო.

ვლადიმირი, სარდლები, ბევრი მხედარი იქეთკენ გაექანა. ცხენით მისვლა შეუძლებელი ვახდა: გვამები გორაკებზედ ეყარა, ისმოდა ხროტინი და გოდება. ცხენზე ჩამოხტენ, ფეხით გადადიოდნენ გვამებზე.

მოთელილ ბალახზე, ძვირფასი საჭურველით შეიარაღებული იწვა მოკლული დმიტრი.

ვლადიმირს გულისცემა შეუჩერდა, დაიხარა დამშვიდებულ, მკვდარ ტუჩებისაკენ:

— განუსვენე, უფალო, სული თავადი ივანესი.

ეს იყო ახალგაზრდა ივანე ბელოზერსკი. თითქოს ჩაფიქრებულს დაეხუქოს თვალები. მამა მისი გვამი მის ქვევით იყო. თითქოს მკვდარსაც კი უნდოდა დაეცვა მამა თავდასხმისაგან.

ყველა, ვისაც კი ძვირფას იარაღს შეამჩნევდნენ, დმიტრი ეგონათ.

წააწყდნენ დახოცილ თავადებს ფედორსა და მსტისლავ ტარუსკებს, თავადს დორგობუქსკს, მეფისწულს ანდრეი სერკიზს, დიდი მთავრის ქვისლს მიკულა ველიამინოვს, მიხაილო ანდრეის-ძე ბრენკოს, ვალუი ოკატეივს.

დმიტრი არსად სჩანდა.

მაშინ დაინახეს, რომ ველზე მორბოდა გულამომკვდარი, ყვირილისაგან ხმა-ჩახლენილი კოსტრომელი გრიგოლ ხოლოპიშჩიკი; იგი ყვიროდა და ატრიალებდა მწუხარებისაგან დამრგვალებულ თვალებს:

— აჰა, აჰ!

მიხედნენ, რომ დმიტრი იპოვნეს.

ანდრეი პოლოცკი ცხენით მიიჭრა ხოლოპიშჩიკთან.

— როგორაა?

მხედარმა სული მოითქვა და ზუჩი მოიხადა:

— მოკლულია! დმერთო ჩემო!

— სადაა?

გრიგოლი ცხენზე შესვეს, მასთან ერთად ცხენები გააჭენეს ტყისაკენ, მდინარე სმოლკისკენ.

იქ მეორე კოსტრომელი — ფედორ საბუჩი, დაჩოქილიყო და ცდილობდა წამოეწია მძიმე დმიტრი.

დიდი მთავარი ებოვნათ წაქცეულ არყისხის ძირში, ხრამის პირად.

აბჯარი გაჩეხილი იყო, ზუჩი დაჭყლეტილი, ჯაჭვის პერანგი დაფლეთილი, ხელში მაგრად ეკირა გადატეხილი ხრმლის ტარი.

— ცოცხალია! — სთქვა საბურმა. — სულს ითქვამს!

ყველა დაქვეითდა. ვლადიმირმა უბრძანა იარაღი მოეხადათ. საბურმა სასწრაფოდ ამოიღო ხანჯალი და თასმები გადასჭრა.

დმიტრის სხეული, როგორც ნაჭუჭიდან, ისე გამოვიდა ფოლადის დილეგოდან.

თეთრ პერანგს არსად არ აჩნდა სისხლის ნიშანი. დმიტრი გაბრუებული იყო ცემით, მაგრამ მტრის იარაღი ვერსად ვერ გასულიყო რუსულ ჯაგშანში. სმოლკიდან მოიტანეს წყაროს წყალი. თავი დაუსველეს, წყალი დააღვინეს.

— გადაყლაპა!

მაშინვე ყველა გაჩუმდა, და მხედრებმა უკან დაიხიეს. დმიტრიმ თვალეზი გააღო.

მძიმედ და პირქუშად მიმოიხედა.

— ხელმწიფეო! — მივარდა მასთან ვლადიმირი.

დმიტრიმ იცნო.

— ცოცხალი ხარ, ხელმწიფეო?

დმიტრი მოუსვენრად წამოიწია. ვლადიმირმა ხელი სტაცა ხელში და წამოაყენა:

— შიტენკა! ჩვენ გავიმარჯვეთ!

დმიტრი ხმას არ იღებდა და იქ მყოფთ ათვალეირებდა.

— ცხენი მომგვარეთ...

ხოლმსკიმ სასწრაფოდ მოართვა მრავალ ადგილზე სისხლით გასვრილი თავისი ცხენი.

— შეჯექ ამ ცხენზე, ხელმწიფეო. მეორე თეთრ ცხენს ვერსად ვიშოვით ახლა.

დმიტრი ბანცალით მივიდა ცხენთან, დამძიმებული ხელი მოჰკიდა მალაქიდაოში. ასე იყო გაჩერებული, თავდაღუნული, გრძნობდა, რომ მიწა ირყევა, რომ ცხენი ეჩვენება თითქოს ნისლშიაო გახვეული. უეცრად წონასწორობა მოიბოვდა, სასწრაფოდ შეჯდა უნაგირზე და გაიღიმა. ბოლოს მსუბუქად იგრძნო თავი, ჩამოშორდა გულისა და მხრების შემხუთავი ვეებერთელა სიძიმე:

— გმადლობთ, ძმებო!

ცხენდაცხენ გადაეხვია დმიტრი უნაგირზე მჯდომ ოლგერდოვიჩებს, ვლადიმირს, ხოლმსკის, მხედარს საბურს და მომღიმარე გრიგოლ ხოლოპიშჩეცს.

მიდიოდენ კულიკოვის ფართო ველზე, დაისის აღისფერი სხივებით განათებულ ბალახზე, ცხენების ფეხები მუხლებამდი დაასველა და გააშავა გასისხლიანებულმა ბალახმა.

დმიტრი ერთხანს სდუმდა ბელოზერსკების გვამებთან. ბავშვობიდანვე რამდენჯერ ყოფილან ისინი ერთად, და აი აღსრულდა დიდი ხნის მათი ოცნება, ოდესმე შებრძოლებოდენ მუდმივ მტერს.

აკოცა ბრენკოს სისხლით გათხუზულ, მკვდარ სახეს:

— ჰგავს, ასე გეწერა ბედად, დაცემულიყავ აქ, დონსა და დნებრს შუა,

კულიკოვის ველზე, მდინარე ნებრიადვანზე, ვაციწვერა-ბალახზე. დასდევდა  
თავი რუსის მიწა-წყლისათვის!

ბრენკოს გახადეს სისხლისაგან ტყაბუქსავით ვაშეშებული, მძიმე მოსახსნა-  
ში დიდი მთავრისა, მოხსნეს ჯავშანი, მოხადეს მოოქრული ზურჯი და დმიტრი  
გამოაწყვეს.

დმიტრიმ გადახედა სუველგან მკვდრებით მოფენილ ფართო მინდორს, —  
თუთრად კიაფობდა ბამბის ტილოს სამოსელი, ალისფერი დაისი აბრკუყვი-  
ლებდა მძიმე საჭურველს. საშინელება იყო მოსასმენად შეუწყვეტელი ბლა-  
ვილი, ოხვრა და კვნესა. საშინელი იყო შესახედავად, როგორ მიფორთხავ-  
დენ მისკენ ღამე-ნაკრავ შავ ბალახში დაჭრილები.

— შემინდეთ, ძმებო! დაგვლოცეთ!

მიდიოდა ნაცნობ გვაგებთან, შეჩერდებოდა და უტკერდა ჩალამებულ სახეებს.

— მოათავე შენი ცეკვა, ტიმოშა? — ყრულ ჰკითხა და მოაგონდა მისი სიმ-  
ღერები, ღიმილი და დათვი.

— აქ ერთია გულწასული! — სთქვეს მოახლოვებულმა მხედრებმა. — იარა-  
ღის მიხედვით, თითქოს თავადიაო. ვინ არის კი, ვერ შევატყვეთ. ძვირფასი  
ბეჭედიც აქვს.

ცხენიდან ძნელი გახდა სახის გარჩევა. დმიტრი მიუახლოვდა კირილეს.  
კირილემ იგრძნო დმიტრის ჩაცქერება, გაახილა თვალი და მითი თვალები  
ერთმანერთს შეხვდნენ. მკერდთან შუბით გააბობილი მძიმე ჯავშანი აწუხებდა  
კირილეს. თავზე შავად მოსჩანდა ლეკურის ტრილობა.

— ცოცხალი ხარ, თავადო? — შეეკითხა კირილე და თვალები დახუჭა.

— თასმები შესტყერიო! — ბრძანა დმიტრიმ და ვლადიმირს მიუბრუნ-  
და. — ვერ მომიგონებია, სად შეეხვედრივარ ამას?

როცა დმიტრიმ შეამჩნია თითზე ძვირფასი ბეჭედი, ჰკითხა:

— ვინა ხარ შენ? რატომ ვერ გიცნობ?

— იცი, თავადო, საიდუმლო კოშკს ვიშენებდი. შემდეგ ტყეში ვიყავი ვა-  
ჯარდნით, შენს რისხვას ვემალებოდი.

— შენ იყავი განა, განსვენებული მიხაილო ონდრეიჩი რომ ეძებდა ბომ-  
ბოკის ბეჭდის ნიშნით?

— განსვენებულიო? მაშ, მიხაილო ონდრეიჩი მოკლეს?

კირილემ ხელი გაუწოდა:

— აი ბეჭედიც, მაგრამ არ მძერება.

დმიტრიმ მხედრებს უბრძანა:

— მოუარეთ.

და უკვე წასვლას აპირებდა, რომ კირილემ დაუძახა:

— თავადო!

— რა გინდა, ძმაო?

— რა ძმები ვართ ჩვენ? მე ვასრესილი ვავდივარ, შენ კი ცხენს დააქენებ.  
ვიხარია, რომ ამდენი დავიღუპეთ?

— ძალაგამოლეული ხარ, მაგრამ ბრაზი დაგრჩენია! დათრგუნე ამბარ-  
ტაენება, ვინაიდან სიკვდილის წუთი მოახლოვებულია და მძიმეა იგი. დღეი-  
დან ცხოვრება სხვაგვარად შემობრუნდა. აღარ არის საჭირო ძველი ცოდვე-  
ბის გახსენება. მორჩები და კიდევ ააშენებ. შეიძლება ციხეების აშენება  
აღარც დაგვიკირდეს, სასახლეებს ავაშენებთ უგალანოდ, უსათოფუროდ, ვაშ-  
ლილ მინდორში, მტრის უშიშრად.

და ცხენი გადენა.  
კირილე წამოიწია.

— სასახლეებს ააშენებ? და ვის ძელებზე?  
დმიტრი აღარ უსმენდა, კირილე პირქვე დაეცა.

დმიტრიმ ჩამოიარა მისი მომლოდინე გამარჯვებული პოლკები. არაფერი მოელოდა, რომ იგი გამოჩნდებოდა ცხენზე მჯდომი, შექურცილი წინანდებურად. ცოცხალი დმიტრის დანახვაზე ლაშქრის გახარებული ყვირილი საშინელი იყო, როგორც პირველი გამოძახილი ამ დიდი ბრძოლისა.

ისინი ურყყამდენ ზრმლებს ფარებზე, ზე ისაროდენ შუბებს:

— დიდება! დიდება შენ, თავადო მიტრიე!

სხეებმა ვლადიმირ სერაპუხოვსკი დაინახეს:

— დიდება, მამაცო ვლადიმირ, ჩვენო მსხნელო!

დიდხანს გასტანა ყიფინამ. ბოლოს დმიტრიმ შესძახა:

— ძმებო! სად არის ჩენი მტერი? გაიბნა, გაპქრა, როგორც ქარში მტერი! ვერ გამოდგე, საცოდავო მამზი, ბათუ — შეფედ! რუსეთში მოდი ცხრა ურდოთი და სამოცდაათი მთავრით, ახლა კი გარბიხარ ღამის წყვედიადში, და შეიძლება ცხენის ფლოქვების ქვეშაც კი ივდო. მეტის-მეტად გაგიმასპინძლდა, ვანა, რუსეთი? აღარც მთავრები გახლავს და აღარც სარდლები. ნუთუ ზედმეტი დალიე სწრაფი დონის პირად, და ბევრი სქამე კულიკოვის ველიზე? სამუდამოდ აღკვეთილია შენთვის გზა რუსეთისაკენ. წყვედიადი და მეწყვარა გქონდეს გზად! ძმებო, ვხედავ თქვენს სისხლიან კრილონებს! იმ დღის სამარადისო სადიდებლად! დაგჩრებათ ისინი, როცა ურდოს კვებადით შუბების წვერიდან, როცა სტუმრებს ხრმლით აწვევდით ვაციწვერა-ბალახზე! დადებთ თქვენ! მგერამ დიდება მათაც, ვინც აქ დარჩა სამარადისოდ!

და ლაშქარმაც განიმეორა:

— დიდება!

ბობროვი განთიადზე დაბრუნდა.

სადღაც ღამის გზებით უკვე მოდიოდენ ოქროს ურდოს უთვალავი საუნჯით დატვირთული ურმები, სადღაც ჩაბნელებულ, უკაცრიელ ველებზე მოდენიდენ აქეთკენ ცხერის ფარებსა და ცხენის ჯოგებს. მოყავდათ ტყვე, მოგრძოთვალებიანი, შვეგერემანი ყიფჩაყი-ქალები, მეომრები, ყაინის ბარჯშინადელი, მოშინაურებული სეაეები.

ბობროვმა სერაპუხოვსკისგან ვაიგო, რომ დმიტრი ცოცხალია და გაემართა დიდი მთავრის კარვისაკენ. ამოიღო გალიცის ოქროს თასი.

თენდებოდა. და ბობროვმა პირველად დაინახა კულიკოვის ველი, ცისკრის სუსტი სხივებით მოფენილი. როგორ არ ჰგავდა იგი იმ ველს, რომელზედაც წვებოდა, რომ ყური დაეგდო მიწისთვის!

მას ბევრი ველი ენახა ფიცხელი ომის შემდეგ.

იგი შეჩერდა.

მთელი ველი გუფუნებდა გოდებითა და ტირილით, და ყველა ამაზე ნელ-ნელა ამოდიოდა ვარდისფერი — სისხლისაგან ზომ არ იყო? — ნისლი.

ბობროვმა ისევ სარტყელში გაირჭო თასი და ცხენი მიაბრუნა იქეთკენ, სადაც მისი მეომრები ანთებდენ კოცონებს.

მის. ჩიქოვანი

## ღვინით გუარამიშვიდი და ხალხური პოეზია

ხალხური პოეზია მუდამ გამაახალგაზრდავებელ გავლენას ახდენდა მწერლობაზე. ასე იმოქმედა მან გურამიშვილის შემოქმედებაზედაც. თუ ცნობილი „სიტყვისა-სიტყვად შეწყობილი“ ლექსი ავტობიოგრაფიულ მომენტებს შეიცავს, მან ჩვენი პოეტი ძიძას აღუზრდია და ყრობის წლები ქართული გლეხის ოჯახში გაუტარებია. მომავალმა მგოსანმა სოფლის გლეხკაცობისაგან შეითვისა მდიდარი სიტყვიერება, მრავალფეროვანი ეროვნული პიძნებები და სამუდამოდ გულში ჩაიმაჩრა ისინი.

ახალგაზრდობაში შექმნილი ფოლკლორული ცოდნა მეტად ღრმა და შინაარსიანი გამოდგა. იგი სიკვდილამდე შეუნარჩუნებია პოეტს, თუმცა ლექსთა ტყვეობიდან გაქცევიდან (1729 წ.) სიკვდილამდის (1792 წ.) უცხო ქვეყანაში იყო და საშუალება არა ჰქონდა ბუნებრივ გარემოში მოესმინა ის ლექს-სიმღერები, რომლებიც მას ასე ხშირად შთაგონებით აღადგროვებდნენ.

შობლობური ერის პოეზიის სიყვარული ვერ ჩაჰკლა უცხოეთში უთვისტომოდ ყოფნამ. სამშობლოს მოწყვეტილმა პოეტმა შეხსიერებით აღადგინა და გადაამუშავა საუკეთესო ქართული ხალხური ლექსები. პირველ ცნობას მის მიერ გამოყენებულ ზეპირსიტყვიერების შესახებ თვითონ პოეტი გვაწვდის. აი ისინიც:

1. „ხარებობის დღის შესხმა „ახა წმინდა კობალეს“ სანაცლოდ სამღერალი“ (გვ. 149).
2. „სიტყვა ესე ღვთისა, სიტყვისა-სიტყვად შეწყობილი და სწავლა საყვარლისა, ღვთისა და კაცისა ძისა, ყრმათათვის სამღერად — „ეეო, მეო, ქალო, ქალთა-მზეო“-ს სანაცლოდ სათქმელი“ (გვ. 153).
3. „სიმღერა ფერკასული“ „აგერ მიღმარ ახოს“ სანაცლოდ სათქმელი“ (გვ. 159).
4. „სიმღერა ქართლ-კახეთის ჯვარობის სანაცლოდ სათქმელი“ (გვ. 159).
5. „ღინარი“ „პატარა ქალო, თინაო“-ს სანაცლოდ სამღერალი“ (გვ. 176).
6. „სიმღერა დავით გურამის-შვილისა, ტყვეობიდან გამოსვლის დროს დავითის შესხმა“ (გვ. 195), რომელიც „ჩემო ყურმას“ სანაცლოდაა თქმული.

<sup>1)</sup> დ. გურამიშვილი: „ოზურღებთა სრული კრებული“ აღ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1931 წ., გვ. 155, სტრ. 32. შემოკლებით: „დავითიანი“.

ქართული ზეპირი პოეზიის ნიმუშების გადამუშავება გურამიშვილის შემოქმედებაში ძირითადად ლექსებით ამოიწურება. ჩვენ აქ ისეთი სახეობები ჩამოვთვალეთ, სადაც არა მარტო „ჴმა“ (ხმა) ისმის, არამედ პროტურ-მასალაც მოჩანს.

გურამიშვილის ფოლკლორისადმი დამოკიდებულება ორი გზით მიემართება: 1. როცა პოეტი იღებს ხალხურ სიმღერას, გარდაქმნის და მის სანაცვლოდ სათქმელ ლექსს თხზავს; ამას გურამიშვილი „სანაცლოს შექმნას“ ეძახის და იგი მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ხალხურ პოეზიას შეეხება; <sup>1)</sup> 2. როცა პოეტი ფოლკლორიდან მარტო ხმას იღებს და ამ ხმის მელოდიის მიხედვით საკუთარ ორიგინალურ ნაწარმოებს ჰქმნის. ასეთ დამოკიდებულებას გურამიშვილი მხოლოდ რუსულ-უკრაინული პოეზიისადმი იჩენს და წყაროს შესახებ ამბობს: ამის ხმა რუსულიაო. <sup>2)</sup>

საინტერესოა, რას გულისხმობს გურამიშვილი „ჴმა-ში“. გურამიშვილი ხშირად ხმარობს გამოთქმებს: „სიმღერის ჴმა“ (გვ. 152, 164, 169), „სხვა რივის ჴმა“ (186), „რომელიც ჴმა შენ შეგეწყო, მეც ის შევაწყე“ (გვ. 98).

ს. გორგაძეს ეს „ჴმა“ მეტრულ პროტოტიპად მიაჩნია, <sup>3)</sup> პროფ. ალ. ბარამიძეც მასში ლექსის საზომს, მეტრის გულისხმობს. <sup>4)</sup> „ჴმა“ გურამიშვილს უფრო ფართოდ აქვს გაგებული, იგი მისთვის მუსიკალური ბგერაა, მელოდია, რომლის მიხედვითაც სამღერელ ლექსს საკუთარი მეტრი აქვს.

როცა გურამიშვილი თავისი ლექსის შესახებ ამბობს, ამის ხმა რუსულიაო, ეს იმას ნიშნავს, რომ პოეტი მუსიკალურ ფოლკლორს დაესესბა და მისგან აიღო მელოდია, მუსიკალური ხმა და არა სიტყვიერი მასალა.

პირველგვარი დამოკიდებულება, ე. ი. სანაცვლოს შექმნა უფრო რთული და ღრმა მოვლენაა. ამ დროს არა მარტო ხმა და მეტრია შეთვისებული, არამედ სიტყვიერი მასალაც და გამომხატველობითი საშუალებანიც. „ჴმით“ სარგებლობა „სანაცლოს“ კერძო შემთხვევაა. ამით ბუნებრივად წყდება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის სიტყვიერებამ დაამწნია მეტი კვალი გურამიშვილის შემოქმედებას, ქართულმა თუ რუსულ-უკრაინულმა.

გურამიშვილის მიერ გამოყენებული ლექსების უმრავლესობა საწესჩვეულებო ხასიათისაა. ხალხი ამ ლირიკულ და ლირიკულ-ეპიკურ ნაწარმოებებს მღერის არა ყოველთვის იქ, სადაც მოესურვება და ჩაიმუხლებს, არამედ განსაზღვრულ ადგილებზე დანიშნულ დროს. ასეთი არჩევანი პოეტის მსოფლმხედველობით, მისი რელიგიურ-მისტიკური განწყობილებით არის ნაკარნახევი. გურამიშვილი, იღებს რა ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ ხმას, სიტყვასა და განწყობილებას, სრულიად გარდაქმნის, გადახალისებს და შინაარსს გამოუცვლის. ასე შექმნა მან ყველა ქართული სიმღერის „სანაცლო“. წარმართულ შინაარსს ქრისტიანული აპოლოგია ჰფარავს. გურამიშვილის ვხა რამდენადმე ძველი ქრისტიანული ეკლესიის პრაქტიკას გვაგონებს: ეს უკანასკნელი ებრძოდა წარმართულ სიტყვიერებას და იმავე დროს თვითონვე ითვისებდა მის ფორმას და ძველ პოეტურ სამოსელში ახალ იდეოლო-

<sup>1)</sup> „დავითიანი“, გვ. 145, 149, 153, 159, 176.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 162, 164, 169, 173, 175, 180, 181.

<sup>3)</sup> ს. გორგაძე: „ქართული ლექსი“, გვ. 49.

<sup>4)</sup> ალ. ბარამიძე: „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. II, 1940 წ., გვ. 342.



გიორგი შინაარსს ათავსებდა. გურამიშვილიც ასე იქცევა: კობალეს ადგილზე ზოტბაში გავარცმულ ქრისტეს სევამს, ქალთა სამიჯნურო ლექსი ლეთის ტყეზე გადააქვს და სხვ.

ამის შემდეგ გავიცნოთ გურამიშვილის „სანაცლონი“ მათი ფოლკლორული პროტოტიპებით.

კობალეს აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სიტყვიერებით, დევებთან მებრძოლი ლეთისშვილი იყო. მის სახელზე წარმართული სალოცავი არსებობს იხინჯის მთაზე, რომელიც მდებარეობს მდინარე ივრის მარცხენა ნაპირზე, ქვემო თიანეთიდან 10—12 კილომეტრის მანძილზე. კობალეს ხატი ძლიერ ხატად ითვლებოდა, მას კურატები და ცხვრის ფარაც გააჩნდა თურმე-სალოცავის მისასვლელთან აგებული ყოფილა ბეღელი, გომური და საბერიო, რასაც ქვეთიერის შენობათა ნანგრევები ადასტურებენ, ზოლო საკულტო დარბაზი და საზარე იხინჯის ფერდობზე ყოფილა აშენებული.

ამ ადგილზე უკანასკნელ ხანამდე იმართება დღეობა იხინჯობა.<sup>1)</sup> სტედასხვა კუთხიდან სალოცავად წამოსულნი ღამით იკრიბებიან და მეორე დღეს დიდი ხატობა იმართება.

კობალეს შესახებ სხვადასხვა თქმულება არსებობს. ზოგი ლექსის ფორმითაა ჩვენამდე მოღწეული და საწესო დანიშნულება აქვს. დ. გურამიშვილს სწორედ ერთ-ერთი ასეთი საფერხისო ლექსი-სიმღერა გამოუყენებია და მისი სანაცლო შეუქმნია. ყოველ იხინჯობას მლოცველები, ძველთა-ძველი წესის მიხედვით, ფერხულს მართავდნენ და კობალეს ლექსს მღეროდნენ.

პოეტს სცოდნია ეს ჩვეულება და მისი მხატვრული რეპერტუარი. შინაარსის მხრით გურამიშვილისეული „სანაცლო“ ხალხურ ლექსს არა ჰგავს. კობალეს ჭება მთლიანად ქაღალღ მარიაშისა და მისი ყრმის დიდებითაა შეცვლილი. ლექსები ზომითაც განსხვავდებიან: ხალხური — 16 მარცვლოვან შაირს წარმოადგენს, გურამიშვილი კი 14 მარცვლიანი ზომით სწერს. არის სიტყვიერი გამოთქმის მსგავსების ერთი შემთხვევა: „სისხლმა დამიბნა მგარია“ (ხალხური);<sup>2)</sup> „ჩვენთვის სისხლი დაღვარა“ (გურ.).<sup>3)</sup>

ასევე საწესჩვეულებო ხასიათისაა მეორე გუნდური სიმღერაც: „აგერ მიღმარ ახო“, რომლის სანაცლოდაც გურამიშვილს „სიმღერა ფერჯისული“ დაუწერია.<sup>4)</sup>

გურამიშვილის ყრმობის დროს ეტყობა ქართლში ძალიან გავრცელებული ყოფილა სიმღერა: „ეო, მეო, ქალო, ქალთა-მზეო“ და პოეტს მის სანაცლოდაც „სიტყვისა-სიტყვად შეწყობილი“ ლექსი დაუწერია. „სიტყვა ესე ლეთისა“ ფოლკლორზე დამყარებულ გურამიშვილის სხვა ლექსებისაგან იმით განსხვავდება, რომ ის სიტყვისა-სიტყვად შეწყობილია და, მაშასადამე, უფრო ახლოს სდგას თავის პროტოტიპთან. სამწუხაროდ, ამ ხალხური ლექსის სრული ვარიანტი არ მოგვეპოვება.

გურამიშვილის ფოლკლორთან კავშირი აქ, ხმის გარდა, სიტყვიერი მასალითაც იგრძნობა. ამას ადასტურებს მცირე ნაწყვეტის შედარებაც კი.

<sup>1)</sup> გ. ბარდაყვლიძე: „ივრის ფშველები“, ენძვის მოამბე, ტ. II, 1941, გვ. 144.

<sup>2)</sup> მასალები საქ. ეთნოგრაფიისთვის, I, 1938 წ., გვ. 45. შტრ. ა. შინაძე: „ხალხური პოეზია“, I, № 542, ვაეა-ფ შიველი: „ეთნოგრაფიული ნაწერები“, 1937 წ., გვ. 193: „სისხლით შამიკრა წყალო“.

<sup>3)</sup> „დავითიანი“, გვ. 149.

<sup>4)</sup> იქვე, გვ. 159.

## გურამიშვილი:

„ეეო, მეო, აქეთ მომხედეო,  
რას მომიბზრობს სიყვარული,  
ყური დაუგდეო...“ 1)

## ხალხური:

„ეო, მეო, აქეთ მომხედეო,  
მთავრე ნათლო, ცხრტყულო,  
ჩისტვის დამაჯგულო...“ 2)

სოფლური ლექსი ჩაწერილია ქართლში, ს. გალავანში (ჩამწერი ბაკურაძე — „ქართველი ოსებში“) და სამიჯნურო შინაარსისაა, პირდაპირი მიმართვა სატრფიალო სამღურავისა გურამიშვილს თხოვრებით კილოში გადაუტანია და დიდქტიკურ-მორალური სიმღერის შექმნა უცდია („გზასა, რომელსაც ხვიდოდე, წინ დაიხედეო... თავს ასეიზედ ნუ იხარებ, ბოლოს ინანდეო“).

გურამიშვილის „სანაცლო“ აკომპანიმენტს ჰგულისხმობს: რითმები და განმეორებანი სწორედ ისეთია, როგორიც ჩონგურზე გამართულ ლექსებს ახასიათებს. ამას ადასტურებს შერითმული სიტყვები: „მომხედეო“, „ყური დაუგდეო“, „მისმენდეო“, „ინანდეო“. აგრეთვე რეფრენისებური სტრიქონები: „რაც გზა დავით წინ დაგიდეა, მასზედ აბიჯეო!“ ამ განმეორებას ახალი შინაარსის შთაგონების ფუნქციაც ენიჭება.

გურამიშვილს უფრო სასიმღერო პოეზია იზიდავს. ყველა მის მიერ გამოყენებული ლექსი, მიუხედავად შინაარსისა, ქართულია ის, თუ რუსულ-უკრაინული, გუნდური შესრულებისაა. ქალებისადმი ტრფილი გურამიშვილს რელიგიურ-მისტრიკური სამოსელით მოურთავს და მისამართიც შეცვლილია: შიწიერი ზეციერით. მგოსანი აქ „ქაშნიკის“ ავტორის გზას ადგია: თუ პოეტს საარშიყო ლექსი უნდა, ღვთის სააშიყო, ეკლესიისა და წმინდანების ზოტბა თხზასო. ამ მოსაზრების საუცხოვო ილუსტრაციას წარმოადგენს „დინარი“ ან „პატარა ქალო თინაო“.

„პატარა ქალო თინაო“ მე-18 საუკუნეში შეტად პოპულარული ყოფილა. მას ვაეღენა მოუხდენია მ. ბარათაშვილზედაც. 3) აღრინდელი ჩანაწერი სწორედ „ქაშნიკშია“ შემონახული. 4) ეს სიმღერა დღესაც გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში. მთაში მას „მოხევის ქალო თინაო“ 5) უწოდებენ. გურამიშვილის ლექსი ორი ნაწილისაგან შესდგება და თითოეული მათგანი დიდ სიახლოვეს იქნის პროტოტიპთან.

## გურამიშვილი

„ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო?  
ღმერთი მალალთა შინაო,  
ვინცა შეამკო ჭვეყანა,  
ღამე დღედ განაბრწეინაო.“ 6)

## ხალხური

„მოხევის ქალო თინაო,  
რამ დაგებერა შინაო,  
შენი ტოლები გათხოვენენ  
შენ რალას უცდი შინაო.“ 7)

ეს ორი ლექსი ერთმანეთს ჰგავს ზომით, რითმით, რიტმით, განწყობილებით, ერთი სიტყვით, ყველა იმით, რასაც გურამიშვილი „ქმას“ უწოდებს. „დინარში“ თავიდან ბოლომდე სარითმო ერთეულად გამოყენებულია სამმარცვლოვანი სიტყვა „თ-ინაო“, რომელიც სხვადასხვა ვარიაციით წარმოგვიდგება: „ვინაო“,

1) დავითიანი, გვ. 153.

2) ხალხური პოეზია, 1934 წ., გვ. 220.

3) მ. ბარათაშვილი: „ქაშნიკი“, 1920 წ., გამოც. ვ. ლეონიძის რედაქციით.

4) მ. ჩიქოვანი: „ქართული ფოლკლორი“, I, გვ. 35.

5) „დავითიანი“, გვ. 176.

6) მ. ჩიქოვანი: „ქართული ფოლკლორი“, I, გვ. 35.

„ჩინაო“, „შინაო“, „წინაო“, „ალგაშენაო“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „შედაჩის“ „მოხვევის ქალო თინაო“-სთან ნათესაობამ და საერთოდ გურამიშვილის „შემოქმედებაზე ფოლკლორის გავლენამ მეკლევართა ერთი წყება შექმნიდა“ შეიქმენა, როცა მათ გურამიშვილის სალიტერატურო ენა მოხვედრის ქალოში მიიწინეს.<sup>1)</sup> გურამიშვილის ენა (ოცხალ სასაუბრო მეტყველებისაგან შემობრუნება და ქართული ენის კილოებიდან იგი ყველაზე უფრო ქართულს ემყარება. როგორც აკად. კ. კეკელიძემ აღნიშნა, „დავითიანში“ ყურადღებას იქცევს ყმ ნაწილაკისა და ა-ნიანი პრეფიქსების ზმარება.<sup>2)</sup> მაგრამ ეს ხომ არ არის მოხვედრის კილოს დამახასიათებელი ნიშანი.

იმის გასარკვევად, ემყარება თუ არა გურამიშვილი მოხვედრის კილოს, საჭიროა „დავითიანის“ მოხვედრის ტექსტებთან და მეტყველებასთან შედარება. ერთი გადამხედვეთადაც აშკარაა მათ შორის არსებული განსხვავება. გურამიანში არ გვხვდება მოხვედრის და, საერთოდ, მთის კილოებისათვის დამახასიათებელი ჩი ში-ს ადგილზე (მთაჩიგა), **ო ვა-ს** მაგიერ ან პირიქით (ვევარგი, ცხო, ცხორი).<sup>3)</sup>

„სიმღერა ქართლ-კახეთის ჯგვარობის სანაცვლოდ სათქმელიც“ საწესდევლეუბო პოეზიიდან მომდინარეობს. მის დაწერისას პოეტს, სწინს, ზოგადი პიშნი ედგა თვალწინ და კონკრეტული ტექსტი ხელთ არა ჰქონია. ამის გამო იგი არც მიუთითებს რომელიმე ხალხურ ლექსზე. ჯგვარობის ლექსი და სიმღერა ქართლ-კახეთში მრავალია. ზოგი მათგანი სატირული ხასიათისაა და დიალოგის ფორმით წარმოგვიდგება. ნიმუშად გამოდგება თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ცოლისა და ქმრის გაბაასება.

#### ცოლი:

რომელ კაცსაც ღმერთი სწყალობს,  
ცოლი მიჰყავს ჯგვარობას,  
ე საწყალი ჩემი ქმარი  
კარზე იხნავს ნაფუძარსა.

#### ქმარი:

ვისაც კაცსაც ღმერთი სწყალობს,  
კარზედ იხნავს ნაფუძარსა;  
რომელ კაცსაც ღმერთი რისხავს,  
ცოლი მიჰყავს ჯგვარობასა;  
იმას პური არ მოუვა,  
ღმერთს დაუწყებს ჯგვარობასა.<sup>4)</sup>

ჯგვარობის ლექსი ზმირად სასიმღერო შაირს წარმოადგენს და არაპირდაპირი დანიშნულებითაც სრულდება. ამ ლექსებში ასახულია გლეხკაცობის სიღარიბე და ბეჩავი ცხოვრება.

„უღელი ზარის პატრონი  
ვერ წივა ჯგვარობაშია,  
თუ წივა ჯგვარობაშია,  
დარჩება შუა ვაშაი“.<sup>5)</sup>

გურამიშვილის „სიმღერა“ თავისებურია. მისი მსგავსი დამრიგებლობითი ტონი არა თუ ჯგვარეულს, სხვა საწესო ძეგლებშიც არა გვხვდება.

<sup>1)</sup> ალ. ბარამიძე: „ნარკვევები“, II, 1940 წ., გვ. 338.

<sup>2)</sup> კ. კეკელიძე: „ქართ. ლიტ. ისტ.“, II, 1941 წ., გვ. 607.

<sup>3)</sup> ა. ყაზბეგი: „რჩული ნაწერები“, 1937 წ., გვ. 566.

<sup>4)</sup> „ხალხური სიტყვიერება“, I, გვ. 246, № 369.

<sup>5)</sup> იქვე, გვ. 349, № 1134.

ხალხური პოეზიის კვალი გურამიშვილის შემოქმედებაში ისეთ ადგილას იჩენს თავს, რომლის შესახებ ავტორისეული მითითება არც არსებობს, ამის მაგალითია „სიმღერა გურამის-შვილისა ტყვეობიდან გამოსვლის დროს“ მხიარული ვაზაფხულის“ ცალკე თავები და სხვ. ეს სიმღერა გურამიშვილის მელოდური ნაწარმოებია და, ჩვენის აზრით, მიძღვნილია ვახტანგისადმი, რომელმაც ლტოლვილი მგოსანი შეიფარა და დააწინაურა. პოეტის დარღვიმანდი ბუნება, სიანს, მალე გაიძენეს რუსეთში მისმა მასპინძლებმა და სადღეკლამაციო ლექსებიც შეუკვეთეს.

„ვინც რომე სახლში შემიშვა,  
გამათბო, გამაშშუშაო,  
დამიდგა კარგი სადილი,  
წინ ღვინით სავსე შუშაო,  
მან შემიკვითა, იმღერე,  
დავით, ის „ჩემო ყურშაო“  
და კვლავ შენ მე რასაც შემიკვეთ,  
ვიწინებ შენი მუშაო“.

ამ მოკლე პოეტურ ქმნილებაში თავს იჩენს სამგლოვიარო ჰიმნის გავლენა. ხსენებული „ჩემო ყურშაო“ არის სახელი სწორედ იმ ხალხური გლოვისა, რომელიც გურამიშვილს კარგად სცნობია. „დავითიანში“ ერთი შემთხვევაა, როცა პოეტი სამგლოვიარო ლექსს მხიარულ განწყობას აძლევს და ფილოსოფიური ელემენტით არ ტვირთავს. აქ მწუბარე განწყობილება სუფრულითაა შეცვლილი. ეს კარგად მოსჩანს შემდეგ სიტყვებში:

„ჩემო ყურშაოს“ სანაცლოდ  
ჩაბრუნებული ეს კმითა  
და შიუთხარ, გამხიარულდენ  
ღვინისა თასებზე სხმითა“.)

გლოვის ხმა ჩაბრუნებულით შეუცვლია მგოსანს, რათა კეთილი მასპინძლის შეკვეთა შეესრულებინა და დამსწრეთა შორის ხალისი გავლვიძებია.

ჩემო ყურშაოს ხსენება გურამიშვილის მიერ მრავალმხრივია საინტერესო. შინაარსით ყურშას ლექსი წარმართულია და მონადირეთა წრეშია აღმოცენებული. არც ფორმით არის ის ახალი, მაგრამ ადრინდელი წერილობითი ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება. ამის გამო გურამიშვილის მითითებას ვანსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ახლა დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ „ჩემო ყურშაო“ მე-18 საუკუნის დასაწყისში გავრცელებული ყოფილა. მის პოპულარობას მოწმობს ის გარემოება, რომ გლოვის სიმღერა პოეტმა ქაბუჯობის ვამს ისწავლა ქართლში და შორეულ მხარეში გადახვეწილი ქართველები მას იგონებდნენ.

„ჩემო ყურშაო“ წარმართობის დროის გუნდური ჰიმნია. მის შესახებ ორგვარი გადმოცემა არსებობს. სვანები ყურშას სახელს ამირანს უკავშირებენ. ყურშა ორბის ლექვია და ფრთები ასხია. მონადირემ მისი შემწეობით ბევრი ჯიხვი დაიჭირა, რითაც ღმერთი გაანაწყენა. ღმერთმა ძალი დასაჯა და ამირანთან დააბა. მონადირე ჰგლოვობს თანაშემწის დაკარგვას. გლოვის სვანური

\*) „დავითიანი“, გვ. 145.

ლექსი აღწერს ყურშას არაჩვეულებრივ სახეს: ყურ-ტუჩი ოჭროს ისხია, ჭვა-  
ლები მთვარეს მიუგავს, ყეფა ქექა-ქუხილის მსგავსი აქვს, ტოტები კალოს  
ოდენა, ნახტომი დიდი მინდვრისა, აღმა ლომია, დაღმა — ~~კაკაბერი ხმელეთს~~  
ფალავანი და ზღვაში — ზომალდი.

„ჩემო ყურშო, ყურშო!  
ყურშა ვიტარე, ვიტარე.

ყურშა ვიგლოვებ, ვიგლოვებ  
ერთ წელიწადს, ერთ წელიწადს“.

ყურშას თქმულება ამირანის სენაურ გადმოცემას ეპიზოდურად აქვს დამა-  
ტებული. \*) ეტყობა ის დამოუკიდებლად არსებობს და გუნდურად სრულდება.

მეორე თქმულებითაც ყურშა მონადირის ძალია. ივანეს მიწის ძვრისას სად-  
გომი მიწა შემოერღვა და თავისი მეძებრით კლდის წვერზე დარჩა. გაუთავდათ  
საგზალი. დაღონებულმა მონადირემ ყურშას უმღერა:

„შეპყეფე, ყურშავ, ტიალო,  
შენ შავი პატრონისაო:  
ან გაიგონებს მეცხვარე,  
ან მონადირე მთისაო!“

შეპყეფა ყურშამ საზარლად, მაგრამ მშველელი არავინ გამოჩნდა. შიმშილმა  
შეაწუხა ძალიც და კაციც. ყურშამ პატრონს ანიშნა: დამკალ და შემქამეო.  
„ივანემ შორს დაიჭირა, მაგრამ სული ტუბილია: ძალიან რომ მოპშიგდა, და-  
იწყო ტირილი, გამოეთხოვა ყურშას, დაკლა, დაკვესა ცეცხლი, დაამტვრია  
მშვილდ-ისარი, დაანთო ცეცხლი, შეწვა და შექამა.“ \*\*) ძმა იპოვის ივანეს და  
ამბავს ჰკითხავს.

„შვილდიცა დავწვი, ზომალცი,  
ცეცხლი დავანთე ისრისა,  
დავკალე ყურშა და შექამე,  
ვაიმე, წაშწყმენდავს მე ისა!“

ასე ეუბნება ძმას კლდიდან გადმოხტომის წინ ივანე. მონადირე დაილუბება-  
რაჰველები ყურშას ლექსში აერთიანებენ სახელოვანი მონადირისა და მისი  
ერთგული ძაღლის გლოვას.

ქართლური გადმოცემით, ამირანი მონადირეა და მას ძაღლი ჰყავს, \*) ფშავუ-  
რი ცნობით, არა უბრალო, „არამედ ყორნის ნაშობი“. \*\*) სენაურ გადმოცემაში  
ყურშა „ორბის ლეკვია“, მას „ბეჭეებზე ორბის ფრთები აქვს“. \*\*) ამ წიწნებით  
ფშავური გოშია და სენაური ყურშა ერთმანეთს ემთხვევიან. ყურშა მონადირე  
ძალია და ნადირობის ღეთაუბას უკავშირდება. სენაურში ამირანიც ნადირთა

\*) „ამირან-დარეჯანი“, მოსე ზონელისა, ზ. კიკინაძის გამოცემა, 1896 წ., დამატება, გვ. 360 — 361.

\*\*) „კრებული“, 1892 წ., № 1; იგივე: მ. ჩიქოვანი: „ქართული ხალხური ზღაპრები“, I, გვ. 59, № 29.

\*\*) Сборник мат. для опис. мест. и племен Кавказа, II, 12, стр. 160.

\*) „ამირან-დარეჯანი“, იქვე, გვ. 338.

\*\*) იქვე, გვ. 360.

უფროსის დალის შვილია. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყურშას თქმულება ამირანის ებოსის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს.

ასეთია მოკლე დახასიათება „ჩემო ყურშას“ ლექს-სიმღერის შესახებაც გურამიშვილმა თავისი ჩახრუხაულის პროტოტიპად გამოიყენა.



გურამიშვილი ახლო შემოქმედებითს დამოკიდებულებაშია როგორც ქართულ, მისთვის ეროვნულ, ისე რუსულ და უკრაინულ ხალხურ პოეზიასთან. მეთოდი მუშაობისა ორივეგან ერთგვარია.

რუსულ და უკრაინულ ფოლკლორს პოეტი ადგილობრივ ბუნებრივ გარემოში გაეცნო უთუოდ. მოსკოვში ყოფნის, ხოლო შემდეგ უკრაინაში დამკვიდრების წყალობით გურამიშვილს პირადად შეეძლო მოესმინა წარმტაცი სიმღერები და ლექსები შემსრულებლებისაგან. მაგრამ მასთან ერთად იყო მეორე საშუალებაც, ესაა მწიგნობრული გზა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ უკანასკნელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ დიდი სიყვარულის შემუშავებაში, რასაც გურამიშვილი რუსული და უკრაინული ნაციონალური ფოლკლორისადმი ამუღანებს. გურამიშვილი პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც ჩრდილო-დასავლეთის ზეპირი ლიტერატურის პოეტური გავლენა განიცადა.

ქართული მხატვრული სიტყვიერებიდან გურამიშვილმა უძველესი ელგვიური კილოს საწესჩვეულებო ლექსები აირჩია და ქართლის ქირი ამ პოეტური პანგით აამეტყველა. მშობლიური ქვეყნის მწარე ხვედრის გადმოსაცემად ერთსავე ხმას მიმართა. როცა ბედმა გადახვეწა და შორით სამშობლოს ტრფობა არგუნა, გურამიშვილის სულის მონათესავე ხმა უკრაინულ და რუსულ ფოლკლორშიაც აღმოჩნდა. მშრომელი მასები იქაც, კავკასიის თეთრად დაფენილ მთების იქითაც, ველთა სიმღერებში აქსოვდა თავის მისწრაფებებს, მომავლის რწმენას. მგზნებარე პატრიოტმა მიაგნო ხელოვნების ამ უკვდავების წყაროს და გულმხურვალედ დაეწაფა მას. ამნაირად, სამი დიდი ხალხის პოეტური შემკვიდრების გამოყენება სცადა გურამიშვილმა და თავისი დროის შესაბამისად ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიიღწია.

არსებობდა თუ არა გურამიშვილის დროს რუსულ ენაზე ხალხური ლექსების ნაბეჭდი კრებულები? დიალ, არსებობდა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრებულის გამოცემა სწორედ იმ წელს დასრულდა, როცა გურამიშვილმა „დავითიანის“ ბოლოში მოთავსებული ლექსი დასწერა (1774 წ.). 1770 წელს მაშინდელ პეტერბურგში გამოქვეყნდა ჩულკოვის „Собрание разных песень“, I და II ნაწილი, ხოლო III—IV ნაწილი დამატებითურთ 1773—74 წლებში გამოვიდა. ამ პერიოდში გურამიშვილი ნაყოფიერ პოეტურ მუშაობას ეწეოდა, ხოლო 1774 წლის 29 ნოემბერს უნდა დაესრულებინა „დავითიანის“ ერთ-ერთი რედაქცია.

სამუშაოზე, არ ვიცით დ. გურამიშვილის ლექსების დაწერის ცალკეული თარიღები. ცნობილი არ არის, თუ როდის გადაამუშავა პოეტმა რუსულ-უკრაინული ლექსები. მაგრამ ერთი მაინც ცხადი უნდა იყოს: ხალხურ ხმაზე დაწერილი ყველა ლექსი შეტანილი იყო 1774 წლის დამლევს რედაქტირებულ



კრებულში.<sup>1)</sup> მასასადაამე, ავტორი 1774 წლის ნოემბრამდე გაეცნო უკრაინულ-რუსულ ფოლკლორს და მისი გავლენით ახალი მშვენიერი ნაწარმოებები შექმნა.

იცნობდა თუ არა პოეტი ჩულკოვის კრებულს? ამ კითხვაზე უკრაინულ-რუსულ ფოლკლორის მკვლევარმა ვ. ი. პოეტის თხოვნით ახალი მშვენიერი ნაწარმოებები შექმნა. ჩაი-მეს თქმა ძნელია. უფრო საფიქრებელია, რომ იცნობდა. გურამიშვილი 1770 — 74 წლებში მეორე ტყვეობიდან გამოხსნის შემდეგ უკრაინაში იყო და მას მხედველობიდან არ გამოეპარებოდა ამ საკმაოდ გახმაურებული ავტორის გამოცემანი. „სხვადასხვა ლექსების კრებული“ ეკატერინე მეორეს მიეძღვნა და შედარებით ფართო მკითხველი მასებისათვის იყო განკუთვნილი. არის მეორე უფრო ანგარიშგასაწევი გარემოებაც: გურამიშვილის მიერ გამოყენებული სამი რუსული ლექსის ტექსტი სწორედ ჩულკოვის პირველ სამ წიგნში გვხვდება.

დ. გურამიშვილმა დასწერა „არია“, რომელიც, მისივე განმარტებით, „არს რუსულად: ახ, კაკ სკუშნო“. რუსული ლექსი აქ იმ წესით არის გამოყენებული, რა წესითაც პოეტი ქართული პოეზიით სარგებლობდა: შენარჩუნებულია მელოდია, ხმა, შინაარსი კი ახალია, გურამიშვილისეული.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ყველაზე უფრო მსგავს დამახასიათებელ ადგილებს:

**გურამიშვილი:**

ვა, რა მაქვს დიდი მოწყენა,  
სადა არს ჩემი მოღვენა!  
მწარედ სახმილით დაგულსა  
ლაზვარი დამსია გულსა...<sup>2)</sup>

**რუსული ხალხური:**

Ах, как скучно мне одной,  
Где деваля мой покой;  
Я и любила завсегда,  
Пасты стадо здесь одна...<sup>3)</sup>

რუსული ლექსი მწყემსთა ცხოვრებას ასახავს. გურამიშვილს შინაარსობლივად არ შემოუწინახავს არც ერთი მომენტი ამ ლექსისა. საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, თუ არ ავტორის მითითებანი, ჩვენთვის ძნელი იქნებოდა პირველ წყაროთა მიგნება. გურამიშვილი დიდის კეთილსინდისიერებით და სიზუსტით მიგვითითებს იმ მასალაზე, რომლითაც ამა თუ იმ შემთხვევაში უსარგებლანია.

თვალსაჩინო მორფოლოგიური მსგავსება ხალხურსა და გურამიშვილის ლექსებს შორის დასაწყისშივე, პირველ სტროფში მკლავდება. პოეტურ ქმნილებათა შემდეგ ნაწილებში მეტად უმნიშვნელო მსგავსება არსებობს. ეს მსგავსება ისე მცირეა, რომ თუ არა დასაწყისი, ხალხური ლექსებისათვის პირველ წყაროს მნიშვნელობა შეიძლება არც მიგვენიჭებინა.

უფრო მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ჩულკოვის მეორე კრებულში გურამიშვილის „რეტლის“ პროტოტიპი. პოეტი თავის ლექსს ასეთ ქვესათაურულ შენიშვნას უკეთებს: „ეს რუსულად: პოლნო, პოლნო, ნე პრიღშაიასა“.

<sup>1)</sup> კრებულის ეპილოგიურ ლექსში, რომელიც 1774 წლის 29 ნოემბერსაა დაწერილი, საუბარია წიგნზე, ე. ი. პოეტის თხოვნითა სრულ კრებულზე. ამაზე მიუთითებს როგორც სათაური („ამ წიგნის გამოცემის სულის მოხსენება“), ისე მისი შინაარსი („ეს წიგნი, ლექსად თქმული, არის სულ იმისი“, გვ. 310). ავტორს თავისი ნაწარმოებები წიგნის სახით საბოლოოდ 1787 წლის სექტემბერში შეუკონაგს და იგი ჩვენამდე ავტოგრაფული ნუსხის სახით არის მოღწეული („დავითიანი“, დამატება „ტექსტისათვის“, გვ. 315).

<sup>2)</sup> „დავითიანი“, გვ. 91.

<sup>3)</sup> „Собрание разных песень“, М. Д. Чулкова, აკადემიის გამოცემა, 1913 წ., გვ. 113, № 78; I გამოცემა, 1770 წ., ნაწ. I, გვ. 99. შტრ. „Українська народна пісня“, 1936 წ., გვ. 290, „Ой зажурюся, запечалуюся“.

მართლაც, ამნაირი დასაწყისი აქვს № 38-ს. ეს რუსული ლირიკული ლექსი გრძელა, 8 სტროფს შეიცავს, გურამიშვილის ლექსი-კი ოთხი სტროფისაგან შესდგება.

**გურამიშვილი:**

**ხალხური:**

კმარა, კმარა, ნულარ სკოდავ,  
სულს აგების მიხედვს შეგება;  
აქ დაწყნარდი, ნუ შფოთვ-ბორგავ,  
ნუ გატვს ზმირინთ ზინზლად ფშვება! 1)

Полно, полно не прелщайся,  
Пленный дух свободен быть,  
О! надежда истребляйся  
Мне нельзя в свободе жить... 2)

ქალ-ფაფის სხვაგვარ განწყობილებას გადმოგვცემს ამ ლექსის მეორე ვარიანტი, № 115, თუმცა დასაწყისი ორივეგან ერთნაირია. ვარიანტებს ჩუღოკოვის პირველ კრებულშიაც ეპოულობთ 58 და 71 ნომრების სახით. გურამიშვილის „რეულს“ უფრო უღებია აქ ნაჩვენები ტექსტი № 38.

გურამიშვილი ფოლკლორიდან პირველ განწყობილებას იღებს და რაკი ერთხელ მომართავს პოეტურ ქნარს, ყურადღებას აღარ აქცევს ხალხური ლექსის მიმდინარეობას და საკუთარი ლირიკული განცდების გადმოშლას ცდილობს. მისი ლირიკა ელევგიური ხასიათისაა და პესიმიზმის მძიმე ბეჭედი აზის. ხალხური ლექსი გეზს აძლევს, ერთგვარ კალაპოტში აყენებს პოეტის გრძნობებს, ხოლო შემდეგ ის თვითონ იკაფავს გზას და მწარე ფიქრებით იღრუბლება. ასეთია, მაგალითად, „სიმღერა, რომელი არს ამისი ჯმა რუსულად: ახ, სკოლიკო ცველა ელეტახ მოლოდინ!“ ჩვენ მოვნახეთ გურამიშვილის ამოსავალი რუსული ხმა.

**გურამიშვილი:**

**ხალხური:**

ვა, რამდენი ყვავის ზაფხულს ახალნი,  
არ ვიცოდი ჯაერი დროთა, ავთ ხანი;  
ყოველთვის მე ვიყავ მისის იმედით,  
არასა ჰგებობდი ჩემთა სითაგედით,  
სასმენლად არ მინდოდა. 3)

Ах, сколько цвела в летах, молодых,  
Не знала печали, случавшей худых,  
Всегда была в той надежде,  
Не владеть мною невежде,  
Слушать не хотела... 4)

პირველ სტროფში გურამიშვილი ფეხდაფეხ მისდევს პირველ წყაროს, თავისუფლად სთარგმნის მას და სტრიქონების რაოდენობასაც იცავს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისში. შემდეგ კი ხმით შთაგონებული პოეტი საკუთარი ცხოვრების აღწერას იწყებს და მოხუცებას მიღწეულის მწარე ფიქრებს ვირტუოზულად გადმოგვიშლის.

ყურადღებას იქცევს „მზეთა-მზის ვედრება დავითისაგან, მზის თხოვნა დასათბობლად ტირილითა თუ სიმღერის კმითა“. მის შესახებ ვკითხულობთ: „ამის ჯმას ეწოდება რუსულად მასონ“. ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაგნეთ ამ სათაურის რუსულ ხალხურ ლექსს, მაგრამ ხელთ გვაქვს ისეთი ხოტბანი, რომლებიც ახლოს დგანან გურამიშვილის ნაწარმოებთან.

1) „დავითიანი“, გვ. 175.

2) ჩუღოკოვის დასახელებული კრებული, გვ. 300, № 38; 1770 წლის გამოცემაში, II ნაწ., გვ. 50 — 51. შტრ. Русская народная песня, 1936 წ., გვ. 96.

3) „დავითიანი“, გვ. 171.

4) ჩუღოკოვის დასახ. კრებული, გვ. 396, № 111, 1770 წ., გამოც. II, გვ. 156 — 157.

## გურამიშვილი:

მზეც! სიშორითა შენითა  
 ესტორ გულზე კენესითა, ჭმენითა;  
 ყინვა მკლავს და მახრობს ბუჯი;  
 გამათბე, მომფინე შუქი! \*)



ეს მზის საგალობელია, რომლის თითოეული სტროფის მეოთხე სტრიქონს გუნდი ორჯერ იმეორებს. ეს ორიგინალშიც საგანგებოდ წითურით ყოფილა აღნიშნული. მზისადმი ანალოგიური მიმართვა არსებობს რუსულ ფოლკლორშიც:

„Ты взойди, взойди, солнце красное,  
 Над горою ты взойди над высокою,  
 Над дубравою взойди над зеленою,  
 Обогрей ты нас добрых молодцев.“ \*)

იმავე კილოზეა ნათქვამი მეორე ხალხური ლექსი:

„Взойди скорее солнце, ночь темная пройди,  
 И громкой соловейко пастушку разбуди.“ \*\*)

წარმოშობით მზის საგალობლები საგანაფხულო ჩვეულებებთან არიან დაკავშირებული. ზამთრის დამარცხება განაფხულის მიერ და ბუნების გაღვიძება ადამიანზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ამიტომაც ესთეტიური გრძნობით ამაღლებული ადამიანი განაფხულს სასოებით ეპატიჟება:

„Весна, весна красная,  
 Приди весна с радостью.“ \*\*)

შინაარსით რუსული ლექსები გურამიშვილისაგან შორსა დგანან. ერთი გვეცნობს ჯარისკაცთა, ზოლო მეორე—მწყემსთა ცხოვრებას. მათი განხილვისას ჩვენი საგალობლებიც გვეაგონდება:

„მზეო, ამოდი, ამოდი,  
 ნუ ეფარები ვორსა,  
 სციფეს კაცი მოუკლავს,  
 საწყალი აგერ გორავსა“.

მე-18 საუკუნეში მზის ვედრება ლიტერატურულ წრეებში გავრცელებული ყოფილა. ზოგიერთს, მაგალითად, თომა ბარათაშვილს, „ქალთა-მზე“ შეუთბნავეს. გურამიშვილი თომას მიმართავს: „რომელიც ემა შენ შეგეწყო, მეც ის მოეაწყეო“. მაშასადამე, ხალხური საგალობლების ვადამუშავება არც ისე იშვიათი ყოფილა მე-18 საუკუნეში. ყველაზე უკეთესი სიმღერა გურამიშვილს

\*) „დავითიანი“, გვ. 91.

\*\*) А. И. Соболевский: „Великорусские народные песни“, VI, გვ. 317, № 407, შტრ. № 419; ტ. II, №№ 567, 568, 569.

\*\*) Чулков: დასახ. შრომა, გვ. 138, № 98; 77 წ. გამოც. I, გვ. 125 — 26.

\*\*) Сахаров: „Песни русского народа“, IV, стр. 375, 1839 г.

\*\*) „დავითიანი“, გვ. 91.

შექმნიდა და მას „მზეთა-მზე“ ეწოდება. ამ ლექსს პეტულისხმოვს უთარო პოეტი, როცა თომას ეუბნება: „შენს ქალთა-მზეს ბევრითა სჯობს ჩემი მზეთა-მზეო“. „დავითიანში“ თომასთან შეკამათება „მზეთა-მზის“ შემდეგ არის მოთქმებული. მაშასადამე, „მზეთა-მზე“ უფრო ადრე დაუწერია, ვიდრე ფომქსადმი მიმართვა. ეტყობა, „დავითიანში“ ლექსების დალაგებას საფუძვლად ქრონოლოგიური პრინციპი უდევს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ თხზულებათა სრული კრებულის შედგენა 1774 წლის ნოემბერში დასრულებულ იქნა (მაშინ პოეტი 60 წლის იყო).

„რუსული სიმღერის კმა“, რომელიც არის „ჩტო ზა პრინინა, ვსელდა კრუჩინა“ მოგვაგონებს ჩულოკოვის კრებულის I ნაწილში დაბეჭდილ ლექსს:

„Толи не толи кручина,  
Толь животу не надсада...  
Горя, тоски и кручины,  
Тяжкова бы дыхания“.<sup>1)</sup>

მაგრამ ეს მაინც არ არის ის „კმა“, რომლითაც გურამიშვილი სარგებლობდა.



დასასრულ, უნდა შევეხოთ გურამიშვილის ყველაზე რთულ და გვიან დაწერილ ნაწარმოებს „მზიარულ ზაფხულს“. ამ პოემას მეორენაირად „ქაცვია მწყემსს“ უწოდებენ. პოემას საფუძვლად ფოლკლორი უდევს. ამ საკითხზე თვითონ პოეტი შენიშნავს: „რუსულად ამის ჯმის სიმღერას ეწოდების „ვესელა ვესნა“. „მზიარული ვაზაფხული“ გურამიშვილისათვის ერთ ქალს უმღერია და მგრძნობიერ პოეტზე დიდი გავლენაც მოუხდენია: „იმით ჩემი გული იქნა დადავული“.

გურამიშვილი სუვეტური ნაწარმოების წერის დროსაც კვლავ საწესჩვეულებო პოეზიას მიმართავს. ნაწარმოები მთლიანად წლის ისეთ დროებზე იშლება, რომლებთანაც მრავალნაირი კულტურების შეხება და ყოფითი ჩვეულებები დაკავშირებული. რუსული „Весела весна“ და ყველანაირი „Весенняя радость“ საგაზაფხულო ცერემონიალის ერთ-ერთი გამოვლინებაა. გურამიშვილმა ისარგებლა რუსულ-უკრაინული ხმით, მაგრამ პარალელურად მისი მსგავსი მასალა საქართველოდანაც მოეპოვებოდა.

საგაზაფხულო ლექსები და ჩვეულებები ფართოდ იყო და არის გავრცელებული როგორც უკრაინაში, ისე მთლიანად სლავებს შორის და ევროპაშიც.<sup>2)</sup> ასე რომ დ. გურამიშვილს მასალის შერჩევის მრავალგვარი შესაძლებლობა ჰქონდა. პოეტმა საბოლოოდ აირჩია თავისთვის დამახასიათებელი მისტიციზმის გზა, ზოლო ის, რაც რელიგიზმის სახით არის წარმოდგენილი ამ ნაწარმოებში, უმთავრესად ხალხური პოეზიის მონაპოვარია.

სუვეტურად და ხმითაც „მზიარული ზაფხული“ რამდენიმე შენაკადის შემცველია. ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლის ამბავს აღამიანის საყოფაცხოვრებო თავგადასავალი მოსდევს. უკანასკნელ ნაწილისთვის პოეტს რამდენ-

<sup>1)</sup> Чулков: დასახ. კრებული, გვ. 139, № 99, გამოც. 1770 წ., I, გვ. 126—127.

<sup>2)</sup> В. Аничков: „Весенняя обрядовая песня на западе и у славян“, I—II, 1903—1905; А. Веселовский: Соч., I, გვ. 96.

ნიმე ბიბლიური და ერთი ქართული ლეგენდა გაულექსავს. თავის მხრივ თქმის ყველა ბიბლიური გადმოცემა, რომელიც გურამიშვილს მხატვრულ სახეებში გადაუტანია, უძველესი ფოლკლორული წარმომავლისაა და ევას შეცოდება, ლეთის განრისხება და წარღვნის მოხდენა, შაბილონის გოდლის შენება და ენების აღრევა. ეს ლეგენდები ფართოდ არის გავრცელებული დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, როგორც კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომ ერების, ისე ველურ ტომთა ზეპირ ლიტერატურაში.

აქ ჩვენ ვერ გავარკვევთ იმ ლეგენდების წარმომავალს, რომლებიც „შაბილონ ზაფხულში“ შეუტანია ავტორს. ჩვენ ახლა გვიანტერესებს ორი კითხვა: როგორ სარგებლობდა გურამიშვილი ბიბლიური გადმოცემებით და გამოიყენა თუ არა მან რომელიმე ქართული ლეგენდა.

მისტიკოსი პოეტი გაბედულ თავისუფალ დამოკიდებულებას იჩენს ბიბლიურ ტექსტისადმი. პირველ ყოვლისა ეს იგრძნობა სუვერენების, შითების შერჩევაში. დ. გურამიშვილს ბიბლია ზნეობრივი თვალსაზრისით აინტერესებს და ცდილობს პოპულარული გადმოცემების საშუალებით გვიჩვენოს, რა „შესძლო თვალმან და ლამაზმან ქალმან“ და რა უბედურება შეემთხვა კაცობრიობას ამის გამო. ეს საერთო მიზანი განსაზღვრავს ბიბლიურ ტექსტისადმი დამოკიდებულებას. პოეტი ფეხდაფეხ არ მისდევს დაბადების წიგნებს, იგი არჩევს იქიდან ლეგენდებს და საკუთარი გამოცემების მიხედვით ალაგებს.

თვით გალექსილი ლეგენდების ბიბლიური ტექსტიც ორიგინალურადაა გამოყენებული. საილუსტრაციოდ გამოდგება პირველივე ლეგენდა, რომელსაც მამა შვილს უამბობს, და რომელსაც სათათრად ეწოდება „წარღვნის ამბავი: ნოეს კიდობნად შესვლა“. ეს თავი 54 სტროფისაგან შესდგება. აქედან 16 დღითის მიერაა დამატებული. ამ უკანასკნელთა შესაბამი ფრაზები ბიბლიაში არ მოიპოვება. თექვსმეტიდანაც 5 სტროფი ქართულ ლეგენდას წარმოადგენს, ამისი მსგავსი ბიბლიაში არა სწერია-რა. თვით ის 38 სტროფი, რომელიც ბიბლიას მისდევს, მეტად მოხერხებულად არის შედგენილი და ყველგან პოეტის საკუთარი ხმა იგრძნობა. გურამიშვილი გაურბის ბიბლიაში არსებულ განმეორებებს და საკუთარი ენამკვერობით აერცობს, განმარტავს თითოეულ საინტერესო ადგილს. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს ტექსტის ფილოლოგიური შედარება:

#### გურამიშვილი:

510. კაცთა ახლნი, ლამაზნი ქალნი,  
ლეთის ძეთ რა ნახეს, ზედ დარჩათ თვალნი.  
შეირთევს ცოლებად, შვილთა საყოლებად  
თავ-თავისთვისა.

#### ბიბლია:

- ... კაცთა ახლნი იშენეს... შტენიერ იუტნეს...  
... ზოლო იბილნეს რა ძეთა ლეთისათა...  
... შიიყვანეს... ცოლებად...  
თავთა-თვსთა... (თავი 3, სტრ. 2-3).

## დ. გურამიშვილი:

511. ღმერთს არ ეკეთა გრძლად ყოფნა კორცად,  
ასოცის წლისა ჭნა დასაკოცად.  
თვალთ ლამაზთ ხდომამა და გულთა ცდომამა,  
ეს მოაკედინა.



## ბიბლია:

- ... თქტა უფალმან ღმერთმან... კორც...  
... ივენეს დღენი მათნი ასოც წელ...

(თავი 3, სტრ. ბ—ღ).

მომდევნო სტროფი (512) მთლიანად გურამიშვილის სიტყვითაა დაწერილი და იმას გადმოგვცემს, თუ როგორ შეუმოკლა ღმერთმა ადამიანს სიკოცხლის ხანგრძლივობა, როცა ამ უკანასკნელმა ნდომას გულიც მიაცოლა.

## გურამიშვილი:

513. ღვთის ძეთ შენეს შვილნი გოლიათ-გმირნი,  
შესახედავად გულთ გასაგმირნი,  
მალაღნი, დიდები, არ აქენდათ რიდები  
არასფერისა.

## ბიბლია:

- ... შევიდოდეს ძენი ღვთისანი ასულთა მიმართ კაცთასა, და  
შობდეს მათგან: იგინი იყვნენ გმირნი...

(თავი 3, სტრიქ. ღ—0).

გზადაგზა ჩამატებული სტროფები აძლიერებენ გადმოცემის აზრს და გურამიშვილისეულ დიდაქტიკურ-მორალურ ქადაგებას შეიცავენ.

იმის გასაგებად, თუ რა წესით მუშაობდა დ. გურამიშვილი ბიბლიურ ტექსტზე და როგორ გარდაქმნიდა მას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 523 სტროფი. აქ ლექსი დაუმთავრებელია და ორი ნაწილისაგან შესდგება: პირველი ორი სტრიქონი დავითისაა; ხოლო უკანასკნელი ორი ბიბლიის ტექსტს წარმოადგენს. გამომცემლებს მეორე ნაწილი გურამიშვილისეულ პროზად მიუჩნევიათ და შენიშვნაში მოუთავსებიათ. საერთოა სახე ამ ადგილისა შემდეგია:

523. მათ ყველას ექმნას წყლის გამო დანთქმა,  
მე შენთან ჩემი ვამკვიდრო აღთქმა.  
ხოლო შეხვიდე კიდობნად შენ და ძენი შენი  
და ცოლი შენი და ცოლნი ძეთანი შენათანა.<sup>1)</sup>

## ბიბლია:

- ... და დავამტკიცო აღთქმა ჩემი შენთანა,  
ხოლო შეხვიდე კიდობნად შენ და ძენი შენი,  
და ცოლი შენი, და ცოლნი ძეთა შენთანი შენთანა.

(თავი 3, სტრ. იც).

<sup>1)</sup> „დავითიანი“, 1934, გვ. 278.



ახლა საკითხავია, რომელი ბიბლიით სარგებლობდა გურამიშვილი. „მზიარული ზაფხული“ უკრაინაში არის დაწერილი და იქ რომელი თარგმანი ჰქონდა ხელთ, ქართული თუ რუსული?

შედარება უეჭველად ადასტურებს, რომ გურამიშვილი სარგებლობდა ქართული თარგმანით, კერძოდ, ბაქარის მიერ 1742 წელს გამოცემული ბიბლიით. სანიმუშოდ მივმართოთ 519-ე სტროფს:

შინათ და გარეთ მოკირე კირით;  
წვიმა მოჰხედების ექვისა კვირით  
დღისითა, ღამითა, წუთითა, ეამითა  
შეუწყვიტილად.

#### ბიბლია:

... და მოჰკირო იგი შინათ და გარეთ კირითა.<sup>1)</sup>

(თავი 3, სტრ. 00).

„მზიარულ ზაფხულში“ ნახმარია სიტყვა „კირით“, რომლის პირდაპირი შესატყვისიც ბაქარის გამოცემაში გვხვდება.

ბაქარის კულტურულ საქმიანობას გურამიშვილი კარგად იცნობდა და საფიქრებელია, რომ, მიგრაციაში გადასახლების მიუხედავად, იგი მონაწილეობასაც იღებდა ბაქარის ჯგუფის მუშაობაში.

წარდგინის მოთხრობაში გურამიშვილს ერთი ქართული ლეგენდაც ჩაურთავს. ეს არის 529, 530, 531, 532 და 533 სტროფები. ნოემ კიდობანში ყველანაირი ცხოველი მოათავსა, მხოლოდ კამეჩი დააეიწყდა.

529. ნოეს კამეჩი დაეიწყებოდა,  
სადღაც სიციხთა ლაღში წვებოდა;  
კიდობანს გარეთა ყვიროდა მწარეთა  
დიდის კმითა.
530. სახელს უძახდა ნოეს კამეჩი:  
რისათვის ვრჩები სულ უკან ბეჩი,  
რისათვის მაგდებო და ირ შემავდებო  
მეც კიდობანში?
531. ნოემ ჰრქვა კამეჩს: ვეჭობ, კამეჩი  
მაგისთვის ვერქვას, უფილხარ ბეჩი;  
რდენის შიშით გაქვს ძრძოლა, ლაღშიგან ჩაწოლა  
რა დროსი იყო?
532. კინაღარ დარჩი მაგ კარგის ბანით.  
მალე ამოდი, ჩამოძვერ ბანით...  
თავისი ენა კამეჩს დაეიწყდა მას ბეჩს  
ნოეს ძახილით.
533. ამაღ იძახის კამეჩი „ნოეს“.  
თუ შენ გეგონოს არ სარწმუნო ეს, —  
როცა მას ნახედე, შენ დამძრახედე,  
თუ მე ვსტყუოდე!

გურამიშვილს ეს ლეგენდა ქართულში უნდა ჰქონდეს მოსმენილი. ჩვენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გავგიგონია გადმოცემა

<sup>1)</sup> 1884 წლის გამოცემაში იკითხება: „ნავითთა“ (თავი 3, სტრ. 00).

„რატომ იძახის კამეჩი „ნოეს“. ეს ეტიმოლოგიური ლეგენდა პოეტს ნაბჭილისა შგონებია და გაულექსავს, მაგრამ როცა შეუშოწმებია, საამისო რამ ბიბლიაში ვერ უნახავს და ზელნაწერში წაუშლია. ამის თაობაზე გურამიშვილი წამოყვამია: „ეს კამეჩის ამბავი წიგნში წერილში ვერცადა ვნახე და ისევე მოეჩვენა. გინც ეს წიგნი გადასწეროს, ნულარ დასწერს, ამისთვის რომე რჯულად არ დაიდევს ტყუილი.“<sup>1)</sup>

საყურადღებო განმარტებია. ამით პოეტი გვამცნობს, თუ რა სიფრთხილით ეკიდებოდა ის ბიბლიური, ტექსტის დამუშავებას და როგორი თავდაპირველი იყო საკუთარი ლექსების ჩართვისას: სჯულად არ დაიდევს ტყუილი.

გურამიშვილის მიერ გალექსილი „კამეჩის ამბავი“ დღემდე, სამწუხაროდ, ჩაწერილი არ არის. ამის გამო შეუძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ რით განსხვავდება სტილიზებული ტექსტი ფოლკლორისაგან.



გურამიშვილის პოეზია მდიდარია აფორიზმებით, ფილოსოფიური გამოთქმებით. არ არსებობს ისეთი ლექსი, რომელიც ერთ აფორიზმს შიენც არ შეიცავდეს. მოკლე და აზრიანი, სადა და მახვილგონიერი გამოთქმები შოთას შემდეგ ასე მრავალად არც ერთ ქართველ პოეტს არ მოეპოვება. ამისი მიზეზი ინდივიდუალური ნიჭიერების შემდეგ პოეტის დიდაქტიკურ-მორალურ ტენდენციასა და ხალხურ შემოქმედებასთან მჭიდრო კავშირში უნდა ვეძიოთ.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა გურამიშვილის საანდაზო ლექსებს და სისტემატიურად „ივერია“-ში ბეჭდავდა.<sup>2)</sup> ქართველმა საზოგადოებამ შეითვისა „დავითიანის“ მრავალი ფილოსოფიური ფორმულა და თავისი შემოქმედების ოქროს ფონდში ჩაირცხა. ინდივიდუალური პოეზიის ასეთი ინდივიდუალური გამარჯვება მხოლოდ რჩეულთა ზედრს წარმოადგენს.

გურამიშვილის დიდაქტიკური პოეზიის ძირითადი ღირსება მის სენტენციურ ბუნებაში მდგომარეობს. მარტო ერთი ლექსი „ათთა სახმართა საქმეთა ჩავონება ყრმათათვის“ ოცზე მეტ აფორიზმს შეიცავს. ვის არ გაუგონია ქართულ ენაზე მოლაპარაკეთაგანს: „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“, ან „თავს სინანული სჯობია ბოლო ვამს დანანებასა“ და სხვ. გურამიშვილი აფორიზმების შექმნის დროს ფოლკლორულ საგანძურს ემყარება. ნშირად პოეტის ფორმულას პირდაპირ ხალხური გამოთქმა უდევს საფუძვლად.

#### გურამიშვილი:

1. დედამ რა შვას ძე, პირველთა  
ჭირთ აღარ მოიხსენებსა.
2. და ჭკუვა უბმარ არს ბრწყინათვის,  
ჭკვა ცოდნით მოეპარებს.
3. თავისთვის მტრატყუს აკეთებს,  
სხვით გაუკეთებს ჯორსაო?\*)

<sup>1)</sup> „დავითიანი“, გვ. 279.

<sup>2)</sup> „საანდაზო ლექსი, ილია ჭავჭავაძის ამოკრებილი“ ა. გრამიშვილის წინათქმითა და შენიშვნებით, 1935 წ.

<sup>3)</sup> „დავითიანი“, გვ. 15, 22.

## ხალხური:

1. ავადმყოფი რომ მორჩება,  
ეტები შესძლდებოდა.
2. შუა ყველა კაცს აქვს, მაგრამ  
ყველა კარგად ვერ ხმარობსო.<sup>1)</sup>
3. ვირო თავისთვის ვირს აკეთებს,  
სხვისთვის — ჯორსაო.<sup>2)</sup>



არაიშვიათად გურამიშვილის შემოქმედებაში აფორიზმს, ანდაზას ორნამენტის სახე აქვს, მაგრამ ეს ეპიკური მანერა ისე ორგანიზებულია და შესული ლირიკულ თუ ეპიკურ ნაწარმოებებში, რომ არ იგრძნობა მისი დამოუკიდებელი ხასიათი და ტენდენცია განკერძოებისა. თავის მხრით ეს გარემოება გურამიშვილის დიდ მხატვრულ შესაძლებლობასა და ღრმა განსჯის უნარს მოწმობს.

შემოქმედების წყაროების შემოწმებამ ცხადყო, რომ ჩვენი მგოსანი ფართო განათლების პიროვნება ყოფილა, მას დიდ პოეტურ ერუდიციასთან ერთად ქართული ლიტერატურის, რუსულ-უკრაინული პოეზიისა და ბიბლიის ღრმა ცოდნა ჰქონია. ყოველივე ამან უზრუნველყო დიდი ნოვატორისა და ეროვნული პოეტის სახელი, რითაც გურამიშვილი დამსახურებულად სარგებლობს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.<sup>3)</sup>

მე-18 საუკუნეში დავით გურამიშვილმა განაგრძო ის ტრადიცია, რომელიც ადრე შოთა რუსთაველმა და საბა-სულხან ორბელიანმა დაამკვიდრეს. ამით მან დიდად შეუწყო ხელი შემდეგი დროის მწერლობის დემოკრატიზაციასა და ხალხურ პოეზიასთან დაახლოვებას.

<sup>1)</sup> ლ. მ. ბ. რ. ვ. ე. ლ. ი.: „ანდაზები“, 1941 წ., გვ. 5, 10.

<sup>2)</sup> „ქართული ანდაზები“, შეკრებილი დ. თურდოსბორელითა და ემ. გაბრიანიძის მიერ, გვ. 98.

<sup>3)</sup> ჩვენ არ ვეთანხმებით იმ მკვლევარებს, რომლებიც „მხიარული ზაფხულის“ ორ სტროფზე (477 — 475) დაყრდნობით გურამიშვილს „მამად“ მიიჩნევენ და მწვერული გლეხის გაუნათლებლობას მიაწერენ (ი. ბ. ა. რ. ა. მ. ი. ე.: „ნარკვევები“, II, 278, კ. კეკელიძე: „ქართული ისტორია“, II, 1941 წ., გვ. 607 — 608).

## ილია ჭავჭავაძე გერმანიის აკადემიური პოლიტიკის შესახებ

„... გერმანიის შიგლი ისტორია არის მილიანი, დაუნდობელი, სისხლიანი ომი ანექსიებისათვის“.

მ. ი. ლენინი,

გერმანიის 1848 წლის რევოლუციის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა ფეოდალურ ურთიერთობათა ლიკვიდაციის საფუძველზე, პოლიტიკურად დაქუცმაცებული გერმანიის „ქვემოდან“, რევოლუციური გზით გაერთიანებაში. გერმანიის ბურჟუაზიამ, რომელიც დამფრთხალი იყო პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლებით, ხელი აიღო ამ ძირითად ამოცანის განხორციელებაზე, ზურგი აქცია რევოლუციას. სწორედ ამის გამო, როგორც მარქსი ამბობდა, გერმანიის 1848 წ. რევოლუციის რეზულტატი „ფეოდალურ უფლებათა შენარჩუნება“ იყო.

გერმანიისათვის ეს დამახასიათებელი თავისებურება ძალაშია ბისმარკის დროსაც. ამიტომ კვლავ „მორიგი საკითხი იყო გერმანიის გაერთიანების საკითხი. კლასების მაშინდელი თანაფარდობის პირობებში, ეს შეიძლებოდა ორგვარად მომხდარიყო: ან რევოლუციის გზით, რომელსაც პროლეტარიატი უხელმძღვანელებდა და გერმანიის ერთიან რესპუბლიკას შექმნიდა, ან პრუსიის დინასტიური ომების გზით, რომელნიც პრუსიის მემამულეთა ჰეგემონიას განამტკიცებდნენ გაერთიანებულს გერმანიაში.“<sup>1)</sup> ეს ამოცანა გადასჭრა ბისმარკმა, არა რევოლუციური გზით, არამედ თავისებურად, იუნკრულად, ე. ი. რეაქციულად, დინასტიური ომების გზით, პრუსიის იუნკერთა ჰეგემონიის განმტკიცებით გაერთიანებულ გერმანიაში. მაგრამ გერმანიის აგრესიული ძალები ამით როდი კმაყოფილდებოდნენ. ისინი შიისწრაფოდნენ ევროპის დაპყრობისა და მსოფლიო ჰეგემონიისაკენ.

გერმანიის აგრესიული ძალების მიერ შოვინიზმის შხამით ჯერ კიდევ დიდი ხნიდან იყო მოწამლული გერმანიის საზოგადოებრივი ატმოსფერო; გერმანულ შოვინისტებისა და ცრუ პატრიოტების წინააღმდეგ გერმანიის დიდი პოეტი ჰენრიხ ჰეინე 1855 წელს „ლუტეციის“ ფრანგულ გამოცემის წინასიტყვაობაში სწერდა, მე მძულსო კომუნისმის მოწინააღმდეგე პარტია, „მე ვლაპარაკობ ევრეთწოდებულ გერმანულ ნაციონალისტების პარტიაზე, ამ ყალბ პატრიოტებზე, რომელთა პატრიოტიზმი არის მხოლოდ იდიოტური სიძულვილი უცხო და მგზობელი ხალხებისადმი... მათ მხოლოდ გადააქეთეს ახალ ფასონზე ძველი კოსტუმი ულტრა-გერმანული არამზადებისა და ცოტათი

<sup>1)</sup> მ. ი. ლენინი, ოსზ., ტ. XVI, გვ. 547.

დაიჭრეს თავისი გრძელი ყურები, მე ყოველთვის მძულდა ისინი და გებრძობდი მათ, და ახლა, როცა სიკვდილი საბრძოლო მახვილს მაცლის ხელიდან, მე მამშვიდებს რწმენა, რომ კომუნისმი, რომელსაც ესენი პირველნი დღეები დებიან გზაზე, — დაარტყაშს მათ უკანასკნელად, კეტით კი დახრცავს მათ ეს გოგანტი, არამედ გასრესს მათ ფეხით, როგორც გველებს“.<sup>1)</sup>

რუსეთის დიდმა მოაზროვნემ გერცენმა გაილაშქრა გერმანიის აგრესიული მისწრაფებების, შოვინიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ. გერცენი აღნიშნავდა გერმანელთა „განსაკუთრებულ ნაციონალიზმს“, „მათ მიერ რუსეთისადმი მოხუცი ქალის იქვენულ სიძულვილს და საფრანგეთისადმი გულმანკიერ შურიანობას“, რაც „თავის-თავზე დიდ შეზღუდულებასთან ერთად კომიზმამდე მიდის“.<sup>2)</sup> გერცენი, რუსი ხალხის დიდი პატრიოტი, არა მარტო ამხელდა გერმანელ ცრუ ნაციონალისტთა აგრესიულ მისწრაფებებს საერთოდ, არამედ ის კიდევ აფრთხილებდა თავის ხალხს იმ საფრთხის გამო, რომელსაც მას უშზადებდნენ გერმანელი აგრესორები. მართალია, ბისმარკი რუსეთისადმი ერთგულებას ფიცულობდა, მაგრამ საკუთარი საქმენი ამ გაჭინულ დიპლომატს საკმაოდ ამტკიცებდნენ. რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებისაგან თუ თავს იკავებდა ბისმარკი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ „რუსული მსხლეტი არ იყვნენ შწიფენი“ ისე, როგორც „გერმანული მსხლეტი“, რომ ბისმარკს მოეკრიფა და ფრიდრიხ ვილჰელმისათვის „კალთაში ჩაეყარა“ (გერცენი). „კითხვაზე: ვისკენ ვარ მე, — ამბობდა ბისმარკი, — რუსებისაკენ თუ დასავლეთის სახელმწიფოებისაკენ — მე ყოველთვის ვუპასუხებ, რომ პრუსიის მხარეზე ვარ“.

ბისმარკის მოღვაწეობაში მისი პოლიტიკის წარმატების ყველაზე დამახასიათებელი ეტაპი XIX საუკუნის 60 — 70-იანი წლები იყო. ამ პერიოდში ქართველი ხალხის ნაციონალური თვითცნობიერება გარკვეულად ყალიბდება, ქართველი ხალხი ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ნაციონალურ გამანთავისუფლებელი მოძრაობის ვაშლით უპასუხებს. ამ მოძრაობას სათავეში ედგა თავის დროის დიდი პროგრესისტი ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძის, როგორც ქართველი ხალხის ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ბელადს, დიდად აინტერესებდა ევროპისა და აზიის ხალხების მიერ საკუთარ დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ბრძოლების ისტორია, ამიტომ შემთხვევითი როდი იყო ის ღრმა ცოდნა, რომელიც მას გააჩნდა მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში. ამასთან ერთად ბურჟუაზიული დიპლომატიის მთელი შინაგანი რთული მექანიკის დეტალებში ზუსტად გარკვევის და მახვილი პოლიტიკური აზლის უნარი სიტყვის დიდ ოსტატს დიდ პოლიტიკოსის რეპუტაციას უქმნიდა.

ბისმარკის პოლიტიკა, რომელიც პრუსიის იუნკრებისა და ბურჟუაზიის აგრესიულ მისწრაფებათა ზორცმესხმას წარმოადგენდა, შეუძლებელი იყო ილია ჭავჭავაძის ყურადღების გარეშე დარჩენილიყო. დაკვირვებულმა და გონებაშახვილმა პოლიტიკოსმა ბისმარკის გერმანიას და მის პოლიტიკას შესაფერისი ადგილი მიუჩინა „ევროპის დიდ და პატარა ონავრებს“ შორის.

<sup>1)</sup> Генрих Гейне — „Полное собрание сочинений в двенадцати томах“, Academia, М.-Л., 1936 წ., ტ. IX, გვ. 10.

<sup>2)</sup> Герцен — „Западные книги“, „Колокол“, 1857, № 6.

ილია ჭავჭავაძემ ქართული პრესის ფურცლებზე ამხილა გერმანიის აგრესიული პოლიტიკის მთელი შინაგანი ბუნება, გერმანულ აგრესორთა ვერაგული, მუხანათური ტაქტიკა.

ილიას, ისე, როგორც თავის დროზე გერცენს, არ გამოჰჩინია მხედველობიდან ის საფრთხე, რომელსაც ბისმარკი უმზადებდა. რუსეთს, „მსუნაგო თვალი ბისმარკისა — წერდა ილია, — რუსეთისაკენაც იყურება... გარდა ამისა, ძლიერება რუსეთისა ბევრს უშლის ბისმარკსა, რუსეთი რომ არ ყოფილიყო, ბისმარკი ზელმეორედ უნდა დასჯახებოდა საფრანგეთსა, და რაც პირველში დააკლო, ის მეორედ შეეხრულებინა, მაგრამ რუსეთმა თავი გამოიღო და ბისმარკი დასცხრა... შიში რომ არა ჰქონდეს ბისმარკს, ვინ იცის რას არ იქმნოდა ევროპაში“.)

საფრანგეთთან გამარჯვების შემდეგ, 1871 წლიდან გერმანია გვევლინება, როგორც იმპერიალისტური სახელმწიფო. „გამოჩნდა ახალი მტაცებელი, 1871 წელს შეიქმნა ახალი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც ვაცილებით უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ინგლისი... გერმანიის კაპიტალიზმის ეს სწრაფი განვითარება იყო განვითარება ახალგაზრდა და ძლიერი მტაცებლისა, რომელიც გამოჩნდა ევროპის სახელმწიფოთა კავშირში“.) ამიტომ სრულიად მართალი იყო ილია, როცა სწერდა: „გერმანია, რომელმაც საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ბატონობა დაიწემა ევროპის საქმეებში, დიდი ხანია შემდგარია—თავისი... მხედრობა უფრო გააძლიეროს, და ეს საქმე უჩუმრად ისე მიჰყავს, რომ ძილს და მოსვენებას უფრთხოებს მოსაზღვრეებს...“.)

გერმანიის მიერ ელზას-ლოტარინგიის შემოერთებას ილია ჭავჭავაძე განიხილავდა, როგორც ანექსიას, როგორც „უსამართლო საქმეს“. ილია სწერდა ამის შესახებ: „თითონ ელზას-ლოტარინგიაც შემოჰბღავის და შემოსტირის თავის ადრინდელს მამულს — საფრანგეთსა, რომელსაც იგი ძალმომრეობით მოაშორეს და რომლისათვისაც ელზას-ლოტარინგიას ბევრი ჭირი და ლბინი გაუზიარებია და თავისი უკეთესნი შეიღონი შეუწირავს საფრანგეთის დღეებისათვის“.) ილია ასეთი უსამართლო საქმის საპასუხოდ ომს აუცილებლად სთვლიდა და ამ ომს, იმოწმებდა რა ერთ-ერთ ფრანგ პოეტს, „ბისმარკის ომს“ უწოდებდა.

ბისმარკის ვერაგული პოლიტიკის წყალობით მთელ რიგ აგრესიულ ლონისძიებათა წარმატებით გატარების შემდეგ, გერმანიის ბურჟუაზია ბისმარკის ყურმოჭრილი მონა ვახდა. სწორედ ამის გამო ბისმარკი საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხების გადაჭრისას ყოველთვის ეყრდნობოდა ბურჟუაზიისა და იუნკერების ბლოკს. ამ ბლოკს ეყრდნობოდა ბისმარკი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგაც.

პარიზის კომუნართა წინააღმდეგ გაერთიანდა „საფრანგეთის მთელი ბურჟუაზია, მთელი მემამულეები, ბიჩყის მოხელეები, მეფაბრიკეები, ყველა მსხვილი და წვრილი ქურდები, ყველა ექსპლოატატორები...“.) მაშინდელ

1) ა. ჭავჭავაძე — თბ., ტ. X, გვ. 145.

2) ვ. ი. ლენინი — „ომი და რევოლუცია“, გვ. 12.

3) ა. ჭავჭავაძე — თბ., ტ. X, გვ. 100.

4) იქვე, გვ. 257.

5) ვ. ი. ლენინი — თბ., ტ. XV, გვ. 158.



საფრანგეთშიც იყვნენ იმ დროის პეტენები, ლავალები და ლაორანები, რომლებმაც გასცეს ფრანგი ხალხის ნაციონალური ინტერესები, ის ანაცვალეს თავიანთ ვიწრო კლასობრივ ინტერესებს და კომუნარებზე უფრო აჯანყებული პროლეტარიატის წინააღმდეგ მოუწოდებს პროსიელებს. აქამდე მხოლოდ როგორც ილია სწერდა, შეურაცხვეს „თავმოწონებული სითამამე საფრანგეთის ერისა, შევიწხებული, დამარცხებული და დამცირებული ქვეყნის წინაშე სიამაყე ამაყის საფრანგეთისა...“<sup>1)</sup> ბურჟუაზიულმა საფრანგეთმა ბისმარკს მიჰყვიდა სამშობლო, რათა ჩაეჭრო პროლეტარიატის აჯანყება.

ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას გამოებმატრა ჩვენი ხალხის დიდი პოეტი ილია ჭავჭავაძე. ის სწერდა:

„კვლავ შეფერხდა ისტორია,  
განახლების შესდგნენ ძაღნი,  
და კვლავ დღესასწაულობენ  
გამარჯვებულნი მტარვალნი.“<sup>2)</sup>

გამარჯვებული მტარვალი — ბისმარკი საიდუმლოდ, მაგრამ გამალებით ემზადებოდა რუსეთის წინააღმდეგ. არა ჰქონდა რა საკუთარი ძალებით რუსეთის დამარცხების იმედი, აიძულებდა ავსტრო-უნგრეთს და იტალიას მოსალოდნელ ომში გამოსულიყვენ გერმანიის მხარეზე. ილია 1882 წელს სწერდა, რომ ომისათვის ემზადება ავსტრო-უნგრეთიც, „რომელიც ძალაუნებურად აითრია ბისმარკმა“-ო.<sup>3)</sup> 1882 წელს გერმანიის მიერ ნაძალადევად შეკოწიწებულმა გერმანია-ავსტრო-უნგრეთ-იტალიის კავშირმა ევროპაში დაძაბული პირობები შექმნა, გაძლიერებულ სამხედრო მზადებას — იმპერიალისტურ ციებ-ცხელებას შრომელთა მატერიალური მდგომარეობა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიჰყავდა. „გაუჭირდა ევროპის ხალხსა ცხოვრება, — სწერდა ილია, — უკეთესი ნაწილი ერისა და მოზრდილი ლუკმა ერის ქონებისა იღუბება დღე-ყოველ და ამ ნაწილს ერისას და ერის დიდძალს ქონებას ჰყლაპავს იგი გაუმძღარი ვეშაბი, რომელსაც შეთოფიარალებულა მშვიდობიანობას ეძახიან.“<sup>4)</sup> ყოველივე ამაში ილია გერმანიის იმპერიალიზმს სდებდა ბრალს. ის სწერდა: „... ეს უბედურება მოუვლინა ამ ბრწყინვალედ განათლებულ ქვეყანას თ. ბისმარკმა და მისმა მეტის-მეტად გაკანდიერებულმა და მოურიდებელმა პოლიტიკამ“-ო.<sup>5)</sup>

გერმანიის „მოკავშირეთა“, უკეთ რომ ესთქვათ, ვასალოთა ბანაკში, უფრო და უფრო იზრდებოდა უკმაყოფილების ელემენტები გერმანიის წინააღმდეგ. აბა მიჰხედეთ, — სწერდა ილია, — რა საცოდავად ჰლალადებს იტალიის ერი უქონლობისა და უილაჯობისაგან, — გაფწყალდით, ლუკმა პური აღარ შეგვკრჩაო. ნუ თუ იმისთვის მოვიპოვეთ თავისუფლება და ერთობა, რომ ამ ყოფაში ჩაეცვიენილიყავითო. მოგვაშორეთ ეგ რალაც ჰირი გერმანიაა, რომელმაც ეს უბედურება აგვიკიდა ზურგზედ და სული ვეღარ მოგვიბრუნე-

<sup>1)</sup> ი. ჭავჭავაძე — თბზ., ტ. X, გვ. 112.

<sup>2)</sup> ი. ჭავჭავაძე — თბზ., ტ. I, გვ. 75, 1937 წ. გამოცემა.

<sup>3)</sup> ი. ჭავჭავაძე — თბზ., ტ. X, გვ. 100.

<sup>4)</sup> იქვე, გვ. 59.

<sup>5)</sup> იქვე.

ბიანო. არც კი ავსტრიაა უკეთეს დღეში. აქ კი ერთ ჰდრტიენავს და ჰკენესის დღევანდელის დღის გაჭირვებისაგან და გულამღვრეულად გასცქერის გერმანიას, რომელმაც ეს დღე მოუვლინა მთელს ევროპას ერთადერთად ავსტრიის საკუთრივ".<sup>1)</sup>

შენჯინა

ილია უერთდებოდა იმ პროგრესიულ ძალებს, რომლებიც არ ზოგავდნენ ძალ-ღონეს გერმანიის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ბევრი კაცია დღეს ევროპაში, — ამბობს ილია, — რომ მაგ მილიტარობას ებრძვის“... ისინი იბრძვიან „იმ გერმანიისაგან შემოტანილის მილიტარობის დასამზობად. თითონ გერმანიაშიც უკეთესნი გერმანელი ამ მილიტარობის ბოლოს მოღებას დაუცხრომლად ჰცდილობენ...“

გერმანიის უპირატესობამ ევროპაში ასეთი ბედი შეაწია ევროპას; ბისმარკის „რკინისა და სისხლის“ პოლიტიკამ ასეთი ამბავი ჩამოაგდო ქვეყნიერობაზედ“.<sup>2)</sup>

ილია ანალიზს უკეთებს გერმანიის მიერ განვლილ გზას და მას ახასიათებს, როგორც ძარცვისა და დაპყრობის სისხლიან გზას, სუსტად დაცულ მეზობელთა დაბეჩავების, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ჩახშობის განუწყვეტელ ისტორიას. ვ. ი. ლენინი ტყუილად როდი უწოდებდა გერმანიის მთელს ისტორიას ანექსიებისათვის დაუნდობელსა და სისხლიანი ბრძოლის ისტორიას. გერმანიის ანექსიონისტური პოლიტიკა ყოველთვის განიჩიოდა სხვა დამპყრობ სახელმწიფოთა მსგავსი პოლიტიკისაგან. გერმანიის ანექსიონისტური პოლიტიკა განუყრელად იყო დაკავშირებული ევროპობასთან, მუხანათობასა და სისხლიან ტერორთან. ილია კლასიკურად ახასიათებს გერმანიის აგრესიული პოლიტიკის თავისებურებას, მის ევრაგულსა და ცბიერ ბუნებას.

გერმანიის აგრესიული პოლიტიკის სულისჩამდგმელი XIX საუკუნის 60 — 70-იან წლებში და თვით 90-იანი წლებამდეც კი, ოტტო ფონ-ბისმარკი „ნაქმეს ისე მოიყვანს ხოლმე, — სწერს ილია, — რომ როცა ერთის მტრის, თუ მოპირდაპირის გაათახსირება უნდა, მეორე მტერს, თუ მოპირდაპირეს, გაომეგობრებს ხოლმე, და პირველს რომ ანდერძს აუბებს, ეხლა გამეგობრებულს დაეჯახება და ტყავს აძრობს“.<sup>3)</sup>

თი ფაქტით: „... ავსტრიის შემწეობით დანია დაამარცხა, საფრანგეთის მოთათბირებით ავსტრიის ტყავი გააძრო, ავსტრიის დაუძლურებით და რუსეთი ტალიის მომხრეობით საფრანგეთზე გაიმარჯვა. და ამ გზით თითო-თითოდ გაინაპირა თავისი მეტოქენი, თითო-თითოდ და ცალ-ცალკე დაპლახა“.<sup>4)</sup>

ჭურდი და ავანაჯი პიტლერი არა მარტო ევროპის დამონებულ ხალხებს სძარცვავს, არამედ ძარცვავს მძარცველ თავის წინაბრძობას; ძარცვისა და დამონების, სუსტ მეზობელთა მოსაბობისა და განადგურების მუხანათური მეთოდები მან ბისმარკის და სხვათა არსენალიდან მოიპარა. მაგრამ უბადრუკ ჭურდს ვერ აღმოაჩნდა საკმაო ძალა ნაჭურდალის გამოყენებისა, მას აღრე მიუხვდნენ; მის წინააღმდეგ დაირაზმა მსოფლიოს დემოკრატიული ხალხები საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაუ-

<sup>1)</sup> ი. პეტევიძე — თბ., ტ. X, გვ. 61.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 143 — 144.

<sup>3)</sup> იქვე, გვ. 141.

<sup>4)</sup> იქვე, გვ. 142.

რობით. ავსტაჟ კიტლერმა ვერ შესძლო თავისუფლებისმოყვარულ ხალხთა „თითო-თითოდ განაპირება“, მათი „თითო-თითოდ და ცალ-ცალკე დალაშქვა“.

ილია ჭავჭავაძე, იდგა რა ეროვნებათა თანასწორობებისათვის და ნაციონალური დამოუკიდებლობის სადარაჯოზე, თავის მახვილს ახერხებდა ყოვლისა გერმანულ აგრესიულ პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართავდა. გერმანიის სახით მის წინაშე იდგა მთელი მსოფლიოს „დიდ და პატარა ონავართა“ შორის ყველაზე ონავარი, ყველაზე ვერაგი და მძარცველი, ყველაზე უსინდისო და რეაქციული აგრესიული ძალა. ილია ეროვნულ თავისუფლებისა და თანასწორობის, ადამიანთა თანასწორობისა და კაცობოყვარულ მოძღვრების გაშლასა და გაფურჩქნაში ხედავდა საზოგადოებრივი პროგრესის ნიშანს.

ევროპის რეაქციული, იმპერიალისტური ძალები, რომელთა ავანგარდშიც გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და რეაქციული იუნკრობის ბლოკის შავბნელი ძალები იდგნენ, ძირს უთხრიდნენ და ასაპარებდნენ პროგრესიულ კაცობრიობის კეთილშობილურ მიზნებს: ეროვნული თანასწორობებისათვის და თავისუფლების პრინციპს. ილია გულსიტკივილით სწერდა, რომ დღეს ევროპაში „მარტო დიდს მუშტსა და გრძელს მკლავსა აქვს ხმა და პატყვი“-ო.<sup>1)</sup>

ილია ჭავჭავაძე ნიღაბს ხდიდა „დიდი ონავრების“ — მსხვილ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ოფიციალურ „თეორიას“ იმის შესახებ, რომ თითქოს „თუ ერთმა გვარტომის ერმა მეორე არა ჰყლაპა, ერთობა, ერთიანობა სახელმწიფოსი შეუძლებელია“-ო, ილია ამტკიცებდა, რომ „ახალმა ისტორიამ ბევრი მაგალითები უჩვენა ქვეყანას ამისი წინააღმდეგი“-ო.<sup>2)</sup>

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაპყრობითი მისწრაფების საწინააღმდეგოდ ილია პატარა ერებს ასწავლიდა მხნეობის, გამრჯეობის, სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადების გამოჩენას. „ისტორია და წარმატება — სწერდა ილია, — მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მეორმისისათვის მებრძოლის კუთვნილია.“<sup>3)</sup> ილია პატარა ერებს ამასთან ერთად ასწავლიდა აგრესორისადმი გმირული წინააღმდეგობის გაწევას. ის სწერდა:

„ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევეს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს-კი არ აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოება-დაკარგულს, არამედ იზოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი.“<sup>4)</sup>

XIX საუკუნეში პროგრესიული კაცობრიობა, როგორც ილია სწერდა, თავილობდა „... ძლიერისაგან უძლურზე ზედ მისევას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავის სამართლიანს სჯავრსა სდებს წყარომისას და რისხვისას.“<sup>5)</sup>

ილია ჭავჭავაძე, როგორც დიდი პროგრესისტი, აღმფრთხილებული იყო პოლონელთა მიმართ ბისმარკის დანაშაულებრივი პოლიტიკით. გერმანელები პო-

<sup>1)</sup> ი. ჭავჭავაძე — თხზ., ტ. X, გვ. 51.

<sup>2)</sup> ი. ქვე, გვ. 125.

<sup>3)</sup> ი. ქვე, გვ. 72.

<sup>4)</sup> ი. ქვე, გვ. 54.

<sup>5)</sup> ილია ჭავჭავაძე — თხზ., ტ. VI, გვ. 6.

ლონელი ხალხის ძველთა ძველი და დაუძინებელი მტრები იყვნენ. მათი სახელმწიფოსი, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოსასპობად გერმანელები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ. პოლონელი ხალხი კვამსავე მტრებით მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა 1886 წელს, როდესაც ზისმარკმა მოინდომა პოლონელთა განადგურება, მათი განდევნა გერმანიიდან. ილია, თავს ესხმოდა რა ბისმარკის ასეთ პოლიტიკას, სწერდა: „სახელმწიფო ინტერესი ითხოვს, რომ პოლიაკები პოზნანში არ იყვნენო და გაიყვანა (ბისმარკმა ი. კ.) ის შემადრწუნებელი კანონი პოლიაკების განდევნისა, მამა-პაპეულ მამულეზადამ ძალად აყრისა და ვაძევებისა...“<sup>1)</sup> „ამითი შეადრწუნა მთელი განათლებული გერმანია“-ო,<sup>2)</sup> დასძენდა ილია. ამ საკითხის შესახებ დაწერილ თავის წერილში ილიას მოჰყავს პრუსიიდან პოლონელთა განდევნის საქმის გარჩევის დროს გერმანიის პარლამენტში 1886 წლის იანვარში გამოხატული ორატორთა სიტყვები. მათ შორის არის ვილჰელმ ლიბკნეხტის სიტყვა: „ამბობენ, პოლიაკთა განდევნა საჭიროა, რომ ჩვენი ეროვნება თავისი სიწმინდით დაეუღ იქნასო. რაო? ცივილიზაციის სახელით ერთა-შორის ღობეები უნდათ გამართონ! ეგ ბარბაროსბაა“<sup>3)</sup> აცხადებდა ლიბკნეხტი. ილიას მთელი სიმპატიები ლიბკნეხტის მხარეზე იყო.

ილია აღფრთოვანებით გამოეხმაურა ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის გარიზალდელთა ბრძოლას იტალიაში. მაშინ, როცა გარიზალდი „ერთი მუჰა ჰაბტეებით“ მამაკურად იბრძოდა მთებში, ჰალაქ კალატაფიმის მიმართულებით, და აღფრთოვანებდა რა თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლს, ილიამ თავისი სიმპატიები გარიზალდელებისადმი 1860 წლის ივლისში გამოხატა ლექსით: „მესმის, მესმის სანატრელი...“.

„მესმის, მესმის სანატრელი  
ხალხთ ბორკილის ხმა მტრევეისა!  
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს,  
დასათრგუნელად მონობისა.

აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა  
და აღმიგზნებს იმედს გულში...  
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი  
გამაგონე ჩემს მამულში!“<sup>4)</sup>

ილია ჰავჯავაძე სასტიკად ჰგმობდა იმპერიალისტურ ციებ-ცხელებით შეპყრობილ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკას, პოლიტიკას, რომელსაც მოჰქონდა მცირე და სუსტ ერებისათვის ჩაგვრისა და მონობის სამარცხვინო უღელი. ასეთი პოლიტიკის ზუსტ დახასიათებას იძლეოდა ილია, როცა სწერდა: „...ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნალი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება. მტრობა, ჯაბრი, ცილობა და ხარბობა, რომელიც დღეს ამოქმედებს

<sup>1)</sup> ილია ჰავჯავაძე — თბზ., ტ. X, გვ. 230.

<sup>2)</sup> ი ქ ე ე — გვ. 281.

<sup>3)</sup> ი ქ ე ე — გვ. 283.

<sup>4)</sup> ი. ჰავჯავაძე, თბზ., ტ. I, გვ. 60, 1937 წ. გამ.

პოლიტიკას სხვადასხვა სახელმწიფოსას...“<sup>1)</sup> დაჩაგრული ხალხის სტრუქტურას ჰხუთავსო.

ილია ჭავჭავაძე სასოწარკვეთილებაში არ ვარდებოდა. მას ჰქვამდა: „ჩვენ ვერაზობის რეაქციული ძალების პარპაშს დიდი ხნის ბედი არ ეწერა...“<sup>2)</sup> და, რომ „ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლვას“ და სიმართლეს და კაცთმოყვარეობას, „ამ ორ ქვაკუთხედს ადამიანის მშვიდობიანობისას და ბედნიერებისას, ვერაფერი ვერ დასძლევს, ვერაფერი ვერ გადაეღობება, და ადრე თუ გვიან თავის გზას იპოვის და თავის ადგილს დაიჭერს კაცობრიობის ცხოვრებაში კაცთა საბედნიეროდ“.<sup>3)</sup> მსოფლიოს საუკეთესო ადამიანების იდეების განხორციელებას დღეს წინ პირსისხლიანი ფაშიზმი გადაეღობა, მაგრამ ამაოდ. პროგრესიული კაცობრიობის გაერთიანებული ძალები, ჩვენი გმირული წითელი არმია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით დედამიწის პირიდან ალგვის გერმანიის ფაშიზმს — ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერების უბოროტეს მტერს.

<sup>1)</sup> ილია ჭავჭავაძე — ტ. X, გვ. 163.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 24.

კ. ზოზიავა

## ინგლის-ამერიკასთან ჩვენი დიპლომატი- კური და მეზინიკური ურთიერთობა

„ჩველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნის ხალხები საბჭოთა კავშირის უცურებენ როგორც ისეთ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს იხსნას მსოფლიო პიტლერული შავი ქირისაგან. ამ თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებს შორის პირველი ადგილი უჭირავთ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებთანაც გვეერთებს მეგობრობა და კავშირი და რომელნიც უფრო და უფრო მეტ სამხედრო დახმარებას უწყობენ ჩვენს ქვეყანას გერმანელი ფაშისტები დამპყრობელების წინააღმდეგ“.

ი. ს. ბ ა ლ ი ნ ი.

### წარული პირველი

კაცობრიობას არასოდეს არა ჰყოლია იმაზე უფრო საზოგადოებრივი და ვერაფერად მტერი, როგორც პირისპირი პიტლერის გერმანიისა. ფაშისტები მწყურალად არიან მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებზე. ისინი აბუჩად იგდებენ ამ ხალხებს. მათ სურთ დიდ რუს ხალხთან ერთად გაანადგურონ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხები, რომლებმაც შექმნეს ანტიპიტლერული ფრონტი და თავგამოდებით იბრძვიან ბარბაროსობასა და ვერაგობაზე გასამარჯვებლად.

მანიაკი პიტლერი წარა-მარა გაჰყივის, რომ სლოგები, ინგლისელები, ამერიკელები და სხვა ხალხები გარდა გერმანელებისა, დაბალ რასას ეკუთვნიან და ამ რასის ადამიანთა დამონებით ფაშისტები იხსნიან მსოფლიოს დაღუპვისაგან.

პიტლერული „თეორეტიკოსი“ როზენბერგი ინგლისელების შესახებ სწერს: „ინგლისელებმა გადააფასეს თავისი რასის ძალა. ინგლისელი ხალხი არის გადაგვარებული ტომი პლუტოკრატებისა, რომლებსაც აღარ შესწევთ შემოქმედებითი ცხოვრების უნარი“.

ფაშისტი ობერ-მეგებარა ჰებელსი კი ამერიკის შესახებ აცხადებს: „ჩრდილოეთი ამერიკა ნამდვილი ეთნიური ქაოსია. ყოველივე ეს შერეულია დემოკრატიზმში, და ეს სიღამპლე, რომელიც შორს არის იმისაგან, რომ მისი გამოჯანსაღება გამოიწვიოს, შეიცავს შესაძლო ჩანასახებს ევროპის გასაბრუნებლად“.

პიტლერელებმა დაიპყრეს თითქმის მთელი ევროპა, რასაკვირველია, იტალიის ჩათვლით, მაგრამ ისინი ამით არ დაკმაყოფილდნენ, სამკვედროსასიცოცხლო ომი გაუმართეს ინგლისს, ვერაგულად თავს დაესხნენ სსრ კავშირს და ეხლა ამერიკასაც ეომებიან.

მაგრამ ამ ხალხთა ურთიერთ მეგობრობა, ერთობლივი ბრძოლა გერმანიის სამხედრო მანქანის შესამუსრავად წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც კაცობრიობას გასწმენდს მიხაკისფერი ქირის ბაცილებსაგან. საბჭოთა კავშირის,



დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო თანამეგობრობა, რომელსაც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ამ მრისხანე ომის ქართველში, ურდევია, გამარჯვების მომტანია და მას ყველა ქვეყნის მთელი სიძლიერის ადამიანები აღფრთოვანებით ესალმებიან.

საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მოკავშირეობის ხელშეკრულება, რომელმაც საერთაშორისო განვითარების ისტორიაში ახალი ფურცელი გადაშალა, უსასტიკეს ლახვარს სცემს ჰიტლერელთა ბანდას და მის ვასალებს, წვრილფეხა მტაცებლებს. იძლევა რა ამ ისტორიული ხელშეკრულების შეფასებას, ამხანაგი მოლოტოვი, ამბობს: „ჩვენი ხელშეკრულება საჭიროა იმისათვის, რომ უფრო მალე უზრუნველვყოთ ჰიტლერის გერმანიის განადგურება, რომ უფრო მალე მივალწიოთ სასურველ მიზანს — გამარჯვებას“.

ეს ისტორიული ხელშეკრულება და მოკავშირე სახელმწიფოთა თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარების შესახებ დადებული შეთანხმება მძლავრ სტიმულს წარმოადგენს ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილეთა ძალების მობილიზაციისათვის. საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მჭიდრო მეგობრული თანამშრომლობა და მეორე ფრონტის გახსნა დააჩქარებს გერმანიის ავაზაკ იმპერიალისტთა ჯარების განადგურებას.

ასეთ ისტორიულ ვითარებაში საბჭოთა კავშირის თვითიველი ხალხის ინგლის-ამერიკასთან ლიტერატურული და მეცნიერული ურთიერთობის გაშუქებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ საყურადღებოა ქართველი ხალხის ლიტერატურული და მეცნიერული ურთიერთობის ისტორია დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მწერლებთან, მეცნიერებთან და საერთოდ მთელ ხალხთან.

„ქართველი ხალხი მთელი თავისი მრავალსაუყუნოვანი ისტორიის მანძილზე, — სწერდა ამხანაგი ლ. ბერია, — მამაცურად იცავდა თავის თავისუფლებას. იგი გმირულად იგერიებდა რომის იმპერატორებს, თურქეთის სულთანებს, სპარსეთის შახების ურდოთა ურიცხვ თავდასხმას“. ქართველმა ხალხმა, დიდ რუს ხალხთან მეგობრობამდე, გამოიარა რბევა-აწიოკების შეხბენელი დრო. მისი მრავალსაუყუნოვანი ისტორია შეიცავს სისხლიანი ბრძოლის ერთ მთლიან წიგნს, სადაც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ხალხის გმირობა და ვაჟკაცობა.

და დღესაც, სამამულო ომის მრისხანე დღეებში, თავის ძმებთან, საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად, ქართველი ხალხის საუკეთესო შეილები ვაჟკაცურად ებრძვიან ჰიტლერელთა ურდოებს. ქართველი მფრინავები ჰიტლერული სფავების წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდნენ ინგლისელ მფრინავებთან ერთად, რომლებიც საბჭოთა კავშირის მთავრობამ ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

საბჭოთა კავშირისა და ინგლის-ამერიკის ურთიერთ მეგობრობას გულმხურვალედ მიესალმნენ ცნობილი ამერიკელი მწერლები ებტონ სინკლერი და თეოდორ დრაიზერი, რომელთა მრავალი რომანი ქართულ ენაზე გამოცემული. უცხოეთის ლიტერატურულ მოღვაწეებიდან ებტონ სინკლერი და თეოდორ დრაიზერი ქართველი მკითხველის საყვარელი მწერლები არიან. სინკლერი თავის მისალმებაში სწერს: „ჩემს სიცოცხლეში ყველაზე ბედნიერ ცნობებს

წარმოადგენენ ცნობები იმის შესახებ, რომ ჩემი ქვეყანა და ინგლისი საბჭოთა კავშირთან გაერთიანდნენ და ვალდებულება იქისთვის მიადრწიონ გამარჯვებას დაშინტ აგრესორებზე, აგრეთვე მშვიდობიანობის უზრუნველყოფად და რეკონსტრუქციის განსახორციელებლად ითანამშრომდნენ „სამშენებლო ომის შემდეგ, ვულოცავ საბჭოთა კავშირის ხალხებს მათს გმირულ თავდაცვას.“

პიტლერიზმის წინააღმდეგ სსრ კავშირის ხალხთა ბრძოლით აღფრთოვანებული თეოდორ დრაიზერი სწერს: „პატივად მიმაჩნია ჩემი მადლობა გამოვთქვა რუსი ხალხისადმი მისი გვიანტური შრომებისათვის მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, მისი გასაოცარი სოციალური მიღწევებისათვის, მისი მიერ სამშობლოს გმირული თავდაცვისათვის გიყი პიტლერის თავდასხმისაგან“.

ინგლისისა და ამერიკის მშრომელები, მეცნიერები და პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომლებიც გმირულ ბრძოლას ეწევიან თავისუფლების შტრების წინააღმდეგ. ეს მისალმება და მტკიცე მეგობრობა უფრო მეტად აღაფრთოვანებს საბჭოთა აღამიანებს.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია ცოცხლად ინახავს დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურასთან, მეცნიერებასა და ზელოვნებასთან ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთ მეგობრობის ფაქტებს. ინგლისისა და ამერიკის მეცნიერები, მწერლები და მოგზაურები ყოველთვის დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების ისტორიას, სწერდნენ გამოკვლევებს, თხზულებებს, სთარგმნიდნენ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს, რითაც ინგლისისა და ამერიკის ხალხებს აცნობდნენ საქართველოს.

ინგლისელმა მწერალმა ქალმა მარჯორი უორდროპმა, რომელმაც თავისი ძმის მეშვეობით გაიცნო საქართველო, დაინტერესებულმა ქართველი ხალხის ლიტერატურით, წერილი მოსწერა ილია ჭავჭავაძეს. ამით გახარებულმა ილიამ ასე უპასუხა: „გვპირდებით ჩვენში მობრძანებას. სიხარულით დაგვიხვდებით, იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა“.

ილია ჭავჭავაძე მაშინ უკვე კარგად იცნობდა ინგლისურ მეცნიერებას, ლიტერატურას და პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებას, მას ინგლისზე მრავალი წერილი ჰქონდა დაწერილი. მაშინ დიდ ინტერესს იწვევდნენ შექსპირის, ბაირონის, ვალტერ სკოტის, ტომას მურის ნაწერები. ამ მწერალთა ზოგიერთი ნაწარმოები მან კიდევაც სთარგმნა ქართულად და გააცნო ქართველ მკითხველ საზოგადოებას.

ილია ჭავჭავაძეს, როგორც თავის ქვეყნის მგზნებარე პატრიოტს, დიდად იტაცებდა უცხო ქვეყნების მწერალთა პატრიოტული ნაწარმოებები. ილიას უკვე დაწერილი ჰქონდა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით გამთბარი პოემა „ქართველის დედა“, როდესაც მან სთარგმნა ტომას მურის ლექსი „ირლანდიისადმი“, რომელშიც ეს შესანიშნავი პოეტი თავის სამშობლოს ამადღებელი სიტყვებით მიმართავს:

„არ დაგივიწყებ, არა, არა!.. ვიდრე ჰფეთქს გული,  
ვიდრე მიდგია ძარღვში სისხლი და პირში სული  
ვიდრე სიკოცხლის ჩემს ძაფი სრულ არ გაწყდებდა,  
შენი, სამშობლოვ, უბედურო, ხსოვნა მეჭნება.“

შენ უტკბესი ხარ ჩემთვის ყოველ იმავ ჭვეყნებზე,  
თავისუფლები რომელთ ათბობს მშვენიერი მზე“.



ეს ლექსი ილიამ სთარგმნა 1872 წელს, ხოლო იმავე წელს მან საესებით დაამთავრა „აჩრდილი“, სადაც პოეტი თავის ქვეყანას მიმართავს:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..  
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.  
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად ვარდამებანა,  
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.  
მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედჯრულო, შენის ტანჯვითა,  
შენის ცრემლითა თვალნი ჩემნი მიტირებია“.

პატრიოტიზმი ილია ჭავჭავაძის პოეზიის მამოძრავებელი ძალა იყო. მას ღრმად უყვარდა თავისი ხალხი, თავისი ქვეყანა და ამ სიყვარულს მწერალმა მთელი თავისი შემოქმედება დაუკავშირა. აღსანიშნავია, რომ ილიამ ინგლისელი მწერლების თხზულებებიდან სთარგმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც უშუალოდ შეეხებოდნენ სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს, რადგან თვითონ ილიაც ამ მოტივით იყო გატაცებული. ჯერ კიდევ ჭაბუკობისას, სტუდენტობის დროს, ილია ჭავჭავაძემ სთარგმნა ინგლისის გამოჩენილი მწერლის ეალტერ სკოტის „რა ტკბილ არს ოდეს“ და ლორდ ბაირონის ვებრაული მელოდიებიდან „სტიროდიეთ“. ამ ლექსში ბაირონი დიდის თანაგრძნობით და გულწრფელობით ეხმაურება ებრაელთა ცხოვრების მტკივნეულ საკითხს, სამშობლოს საკითხს.

1873 წელს ილია რუსეთს გაემგზავრა ბანკის წესდების დასამტკიცებლად. ამ საქმის მოგვარებას ერთი წელიწადი მოუწდა. ეს დრო ილიამ მშვენივრად გამოიყენა. აქ იგი შეუდგა ინგლისური ენის შესწავლას და ივანე მაჩაბელთან ერთად „მეფე ლირის“ თარგმნას. ამის შესახებ ილიამ თავის მეუღლეს პეტერბურგიდან მოსწერა: „აქაური ამბავი რა მოგწერო: ...ინგლისური ენის სწავლას შევუდექი და შექსპირის ტრადედიას, კოროლ ლირს ვმსთარგმნი სხვისთან ერთად. აქედამ რომ მოვალ, ინგლისური მეცოდინება იმდენად, რომ სუბუქის თხზულების წაკითხვა შემეძლოს“.

ილიამ დიდი გულდაღებით იმუშავა „მეფე ლირის“ თარგმნაზე და ივანე მაჩაბელთან ერთად ბრწყინვალედ შეასრულა იგი. თარგმანი კარგი გამოდგა. საზოგადოებამ იგი გულთბილად მიიღო, ისე, რომ თავისი მუშაობით ილია კმაყოფილი დარჩა. იგი სიხარულით სწერდა მეუღლეს:

„ვერ წარმოიდგენ ჩემს უბედურს და უგემურს გარემოებას. ვგდივარ დილიდან საღამომდე შინ და თუ გავალ, ისიც სასვირნოდ. იმ დღეს გიორგი შერვაშიძესთან ვიყავი, აი მთავრის შვილი რომ არის. ამას წინათ თვითონ მოვიდა და მთხოვა, — შექსპირის ტრადედია, კოროლი ლირი, რომელიც ქართულად ინგლისურიდან გადათარგმნეთ, წაგვიკითხეთო. წავედი წასაკითხავად, კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მოიწონეს, ასე იფიქრე, ქალბებმა

იტრეს და კაცები კი სულ ამფერუმს იძახდნენ. მართლა და თარგმანი მშვენიერი რამ გამოვიდა, ასეთი კარგი, წამკითხველნი მოთრეზნულნი დაგვლოცენ. ქალაქში რომ ჩამოვალ, გვინდა წარმოვადგინოთ. სსკცნასზე მშვენიერი რამ იქნება. ვერ წარმოიდგენ, თარგმანი ქართულს არ შეედრება. აი, ღვთის მადლით, როცა მშვიდობით მოვალ, მოვიტან და კარდანახში წავიკითხავთ, და თუ არ ვატიროთ, ცუდი კაცი ვიყო. შენ ზომ იცი, რომ ჩემი ნაჯღაბნის ქება მე თვითონ არ მიყვარს, მაგრამ ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ყმაწვილკაცობა მაგ თარგმნისათვის გაგიყუბულია და აღტაცებაში მოსული“.

ილიას ეს სიტყვები არა თუ მარტო თარგმანს, არამედ თვით ტრადიციასაც ეხება, რომელიც თავისი მხატვრული ზემოქმედებით ისეთ გავლენას ახდენდა, რომ მსმენელები აატირია. ვარდა ამისა, ილია ლაპარაკობს იმ უდიდეს ინტერესზე, რომელსაც იჩენდა ქართველი საზოგადოება შექსპირისა და საერთოდ ინგლისის ლიტერატურისადმი.

ამრიგად, ილია ქაევქავამე, რომელიც დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა ინგლისელ ხალხსა და მის ლიტერატურას, გულლიად შეხვდა მარჯორი უორდრომის ჩამოსვლას საქართველოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში იყო ინგლისელი დიპლომატი ოლივერ უორდრომი, ძმა მარჯორისა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის შესახებ დასწერა საინტერესო წიგნი „საქართველოს სამეფო“. ამ წიგნმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ინგლისის პოლიტიკურ და ლიტერატურულ საზოგადოებაში და ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა.

საქართველოთი დაინტერესებულმა მარჯორი უორდრომმა ჯერ კიდევ ინგლისში ყოფნის დროს შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, გაეცნო ჩვენს ლიტერატურას. ქართული ლიტერატურითა და ცხოვრებით დაინტერესებულმა მარჯორი უორდრომმა წერილობითი კავშირი გააბა ილია ქაევქავაძესთან. იგი შეუდგა „ეფუზის-ტყაოსნისა“ და ილიას ზოგიერთი ნაწარმოების თარგმნას. ამის შესახებ ილია უორდრომს სწერს:

„დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდევილს“ თქვენი ყურადღება მიუქცევია. სასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად.

დიდებულმა ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია, თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერლები და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს ბარბაროზებს.

ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულს ძმას ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგიყვარებიათ და მოგიწადინებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აღწყვით იმ სიყვარულით და გულის ტკივილით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს და რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან ჩაგრულთათვის. სასურველია სახელოვანმა ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული; რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი, რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არარაჲ კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველივე ეს ზედ-დაჩნეული აქვს ჩვენს პატარა მწერლობას, რამდენადაც კი გარემოება ნებას იძლევა. ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა — გადაღებაა ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადად ჩვენისა, ჩვენის პირისა და ლხინისა. ჩვენის გონების და გრძნობის ძალ-ღონის საყოველთაო ჩაცნობელად.

ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმნისათვის დიდ სამსახურად მიჩნეულ იქმნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას თქვენდამი საზღვარი არ ექმნება.

ჩემი „განდგეილი“ მიმართმევია თქვენთვის, როგორც გნებავთ, ისე იმსახურეთ. დაწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონს და მფარველს ვერ აფუჩინდი“.

მართლაც მარჯობი უორდრობმა დიდი ამაგი გაუწია ქართულ ლიტერატურას. მან ინგლისურად გამოსცა: 1) „ცხოვრება წმინდა ნინოსი“, 2) ილია ჭავჭავაძის „განდგეილი“, 3) ქართული ხალხური ზღაპრები და 4) სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. ეს წიგნები დიდის ტირაჟით გამოვიდა და ინგლისელი მკითხველი საზოგადოებისა და პრესის ყურადღება მიიპყრო.

მარჯობი უორდრობზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა შოთა რუსთაველის გენიალურმა „ვეფხისტყაოსანმა“. მან დაწვრილებით შეისწავლა ეს ნაწარმოები, ღრმად ჩასწვდა მის შინაარსსა და გმირების სულიერ სამყაროს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა მის გადათარგმნას, რაზედაც მთელი ათი წლის განმავლობაში დაუღალავად მუშაობდა.

როცა მარჯობი უორდრობი საქართველოში ჩამოვიდა, მას ქართული ენა უკვე შესწავლილი ჰქონდა, ადვილად კითხულობდა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. „ლაბარაკსაც ცდილობდა ქართულად. ერთხელ ილიასთან იყო სტუმრად და ძალიან უნდოდა, რომ ქართულად ეთქვა რაიმე. მახსოვს კარგად მისი შემდეგი ფრაზა: „ლონდონი ფრიალ ნისლიანია“ (ი. მანსვეტაშვილი — „მოგონებანი“, გვ. 141).

საქართველო-ინგლისის ლიტერატურული და მეცნიერული ურთიერთობის ისტორია ცოცხლად ინახავს ლონდონის უნივერსიტეტის ქართული ენის პროფესორის მორფილის მოღვაწეობას და ილია ჭავჭავაძესთან მის მეგობრობას. პროფესორ მორფილს დიდი ურთიერთობა ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. ამის შესახებ თავის შესანიშნავ მოგონებებში იაკობ მანსვეტაშვილი სწერს: „ჩამოვიდა ტფილისში ინგლისელი პროფესორი ქართული ენისა მორფილი. მამინვე ეწვია ილიას სანახავად. მორფილი სასტუმრო „ლონდონში“ იყო ჩამომხდარი. ილია, როგორც თავმჯდომარე წერა-კითხვის საზოგადოებისა, და მე, როგორც მდივანი, წავედით მორფილის სანახავად და მივართვით საზოგადოების სახელობით ახლად გამოცემული, ძვირფასი მხატვრობიანი „ვეფხისტყაოსანი“. მორფილმა დიდი მადლობა გადავცინა და გვითხრა: მე ეს პოემა კარგად მაქვს ვაცნობილი, დიდად ჭაფასებ, ვეცდები ესთარგმნო და ინგლისს გაეცნო“.

მაგრამ პროფესორი მორფილი უკვე მოხუცი იყო და უღმობელმა სიკვდილმა არ დააცალა ამ დანაპირის შესრულება. სამაგიეროდ „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურად საუცხოოდ სთარგმნა უორდრობმა. მართალია,

თარგმანი, როგორც „ფეხის-ტყაოსანისა“, ისე „განდევლისა“ შესრულებულია პროზაულად, მაგრამ იგი მაინც დიდად საინტერესოა, როგორც დანთან ზუსტია, დაცულია დედანის შინაარსი, პოეტური სულია და იდეა.

საქართველოში უორდროშმა დიდხანს დაჰყო. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენს ლიტერატურულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. იმ დროს ფართო ქართველი საზოგადოებრიობა კარგად იცნობდა ინგლისის ლიტერატურულ და მეცნიერულ ცხოვრებას. ჩვენს ქურნალ-გაზეთებში უხვად იბეჭდებოდა ი. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის და სხვათა წერილები ინგლისისა და ამერიკის შესახებ.

ილია ჭავჭავაძე ცხოველ ინტერესს იჩენდა ინგლის-ამერიკის პოლიტიკურ-ეკონომიური და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი. ილიას ინგლისზე და ამერიკაზე დაწერილი აქვს მრავალი ისტორიულ-ეკონომიური ხასიათის ნარკვევი, პუბლიცისტური წერილი და საგაზეთო მიმოხილვა, რომელთა უმეტესობა დღესაც საყურადღებოა თავისი აქტუალობითა და აზრიანობით. ილია დიდად აფასებს ინგლისის ტექნიკას, მეცნიერებას. განსაკუთრებით საყურადღებოა ილიას შეხედულებები ინგლისის სამხედრო-საზღვიო ძალებზე. იგი სწერს: „ზღვაში კი ინგლისს ვერვინ გაუმარჯდება. არაფერ არის ზღვაში ძლიერი ისე, როგორც ინგლისი. არავის აქვს იმოდენა საომარი ზომალეები და გემები, არც ისე კარგად მოწყობილი ზღვის ჯარი ჰყავს, როგორც ინგლისს“ (ილია ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 218).

ილია ჭავჭავაძე ვრცლად იხილავს ევროპის 1886 წლის ვითარებას და საფუძვლიანად ეხება ინგლისის მაშინდელ მდგომარეობას. იგი აღწერს ინგლისის ზრუნვას ინდოეთზე: „ინგლისს ყველაზე დიდი ადგილები უჭირავს ევროპის გარეთ სხვა ქვეყნებში. ერთი უდიდესი მათგანი ინდოეთია. როგორც თავის ორის თვალის ჩინს, ისე უფრთხილდება ინგლისი არამცთუ მარტო ამ დიდს ინდოეთს, არამედ სხვა კოლონიებს. ერთი საუკეთესო ზღვის გზა კოლონიებისაკენ საერთოდ და ინდოეთისაკენ საკუთრივ ხმელთაშუა ზღვაზედ უდევს ინგლისსა, მეორე სუციის დიდს არხზედ ეგვიპტეში“.

1886 წელს ილია ჭავჭავაძემ დასწერა და „ივერიაში“ დასტამბა დიდი „საისტორიო-საეკონომიო ნარკვევი — ინგლისი და ირლანდია“. ეს ნარკვევი საყურადღებოა იმით, რომ ილია სწორ ანალიზს უკეთებს ინგლისის მაშინდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას და განიხილავს როგორც მის ისტორიას, ისე მომავალ ვითარებას.

ასევე ღრმად და საფუძვლიანად ეხება ილია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. იგი ხაზს უსვამს ამერიკის სახელმწიფოთა ურთიერთმეგობრობას და ამ მეგობრობის ძალას. იგი სწერს:

„ამერიკის სახელმწიფოთა აზრად აქეთ სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისთვისაც ქალაქ ნიუ-იორკში კონგრესი შეიკრიბება. ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობითა და რა საშუალებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფოთა ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაიჩაჯროს. სხვათა შორის, კონგრესზე ისიც გადაწყდება, რომ სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარიში შორიელებითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე“. ამერიკა ასეთ მშვიდობიანობაზე და მეგობრობაზე ფიქრობდა მაშინ, როცა ევროპა იმის მოლოდინშია



იყო, ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, გერმანია ომისათვის ემზადებოდა, ბისმარკი შეიარაღებისათვის ხარჯებს არ ვრიდებოდა.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკური და პოლიტიკური წერილები, *ქვეყნის* ჟურნალისა და ევროპის სახელმწიფოების შესახებ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. საყურადღებოა ილიას შეხედულებები გერმანიის პოლიტიკურ ვითარებაზე და გერმანიის იმპერიალისტების ავანაჯურ მისწრაფებებზე, რაც სხვა ქვეყნების დაპყრობა-განადგურებაში მდგომარეობს.

ინგლისისა და ამერიკის შესახებ საგანუთო და მეცნიერულ-პოპულარული წერილების მოთავეებით ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა ერთგვარი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარეს იმისათვის, რომ ბიჩერ სტოუსი, შექსპირისი, დანიელ დეფოსი, სეფტი ჯონატანისი, ჩარლზ დიკენსისი, ვალტერ სკოტისი, ლორდ ბაირონისი, მარკ ტვენისი, დარვინისი, ბოკლისი, პერბერტ სპენსერისი, ოსკარ უაილდისი და ინგლისისა და ამერიკის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა ნაწარმოებები ქართველი მკითხველებისათვის უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი გამხდარიყო. მაგალითად, ჟურნალმა „საქართველოს მოამბე“, სანამ იგი ბიჩერ სტოუსს შესანიშნავ რომანს „ბიძია თომას ქოხს“ (თერგდალეულის, ე. ო., კ. ლორთქიფანიძის მიერ თარგმნილს) დაბეჭდავდა, თავის წინა ნომერში მოათავსა იმავე თერგდალეულის ნარკვევი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ და ამრიგად მკითხველებს წინასწარ გააცნო ამერიკელ ხალხთა ყოფა-ცხოვრება.

უცხოეთის ლიტერატურულ მოღვაწეებიდან შექსპირი ყველაზე უფრო პოპულარული და საყვარელი მწერალია საქართველოში. მისი სახელი მკიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს საზოგადოებრივ განვითარებასთან. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად გადმოთარგმნას მრავალი ათეული წლის ისტორია აქვს. ქართველ მწერალთა და მსახიობთა ბიოგრაფიებში, ჩვენი პერიოდული პრესისა და წიგნის ფურცლებზე და თეატრის ისტორიაში შექსპირს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი თითქმის ყველა ძირითადი ნაწარმოები თარგმნილია ქართულად და განსახიერებულია სცენაზედაც. ეს გასაგებიც არის. შექსპირი თავისი დემოკრატიული და ჰუმანური იდეებით, წმინდა ადამიანური ამბებით და ღრმა მხატვრული ოსტატობით ხიბლავს ქართველ საზოგადოებას. შექსპირის გმირები თავისი ვეჟაკური სულით, ბედთან ჭიდილით, ცრემლითა და სიხარულით ეხმაურებოდნენ საქართველოს ცხოვრებას.

საქართველოში შექსპირის ნაწარმოებთა თარგმნა უკვე გასული საუკუნის 30-იან წლებიდან დაიწყო. შექსპირის სახელი პირველად გაისმა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და დიმიტრი ყიფიანის წრეებში. ჯერ კიდევ 1841 წელს ნ. ბარათაშვილი, გრაგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში სწერდა: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა „*Ромео и Джульета*“, შექსპირის ტრაგედია, და მე ვთარგმნი „*Юлий Тарентский*“, ტრაგედია ლეიზევიცისა“.

შექსპირის ხსენება პირველად ქართულ ლიტერატურაში უშუალოდ დაკავშირებულია ნ. ბარათაშვილისა და დ. ყიფიანის სახელებთან. ახალგაზრდა დიმიტრი ყიფიანის მიერ ნათარგმნი „რომეო და ჯულიეტა“ ჟურნალ „ციქარში“ დაბეჭდა მხოლოდ 1859 წელს. ხოლო 1872 წელს ჟურნალ „მნა-

თობში“ დაიბეჭდა „ვენეციელი ვაჟარი“, რომელიც სთარგმნა დიმიტრე ყიფიანმა და რომელსაც ქართველი საზოგადოება და პრესა აღფრთოვანებით შეხვდა.

გ. წერეთელმა „კრებულში“ მოათავსა ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, სადაც სწერდა: „დიმიტრი ყიფიანი დიდი ხნიდან განთქმულია ჩვენს ლიტერატურაში, როგორც სამაგალითო ერთ მწერალი და დახელოვნებული მთარგმნელი შექსპირისა. აი ამისთანა საქვეყნო მოძღვრის თხზულება პირველად დიმიტრი ყიფიანმა წაგვიკითხა ქართულ ენაზე. მას იფიქრე, მკითხველო, რამდენი პატივისცემა და მადლობა უნდა მიგვიძღოდეს მთარგმნელისადმი. შექსპირის თხზულებებთან დიმიტრი ყიფიანის სახელიც მუდამ ძვირფასი და დაუვიწყარი იქნება ჩვენს ლიტერატურაში: იმედი გვაქვს, რომ დ. ყიფიანი არ შესწყვეტს ამ დიდს მოღვაწეობას სამშობლოს ლიტერატურის ასპარეზზე და ქართველ შთამომავლობას წააკითხებს ყველა საუკეთესო თხზულებას შექსპირისას“.

საქართველოში შექსპირის უკვდავი ტრაგედიების პირველი თარგმანი და მისი პოპულარიზაცია უდაოდ ეკუთვნის დიმიტრი ყიფიანს, თუმცა მასზე ერთი წლით უფრო ადრე (1858 წ.) „ცისკარში“ დაიბეჭდა ლავრენტი არდაზიანის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“. ამის შემდეგ ანტონ ფურცელაძემაც სთარგმნა „ჰამლეტი“, რომელსაც ბედმა გაუღიმა და 1883 წლის 20 თებერვალს კიდევაც დაიდგა. მთავარ როლებს ასრულებდნენ ჩვენი გამოჩენილ მსახიობები: ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი (ჰამლეტი), მაკო საფაროვ-ბაშიძე (ოფელია), ნატო გაბუნია-ცაგარლისა (ჰერტრუდა).

„ჰამლეტის“ დადგმას ქართველი საზოგადოება გულმხურვალედ შეხვდა. ქართულმა პრესამაც ფართოდ გააშუქა როგორც დადგმა, ისე ცალკეულ მსახიობთა თამაში და კარგი შეფასება მისცა მას. იმავე წლის „დროებაში“ რეცენზენტი ნ. ნანეიშვილი ალექსი-მესხიშვილის შესახებ სწერდა:

„ჰამლეტის როლში გამოსული ბ-ნი ალექსეევ-მესხიევი გამოსვლისთანავე არწმუნებს ადამიანს, რომ მას აქვს საქმე უმკველად ნიჭიერ აქტიორთან, რომლის ხმა, მოხდენილი მიხვრა-მოხვრა და სხვა სცენიური თვისებანი მიიზიდავენ საზოგადოების ყურადღებას. ეს აქტიორი სავსეა ეფექტებით და ეს გარემოება მოითხოვს მისგან დიდს ყურადღებას და მეცადინეობას თამაშის დროს... ბ. ა. მესხიევს ეტყობა მეცადინეობა არ დაეკლო თავის როლის შესასრულებლად და შექსპირისდაგვარად სინდისხერად მოეცა თავის მოვალეობას, ზოგიერთი სცენები მშვენივრად შეასრულა, მაგალითად, სცენა ოფელიასთან, ქმარს ნუ გაჰყვები და მონასტერში წადიო... საზოგადოთ არ უნდა დაივიწყოს ბ-ნმა მესხიევმა, რომ ჰამლეტის როლი ერთობ ძნელი შესასრულებელია თვით დახელოვნებულ და სახელგანთქმულ მოთამაშისათვის...“

„ჰამლეტის“ დადგმასთან ერთად მთელი პრესა შეუდგა შექსპირის, როგორც გენიალური დრამატურგის, პოპულარიზაციას ქართულ საზოგადოებაში. ჟურნალ-გაზეთები სისტემატურად ბეჭდავდნენ წერილებს შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ათავსებდნენ მის პორტრეტებს, ამავე დროს იბეჭდებოდა პიესებიც.

მას შემდეგ, რაც ივანე მაჩაბელმა შექსპირის ტრაგედიები სთარგმნა, უფრო გამდიდრდა როგორც ქართული ლიტერატურა, ისე ქართველ მსა-

ხიობთა რეპერტუარი. ლადო მესხიშვილის მდიდარ რეპერტუარში ეხედებით შექსპირისავე სხვა პიესებს: „ოტელოს“, „მეფე ლირს“, „რომეო და ჯულიეტას“, „იულიოს კეისარს“, „რიჩარდ მესამეს“. ლადო მესხიშვილი, რომელიც შექსპირის ტრაგედიების გმირებს ნიჭიერად ასახიერებდა (ჰამლეტი, კორნელიო, რომეო, ლირი, რიჩარდ მესამე და იულიოს კეისარი), ღრმად სწავლობდა მაყურებლის გულს. იგი შეიყვარა ხალხმა, და ხალხის აზრებისა და მისწრაფებათა გამომხატველი სტალინური ვაზეთი „ბრძოლა“ მესხიშვილის გარდაცვალების გამო სწერდა:

„ალექსი-მესხიშვილის თამაში ყოველთვის იყო გატაცება, გრძნობით ვეებერთელა სტიქიური ძალას. მესხიშვილის თითქოს იმისათვის უყვარდა ავტორის მიერ მოცემული სახეები, რომ ახალ ფორმებში ჩამოეყალიბებინა ესენი, გამოეაშკარავებინა სიღრმე ადამიანის ტანჯვისა, სიძლიერე ადამიანთა ვნებათა ღელვისა, ქეშმარიტი დუდილი სისხლისა და ელვარება ადამიანის ჭკუისა, ის იტაცებდა, ცეცხლს უკიდებდა მაყურებელს, ხელთ იპყრობდა მას“.

შექსპირის ტრაგიკულ როლებს დიდის ოსტატობითა და გატაცებით ასრულებდა სუმბათაშვილი-იუენი, რომლის შესახებ ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი ს. ვასილიევი სწერდა: „ჩაფიქრებული გამოჩნდება ჰამლეტი სცენის სიღრმეში, შეჩერდება კარებში, მიეყრდნობა მას და იწყებს მონოლოგს „ყოფნა არ ყოფნა“. თქვენ გრძნობთ, რომ ჰამლეტი აქ თქვენ კი არ გელაპარაკებთ და არც თქვენთვის ლაპარაკობს, — ლაპარაკობს მართოდღენ თავისთავთან, რომ იგი არსებითად მხოლოდ ფიქრობს ყველაფერ იმაზე, რაც ჩვენ გვესმის. ნელა მოახლოვდება კარებიდან ავანსცენისაკენ, ჰამლეტი აქ ამთავრებს თავის მონოლოგს და უეცრად ამოვარდება თავის ჩაფიქრებიდან, რა წამს შეაჩნევს ოფელიას... იუენის ჰამლეტი ყველაზე ჩაფიქრებული და სევდიანი ჰამლეტია, რომელიც კი მე მინახავს სცენაზე“.

შექსპირის გმირებს ქართულ სცენაზე ასახიერებდნენ ჩვენი გამოჩენილი მსახიობები კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია და ვალერიან შალიკაშვილი. ალექსანდრე ამედაშვილმა ოტელო პირველად თამაშა ჯერ კიდევ 1915 წელს და იგი დღემდე შესანიშნავად ასრულებს ამ როლს. ოფელიას და დეზდემონას როლების პირველი შემსრულებელი იყო მაკო საფაროვ-აბაშიძე, ხოლო შემდეგ ოფელიას და დეზდემონას ასახიერებდნენ ბ. ავალიშვილი, ტასო აბაშიძე, დეზდემონას — ნუცა ჩხეიძე და ნ. დავითაშვილი.

გარდა ამისა, მაკო საფაროვ-აბაშიძე „მეფე ლირში“ ასრულებდა კორდელიას როლს, „ვენეციელ ვაჟარში“ — პორციას და ჯესიკას. ამ ნიჭიერი მსახიობის სცენიური ოსტატობის შესახებ ილია ქავჭავაძე სწერდა: „აქტიორების ღირსებაზე ჯერხანად არა ითქმის რა, ჯერ უჩვევნი არიან ბევრი მათგანი და იმედია, რომ გაიწვრთნებიან, ხოლო წარმომადგენელთა შორის ერთია, რომლისათვისაც ღმერთს მიუმაღლებია დიდი ნიჭი. მაგ ნიჭის პატრონი საფაროვის ქალია. ეს ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენი სცენის თვალი იქნება. ამ აზრისანი არიან ყველანი, ვისაც კი საფაროვის ქალი სცენაზე უნახავს. ყოველ სიკეთესთან ერთი სიკეთეც სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიკეთე ეხლანდელ დროში, როცა ეს ქართული აღარავის ახსოვს, მეტად ძვირფასი რამ არის“.

ნიკო დადიანს (შალვა დადიანის მამა) თარგმნილი აქვს „ჰამლეტი“ და კომედია „დიდი ამბავი ტყუილ-უბრალოდ“; ეს უკანასკნელი სცენაზე დაიდგა და კოტე მესხმა ითამაშა ბენედიქტის როლი.

როგორც აღვნიშნეთ, შექსპირის თხზულებები საქართველოს ფართო საზოგადოებამ ვაიცნო ივანე მაჩაბლის თარგმანით. ივანე მაჩაბელმა სთარგმნა ილია ჭავჭავაძესთან ერთად „მეფე ლირი“ (1873), ხოლო შემდეგ მან მარტომ შესანიშნავად სთარგმნა „ჰამლეტი“ (1886), „ოტელო“ (1888), „მაკბეტი“ (1892), „რიჩარდ მესამე“ (1893), „იულიუს კეისარი“ (1896), „ანტონიოს და კლეოპატრა“ (1898) და „კორიოლანოსი“ (1898).

ივანე მაჩაბელს შექსპირის უკვდავი ტრაგედიების ქართულ სცენაზე დამკვიდრებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის. ივანე მაჩაბელი თავისი დროისათვის ფრიად განსწავლული ადამიანი იყო. იგი დიდ მოთხოვნას უყენებდა ხელოვნებას და კერძოდ თეატრს. დრამატული ხელოვნების შესახებ ი. მაჩაბელი სწერდა: „პოეზიის გვირგვინი არის დრამა და დრამატული მწერლობა და რამდენადაც დრამა მაღლა სდგას სხვაგვარ პოეზიაზედ, როგორც თავის სიართულით, ისე შინაარსით (ეს შინაარსი წარმოადგენს კაცთა პირდაპირ მოქმედებას სხვადასხვა გულისთქმათა და ენებათა ზედ-მოქმედების გამო), იმდენად მისი მოქმედება უფრო ძლიერია ადამიანის ბუნებაზე, რომ მისი ზედ-გავლენის სფერო უფრო ვრცელია. მისი სახსარი და იარაღი უფრო მარჯვენი არიან და ამისათვის დრამის სამსახურიც კაცობრიობის წინაშე მისი სულიერი განვითარების შესახებ უფრო დიდია და უფრო საყურადღებო“.

შემთხვევითი როდი იყო, რომ მაჩაბელმა შექსპირის გენიალური ტრაგედიების თარგმნას მოჰკიდა ხელი. ეს კეთილშობილური საქმე ეხმაურებოდა მის ესთეტიურ გემოვნებას და საერთოდ ლიტერატურულ მოთხოვნილებებს.

ი. მაჩაბელმა კარგად იცოდა ევროპული ენები. მან თავისი კლასიკური თარგმანებით დაჩრდილა შექსპირის ტრაგედიების ყველა წინანდელი ქართული თარგმანი, გარდა დიმიტრი ყოფიანის „რომეო და ჯულიეტას“ და „ვენეციელი ვაჟრის“ თარგმანებისა. ვადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ივანე მაჩაბელმა მსოფლიოს თარგმნითი ლიტერატურის ისტორიაში შექსპირის ტრაგედიების კლასიკური თარგმანით თავისი წვლილი შეიტანა. ბევრის მეტყველია ივანე მაჩაბელზე ნიკო დადიანის აკროსტიხი:

„ვალსა უხდის სამშობლოსა წერით, თარგმნით, სამსახურით,  
არცა ამღვრევს ლეიძლსა ენას უცხო წყობით, უსახურით,  
ნებაზე თხზავს, სწორედ თარგმნის — არ დაათრევს ავტორს ყურით;  
ოთხ-ხუთ ენას შეაწონებს, რომ გამოსთქვას მისებურით“.

ქართველმა საზოგადოებამ შეიყვარა შექსპირი და მისი უკვდავი გმირები, რომლებიც საერთო საკაცობრიო იდეებით ცოცხლობენ. შექსპირისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულია გამოხატული ქართული ლექსის დიდებული ოსტატის აკაკი წერეთლის ექსპრომტში, რომელიც მან წარმოთქვა მსახიობ ერნესტო როსის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე. ამ ექსპრომტში აკაკი ამბობს:

ოცნებით ვკითხვ შექსპირის აზრდისა:  
 „შენ ხარ მთავარი, მგოსანი უფროსი.  
 მაგრამ ვერ მივწვდით შენს მაღალ აზრებს  
 და ვინ აგვიხსნით? — „ერნესტო როსი“!



როგორც ცნობილია, ერნესტო როსი შექსპირის ტრაგედიების გმირთა როლებების საუკეთესო შემსრულებელი იყო და საგულისხმოა თბილისში მისი გასტროლების გამო გახვთ „ივერიის“ წერილი, რომელიც გადმოგვცემს როსის სიტყვებს, მიმართულს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისადმი:

„თქვენი საზოგადოება დიდის ხალისით ესწრებოდა ჩემს წარმოდგენებს, მეტადრე შექსპირის პიესებისას. წარმოდგენების დროს ცხადად ვამჩნევდით ამ საზოგადოებას, რომ სულგანაბული უგდებდა ყურს პიესას და კარგად ესმოდა დიდებულის პოეტის ნამოქმედარი, მისი მაღალი პოეზია და ღრმა აზრები. როგორც ვხედავ, ასე მოუშაადებია საზოგადოება და შეუთვისებიათ შექსპირის უყვდავი ქმნილებანი საქართველოს ორს დიდს პოეტს, რომელნიც დღეს ჩვენს შორის იმყოფებიან“.

შექსპირის ტრაგედიების გმირები ისე ახლობენ და მშობლიური გაზდნენ ჩვენთვის, რომ უშუალოდ შევიდნენ ქართულს პოეზიაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განახლებული და აყვავებული საქართველო უფრო მეტ ინტერესს იწვევს დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის ხალხში, მწერლებსა და მეცნიერებს შორის.

სოციალისტურ საქართველოში დიდად გაზრდილია ინტერესები ინგლისელ და ამერიკელ მწერლებისადმი, მეცნიერებისადმი. ამ ოცი წლის განმავლობაში ინგლისელი და ამერიკელი მწერლების ათჯერ და ასჯერ მეტი ნაწარმოები ითარგმნა და გამოიცა საქართველოში, ვიდრე მთელი წინა წლებისა და თუნდაც საუკუნეთა მანძილზე.

ამ ხნის განმავლობაში ინგლისელმა და ამერიკელმა პროფესორებმა და მწერლებმა მრავალი წიგნი დასწერეს ქართველ ხალხზე, მის გმირულ ისტორიასა და კულტურაზე.

ბაქაი წიგნთელი, ტომი III, ი. გრიშაშვილის რედაქტორებით.

სახელგამი. თბილისი. 1940 წ.

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის საიუბილეო გამოცემის მესამე ტომში მოთავსებულია პოემები და პოეტური დრამატული ნაწარმოებები. ამ ტომის სახით, დიდი ქართველი პოეტის აღნიშნული ხასიათის თხზულებები პირველად გამოიცა სრულად და აკადემიურად.

რედაქტორს, ჩვენს ცნობილ პოეტსა და მკვლევარს ი. გრიშაშვილს, მისთვის საერთოდ დამახასიათებელი განსაკუთრებული სიღვაძებით და სიზუსტით აქვს შესრულებული თავისი მოვალეობა. მას დაწერილებით შეუსწავლია აკაკის ნაწარმოებთა ტექსტი ამ მხრივ არსებული ყველა მასალების მიხედვით. შედეგად მოცემულია საერთოდ მთელი მასალის შესანიშნავი ტექსტუალური რედაქცია. „თორნიკე ერისთავი“, „თამარ-ცბიერი“, „მოხელის გრძნობა“ და ნაწილობრივ „პატარა კახი“, პირველად ამ გამოცემაში წარმოდგენილი მთლიანი და ნამდვილი ტექსტით. კერძოდ, „თორნიკე ერისთავი“, აკაკის ეს ყველაზე შესანიშნავი ისტორიული პოემა, რომელიც რამდენჯერმე იქნა გამოცემული სხვადასხვა დროს, მათ შორის სამეგრ თვით პოეტის სიკოტელში, — აქამდე დამახინჯებული სახით იყო ცნობილი: მას ი. გრიშაშვილის გამოკვლევით, როგორც ცენტრული პირობების, ისე სხვა მიზეზთა გამო, აკლდა ხუთი მნიშვნელოვანი ნაკვეთი 58 სტრიქონის რაოდენობით. ყველა ეს ნაკვეთები, რომლებიც მთლიანად აღუდგენია ი. გრიშაშვილს, პოემის როგორც სუვერტის, ისე საერთო მხატვრული კომპოზიციის ორგანიზულ ნაწილებს წარმოადგენდნენ. ასევე, „მოხელის გრძნობა“, აწყობის დროს გვერდების შექმნის გამოარჩენის გამო, პირველად დაბეჭდილია ოთხი გვერდის (80 სტრიქონის) გამოკლებით. ამ სახით შევიდა იგი სახელგამის მიერ გამოცემულ აკაკის ნაწარმოებთა ოთხტომეულშიც. სარეცენზოთა გამოცემაში ეს სტრიქონებიც აღდგენილია. სხვადასხვა ხასიათის დიდი მუშაობაა ჩატარებული „თამარ-ცბიერისა“ და მთელ რიგ სხვა ნაწარმოებთა ტექსტის აღდგენაზეც. ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ტომში მოთავსებულია აკაკის რამდენიმე, დღემდე დაუბეჭდავი ნაწარმოებებიც, სახელდობრ პოეტის უკანასკნელი პოემა „ომი“ და სტე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აგრეთვე რედაქტორის შენიშვნები, რომელიც პეტიტით დაბეჭდილ 33 გვერდს შეიცავს. ამ ნარკვევში წარმოდგენილია ყოველმხრივ ამომწურავი ტექსტუალურ-ბიბლიოგრაფიული ცნობები აკაკის პოემებისა და ლექსად დაწერილ დრამატული ნაწარმოებების შესახებ. ჩვენი აზრით, უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ მასში ყოფილიყო ჩართული ცალკეულ ნაწარმოებთა შესახებ არსებული აკაკის შენიშვნებიც, რომლებიც ცალკეა გამოყოფილი „რედაქტორის შენიშვნების“ სახელწოდებით. ამასთანავე ერთად, არ მიგვაჩნია მართებულად „ეკოლას ნაშრობის“ ერთ-ერთ სტროფში, სახელდობრ:

„და მართლაც რომ ჩამაბარეს  
სატანჯავად სისხლის მშველებს...  
არ უშვებდნენ არც მნახველებს...  
ვინ მოსთვლის ჩემ გასაჭირებს“.

უკანასკნელ სტრიქონთა ადგილების შენაცვლება. მართალია ასეთი შესწორების შემდეგ ეს სტროფი უფრო გამართულია, მაგრამ ასეთი შედარებითი ურეთესობის თვალსაზრისით, რომელიც კლასიკოსის ნაწარმოებში შესწორების შეტანა, მაშინ, როდესაც ამის საფუძველს არ ძალუვა ამ ნაწარმოების არცერთი ვარიანტი, ან შესასწორებელი ადგილი რამე აშკარა დამახინჯებას არ შეიცავს, გაუმართლებელია. აქ საჭიროა გაიხსენოთ ის ცნობილი გარემოება, რომ დიდი პოეტებიც არ არიან უცოდველნი: მათ ცალკეულ ნაწარმოებშიც გვხვდება საგრძნობლად სუსტი, ხან მეტად შეუსაბამო ადგილები. მეტად: ზოგიერთ შემთხვევაში მათი ცალკეული ნაწარმოებები მთლიანადაც კი ისაზღვრება ასეთი ბედი. როგორც ცნობილია, აკაკის პოეზიასაც ვარკვევით ახსიათებს ასეთი ლაქები. ერთის მხრივ — ეს მომენ-



ტი, ხოლო მეორეს მხრივ — ის ფაქტი, რომ გადასმული სტრიქონები, როგორც ამას თვით ი. გრიშაშვილიც აღნიშნავს, „იკოლას ნაშრობის“ ყველა ნაბეჭდ ტექსტში, მათ შორის თვით აკაკის „კრებულში“ დაბეჭდილ ვარიანტშიც, ერთნაირად მეორდება, — უდავოდ გვაქვს იმედი უფლებას ექნე შევიტანოთ მათ აკაკისეულთაში<sup>1)</sup>. ძირითადად ეს ითქმის იმ უფრო არსებითი შესწორების შესახებაც, რომელიც „ალექსის“ ერთ-ერთ სტროფში შეტანილი რედაქტორის, რითმების მიხედვით (იხ. სარეცენზიო გამოცემის 704 და 705 გვერდები). მთელი რიგი სიტყვების გადასმის შედეგად, აღნიშნული სტროფის შესწორებული სტრიქონები შედარებით ვაცილებით უფრო ძლიერად ელერს; მაგრამ აქაც არ გვაქვს რაიმე სახელი იმის დასამტკიცებლად, რომ პირველ ვარიანტში ასე უნდა ყოფილიყო და არა იმ სახით, როგორც წარმოდგენილია ცნობილ ნაბეჭდ ტექსტში. ჩვენი აზრით, სადაოა „ომის“ ზოგიერთი ადგილების წაკითხვაც. უმთავრესად ეს ითქმის პოემის ორი უკანასკნელი სტროფის შესახებ, რომლებიც ავტოგრაფში მეტად გაურკვეველად არის წარმოდგენილი. სარეცენზიო გამოცემაში პოეტის შემოქმედების ეს უკანასკნელი სტრიქონები შემდეგი სახით არის მოცემული:

„ჩვენის სიკვდილით, (ჩვენის გაჭრობით),  
ახლა იწყება მომავლის შობა —  
და დიდ რუსეთსა, წველილ ხალხის დამცველს  
ნუ მოეშალოს აწ გამარჯობა.

რომ იმას მტერი არ აწუხებდეს  
არცა იმიერ და არც იმიერ  
და ჩვენც ვიძახდეთ მამაპაპურად  
ჩვენის საფერად: „მრავალეამიერ!“

უნდა იყოს:

„ჩვენის სიკვდილით, ჩვენის დაღვრივ,  
ახლა იწყება მომავლის შობა —  
და დიდ რუსეთსა, წერილ ხალხის დამცველს  
ნუ მოეშალოს აწ გამარჯვება.

რომ იმას მტერი არ აწუხებდეს  
არცა იმიერ და [არც] იმიერ —  
და ჩვენც ვიძახდეთ  
ჩვენის საფერად: „მრავალეამიერ!“

არ მიგვაჩნია მართებულად „გორონცოვის“ დრამატულ ნაწარმოებთა ციკლში შეტანაც. ეს ნაწარმოები თავისებური კომპოზიციის მქონე პოემაა, ანდა, როგორც თვით პოეტი უწოდებს, „პოემა დიალოგებად“.

კიდევ ერთი შენიშვნაც. „მედისა“ დაწერის თარიღად სარეცენზიო გამოცემაში აღნიშნულია 1895 წელი. ამ თარიღს პირველად მიუთითა ს. გორგაძემ, „მედისა“ ერთი ნაწილის „კვლევის“ 1895 წლის 23 და 25 ნომრებში დაბეჭდვის მიხედვით<sup>2)</sup>. როგორც ეს აკაკის მიერ გიორგი წერეთელთან 1893 წლის დაახლოებით ივლისის მეორე ნახევარსა და აგვისტოს პირველ რიგებში მიწერილ პირად ბარათიდან ირკვევა, „მედისა“ მოყვანილი დათარიღება არ არის სწორი. აკაკი დასახელებულ წერილს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „მედისა“ ეწერ და მეორე ნაწილს შეეუფლება, ავთ კი ვარ“<sup>3)</sup>. ამრიგად, 1893 წლის აგვისტოსათვის „მედისა“ პირველი ნაწილი („მედია კოლხიდაში“), უკვე დამთავრებული ყოფილა. პოეტი

<sup>1)</sup> ამ პოემის ავტოგრაფი არ არის დაცული.

<sup>2)</sup> იხ. „აკაკის ბიბლიოგრაფია“ (ხელნაწერი, დაცულია საქ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში). აგრეთვე, აკაკის ჩრეული ნაწერების ტომი III, 1927 წ. გვ. 188.

<sup>3)</sup> იხ. აკაკის პირადი წერილები, „მნათობი“, 1940 წ., № 5—6, გვ. 170, აკაკის ციტირებული წერილის მიღების გამო, გ. წერეთელი 1893 წ. 19 აგვისტოს ან. თ. წერეთლისას შემდეგს სწერდა: „აკაკი მწერს „მედის“ დრამას ეწერო, ვაი თუ უფრო კარტს თამაშობს“.

შესდგომა მეორე ნაწილის („მედია ელადანი“) წერას ჩანს, ამ ნაწარმოებზე მუშაობა შემდეგ შეუწყვეტია აკაკის, იღბით ევადმყოფობის გამო. მაშასადამე, „მედიას“ დაწერის თარიღად უნდა მივიჩნიოთ არა 1895 წელი, არამედ 1893 წელი, ძირითადად აჭარის ნაწილის პირველი ორი თვე.

მაგრამ ყველა ეს შენიშვნები<sup>1)</sup> შედარებით მეტად უმნიშვნელოა და სარეცენზიო გამოცემის დადებით მხარეებს ნაწილობრივადაც არ ამცირებს, იმ დიდი, შეიძლება პირდაპირ ითქვას — სანიმუშო მუშაობის ღირსებას, რომელიც ი. გრიშაშვილს ჩაუტარებია აკაკის თხზულებათა სრული კრებულის შესამე ტომზე. მკითხველს ახლა უკვე აქვს საშუალება მთლიანი სახით გაეცნოს აკაკის შემოკლებების იმ ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან და ძირითად მხარეს, რომელსაც ეპიტურ-დრამატული ენარის პოეტური ნაწარმოებები წარმოადგენენ. იმას მნიშვნელობა აქვს თუ ვინაა იმიტომაც, რომ, როგორც ცნობილია, ეს ნაწარმოებები გარკვევით სახავენი დიდი ქართველი პოეტის როგორც მთავრადმედიელობრივ, ისე წმინდა შემოკლებებით ევალუცებს. ამავე დროს, საჭიროა აღინიშნოს ეს ვარაუდაც, რომ აკაკი თავისი პოემების გარკვეული ნაწილის სახით, გვევლინება, როგორც პოემის ახალი ფორმის (სახეობის) შემქმნელი და დამკვიდრებელი ქართულ ლიტერატურაში. ეს არის პოემა, რომელიც მოცემულია, ერთის მხრივ — ლირიკული მომენტების განსაკუთრებული სიჭარბე, ხოლო მეორეს მხრივ — სიუჟეტის ჩვეულებრივი „თხრობითი“, „მოკლებებითი“ გაშლის უარყოფა; მასში წამყვან ფაქტორს არსებითად ლირიკული ხედვა შეადგენს. ისეთი, მაგალითად, „მოხუცის გრძობა“ და სხვა ამ ტიპის პოემები, რომლებსაც პირობითად ლირიკული პოემები შეიძლება ვუწოდოთ.

დასასრულად, აღსანიშნავია აკაკის თხზულებათა, როგორც ამ, ისე პირველ და მეორე ტომთა მხატვრული გაფორმება, შესრულებული შესანიშნავი გემოვნებით და ოსტატობით მხატვარ ლადო გრიგოლიას მიერ.

## 8. დუდუჩავა.

<sup>1)</sup> მათ უნდა დამატოს აგრეთვე ისიც, რომ, როგორც ეს უკვე აღნიშნული გეჰანდა აკაკის თხზულებათა პირველ და მეორე ტომების შესახებ, „მნათობის“ 1942 წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიაში, „ხოლოცა“ უნდა დაბეჭდილიყო არა პირველ ტომში, არამედ სარეცენზიო ტომში (იხ. „მნათობის“ დასახელებული ნომერი, გვ. 154). აგრეთვე, სარეცენზიო ტომში წარმოდგენილ რედაქტორის შენიშვნებს ავსებს იმავე რეცენზიაში მოტანილი ცნობა აკაკის ერთ-ერთი იდრინდელი, მხოლოდ ოთხი სტრიქონის სახით შემონახული სატირული პოემის „კაქარდისანის“ შესახებ (იხ. იქვე, გვ. 153). ეს პოემა, როგორც ჩანს მისი ხედიდან, ან არ დაფუძვნიებულია პოეტს, ან უფრო საფუძვრებელია ცენტრის მხებერპლი გამზადარა (ამ უკანასკნელის საფუძველს პოემის სახელწოდებისა და შემონახული სტრიქონების ხასიათი იძლევა).

## „წინ, დასავლეთისაკენ“

აფხაზ პოეტების ლექსთა კრებული

ერყინული  
გეგლიფისუკა

დიდი სამამულო ომის თემამ ძირითადი ადგილი დაიმკვიდრა აფხაზურ საბჭოთა პოეზიაშიც.

ამის იდასტურებს ამ დღეებში გამოცემული აფხაზ პოეტების ლექსთა კრებული სახელწოდებით — „წინ, დასავლეთისაკენ“

წიგნი იხსნება უზუტუცი აფხაზი პოეტის, ორდენოსანი დიმიტრი გულუას ლექსებით. მისი ახალი ლექსები პატრიოტიზმის გრძობით არიან ანთებული. საბჭოთა ხალხის ძღვეამოსილი ბრძოლა გამოხატული დიმიტრი გულუას ლექსში — „წინ, დასავლეთისაკენ“. კაცუბაშების „ფიურერს“ სურდა ჩვენი დამონება, მაგრამ:

„ჩვენი მამულის მთა და ველები  
წამომართულა მაგარნცენება,  
და მტერს სტალინის გვარდიელები —  
დასავლეთისკენ მიერეკება!“

პიტლერელ ბარბაროსებს ხმალდახმალ ებრძვის დიდი სტალინის გმირთა ლაშქარი, გმირული წითელი არმია ურტყამს და ანადგურებს ფაშისტ მუკობრეთა არმიას. მაგრამ მტრის ზურგში მყოფი საბჭოთა ადამიანებიც როდი ურიგდებიან პირსისხლიან ფაშისტების ევრაგობასა და მხეცობას. პოეტი სწერს:

„თოვლში და ქარში, სადაც შარები  
ყინვით შეუტრავს სუსხიან ზამთარს,  
წარბშეუხრელი პარტიზანები  
რისხვით ებრძვიან ფაშისტურ აფთარს“.

გამარჯვება ჩვენ დაგვარება! — ასეთია პოეტის რწმენა:

„დასავლეთიდან მოსულო ურდოვ,  
დასავლეთშივე ჩაიჩეხები!“

შურისძიების გრძობას ჰქადაგებს პოეტი თავის მეორე ლექსში — „განკითხვის ეამი ახლოა უკვე“.

ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი ივანე თარბა თავის ლექსში „პიტლერის წინათგრძობა“ გვიხატავს საბჭოთა ხალხის დედაქალაქის — მოსკოვის გმირული დაცვის სურათს:

„მოსკოვი — ხალხთა დიდი მწათობი,  
კრემლი! — ვარსკვლავთა სხივის მფრქვეველი,  
ჩვენი მიდამო, ზეცის ტატნობი  
და სიხარული დაუღვეველი, —  
სურდათ წაერთვათ ბნელი თათებით  
და თავს დავგესხნენ მუხანათები!“

მაგრამ კაცობრიობის ზორცმეტი და ჩირქი — პიტლერი ანგარიშში მოტყუვდა:

„ეერ გადიხადა ზეიში აქა,  
ერგო სირცხელი და ქურდის ლაქა!“

მთელმა საბჭოთა ხალხმა მკერდით დაიცვა მსოფლიოს თვალი და მშვენება, გული და სილამაზე — მოსკოვი!

მოსკოვის მისადგომებთან მოისრა ფაშისტთა რიცხვეთვლელი დივიზია:

„ბრძვის ლაშქარი, გმირთა ლაშქარი, —  
მტრის სისხლიანი ურდო გათვლა,  
ისპობა მტერი გველზე საზარი,  
თავს გამარჯვება გვადგავს ნათელად!“

ასევე ნიჭიერად არის დაწერილი თარბას ლექსი „პარტიზანები“.

ლირიკულ გრძნობებით არის დაწერილი ახალგაზრდა პოეტის ლექსები. პოეტი იგონებს დედის ჩონგურის ტბილ ხმას, რომელიც კიჭიკო ჯოპუას მსახიობიანა და ვაეკაეობისავენ მოუწოდებდა:

„ხშირად, ხშირად მისმენია  
ახანგურზე თქმული:  
გმირს ვერასდროს ვერ დასძლევსო  
მუხანათი კრული!  
ვინც ბრძოლაში შეუდრკება  
მოსისხლეთა დაშნას,  
მას არაიენ არ შესძახებეს  
სიმღერას და ვაშას!“

არტემ მიკვაბია თავის ლექსში გადმოგვცემს საბჭოთა ხალხის ათედაღებას საყვარელ სამშობლოსათვის. იგი სწერს:

„ემართულვართ ფოლადივით,  
ვიცავთ ქვეყნის საქმეს,  
ჩვენთან სამტრად მოვარდნილი  
საფლავს ნახავს აქვე!“

ჩენი გამარჯვება გარდაუვალაია, რადგან:

„ჩვენ სტალინი წინ მიგვიძღვის, —  
ჩენი მზე და გული,  
მან შეტევის გზები იცის,  
გამარჯვება სრული!“

სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით არის დაწერილი პოეტების — მუშნი ხაშბას, სანდრო ქუჩუბერიას, ხუხუტი ბგაუბას და ალექსი ჯონუას ლექსები.

ბ. ბერულავა,

## შინაარსი

### მხატვრული ლიტერატურა

კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი (რომანი) . . . . .	33
ი. გრიშაშვილი — საიათნოვას ქიანურით (ლექსი) . . . . .	33
გალაკტიონ ტაბიძე — ელგუჯას დაბრუნება (ლექსი) . . . . .	34
ხანდრო ეული — საბოლოო და გვდამწყვეტი (ლექსი) . . . . .	36
ვრ. აბაშიძე — ციხე-ქალაქი (ლექსი) . . . . .	37
ალექსანდრე ქუთათელი — პირისპირ (რომანი) . . . . .	38
დავით კასრაძე — გორის დღეები (მოთხრობა) . . . . .	67
სიმონ წვერავა — ზღვისპირული ქარი (მოთხრობა) . . . . .	136
კლავდია დევდარიანი — დედა (მოთხრობა) . . . . .	154
რონა ვაკელი — დიდი მოურავი (პიესა) . . . . .	157
სიმღერა როლანდზე (თარგმანი რ. გვეტაძისა) . . . . .	182
ს. ბოროდინი — ბრძოლა კულიკოვის ველზე (ნაწყვეტი რომანიდან „ღმიტრი დონსკოი“ — თარგმ. ნ. ლორთქიფანიძისა) . . . . .	195

### პრიტიკა, ლიტ. ისტორია და პუბლიცისტიკა

მიხ. ჩიქვანი — დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია . . . . .	213
ი. კაჭარავა — ილია ჭავჭავაძე გერმანიის აგრესიული პოლიტიკის შესახებ . . . . .	230
კლიმენტო გოგიავა — ინგლის-ამერიკასთან ჩვენი ლიტერატურული და მეცნიერული ურთიერთობა . . . . .	238

### ბ ი ბ ლ ი ო ზ რ ა ფ ი ა

შ. დუდუჩავა — აკაკი წერეთელი, ტომი III, ი. გრიშაშვილის რედაქტორობით . . . . .	250
ხ. ბერულავა — „წინ, დასავლეთისაკენ!“ . . . . .	253

11

პ/მგ. რედაქტორი ა. მკვათაძე

---

ბელოწერილია დასაბეჭდად 17/IX-1942. შ0 11359. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 16.  
ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 30,663. შეკვეთის № 1620. ტირაჟი 2400.

---

სახელგამის ზეკდეითი სიტყვის კომბინატი, ფორესის ქ. 5.  
რედაქციის მისამართი: ფორესის ქ. 5. სახელგამი. ტელ. 3-04-64.